ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი
Quarterly Refereed and Reviewed International Scientific Journal

მეცნიერება და ინოვაცია
Science and Innovation

2025/2

ჟურნალი გამოდის 2024 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ
The magazine has been published four times a year since 2024

საქართველო, თბილისი 2025
GEORGIA, TBILISI 2025

მეცნიერება და ინოვაცია
Science and Innovation

მთავარი რედაქტორი: ვალერი მოსიაშვილი
სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე: ნინო სამჭკუაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: მედეა ჭელიძე
ტექნიკური რედაქტორი: დიმიტრი მასხარაშვილი
ლუკა კიკვიძე

სარედაქციო კოლეგია:

აბრალავა ა. (საქართველო), ალადაშვილი მ. (საქართველო), ანთაძე ლ. (საქართველო), ბერიძე თ. (საქართველო), ბიელსკა ტ. (უკრაინა), ბიენ ტანგ (აშშ), ბურდიაშვილი რ. (საქართველო), გრიგოლაია ნ. (საქართველო), დუდაური თ. (საქართველო), ვჯენჩექ ი. (პოლონეთი) ,მასხარაშვილი დ. (საქართველო), მოსიაშვილი ვ. (საქართველო), რუსაძე ნ. (საქართველო), სამჭკუაშვილი ნ. (საქართველო), სუჰაილი მ. (ლიეტუვა), ფარეშიშვილი გ. (საქართველო), ქოქიაური ლ. (საქართველო), ქუთათელაძე რ. (საქართველო), ყურაშვილი გ. (საქართველო), ცაავა გ. (საქართველო), ციმინტია კ. (საქართველო), ყურგაზოვ ზ. (უზბეკეთი), ჭელიძე მ. (საქართველო), ხოხობაშვილი დ. (აშშ).

Editor-in-Chief: Valeri Mosiashvili
Head of the editorial board: Nino Samchkuashvili
Deputy Editor-in-Chief: Medea Chelidze
Technical Editor: Dimitri Maskharashvili
Luka Kikvidze

Editorial Board:

Abralava A. (Georgia), Aladashvili M. (Georgia), Antadze L. (Georgia), Bielska T. (Ukraine), Biyan Tang (USA), Beridze T. (Georgia), Burdiashvili R. (Georgia), Grigolaia N. (Georgia), Dudauri T. (Georgia), Wdzięczak J. (Poland), Maskharashvili D. (Georgia), Mosiashvili V. (Georgia), Rusadze N. (Georgia), Samchkuashvili N. (Georgia), Sohail M. (Lietuva), Pareshishvili G. (Georgia), Qoqiauri L. (Georgia), (Kutateladze R. (Georgia), Kurashvili G. (Georgia), Kuryazov Z. (Uzbekistan), Chelidze M. (Georgia), Tsimintia K. (Georgia), Tsaava G. (Georgia), Khokhobashvili D. (USA).

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.
The Author is responsible for plagiarism and for the accuracy of the facts, data given in the article.

https://doi.org/10.52340/scai
https://doi.org/10.52340/sai
E - ISSN –2449-2779 (Online)
UDC (უაკ) 001+001.895
მ-621

© მეცნიერება და ინოვაცია

www.saijournal.ge
გამომცემლობა: „მ&ი“
metsnierebainovacia@gmail.com

სარჩევი

გიორგი ფარეშიშვილი, გიორგი მხეიძე - მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს I-ის საეკლესიო დიპლომატია: უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მხარდაჭერის მაგალითზე 11
გიორგი ჯინჭარაძე - სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ისტორიული განვითარების თავისებურებები საბჭოთა პერიოდში 20
Liu Zhongxi - Unveiling the Historical and Geographical Research of China's Southern Borderlands 29
არჩილ ორთანეზაშვილი - შუა დერეფანი - გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და მონაწილე სახელმწიფოთა ინტერესები 40
იაგო ბერიძე - რელიგიის როლი თურქეთის პოლიტიკაში 50
აქსანა გუჩუა - სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა და ხელოვნური ინტელექტი: ახალი ტექნოლოგიების როლი მმართველობის მოდელებში 58
ეკატერინე ჭალაგანიძე - ბავშვთა საკითხების გაშუქების თემატიკა სოციალურ რეკლამაში (ქართული მედიის მაგალითზე) 70
ნათია ფოფხაძე - მედიატექსტების ახალი ფორმები მულტიპლატფორმული ჟურნალისტიკისთვის: ლიტერატურის მიმოხილვა 74
Nino Rukhaia-Mosemgvdlishvili, Ahmed Akram Ahmed Abdou Harissa - Social Media as a Game-Changer for Marketing in the Gulf Region 83
თებეა გოგისვანიძე - ქალის უფლებების დაცვა საომარი მოქმედებების და შეიარაღებული კონფლიქტის დროს 92
გიორგი მუკბანიანი - "თაღლითობა" და ხანდაზმულობის ვადის აღდგენის საგამონაკლისო პირობა კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში 98
დიმიტრი ცანავა - არასრულწლოვანთა განრიდება/მედიაცია როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილი 110
გრიგოლი ახალაია - დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების გადაწყვეტილება არსებობის გაგრძელებაზე - პარალელები საერთაშორისო საკორპორაციო სამართალთან 115
თამარ გოგოლაშვილი - ბენეფიციარის არამართლზომიერი მოთხოვნა და გარანტის დაცვის მექანიზმები 121
Nino Jolia - Digital Identity and Legal Personhood: Regulating AI and Virtual Entities in the Digital Age 127
ნათია კილაძე - ზეგანაკვეთური შრომის რეგულირების მოდელები ქართულ და ევროპულ კანონმდებლობაში და ხელოვნური ინტელექტის გავლენა აღნიშნულის რეგულირებისას 135
Tamar Rukhadze, Tamar Kamkhadze, Ana Tabutsadze - The Impact of Law on Market Functioning and Competition 147
თინათინ ცინარიძე - დისკრიმინაციაზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმები და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები 150
ნოდარ მატარაძე - პატიმართა და სასჯელ მოხდილ პირთა რესოციალიზაციის საკითხები 159
ნათია გველესიანი - სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა ციფრული შევიწროებისგან 167
Tamari Trapaidze - Establishing the Causal Link Between Medical Errors and Patient Health Deterioration as the Foundation for Civil Liability 178

ეკა ტაბატაძე - საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების სამართლებრივი დაცვის მექანიზმები და ადგილსამყოფელის მოშლის პრობლემები 187
Janusz Wdzięczak - Narrative Economics: A Method for Analyzing Inflation in Poland? 194
Lamara Qoqiauri, Valeri Mosiashvili - Innovative Processes – Fundamentals of Economic Development 198
Nino Samchkuashvili, Tamar Dudauri - Economic Conditions and Environmental Issues in Georgia 211
გუგული ყურაშვილი, მედეა ჭელიძე, თამარი ბერიძე - ციფრული ტრანსფორმაცია და თანამედროვე გამოწვევები 216
Maia Giorgobiani - On the question of information phenomena and concepts 220
Marine (Maia) Mindorashvili - Statistical Study of Disposable Income, Savings, and Investment Rates in Georgia and the European Union 225
Audrius Aleknavičius - REAL PROPERTY TAXATION TRENDS IN LITHUANIA 230
Givi Duchidze - Global Economic Changes and Their Impact on Business Strategies 231
Холбеков Расул Олимович - ТЕОРЕТИЧЕСКИЙ И МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ ОРГАНИЗАЦИЯ ПРОИЗВОДСТВЕННОГО УЧЕТА В РЕСПУБЛИКИ УЗБЕКИСТАН 240
Nikoloz Darchiashvili - Digital Tools and Technologies in Management 247
Natia Surmanidze, Sofiko Tevdoradze, Zurab Mushkudiani - Collaborative Development of R Packages in Scientific Communities 251
Guram Tkemaladze, **Marine Demetrashvili, Ketevan Makhashvili** - Environmental Policy and Use (Management) of Water Resources in Georgia 259
Ana Tsulaia, Levan Mikava - INVESTMENT ENVIRONMENT, ACCOMPLISHMENTS, AND PROSPECTS OF GEORGIA 267
Mariam Jokhadze, Tamari Gobejishvili - Risks of AI in IT Business Analysis: Impact on Junior Analysts-and Key Challenges 274
Maia Siradze, David Bibichadze, Shalva Kutubidze, Zurab Mushkudiani - Georgian business's modern management trends 282
Ana Chkhikvadze - Financial Technology Transformation in Georgia: Local Characteristics and Global Trends 285
ნინო ხიდირბეგიშვილი, ანი ხაჩიძე - საბანკო სფეროს კიბერუსაფრთხოება 290
შორენა გვენეტაძე - კანონმორჩილების ამაღლების გზები და ბიზნესის მოტივაცია 294
გიორგი ცაავა, რატი ბურდიაშვილი - საქართველოს ფისკალური ანუ საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა და მისი სადისკუსიო პრობლემატიკა ეკონომიკის სტაბილიზაციაში 298
ნინო გრიგოლაია - გიგ ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმი და განვითარების პერსპექტივები 303
ქეთევან შენგელია - მწვანე მიწოდების ჯაჭვის მართვა 312
მაია ალადაშვილი - ცირკულარული ეკონომიკის ბიზნესმოდელების უპირატესობები და ძირითადი გამოწვევები კახეთის რეგიონში 317
მარიამ შანავა, ალეკო ქუთათელაძე - საოპერაციო რისკების მართვა: თანამედროვე გამოწვევები და ეფექტური სტრატეგიები 322
თათია ჯობავა - საბანკო სექტორის როლი უძრავი ქონების ბაზარზე საქართველოში 330

მარიამ კუპრაშვილი - მომავლის უსაფრთხოება: როგორ ცვლის ახალი ტექნოლოგიები ბიზნესის უსაფრთხოების რეალობას 335
ალექსანდრე შარაშენიძე, **მაკა ბულეიშვილი**, **მარიამ ჯიქიძე** - ევროკავშირის სტანდარტების დანერგვა საქართველოს ჯანდაცვის სექტორში: გამოწვევები და პერსპექტივები 340
გენად შავაძე - ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები და გამოწვევები ქართულ აგრო სექტორში 345
ლევან ლევერაშვილი - კონტრპროდუქტიული თვისებების როლი სამუშაოს ეფექტიანობის პროგნოზირებასა და მართვაში 353
მანანა მჭედლიშვილი - ეთიკის საკითხები ბუღალტრულ აღრიცხვაში 362
ნინო ხიდირბეგიშვილი, ლუკა დიმიტრიშვილი - დისტანციური ბანკინგი და ბიზნეს პროცესების ციფრული ტრანსფორმაცია 369
მარიამ კვარაცხელია - ექსტრემალური მენეჯმენტი: კრიტიკულ გარემოებებში წარმატების ხელოვნება 373
ნინო დარსაველიძე, ლელა ბოჭოიძე, მერაბი ჭელიძე - აქტივების გამოყენების ზრდის შესაძლებლობები მრეწველობაში 380
შავლეგ შელია - უხელმძღვანელო ლიდერობის სტილი 384
თამარ მარგიანი - ლოგისტიკური კლასტერი, როგორც ეკონომიკური განვითარებისა და უმუშევრობის შემცირების საშუალება საქართველოში 393
Ana Alpaidze, Shota Veshapidze - Priorities for Increasing Production and Import Replacement Developing countries 400
ლია ოტიაშვილი - კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სამ წლიან (180 კრედიტი) საბაკალავრო პროგრამებზე გადასვლის დადებითი და უარყოფითი ფინანსური მხარეები 405
ანა კურტანიძე, მაკრინე ბაბლუანი - სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობა ავიაინდუსტრიაში 411
ანნა ზარანდია - ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში 415
ია ნაცვლიშვილი - ციფრიზაცია როგორც მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი (საქართველოს მაგალითზე) 425
ნელი სესაძე, ლია პიტიურიშვილი, ნინელი თევდორაშვილი - ციფრული ეკონომიკა - საბანკო სისტემის მაგალითზე 435
გიგი ნოზაძე - მწვანე მარკეტინგი საქართველოში: მწვანე მომხმარებელთა სეგმენტაცია და მისი გავლენა ბრენდის იმიჯსა და მომხმარებელთა ლოიალობაზე 440
არჩილ საფარიძე - მონაცემებზე დაყრდნობილი პროდუქტის მენეჯმენტი 450
ლაშა ხაზარაძე - ქართული ღვინის ექსპორტის თანამედროვე მდგომარეობა და შეფასება 455
მანანა ბანძელაძე, დარეჯან ჩხიროძე, ნონა კუხიანიძე - მდგრადი მენეჯმენტის ეთიკური ნორმები 465
ნანა გადელია - ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე ტენდენციები 470
ქეთინო ბერიძე - განათლების ბაზრის მარკეტინგული პოზიციონირება: ქართული რეალობის ანალიზი 471
თენგიზ კუპრაშვილი - მარკეტინგ-მიქსის კონცეფცია რეგიონალური მარკეტინგის ჭრილში 472
ნინო ხიდირბეგიშვილი, ლაშა დემეტრაშვილი - საქართველოს საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელი 473

Salome Surameli - Prospects for the development of rural tourism in Shida Kartli …… 478
ლალი ოქროცვარიძე, ჯემალ სოლოღაშვილი - საქართველო აქ არის ……..…… 484
ნონა ახვლედიანი, ივლია ონიანი, მარიამი ახვლედიანი - ტურიზმის სტატისტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში ……...…… 491
ეთერ ნარიმანიშვილი - აგროტურიზმის თანამედროვე ხედვა …… 503
Nona Zumbadze - Enhancing Education, Research and Societal Engagement Through Quality Assurance ……...……. 509
Lia Antadze - The Role of the Educational Administrator in the Modern World ……..……...…….. 514
Salome Devadze - The Impact of Artificial Intelligence in International Educational Companies ……..….. 517
Funke Morenike Jiyah, Bolanle Wahab, Joshua Jiyah, Olutoyin Fashae - Atmospheric Emissions, Physical Planning and Sustainable Practices in Cereal Processing Mills, Bida, Nigeria ……...…… 521
შორენა ცაავა, ფატიმა ქვაცაბაია - მიწის რეფორმის გავლენა მიწის ბაზარზე …….. 522
ქეთევან ვეზირიშვილი-ნოზაძე, ზურაბ ლომსაძე, ნოდარ მირიანაშვილი, ელენე ბათლიძე - საქართველო და " შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი" - საინჟინრო ინოვაციისა და გლობალური თანამშრომლობის პროექტი ……...…….. 527
Maia Chinchaladze, Alexander Chinchaladze - Artificial Intelligence in the Field of Medicine and Healthcare …… 537
ქეთევან ბერიაშვილი, ლეილა გეგენავა - ქიმიზაციის როლი ინტენსიფიკაციის დონის ამაღლებაში ……...…….. 539
ელენე სორდია , სოფიო ძნელაძე, აკაკი ბოკერია, ლევან ელიაშვილი - კუნელით გამდიდრებული ჩაი როგორც ანტიოქსიდანტების წყარო ……..... 542
მურთაზ თოდაძე, მირანდა ჯანხოთელი, შორენა ჯანხოთელი, სოფიო მაჭარაშვილი, ელგუჯა თოდაძე, დევი ხვედელიანი - საექთნო განათლების ტრანსფორმაცია: მეწარმეობის და სტრატეგიული მენეჯმენტის ინტეგრაცია …… 547
გულნარა ჯანელიძე, ია აფციაური - გენეტიკური ალგორითმები კლიენტების სეგმენტაციისთვის მარკეტინგის ამოცანებში …….. 555
თამარ ლაზარიაშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარების გამოწვევები და სამომავლო განვითარების შესაძლებლობები …….. 559
მანანა ცინცაძე, ნაილი ორჯანელი, ნათია ნატროშვილი, მარინა სურმავა - ფრინველის კვება ……..…….. 565
ხათუნა ელიაშვილი - გაცხადებული სული "ვეფხისტყაოსანი" ნაწილი " ბ" …….. 569

CONTENTS

Giorgi Pareshishvili, **Giorgi Mkheidze** - The Ecclesiastical Diplomacy of Ecumenical Patriarch Bartholomew: A Case Study of Support for Ukrainian Church Autocephaly and State Sovereignty ... 11
Giorgi Jincharadze - Historical Development Peculiarities of South Caucasus Countries During the Soviet Period 20
Liu Zhongxi - Unveiling the Historical and Geographical Research of China's Southern Borderlands ... 29
Archil Ortanezashvili - Middle Corridor - Geopolitical Significance and the Interests of Participating States 40
Iago Beridze - The Role of Religion in Turkish Politics 50
Aksana Guchua - State Territorial Organization and Artificial Intelligence: The Role of New Technologies in Governance Models 58
Ekaterina Chalaganidze - Coverage of Children's Issues in Social Advertising (Based on Georgian Media) 70
Natia Popkhadze - New Forms of Media Texts for Multiplatform Journalism: A Literature Review 74
Nino Rukhaia-Mosemgvdlishvili, Ahmed Akram Ahmed Abdou Harissa - Social Media as a Game-Changer for Marketing in the Gulf Region 83
Tebea Gogisvanidze - Protection of women's rights during armed conflicts and warfare 92
Giorgi Mukbaniani - "Fraud" and the exceptional condition for the restoration of the limitation period in private legal relations 98
Dimitri Tsanava - Juvenile Diversion and Mediation as a Component of Restorative Justice 110
Grigoli Akhalaia - The decision of a dissolved business entity to continue its existence - parallels with international corporate law 115
Tamar Gogolashvili - Unlawful Demands by the Beneficiary and Protection Mechanisms for the Guarantor 121
Nino Jolia - Digital Identity and Legal Personhood: Regulating AI and Virtual Entities in the Digital Age 127
Natia Kiladze - Models of Overtime Regulation in Georgian and European Legislation and the Impact of Artificial Intelligence in Its Regulation 135
Tamar Rukhadze, Tamar Kamkhadze, Ana Tabutsadze - The Impact of Law on Market Functioning and Competition 147
Tinatin Tsinaridze - Legal Mechanisms for Responding to Discrimination and Related Problematic Issues 150
Nodar Mataradze - Issues of resocialization of prisoners and convicted persons 159
Natia Gvelesiani - Protecting the Authority of the Court from Digital Harassment 167
Trapaidze Tamari - Establishing the Causal Link Between Medical Errors and Patient Health Deterioration as the Foundation for Civil Liability 178
Eka Tabatadze - Legal protection mechanisms for endangered species included in the Georgian „Red List" and problems of habitat loss 197
Janusz Wdzięczak - Narrative Economics: A Method for Analyzing Inflation in Poland? 194
Lamara Qoqiauri, Valeri Mosiashvili - Innovative Processes – Fundamentals of Economic Development 198

Nino Samchkuashvili, Tamar Dudauri - Economic Conditions and Environmental Issues in Georgia 211
Guguli Kurashvili, Medea Chelidze, Tamari Beridze- Digital Transformation and Modern Challenges 216
Maia Giorgobiani - On the question of information phenomena and concepts 220
Marine (Maia) Mindorashvili - Statistical Study of Disposable Income, Savings, and Investment Rates in Georgia and the European Union 225
Audrius Aleknavičius - REAL PROPERTY TAXATION TRENDS IN LITHUANIA 230
Givi Duchidze - Global Economic Changes and Their Impact on Business Strategies 231
Холбеков Расул Олимович - ТЕОРЕТИЧЕСКИЙ И МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ ОРГАНИЗАЦИЯ ПРОИЗВОДСТВЕННОГО УЧЕТА В РЕСПУБЛИКИ УЗБЕКИСТАН 240
Nikoloz Darchiashvili - Digital Tools and Technologies in Management 247
Natia Surmanidze, Sofiko Tevdoradze, Zurab Mushkudiani - Collaborative Development of R Packages in Scientific Communities 251
Guram Tkemaladze, **Marine Demetrashvili, Ketevan Makhashvili** - Environmental Policy and Use (Management) of Water Resources in Georgia 259
Ana Tsulaia, Levan Mikava - INVESTMENT ENVIRONMENT, ACCOMPLISHMENTS, AND PROSPECTS OF GEORGIA 267
Mariam Jokhadze, Tamari Gobejishvili - Risks of AI in IT Business Analysis: Impact on Junior Analysts-and Key Challenges 274
Maia Siradze, David Bibichadze, Shalva Kutubidze, Zurab Mushkudiani - Georgian business's modern management trends 282
Ana Chkhikvadze - Financial Technology Transformation in Georgia: Local Characteristics and Global Trends 285
Nino Khidirbegishvili, Ani Khachidze - Banking Cybersecurity 290
Shorena Gvenetadze - Ways to Improve Compliance and Business Motivation 294
Giorgi Tsaava, Rati Burdiashvili - Georgia's fiscal or tax-budgetary policy and its discussion issues in stabilizing the economy 298
Nino Grigolaia - Mechanisms of Functioning and Development Prospects of the Gig Economy 303
Ketevan Shengelia - Green Supply Chain Management 312
Maia Aladasvili - Advantages of Circular Economy Business Models and Challenges in the Kakheti Region 317
Mariam Shanava, Aleko Qutateladze - Operational Risk Management: Modern Challenges and Effective Strategies 322
Tatia Jobava - The role of the banking sector in the real estate market of Georgia 330
Mariam Kuprashvili - The Security of the Future: How New Technologies Change the Reality of Business Security 335
Alexander Sharashenidze, Maka Buleishvili, Mariam Jikidze - Implementation of EU Standards in Georgia's Healthcare Sector: Challenges and Perspectives 340
Genad Shavadze - Main directions and challenges of financial support for business in the Georgian agricultural sector 345

Levan Leverashvili - The Role of Counterproductive Traits in Predicting and Managing Work Performance 353
Manana Mchedlishvili - Ethical issues in accounting 362
Nino Khidirbegishvili, Luka Dimitrishvili - Remote banking and digital transformation of business processes 369
Mariam kvaratskhelia - Extreme Management: The Art of Success in Critical Circumstances 373
Nino Darsavelidze, Lela Bochoidze, Chelidze Merabi - Opportunities for increasing asset utilization in industry 380
Shavleg Shelia - The Leaderless Leadership Style 384
Tamar Margiani - Logistics Cluster as a Means of Economic Development and Unemployment Reduction in Georgia 393
Ana Alpaidze, Shota Veshapidze - Priorities for Increasing Production and Import Replacement Developing countries 400
Lia Otiashvili - Financial pros and cons of private higher education institutions switching to three-year (180 credits) bachelor's degree programs 405
Ana Kurtanidze, Makrine Babluani - The importance of strategic planning in the aviation industry 411
Anna Zarandia - Securities Market in Georgia 415
Ia Natsvlishvili - Digitalization as a factor promoting sustainable development (on the example of Georgia) 425
Neli Sesadze, Li aPitiurishvili, Nineli Tevdorashvili - The Digital Economy: A Case Study of the Banking System 435
Gigi Nozadze - Green Marketing in Georgia: Green Consumer Segmentation and Its Impact on Brand Image and Customer Loyalty 440
Archil Saparidze - Data driven Product management 450
Lasha Khazaradze - Current status and assessment of Georgian wine exports 455
Manana Bandzeladze, Darejan Chkhirodze, Nona Kukhianidze - Ethical Norms of Sustainable Management 465
Nana Gadelia - Contemporary Trends in Human Resource Management 470
Ketino Beridze - Marketing Positioning of the Education Market: Analysis of Georgian Reality 471
Tengiz Kuprashvili - Marketing Mix Concept in the Context of Regional Marketing 472
Nino Khidirbegishvili, Lasha Demetrashvili - Credit portfolio of the Georgian banking sector 473
Salome Surameli - Prospects for the development of rural tourism in Shida Kartli 478
Lali Okrotsvaridze, Jemal Sologhashvili - Georgia is here 484
Nona Akhvlediani, Ivlia Oniani, Mariami Akhvlediani - Current Issues of Tourism Statistics in Georgia 491
Eter Narimanishvili - Modern vision of agrotourism 503
Nona Zumbadze - Enhancing Education, Research and Societal Engagement Through Quality Assurance 509
Lia Antadze - The Role of the Educational Administrator in the Modern World 514
Salome Devadze - The Impact of Artificial Intelligence in International Educational Companies 517

Funke Morenike Jiyah, Bolanle Wahab, Joshua Jiyah, Olutoyin Fashae - Atmospheric Emissions, Physical Planning and Sustainable Practices in Cereal Processing Mills, Bida, Nigeria ……. 521
Shorena Tsaava, Fatima Kvatsabaia - The impact of land reform on the land market …..…….. 522
Ketevan Vezirishvili – Nozadze, Zurab Lomsadze, Nodar Mirianashvili, Elene Batlidze - Georgia and the "Black Sea Submarine Cable" - a project of engineering innovation and global cooperation …….. 527
Maia Chinchaladze, Alexander Chinchaladze - Artificial Intelligence in the Field of Medicine and Healthcare ……...…….. 537
Ketevan Beriashvili, Leila Gegenava - The role of chemization in increasing the level of intensification …… 539
Elene Sordia, Sofio Dzneladze, Akaki Bokeria, Levan Eliashvili - Hawthorn-enriched tea as a source of antioxidants ……..…. 542
Murtaz Todadze, Miranda Jankhoteli, Shorena Jankhoteli, Sophio Macharashvili, Devi Khvedeliani, Elguja Todadze - Transformation of Nursing Education: Integration of Entrepreneurship and Strategic Management ……...…….. 547
Gulnara Janelidze, Ia Aptsiauri - Genetic algorithms for customer segmentation in marketing tasks ……...……. 555
Tamar Lazariashvili - Challenges of Innovative Development of Georgia's Agriculture and Future Development Opportunities ……...…….. 559
Manana Tsintsadze, Naili Orjaneli, Natia Natroshvili, Marina Surmava - Poultry Nutrition ……. 565
Khatuna Eliashvili - The Manifest Soul "The Knight in the Panther's Skin" Part "B" ……..…… 569

მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს I-ის საეკლესიო დიპლომატია: უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მხარდაჭერის მაგალითზე

The Ecclesiastical Diplomacy of Ecumenical Patriarch Bartholomew: A Case Study of Support for Ukrainian Church Autocephaly and State Sovereignty

გიორგი ფარეშიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
გიორგი მხეიძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
Giorgi Pareshishvili
Caucasus International University
Doctor of political science
Giorgi Mkheidze
Doctoral student of political science

აბსტრაქტი. მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს I-ის საეკლესიო დიპლომატია მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე მართლმადიდებლურ სამყაროში, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი როლი უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მინიჭების კონტექსტში. 2018 წელს, მსოფლიო პატრიარქის გადაწყვეტილება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებასთან დაკავშირებით, არა მხოლოდ საეკლესიო ერთიანობის საკითხი იყო, არამედ პოლიტიკური და გეოპოლიტიკური, რომელსაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია უკრაინის სახელმწიფოსთვის. ამ ნაბიჯმა გამოიწვია უარყოფითი რეაქციები რუსული საპატრიარქოს მხრიდან და გააჩინა მნიშვნელოვანი დისკუსიები საეკლესიო სამართლიანობაზე, სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტზე და აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ სივრცეში. მსოფლიო პატრიარქის დიპლომატია გამოირჩევა მისი მზადყოფნით გაატაროს ინიციატივები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ საეკლესიო სამართლის მოთხოვნებს, არამედ ითვალისწინებს გლობალურ პოლიტიკურ რეალობას და დინამიკას. აღნიშნული სტატიაში განიხილება მსოფლიო პატრიარქის საეკლესიო დიპლომატიის ძირითადი სტრატეგიები, ის ფაქტები და პროცესები, რომელიც თან ახლდა უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებას. ასევე გამოკვეთილი იქნება უკრაინის ავტოკეფალიის ისტორიული საკითხი, ავტოკეფალიის გავლენის მნიშვნელობა უკრაინის სახელმწიფო სუვერენიტეტთან და რელიგიურ, საეკლესიო დამოუკიდებლობასთან მიმართებაში. ამასთან ერთად, განხილულია პატრიარქი ბართლომეოს I-ის როლი საეკლესიო პოლიტიკის და გეოპოლიტიკური სტაბილურობის კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო პატრიარქი, უკრაინის ავტოკეფალია, დიპლომატია, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, რუსეთის საპატრიარქო, მართლმადიდებელი ეკლესია, პოლიტიკური გავლენა.

Abstract. Ecclesiastical diplomacy of Ecumenical Patriarch Bartholomew I plays a significant role in the contemporary Orthodox world, particularly with regard to his involvement in granting autocephaly to the Orthodox Church of Ukraine. The 2018 decision by the Ecumenical Patriarch to recognize the autocephaly of the Ukrainian Orthodox Church was not merely an issue of ecclesiastical unity—it also had political and geopolitical significance, carrying great importance for the Ukrainian state. This step provoked negative reactions from the Russian Patriarchate and sparked significant debates on ecclesiastical justice, national sovereignty, and the political landscape of Eastern Europe. Bartholomew I's diplomacy is characterized by his willingness to undertake initiatives based not solely on the requirements of canon law, but also on the global political reality and its dynamics. This article examines the main strategies of the Ecumenical Patriarch's ecclesiastical diplomacy, the facts and processes that accompanied the granting of autocephaly to the Ukrainian Orthodox Church, and highlights the historical context of Ukraine's quest for autocephaly. It further analyzes the significance of autocephaly in relation to Ukraine's national sovereignty and its religious and ecclesiastical independence. Additionally, the role of Bartholomew I in ecclesiastical politics and geopolitical stability is explored.

Keywords: Ecumenical Patriarch, Ukrainian Autocephaly, Diplomacy, State Sovereignty, Russian Patriarchate, Orthodox Church, Political Influence.

ავტოკეფალია თავისი შინაარსით გულისხმობს ეკლესიის დამოუკიდებლობას და ავტონომიურობას, ეკლესიის სრულ სამწყსო და ადმინისტრაციული დამოუკიდებლობას. ავტოკეფალიის მქონე ეკლესია არ ექვემდებარება სხვა ეკლესიებს და სრული ავტონომიურობა გააჩნია, როგორც ლიტურგიკულ ისე გადაწყვეტილებების ნაწილში. ავტოკეფალია მოიცავს კანონიკურ დამოუკიდებლობას, ავტოკეფალური ეკლესია არ არის დამოკიდებული რომელიმე ეკლესიასა და ხელისუფლებაზე. საეკლესიო თვითმმართველობის მიმართულებითაც თავად მართავს საკუთარ საქმიანობას და იღებს გადაწყვეტილებებს. ავტოკეფალია ძირითადად, საერთაშორისო დონეზე აღიარებული დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოების ეკლესიებს შეიძლება მიენიჭოთ. კერძოდ, უკრაინისთვის გარდა რელიგიური მიმართულებისა, ავტოკეფალიას დიდი პოლიტიკური და გეოპოლიტიკური დატვირთვა გააჩნია. ავტოკეფალია იყო არა მხოლოდ რელიგიური, არამედ სტრატეგიული, პოლიტიკური და ეროვნული იდენტობის მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილება. უკრაინას ესაჭიროებოდა ეს გადაწყვეტილება როგორც დამოუკიდებელ და რუსეთის ფედერაციასთან კონფლიქტში ჩართულ სახელმწიფოს, რომლის მთავარი მიზანი რუსული გავლენებისგან მაქსიმალური ემანსიპაცია იყო.

2019 წლის 6 იანვარს უკრაინის მართლმადიდებლურ ეკლესიას ოფიციალურად მიენიჭა ავტოკეფალია. კონსტანტინოპოლის - ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა, უკრაინის ეკლესიის მეთაურს, კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ეპიფანეს „ავტოკეფალიის ტომოსი“ გადასცა. ზემოხსენებული ცერემონია სტამბულში, წმინდა გიორგი ტაძარში შედგა. მსოფლიო პატრიარქმა საკუთარი ხელის მოწერით დაადასტურა უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია. აღნიშნული ავტოკეფალიის მინიჭების უფლება მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინოპოლის ეკლესიას, მის მეთაურს გააჩნია, ეს პრეროგატივა განპირობებულია საეკლესიო სამართლის ნორმებით, რომელიც კონსტანტინოპოლს ისტორიული საფუძვლებით აქვს განსაზღვრული. კონსტანტინოპოლის ეკლესია აღიარებულია როგორც პირველი, უპირატესი მართლმადიდებლურ ეკლესიებში - უკავია პირველი ადგილი მართლმადიდებელ ეკლესიათა დიფტიქში[2]. რეალურად, ეკლესიებს შეუძლიათ განაცხადი გააკეთონ ავტოკეფალიაზე, მასზე კი საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინოპოლის ეკლესიას ეკუთვნის.

უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი საკმაოდ მრავალმხრივია ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით. აუცილებელია განხილული იყოს უმნიშვნელოვანესი ისტორიული ასპექტები უკრაინულ ეკლესიასთან მიმართებაში, რაც ნათლად წარმოაჩენს მსოფლიო საპატრიარქოს ლეგიტიმაციას ავტოკეფალიის მინიჭების თვალსაზრისით.

განსაკუთრებით საყურადღებოა უკრაინული ეკლესიის მდგომარეობა მე-17 საუკუნეში. 1686 წელს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო შეზღუდული აღიარებით დაეთანხმა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკურ იურისდიქციაში უკრაინული ეკლესიის ინტეგრირებას, თუმცა ფორმალურად კიევის მიტროპოლია რჩებოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ, ხოლო მოსკოვს ენიჭებოდა მხოლოდ მიტროპოლიტის წარდგენისა და კურთხევის უფლება. მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი განმარტავს, რომ 1686 წლის აქტით არ განხორციელდა იურისდიქციის სრული გადაცემა მოსკოვისთვის - ეს იყო დროებით მინიჭებული უფლება, რომლის მნიშვნელოვანი პირობები რუსულმა ეკლესიამ დაარღვია, რადგან არ სრულდებოდა შეთანხმებული ვალდებულებები. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს

იხ.დანართი 2

იხ.დანართი 3

[2] Diptych, https://www.britannica.com/topic/diptych

მიერ ეს დათმობა განპირობებული იყო იმ პერიოდის მძიმე, რთული მდგომარეობით, რომელსაც განიცდიდა მათი საპატრიარქო.[3] 1685 წელს მოსკოვის პატრიარქმა იოაკიმემ და პეტრე პირველმა მსოფლიო პატრიარქ დიონისე IV-ს მიმართეს თხოვნით, რომ აღმოსავლეთ უკრაინის ეპარქიები, რუსული საეკლესიო იურისდიქციის ქვეშ გადაეცა, რომლებიც ადრე ისტორიულად მეფის რუსეთის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. მსოფლიო პატრიარქმა არ დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნა, მაგრამ იკონომიის საფუძველზე ხელი მოაწერა 1686 წლის ცნობილ სინოდურ აქტს, რომლის მიხედვითაც მოსკოვის პატრიარქს იკონომიით მიეცა ნებართვა ახლად გამორჩეული კიევის მიტროპოლიტი ეკურთხებინა. თუმცა ამას თან ახლდა კონკრეტული პირობა: კიევის მიტროპოლიტი ყოველ საღმრთო ლიტურგიაზე მსოფლიო პატრიარქის სახელს მოიხსენიებდა, რაც ნიშნავდა, რომ ის რჩებოდა მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაში. აქედან გამომდინარე, კიევის მიტროპოლიტი მოსკოვის პატრიარქის ხელდასხმით წარმოადგენდა მსოფლიო საყდრის წარმომადგენელს. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდის განჩინებაში უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით, გაკეთებული იქნა ჩანაწერი, რომ გაუქმდა 1686 წლის სინოდური ნებართვის წერილი, რომლის მიხედვით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რუსეთის ეკლესიას ჰქონდა უფლება ეკურთხებინა კიევის მიტროპოლიტი. 1991 წელს, როდესაც ოფიციალურად დაიშალა საბჭოთა კავშირი და უკრაინა დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, უკრაინულმა ეკლესიამ მოსკოვის საპატრიარქოს სთხოვა დაეწყო მოქმედებები ავტოკეფალიის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით - 1992 წელს უკრაინული იერარქიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებდა ავტოკეფალიის მოთხოვნას. რუსეთის ეკლესიისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო უკრაინისთვის ავტოკეფალიის მინიჭება, ვინაიდან მოსკოვის ეკლესიას დაკარგავდა გავლენებს და მთელ რიგ საეკლესიო, სამონასტრო კომპლექსებს. რუსული ეკლესიის უარის შემდგომ წარმოიშვა სქიზმა უკრაინულ ეკლესიაში და გამოიკვეთა ორი ჯგუფი: პირველი - ვინც უკრაინული ეკლესიის დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს (ვისაც რუსული ეკლესია სქიზმატებად მიიჩნევდა) და მეორე - ვისაც კვლავ სურდა რუსულ ეკლესიაზე ყოფილიყო დაქვემდებარებული. მას შემდეგ, რაც უკრაინამ ვერ მიიღო ავტოკეფალია, კიევის მიტროპოლიტმა ფილარეტმა (დენისენკო) ჩამოაყალიბა სქიზმატური კიევის საპატრიარქო, რომელიც განუდგა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას. ამის გამო, რუსულმა ეკლესიამ მიტროპოლიტი ფილარეტი განკვეთა და შეაჩვენა. საყურადღებოა რომ კონსტანტინოპოლის ეკლესიას არ უღიარებია უკრაინის ავტოკეფალური ტალღა სქიზმად, რომელიც იქნა შერაცხული რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ.[4]

აქედან გამომდინარე, კონსტანტინოპოლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მინიჭებამდე, უკრაინის წიაღში არსებობდა ორი მართლმადიდებლური ეკლესია. 1. კიევისა და სრულიად უკრაინის მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია (რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფი), რომლის მეთაური არის მიტროპოლიტი ონოფრე (ბერეზოვსკი); 2. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია - ავტოკეფალიის მომხრეები. ავტოკეფალიის მომხრე, უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში ავტოკეფალიის მომხრე უკრაინულ მართლმადიდებელ ეკლესიაში რიგ საკითხებზე უთანხმოება წარმოიქმნა, რის შედეგადაც 1993 წელს კიევის საპატრიარქოში განხეთქილება მოხდა. სამღვდელოების ნაწილმა უარი თქვა მიტროპოლიტ ფილარეტთან თანამშრომლობაზე და დამოუკიდებელი სტრუქტურა

[3] Statement of the Holy Synod of the Russian Orthodox Church concerning the uncanonical intervention of the Patriarchate of Constantinople in the canonical territory of the Russian Orthodox Church, 14 Sep, 2018, https://mospat.ru/en/news/47198/

[4] The Whole Truth About the Ukrainian Church Issue | By the Holy Monastery of Pantocrator, Mount Athos 2020, Pg.5-11.

შექმნეს - „უკრაინული მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია". რაოდენობრივად, სასულიერო პირებისა და მრევლის მიხედვით იგი გაცილებით მცირე იყო, ვიდრე ფილარეტის ხელმძღვანელობით მყოფი უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესია. 2018 წლის 15 ნოემბერს კიევის სოფიის საკათედრო ტაძარში შედგა უკრაინული ეკლესიის გამაერთიანებელი საეკლესიო კრება, სადაც წარმოდგენილები იყვნენ „კიევის საპატრიარქოდან" - მეთაური ფილარეტ დენისენკო და მეორე ავტოკეფალური სტრუქტურიდან - მეთაური მიტროპოლიტი მაკარი მალეტიჩი. გაერთიანებული იქნა ეს ორი ეკლესია და მათ ასევე შეუერთდნენ მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინული ეკლესიის ორი მიტროპოლიტი. ჩამოყალიბებული იქნა უკრაინის ერთიანი ავტოკეფალური ეკლესია -„უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია“, რომლის მეთაურად გამორჩეული იქნა მიტროპოლიტი ეპიფანე (დუმენკო). მიტროპოლიტ ეპიფანეს მიენიჭა შემდეგი ტიტული: უნეტარესი მიტროპოლიტი კიევისა და სრულიად უკრაინისა[5]. აღსანიშნავია, რომ მიტროპოლიტ ფილარეტს უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესიის საპატიო პატრიარქის წოდება მიანიჭეს. ამასთან ერთად, მას შემდეგ, რაც უკრაინის ეკლესიის მეთაურად გამოირჩა მიტროპოლიტი ეპიფანე, პარალელურად, მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი უკრაინის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კვლავ განაგრძო ფუნქციონირება.[6]

უკრაინის ავტოკეფალიის მინიჭების პროცესში, დიდი როლი და გავლენა იქონია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დიპლომატიამ, კერძოდ, მსოფლიო პატრიარქის დიპლომატიურმა პოლიტიკამ. გამოწვევა არა ერთი იყო როგორც რელიგიური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის, დონბასის და ლუგანსკის ოლქების ოკუპირების შემდეგ გააქტიურდა საუბრები უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით. მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი ღიად უჭერდა მხარს უკრაინას, უკრაინელ ხალხს და სრულიად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ინტერვენციას. ყოვლადუწმინდესმა ბართლომეოსმა ქადაგებაში არა ერთხელ მიმართა უკრაინის საეკლესიო ლიდერებს, ღიად დაუფიქსირა მისი მხარდაჭერა და ისაუბრა უკრაინაში არსებულ შიდა საეკლესიო პრობლემებზე, ხალხის წინაშე არსებულ მძიმე გამოწვევებზე. ეს მიანიშნებდა კონსტანტინოპოლის ეკლესიის მეთაურის ინტერესს უკრაინის საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, მზაობას უკრაინის ეკლესიის მხარდაჭერასთან მიმართებაში.

2015 წლის 6 ივნისს უკრაინის ეკლესიის ნაწილმა, კონსტანტინოპოლის მართლმადიდებლურ ეკლესიას მიმართა თხოვნით, რომ მიენიჭებინა თვითმმართველობის უფლება, როგორც მიტროპოლიისთვის და შესულიყვნენ კონსტანტინოპოლის ეკლესიის დაქვემდებარების ქვეშ. მათ აღარ ჰქონდათ სურვილი მოსკოვის სამხედრო ინტერვენციის შემდეგ რომ მათი ეკლესიის წიაღში ყოფილიყვნენ.[7] ამ ყოველივეს შემდეგ განვითარდა მთელი რიგი პროცესები. კონსტანტინოპოლის ეკლესიის მეთაურმა ქმედითი ნაბიჯები გადადგა და საკუთარი წარმომადგენლები მიავლინა უკრაინაში. რუსეთის ფედერაცია და ეკლესია კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა უკრაინის საეკლესიო საკითხებში რაიმე სახით კონსტანტინოპოლის ჩართულობას. გავრცელდა განცხადება უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქო) მიერ რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ორმა ეპისკოპოსმა დანიელმა და

[5] ადგილობრივი ეკლესიების ავტოკეფალია - ისტორიული, კანონიკური, პოლიტიკური, და სახელმწიფოებრივი ასპექტები, უკრაინის ავტოკეფალისტური საეკლესიო მოძრაობის მოკლე მიმოხილვა, გამომცემლობა: *სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი,* 2019, გვ.68-71.

[6] Rev. Dr. Nicholas Denysenko, Filaret's Final Act and the Future of the Orthodox Church of Ukraine, 15 May, 2019, https://publicorthodoxy.org/2019/05/15/filarets-future-of-orthodox-church-of-ukraine/

[7] UAOC ready to become Constantinople's metropolis, 7 Jun, 2015, https://risu.ua/en/uaoc-ready-to-become-constantinople-s-metropolis_n74619

ილარიონმა უკრაინაში შეხვედრები გამართეს სასულიერო პირებთან. რა თქმა უნდა აღნიშნულ ფაქტს, მოსკოვის მხრიდან მკაცრი შეფასებები მოჰყვა. ისინი თვლიდნენ რომ მათ კანონიკურ ტერიტორიაზე თანხმობის გარეშე არ უნდა განეხორციელებინათ ვიზიტი კონსტანტინოპოლის ეკლესიის ეპისკოპოსებს. დაიწყო აქტიური დიპლომატიური სამუშაოები უკრაინის ავტოკეფალიის მომხრე სასულიერო პირების ნაწილსა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შორის. კონსტანტინოპოლის ეკლესიის მღვდელმთავრების ვიზიტის შემდეგ, უკრაინის ეკლესიის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით მსოფლიო პატრიარქ ბართლო-მეოსს ავტოკეფალური სტატუსის აღიარების თხოვნით მიმართეს. თავის მხრივ მოსკოვის პოზიციები ურყევი იყო, მათთვის სრულიად არა კანონიკურ მოვლენას წარმოადგენდა უკრაინის მხრიდან მოთხოვნა ავტოკეფალიის სტატუსი მინიჭების შესახებ, ვინაიდან უკრაინის ეკლესიას ჰყავდა კანონიკური მეთაური ონოფრეს სახით და მათი შეხედულებით, მთელი ეს პროცესი სქიზმას ემსახურებოდა.[8]

აღსანიშნავია კრეტის საეკლესიო კრება 2016 წელს, რომელიც მოწვეული იქნა მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსის მიერ. ხშირად კრეტაში ჩატარებულ კრებას, კრეტის მსოფლიო საეკლესიო კრებადაც მოიხსენიებენ. კრებაზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: მართლმადიდებლური ეკლესიის ერთიანობა, მართლმადიდებლური ეკლესია და მსოფლიოს თანამედროვე გამოწვევები; მართლმადიდებლური ეკლესიის მედიაციის ფუნქცია და ეკუმენიზმი, სხვა რელიგიებთან ურთიერთობა.[9] კრებაზე არ იქნა უკრაიანის ეკლესიის საკითხი განხილული. არადა საეკლესიო კრებამდე, რამდენიმე დღით ადრე, უკრაინის რადამ ოფიციალურად მიმართა კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბარლომეოსს უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის მინიჭების თხოვნით. საყურადღებოა რომ კრეტის საეკლესიო კრებაზე მონაწილეობა არ მიიღო რუსეთის ეკლესიამ, რაც უკვე მიანიშნებდა რუსეთის გამძაფრებულ უარყოფით დამოკიდებულებას კონსტანტინოპოლის ეკლესიასთან მიმართებაში. რა თქმა უნდა, ეს მოცემულობა დიდ წილად უკრაინის მიმდინარე საკითხით იყო გამოწვეული, თუმცა კონსტანტინოპოლს და მოსკოვს შორის „კონკურენციას“, არც თუ დადებით ურთიერთობას გაცილებით დიდი საფუძვლები აქვს, რომელიც მოსკოვის თვითგამოცხადებული „მესამე რომის“ ფუნქციით არის გამოწვეული.[10]

უკრაინის ეკლესიასთან ერთად, ავტოკეფალიის სტატუსის მინიჭების საკითხში აქტიურად ჩაერთო უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო. პრეზიდენტმა მზაობა და სურვილი გამოხატა მსოფლიო პატრიარქთან შეხვედრასთან დაკავშირებით. 2018 წლის 9 აპრილს, პოროშენკო შეხვდა კონსტანტინოპოლის ეკლესიის მეთაურს, სადაც პრეზიდენტის მთავარი აქცენტი ეხებოდა უკრაინის ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესიის შექმნის მნიშვნელობას მათი სახელმწიფოსთვის. ეს არ იყო პირველი და უკანასკნელი შეხვედრა უკრაინის მეთაურსა და მსოფლიო პატრიარქს შორის, კიდევ ერთი შეხვედრა შედგა სტამბულში. პრეზიდენტსა და უკრაინის რადას შორის სრული კონსესუსი, ერთსულოვნება იყო ავტოკეფალიის მინიჭების საკითხზე. 20 აპრილს, მსოფლიო საპატრიარქოს გადაეცა ოფიციალური თხოვნა ავტოკეფალიის ტომოსის გაცემაზე. იმავე დღეს მსოფლიო საპატრიარქოში იმსჯელეს უკრაინელების თხოვნაზე და ერთ ხმად მხარი დაუჭირეს ამ პროცესის დაწყებას. ავტოკეფალიის სტატუსი მინიჭების

[8] UOC (MP) hierarchs concerned about Constantinople's activity in Ukraine, 24 Jun, 2015, https://risu.ua/en/uoc-mp-hierarchs-concerned-about-constantinople-s-activity-in-ukraine_n74878

[9] კრეტის კრებაზე არც რუსეთის ეკლესიის დელეგაცია გაემგზავრება, 13 ივნ, 2016, https://tabula.ge/ge/news/586937-kretis-krebaze-arts-rusetis-eklesiis-delegatsia

[10] Historic Orthodox Christian summit goes ahead despite Russian withdrawal and 'civil war' warnings, 20 Jun, 2016, https://www.independent.co.uk/news/world/europe/first-orthodox-christian-summit-in-1200-years-goes-ahead-despite-russian-withdrawal-and-warnings-of-simmering-religious-war-a7090561.html

პროცესის დაწყებასთან ერთად, მსოფლიო პატრიარქმა გააქტიურა მოლაპარაკებები მოსკოვთან.[11] 2018 წლის 31 აგვისტოს, პატრიარქი ბართლომეოსი პირადად შეხვდა რუსეთის პატრიარქ კირილს და აცნობა რომ უკრაინის ავტოკეფალიის მინიჭების საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებული იყო.

მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა საეკლესიო ნორმების დაცვით დაიწყო უკრაინის ავტოკეფალიის საკითხზე მუშობა. 1 სექტემბერს, სტამბულში მოიწვია კონსტანტინოპოლის ეკლესიის მაღალი იერარქები, სადაც აღნიშნა რომ უკრაინის საეკლესიო საკითხის პრობლემის ფესვები მე-14 საუკუნეში უნდა ვეძიოთ, როდესაც კიევის მიტროპოლიტის კათედრა მოსკოვში გადაიტანეს კონსტანტინოპოლის ეკლესიის თანხმობის გარეშე. ამასთან ერთად, მან კიდევ ერთხელ დასძინა რომ ისტორიულად კიევის ეკლესია ყოველთვის ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის ეკლესიას და კანონიკური უფლებამოსილება ავტოკეფალიის მინიჭების მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინოპოლის ეკლესიას გააჩნია.[12]

დიპლომატიური პოლიტიკის თვალსაზრისით, მსოფლიო პატრიარქის მხრიდან უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო უკრაინაში თავისი წარმომადგენლების დანიშვნა. ამავე წლის სექტემბრის თვეში ოფიციალურად დანიშნა არქიეპისკოპოსი დანიელი და ეპისკოპოსი ემანუელი უკრაინაში პირად დელეგატებად. უმაღლესი იერარქები ჩართულები იყვნენ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მინიჭების მოსამზადებელ სამუშაოებში.[13] თავის მხრივ მოსკოვის საპატრიარქო, რა თქმა უნდა ეწინააღმდეგებოდა ზემოხსენებულ მისიას და კანონიკურ დარღვევად მიიჩნევდა. ამის შედეგად რუსეთის ეკლესიამ, ოფიციალურად შეწყვიტა კონსტანტინოპოლის ეკლესიასთან თანა ლოცვა, მსოფლიო პატრიარქის მოხსენიება ლიტურგიაში და სრულიად გაემიჯნენ მათ იერარქებთან რაიმე სახის თანამშრომლობას პერსპექტივაში. რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ გაწყვიტა ევქარისტიული კავშირი კონსტანტინოპოლის პატრიარქატთან.

მოსკოვის ხისტ მიდგომებს კონსტანტინოპოლის ეკლესიასთან მიმართებაში შესაბამისი პასუხი მოჰყვა მსოფლიოს პატრიარქის მხრიდან. კონსტანტინოპოლის ეკლესიის მეთაურმა მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპაში, რუსული მართლმადიდებელი ეკლესიების დასავლეთ ევროპის სამთავარეპისკოპოსოს (AROCWE) გაუქმების შესახებ. AROCWE იყო სტრუქტურა, რომელიც საკუთარ საქმიანობას ახორციელებდა კონსტანტინოპოლის ეკლესიის, მსოფლიო პატრიარქის დაქვემდებარების ქვეშ. იგი აერთიანებდა დასავლეთ ევროპაში არსებულ მართლმადიდებელ თემებს, რომლებიც რუსულ ეკლესიურ ტრადიციას მისდევდნენ (ძირითადად ემიგრანტები რუსეთიდან და მათი შთამომავლობა). ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიზანი გახლდათ რომ თემებს, ჯგუფებს, მჭიდრო და პირდაპირი კავშირები ჰქონოდათ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან — როგორც დედა ეკლესიასთან. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, რა თქმა უნდა სრული ერთობა შეინარჩუნა მათ ეკლესიებთან და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან მათ მეტ ინტეგრირებას მისცა დასაბამი. ამ გადაწყვეტილებით შესუსტებული იქნა მოსკოვის ეკლესიის გავლენები დასავლეთ ევროპაში .[14]

[11] Archbishop Job (Getcha) of Telmessos: "Ukraine is the canonical territory of the Church of Constantinople", 1 Aug, 2016, https://risu.ua/en/archbishop-job-getcha-of-telmessos-ukraine-is-the-canonical-territory-of-the-church-of-constantinople_n80683

[12] Orthodox Church Heads Discuss Ukraine Bid To Split With Russia, 1 Sep, 2018, https://www.rferl.org/a/orthodox-church-heads-bartholomew-istanbul-russia-kirill-discuss--ukraine-bid-split-russian-church/29464950.html

[13] Ecumenical Patriarchate sends Legates to Ukraine, 7 Sep, 2018, https://web.archive.org/web/20181021025405/https://www.ecupatria.org/2018/09/07/ecumenical-patriarchate-sends-legates-to-ukraine/

ამ ყოველივეს მოჰყვა უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია, უკრაინის ეკლესიის მეთაურად მიტროპოლიტი ეპიფანეს გამორჩევა. როგორც უკრაინის ეკლესიის მეთაურმა ეპიფანემ, ისე უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ სრული მზადყოფნა გამოხატეს ტომოსის მისაღებად, რომელიც უკრაინულ მხარეს ოფიციალურად 6 იანვარს სტამბულში გადაეცათ. ავტოკეფალიის პოლიტიკური კონტექსტის მნიშვნელობის ნათელი მაგალითია პეტრო პოროშენკოს სიტყვები: „ავტოკეფალური ეკლესია იქნება „პუტინის გარეშე, კირილის გარეშე, იგი იქნება „ღმერთთან და უკრაინასთან ერთად“. ამასთან ერთად, მან დასძინა რომ ავტოკეფალია ნათელი დადასტურებაა უკრაინის სახელმწიფოს პროევროპული და პრო-უკრაინული პოლიტიკური კურსის.[15]

2019 წლის 6 იანვარს, მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა და უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურმა, მიტროპოლიტმა ეპიფანემ წმ. გიორგის საკათედრო ტაძარში, სტამბოლში ერთად აღასრულეს საღმრთო ლიტურგია. ლიტურგიის დასრულების შემდეგ ტაძარში, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართლომეოსმა ხელი მოაწერა უკრაინის ავტოკეფალიის მინიჭების დოკუმენტზე - ტომოსზე. ხელმოწერის შემდეგ ტომოსი ძალაში შევიდა. თავისთავად მსოფლიო პატრიარქის ხელმოწერამ ოფიციალურად დააფუძნა და დაადასტურა უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია.[16] ასევე პეტრო პოროშენკო სტამბოლში გაემგზავრა ხელმოწერის ცერემონიაზე დასასწრებად. 2019 წლის 8 იანვარს, ტომოსი ისევ დააბრუნეს სტამბოლში, რათა მასზე ხელი მოეწერა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდის ყველა წევრს.[17]

უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის მინიჭების შემდეგ, პერიოდულად კვლავ აქტიური განხილვის საკითხი ხდება ავტოკეფალია მრავალი მიმართულებით. აღნიშნული კიდევ უფრო გამძაფრდა 2022 წლიდან, მას შემდეგ რაც რუსეთმა სამხედრო ინტერვენცია განახორციელა უკრაინაში. პოლიტიკური თვალსაზრისით ფაქტია რომ ავტოკეფალიის მიღებით უკრაინამ განამტკიცა საკუთარი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, მკაფიოდ გამოკვეთა ეროვნული იდენტობა, შეამცირა რუსეთის ფედერაციის გავლენები და გეოპოლიტიკური არჩევანი დაადასტურა, თუმცა უკრაინის სახელმწიფოს წინაშე გამოწვევა კვლავ უდიდესია. მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი მიმდინარე კონფლიქტის პირობებშიც ღიად უჭერს მხარს უკრაინას, უკრაინის საზოგადოებას. პატრიარქმა არა ერთხელ მკაცრად გააკრიტიკა რუსეთის ფედერაციის მეთაური და პატრიარქი კირილი ომის მხარდაჭერისთვის. მან აღნიშნა, რომ რუსეთის ეკლესია ავითარებს „ომის თეოლოგიას“, რომელიც ცდილობს გაამართლოს ომი დამოუკიდებელი და სუვერენული უკრაინის სახელმწიფოს წინააღმდეგ. 2025 წლის თებერვალში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა აღნიშნა რომ უკრაინის სუვერენიტეტი „არ არის მოლაპარაკების საგანი“ და რომ ნებისმიერი მომავალი სამშვიდობო შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს უკრაინის სრულფასოვან მონაწილეობას. მან ხაზი გაუსვა, რომ „არავის აქვს უფლება, თავს მოახვიოს თავისი ნება სხვა ერს“ და რომ „ვერანაირი ძალა ვერ ჩააქრობს იმ ხალხის სულს, ვინც არ ნებდება. ყოვლადუწმინდესმა ბართლომეოსმა არა ერთხელ დაგმო ძალადობა და

[14] Ecumenical Patriarchate Communiqué on Orthodox churches of Russian tradition in Western Europe, 28 Nov, 2018, https://orthodoxie.com/ecumenical-patriarchate-communique-on-orthodox-churches-of-russian-tradition-in-western-europe/

[15] Speech by the President on the results of the All-Ukrainian Orthodox Unity Council, 15 Dec, 2018, https://web.archive.org/web/20181223155924/https://www.president.gov.ua/en/news/vistup-prezidenta-za-rezultatami-vseukrayinskogo-pravoslavno-52050

[16] Patriarch Bartholomew signs Tomos of autocephaly of Orthodox Church of Ukraine, 5 Jan, 2019, https://risu.ua/en/patriarch-bartholomew-signs-tomos-of-autocephaly-of-orthodox-church-of-ukraine_n95554

[17] Що з підписами під томосом і чому його повертають до Стамбула, 8 Сентябрь, 2019, https://www.bbc.com/ukrainian/news-46800260

დასძინა რომ იგი ლოცულობს ომის დასრულებისთვის, სამართლიანი მშვიდობის დამყარებისთვის უკრაინაში. იგი ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს მართლმადიდებლური სამყაროს ერთიანობისა და მშვიდობისკენ სწრაფვას, პოლიტიკურ სტაბილურობას საერთაშორისო დონეზე.[18]

ფაქტია, რომ მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოს I-ის ეკლესიური დიპლომატია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში მნიშვნელოვანი მაგალითია იმისა, თუ როგორ იკვეთება რელიგიური ავტორიტეტი და გეოპოლიტიკური რეალობა. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება არა მხოლოდ საეკლესიო სივრცეში ისტორიული ნაბიჯი იყო, არამედ სახელმწიფოს სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერის სიმბოლოდაც იქცა. მსოფლიო პატრიარქის, ბართლომეოს I-ის მოქმედებები აჩვენებს, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, მიუხედავად შეზღუდული პოლიტიკური ძალაუფლებისა, ახერხებს გავლენის მოპოვებას რეგიონალურ და გლობალურ დონეზე, რელიგიური ლეგიტიმაციის საშუალებით. ამ გზით, საეკლესიო დიპლომატია წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რომელიც ხელშემწყობია არა მხოლოდ ვიწროდ რელიგიური იდენტობის განმტკიცების მიმართულებით, არამედ პოლიტიკური სუბიექტურობის ჩამოყალიბების საკითხშიც. უკრაინის შემთხვევაში, ეს დიპლომატია ხელს უწყობს ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესების თანხვედრას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რელიგიის პოლიტიკურ პოტენციალს 21-ე საუკუნის გლობალურ პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ecumenical Patriarch handed over "tomos" of autocephaly to the head of the Ukrainian church, 6 Jan, 2019, https://1tv.ge/lang/en/news/ecumenical-patriarch-handed-over-tomos-of-autocephaly-to-the-head-of-the-ukrainian-church/ ;
2. Diptych, https://www.britannica.com/topic/diptyc ;
3. Rev. Dr. Nicholas Denysenko, Filaret's Final Act and the Future of the Orthodox Church of Ukraine, 15 May, 2019, https://publicorthodoxy.org/2019/05/15/filarets-future-of-orthodox-church-of-ukraine/ ;
4. The Whole Truth About the Ukrainian Church Issue | By the Holy Monastery of Pantocrator, Mount Athos 2020.
5. ადგილობრივი ეკლესიების ავტოკეფალია - ისტორიული, კანონიკური, პოლიტიკური, და სახელმწიფოებრივი ასპექტები, უკრაინის ავტოკეფალისტური საეკლესიო მოძრაობის მოკლე მიმოხილვა, *გამომცემლობა: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი*, 2019.
6. UAOC ready to become Constantinople's metropolis, 7 Jun, 2015, https://risu.ua/en/uaoc-ready-to-become-constantinople-s-metropolis_n74619 ;
7. UOC (MP) hierarchs concerned about Constantinople's activity in Ukraine, 24 Jun, 2015, https://risu.ua/en/uoc-mp-hierarchs-concerned-about-constantinople-s-activity-in-ukraine_n74878 ;

[18] Ecumenical Orthodox patriarch backs Ukraine's sovereignty in Mass marking 3 years of war, 24 Feb, 2025, https://www.ncronline.org/news/ecumenical-orthodox-patriarch-backs-ukraines-sovereignty-mass-marking-3-years-war

8. კრეტის კრებაზე არც რუსეთის ეკლესიის დელეგაცია გაემგზავრება, 13 ივნ, 2016, https://tabula.ge/ge/news/586937-kretis-krebaze-arts-rusetis-eklesiis-delegatsia ;

9. Historic Orthodox Christian summit goes ahead despite Russian withdrawal and 'civil war' warnings, 20 Jun, 2016, https://www.independent.co.uk/news/world/europe/first-orthodox-christian-summit-in-1200-years-goes-ahead-despite-russian-withdrawal-and-warnings-of-simmering-religious-war-a7090561.html ;

10. Archbishop Job (Getcha) of Telmessos: "Ukraine is the canonical territory of the Church of Constantinople", 1 Aug, 2016, https://risu.ua/en/archbishop-job-getcha-of-telmessos-ukraine-is-the-canonical-territory-of-the-church-of-constantinople_n80683 ;

11. Orthodox Church Heads Discuss Ukraine Bid To Split With Russia, 1 Sep, 2018, https://www.rferl.org/a/orthodox-church-heads-bartholomew-istanbul-russia-kirill-discuss--ukraine-bid-split-russian-church/29464950.html ;

12. Ecumenical Patriarchate sends Legates to Ukraine, 7 Sep, 2018, https://web.archive.org/web/20181021025405/https://www.ecupatria.org/2018/09/07/ecumenical-patriarchate-sends-legates-to-ukraine/ ;

13. Statement of the Holy Synod of the Russian Orthodox Church concerning the uncanonical intervention of the Patriarchate of Constantinople in the canonical territory of the Russian Orthodox Church, 14 Sep, 2018, https://mospat.ru/en/news/47198/ ;

14. Ecumenical Patriarchate Communiqué on Orthodox churches of Russian tradition in Western Europe, 28 Nov, 2018, https://orthodoxie.com/ecumenical-patriarchate-communique-on-orthodox-churches-of-russian-tradition-in-western-europe/ ;

15. Speech by the President on the results of the All-Ukrainian Orthodox Unity Council, 15 Dec, 2018, https://web.archive.org/web/20181223155924/https://www.president.gov.ua/en/news/vistup-prezidenta-za-rezultatami-vseukrayinskogo-pravoslavno-52050 ;

The Role of Religion in Turkish Politics

იაგო ბერიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
პოლიტიკის მეცნიერების საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი
Iago Beridze
Caucasus International University
Doctoral student of political science

აბსტრაქტი. ნაშრომი ეძღვნება რელიგიის როლს ქვეყნის აღმშენებლობის საქმესა და ზოგადად, თურქეთის პოლიტიკაში, როგორც ოსმალეთის, ასევე ათათურქის მმართველობის დროს. თურქეთის რელიგიის პოლიტიკა რთული და განვითარებადი საკითხია. თურქეთი ოფიციალურად სეკულარული სახელმწიფოა და ეს პრინციპი კონსტიტუციაშია დაფიქსირებული. თუმცა, სეკულარიზმის კონცეფცია თურქულ კონტექსტში, წლების განმავლობაში სხვადასხვაგვარად იქნა განმარტებული და განხორციელებული. ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თანამედროვე და ისტორიულ თურქეთს აქვს სეკულარიზმის ძლიერი ტრადიცია, რომელიც ძირითადად მიეკუთვნება თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელს - მუსტაფა ქემალ ათათურქს. ათათურქმა მე-20 საუკუნის დასაწყისში გაატარა რეფორმების სერია, რომელიც მიზნად ისახავდა თურქეთის მოდერნიზაციას და ერთ-ერთი ასეთი რეფორმა, რაც მან გაატარა, იყო სეკულარული სისტემის ჩამოყალიბება, რომელმაც რელიგია და სახელმწიფო ერთმანეთისგან გამიჯნა. როგორც მედია-საშუალებებითაა ცნობილი, უკანასკნელ წლებში ხშირად იმართება დებატები და დისკუსიები რელიგიის როლზე თურქეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დღევანდელი სახელისუფლებო პარტია იგივე ოსმალეთის იმპერიის კლასიკური პერიოდის ანალოგიურ საქმიანობას ეწევა, როდესაც ინსტიტუციონალიზაცია მოხდა. ოსმალეთის იმპერიამ დაიბრუნა თავისი თავდაპირველი იდენტობა, მართვის მიდგომა. აშკარა გახდა იდეოლოგიური დისკურსი და კონცეფციები, რომლებიც პოლიტიკურ ძალაუფლებას ლეგიტიმაციას ანიჭებს. ოსმალეთის სამართლებრივი სისტემა ისლამურ კანონზე იყო დაფუძნებული. ხოლო, რაც შეეხება ათათურქის მოდერნიზაციას, ეს იგივე სეკულარული მენტალიტეტის საკითხია, რომელიც საზოგადოებას საშუალებას მისცემს, დაეწიოს თანამედროვე ცივილიზაციის მოთხოვნებს სამართალით, განათლებით, კულტურითა და ეკონომიკით.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკა, რელიგია, სახელმწიფო, სეკულარიზმი, მოდერნიზაცია, მენტალიტეტი.

Abstract. The paper is devoted to the role of religion in Turkish politics. Both during the Ottoman and Ataturk reigns, religion and politics played a role in the development of the country. Turkey's religious policy is a complex and evolving issue. Turkey is officially a secular state, and this principle is enshrined in the constitution. However, the concept of secularism in the Turkish context has been interpreted and implemented in various ways over the years. It should also be noted that today's modern historical Turkey has a strong tradition of secularism, which is mainly attributed to the founder of the modern Republic of Turkey, Mustafa Kemal Ataturk. Ataturk carried out a series of reforms in the early 20th century aimed at modernizing Turkey, and one of these reforms he carried out was the establishment of a secular system that separated religion from the state. Also in recent years, there have been debates and discussions about the role of religion in Turkish society. The current ruling party, whose name is as follows, The classical period of the Ottoman Empire is the period when institutionalization took place.

The Ottoman Empire regained its original identity, its approach to governance. The ideological discourse and concepts that legitimized political power became apparent. The Ottoman legal system was based on Islamic law. As for Ataturk, Ataturk's modernization is also a matter of a secular mentality that will allow society to catch up with the demands of modern civilization, from law to education, from culture to economics.

Keywords: politics, religion, state, secularism, modernization, mentality.

რელიგიის როლი თურქეთის პოლიტიკაში

რელიგიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ოსმალეთის იმპერიაში. ოსმალეთის იმპერია იყო სახელმწიფო, რომლის რელიგიური და პოლიტიკური სტრუქტურები ერთმანეთს გადაჯაჭვული იყო, ისლამი კი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სახელმწიფო ადმინისტრირებაში. ოსმალეთის სახელმწიფო სტრუქტურა ჩამოყალიბდა ისლამური კანონით (შარიათი) და ტრადიციული სახელმწიფო ადმინისტრირების წესებით. ამ ურთიერთობებმა ღრმა კვალი დატოვა ოსმალეთის იმპერიის სოციალურ სტრუქტურასა და სახელმწიფო ადმინისტრირებაში. რელიგია სახელმწიფო ადმინისტრირების ნაწილად იყო მიღებული და ეს გაგება საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად იქცა. მოცემულ ნაშრომში დეტალურად განვიხილავთ რელიგიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას ოსმალეთის იმპერიაში.

1. რელიგიური სტრუქტურისა და შარიათის როლი ოსმალეთის იმპერიაში

ოსმალეთის იმპერიის საფუძვლები ისლამზე იყო დაფუძნებული, ხოლო სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი საფუძველი შარიათი იყო. შარიათი, როგორც სამართლებრივი სისტემა, რომელიც მოიცავს ისლამის რელიგიურ და სოციალურ წესებს, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ორგანიზებაში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ამ წესების შესაბამისად მართავდა საზოგადოებას, ის ასევე უზრუნველყოფდა სახელმწიფოს ყოველდღიურ ფუნქციონირებას ჩვეულებითი სამართალით (ტრადიციული სახელმწიფო კანონები).

მოსამართლეები და შეიხ-ულ-ისლამი

ოსმალეთის იმპერიაში სასამართლო და რელიგიურ საკითხებში ყველაზე ავტორიტეტული პირები იყვნენ მოსამართლეები და შეიხ-ულ-ისლამი. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ სასამართლოებში მოსამართლეები შარიათის კანონებზე დაყრდნობით იღებდნენ გადაწყვეტილებებს, შეიხ ალ-ისლამი სახელმწიფოს უმაღლესი რელიგიური ორგანო იყო და რელიგიურ საკითხებზე ფატვებს გასცემდა. შეიხ-ულ-ისლამის ფატვებს მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა სახელმწიფო ადმინისტრაციაში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

სულთანი და ხალიფატი

ოსმალეთის სულთნები, როგორც პოლიტიკურ, ასევე რელიგიურ ლიდერებად ითვლებოდნენ. სულთნები პატივს სცემდნენ, როგორც მუსლიმების დამცველებს და ლიდერებს, რომლებიც ისლამის გავრცელებისთვის იბრძოდნენ. მე-16 საუკუნიდან ოსმალეთის სულთნებმაც აიღეს ხალიფატის ტიტული და დაიწყეს ისლამური სამყაროს ლიდერობის წარმომადგენლობა. ხალიფატი მნიშვნელოვან რელიგიურ სტატუსად იქცა, რამაც ისლამურ სამყაროშიოსმალეთის ლეგიტიმურობა გაზარდა.

2. ეროვნული სისტემა და რელიგიური პლურალიზმი

ოსმალეთის იმპერია მხოლოდ მუსლიმური საზოგადოება არ იყო. მის ვრცელ გეოგრაფიაში შედიოდნენ ასევე სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები. ამ სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებთან ჰარმონიულად ცხოვრებისა და სახელმწიფოს ერთიანობის შესანარჩუნებლად, ოსმალებმა შეიმუშავეს სტრუქტურა, რომელსაც „მრავალფეროვანი და ინტერნაციონალური სისტემა“ (millet sistemi) ეწოდა. მილეთის სისტემა ოსმალეთის იმპერიაში არამუსლიმურ თემებს (ქრისტიანებს, ებრაელებს) საკუთარი რელიგიური ლიდერები მართავდნენ. ამ სისტემაში თითოეულ რელიგიურ ჯგუფს შეეძლო შეენარჩუნებინა საკუთარი კანონები, შიდა ფუნქციონირება და ესარგებლა რელიგიური თავისუფლებით. ეს იყო პრაქტიკა, რომელიც ოსმალებს ეხმარებოდა მშვიდობისა და წესრიგის შენარჩუნებაში მათ უზარმაზარ ტერიტორიაზე.

საზოგადოებრივი სასამართლოები მილეთის სისტემის ფარგლებში შეიქმნა საზოგადოებრივი სასამართლოები, სადაც არამუსლიმებს საკუთარი რელიგიური კანონის მიხედვით ასამართლებდნენ. ამ სასამართლოებს რელიგიურ საკითხებზე იურისდიქცია ჰქონდათ, რაც თემებს საშუალებას აძლევდა, შიდა საქმეებში დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ.

3. შარიათი და ჩვეულებითი სამართალი ოსმალეთის იმპერიაში

ოსმალეთის სამართლებრივი სისტემა ორ პრინციპზე იყო დაფუძნებული: შარიათზე (ისლამურ სამართალზე) და ჩვეულებით სამართალზე (ტრადიციული სახელმწიფო სამართალზე). მიუხედავად იმისა, რომ შარიათი უზრუნველყოფდა რელიგიურ და სოციალურ წესრიგს, ჩვეულებითი სამართალი არეგულირებდა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ და ფინანსურ ფუნქციონირებას. ეს ორი სამართლებრივი სისტემა ერთად იქნა დანერგილი

ოსმალეთის იმპერიის მულტირელიგიურ და მულტიკონფესიურ სტრუქტურაში ბალანსის შესანარჩუნებლად.

ჩვეულებითი სამართლის როლი შარიათის გარდა, სულთნებს შეეძლოთ სახელმწიფოს საჭიროებების შესაბამისად ჩვეულებითი სამართლის რეგულაციების შემუშავება. სახელმწიფოს ფინანსური, ადმინისტრაციული და სამხედრო რეგულაციები ჩვეულებითი სამართლის ნაწილი იყო და ამ სისტემას მნიშვნელოვანი როლი ეკავა სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებაში. მაგალითად, სულეიმან I-ის პერიოდის სამართლის კოდექსები ჩვეულებითი სამართლის უმნიშვნელოვანეს ნიმუშებს შორისაა.

4. რელიგიის როლი პოლიტიკასა და ადმინისტრირებაში

ოსმალეთის იმპერიაში რელიგია არა მხოლოდ უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ წესრიგს, არამედ სახელმწიფოს პოლიტიკურ სტრუქტურასაც ქმნიდა. სულთნები ცდილობდნენ უზრუნველეყოთ ეს სტრუქტურები, რათა სახელმწიფო და საზოგადოება ისლამის შესაბამისად მართულიყო და რელიგიური ინსტიტუტები სახელმწიფოს ფუნქციონირების მნიშვნელოვან ნაწილად ქცეულიყო.

სასულიერო პირების ძალაუფლება ოსმალეთის იმპერიაში, რელიგიური ლიდერები, არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებშიც გავლენიანი იყვნენ. შეიხ ალ-ისლამები სულთნების გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციისთვის ფატვებს გასცემდნენ. ეს ფატვები განსაკუთრებით აუცილებელი იყო ომებისა და მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებებისთვის.

რელიგიური საფუძვლები (საფუძვლების სისტემა) ოსმალეთის იმპერიაში სოციალურ სფეროში რელიგიის გავლენა საფუძვლების სისტემის მეშვეობითაც იგრძნობოდა. ფონდები აფინანსებდნენ სოციალურ სერვისებს, როგორიცაა მეჩეთები, მედრესეები და საავადმყოფოები. ამ სისტემამ სახელმწიფოს საშუალება მისცა, სოციალური დახმარება რელიგიურ საფუძველზე ორგანიზებულიყო.

5. თანზიმატის პერიოდი და სეკულარიზაციის პროცესი

XIX საუკუნეში ოსმალეთის იმპერია თანზიმატის პერიოდით მოდერნიზაციისა და ვესტერნიზაციის პროცესში შევიდა. ამ პროცესმა გარკვეული ცვლილებები გამოიწვია ოსმალეთის იმპერიაში რელიგიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში და რელიგიის როლი სახელმწიფოში უფრო სეკულარულ სტრუქტურად გადაიქცა.

რეფორმების ედიქტი ანუ tanzimat fermanı (1839) თანზიმატის ედიქტით, ოსმალეთის იმპერიამ დაიწყო ყველა მოქალაქისთვის თანაბარი უფლებების მინიჭება, რელიგიის, ენისა და რასის მიუხედავად. ეს რეფორმები ოსმალეთის იმპერიაში სეკულარიზაციისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯებს შორის იყო.

რეფორმების გაუმჯობესება (ıslahat fermanı) (1856) ისლაჰათის ედიქტი, რომელიც თანზიმატის რეფორმების გაგრძელება იყო, კიდევ უფრო აფართოებდა არამუსლიმი მოქალაქეების უფლებებს და მიზნად ისახავდა რელიგიურ ჯგუფებს შორის დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

ოსმალეთის იმპერიაში რელიგიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ეფუძნებოდა სტრუქტურას, რომელშიც ისლამი სოციალური და პოლიტიკური წესრიგის ცენტრში იყო. შარიათი და ჩვეულებითი სამართალი ოსმალეთის იმპერიის გრძელვადიანი სტაბილურობის ინსტრუმენტული ფაქტორი იყო, ხოლო ისეთი პრაქტიკა, როგორიცაა მილეთის სისტემა, რელიგიური პლურალიზმის მართვის საშუალებას იძლეოდა. თუმცა, თანზიმატის პერიოდთან ერთად, ოსმალეთის იმპერიაში სეკულარიზაციისკენ ნაბიჯები გადაიდგა და რელიგიის როლმა

სახელმწიფოში დაკნინება დაიწყო. ოსმალეთის იმპერიის ამ რთულ და მრავალმხრივ სტრუქტურას ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს, როგორც მოდელს, რომლის მიხედვითაც რელიგიური და სახელმწიფოებრივი ურთიერთობები დაბალანსებული წესით იმართებოდა.

ათათურქი

თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის დაარსებისას, ათათურქმა განახორციელა ფუნდამენტური რევოლუცია, რაც მიზნად ისახავდა ცივილიზებული ერების დონის მიღწევას. ამისთვის, თურქი ერის წინაშე ლიდერობის აღებით, ერის წინაშე არსებული დაბრკოლებების ერთმანეთის მიყოლებით გადალახვით, მან დიდი ძალისხმევა გასწია მისი თანამედროვე ღირებულებებით ჩასანაცვლებლად. ახალ თურქეთს არაფერი ჰქონდა საერთო ძველი ოსმალეთის ადმინისტრაციასთან და იმდროინდელი ადმინისტრაციის მიერ შექმნილ სისტემასთან. თურქეთის რესპუბლიკა ეროვნულ საფუძველზე შეიქმნა. სახალიფოს ადმინისტრაციის დაშლის შემდეგ, ჩამოყალიბდა ადმინისტრაციის თანამედროვე ფორმა, იგივე რესპუბლიკა. დაიწყო ქვეყნის აღორძინება ეტატიზმის გამოყენებით, რაც მიზნად ისახავდა ქვეყნის სწრაფ განვითარებას მოკლე დროში. რევოლუციონიზმით, სოციალურ სტრუქტურაში არსებული ბარიერები განადგურდა და ახალი ინსტიტუტებითა და კონცეფციებით შეიცვალა. ამ პრინციპების გარდა, გამოვლინდა თურქი ხალხი ერთიანობა და სოლიდარობა. სხვადასხვა რელიგიური და სექტანტური ჯგუფები, კანონის წინაშე გათანასწორდნენ და სახელმწიფოს მართვა სეკულარიზმის პრინციპითა და რელიგიური წესების შესაბამისად დაიწყეს. საზოგადოებამ ცხოვრების ორგანიზება გონებისა და მეცნიერების მონაცემების მიხედვით გააგრძელა, ერი თავის არამიწიერ და ფატალისტურ ცხოვრების წესს ჩამოშორდა. ასე გარდაიქმნა ის ცივილიზებულ საზოგადოებად, რასაც განათლება და მეცნიერება ხელმძღვანელობდა.

როგორც ბევრი მკვლევარი აღიარებს, სეკულარიზმი არის „ინტეგრალური ეროვნული საზოგადოება“, რაც ასევე მისი მიღწევის ინსტრუმენტადაც შეიძლება ჩაითვალოს. ვინაიდან ეროვნულ საზოგადოებას შეუძლია შეინარჩუნოს თავისი შინაგანი მთლიანობა, დამოუკიდებლობა, მოიცვას უდიდესი მასშტაბები, ესე იგი, ადამიანი იმდროინდელი აზროვნების დონეს აღწევს. ადამიანს, რომელსაც არ შეეძლო საკუთარი პიროვნების განსაზღვრა, საზოგადოების დამოუკიდებლობას როგორ შეეგუებოდა ან ცხოვრების რიტმს ფეხს როგორ აუწყობდა. ათათურქის ეპოქაში ამ შემოქმედების მიღწევის ერთადერთი საშუალება რაციონალური აზროვნება იყო. დღესაც იგივეა. რელიგია, საზოგადოება და საგანმანათლებლო სისტემა, რომლებზეც გავლენა არ მოუხდენია სეკულარიზმს, შუა საუკუნეების რაციონალიზმის ბატონობისგან თავის დაღწევის ერთადერთ გზად დარჩა. რელიგია ადამიანის სინდისში დარჩა. მისთვის სეკულარიზმი განსაზღვრავს ნაციონალიზმის პრინციპს ეროვნული ერთიანობისკენ მიმავალ გზაზე. „ნაციონალიზმი და სეკულარიზმი ათათურქის რევოლუციების გაგების საფუძველია“.

სეკულარიზმი თურქეთში ისეთი პრინციპები, როგორიცაა რესპუბლიკანიზმი, ნაციონალიზმი, პოპულიზმი და ეტატიზმი, ქვეყნის ისტორიული პირობებისა და სოციალური პირობების შესაბამისად ჩამოყალიბდა. ათათურქმა შექმნა საერო სახელმწიფო, მიიღო საერო სამართალი და აღიარა საერო განათლება. საბოლოო ჯამში, ერს არ დააზარალებს სეკულარიზმი, რელიგია და ამაღლებული რელიგიური გრძნობები. პირიქით, ყველა ხედავს, რომ სეკულარიზმი რწმენისა და თაყვანისცემის ცნებებს ადიდებს.

ზოგი ძალები პრინციპებზე დაფუძნებული შარიათის სახელმწიფოსკენ ისწრაფვიან. სეკულარიზმის პრინციპის წინააღმდეგობის გაწევის მცდელობისას, ისინი იმედოვნებენ, რომ

რეაქციული იდეების გაგრძელებით სარგებელს მიიღებენ. ესაა სეკულარიზმის კონცეფციაზე შეტევა. შესაძლებლობის შემთხვევაში, მათ სურთ ხალხი უმეცრად დარჩეს, ხალიფატი აღდგეს, ქალები სოციალური ცხოვრებიდან გაირიყონ, ბურკით, ჰიჯაბითა და ჩადრით დაფარული იყვნენ და გალიებში გამოიკეტონ. სამწუხაროდ, თუნდაც უმცირესობაში იყოს, ამ დამახინჯებულ იდეებს მხარს უჭერენ ისინი, ვინც ცრურწმენასა და სისულელეს აფასებს. ხედავს, თანამედროვე პერსპექტივიდან გამომდინარე, ამ ცრურწმენებს და მცდარ წარმოდგენებს საზოგადოებაში ადგილი არ აქვს. აუცილებელია რელიგიის არსთან, ჭეშმარიტ რწმენასთან დაბრუნება. ეს უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მომავლის გზა არსებობდეს. თუ ეს არ გაკეთდება, შეუძლებელია გონების ჭეშმარიტების შუქით ავსება. ათათურქს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწორედ ეს პრობლემები - ცრურწმენა, გონებადახშულობა და გულუბრყვილობა აწუხებდა.

ამ პრობლემების აღმოფხვრა მეცნიერების კაშკაშა შუქის სატანით სავსე გონებაში მიმართვას ისახავდა მიზნად. სწორედ ამიტომ თქვა ათათურქმა: „ისინი, ვისაც სეკულარიზმის ურწმუნოებასთან აღრევა სურს, პროგრესის მტრები არიან, ისინი აღმოსავლელი ტომები არიან, რომელთაც თვალთაგან ფარდა არ მოუხსნიათ“. ეს არ შეიძლება იყოს ვინმე, გარდა ფანატიკოსებისა. სასულიერო პირებსა და რბილი ხასიათის წარმომადგენლებს არ უნდა მიეცეთ რელიგიურ შუამავლობაში ჩართვის უფლება. რადგან ისინი, ვინც რელიგიიდან მატერიალურ და პოლიტიკურ სარგებელს იღებენ, „ამაზრზენი (საზიზღარი) ხალხია“. როგორც ათათურქის ამ სიტყვებიდან ჩანს, ისინი, ვინც რელიგიურად შენიღბულები არიან და ცრუ ღვთისმოსაობას მისდევენ, აუცილებელია წინ აღვუდგეთ და ხელი შევუშალოთ მათ ერის დადანაშაულებაში. ათათურქის მიერ სეკულარიზმის გაგების განხილვამდე, მისი კონცეფცია რელიგიაზე იყო დაფუძნებული. აქვე აღსანიშნავია ისიც, თუ რას ფიქრობდა იგი ისლამის რელიგიაზე: ათათურქი იცავდა იმ შეხედულებას, რომ რელიგია ღმერთსა და მის მსახურს შორის კავშირია და ხსნიდა, რომ რელიგია აუცილებელი ინსტიტუტია და რომ რელიგიის გარეშე ერებისთვის შეუძლებელია არსებობა. ასევე, რელიგია სინდისის საკითხია. ყველას შეუძლია დაემორჩილოს საკუთარი სინდისის კარნახს. ჩვენ პატივს ვცემთ რელიგიას. ჩვენ არ ვართ ფიქრისა და ჭვრეტის წინააღმდეგი. ჩვენ უბრალოდ ვცდილობთ, რელიგიური საქმეები ეროვნულ და სახელმწიფოებრივ საქმეებში არ ავურიოთ. ჩვენ ვერიდებით განზრახვასა და მოქმედებაზე დაფუძნებულ ფანატიკურ ქმედებებს. რეაქციონერებს ჩვენ საწინააღმდეგოდ არასდროს მივცემთ შანსს“ ათათურქმა ასევე ორი ფრაზით გამოხატა რელიგიის კონცეფციის მნიშვნელობა, სადაც ის განმარტავს: „ჩვენს ერს ორი სათნოება აქვს - რელიგია და ენა. და ჩვენ არასდროს უგულებელვყოფთ ამ სათნოებებს“. „ვერცერთმა ძალამ ვერასდროს შეძლო მისი ჩვენი ერის გულიდან და სინდისიდან წართმევა და ვერც შეძლებს ამის გაკეთებას“ ნიშნავს მათი სამუშაო ადგილების ერთმანეთისგან გამიჯვნას. ათათურქის ნააზრევში სეკულარიზმს უფრო ფართო, ყოვლისმომცველი და უნიკალური მნიშვნელობა აქვს. თურქეთის რესპუბლიკა ამ ფილოსოფიის საფუძველზე შეიქმნა.

სეკულარიზმის ფუნქციის გარდა, რომელიც ინდივიდებისთვის სინდისისა და თაყვანისცემის თავისუფლების უზრუნველყოფას გულისხმობს, მას ასევე აქვს რელიგიური საქმიანობის რწმენითა და თაყვანისცემით შეზღუდვის ფუნქცია. ათათურქის აზრით, რადგან რელიგია სინდისის საკითხია, ყველას შეუძლია დაემორჩილოს საკუთარი სინდისის კარნახს. არავის შეუძლია ვინმეს დასჯა რაიმე რელიგიის გამო. არც სექტის მიღების იძულება შეუძლია. თანამედროვე თურქეთში შემოღებულ იქნა წესი, რომლის მიხედვითაც რელიგიები და სექტები არასდროს არ შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკის ინსტრუმენტებად. რადგან ყველაზე მეტად წმინდა რელიგიური გრძნობები ზარალდება. ადამიანები, რომლებიც ამ შეცდომას

უშვებენ, რელიგიური განსჯით, ტანჯვისთვის განწირული არიან. ისტორიული ფაქტებით დამტკიცებულია, რომ ისინი ზიანს აყენებენ იმ რელიგიას, რომელშიც იმყოფებიან. სეკულარიზმის პრინციპს, ყველა ამ საჯარო მოვალეობასთან ერთად, აქვს მნიშვნელობა, რომ უზრუნველყოს ათათურქის ნაციონალიზმი და რესპუბლიკანიზმი თურქეთში. სეკულარიზმისა და სუვერენიტეტის პრინციპის წყარო ერია, მიღებულია, ეროვნული სული და ენთუზიაზმის გაიღვიძება. მოკლედ, თურქულობის განცდისა და ეროვნული სუვერენიტეტის მმართველობის მიღწევა მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი. ათათურქმა ერთხელ თქვა: „იცოდეთ, ბატონებო და ჩემო ერო! თურქეთის რესპუბლიკა არ შეიძლება იყოს შეიხების, დერვიშების, მოწაფეებისა და მიმდევრების ქვეყანა. ასევე, მან დასძინა, რომ: „ყველაზე ჭეშმარიტი სექტა ცივილიზაციის სექტაა“. სეკულარიზაციის პროცესი ათათურქის ხელმძღვანელობით „რევოლუციით“ განხორციელდა, რომლის პირველი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო TBMM-ის შეხვედრა იყო.

რადიკალური ცვლილებები და ინოვაციები მხოლოდ სეკულარიზმის პრინციპის მიღებით იყო შესაძლებელი. სწორედ ამიტომ თქვა ათათურქმა, რომ ყველაზე ჭეშმარიტი წესრიგი ცივილიზაციის წესრიგია. ასევე, უნდა ვიცოდეთ, რომ ათათურქმა თურქეთის რესპუბლიკა თურქ ახალგაზრდობას ანდო. თურქი ახალგაზრდობის ეს მემკვიდრეობა სამუდამოდ იცოცხლებს. ეჭვი არასდროს ეპარება, რომ ეს ახდება. ამიტომ, თურქი ახალგაზრდობა, მის მიერ აღებული ამოცანა ამ მოვალეობის სრულად და უნაკლოდ შესასრულებლად მზადაა. ერთი სიტყვით, ადამიანმა სრულად უნდა გაიგოს, მიიღოს, იცხოვროს და პრაქტიკაში გამოიყენოს სეკულარიზმის კონცეფცია. ყველა თურქი მოქალაქე ხედავს და იცის, რომ მომავალი ახალგაზრდა თაობები ამას აცნობიერებენ. ყველა კრიზისულ გარემოში, ათათურქის დიდი სიტყვის დასასრულს, მისი „ახალგაზრდობისადმი მიმართვის“ წაკითხვით, ყველა ნეგატივის მიუხედავად, შეუძლებელია არ გესმას ახალგაზრდის მტკიცე და ერთგული ხმა.

ათათურქის რელიგიის გაგება მოიცავს ერესის, ცრურწმენების და რელიგიის პოლიტიკური და პირადი სარგებლის ინსტრუმენტად გამოყენების წინააღმდეგობის გაწევას. მას სურდა, რომ თურქ ხალხს შეესწავლა და ეცხოვრა მათი რელიგიის ჭეშმარიტი წარმოშობის მიხედვით. სწორედ ამ მიზეზით, მას სურდა ხალხს რელიგიური განათლება სწორად და ადეკვატურად მიეღო და ამის მიღწევის ერთადერთ გზად სკოლებში განათლების მიწოდებას ხედავდა. სინამდვილეში, სწორედ ამ მიზეზით, დაწყებით სკოლებში ისწავლებოდა სახელმძღვანელო სახელწოდებით „რელიგიური გაკვეთილები რესპუბლიკის ბავშვისთვის“. მას სურდა რელიგიისა და სინდისის თავისუფლების უზრუნველყოფა სეკულარიზმის გზით. ამის საფუძველზე გაუქმდა ხალიფატის, მედრესეების, დერვიშების ლოჟებისა და მონასტრების, მკითხაობისა და ჯადოქრობის ცნებები. ათათურქს სურდა რელიგიის ექსპლუატაციის თავიდან აცილება. ის არასდროს უშვებდა, რომ პოლიტიკა რელიგიის აღქმით ყოფილიყო დაკავშირებული და სურდა, რომ ეს სიტუაცია სახელმწიფო პოლიტიკის სახით გაგრძელებულიყო. ათათურქმა უდიდესი სამსახური გაუწია ისლამურ რელიგიასა და ისლამურ სამყაროს, როდესაც ის სხვა ისლამურ ქვეყნებს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ხელმძღვანელობდა. ათათურქი უმეცრების, ერესების, ცრურწმენებისა და რელიგიური ექსპლუატატორების წინააღმდეგ იბრძოდა. ზოგიერთმა წრემ სცადა ამ სიტუაციის რელიგიის მიმართ მტრულად განწყობა. სინამდვილეში, ათათურქი, წმინდა მუჰამმედ შუამავლის დროინდელ ჭეშმარიტ ისლამს იცავდა. რესპუბლიკის დაარსებასთან ერთად დაარსდა რელიგიური საკითხთა სახელმწიფო სააგენტო და დაიწერა წმინდა ყურანისა და ჰადისების წიგნების პირველი თურქული თარგმანი და კომენტარი. ელმალილი ჰამდი იაზირის კომენტარი და თარგმანი, ასევე ბუხარის ჰადისები მთელ თურქეთში უფასოდ გავრცელდა. იმისთვის, რომ მუსლიმ თურქ ხალხს გაეგო და ეხელმძღვანელა საკუთარი

რელიგიისთვის, მეჩეთებში იკითხებოდა თურქული ყურანი, თურქული ქადაგება და თურქული მოწოდება ლოცვისკენ. ეს კვლევები მნიშვნელოვანი და ეფექტური ნაბიჯები იყო რელიგიის სწორად შესწავლისა და გაგებისთვის მისი პირველადი წყაროებიდან. ამ ნაბიჯებმა დიდი წვლილი შეიტანა თურქი ერის მიერ რელიგიის ჭეშმარიტი წყაროებით შესწავლაში. მუსტაფა ქემალ ათათურქი ერთადერთი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელმაც ყურანის საუკეთესო ინტერპრეტაცია თურქულ ენაზე მოამზადებინა და თავის ერს მეჩეთში ამბიონზე ასვლით მიმართა. ათათურქის თქმით, რელიგია ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა, რომელიც თურქ ერს ფეხზე აყენებს და საზოგადოებამ ის სწორად უნდა გაიგოს და განახორციელოს. ათათურქი იყო ლიდერი, რომელმაც ამისთვის დიდი ძალისხმევა გასწია. თურქეთის პოლიტიკურ კულტურაში რელიგიას ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. თუ რა როლი ითამაშა ნაციონალურ ეროვნულ მოძრაობასა და იდენტობის ჩამოყალიბებაში რესპუბლიკამდელ პერიოდში, რელიგია იყო ცენტრის მნიშვნელოვანი მოთამაშე. რესპუბლიკის დაარსებით თურქეთის სახელმწიფო ოფიციალურად გაფორმდა, როგორც სეკულარიზმის მიმდევარი. გაუქმდა ხალიფატის ინსტიტუტი და გატარდა სხვადასხვა სახის რელიგიური რეფორმები. მრავალპარტიულ პოლიტიკურ ცხოვრებაზე გადასვლასთან ერთად, 1950-იანი წლების შემდეგ, ადგილი დაეთმო რელიგიურ სენსიტიურობას.

დასკვნა

თურქეთის პოლიტიკურ კულტურაში რელიგიის როლის ყოვლისმომცველი ანალიზის გასაკეთებლად, უდავოდ აუცილებელია იმის შესწავლა, თუ როგორ იყო პოზიციონირებული რელიგია საზოგადოებაში რესპუბლიკური პერიოდის განმავლობაში, ამ პოზიციის გავლენა მოქალაქეებზე, რელიგიის პოზიცია პოლიტიკური სფერო და სახელმწიფოს შეხედულება რელიგიისა და საზოგადოებისადმი სეკულარიზმის პრაქტიკის ფარგლებში. როდესაც განიხილება რელიგიის აღქმა ერთპარტიულ პერიოდში, მისი გაჩენა პოლიტიკურ დისკურსად და ეროვნული ხედვის მოძრაობის განვითარება რელიგიაზე დაფუძნებული, ჩანს, რომ პოლიტიკური ისლამური მოძრაობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას მოდერნიზაციისთვის. პირიქით, მას აქვს მოდერნიზებული პოზიცია (ინდუსტრიალიზაცია და კეთილდღეობის გადანაწილება მთელ საზოგადოებაზე) და დომინირებს სოციალურ ცხოვრებაში. სეკულარიზმისგან განსხვავებით, რომელიც არის ცენტრის ღირებულებებისა და რწმენის ასახვა, რელიგია, რომელიც პერიფერიაში მყოფთა დისკურსია, ადრეული პერიოდის სეკულარული პრაქტიკის შედეგად დაშორდა პოლიტიკურ ასპარეზს. თუმცა, სანამ რელიგია აგრძელებს არსებობას რელიგიის საკითხთა თავმჯდომარეობის, სახელმწიფო ოფიციალური ინსტიტუტის კონტროლის ქვეშ მყოფი არტერიის გავლით, მან შეინარჩუნა თავისი სიცოცხლისუნარიანობა ოფიციალურ-პოლიტიკური სფეროს გარეთ ისეთი სტრუქტურებით, როგორიცაა ნაკშიბანდის ტარიკატი და ნურის საზოგადოება. მრავალპარტიულ პოლიტიკურ ცხოვრებაზე გადასვლასთან ერთად შეიმჩნევა საგრძნობლად დარბილება სეკულარულ პრაქტიკაში და რელიგიური მგრძნობელობა და მოთხოვნები ნაწილობრივ იყო წარმოდგენილი პოლიტიკურ ასპარეზზე დემოკრატიული პარტიისა და სამართლიანობის პარტიაში. ეროვნული წესრიგის პარტიის დაარსებით, რელიგიაზე დაფუძნებული პოლიტიკა პირდაპირ გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობის პოლიტიკური პარტიები, რომელთა ჩარჩო შედგენილი იყო ეროვნული ხედვის იდეოლოგიით, დაიხურა საკონსტიტუციო სასამართლოსა და სამხედრო გადატრიალების შედეგად, ისინი კვლავ აქტიურობენ თურქეთის პოლიტიკაში თავიანთ მემკვიდრე პარტიებთან ერთად.

ოსმალეთის იმპერიის ოფიციალური რელიგია დაარსების დღიდან იყო სუნიტური ისლამი. იგი ჩამოყალიბდა კონცეფციის ფარგლებში. ამას ბევრი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მიზეზი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ფაქტორები, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია დასაწყისიდან ოსმალეთამდე სუნიტური ისლამი ზოგადად თურქეთის სახელმწიფოების ოფიციალურ ფორმას წარმოადგენდა. მათი მიღება სახელმწიფო იდეოლოგიად. ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად ოსმალეთის სულთნები და მეცნიერები ინარჩუნებდნენ სუნიზმს. ამ მიზნით ისინი ცდილობდნენ დაეცვათ და გაეძლიერებინათ მოძრაობა აჰლ-ალ-სუნას სხვა მოძრაობებისგან. ისინი იბრძოდნენ პოლიტიკურ და სამეცნიერო დონეზე. ეს მდგომარეობა კიდევ უფრო აძლიერებს სუნიზმს. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სახელმწიფო დოქტრინის გაძლიერებისა და წინა პლანზე წამოწევის საქმეში. ოსმალეთის იმპერია და ანატოლიის მუსლიმი ხალხის უმრავლესობა რწმენით მიჰყვება ეშარიზმს. ეშარიზმი იყო დომინანტურ მდგომარეობაში, ხოლო მატურიდიზმი უკანა პლანზე დარჩა. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით აშკარა გახდა მედრესეებში, სადაც საგანმანათლებლო პროგრამებში მატურიდის სახელმძღვანელოები იყო ჩართული. განსაკუთრებით მე- 16 საუკუნეში, ის ეკუთვნის ფაჰრედინ ერ-რაზის და ჯელალუდდინ ედ დევვანის (დ.

908/1502), რომლებიც აშარიტულ ტრადიციას მიეკუთვნებოდნენ და ბირგვივის (დ. 981/1573), რომელიც იყო ჰანაფი-მატურიდი. ეს სკოლა წარმოდგენილია სამი სასულიერო სასწავლებლით. მაგრამ ამ სკოლებს შორის რაზის თეოლოგიის სკოლა, რომელიც ფოკუსირებულია რაციონალურ და ფილოსოფიურ მეცნიერებებზე, დევვანისა და ბირგვის თეოლოგიის სკოლაზე ამ პერიოდში, ისევე როგორც წარსულში, სკოლებთან შედარებით, ოსმალური იდეოლოგიის მეცნიერებამ თავისი ნიშანი დატოვა. რადგან ამ პერიოდში ოსმალეთის ცენტრალურმა ადმინისტრაციამ შეამცირა რელიგიური ბიუროკრატია. სკოლის დაარსებისას ის ყოველთვის უპირატესობას ანიჭებდა რაზის სკოლას სახელმწიფოს პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანი თანამდებობების მქონე ულემები (სწავლულები, მეცნიერები) ძირითადად ამ სკოლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ოსმალეთის რაზის სკოლაში ისეთი მეცნიერები მოღვაწეობდნენ, როგორიც იყვნენ მოლა ფენარი, იბნ ქემალი, ჰიზირ ბეი და ებუსუუდ ეფენდი. ოსმალეთის მეცნიერებასა და აზროვნებას ერთმანეთს არა, მაგრამ, ბირგივის სკოლას დევვანის სკოლას ადარებდნენ.

ეს სკოლა საკმაოდ ეფექტური იყო. ფაქტობრივად, ბირგვივის et-Tarîkatü'l- Muhammediyye ნაწარმოები არაერთხელ ითარგმნა თურქულ ენაზე და დაიწერა კომენტარი, ანოტაცია, (თალიქი, ტაკმილე). დამზადდა ამ ტიპის მრავალი ნამუშევარი, ისევე როგორც ეს ნამუშევარი, როგორიცაა Vasiyetnâme მისი დროიდან მოყოლებული ოსმალეთის სამეცნიერო სამყაროში დიდი მოწონება დაიმსახურა. იგი გვიჩვენებს ბირგივის მნიშვნელობასა და გავლენას ოსმალურ კულტურაში. როგორც Birgivi-ს მაგალითზე ჩანს, ესაა ჰანაფი-მატურიდიელი მეცნიერის შეხედულება ოსმალეთის შესახებ. მან გააკრიტიკა რელიგიის სუნიტური გაგება, რომელიც მან მიიღო ზოგიერთ საკითხზე და ასევე გააკრიტიკა სუნიტური ინტერპრეტაცია. ის შეიძლება შეიცვალოს დროისა და ადგილის მიხედვით ან სუნიტური გაგება შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში. აჩვენებს, რომ მისი ინტერპრეტაცია შესაძლებელია სხვადასხვა გზით. ამ მხრივ შიძლება ითქვას რომ ყოველი ის არ იქნება სწორი კრიტიკა აჰლ ალ-სუნას მიმართ მტრულად შეფასდეს. ესაა ნათელი მაგალითი იმისა, რომ განსხვავებულ აზრს პატივი უნდა ვცეთ და მტრად არ უნდა მივიჩნიოთ, ანგარიში უნდა გავუწიოთ სხვის შეხედულებასაც, რათა უფრო ტოლერანტული ვიყოთ.

ბიბლიოგრაფია

1. Thomas thornot – bir ingliz izlenimiyle osmanlıda siyaset, toplum, din, yönetim (1793-1807) tarih vakfı yurt yayınları. 06.01.2015.
2. Hüseyin fidan, murat gülgör sağduyu. Osmanlı'da siyaset 12-06-2018.
3. Paul wittek, hilmi haseki. Osmanlı imperatorluğu'nun kuruluşu, dorlion yayınları. 24-05-2022
4. marinos sariyannis, E.ekin tuşalp atiyas- Osmanlı siyasal düşünce tarihi- selenge yayınları – 19-03-2025.
5. Davut dursun. Yönetim-din ilişkileri açısından osmanlı devletında siyaset ve din. şehir yayınları-06-09-2000.
6. Mustafa kemal atatürk. NUTUK. Can yayınları-26.10.2023.
7. Mustafa kemal atatürk. Türkiye'nin geleceği -can yayınları. 25.06.2024.
8. Sinan meydan. Atatürk modernizm ve din.inkilap kitabevi- 12-04-2021.
9. Sedat şenermen. Atatürk, islam ve laiklik cumhuriyet dönemi din öğretimi ve eğitimi. Elmadağı-15-04-2015.
10. Cevat şenol. Atatürk ve siyaset. Yılmaz basım. 21-06-2011.

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა და ხელოვნური ინტელექტი: ახალი ტექნოლოგიების როლი მმართველობის მოდელებში

State Territorial Organization and Artificial Intelligence: The Role of New Technologies in Governance Models

აქსანა გუჩუა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
Aksana Guchua
Caucasus International University
Doctoral

აბსტრაქტი: 21-ე საუკუნეში ხელოვნური ინტელექტი (AI) და ახალი ტექნოლოგიები ფუნდამენტურად ცვლიან სახელმწიფოების ტერიტორიულ მოწყობასა და მმართველობის მოდელებს. ტრადიციული ბიუროკრატიული მმართველობის სისტემები სულ უფრო მეტად ინტეგრირდება ჭკვიან მმართველობით მოდელებთან, რომლებიც მონაცემებზე დაფუძნებულ ანალიზს, ალგორითმულ ოპტიმიზაციასა და პროგნოზირებად გადაწყვეტილებებს იყენებენ. ამ ცვლილებებს შესაძლოა რადიკალური გავლენა ჰქონდეს როგორც ცენტრალიზებულ, ისე ფედერაციულ სახელმწიფოებზე, აჩენდეს ახალ გამოწვევებს და შესაძლებლობებს ტერიტორიული მართვის კონტექსტში.

ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შესაძლებელია მმართველობის უფრო მოქნილი, რეაგირებისუნარიანი და ეფექტური სისტემების ჩამოყალიბება, რაც სახელმწიფოებს შესაძლებლობას აძლევს ოპტიმალურად განკარგონ რესურსები, დაიხვეწონ ურბანული დაგეგმარება და დაინერგოს ციფრული დემოკრატიის ელემენტები. ამასთან, ტექნოლოგიების გავრცელებამ შეიძლება გააძლიეროს დეცენტრალიზაციის ტენდენციები, რაც გამოწვევას უქმნის ტრადიციულ ტერიტორიულ სტრუქტურებს.

სტატია განიხილავს, თუ როგორ შეუძლია ხელოვნურ ინტელექტს ტრანსფორმირება მოახდინოს სახელმწიფოების ტერიტორიულ მოწყობაზე, როგორ ეხმარება იგი მმართველობის მოდელებს ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაზრდაში და რა პოტენციური საფრთხეები ახლავს მას გეოპოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა, ხელოვნური ინტელექტი, მმართველობის მოდელები, ცენტრალიზაცია, დეცენტრალიზაცია, ჭკვიანი მმართველობა, მონაცემთა ანალიზი, ურბანული დაგეგმარება, ციფრული დემოკრატია, გეოპოლიტიკური რისკები.

Abstract: In the 21st century, artificial intelligence (AI) and new technologies are fundamentally transforming the territorial organization of states and governance models. Traditional bureaucratic management systems are increasingly integrating with smart governance models that utilize data-driven analysis, algorithmic optimization, and predictive decision-making. These changes may have a radical impact on both centralized and federal states, presenting new challenges and opportunities in the context of territorial management.

With the help of artificial intelligence, it is possible to establish more flexible, responsive, and efficient governance systems, enabling states to optimize resource management, improve urban planning, and introduce elements of digital democracy. At the same time, the widespread adoption of technology may strengthen decentralization trends, posing challenges to traditional territorial structures.

This article examines how artificial intelligence can transform the territorial organization of states, how it contributes to increasing the efficiency and transparency of governance models, and what potential risks it poses in geopolitical and social contexts.

Keywords: state territorial organization, artificial intelligence, governance models, centralization, decentralization, smart governance, data analysis, urban planning, digital democracy, geopolitical risks.

შესავალი

ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარება, სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფოების მმართველობითი სისტემების სივრცობრივ ორგანიზაციას. ამ პროცესმა საფრთხის წინაშე დააყენა ტრადიციული ტერიტორიული მოწყობის პრინციპები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში განსაზღვრავდა ადმინისტრაციულ საზღვრებსა და კომპეტენციათა განაწილებას. თანამედროვე პირობებში, როდესაც სახელმწიფოების მმართველობითი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად ეყრდნობა მონაცემთა ანალიზს, ციფრულ ინფრასტრუქტურასა და პროგნოზირების ალგორითმებს, ტერიტორიული მოწყობის კლასიკური მოდელები აღარ პასუხობენ ადმინისტრირებისა და დემოკრატიული მონაწილეობის ახალ მოთხოვნებს.

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა ისტორიულად იქმნებოდა გეოგრაფიული, ეთნიკური და ეკონომიკური ფაქტორების თანხვედრის საფუძველზე. ასეთ სისტემაში ცენტრალიზებული და ფედერაციული მოდელები მიზნად ისახავდა ეფექტიან ადმინისტრირებას, რესურსების რაციონალურ განაწილებასა და სამართლიანი წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფას. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციამ მმართველობით პროცესებში, ამ მოდელების ფუნქციური ლოგიკა შეარყია. ციფრული მმართველობის პირობებში აქტუალური ხდება კითხვა რამდენად არის ჯერ კიდევ აუცილებელი გეოგრაფიულად დაფუძნებული ტერიტორიული სტრუქტურები, როდესაც მონაცემზე დაფუძნებული სისტემები საშუალებას იძლევა მართვის მექანიზმების ფართო ავტომატიზაცია და ოპტიმიზაცია.

მნიშვნელოვანი მაგალითია ურბანული მენეჯმენტი. თანამედროვე ქალაქებში ხელოვნური ინტელექტის დახმარებით ხორციელდება სატრანსპორტო ნაკადების მართვა, ენერგორესურსების გადანაწილება, გარემოს დაცვითი მონიტორინგი და მოქალაქეებთან კომუნიკაციის პლატფორმების ოპტიმიზაცია. ასეთ პირობებში ადგილობრივ თვითმმართველობებს ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ მაღალი სიზუსტით გაანალიზებული მონაცემები და მოახდინონ რეაგირება პრობლემებზე დამოუკიდებლად ცენტრალური

მთავრობისგან.[51] აღნიშნული პრაქტიკა რეალურად ქმნის დეცენტრალიზაციის ახალი ფორმების საფუძველს ტექნოლოგიურ-ფუნქციური თვითმმართველობის მოდელს, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ სამართლებრივ ნორმებს, არამედ ტექნოლოგიური კომპეტენციის შესაძლებლობებს.

თუმცა, AI-ის მმართველობით სისტემებში ინტეგრაციას თან ახლავს სერიოზული სისტემური და ეთიკური გამოწვევები. უპირველეს ყოვლისა, არსებობს რისკი, რომ ავტომატიზებულად მიღებული გადაწყვეტილებები ვერ უზრუნველყონ საკმარისი დემოკრატიული ლეგიტიმაცია, ხოლო ალგორითმების გაუმჭვირვალობა გააღრმავოს მოქალაქეთა უნდობლობა მმართველობის სისტემებისადმი.[52] მონაცემებზე დაფუძნებული მმართველობა ხშირ შემთხვევაში მოითხოვს პერსონალურ ინფორმაციაზე წვდომას, რაც აყენებს კითხვას პირადი მონაცემების დაცვის სტანდარტებზე და მმართველობითი სისტემის პასუხისმგებლობაზე.

გარდა შიდა მმართველობითი გამოწვევებისა, ხელოვნური ინტელექტი ცვლის გეოპოლიტიკური ძალების გადანაწილებასაც. სახელმწიფოებს, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და რომლებიც დამოკიდებულნი არიან უცხოურ ციფრულ სისტემებზე, უწევთ მნიშვნელოვან კომპრომისებზე წასვლა ტექნოლოგიური უსაფრთხოების კუთხით.[53] ასეთ პირობებში სახელმწიფო სუვერენიტეტის განახლებული დეფინიცია ითხოვს არა მხოლოდ ტერიტორიის კონტროლს, არამედ ციფრულ სივრცეზე ეფექტური მმართველობის უნარსაც.

ამ ფონზე, აქტუალური ხდება დისკუსია სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის რეფორმირების შესახებ, რომელიც არ უნდა განისაზღვროს მხოლოდ კონსტიტუციური ან ადმინისტრაციული პრინციპებით, არამედ უნდა აისახოს იმ ფუნქციურ მოთხოვნებზე, რასაც ტექნოლოგიური ეპოქა ქმნის. სახელმწიფო, რომელიც ეფექტურად მართავს მონაცემებს, ოპტიმიზაციას უკეთებს საჯარო სერვისებს და ავითარებს ციფრულ მონაწილეობას, შესაძლოა ფუნქციურად მეტად წარმატებული აღმოჩნდეს, ვიდრე ის, ვინც მხოლოდ ტრადიციული ტერიტორიული სტრუქტურების ლოგიკას მიჰყვება.

საქართველოს მაგალითი ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა. ქვეყანა ჯერ კიდევ მკაფიოდ ცენტრალიზებული მმართველობითი სისტემის მქონეა, თუმცა თანდათან ციფრული სერვისების განვითარება აჩენს შესაძლებლობას ფუნქციური დეცენტრალიზაციისათვის. ადგილობრივი თვითმმართველობები იღებენ ტექნოლოგიურ რესურსებს, თუმცა მათი ინსტიტუციური უნარიანობა ჯერ კიდევ შეზღუდულია. ეს ქმნის საინტერესოს კვლევის სივრცეს, როგორ შეიძლება ტექნოლოგიებმა და კერძოდ, AI-მა, ხელი შეუწყოს საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სტრუქტურის მოდერნიზაციას ისე, რომ ერთდროულად გაძლიერდეს როგორც ადგილობრივი ავტონომია, ისე შეინარჩუნოს ეფექტიანი ცენტრალური კონტროლი.

ზემოხსენებულის საფუძველზე, კვლევა ისახავს მიზნად გააანალიზოს ხელოვნური ინტელექტის გავლენა სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობაზე როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ჭრილში. ცენტრალური კვლევითი კითხვებია:
– როგორ ცვლის AI ტრადიციულ მოდელებს სახელმწიფოს სივრცობრივი ორგანიზების თვალსაზრისით?

---

[51] Ratti, C., & Claudel, M. (2016). *The city of tomorrow: Sensors, networks, hackers, and the future of urban life* . New Haven: Yale University Press 101–135.

[52] Dignum, V. (2019). *Responsible artificial intelligence: How to develop and use AI in a responsible way* . Cham: Springer,63–66.

[53] Susskind, J. (2020). *Future politics: Living together in a world transformed by tech*,Oxford University Press.110–114.

– არის თუ არა ტექნოლოგიური დეცენტრალიზაცია კომპლემენტარული იურიდიულთან?
– როგორ უნდა მოემზადოს საქართველო ამ ცვალებად რეალობაში, როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციური თვალსაზრისით?

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის თეორიული და ისტორიული ტრანსფორმაცია ტექნოლოგიურ ეპოქამდე

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა, როგორც სივრცობრივი და იურიდიული სისტემის ერთიანი კომპონენტი, ათწლეულების განმავლობაში განისაზღვრებოდა როგორც პოლიტიკურ-იურიდიული, ისე კულტურული და ეკონომიკური კრიტერიუმების თანხვედრით. მმართველობის მოდელების განვითარების პროცესში ტერიტორია იქცა არა მხოლოდ იურისდიქციის საზღვრად, არამედ ინსტიტუციური ორგანიზაციის ბირთვადაც. თანამედროვე საზოგადოებაში ტერიტორიული მოწყობის საკითხი აღარ არის მხოლოდ ადმინისტრაციული ოპტიმიზაციის საკითხი ის ეხება სუვერენიტეტს, დემოკრატიულ ლეგიტიმაციას და მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობის ხარისხს.[54]

ტრადიციულად, ტერიტორიული მოწყობა ორი ძირითადი მოდელის ფარგლებში ჩამოყალიბდა: ცენტრალიზებული და ფედერაციული. ცენტრალიზებულ მოდელში პოლიტიკური ძალაუფლება კონცენტრირდება ეროვნული ცენტრის ხელში, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ პოლიტიკას და ეფექტიან რესურსების მართვას, მაგრამ ხშირად ბადებს დემოკრატიული დისტანციის პრობლემას. ფედერაციული მოდელები, პირიქით, აძლევენ რეგიონებს მეტ დამოუკიდებლობას, ადგილობრივ თვითმმართველობასა და კულტურულ თვითიდენტობას, თუმცა ზოგჯერ საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოებრ მთლიანობას.

ისტორიულად, ტერიტორიული მოწყობის მოდელების ცვლილებას ხშირად თან ახლდა ტექნოლოგიური ან ეკონომიკური რევოლუციები. მაგალითად, ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ დასავლური სახელმწიფოები გადაეწყნენ ბიუროკრატიულ მმართველობის სისტემებზე, რაც საჭიროებდა მკაფიოდ განსაზღვრულ ადმინისტრაციულ საზღვრებს, სტატისტიკასა და ცენტრალიზებულ კონტროლს.[55] ტერიტორია აქცენტს აკეთებდა ფიზიკურ სივრცეზე გზებზე, ინფრასტრუქტურაზე, ლოგისტიკაზე და მოსახლეობის გეოგრაფიულ განაწილებაზე.

ასეთ კონტექსტში სახელმწიფოს მოწყობის ლოგიკა ეფუძნებოდა ფიზიკურ სიახლოვესა და სივრცულ ერთგვაროვნებას. ადმინისტრაცია უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი და მეზობელ თემებს შორის კოორდინაცია მაქსიმალურად ოპტიმალური. თუმცა, მე-20 საუკუნის ბოლოსათვის უკვე გამოჩნდა ნიშნები იმისა, რომ გეოგრაფიულ ლოგიკას ტექნოლოგიებმა ახალი გამოწვევები შეუქმნეს. სატელეფონო ქსელებმა, შემდეგ კი ინტერნეტმა, თანდათანობით შეამცირეს კომუნიკაციის დრო და მნიშვნელოვნად შეცვალეს სივრცის აღქმა.

ეს პროცესი კიდევ უფრო გააძლიერა გლობალიზაციამ. როგორც დევიდ ჰელდმა დაენტონი გიდენსმა განმარტეს, გლობალური ინსტიტუციების ჩამოყალიბება, ტრანსნაციონალური ეკონომიკური ქსელები და ციფრული ტექნოლოგიები აბსტრაქტული სივრცის რეპრეზენტაციას ქმნიან სადაც ტერიტორიას აღარ აქვს იგივე მმართველობითი დატვირთვა, როგორც წარსულში.[56]

---

[54] Agnew, J. (1994). The territorial trap: The geographical assumptions of international relations theory. *Review of International Political Economy, 1*(1), 53–80.

[55] Weber, M. (1978). *Economy and society: An outline of interpretive sociology* (G. Roth & C. Wittich, Eds.). University of California Press, 956.

[56] Held, D., McGrew, A., Goldblatt, D., & Perraton, J. (1999). *Global transformations: Politics, economics and culture*. Stanford University Press, 37.

ამ თვალსაზრისით, ტერიტორია კვლავ რჩება სამართლებრივი სისტემის საყრდენად, მაგრამ ფაქტობრივად ის იკარგება როგორც მმართველობითი ეფექტიანობის წინაპირობა.

აღსანიშნავია, რომ ტრადიციულ მოდელებში, საჯარო სერვისების მიწოდება პირდაპირ იყო დამოკიდებული ფიზიკურ ინფრასტრუქტურასა და ადამიანურ რესურსებზე. ცენტრალური მთავრობა განსაზღვრავდა პრიორიტეტებს, ადგილობრივი დონე იყო შემსრულებელი რგოლი და მოქალაქეებს მათი ჩართულობა ეძლეოდათ ძირითადად მხოლოდ საარჩევნო პროცესებით. ციფრულ ეპოქაში ეს დინამიკა ირღვევა. მოქალაქეები მონაცემთა მეშვეობით უშუალოდ უკავშირდებიან მმართველობით პლატფორმებს, ხოლო ადგილობრივ თვითმმართველობებს ეძლევათ ინსტრუმენტები, რომ გადაჭრან პრობლემები დამოუკიდებლად და რეალურ დროში.

მნიშვნელოვანი საკითხია ისიც, რომ ისტორიულად სახელმწიფოები სივრცეს ხედავდნენ როგორც სტაბილურ და მყარ კატეგორიას. თანამედროვე ეპოქაში კი ადგილი აქვს ფენომენს, რომელსაც სვენ ბეკი "გლობალურ რისკთა საზოგადოებას" უწოდებს სისტემა, რომელშიც საზღვრებს მარტივად კვეთს არა მხოლოდ კაპიტალი ან ინფორმაცია, არამედ ეკოლოგიური საფრთხეები, ვირუსები და კიბერშეტევები.[57] ასეთ პირობებში ადმინისტრაციული საზღვრები ხშირად ხდება ფუნქციურად უქმედი. სახელმწიფოებს უწევთ თანამშრომლობა ახალი სივრცობრივი ლოგიკით რეგიონულ ქსელებში, მეტროპოლიურ ალიანსებში, ან თუნდაც ციფრულ პლატფორმებზე დაფუძნებულ ერთობებში.

ეს ახალი რეალობა ქმნის საჭიროებას სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ხელახალი განსაზღვრისთვის. გეოგრაფიული მოწყობა ვეღარ იძლევა პასუხს იმ ფუნქციურ მოთხოვნებზე, რაც გააჩნია როგორც მოქალაქეებს, ისე გლობალურ გამოწვევებს. სწორედ აქ იკვეთება ხელოვნური ინტელექტის პოტენციალი. AI-ის საშუალებით შესაძლებელი ხდება არა მხოლოდ სივრცის „ციფრულად“ მოდელირება, არამედ მმართველობითი საჭიროებების პროგნოზირება, რესურსების ავტომატიზებული გადანაწილება და გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია დროის რეალურ რეჟიმში.

ამას ემატება ე.წ. „ჭკვიანი ქალაქების“ განვითარება, სადაც საჯარო მმართველობა დეცენტრალიზდება არა სამართლებრივად, არამედ ტექნოლოგიურად. ასეთი მოდელი ძირითადად ეყრდნობა ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს, რომლებიც მოქალაქეების ქცევის ანალიზის გზით მართავენ სერვისებს განათებას, ტრანსპორტს, უსაფრთხოებას. ამგვარად, თანამედროვე ტექნოლოგიური სტრუქტურები რეალურად ქმნიან „ფუნქციურ ავტონომიას“ იმ შემთხვევაშიც კი, როცა სამართლებრივი დეცენტრალიზაცია არ განხორციელებულა.[58]

მიუხედავად ამისა, ტერიტორიული მოწყობის ცვლილებას ტექნოლოგიური ფაქტორები არ უნდა განიხილებოდეს იზოლირებულად. საჭიროა მათი შეჯერება სამართლებრივ, პოლიტიკურ და სოციალური რეალობებთან. როგორც ჯეიმი სასქინდმა აღნიშნა, ტექნოლოგიური განვითარების ლოგიკა არ არის ნეიტრალური ის ქმნის ძალაუფლების განაწილების ახალ სტრუქტურებს და იმოქმედებს იმაზე, თუ როგორ და ვისთვის იმუშავებს სახელმწიფო.[59]

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოები ახალი გამოწვევის წინაშე დგანან: როგორ გადაეწყონ ისე, რომ არ დაკარგონ იურიდიული სუვერენიტეტი, მაგრამ არ ჩამორჩნენ ფუნქციურ ეფექტიანობაში. ეს დილემა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა

[57] Beck, U. (1992). *Risk society: Towards a new modernity* (M. Ritter, Trans.). Sage Publications. (Original work published 1986),

97–99.

[58] Ratti, C., & Claudel, M. (2016). *The city of tomorrow: Sensors, networks, hackers, and the future of urban life*. Yale University Press, 89.

[59]Susskind, J. (2020). Future politics: Living together in a world transformed by tech. Oxford University Press.

საქართველო, სადაც ადმინისტრაციული მოწყობა ჯერ კიდევ ეფუძნება XX საუკუნის ლოგიკას, მაგრამ უკვე ხდება ციფრული სერვისების ინტეგრაცია. შესაბამისად, ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია, რაც შეეხება AI-ს, სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის მხოლოდ ტექნიკურ ასპექტს კი არ ცვლის, არამედ ხელახალი განსაზღვრის საჭიროებას აყენებს თვითონ სახელმწიფოს მნიშვნელობისა და სტრუქტურის შესახებ.

ხელოვნური ინტელექტის როლი მმართველობის მოდელების ტრანსფორმაციაში

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია სახელმწიფო მმართველობაში მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაცია კი არაა, არამედ სიღრმისეული ინსტიტუციური ტრანსფორმაცია, რომელიც ხელახალი გააზრების წინაშე აყენებს იმ მმართველობით პრაქტიკებს, რომლებზეც ტრადიციულად იყო აგებული სახელმწიფოს ფუნქციონირება. ცენტრალიზებულ და ფედერაციულ სისტემებში ხელოვნური ინტელექტი უკვე ცვლის ხელისუფლების გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებსა და სახელმწიფო რესურსების განაწილების ფორმას.

AI მმართველობის სისტემაში მოქმედებს როგორც მონაცემთა ანალიტიკური და ოპტიმიზაციის საშუალება, რომელიც, ერთი მხრივ, აძლიერებს ცენტრალურ მმართველობას რადგან მას შეუძლია რეალურ დროში გამოავლინოს ტენდენციები და მიიღოს მიკროდონეზე ეფექტიანი გადაწყვეტილებები და მეორე მხრივ, აძლიერებს დეცენტრალიზაციის მიმართულებებს, რადგან ტექნოლოგია შესაძლებელს ხდის ადგილობრივი სტრუქტურებისთვის იმუშაონ დამოუკიდებლად და თავიანთი მონაცემების საფუძველზე განსაზღვრონ პრიორიტეტები.[60]

მმართველობის მოდელების ამ ცვლილებას საფუძვლად უდევს მონაცემებზე დაფუძნებული მმართველობა ე.წ. data-driven governance. ეს მოდელი გულისხმობს სახელმწიფოს შესაძლებლობას, აწარმოოს და შეაფასოს სხვადასხვა სახის მონაცემი სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ამ მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვროს პოლიტიკის მიმართულებები. კერძოდ, ხელოვნური ინტელექტი მოქმედებს როგორც შუალედური რგოლი, რომელიც მონაცემთა მასივს გარდაქმნის გადაწყვეტილებად.[61] ეს პრაქტიკა მკვეთრად ცვლის ტრადიციული საჯარო მმართველობის ბიუროკრატიულ დინამიკას.

ასეთი გარდაქმნა ყველაზე მკვეთრად ვლინდება ე.წ. ჭკვიან ქალაქებში (smart cities), რომლებიც იქცნენ ტექნოლოგიური მმართველობის პილოტურ მოდელებად. მაგალითისთვის, სინგაპური და ტალინი იყენებენ AI-ს ურბანული მობილობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ენერგეტიკისა და ქალაქგეგმარების ინტეგრირებაში. სინგაპურის Virtual Singapore პროექტი წარმოადგენს სამგანზომილებიან პლატფორმას, რომელიც იყენებს სენსორებზე დაფუძნებულ მონაცემებს და მათ განახლებულ ანალიტიკას ურბანული გადაწყვეტილებების მისაღებად.[62]

ასეთი პრაქტიკა რეალურად ცვლის სახელმწიფოს ტერიტორიული მმართველობის ლოგიკას. კერძოდ, ქალაქი ხდება მმართველობითი ერთეულის მთავარი სივრცე არა იურიდიული, არამედ ფუნქციური თვალსაზრისით. ამის შედეგად იქმნება ტექნოლოგიური დეცენტრალიზაციის ფენომენი, როდესაც მუნიციპალური დონე იქცევა არათუ ცენტრალური

[60] Meijer, A., Curtin, D., & Hillebrandt, M. (2019). Open government: Connecting vision and voice. *International Review of Administrative Sciences*, 85(1), 7–23. https://doi.org/10.1177/0020852317752607

[61] Kitchin, R. (2014). *The data revolution: Big data, open data, data infrastructures and their consequences,* SAGE Publications, 62–64.

[62] Tan, G. K. H., Low, M. Y. H., & Tan, W. C. (2018). Virtual Singapore: An integrated 3D city model. In *Proceedings of the 2018 International Conference on Smart Cities and Smart Grid* (pp. 22–26). IEEE. https://doi.org/10.1109/ICSCG.2018.8540776

ხელისუფლების ქვეერთეულად, არამედ გადაწყვეტილების დამოუკიდებელ ციფრულ რგოლოდ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ფედერაციულ სისტემებში, როგორიცაა გერმანია ან კანადა, სადაც ადგილობრივ მთავრობებს დამოუკიდებელი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა აქვთ.

მმართველობის მოდელების ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის ერთ-ერთი კრიტიკული ასპექტია გამჭვირვალობა. AI-ის მეშვეობით შესაძლებელი ხდება გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების დეტალურად დაფიქსირება, დოკუმენტირება და ანალიზი, რაც აუმჯობესებს ანგარიშვალდებულების ხარისხს. ალგორითმული ტრასირების მექანიზმები, რომლებიც მაგალითად გამოიყენება ესტონეთში ელექტრონული საჯარო სერვისების კონტროლისთვის, ქმნის მოქალაქის ნდობას ტექნოლოგიური მმართველობის მიმართ.[63]

მეორე მხრივ, AI ხელს უწყობს დემოკრატიის ფორმების ევოლუციას. მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები შესაძლებელია იყოს უფრო ინკლუზიური, ვიდრე ტრადიციული წარმომადგენლობითი პოლიტიკა მაგალითად, მოქალაქეთა ციფრული მონაწილეობის პლატფორმების მეშვეობით შესაძლებელია სწრაფად დამუშავდეს ათასობით მოსაზრება და შექმნას უკუკავშირის ალგორითმები, რაც მმართველობას რეალურ დროში ადაპტირებადს ხდის. ასეთ მოდელში მოქალაქე ხდება არა მხოლოდ ამომრჩეველი, არამედ აქტიური მონაცემის გენერატორი და გადაწყვეტილების თანამონაწილე.

თუმცა ამ ტრანსფორმაციებს ახლავს სერიოზული რისკებიც. პირველ რიგში, AI-ის ალგორითმები შეიძლება აღმოჩნდეს მიკერძოებული იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებზეც ის ეფუძნება. მაგალითისთვის, 2020 წელს შეერთებულ შტატებში სამთავრობო AI-სისტემებმა კრიმინალის პროგნოზირებისას გამოავლინეს ეთნიკური მიკერძოება, რაც გამოწვეული იყო წარსული მონაცემების სისტემური პრობლემებით.[64] ეს აჩვენებს, რომ AI არ არის ნეიტრალური, ის იმეორებს ან ამძაფრებს არსებულ სოციალურ უთანასწორობებს.

გარდა ამისა, მონაცემთა კონცენტრაცია ცენტრალურ პლატფორმებზე წარმოშობს კითხვებს დემოკრატიული კონტროლისა და სუვერენიტეტის შესახებ. სახელმწიფოებმა, რომლებიც ინტენსიურად იყენებენ AI-ს, მაგალითად, ჩინეთმა და რუსეთმა, არა მხოლოდ გააძლიერეს სახელმწიფო ფუნქციების ეფექტიანობა, არამედ შექმნეს მოქალაქეთა მასობრივი მეთვალყურეობის მექანიზმები, რაც არღვევს პირადი მონაცემების დაცვის სტანდარტებს და საფრთხეს უქმნის თავისუფლებებს.

საფრთხე მოდის იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახელმწიფოები ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებას ანდობენ კერძო კომპანიებს. ასეთი პრაქტიკა ხშირია ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც მრავალი საჯარო ციფრული სერვისი მუშავდება კორპორაციულ დონეზე. ეს ქმნის ე.წ. პლატფორმული სახელმწიფოების (platform states) რისკს, სადაც საჯარო გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი კომპონენტები ეფუძნება კოდს, რომელიც კონტროლდება არა დემოკრატიულად ლეგიტიმური ინსტიტუტების, არამედ კერძო ბიზნესის მიერ.

AI-ის მმართველობაში ინტეგრაცია, შესაბამისად, უნდა მიმდინარეობდეს პასუხისმგებლიანი მმართველობის პრინციპების შესაბამისად. ეს მოიცავს ალგორითმების გამჭვირვალობას, მონაცემთა დაცვას, სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებს და გადაწყვეტილებების ეთიკურ ანალიზს. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ახალ

[63] Margetts, H., & Dorobantu, C. (2019). Rethink government with AI. *Nature*, 568(7751), 163–165. https://doi.org/10.1038/d41586-019-01099-5

[64] Angwin, J., Larson, J., Mattu, S., & Kirchner, L. (2016). *Machine bias: There's software used across the country to predict future criminals, and it's biased against Blacks*. ProPublica. https://www.propublica.org/article/machine-bias-risk-assessments-in-criminal-sentencing

კონტექსტში, სწორედ ეს სტანდარტები განსაზღვრავს, იქნება AI პროგრესის ინსტრუმენტი თუ ახალი დომინაციის მექანიზმი.

ამრიგად, ხელოვნური ინტელექტის გავლენა მმართველობის მოდელებზე არ არის უბრალოდ ტექნოლოგიური განვითარების შედეგი ეს არის ღრმა პოლიტიკური, იდეოლოგიური და იურიდიული გამოწვევა, რომელიც გულისხმობს იმ ძირითადი მექანიზმების გადახედვას, რომლებზეც აგებულია სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის მომავალს, შესაბამისად, დიდი წილად განსაზღვრავს ის, რამდენად შეძლებს სახელმწიფო ალგორითმული მმართველობის ლეგიტიმურ და დემოკრატიულ ფორმებში გარდაქმნას.

ხელოვნური ინტელექტი, გეოპოლიტიკური ძალაუფლება და სახელმწიფოების ტერიტორიული სტაბილურობა

ხელოვნური ინტელექტის გავრცელებამ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკასა და სახელმწიფო მმართველობაში მძლავრი ტრანსფორმაციული იმპულსი შექმნა. თუმცა ტექნოლოგიური პროგრესი თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ შესაძლებლობებს, არამედ სისტემურ რისკებსაც. AI-ის გავლენა სახელმწიფოების ტერიტორიულ სტაბილურობაზე, სუვერენიტეტზე და გეოპოლიტიკურ ბალანსზე ხდება სულ უფრო მწვავე პოლიტიკური განხილვის საგანი. XXI საუკუნეში ძალაუფლება განისაზღვრება არა მხოლოდ მატერიალური რესურსებით, არამედ მონაცემებით, ალგორითმებითა და ციფრული სუვერენიტეტით.[65]

თანამედროვე სახელმწიფოსთვის მონაცემი იქცა ახალ სუვერენულ საზღვრად. თუ ადრე ტერიტორიის ფლობა და კონტროლი განსაზღვრავდა სახელმწიფოს სრულყოფილობას, დღეს ამ ფუნქციას დიდი ნაწილი გადაეცა ციფრული ინფრასტრუქტურისა და მონაცემების მფლობელობას. სახელმწიფოს მიერ გენერირებული ან აკუმულირებული მონაცემების კონტროლი და დამუშავება ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით განაპირობებს მის ინსტიტუციურ ავტონომიას. თუმცა ამავე პროცესს ახლავს სერიოზული საფრთხე კერძოდ, AI-სა და მონაცემებზე დაფუძნებული მმართველობის პლატფორმების გლობალური ფედერალიზაცია, რაც ხშირად არღვევს სახელმწიფოებს შორის ბალანსსა და კანონიერ განაწილებას ძალაუფლებისა.

მაგალითად, სახელმწიფოები, რომლებსაც არ გააჩნიათ ადგილობრივი ტექნოლოგიური ეკოსისტემები, იძულებული არიან დაეყრდნონ გლობალურ ტექნოლოგიურ გიგანტებს, როგორიცაა Google, Alibaba, Palantir ან Huawei. ასეთი დამოკიდებულება ქმნის ტექნოლოგიური სუბორდინაციის საფრთხეს: გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება მოქალაქეების უფლებებს, უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ სტრატეგიას, ფაქტობრივად ფორმირდება ქვეყნის გარეთ. მაგალითად, პალანტირის მიერ მიწოდებული უსაფრთხოების ალგორითმები გამოიყენება ევროპის რამდენიმე სახელმწიფოში, რაც რეალურად ნიშნავს, რომ კრიტიკული უსაფრთხოების ფუნქციები ციფრულად გადაეცა კერძო სუბიექტს.[66]

ტექნოლოგიური სუვერენიტეტის კრიზისი განსაკუთრებით მძაფრად იჩენს თავს მცირე ან პერიფერიულ სახელმწიფოებში, რომლებიც ტექნოლოგიურად დამოკიდებულნი არიან უფრო ძლიერ მოთამაშეებზე. აქ AI-ის მეშვეობით წარმოქმნილი სიმეტრიის ნაკლებობა ქმნის „ციფრული დამოკიდებულების“ სცენარს ანალოგიურად, როგორც წარსულში ეკონომიკური კოლონიალიზმი ქმნიდა ფინანსურ სუბორდინაციას. ციფრული სუვერენიტეტის დაკარგვა კი

[65] Morozov, E. (2019). *The net delusion: The dark side of internet freedom* (p. 14). PublicAffairs.

[66] Floridi, L. (2018). Soft ethics and the governance of the digital. *Philosophy & Technology*, 31(1), 1–8. https://doi.org/10.1007/s13347-017-0261-x

ავტომატურად ასუსტებს სახელმწიფოს ფიზიკურ და იურიდიულ მთლიანობასაც, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღების ცენტრალური მექანიზმები დეცენტრალიზდება გლობალურ პლატფორმებზე.

სადემარკაციო ხაზები სულ უფრო მეტად გადადის გეოგრაფიული სივრციდან ციფრულ სივრცეში. მაგალითისთვის, AI-ის მეშვეობით შესაძლებელია საგარეო ძალამ მოახდინოს გავლენა ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე იქნება ეს ალგორითმული დეზინფორმაციის კამპანიები, მონაცემთა მანიპულაციით სოციოპოლიტიკური პოლარიზაციის გამძაფრება ან კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჰაკერული ჩარევა. 2016 წლის ამერიკის არჩევნებში გამოყენებული Facebook-ის მონაცემთა სკანდალი, რომელიც დაკავშირებული იყო Cambridge Analytica-სთან, წარმოადგენს მკაფიო მაგალითს AI-ის ზემოქმედებისა სუვერენულ პროცესებზე.[67]

გარდა გეოპოლიტიკური რისკებისა, AI-ს ინტეგრაცია პირდაპირ გავლენას ახდენს სახელმწიფოს შიდა ტერიტორიულ სტრუქტურაზეც. ტექნოლოგიური ცენტრალიზაციის გამო შესაძლოა რეგიონები, რომლებსაც არ აქვთ ტექნოლოგიური წვდომა, აღმოჩნენ უფრო მარგინალიზებული. მაგალითად, AI-ზე დაფუძნებული საზოგადოებრივი სერვისები (განათლება, ჯანმრთელობა, ადმინისტრაცია) დიდწილად ხელმისაწვდომია მხოლოდ ურბანულ ცენტრებში, რაც ამყარებს შიდა ასიმეტრიას და აჩენს სივრცით უთანასწორობას.

ასეთი უთანასწორობა კი შეიძლება იქცეს შიდა პოლიტიკური დაძაბულობის წყაროდ, განსაკუთრებით მრავალეთნიკურ ან ფედერაციულ სახელმწიფოებში. რეგიონები, რომლებსაც არ აქვთ წვდომა ტექნოლოგიურ სერვისებზე ან გრძნობენ, რომ მათი მონაცემები გამოიყენება ცენტრალური ხელისუფლების მიერ, შეიძლება განიცდიდნენ დეცენტრალიზაციისკენ წასვლის სურვილს, რაც საბოლოოდ ზიანს აყენებს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას. მაგალითად, ინდოეთის „Aadhaar“ სისტემის დანერგვამ გარკვეულ შტატებში დაბალი სანდოობა გამოიწვია და გაამძაფრა რეგიონული წინააღმდეგობები.[68]

AI ასევე წარმოშობს ე.წ. ალგორითმული ძალაუფლების ფორმას, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება გადადის ნეიტრალურად აღქმულ, მაგრამ რეალურად პოლიტიკურად მუხტიან ალგორითმებზე. მაგალითად, როცა ურბანული დაგეგმარების მოდელი განსაზღვრავს რომელ უბანში უფრო მეტ ინვესტიციას ჩადებს სახელმწიფო, ამის უკან შეიძლება იმალებოდეს არაცნობიერი მიკერძოება ან სოციალური წნეხი, რომელიც ასუსტებს კონკრეტული თემების წარმომადგენლობას.

გარდა ამისა, მმართველობის ალგორითმების გაუმჭვირვალობა ამცირებს მოქალაქეთა ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. როცა მოქალაქეს არ შეუძლია გაიგოს, როგორ იქნა მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება. მაგალითად, რატომ არ მიენიჭა სუბსიდია ან რატომ განისაზღვრა კონკრეტული მიწის ზონა გარკვეული ფუნქციით ის განიცდის გარიყულობას სისტემიდან. ასეთ ფონზე, სახელმწიფო ბიუროკრატია იქცევა ტექნოკრატიულ აპარატად, რომელიც მოსახლეობასთან დაშორებულია, რაც ტერიტორიული მოწყობის დონეზე ახალ სუსტი ლეგიტიმაციის პრობლემას წარმოშობს.

ამავე დროს, ხელოვნური ინტელექტის გლობალიზაცია აღრმავებს ციფრულ უთანასწორობას ქვეყნებს შორის. მაღალი შემოსავლების მქონე სახელმწიფოებს შეუძლიათ შექმნან საკუთარი AI სისტემები, ხოლო ღარიბ ქვეყნებს უწევთ გლობალური პლატფორმების მიღება და მათი პირობების ქვეშ მუშაობა. ეს აშკარად აჩვენებს, რომ სახელმწიფოების

[67] Cadwalladr, C., & Graham-Harrison, E. (2018, March 17). Revealed: 50 million Facebook profiles harvested for Cambridge Analytica in major data breach. *The Guardian*. https://www.theguardian.com/news/2018/mar/17/cambridge-analytica-facebook-influence-us-election

[68] Drèze, J. (2017). *Sense and solidarity: Jholawala economics for everyone.* Permanent Black, 33.

გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა აღარ განისაზღვრება მხოლოდ ფიზიკური საზღვრებით ის ახლა ალგორითმული სუვერენიტეტითაც განისაზღვრება.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის თაობაზე ნებისმიერი რეფორმა, რომელიც ეფუძნება AI-ს, საჭიროებს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ გათვლას, არამედ სამართლებრივი, პოლიტიკური და ეთიკური ჩარჩოს მკაფიო ფორმულირებას. საჭიროა სახელმწიფოებმა განავითარონ თავიანთი AI სტრატეგიები, რომლებიც მორგებული იქნება ეროვნული კონტექსტის, კულტურისა და სივრცითი განვითარების სპეციფიკაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ემუქრებათ როგორც სუვერენიტეტის დაკარგვა, ასევე შიდა ინსტიტუციური არასტაბილურობა.

AI უნდა იქცეს იმგვარად ორგანიზებულ ძალად, რომელიც არ უპირისპირდება სახელმწიფოს, არამედ ამაგრებს მის სუვერენიტეტს, აძლიერებს დემოკრატიას და უზრუნველყოფს სამართლიან და ბალანსირებულ მმართველობას მთელ ტერიტორიაზე. მხოლოდ ამ პირობებში იქნება შესაძლებელი, რომ XXI საუკუნის ტექნოლოგიური შესაძლებლობები თანხვედრაში მოვიდეს ტრადიციული სახელმწიფოებრივი პრინციპების დაცვასთან.

დასკვნა

თანამედროვე სახელმწიფოების მმართველობის მოდელები მნიშვნელოვან გარდაქმნას განიცდიან ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე, სადაც ხელოვნური ინტელექტი (AI) და მონაცემებზე დაფუძნებული მექანიზმები გადამწყვეტ როლს თამაშობენ. ეს ტრანსფორმაცია არსებითად ცვლის არა მხოლოდ მმართველობით პროცესებს, არამედ სახელმწიფოს სივრცით არქიტექტურასაც. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის კლასიკური კონცეფციები, რომელთაც საფუძვლად უძღვოდა გეოგრაფიული, ეთნიკური და ადმინისტრაციული კრიტერიუმები დღეს ახალი რეალობის წინაშე დგანან, სადაც მონაცემთა მეშვეობით ოპტიმიზაცია და პროგნოზირება ხდება მმართველობის ძირითადი იარაღი.

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციამ მმართველობაში შესაძლებელი გახადა ისეთი სისტემების ჩამოყალიბება, რომლებიც რეალურ დროში რეაგირებენ საზოგადოებრივ გამოწვევებზე, უზრუნველყოფენ სერვისების პერსონალიზაციას, ამცირებენ ბიუროკრატიულ ბარიერებს და ზრდიან მოქალაქეთა ჩართულობას. ეს პროცესი გულისხმობს გადაწყვეტილებების მიღებას ავტომატიზებულად ან ნახევრად ავტომატიზებულად, რაც ხელს უწყობს ეფექტიანობას, თუმცა ამავე დროს წარმოშობს მნიშვნელოვან საფრთხეებს, მათ შორის არის მონაცემთა დაცვა, ეთიკური მმართველობა და მოქალაქეთა კონფიდენციალურობის დაცვა.

ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, AI-ს აქვს პოტენციალი სივრცობრივი ორგანიზების ახლებური კონფიგურაციების შექმნისათვის. მაგალითად, ისეთი სისტემების დანერგვა, როგორიცაა ჭკვიანი ქალაქები (*smart cities*), ცვლის ადმინისტრაციულ ზონირებას, სერვისების ხელმისაწვდომობას და მოქალაქეების მობილობის დინამიკას.[69] ამავდროულად, განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ტექნოლოგიები არჩეულ მმართველობით ფორმებს, იქნება ეს ცენტრალიზებული თუ ფედერაციული მოდელი ახალ ფერს სძენენ. ცენტრალიზებულ სისტემებში ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით შესაძლებელია რესურსების ოპტიმიზაცია და ფედერალურ დონეზე მონაცემთა განაწილებული გამოყენება.

ამ პროცესებს ახლავს გეოპოლიტიკური გამოწვევებიც. სახელმწიფოები, რომლებიც ეყრდნობიან უცხოურ ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას, დამოკიდებულნი ხდებიან გლობალურ ტექნოლოგიურ კორპორაციებზე, რაც სუვერენულობის ახალ ფორმებს აყალიბებს.

[69] UN-Habitat. (2021). *Smart cities and urban development*. United Nations Human Settlements Programme.

ერთის მხრივ, ეს ქმნის შესაძლებლობას რეგიონებისთვის, გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები საკუთარი განვითარების განსაზღვრისთვის; ხოლო მეორეს მხრივ, ჩნდება საფრთხე, რომ მონაცემთა კონტროლი გადავიდეს ეროვნული იურისდიქციის მიღმა. ამის ფონზე, ტექნოლოგიური სუვერენიტეტის კონცეფცია იძენს სტრატეგიულ მნიშვნელობას.

ხელოვნური ინტელექტის და ახალი ტექნოლოგიების ინტეგრაცია სახელმწიფოს მმართველობით სისტემებში წარმოადგენს არა უბრალოდ ტექნიკურ პროცესს, არამედ ღრმა სტრუქტურულ ცვლილებას, რომელიც მოითხოვს იურიდიულ, ეთიკურ და სტრატეგიულ ადაპტაციას. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ტრადიციული მოდელები საჭიროებენ გადახედვას, რათა შემოღებული ინოვაციები დაექვემდებაროს დემოკრატიულ კონტროლს, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებას და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერას.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოები არა მხოლოდ რეაქტიულად ერგებოდნენ ტექნოლოგიურ ტრენდებს, არამედ ჩამოაყალიბონ პროაქტიური სტრატეგიები, რომლებიც ეფუძნება ადამიანის უფლებათა დაცვას, საჯარო კეთილდღეობასა და ინკლუზიური მმართველობის პრინციპებს. AI-ის ჩართვა მმართველობაში არ უნდა დარჩეს მხოლოდ ელიტარული ან ტექნოკრატიული მიზნების ფარგლებში. პირიქით ის უნდა გახდეს იარაღი უფრო სამართლიანი, ეფექტიანი და მოქნილი მმართველობისათვის, რომელიც ემსახურება როგორც ეროვნულ, ისე ლოკალურ მიზნებს.

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით სახელმწიფოს შეუძლია არამხოლოდ არსებული პრობლემების დაძლევა, არამედ მომავლის გამოწვევების წინასწარ გააზრება. სწორედ ამ შესაძლებლობაში ვლინდება ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიული ღირებულება, როგორც გარდამტეხი ძალა, რომელიც ცვლის სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ლოგიკას და ახალ პერსპექტივებს აყალიბებს მმართველობის მოდელებში.

ბიბლიოგრაფია

1. Cadwalladr, C., & Graham-Harrison, E. (2018, March 17). Revealed: 50 million Facebook profiles harvested for Cambridge Analytica in major data breach. *The Guardian*. https://www.theguardian.com/news/2018/mar/17/cambridge-analytica-facebook-influence-us-election
2. Crawford, K. (2021). *Atlas of AI: Power, politics, and the planetary costs of artificial intelligence*. Yale University Press.
3. DeNardis, L. (2020). *The Internet in everything: Freedom and security in a world with no off switch*. Yale University Press.
4. Drèze, J. (2017). Aadhaar and the ghost of NREGA. *Economic & Political Weekly, 52*(5), 32–34.
5. Feldstein, S. (2019). The global expansion of AI surveillance. *Carnegie Endowment for International Peace*. https://carnegieendowment.org/2019/09/17/global-expansion-of-ai-surveillance-pub-79847
6. Floridi, L. (2018). Soft ethics and the governance of the digital. *Philosophy & Technology, 31*(1), 1–8. https://doi.org/10.1007/s13347-017-0285-2
7. Kitchin, R. (2014). *The data revolution: Big data, open data, data infrastructures and their consequences*. SAGE Publications.

8. Morozov, E. (2013). *To save everything, click here: The folly of technological solutionism*. PublicAffairs.

9. Morozov, E. (2019). *Digital sovereignty: A brief introduction*. Rosa Luxemburg Stiftung.

10. O'Neil, C. (2016). *Weapons of math destruction: How big data increases inequality and threatens democracy*. Crown Publishing Group.

11. Pasquale, F. (2015). *The black box society: The secret algorithms that control money and information*. Harvard University Press.

12. Susskind, J. (2020). *Future politics: Living together in a world transformed by tech*. Oxford University Press.

13. UN-Habitat. (2021). *Smart cities and urban development*. United Nations Human Settlements Programme.

14. Zhang, B., & Dafoe, A. (2019). Artificial intelligence: American attitudes and trends. *Center for the Governance of AI*. https://governanceai.github.io/US-Public-Opinion-Report-Jan-2019/

15. Zuboff, S. (2019). *The age of surveillance capitalism: The fight for a human future at the new frontier of power*. PublicAffairs.

ბავშვთა საკითხების გაშუქების თემატიკა სოციალურ რეკლამაში (ქართული მედიის მაგალითზე)

Coverage of Children's Issues in Social Advertising (Based on Georgian Media)

ეკატერინე ჭალაგანიძე
მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

Ekaterina Chalaganidze
Doctor of Mass Communication
Associate Professor of the Caucasus International University
Dean of the Faculty of Social Sciences and Humanities

აბსტრაქტი. თანამედროვე სამყაროში ბავშვთა საკითხების გაშუქება სულ უფრო მნიშვნელოვანია, მულტიმედიური ფორმატი კი ამარტივებს ბავშვთა პრობლემების, საჭიროებებისა და უფლებების აღქმას საზოგადოების მიერ. სოციალური რეკლამის მიზანია მედიის საშუალებით გავრცელებული გზავნილებით ხელი შეუწყოს ბავშვთა საკითხების ეფექტიან გაშუქებას, პრობლემური საკითხების გააზრებასა და ცნობიერების გაზრდას საზოგადოებაში.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სოციალური რეკლამის მნიშვნელობისა და მისი როლის გაცნობიერება ბავშვთა უფლებების, ჯანმრთელობის, განათლებისა და უსაფრთხოების საკითხების მიმართ. კვლევა მოიცავს ანალიზს იმ ფაქტორებისა, რომელნიც ახდენენ გავლენას ოჯახების, საზოგადოების და მაღალი საგანმანათლებლო ინსტიტუტების ცნობიერებაზე ბავშვთა საკითხების მიმართ.

ნაშრომი ასახავს სხვადასხვა მაგალითებს წარმატებული სოციალური კამპანიების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავდა ბავშვთა უფლებების დაცვის პოპულარიზებას, არასრულწლოვანთა მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ასოციაციური ქმედებების გააქტიურებას. ამასთანავე, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სოციალურ მედიაში და ვიდეო პლატფორმებზე გავრცელებული სარეკლამო ვიზუალების გაზრდილ როლზე, ასეთი ვიზუალური მასალა ხელს უწყობს ახალგაზრდების მიმართ პასუხისმგებლობის გაძლიერებას და სოციალური ცვლილებების წახალისებას.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ემპათიური მახასიათებლების მქონე მიზნობრივი სარეკლამო გზავნილები მნიშვნელოვნად ცვლიან საზოგადოების დამოკიდებულებას ბავშვთა საკითხების მიმართ, რაც საბოლოოდ დადებით გავლენას ახდენს ბავშვთა საკითხებისადმი ყურადღების გამახვილებაზე.

ნაშრომის კვლევის შედეგები სასარგებლო ინფორმაციას წარმოადგენს პროფესიონალებისთვის, პოლიტიკოსებისთვის და მკვლევარებისთვის. ითვალისწინებს საჭირო პრაქტიკული რეკომენდაციების გაცემას, რათა მათ შეძლონ კიდევ უფრო ეფექტიანი სარეკლამო სტრატეგიების განხორციელება ბავშვთა უფლებებისა და საჭიროებების დაცვის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ბავშვთა საკითხები; სოციალური რეკლამა; სარეკლამო გზავნილები; მედია გაშუქება.

Abstract. In the modern world, the coverage of children's issues is increasingly important, and the multimedia format simplifies society's understanding of children's problems, needs and rights. The purpose of social advertising is to effectively address children's issues, raise awareness of these problems, and promote understanding within society through media messages.

The aim of this paper is to emphasize the importance of social advertising and its role in addressing children's rights, health, education, and safety issues. The research includes an analysis of the factors that influence the awareness of families, society, and educational institutions regarding children's issues.

The paper presents various examples of successful social campaigns aimed at promoting the protection of children's rights, improving the conditions of minors, and activating associative activities. Additionally, it focuses on the increasingly significant role of advertising visuals disseminated on social media and video platforms, highlighting how such visual material helps foster responsibility toward young people and encourages social change.

The findings of the research demonstrate that targeted advertising messages with empathetic characteristics significantly influence public attitudes toward children's issues, ultimately leading to a positive emphasis on these concerns.

The research results provide information for professionals, politicians, and researchers. They offer practical recommendations for implementing more effective advertising strategies n the protection of children's rights and needs.

Keywords: children's issues; social advertising; advertising messages; media coverage.

სოციალური რეკლამა მასმედიის მძლავრი ინსტრუმენტია. ის ამახვილებს ყურადღებას საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან სოციალურ თემებზე. საქართველოს მოსახლეობა განსაკუთრებულად მგრძნობიარეა კულტურული და სოციალური ღირებულებებისადმი, რაც სოციალურ რეკლამას გამოხატვის მრავალფეროვან საშუალებას სძენს. ხაზგასასმელ თემებს წარმოადგენს ბავშვთა უფლებების დაცვა, განათლება, ჯანმრთელობა ძალადობის პრევენცია. აღნიშნული თემების გაშუქება ქართული მედიის საშუალებით ემსახურება არა მხოლოდ ცნობიერების ამაღლებას, არამედ საზოგადოებაში აღნიშნული ღირებულებების განმტკიცებას.სოციალური რეკლამა საქართველოში უმეტესად ამახვილებს ყურადღებას სოციალურ ღირებულებებზე.

მოცემული ნაშრომის მიზანია დაადგინოს, თუ როგორ უწყობს ხელს ქართული მედია ბავშვთა უფლებებზე ზრუნვას სოციალური რეკლამის საშუალებით, რომელი ვიზუალური და ნარატიული მიდგომები გამოიყენება სოციალურ სარეკლამო გზავნილებში ქართულ მედიაში (კვლევის პერიოდი 2015-2020წ). სოციალური რეკლამის ანალიზი ბავშვთა საკითხების შესახებ მოითხოვს სისტემურ მიდგომას, მათ შორის შინაარსის, ვიზუალური ელემენტების, აუდიტორიის, გავრცელების არხების კვლევას. ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი ავლენს ზოგად ტენდენციებსა და მიდგომებს. ნაშრომის კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა კვლევის შემდეგი მეთოდები: კონტენტ-ანალიზი, შემთხვევათა ანალიზი, შედარებითი ანალიზი.

სოციალური რეკლამის მიმოხილვა ქართულ მედიასივრცეში

ქართულ მედიასივრცეში (სოციალური მედია, ტელევიზია, ინტერნეტი) პერიოდულობით გვხვდება სოცილური რეკლამის შემცველი სარეკლამო მესიჯები რომლებიც შემდეგი აქტუალური თემატიკის ხასიათდება. *ჯანმრთელობა:* ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, დროული ვაქცინაციის მნიშვნელობა და სხვ. *განათლება*: ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და სკოლებისა და ბაღების ხელმისაწვდომობა. *სოციალური პირობების დაცვა:* მზრუნველობამოკლებულ ან/და უნარშეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა უფლებების დაცვა, მათთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა და კომფორტული ცხოვრების უზრუნველყოფა. *ძალადობის პრევენცია:* ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ინიციატივები- ძალადობა ოჯახში, სკოლაში და ა.შ.

შემთვევათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბავშვთა საკითხების გაშუქებისა და სოციალური სარეკლამო სტრატეგიის მთავარი დამკვეთები არიან: სახელმწიფო უწყებები (დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო), არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორიცაა UNICEF Georgia, World Vision და სხვ. აგრეთვე მედიაკომპანიები, რომელნიც უზრუნველყოფენ კამპანიების გავრცელებას.

კამპანია: „განათლება ყველასთვის“

შინაარსით რეკლამა აღწერს სოფლად მყოფ ბავშვთა განათლებაზე ხელმისაწვდომობას, რეკლამაში ნაჩვენებია ბავშვი, რომელიც სიღარიბის მიუხედავად ოცნებობს, რომ გახდეს ექიმი. *გავრცელების არხები:* ტელევიზია (საზოგადოებრივი მაუწყებელი), სოციალური მედია (Instagram, Facebook) *ვიზუალიზაცია:* ემოციური კადრები, პოზიტიური მუსიკა და ფერები. *ძლიერი მხარეები:* ემოციური და გასაგები გზავნილი. *სუსტი მხარეები:* მოქმედებისკენ მოწოდების ნაკლებობა, გზავნილის არარსებობა, თუ როგორ უნდა ჩაერთოს აუდიტორია.

კამპანია „არა ძალადობას!“

შინაარსით კამპანიის მიზანია ოჯახში ძალადობის პრევენცია. რეკლამა ფოკუსირებული ბავშვის თვალით დანახულ რეალობაზე, როდესაც ის მშობლების კონფლიქტს აკვირდება. *ვიზუალიზაცია:* მძიმე, ერთფეროვანი, დრამატული ტონი. *გავრცელების არხები:* ტელევიზია, სოციალური მედია (Youtube, Instagram, Facebook). *ძლიერი მხარეები*- ძლიერი ემოციური ტონი, ცხელი ხაზის მითითება. *სუსტი მხარეები:* ზედმეტად დამთრგუნველი, რამაც ძშესაძლოა გამოიწვიოს ნაკლები ჩართულობა.

სოციალური კამპანიების ეფექტურობის შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით შეიძლება: რამდენად მოახერხა სოციალურმა სარეკლამო კამპანიამ ცნობიერების ამაღლება. სოცილურ მედიაში ნახვები და გაზიარებები, კომენტარების რაოდენობა ეფექტურობის ერთერთი მაჩვენებელია. აშკარაა, რომ ვიზუალურად მიმზიდველი, ემოციური კონტენტის მქონე

რეკლამები საზოგადოების მეტ ყურადღებას იპყრობს. ამ მხრივ გამორჩეულია UNCEF-ის კამპანიები, რომელნიც ათასობით ნახვებსა და მოწონებებს იმსახურებენ.

ქცევის ცვლილება: რთულია შედეგის გაზომვა, თუმცა სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ კამპანიები, სადაც მოცემულია ცხელი ხაზის ნომერი, მეტად შედეგიანია, რადგან კონკრეტული მოქმედებისკენ უბიძგებს.

აუდიტორიის ჩართულობა: სოციალურ მედიაში ვაწყდებით როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ კომენტარებს, განსაკუთრებით სენსიტური თემების გაშუქების დროს. მაგალითად: UNICEF-ის მიერ განხორციელებული კამპანიის „შენი ხმა მნიშვნელოვანია“ გამოირჩეოდა მაღალი ჩართულობით სოციალურ მედიაში, რაც გამოიხატა 10,000- ზე მეტი ნახვითა და 500-ზე მეტი გაზიარებით.

ნაშრომში გამოყენებულ შინაარსის ანალიზში დავინახეთ სოციალური სარეკლამო გზავნილის სტრუქტურა, გზავნილის ძირითადი მიზანი და სამიზნე აუდიტორია. ყოველი შემთხვევის ანალიზის პროცესში დაისვა კითხვები: რა არის რეკლამის გზავნილი? რა ემოციების გამოწვევას ცდილობს რეკლამა? რამდენად კარგად ჩანს მოქმედებისკენ მოწოდება?

სარეკლამო გზავნილების ანალიზისას შეგროვდა სოციალური სარეკლამო გზავნილების მონაცემები, ტექსტი და სკრიპტი- ვიდეორგოლები, პოსტერები, სოციალური მედიის პოსტები.შინაარსი კატეგორიებად დავყავით: მაგალითად, პოზიტიური გზავნილები, გადაწყვეტილების შეთავაზება, პრობლემაზე აქცენტირება და აშ. მაგალითად, UNICEF-ის კამპანიების: „შენი ხმა მნიშვნელოვანია“, „დაინახე ყველა ფერი“, „ბავშვზე ზრუნვა გრძელდება“ ანალიზისას ვლინდება, რომ გზავნილი ფოკუსირებულია ბავშვთა თვითგამოხატვის ხელშეწობაზე, მაგრამ რიგ შემთხვევებში არ შეიცავს კომკრეტულ ნაბიჯებს მშობლებისთვის.

სოციალური სარეკლამო გზავნილების ვიზუალიზაციის ანალიზი რეკლამის ვიზუალურ კომპონენტებზეა ფოკუსირებული: პერსონაჟები, ფერები, სიმბოლიზმი, სურათი და კადრების თანმიმდევრობა. რა ემოციემს იწვევს ფერთა გამა, ნათელი ფერი ოპტიმიზმთან ასოცირდება, მუქი ფერები კი დრამასთან. როგორი პერსონაჟებია წარმოდგენილი? ბავშვი, როგორც მსხვერპლი, თუ როგორც ძლიერი პიროვნება? ვიზუალურ ელემენტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აუდიტორიის ემოციური ჩართულობისთვის. კულტურული სიმბოლოების გამოყენება კი ზრდის რეკლამის მიმღებლობის ხარისხს. აუდიტორიის რეაქციის ანალიზი გვიჩვენებს თუ როგორ რეაგირებს სამიზნე აუდიტორია რეკლამაზე, მოსწონს, აზიარებს, აკომენტარებს (პოზიტიურად, ნეიტრალურად, ნეგატიურად), როგორია გაზიარების ტენდენცია, როგორ საუბრობენ სარეკლამო გზავნილზე საზოგადოებრივ დისკუსიაში. მაგალითად, ბავშვთა განათლების შესახებ კამპანიას 10,000 ნახვა აქვს. 500 გაზიარება და 70% პოზიტიური კომენტარი მიუთითებს მაღალ ჩართულობაზე, 30% უარყოფითი კომენტარი კი მიუთითებს გზავნილის გაუგებრობაზე.

კვლევამ ცხადჰყო, რომ ქართულ მედიაში ბავშვთა საკითხებზე ორიენტიებული სოციალური რეკლამა მეტწილად შეეხება განათლებას, ჯანმრთელობას, სოციალურ პრობლემებსა და ძალადობის პრევენციას. რეკლამაში ხშირად გამოიყენებენ ემოციურ მიდგომა, ბავშვის დრამატუული ვიზუალი, რაც ხშირად დამთრგუნველია. სოციალური სარეკლამო გზავნილებისთვის უმეტესად გამოიყენებენ შემდეგ სარეკლამო არხებს: სოციალური მედია(Facebook, Instagram, Youtube), რაც ინტერნეტთან წვდომის გარეშე შეუძლებელს ხდის ინფორმიციის გავრცელებას. უმეტეს კამპანიებს აკლიათ მოწოდება ქცევის შეცვლისკენ, რაც ამცირებს ქცევის ცვლილების ალბათობას. პოზიტიური გამოხმაურება ჭარბობს, თუმცა ზოგიერთი თემა, როგორიცაა ძალადობა ოჯახში, იწვევს უარყოფით რეაქციებს, კულტურული

სენსიტიურობის გამო. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ფინანსური ხასიათისაა. კამპანიების უმეტესობა დამოკიდებულია დაფინანსებაზე დონორების მხრიდან, რაც კამპანიების თანმიმდევრულობასა და მასშტაბს ზღუდავს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ბავშვთა საკითხების შესხაებ სოციალური სარეკლამო გზავნილების გაუმჯობესების შემდეგი რეკომენდაციები:

სარეკლამო გზავნილებში კონკრეტული ქმედებების წარმოჩენა. მაგალითად: ცხელი ხაზის ნომრები, ორგანიზაციების ვებგვერდები, მოხალისეების შეგროვების შესაძლებლობების წარმოჩენა და სხვ.; *კულტურული თავისებურებების გათვალისწინება,* რაც გულისხმობს ქართული კულტურული და სოციალური ნორმების შესწავლა; *ფართო გავრცელება:* სოციალური(TikTok, Instagram, Facebook) და ტრადიციული მედიის (ტელევიზია, რადიო) გამოყენება, ღონისძიებების ჩატარება (სემინარები სკოლებში). *ვიზუალური ელემენტების დახვეწა:* პოზიტიური ფერებისა და ოპტიმისტური გზავნილების გამოყენება. *ადგილობრივი უწყებებისა და ორგანიზაციების ჩართულობა:* თანამშრომლობა სკოლებთან, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კამპანიების სანდოობას გაზრდის. *გრძელვადიანი სტრატეგიის დანერგვა:* ნაცვლად ერთჯერადი პროექტებისა, თანმიმდევრული, გრძევადიანი კამპანიების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ცნობიერებს მუდმივ ზრდას. *მონაცემთა დამუშავება და გამოყენება:* სოციალური მედიის ანალიტიკა, კამპანიების ეფექტურობის შეფასებისა და ახალი კამპანიების დაგეგმვისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ მედიაში ბავშვთა საკითხებზე ორიენტირებული სოციალური რეკლამა, ემოციური და ვიზუალურად მიმზიდველი კამპანიებით ეფექტურად იპყრობს ყურადღებას, თუმცა მთავარ გამოწვევებად ფინანსური შეზღუდვები, სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ხელმისაწდომობა და ზოგიერთი თემის ტაბუდადებული ბუნებაა.

ეფექტურობის გაზრდისთვის, საჭიროა ფართომასშტაბიანი მიდგომა, გრძელვადიანი სტრატეგიების დანერგვა, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინება. აგრეთვე კი, ყურადღების გამახვილება ნაკლებად გაშუქებულ თემებზე და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე. შედეგად, სოციალური რეკლამა შესაძლოა იქცეს კიდევ უფრო მძლავრ ინსტრუმენტად ბავშვთა უფლებების დაცვის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესები- UNICEF 2016, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის პარტია

2. მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები- UNICEF 2011, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი

3. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი (2023) მედიის სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიში

4. საქართველოს განათლების, მცნიერებისა და სპორტის სამინისტრო(2021) საგანმანათლებლო კამპანიების ანალიზი

5. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო (2022) „ვაქცინაციის ანგარიში“ https://moh.gov.ge/

6. https://www.radiotavisupleba.ge/a/2334679.html ქართული მედია და ბავშვები
7.https://www.unicef.org/georgia/ka/documents/ ბავშვთა უფლებები სკოლაში
8. https://www.unicef.org/georgia/ka/documents/ ბავშვთა დაცვის სისტემებისა და მომსახურების გაძლიერება საქართველოში
9. https://www.unicef.org/georgia/ka/ ბავშვთა კეთილდღეობა საქართველოში
10. Foley, A. R. The language of non-commercial advertising: A pragmatic approach
11. Fairclough, N. (1989). Language and Power. Language and Power.

მედიატექსტების ახალი ფორმები მულტიპლატფორმული ჟურნალისტიკისთვის: ლიტერატურის მიმოხილვა
New Forms of Media Texts for Multiplatform Journalism: A Literature Review

ნათია ფოფხაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი
ORCID: https://orcid.org/0009-0006-2659-8444
Natia Popkhadze
Caucasus International University
PhD student, Doctoral Educational Program in Mass Communication

აბსტრაქტი. მედიის დიგიტალიზაციისა და მრავალპლატფორმული ამბის თხრობის ზრდის საპასუხოდ, ჟურნალისტური ტექსტის მეტამორფოზი წარმოადგენს კვლევითი ნაშრომის მიზანს. დიგიტალიზაციის თანმდევია ბეჭდური და სამაუწყებლო პლატფორმებისთვის განკუთვნილი ტრადიციული მედია ტექსტების ტრანსფორმაციის აუცილებლობა მულტიმოდალურ ფორმატებად, ციფრულ პლატფორმებზე რეტრანსლაციის უზრუნველსაყოფად. წინამდებარე კვლევის ობიექტია მედია ტექსტების ახალი ფორმები, უახლესი აკადემიური კვლევების სიღრმისეული ანალიზის საშუალებით.
საკვანძო სიტყვები: მედიატექსტი; მედიაკონტენტი; მედიაფორმატი; მულტიპლატფორმული ჟურნალისტიკა; ტრანსფორმაცია მედიაში; ინოვაციები მედიაში.

Abstract. The research paper aims to examine the metamorphosis of journalistic texts in response to media digitization and multi-platform storytelling. The digital transition necessitates the transformation of traditional media texts, originally designed for print and broadcast, into multimodal formats to enable effective retransmission across digital platforms. This study focuses on emerging forms of media texts through an in-depth analysis of the latest scientific research.
Keywords: Media Text; Media content; Media format; Multiplatform Journalism; Media Transformation; Media inovation.

1. შესავალი

ინტერნეტმა და მასზე დაფუძნებულმა ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ რომ რევოლუციური ძვრები მოახდინა მასობრივ კომუნიკაციაში, ამაზე ცხადად მეტყველებს ჟურნალისტური ტექსტის ტრანსფორმაცია. ასე მაგალითად, წერილობით ან ვერბალურ ენაზე, ფიქსირებული სტრუქტურის, ფორმისა და მნიშვნელობაზე ორიენტირებულ ჟურნალისტურ ტექსტში, გამოსახულებას მხოლოდ ტექსტური ნაწილის ილუსტრაციის დანიშნულება ჰქონდა, ციფრულ ეპოქაში კი ახალი სიცოცხლე და ინტერპრეტაცია შეიძინა მეჰრიბიანის კომუნიკაციის მოდელმა „7-38-55“ (Mehrabian, 1972), სადაც ვიზუალური და არავერბალური ელემენტები

განაპირობებენ აუდიტორიის მიერ მედიაშინაარსის აღქმას, სადაც ტექსტური კომპონენტი მთავარ როლს აღარ თამაშობს. ამასთან, მაყურებლის ინტერნეტში მიგრირების კვალდაკვალ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მოუწია აღნიშნულ გარემოებაზე ადაპტირება და ჟურნალისტიკის წარმოება არა განსაზღვრული ფორმატის მედია საშუალებისთვის არამედ ინტერნეტისთვის, თავის არსით მულტიმედიური პლატფორმისთვის, რომელიც ყველა არსებული ჟურნალისტური ტექსტის მატარებელია (McQuail & Deuze, 2020).

ის ფაქტი, რომ მრავალი ადამიანისთვის ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ ბოლო ათწლეულებია ინტერნეტი აქტიურად ყალიბდება, ამასთან, იზრდება ვიდეოზე დაფუძნებული პლატფორმების პოპულარობა, არავისთვის არის სიახლე და აღნიშნული კიდევ ერთხელ დადასტურდა როიტერის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული კვლევით „Digital News Report 2024“ (Newman, 2024), რომლის მიგნებებს ჟურნალისტიკის მდგომარეობის შესახებ ყოველწლიურად ელოდება მედიასამყარო. აღნიშნული ინტერესის საფუძველია ის გარემოება, რომ მოსახლეობის უმრავლესობა განვითარებულ საზოგადოებებში და მესამე სამყაროს მაცხოვრებლების მზარდი რაოდენობა ცხოვრობს ინტერნეტში (Castells, 2011). ამის ფონზე, არ არის გასაკვირი რომ ინტერნეტს და ახალ მედიას აქვს „პრეტენზია მასობრივი მედიასაშუალების სტატუსზე“ (McQuail & Deuze, 2020), მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულ მედიასთან კონკურენციის საგნად ინფორმაციის გაუმჯობესებული გადაცემის შედეგები, ინტერნეტის გამოყენებით ყველა ფორმის ციფრული კონტენტის გავრცელებისა და „მასობრივი თვითკომუნიკაციის“ (Castells, 2011) შესაძლებლობა ფიქსირდება. ამ მიზეზით, „მასობრივი კომუნიკაცია, როგორც ფართომასშტაბიანი ცალმხრივი საჯარო კონტენტის ნაკადი არ შეჩერებულა და აგრძელებს დინებას სხვადასხვა ტიპის კონტენტისა და ნაკადების გვერდით, რომლებიც ასევე მასობრივად ვრცელდება ონლაინ რეჟიმში’ (McQuail & Deuze, 2020). აღნიშნულ „ნოუმენს“ ესადაგება ფრთიანად ქცეული ფრაზა „კონტენტი მეფეა!“ (Microsoft Corporation, 1996)- რომლის მთავარი აზრია, რომ ციფრულ პლატფორმებზე წარმატების საწინდარია არა რაოდენობა არამედ ხარისხი, რაც თავის თავში მოიცავს კონტენტის მნიშვნელობას, ღირებულებას, სარგებლიანობას თუ აქტუალობას.

გამომდინარე იქიდან, რომ „მასობრივი კომუნიკაციის მუშაობის ყველაზე თვალსაჩინო მტკიცებულებას კონტენტი წარმოადგენს“ (McQuail & Deuze, 2020), ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს მედიატექსტების, ფართო გაგებით მედიაკონტენტის სტატუსის, კერძოდ, ახალი ფორმების შესახებ არსებული ცოდნის შესწავლა. ჩვენი ვარაუდით, ხარისხიანი მედიაკონტენტის შექმნა კვლავაც დარჩება მასობრივი კომუნიკაციის სფეროს პრეროგატივად, კერძოდ, წარმოების საფუძველი იქნება ტრადიციული ცოდნა და პროფესიული გამოცდილება, თუმცა იმ პირობით, რომ ტექნიკურ ელემენტებს მიენიჭოს ტექსტურ კომპონენტთან თანაბარი მნიშვნელობა. კვლევის შედეგებმა მოგვცა საშუალება გაგვეკეთებინა ქართული და უცხოური ლიტერატურის საფუძველზე მედიატექსტების ახალი ფორმების კომპილაცია და გადაგვედგა ნაბიჯი მისი სისტემატიზაციისკენ - ნაშრომის სიახლის სახით, სწორედ აღნიშნული გვესახება.

2. კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის საგანს წარმოადგენს ტრადიციული ჟურნალისტური ტექსტების ტრანსფორმაცია ციფრულ პლატფორმებზე დისტრიბუციის უზრუნველსაყოფად, კვლევის ობიექტი კი - მედიატექსტები, მულტიპლატფორმული ჟურნალისტიკის კონტექსტში. ნაშრომი ეყრდნობა შემდეგ თეორიებს: გამოყენების და დაკმაყოფილების თეორიას (Uses and Gratification Theory), რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანები აქტიურად მოიხმარენ, ირჩევენ კონკრეტულ მედიაარხებს და მედიაპროდუქტებს პირადი საჭიროებებიდან გამომდინარე (Blumler & Katz,

1974), შესაბამისად, აღნიშნულით აიხსნება რატომ გახდა საჭირო მედიატექსტების სხვადასხვა ციფრულ პლატფორმებთან ადაპტაციის აუცილებლობა - მედიატექსტების მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომით შექმნა; კონვერგენციის თეორიას (Convergence Theory), რომელიც განმარტავს, როგორ გარდაქმნის მედიაპროდუქტების წარმოებას, დისტრიბუციას და მოხმარებას სხვადასხვა მედიაფორმების, პლატფორმების და ტექნოლოგიების შერწყმა (Jenkins, 2006), შესაბამისად, აღნიშნულით აიხსნება, ტრადიციული მედიატექსტების ჰიბრიდიზაციის მიზეზი; სისტემების თეორიას (Systems Theory), რომელიც განმარტავს, თუ როგორ ფუნქციონირებენ კომპლექსური სუბიექტები მთლიანობაში მათი ნაწილების ურთიერთქმედების გზით (Bertalanffy, 2015), შესაბამისად, აღნიშნულით აიხსნება, როგორ ფუნქციონირებს მედიასისტემა ურთიერთდამოკიდებულ ელემენტებად დაყოფილი ტრადიციული ჟურნალისტური კონტენტით - მედიატექსტების ახალ, მოდალურ ფორმატებში შექმნა; ინოვაციების დიფუზიის თეორიას (Diffusion of Innovations Theory), რომელიც განმარტავს, საზოგადოების მიერ ინოვაციების აღქმის თავისებურებებს და იმ კანონზომიერებას, რომლითაც შეიძლება ინოვაციების სწრაფი გავრცელების, იგივე დიფუზიის უზრუნველყოფა (Rogers, 2003), შესაბამისად, აღნიშნული განმარტავს როგორ და რატომ აკმაყოფილებს ერთი ინოვაციური მედიატექსტი საზოგადოების პრეფერენციებს, ხოლო სხვა ფორმას უჭირს ჟურნალისტურ პრაქტიკაში დამკვიდრება - ახალი მედიატექსტების ფორმების სტანდარტიზაცია.

ნაშრომის ძირითადი მიზანია ტრადიციული მედიატექსტების ტრანსფორმაციის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, კერძოდ, ჟურნალისტური ტექსტების ახალი ფორმებისა და ფორმატების იდენტიფიცირება. კვლევის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მედიატექსტების ტრანსფორმაციის შესახებ რელევანტური კვლევების მოძიება, აღწერა და შეჯამება; მისი ქვეამოცანები კი შემდეგია: ჟურნალისტური ტექსტების ახალი ფორმების იდენტიფიცირება; ციფრული პლატფორმებისთვის განკუთვნილი კონტენტის მიმართ მოთხოვნების ჩამოყალიბება; ახალი მედიაფორმატების იდენტიფიცირება, კერძოდ, ინტერაქტიური ტექნოლოგიების (360 გრადუსიანი ვიდეო, ვირტუალური რეალობა (VR) და აუგმენტული რეალობა (AR)) მედიაწარმოებაში გამოყენების სტატუსის შეფასება. ის, თუ რა მეცნიერული ცოდნაა დაგროვებული მულტიპლატფორმული ჟურნალისტიკისთვის ტრადიციული მედია ტექსტების ტრანსფორმაციის შესახებ ნაშრომის ძირითადი საკვლევი შეკითხვაა. უფრო კონკრეტული კითხვები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: არსებული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე ა) ჟურნალისტური ტექსტების რა ახალი ფორმებია მოკვლეული? ბ) რა ახალი მოთხოვნებია ჟურნალისტური ტექსტების მიმართ სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე გასავრცელებლად? გ) იყენებს თუ არა მედია ინდუსტრია, ინტერაქტიურ ტექნოლოგიებს (360 გრადუსიანი ვიდეო, ვირტუალური რეალობა (VR) და აუგმენტული რეალობა (AR)) ჟურნალისტური ტექსტის წარმოებაში?

კვლევის მიზნების მიღწევა შესაძლებელი გახდა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, ლიტერატურის ანალიზის ტექნიკით. ლიტერატურის შერჩევისას დავეყრდენით მეცნიერებისთვის რელევანტურ ინდიკატორებს და ბიბლიოგრაფია მოიცავს მასალებს ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომელიც ასახავს ახალ ცოდნას სოციალური მეცნიერებების დარგში და საკვანძო ტენდენციების გამოსავლენად, მონაცემების გაანალიზება განხორციელდა აღწერითი ანალიზის ტექნიკით, თუმცა, აღნიშნულით ვერ დგინდება გლობალური ტენდენციები, რადგან გამოკვლეულ იქნა მხოლოდ დასავლეთის და ეროვნული პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაზე თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურის სიმწირე განსაზღვრავს ნაშრომის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მნიშვნელობას, კერძოდ, ლიტერატურის სინთეზირებით

განხორციელებული, ტრადიციული მედიატექსტის დიგიტალიზაციასთან ადაპტირების უახლესი პრაქტიკის ქართულ ენაზე გაცნობა შეეძლებათ, ჟურნალიზმის მიმართულებით ცოდნის გაღრმავებით დაინტერესებული პირებს, მასობრივი კომუნიკაციის მომავალ სპეციალისტებს და აკადემიურ პერსონალს, მათ შორის, დამხმარე ლიტერატურის სახით, ასევე, მკვლევრებსა და მედიამენეჯერებს.

3. თვისებრივი კვლევა: მედია ტექსტების ახალი ფორმები დიგიტალიზაციის ხანაში

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს აღვწეროთ ინტერნეტისა და ახალი მედიის გაჩენით ტრადიციულ მედიატექსტების მეტამორფოზი და წარმოვადგინოთ მედიატექსტების ახალი ფორმები.

3.1. კვლევის დიზაინი

საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით, განვსაზღვრეთ შემდეგი საკვანძო სიტყვები: digital journalism; multiplatform journalism; digital media shift; media transformation; multiplatform content; interactive content; media innovation. აღნიშნულზე დაყრდნობით, სამეცნიერო ბაზებში მოვიძიეთ 2010 წლის შემდგომ, დიგიტალური ჟურნალიზმის მიმართულებით ნაშრომები, რომელმაც შექმნა ახალი ცოდნა ტრადიციული მედიის ტრანსფორმაციის მიმართულებით და აკმაყოფილებს რელევანტურობის ინდიკატორებს: მაღალ იმპაქტ ფაქტორს ჟურნალის შემთხვევაში; მაღალი ჰირშის ინდექსს მეცნიერის შემთხვევაში; ციტირების მაღალ რაოდენობას ნაშრომის შემთხვევაში.

3.2. ჟურნალისტური ტექსტის მეტამორფოზი

ინტერნეტის ბატონობის ეპოქაში, ნებისმიერი მიმართულების მეტამორფოზი, ინტერნეტზე დაფუძნებული საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან არის დაკავშირებული. გამონაკლისი არც მედიაა და არც მისი ინსტრუმენტი - მედიატექსტი, რომელიც ინტერნეტის და ახალი მედიის გაჩენით არამარტო ადამიანის, არამედ კომპიუტერისთვის კითხვად ფორმატში კონვერტირდა და ფორმის კონსტრუქციაც შესაბამისად იცვალა.

3.2.1. ჟურნალისტური ტექსტიდან ჟურნალისტურ კონტენტამდე

მედიის მიერ შექმნილ რეპერტუარში (Altheide, 1985) სხვადასხვა ფორმისა და სტრუქტურის ტექსტები გვხვდება და ასეთი შემოქმედებითი პროდუქტის განმასხვავებელი კატეგორიის აღსანიშნავად გამოიყენება ცნება ჟანრი. ჟურნალისტიკის კლასიკური ტიპის ქართულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, ჟურნალისტური ტექსტების ფორმებს ერთმანეთისგან განასხვავებს ჟანრების სამი სახე: ინფორმაციული ტექსტი, რომელშიც შედის შენიშვნა, ანგარიში, ინტერვიუ სხვადასხვა სახის (ავტოინტერვიუ, ინტერვიუ კომენტარი, ინტერვიუ დიალოგი და მონოლოგი, ინტერვიუ დისკუსია, ჩანახატი) და რეპორტაჟი, რომლებიც წარმოადგენენ ფაქტ(ებ)ის კონსტატირებას; ანალიტიკური ტექსტი, რომელსაც განეკუთვნება სამი სახის სტატია (სარედაქციო, პროპაგანდისტული და პრობლემატური), კორესპონდენცია, ვერსია, კომენტარი, წერილი, მიმოხილვა და რეცენზია, მათ შორის, სამეცნიერო, ლიტერატურული, კინორეცენზია და თეატრალური რეცენზია - რომლებიც წარმოადგენენ ფაქტ(ებ)ის გააზრებას; მესამე ჯგუფს, რომელიც მოიცავს ნარკვევს, ფელეტონს, პაროდიას, პამფლეტს, ჩანახატს და აღსარებას, და რომელიც ახორციელებს რეალურ-დოკუმენტური სინამდვილის მხატვრულ ტიპიზაციას ეწოდება მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრი (გობეჩია, 2019; სანიკიძე, 2015), თუმცა "ეს უკანასკნელი მიჩნეულია ანალიტიკური გამოსახვის ფორმად და მას ცალკე აღარ განიხილავენ (სანიკიძე, 2015)". დასავლეთში ჟანრების მიმართ მიდგომა განსხვავებულია. მაგალითად, საფრანგეთში ჟანრებს პრაქტიკულად არც ექცევათ ასეთი ყურადღება და ფორმებს ერთმანეთისგან განასხვავებენ ფუნქციის მიხედვით - შენიშვნად (Breve), გაფართოებულ

შენიშვნად (Filet), ანგარიშად (Compterendu), ინტერვიუდ (Entrevue) და რეპორტაჟად (Reportage), ამერიკაში ანალიტიკური მასალები ფიჩერს ჟანრში ანუ ანალიტიკური და მხატვრულ-პუბლიცისტური ერთობლიობით გადმოიცემა, გერმანიაშიც საქართველოსგან განსხვავებული მიდგომებია (გობეჩია, 2019) - მაგალითად, გერმანელი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსი ჟურნალისტებისთვის „ჟანრების მეფე“ რეპორტაჟია (ტორაძე & მაისაშვილი, მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები, 2019).

ჟანრების აღნიშნულ კლასიფიკაციაში გამოყენებული როგორც ტერმინები ის ფორმის სტრუქტურა აქტუალური იყო „ანალოგური მედიის ძველ სამყაროში, როცა ამბავი როგორც წესი იბეჭდებოდა გაზეთში ან საღამოს სატელევიზიო ახალ ამბებში“ (Pavlik, 2001), იმ დროში, როცა ნარატივი მეტწილად იდენტიფიცირდებოდა ტექსტუალურ ფორმასთან. იმ დებულებების გათვალისწინებით, რომ უმეტესწილად, კონკრეტული ჟანრების აღიარება ერთი მედიუმის ფარგლებში ხდება და როგორც ზემოთ ითქვა, ინტერნეტი მულტიმედიური პლატფორმაა, რომელიც ყველა არსებული ჟანრების მატარებლად შეიძლება იქცეს (McQuail & Deuze, 2020), ინფორმაციული ერის ტექნოლოგიური საყრდენის (Castells, 2002) გაჩენის შემდეგ, მართალია ჟანრების შინაარსი და თვისებები იგივე დარჩა, მაგრამ ჟურნალისტური ტექსტის ტრადიციული კონფიგურაცია შეიცვალა (სანიკიძე, 2015). აღნიშნულის შესაბამისად, უკვე თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელთა რაოდენობა მწირია, დასავლეთის გავლენით, მათ შორის, აკადემიზმზე მეტად პრაქტიკულობაზე აქცენტითა და ბარბარიზმის გამოყენებით, ჟურნალისტური ტექსტის შემდეგ ფორმებზე გვხვდება ინფორმაცია: ხისტი და რბილი ახალი ამბავი; მოვლენური, აქტუალური, შემეცნებითი ან თემატური და პრობლემური რეპორტაჟი; სტატია, მათ შორის, საგამოძიებო და სხვა ანალიტიკური ფორმები - სვეტი; რედაქტორის სვეტი; ე.წ. ედითორიალი ანუ სარედაქციო სვეტი, რაც იგივე წერილია; ე.წ. ოპედი ანუ სარედაქციო სტატიის მოპირდაპირე მასალა; რევიუ, იგივე მიმოხილვა, რომელიც არ მოიცავს კრიტიკული ანალიზს, რაც რეცენზიაში გვხვდება; ნიუს-ფიჩერი, ისტორიული და სამოგზაურო ფიჩერი ანუ არამხატვრული ისტორია, რომელიც დაწერილია მხატვრული ლიტერატურის წერის ტექნიკის გამოყენებით; ე.წ. პროფაილი ანუ პორტრეტი, სხვადასხვა განსხვავებული სტრუქტურით, მათ შორის, ნეკროლოგი; ინტერვიუ, რომელიც ჩანართია პროფაილში, რეპორტაჟში, სტატიაში და გამოყოფილია კომენტარის სახითაც; ე.წ. ლონგრიდი ანუ ვრცლად ნაამბობი; ბლოგპოსტი, რაც გაციფრულებული ჩანაწერია ციფრული დღიურისთვის, რომელსაც ბლოგი ჰქვია (ტორაძე, 2024); გარდა ამისა, ჟურნალისტური ტექსტის თვალსაზრისით, გვხვდება ფოტო ბლოგპოსტები, აუდიო ანუ პოდკასტი, ვიდეო ანუ ვლოგი (კუპრაშვილი, 2011) ან ყველა მათგანი ერთად. კონტამინაცია და ჟურნალისტური ფორმების შერწყმა, ინტერნეტის დამსახურებაა, მასზე დაფუძნებული ტექნოლოგიების განვითარებამ, დამატებით, ჟურნალისტური ფორმების კონფიგურაციაც შეცვალა. მეცნიერები აცხადებენ, რომ გართულდა მედიაფორმების ერთმანეთისგან გარჩევა, რადგან მათი დისტრიბუცია ხორციელდება სხვადასხვა ტიპის არხზე რაც მოქმედებს ფორმის თავდაპირველ უნიკალურობაზე და მოხმარების გამოცდილებზე, ამასთან, მკაფიო მარეგულირებელი საზღვრების ბუნდოვანება ხელს უწყობს ფორმებს შორის უფრო მეტ მსგავსებას, მზარდი კონვერგენციის პირობებში კი ეს ტენდენცია შეიძლება გაძლიერდეს (McQuail & Deuze, 2020). ზემოაღნიშნულ პროცესებს მედია მკვლევრები განიხილავენ ჟანრების ჰიბრიდიზაციისა და მულტიმედიურობის ცნებებად, კერძოდ, მულტიმედია წარმოადგენს ერთგვარ სუპერ მედიას, რადგან ის აერთიანებს ადამიანის კომუნიკაციის ბევრ ადრე განსხვავებულ და შეუსაბამო პროდუქტს (ძველი მედიის ფორმებს) ერთ კონვერგენტულ არხში (Castello, 2017). მეცნიერები მულტიმედიურ პროექტებში შემდეგ სემიოტიკურ ელემენტებს

გამოყოფენ: ტექსტი, ფოტო, ვიდეო, რუკა, დიზაინი, ანიმაცია, დინამიკური ილუსტრაცია, სტატიკური ილუსტრაცია, ნახატი-კომიქსი; მის სადემონსტრაციოდ ონლაინ სივრცეში კი ასახელებენ - ღილაკ-ჰიპერბმულს, ე.წ. მიქშერს, ე.წ. სქროლინგს ანუ ტექსტის აწევა-ჩამოწევას, ე.წ. პარალაკს-სქროლინგს, ე.წ. ზუმირებას ანუ მასშტაბირებას, სტატიკას - ტექსტის დასაწყისსა და დასასრულს, რა ელემენტების კომბინაციაც და მათი პრეზენტაციაც ქმნის ნარატიულ სტრუქტურას (Hiippala, 2017).

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული მოცემულობა ნარატივში ტექსტური ელემენტის ძირითად ერთეულად განხილვის საშუალებას აღარ იძლევა, რადგან ახალი, ჰიბრიდული ფორმები მედია ტექსტების ფართო სპექტრის ერთობლიობას წარმოადგენს, რაც სამეცნიერო აპარატისთვის შესატყვისი ტერმინოლოგიით აღნიშვნას საჭიროებს. ჟურნალისტური ტექსტი ვიწრო გაგების, სტატიკური და მეტწილად ტექსტუალური ჟურნალისტური მასალაა, რომელიც ტრანსფორმირდა უფრო ფართო, დინამიკურად და მულტიმოდალურ ფორმატში, სადაც ცალკეული ტექსტი მხოლოდ ნაწილია, რომელიც ჩაშენებულია მთლიან საინფორმაციო შინაარსში ანუ ე.წ. კონტენტში, რომელიც თავის მხრივ მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან „contentum“, რაც ნიშნავს „შიგთავსს“ და მედიაინდუსტრიის წარმომადგენელთა მეტყველებაში ინგლისურის ენის გავლენით დამკვიდრდა. კონტენტის ტექსტურის ნაწილის სტრუქტურაც დაექვემდებარე ცვლილებას და ტრადიციული, ზოგადიდან კონკრეტულისკენ სტილიდან (ტორაძე, 2024), ე.წ. ინვერსიული პირამიდიდან, რომელიც ჟურნალისტური ტექსტის შექმნის ოქროს სტანდარტად არის აღიარებული - რუბიკის კუბად წოდებულ, სამგანზომილებიან მოდელამდე ტრანსფორმირდა (Trillo-Domínguez & Alberich-Pascual, 2017), რაც თანამედროვე მედიამომხმარებლის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, კერძოდ, „ინფორმაცია მიიღოს სასურველ დროს, იმ ადგილას და იმ ფორმაში როდესაც, სადაც და როგორც მისთვისაა სასურველი თუ მოსახერხებელია“ (ფილაკი, 2023). რუბიკის კუბის მოდელზე აწყობილი თხრობა არ არის წრფივი, ტექსტურ ნაწილზე ორიენტირებული, პასიური აუდიტორიისთვის განკუთვნილი ერთ პერსპექტივაში მოცემული ინფორმაცია ანუ ერთსაფეხურიანი, სტაბილური ნარატივი, არჩევანის ან ინტერაქციის ელემენტების გარეშე, როგორი თხრობის სტილიც არის „ინვერსიული პირამიდა“. წარმოდგენილი ახალი მოდელი აღწერს თხრობის პრინციპს, რომელიც არის ფრაგმენტული, მაგრამ ერთმანეთთან კავშირში მყოფი ტექსტებისგან შექმნილი, არაწრფივი პროცესი, სადაც ნავიგაციას აკონტროლებს აუდიტორია - მან შეიძლება ჯერ ნახოს ვიდეო, შემდეგ წაიკითხოს ტექსტი ან დაათვალიეროს ფოტო, სქროლვად გრაფიკაზე შეაჩეროს ყურადღება, გაეცნოს ციტატას თუ ბმულს, ამასთან, იაქტიუროს კომენტარის, გაზიარებისა თუ ამბის ფორმირებაში მონაწილეობის კუთხით. თხრობა მრავალმხრივია და მოდალური, შესაბამისად, აუდიტორია თვითონ აწყობს ამბის სრულ სურათს, ისევე როგორც რუბიკის კუბის ფერებს (Trillo-Domínguez & Alberich-Pascual, 2017).

3.2.2. მედიაფორმატები

ინტერნეტის ტექნიკურმა შესაძლებლობებმა ჟურნალისტური კონტენტს სხვადასხვა პლატფორმაზე გაუხსნა გზა და ახალ მედიაში მიგრირებული ტრადიციული მედიის აუდიტორიის მოზიდვისთვის, მათ მოთხოვნებზე მორგებული კონტენტის სხვადასხვა ფორმატში წარდგენის შესაძლებლობა გააჩინა. ასე მაგალითად, მისთვის საინტერესო ინტერვიუს აუდიტორია შეიძლება გაეცნოს ტექსტურ ფორმატში როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული სახით; აუდიო ფორმატში, როგორც რადიოს ისე ელექტრონულ მატარებელზე, მათ შორის, თვალი ადევნოს ვიზუალურადაც, ამასთან, წინასწარი ჩაწერილი სახით ან პირდაპირ ეთერში; ვიდეოფორმატში, სადაც ყველა ზევით ხსენებული აქტივობის ერთად ან ცალ-ცალკე

განხორციელების საშუალება აქვს ანუ წაკითხვის, მოსმენის, ყურების, ამასთან ერთად ან ცალ-ცალკე ტელევიზორის, კომპიუტერის, პლანშეტის, მობილური ტელეფონის ეკრანზე და პარალელურად სხვა მედია კონტენტსაც გაეცნოს თუ მოიხმაროს. მეტიც, უკვე შესაძლებელი გახადა აუდიტორია არა მხოლოდ მკითხველი, მსმენელი ან მაყურებელი იყოს, არამედ ამბის მონაწილეც - თითქოს იმყოფება იმ დროს და იმ ადგილას, შესაბამისად, თავად განიცადოს მოვლენა. აღნიშნულზე დაყრდნობით, ის რომ ინტერნეტზე დაფუძნებული შინაარსის რედაქტირება, განახლება, რემიქსირება, აგრეგირება და რეტრანსლირება უწყვეტ რეჟიმშია შესაძლებელი (McQuail & Deuze, 2020) მათ შორის, მობილური ტელეფონითაც კი - უკვე აღნიშვნადაც არ ღირს. ინოვაციები მედიაში კონტენტის შექმნის უზღვავ შესაძლებლობას იძლევა რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან - ჟურნალისტური შემოქმედების და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების სინთეზირებასთან. ჟურნალისტიკის ტრადიციული ფორმები, რომლებიც ადაპტირებულია ციფრულ პლატფორმებზე, დღეს სცენას უზიარებენ იმერსიულ და სტრუქტურირებულ ჟურნალისტიკას, ე.წ. გეიმიფიცირებულ კონტენტს და 360° ვიდეოებს, სხვებთან ერთად (Lopezosa et al., 2023).

იმერსიული ჟურნალისტიკა, რომელიც მედიაკონტენტის შესაქმნელად იყენებს ტექნოლოგიებს, როგორიცაა ვირტუალური რეალობა (VR), გაფართოებული რეალობა (AR), 360° ვიდეო და წარმოადგენს ამბის თხრობის, ძლიერ ინსტრუმენტს, აუდიტორიის ემოციის გამოწვევისა და ჩართულობის უზრუნველყოფის კუთხით, აქტიურად ვითარდება, თუმცა მისი ფართომასშტაბიანი გამოყენება ჯერ არ ხდება. მაგალითად, საქართველოს მედია ინდუსტრიაში 360 გრადუსიანი ვიდეო ტექნოლოგიის გამოყენების მხოლოდ ერთი მაგალითი ფიქსირდება დღემდე - საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი „საქართველო 360“, რომელიც 360° ვიდეო ტექნოლოგიის საფუძველზე, მაყურებელს სთავაზობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ვირტუალურ მოგზაურობას და უშუალო გამოცდილებას (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, 2020). მეცნიერები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმერსიული ჟურნალისტიკის პოტენციალისა, ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიების დიფუზიისთვის ბარიერებს წარმოადგენს ერთი მხრივ აუდიტორიის მიმღებლობა და ტექნიკური ხელმისაწვდომობა, მეორე მხრივ კი - ჟურნალიზმის წარმოების მაღალი ხარჯი და ტექნიკური სირთულეები, რას იმას ნიშნავს, რომ მედიაინოვაციების გავრცელებისთვის მხოლოდ ტექნიკური შესაძლებლობები არ კმარა, არამედ ის დამოკიდებულია მედიაორგანიზაციების კულტურაზე, მის რესურსებსა და შექმნილ ტექნოლოგიურ გარემოზე (Cheng & Verboord, 2024). აღსანიშნავია, რომ ვირტუალურ რეალობა და 360° ვიდეო ტექნოლოგიით წარმოებული მედიაკონტენტი, ერთგვარად ელიტურ თუ ნიშურ პროდუქტად პოზიციონირებს დღემდე, იმ კონტენტთან შედარებით, რომელიც იქმნება აუგმენტური რეალობის ტექნოლოგიით. უკანასკნელის დიფუზია მედიაწარმოებაში უფრო აქტიურად განხორციელდა და დღესაც მიმდინარეობს, რადგან მის მოხმარებას არ სჭირდება სპეციალური მოწყობილობა, ადვილად ინტეგრირდება ყოველდღიურ მობილურ ტექნოლოგიებთან და მომხმარებლებისთვის უფრო ხელმისაწვდომია, გრაფიკების, რუკების თუ ინფოგრაფიკის შექმნა კი, ცხადია, სირთულის დონის გათვალისწინებით, რეგულარულ ხასიათს ატარებს არაპროფესიონალი შემოქმედისთვის.

ინოვაციების კონტექსტში, მედიის მკვლევართა ყურადღების ცენტრშია ალგორითმები, რადგან „დღეს ალგორითმები გარკვეულწილად ეხება ჟურნალისტიკის თითქმის ყველა ასპექტს, ახალი ამბების წარმოების საწყისი ეტაპებიდან, მისი მოხმარების ბოლო ეტაპებამდე“ (Zamith, 2019). ჟურნალისტიკაში ფართო გამოყენებაშია ტექნოლოგიების სრული სპექტრი, მათ შორის, სარეკომენდაციო სისტემები, რომელიც ფუნდამენტური ინოვაციაა ინტერნეტში და გადის

ტრადიციული მედიის არეალიდან (McQuail & Deuze, 2020). ასე მაგალითად, სწორედ საძიებო სისტემები იყენებენ ალგორითმებს ინფორმაციის ინდექსირებისთვის, თავის მხრივ ალგორითმები კი სინთეზირებას უკეთებენ ვებგვერდის კონტენტს, მასში გამოყენებულ ტერმინებს, ანალიტიკურ მონაცემებს, თითოეული მომხმარებლის გამოცდილების ისტორიას და აღნიშნულზე დაყრდნობით ავრცელებენ კონტენტს. ჟურნალისტიკაში ალგორითმების გამოყენების აუცილებლობა გამოიწვია აუდიტორიის მეტად პირადი ხასიათის პლატფორმებზე გადანაცვლებამ, ისეთებზე, როგორებიცაა WhatsApp-ი, Facebook Messenger-ი და სხვ., შესაბამისად, მასალების განთავსების პრაქტიკამ აუდიტორიის მიერ არჩეულ პლატფორმებზე, ცხადია, შესაბამის ფორმატში - მომხმარებელი კმაყოფილია პერსონალიზებული მომსახურებით, თავის მხრივ კმაყოფილია რობოტის უკან მდგარი ჟურნალისტიც, რადგან აქვს შესაძლებლობას მისწვდეს აუდიტორიის სასურველ სეგმენტს (Thurmana, Lewisb, & Kunertc, 2019). ზემოაღნიშნული ინოვაციები, რაც ტრადიციულ მედიაწარმოებაში კომპიუტერიზაციის მზარდ დანერგვაზე მიუთითებს გვაფიქრებინებს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაშია ტრადიციულ მედიაინსტიტუტებში ჰიბრიდული გარემოს ჩამოყალიბება, სადაც მედია პროდუქტის წარმოებაში ერთნაირად ჩართული იქნებიან როგორც რობოტები ისე ცოცხალი ადამიანები (Thurmana, Lewisb, & Kunertc, 2019).

4. დასკვნა

მედიატექსტების ტრანსფორმაციის შესახებ რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვნად გარდაქმნა როგორც მედიატექსტის ფორმები, ისე მისი პრეზენტაციის ფორმატი. ტექსტზე ორიენტირებული ნარატივი ტრანსფორმირდა ჰიბრიდულ ფორმად და მრავალფორმატიან შინაარსად, რომელიც მორგებულია სხვადასხვა ციფრულ პლატფორმას, სადაც გათვალისწინებულია აუდიტორიის ნება-სურვილი. აღნიშნულ პარაშინაარსულ სტრუქტურაში, ტექსტურ ელემენტებთან ერთად გვხვდება ფოტოები, ვიდეოები, აუდიოჩანაწერები, გრაფიკა და სამგანზომილებიანი ე.წ. 3D გრაფიკა, იქნება ეს სიმულაცია თუ რეკონსტრუქცია, სტატიკური თუ ინტერაქტიური რუკები ან ე.წ. თაიმლაინები, ასევე, მეტამონაცემები თუ ჰიპერბმულები და ალგორითმით ნაკარნახევი სარეკომენდაციო სისტემა. სწორედ აღნიშნული ელემენტები აერთიანებს თანამედროვე მედიაშინაარსს და გადამწყვეტი ფაქტორებია ინფორმაციის გავრცელებასა და მიღებაში, შესაბამისად, ნებისმიერი მედიასაშუალებისთვის დღეს, მედიაკონტენტის წარმოების პროცესში, აუცილებელი მოთხოვნაა იფიქროს ერთდროულად როგორც შინაარსის ხარისხზე, ისე მის ტექნიკურ არქიტექტურაზე.

ბიბლიოგრაფია

1. გობეჩია, გ. (2019). ანალიტიკური ჟურნალისტიკა ჟანრები, თეორია, ისტორია, პრაქტიკა, ქრესტომათიული ნიმუშები. თბილისი: გიგლა გობეჩია.
2. კუპრაშვილი, ნ. (2011). ახალი მედია - ძველი მედიისთვის. თბილისი: გამომცემლობა ,,კოლორი“.
3. სანიკიძე, ი. (2015). ჟურნალისტიკის თეორიის ფორმობრივი და შინაარსობრივი საფუძვლები. თბილისი: უნივერსალი.
4. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი. (2020 წლის 9 ოქტომბერი). „საქართველო 360“ - პირველი არხის ახალი პროექტი. მოპოვებული 2025 წლის მარტი, პირველი არხი: https://1tv.ge/video/saqartvelo-360-pirveli-arkhis-akhali-proeqti/-დან

“Fraud” and the exceptional condition for the restoration of the limitation period in private legal relations

გიორგი მუკბანიანი
მოწვეული ლექტორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
Giorgi Mukbaniani
Visiting Lecturer
Caucasus International University

აბსტრაქტი. დრო ადამიანის ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, რომელიც მრავალამხრივი და კომპლექსური კონცეფციით ხასიათდება. მას მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ადგილი უკავია ნებისმიერ დარგში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი იგი სამართლისთვის იძენს.

ხანდაზმულობის ვადა განსაზღვრავს დროს და ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება დროით. ერთი მხრივ, ეს არის ინსტრუმენტი საზოგადოების წევრს დაუწესოს კონკრეტული დრო საკუთარი უფლებების რეალიზებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, შეუზღუდოს მას აღიდგინოს დარღვეული უფლებები, თუ შესაბამის ვადაში არ მიმართავს სასამართლოს.

ხანდაზმულობის ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ამა თუ იმ უფლების, მოთხოვნის, პრეტენზიის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია, თუმცა წინამდებარე სტატიის ფარგლებში ვეცდებით პასუხი გავცეთ კითხვას, თუ როგორ შეიძლება პირმა მოახდინოს მისი უფლებების რეალიზება იმ შემთხვევაში თუ ხანდაზმულობის ვადა მისი ბრალეულობის გარეშე ამოიწურა.

როგორც წესი, გაშვებული ხანდაზმულობის ვადის აღდგენა შეუძლებელია, თუმცა საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში არის შემთხვევა, რომელიც დოქტრინის სახით ჩამოყალიბდა და სამართლიანი გარემოს შექმნისა და განმტკიცების მიზნით მივიდა იმ შედეგამდე, რომ უნდა არსებობდეს საგამონაკლისო პირობა ხანდაზმულობის ვადის „გაცოცხლების“.

საკორპორაციო სამართლის კონტექსტში კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ანალიზისას, დოქტრინამ „თაღლითობის დამალვა“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჯანსაღი ბიზნეს კლიმატის ჩამოყალიბებაში. აღნიშნული დოქტრინა პირდაპირ უკავშირდება იმ საგამონაკლისო პირობას, რომლის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია გაშვებული ხანდაზმულობის ვადის აღდგენა, ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტის განსაზღვრა და უფლებების რეალიზება.

საკვანძო სიტყვები: საკორპორაციო სამართალი, “თაღლითობა”, ხანდაზმულობის ვადა, ხანდაზმულობის ვადის ამოწურვა, დოქტრინა “თაღლითობის დამალვა”.

Abstract. Time constitutes an integral component of human life, characterized by its multifaceted and complex nature. It occupies a significant and decisive role in all fields, acquiring particular importance within the domain of law.

The statute of limitations both defines and is defined by time. On the one hand, it serves as a legal mechanism that imposes a specific timeframe within which individuals must assert their rights; on the other hand, it restricts the ability to restore violated rights if the claimant fails to take timely action before a competent court.

Once the limitation period expires without effect, the enforcement of a right, claim, or legal demand becomes virtually impossible. However, the present article seeks to address the question of whether and how an individual may realize their rights in instances where the statute of limitations has lapsed through no fault of their own.

As a general rule, an expired statute of limitations is not subject to revival. Nevertheless, international legal practice has established an exception in the form of a doctrine that aims to promote and safeguard a just legal environment. This has led to the recognition of exceptional circumstances under which the "revival" of a lapsed limitation period may be permissible.

In the context of corporate law and the analysis of private legal relationships, the doctrine of fraudulent concealment has played a critical role in fostering a sound and transparent business climate. This doctrine is directly linked to those exceptional conditions under which the reinstatement of a missed statute of limitations, the recalculation of its commencement, and the exercise of corresponding rights may become legally viable.

Keywords: corporate law, “fraud”, statute of limitations, expiration of the statute of limitations, doctrine of “fraudulent concealment”.

1.1. ხანდაზმულობის ვადის ზოგადი მიმოხილვა

ხანდაზმულობის ვადის ნორმატიული რეგულირება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგადი ნაწილის X თავით არის განსაზღვრული. იგი ხანდაზმულობისა და შეცილების ვადების, ასევე გასაჩივრებისა და მასთან დაკავშირებული ვადების მთელ პროცესს განსაზღვრავს.[70] ხანდაზმულობის ვადა საკორპორაციო სამართლის სტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. იგი განიხილება, როგორც ერთგვარი სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც იურიდიული სტაბილურობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებს ემყარება. ზოგადად, ხანდაზმულობის ვადა განსაზღვრავს პერიოდს, რომლის განმავლობაშიც დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა წარადგინოს სამართლებრივი პრეტენზია და აღიდგინოს მისი დარღვეული უფლებები სასამართლოში.

ხანდაზმულობის ვადა აწესებს დროის შეზღუდვას, რომელიც როგორც წესი, ვრცელდება კორპორაციათა ფინანსური, ასევე მმართველობითი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებზე. ხანდაზმულობის ვადა ეს არის პერიოდი, რომლის გასვლის შემდეგ სამართლებრივი პრეტენზიები და მასთან დაკავშირებული მოქმედებები კარგავს სამართლებრივ საფუძველს, შესაბამისად იგი პირდაპირაა დაკავშირებული დავების შემცირებასთან სასამართლოში და სამართლებრივი „მშვიდობის“ დამყარებასთან,[71] თუმცა ხანდაზმულობის ვადის არსებობა შესაძლოა სხვა ჭრილშიც განვიხილოთ. ამ უკანასკნელს ერთი მხრივ, დაინტერესებული პირების მიერ სასამართლოში პრეტენზიათა დროული წარდგენისათვის შესაბამისი მობილიზების ფუნქცია გააჩნია, ხოლო მეორე მხრივ, იგი აწესებდეს ლიმიტს გაუთვალისწინებელი დავების წარმოშობის ნაწილში, რაც ხელს უშლის დაუსრულებელ დავებს და მათ გაჭიანურებას სასამართლოში.[72]

1.2. ხანდაზმულობის ვადის სამართლებრივი ჩარჩო

ხანდაზმულობის ვადის ცნებას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1994 წლის პირველივე რედაქციაში ვხვდებით, შესაბამისად იგი საკორპორაციო სამართლისთვის სიახლეს არ წარმოადგენს, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 92-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, როგორც ბლანკეტური ნორმა მიგვითითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმ ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ „ამ კანონით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნათა ხანდაზმულობის ზოგადი ვადაა 5 წელი. შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე–146-ე მუხლები“.[73]

ქართულ საკორპორაციო სამართალში ხანდაზმულობის ვადის ცნებასა და მის ერთ-ერთ პირველ დეფინიციას „მეწარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარის მეორე გამოცემაში ვხვდებით,[74] რომლის თანახმად ხანდაზმულობის ვადის როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური მნიშვნელობა განისაზღვრება.[75] ნეგატიური დეფინიციის თანახმად იგულისხმება, რომ უფლების, მოთხოვნისა თუ პრეტენზიის განხორციელება შეუძლებელი ხდება, თუ კანონით

[70] ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონი, 31/03/2025 წელი, X თავი, აქვე იხ., https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=6#DOCUMENT:1;

[71] Harrison, J. (2008), The Law of Corporations in a Nutshell, Thomson West, p. 45

[72] Eisenberg, M. A. (1993). The Structure of Corporation Law. Columbia Law Review, 93(7), 1461-1524

[73] ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონი, 31/03/2025 წელი, მუხლი 92, პუნქტი 1, აქვე იხ., https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=6#DOCUMENT:1

[74] ჯორბენაძე ს., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, 2002, გვ. 209

[75] იქვ.

დადგენილი ხანდაზმულობის ვადა უშედეგოდ გავიდა.[76] მისი პოზიტიური დეფინიცია კი უკავშირდება დროის იმ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც ერთ პირს მეორე პირისგან შეუძლია მოითხოვოს რაიმე სახის მოქმედების შესრულება ან ამ მოქმედებისგან თავის შეკავება.[77] მართალია ხანდაზმულობის ვადა პირდაპირ არის დაკავშირებული კანონიდან გამომდინარე წარმოშობილ მოთხოვნებთან, იგივე პრეტენზიებთან, მაგრამ თავად კანონი განასხვავებს ერთმანეთისგან ზოგად და სპეციალურ ვადებს.[78] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 92-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს შეცილების ზოგად 6 თვიან სპეციალურ ვადას და ამბობს, რომ აღნიშნული ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც შეცილების უფლების მქონე პირმა გაიგო ან უნდა გაეგო შეცილების უფლების შესახებ.[79] კანონის ეს ჩანაწერი მეტად სპეციფიკურია. მისი დეტალური რეგულირება მოცემულია ამავე კანონის 93-ე მუხლში და მოიცავს იმ კონკრეტულ შემთხვევებს, როგორიცაა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელი ორგანოს/ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილებათა საცილოობა.[80] მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა სცდება თემით განსაზღვრული კვლევის ფარგლებს, მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ბოლო წინადადებაზე, რომელიც ამბობს, რომ „გადაწყვეტილების ან ინფორმაციის დამალვის შემთხვევაში შეცილების ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც შეცილების უფლების მქონე პირისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ“. ერთი შეხედვით წინამდებარე ჩანაწერი განმარტავს, რომ - ინფორმაციის დამალვის შემთხვევა, შეიძლება შეცილების ვადის ათვლის მომენტად მივიჩნიოთ, მაგრამ არაფერს უთითებს იმის შესახებ თუ როგორი ქმედება შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციის დამალვად. მეტიც, ჩნდება კითხვა შეიძლება თუ არა, რომ საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელი ორგანოს/ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილებათა საცილოობისთვის განსაზღვრული შემთხვევა - ინფორმაციის დამალვა, ხანდაზმულობის გამოთვლის ზოგად ვადებზეც გავრცელდეს. აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემას სტატიის შემდგომ თავებში შევეცდებით, თუმცა ყურადღებას გავამახვილებთ სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის დანაწესზე, რომელიც პრაქტიკულად აბსოლუტურად იგივე ტექსტს გვთავაზობს, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 92-ე მუხლის მე-2 პუნქტში, შეცილების ნაწილშია მოცემული, ვციტირებ: „მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ“.

მართალია საკორპორაციო სამართლის წყაროს სამოქალაქო კოდექსთან ერთად „მეწარმეთა შესახებ“ კანონიც წარმოადგენს, მაგრამ ამჟამად შემდეგი რეალობის წინაშე ვდგავართ. ხანდაზმულობის ვადების და მასთან დაკავშირებული პროცედურების რეგულირება პრაქტიკულად ერთნაირი შინაარსის და სტრუქტურის ნორმებით ხორციელდება როგორც სამოქალაქო კოდექსში, ასევე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, თუმცა სიახლეს წარმოადგენს 93-ე მუხლის ზემოხსენებული ბოლო წინადადება, რომელიც - ინფორმაციის დამალვის შემთხვევას, ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტად მიიჩნევს, მაგრამ ეს გარემოება კიდევ რამდენიმე შეკითხვას ბადებს, კერძოდ: 1. რა ხდება იმ შემთხვევაში თუკი პირი მოატყუეს, მან მისი არაბრალეულობით ვერ შეიტყო ამის შესახებ, ხოლო ამ მიზეზით

[76] იქვ.
[77] იქვ.
[78] იქვ.
[79] ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონი, 31/03/2025 წელი, მუხლი 92, პუნქტი 2, აქვე იხ., https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=6#DOCUMENT:1
[80] ჯუღელი გ., გიგუაშვილი გ., განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, 2021, გვ. 121

ხანდაზმულობის ზოგადი ან სპეციალური ვადა გავიდა? 2. ამ შემთხვევაში როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი ან საერთოდ არის თუ არა შესაძლებელი გამონაკლისის სახით ამ ვადის აღდგენა? და 3. ვინ უნდა აღადგინოს ხანდაზმულობის ვადა?

1.3. საერთაშორისო გამოცდილება

ამერიკის შეერთებულ შტატებში ხანდაზმულობის ვადები შტატების მიხედვით განსხვავებულია და დამოუკიდებლად, კონკრეტული სამართლებრივი აქტების შესაბამისად განისაზღვრება. მაგალითად, დელავერის შტატში, რომლის იურისდიქციასაც განიხილავენ, როგორც წამყვან შტატს საკორპორაციო სამართალში ხანდაზმულობის სამ წლიან ვადას განსაზღვრავს, თუმცა სხვადასხვა კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებით ეს ვადები შეიძლება განსხვავებულიც იყოს.[81] დელავერის აქტი სასამართლო და სასამართლო პროცესების შესახებ, სადაზღვევო მოთხოვნებთან მიმართებით განსაზღვრავს ერთ წლიან ხანდაზმულობის ვადას, რომელიც შეიძლება გაიზარდოს თუკი ამის შესახებ სადაზღვევო ხელშეკრულებით იქნება შეთანხმებული.[82] გაერთიანებულ სამეფოში ხანდაზმულობის ვადები განსაზღვრულია Limitation Act 1980-ის მიხედვით, რომელიც ჩვეულებრივ ექვს წლიან ხანდაზმულობის ვადას ითვალისწინებს[83], ხოლო გერმანია Bürgerliches Gesetzbuch, რომელიც წარმოადგენს გერმანულ სამოქალაქო კოდექსს, განსაზღვრავს ხანდაზმულობის ზოგად სამ წლიან ვადას, თუმცა არსებობს გამონაკლისები, რომელიც უფრო ხანგრძლივ ვადებსაც ითვალისწინებს.[84] იაპონიის სამოქალაქო სამართლის მიხედვით კი ხანდაზმულობის ვადაა ხუთი წელი, ხოლო კომპანიათა მიერ სამართლებრივი დავების შემთხვევაში ეს ვადა შესაძლოა ოც წლამდეც კი გაიზარდოს.[85] აღნიშნულ ქვეყნებში არსებული, განსხვავებული რეგულაციები გვიჩვენებს, რომ ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრა მათი სამართლებრივი და ეკონომიკური გარემოს შესაბამისად არის დადგენილი. ეს არის ერთგვარი მცდელობა აქცენტი გაკეთდეს არსებულ ბიზნეს კლიმატზე, რაც ხელს უწყობს სტაბილურობის, სამართლებრივი უსაფრთხოების დაცვასა და საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვას. მეტი სიცხადისათვის თუკი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების მიერ განსაზღვრულ ხანდაზმულობის ვადებს შორის გავავლებთ პარალელს, შესამჩნევი იქნება, რომ ყოველ კონკრეტულ შტატში ხანდაზმულობის ვადის დამოუკიდებელი და სპეციალური ვადაა დადგენილი, ხოლო ევროპის ქვეყნებში ვადები უფრო სტანდარტიზებული და მკაცრია. სწორედ ეს უკანასკნელი მიდგომა ახდენს გავლენას ბიზნეს სამართლებრივი გარემოს ფორმირებაზე და მათ სტაბილურობაზე.[86] ნებისმიერი სამართლებრივი ინსტიტუტი, ისევე როგორც თავად ხანდაზმულობის ვადის რეგულირება საერთაშორისო ბიზნეს ურთიერთობების გამარტივებასა და სამართლებრივი უსაფრთხოების გაუმჯობესებას უნდა ემსახურებოდეს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო ორგანიზაციები. მათ შორისაა გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია - UNCITRAL, რომელიც განსაზღვრავს რეკომენდაციებს წევრი სახელმწიფოებისთვის. ამ რეკომენდაციათა მიზანია შემოიტანოს სიცხადე და ერთგვაროვნება წევრ სახელმწიფოთა იურისდიქციებში იმ ვადებთან მიმართებით, რა ვადაშიც უნდა მოხდეს საჩივრის წარდგენა, იმისათვის, რომ ხანდაზმულობის ვადა უსაფუძვლოდ არ ამოიწუროს.[87]

[81] Delaware Code, Title 10, Chapter 81, § 8106

[82] Delaware Code, Title 10, Chapter 81, § 8106, Actions subject to 3-year limitation

[83] Limitation Act 1980, UK Parliament

[84] Bürgerliches Gesetzbuch (BGB), Germany

[85] Civil Code of Japan, Article 166, 167, 168

[86] Armour, Hansmann, & Kraakman, 2009

[87] Convention on Limitation Period in the International Sale of Goods, https://www.mpo.gov

ამასთანავე, გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის ეგიდით მიღებულ იქნა - Convention on Limitation Period in the Inernational Sale of Goods, რომელიც უშუალოდ ეხება ხანდაზმულობის ვადებსა და სარჩელის წარდგენის უფლებას წევრი სახელმწიფოების მიერ, იმ შემთხვევაში თუ მათ შორის საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყივის შეთანხმების ფარგლებში რაიმე დავა წარმოიშვა.[88] იქიდან გამომდინარე, რომ სხვადასხვა ქვეყნის სამართლის სისტემაში ხანდაზმულობის განსხვავებული ვადებია დადგენილი, რამაც შესაძლოა საერთაშორისო ვაჭრობაში შექმნას წინააღმდეგობა სარჩელის წარდგენისა და მისი ცნობა-აღსრულების ნაწილში, კონვენციის მიზანია სახელმწიფოთა შორის დაადგინოს ერთიანი წესები და რეგულაციები, თუ რომელიმე მხარე გადაწყვეტს დაიწყოს სასამართლო დავა მეორე მხარის წინააღმდეგ. სარჩელის წარდგენისათვის დაწესებულ კონკრეტულ დროსვადას კი შემოაქვს მეტი სიცხადე სამართლებრივ ურთიერთობებში და გარემოს მეტად პროგნოზირებადს ხდის.

ზემოხსენებული კონვენციის მე-8 მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს ხანდაზმულობის ოთხ წლიან ვადას, რომელიც კონვენციის 23-ე მუხლის თანახმად შეიძლება გაიზარდოს ათ წლამდეც. კონვენცია, ასევე არეგულირებს საქმისწარმოების დაწყების პროცედურებსაც. აღნიშნულ რეგულაციაში საინტერესოა კონვენციის მე-17 მუხლი, რომელიც ამბობს, რომ თუკი საქმისწარმოების პროცესში ხანდაზმულობის ვადა იწურება ან დარჩენილია ერთ წელზე ნაკლები დრო, მოსარჩელეს ეძლევა დამატებითი ერთ წლიანი პერიოდი, რათა ახალი სარჩელით მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული ჩანაწერი, რა თქმა უნდა, სპეციფიკურია და კონკრეტულად ეხება იმ შემთხვევას, როდესაც სასამართლო იღებს შესასრულებლად არასავალდებულო გადაწყვეტილებას, შესაბამისად მოსარჩელეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დამატებით წარადგინოს ახალი სარჩელი და აღიდგინოს მისი დარღვეული უფლება.[89] კონვენციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად თუკი გასულია ხანდაზმულობის ვადა, სარჩელის წარმოებაში მიღება ან მისი აღსრულება დაუშვებელია, თუმცა ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად შესაძლოა არსებობდეს გამონაკლისი, რომლის თანახმად თუ მხარე როგორც მოპასუხე ან როგორც შეგებებული სარჩელის ავტორი წარადგენს მის პოზიციას, ხანდაზმულობის ვადა გაიზრდება. ეს გარემოება ემსახურება ერთადერთ მიზანს, რომ იმ გრძელვადიან პროცესში რასაც სასამართლო საქმისწარმოება ჰქვია, მოპასუხეს მიეცეს საშუალება წარადგინოს დასაბუთებული პოზიცია მოსარჩელის წინააღმდეგ, რათა სასამართლომ მიიღოს სწორი, ყოვლისმომცველი და სამართლიანი გადაწყვეტილება.[90]

წინამდებარე კონვენცია განიხილება როგორც საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ გაეროს კონვენციის, იგივე CISG-ის ნაწილი, რომლის წევრი სახელმწიფო 1994 წლიდან საქართველოცაა. ეს გარემოება უნდა განიხილებოდეს, როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ყოვლისმომცველ სტანდარტიზაციას. ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოება ხელს უწყობს ეროვნული სამართლებრივი სისტემების ჰარმონიზაციას საერთაშორისო ნორმებთან და ემსახურება ბიზნეს გარემოს სრულყოფას.[91]

2.1. "თაღლითობის" მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში

[88] Convention on Limitation Period in the International Sale of Goods, https://uncitral.un.org/en/texts/salegoods/conventions/limitation_period_international_sale_of_goods

[89] Convention on Limitation Period in the International Sale of Goods, https://uncitral.un.org/en/texts/salegoods/conventions/limitation_period_international_sale_of_goods

[90] Convention on Limitation Period in the International Sale of Goods, https://uncitral.un.org/en/texts/salegoods/conventions/limitation_period_international_sale_of_goods

[91] UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (2010)

თაღლითობა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას წარმოადგენს, ხოლო კერძო სამართლის სისტემაში აღნიშნული ქმედების დეფინიციას იშვიათად შევხვდებით. მიუხედავად ამისა სამართლის მეცნიერთა მხრიდან ხშირია მცდელობა, რომ სისხლისამართლებრივად დასჯადი ქმედება თაღლითობა გაიმიჯნოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების განზრახ შეუსრულებლობისგან სამოქალაქო სამართლის ჭრილში. ეს გარემოება მიუთითებს, რომ სამოქალაქო სამართლისთვის თაღლითობა უცხო ინსტიტუტს არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ მისი სამოქალაქო სამართლის სიტემაში გამოყენება, თუნდაც ტერმინოლოგიურად მაიც სიახლეს წარმოადგენს. არამხოლოდ ეროვნული სამართლის სისტემაში, აღნიშნულ მიდგომას ვაწყდებით საერთაშორისო ნაშრომებსა თუ კვლევებშიც, რომლის თანახმად ქმედება - თაღლითობა კერძო სამართლებრივ ჭრილში, მოქცეულია ბრჭყალებში,[92] რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ქმედების აღნიშნული გამოვლინება, რომლიც თაღლითობას წარმოდგენს, სისხლისამართლებრივად დასჯადი ქმედების სახელწოდებით გვევლინება, მაგრამ მიზეზ-შედეგობრიობით სისხლისამართლებრივად განსაზღვრული ეს უკანასკნელი ქმედება აბსოლუტურად განსხვავდება სამოქალაქო სამართლებრივი თვალსაზრისით განსაზღვრული „თაღლითობისგან“. სამოქალაქო სამართალს სძალუძს თაღლითობას უფრო ფართო მნიშვნელობა მიანიჭოს, რაც მოიცავს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც არ არის სამართლიანი. აღნიშნული ქმედება შეიძლება განიმარტოს, როგორც მეორე მხარის მოტყუება, მისთვის მცდარი წარმოდგენების შექმნის საფუძველზე, რომელიც მიიღწევა ჩვეულებრივ ცრუ ინფორმაციის ან ქმედების განხორციელების გზით, ჩადენილი განზრახ, გამიზნულად ან დაუდევრობით, მეორე მხარის სწორი რწმენის უგულებელყოფით, ამასთანავე აღნიშნული ქმედების კონსტრუქციის სამოქალაქო სამართლებრივი გაგება მოიცავს მრავალ შემთხვევას, როდესაც არ ხდება ინფორმაციის სრული, სწორი და გულწრფელი გამჟღავნება. [93]

სამოქალაქო სამართალის სისტემაში კერძოსამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრისათვის თაღლითობის ნაცვლად მოტყუების მარეგულირებელი ნორმები გამოიყენება,[94] თუმცა წინამდებარე სტატიის მიზანს იმ ძირითადი საფუძვლების არსებობის შესახებ მითითება წარმოადგენს, რომლითაც ქმედება, როგორც „თაღლითობა“, სამოქალაქო ბრუნვის ურთიერთობებში დასაშვებ პრეცენდენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

2.2. „თაღლითობის დამალვა“ როგორც დოქტრინა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როცა პირმა შეიტყო ან პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.[95] იმისათვის, რომ განვსაზღვროთ აღნიშნული ნორმის მოქმედების ფარგლები, მნიშვნელოვანია პასუხი გავცეთ კითხვას: უნდა მივიჩნიოთ თუ არა ამ უკანასკნელი პირობის დარღვევად მაგალითად შემთხვევა, როდესაც მხარე განზრახ მალავს ინფორმაციას იმისთვის, რომ მოთხოვნის წარმოშობის მომენტი არ დადგეს, ხოლო ხანდაზმულობის ვადა გასულად ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა აღნიშნულის შესახებ პირდაპირ არ გვაძლევს პასუხს, მიმაჩნია, რომ ხანდაზმულობათა ვადების მიმართ გაზიარებული უნდა იყოს საერთაშორისო პრაქტიკა, რომელიც ორი ტიპის საგამონაკლისო

[92] John P. Dawson, FRAUDULENT CONCEALMENT AND STATUTES OF LIMITATION, 31 MICH. L. REV. 875 (1933)

[93] David M. Walker, THE OXFORD COMPANION TO LAW, Clarendon Press, Oxford, 1980

[94] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 31/03/2025 წელი, მუხლი 81, აქვე იხ., https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=130

[95] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 31/03/2025 წელი, მუხლი 130, აქვე იხ., https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=130#

შემთხვევას იცნობს. პირველს წარმოადგენს, "Undiscovered Fraud",[96] რომელიც შეგვიძლია მოვიხსენიოთ, როგორც „აღმოუჩენელი თაღლითობა", ხოლო მეორე, რომელიც დროთა განმავლობაში დოქტრინად ჩამოყალიბდა - "Fraudulent Concealment",[97] მოხსენიებული, როგორც "თაღლითობის დამალვა". წინამდებარე ორივე გამონაკლისი ერთ მიზანს ემსახურება, თუმცა განსხვავება მათ განხორციელებაშია. ორივე მათგანი, როგორც გამონაკლისი იძლევა ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საფუძველს შესაბამისი ფორმულების მიხედვით, რითაც მხარეს აძლევს არჩევანის შესაძლებლობას. მაგალითად, "აღმოუჩენელი თაღლითობის" ფარგლებში ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, მოსარჩელე ვერ აღმოაჩენს თაღლითობას განხორციელებულს მის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს არც მოპასუხე მხარე ცდილობს აქტიურად დამალოს მისი კანონსაწინააღმდეგო ქმედება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ყურადღება ეთმობა ფაქტს, შეეძლო თუ არა მოსარჩელეს გონივრულ ვადაში აღმოეჩინა მის მიმართ განხორციელებული თაღლითური ქმედების შესახებ.

რაც შეეხება "თაღლითობის დამალვას", ეს გარემოება მოიცავს შემთხვევას, როდესაც მოპასუხე აქტიურად მალავს მის მიერ განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, რითაც ხელს უშლის მოსარჩელეს ხანდაზმულობის ვადის ამოწურვამდე აღმოაჩინოს ეს უკანასკნელი.[98] მიუხედავად ამისა, დოქტრინა "თაღლითობის დამალვის" შესახებ გაცილებით ფართო ფორმულირებით ხასიათდება, ვიდრე გამონაკლისი "აღმოუჩენელი თაღლითობის" შესახებ. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, სასამართლო "აღმოუჩენელი თაღლითობის" შემთხვევაში აქცენტს არ აკეთებს კანონსაწინააღმდეგო ქმედების დამალვაზე, ხოლო "თაღლითობის დამალვის" შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ვრცელდება მოსარჩელეზე, დაადასტუროს მოპასუხის მცდელობა ხელი შეუშალოს მის მიერ განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, რათა ამ გარემოებამ გაამართლოს მოსარჩელის მიერ ხანდაზმულობის ვადის გასვლის სამართლებრივი საფუძველი.[99]

როგორც უკვე აღვნიშნეთ „აღმოუჩენელი თაღლითობა" გამოიყენება მაშინ, როდესაც მოსარჩელემ არაფერი იცოდა განხორციელებული უკანონო ქმედების შესახებ და შესაბამისად, მას ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში შესაბამისი მოთხოვნა არ დაუყენებია. ეს გამონაკლისი გარემოება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ხანდაზმულობის ვადა გახანგრძლივდეს, რაც მოსარჩელეს აძლევს მეტ დროს და საშუალებას მიმართოს შესაბამის სამართლებრივ ზომებს.[100] თუმცა, განსხვავებით აღნიშნული კონცეფციისა, რომელიც მიმართულია მოსარჩელის მიერ აღნიშნული თაღლითური ქმედების გაგებისკენ, „თაღლითობის დამალვა" მიმართულია ქმედებისკენ, რომლის ფარგლებშიც მოპასუხე მალავს მის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას.

მიუხედავად ამ საგამონაკლისო პირობისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლოთა მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით მოსარჩელე ვალდებულია გამოიჩინოს გულმოდგინება საკითხისადმი და ყველა ღონე იხმაროს სწორი ინფორმაციის მისაღებად. მოსარჩელეს ეკისრება მოვალეობა მოიძიოს ნებისმიერი სახის პოტენციური შეუსაბამობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა გაგრძელდება. მეტიც, იმ სასამართლო საქმეებში, რომლის მიხედვითაც მოსარჩელემ არ გამოიყენა გულმოდგინების სტანდარტი, სასამართლოები მივიდნენ დასკვნამდე არ დაეშვათ ხანდაზმულობის ვადის აღდგენის შესაძლებლობა, როგორც

[96] John P. Dawson, FRAUDULENT CONCEALMENT AND STATUTES OF LIMITATION, 31 MICH. L. REV. 875 (1933), p. 878
[97] John P. Dawson, FRAUDULENT CONCEALMENT AND STATUTES OF LIMITATION, 31 MICH. L. REV. 875 (1933), p. 877
[98] John P. Dawson, FRAUDULENT CONCEALMENT AND STATUTES OF LIMITATION, 31 MICH. L. REV. 875 (1933), p. 880
[99] John P. Dawson, FRAUDULENT CONCEALMENT AND STATUTES OF LIMITATION, 31 MICH. L. REV. 875 (1933), p. 881
[100] John P. Dawson, FRAUDULENT CONCEALMENT AND STATUTES OF LIMITATION, 31 MICH. L. REV. 875 (1933), p. 882

გამონაკლისი.[101] დოქტრინა „თაღლითობის დამალვის“ შესახებ საკითხის ფართო სპექტრს მოიცავს. იგი კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში გარკვეული სახის საგამონაკლისო წესს წარმოადგენს, რომელიც მისი პოზიტიური გაგებით ემსახურება მოტყუებული მხარის ინტერესების დაცვას და აძლევს შესაძლებლობას გაშვებული ხანდაზმულობის ვადა აღადგინოს. მიუხედავად ამ შესაძლებლობისა, მხარე, რომელიც მოტყუვდა შესაბამისი კანონსაწინააღმდეგო ქმედებით, სრულად მაინც არ თავისუფლდება ვალდებულებისგან გაატაროს პრევენციული ღონისძიებები მოწინააღმდეგე მხარის თაღლითური ქმედებებისგან თავდასაცავად.

საბოლოოდ, აღნიშნული საგამონაკლისო წესის გამოყენება თითოეული საქმის სპეციფიკაზე, შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებზე, მოპასუხის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ბუნებასა და მოსარჩელის მცდელობაზეა დამოკიდებული, რათა გამოვლინდეს თაღლითური ქმედება. ეს პროცესი ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო განხილვის საკითხი ხდება, რაც მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ სასამართლო უნდა ახდენდეს მის სრულ აღმოჩენას და მხარეთა დარღვეული უფლებების დაცვას.

2.3. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა „თაღლითობისთვის“

სამოქალაქო ურთიერთობებში ტერმინის „თაღლითობის დამალვის“ გამოყენებამ შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მკითხველი და გაუჩინოს განცდა, რომ მას რაიმე კავშირი აქვს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ რეგულირებასთან. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სამართლის მეცნიერთა მიერ არაერთხელ წამოჭრილა საკითხი ერთმანეთისგან გაემიჯნათ თაღლითობა და სამოქალაქო სამართალდარღვევა. ამ ჭრილში საკითხის განხილვა თუნდაც იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ სტატიის ფარგლებში განხილულ დოქტრინას „თაღლითობის დამალვის“ შესახებ შესაბამისი ადგილი მოვუძებნოთ ეროვნული სამართლის სისტემაში და ხელი შევუწყოთ მის სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში დამკვიდრებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ თაღლითობა სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებაა და საქართველოს სისხლის სამართლის 180-ე მუხლით რეგულირდება. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის კი შესაძლოა დადგეს, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ასევე სამოქალაქო პასუხისმგებლობა ან მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა. დილემა პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში სწორედ მათ გამიჯვნაშია.

მართალია აღნიშნული კვლევა საკორპორაციო სამართლის სისტემას მიეკუთვნება, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად პირველ ჯერზე უნდა განვმარტოთ თუ რა არის თაღლითობა სისხლისსამართლებრივი გაგებით. ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ მოტყუებასა და სხვისი ნივთის დაუფლებას შორის არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, მოტყუება კი მის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტად უნდა განვიხილოთ. აქვე მნიშვნელოვანია, რომ ნივთის ხელში ჩაგდება გავმიჯნოთ მისი დაუფლებისგან. შესაბამისად, ჯერ ხდება ნივთის ხელში ჩაგდება, ხოლო შემდეგ მისი დაუფლება. ნივთის ხელში ჩაგდება ჯერ კიდევ არ ნიშნავს შესაძლებლობას განკარგო ეს ნივთი, რაც თაღლითობის მცდელობად განიხილება, ხოლო ნივთის დაუფლების შემდეგ კი ითვლება, რომ ნივთის განკარგვის იურიდიული ბედი გადაწყვეტილია. მაგალითი გაყიდული ნივთის ხელმეორედ გაყიდვის შესახებ[102] დაგვეხმარება ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ამ ორი ქმედებიდან გამომდინარე

[101] John P. Dawson, FRAUDULENT CONCEALMENT AND STATUTES OF LIMITATION, 31 MICH. L. REV. 875 (1933), p. 881

[102] თოდუა ნ., თაღლითობის გამიჯვნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან, აქვე იხ.,
https://www.gba.ge/ka/%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%

არსებული პასუხისმგებლობები. სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ გაყიდული ნივთის ხელმეორედ გაყიდვა თაღლითობაა.[103] მაგალითად, თუ დავითმა გაყიდა მის საკუთრებაში არსებული ავტომობილი და შესაბამისი ღირებულებაც მიიღო, ხოლო ახალი მყიდველის მიერ ავტომობილის წაყვანამდე დავითმა აღნიშნული ავტომობილი მესამე პირზე ისევ გაყიდა და ნასყიდობის ხელშეკრულებაც გააფორმა, სახეზე იქნება თაღლითობა. რაც შეეხება სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ ავტომობილის მეორე მყიდველი აღმოჩნდება კეთილსინდისიერი შემძენი ავტომობილი მას დარჩება. დაზარალებულად ჩაითვლება ავტომობილის პირველი მყიდველი, რომელმაც სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის საფუძველზე ავტომობილის გამყიდველს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება უნდა მოსთხოვოს. თუმცა, თუ ავტომობილის მეორე მყიდველი აღმოჩნდება არაკეთილსინდისიერი შემძენი, მაშინ ავტომობილი გადაეცემა პირველ მყიდველს, ხოლო თაღლითობაში დაზარალებული იქნება ავტომობილის მეორე მყიდველი, რომელსაც შეუძლია სამოქალაქო წესით ავტომობილის გამყიდველს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მოსთხოვოს.

დოქტრინას „თაღლითობის დამალვის“ შესახებ სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებასთან, თაღლითობასთან ორი სახის კავშირი აქვს: 1. ტერმინოლოგიური იდენტურობა და 2. ტყუილი, როგორც თაღლითობის შემადგენელი ელემენტი. მართალია მოტყუება სამოქალაქო სამართლებრივ ჭრილში შედარებით უფრო ფართო ცნებას წარმოადგენს, ვიდრე ეს სისხლის სამართალშია, რადგან სამოქალაქო სამართალში წაყრუება ან თუნდაც დუმილი შესაბამის სამართლებრივ შედეგებს იწვევს, მაგრამ ამ კუთხით ტყუილის არსებობა, მაგალითად მოტყუებით დადებულ გარიგებაში, სხვა მიზანს, იგივე გარიგების ბათილობას ემსახურება.[104] ესე იგი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დოქტრინამ „თაღლითობის დამალვა“ სისხლისსამართლებრივი ქმედებისგან „მიითვისა“ თავად ტერმინი თაღლითობა, ხოლო ვიწრო გაგებით მის ძირითად დამახასიათებელ ნიშნად ტყუილი განსაზღვრა, რომელმაც ასევე დაავალდებულა მოსარჩელე მხარე ყველა ღონე იხმაროს სწორი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

2.4. სასამართლო პრაქტიკა ხანდაზმულობის ვადის შესახებ

სასამართლო გადაწყვეტილება 2024 წლის აპრილში იქნა მიღებული. დავა იურიდიულ პირებს შორის მიმდინარეობდა, ხოლო დავის საგანს თანხის დაკისრება წარმოადგენდა. როგორც წესი, ხანდაზმულობა სამართალში ფაქტის საკითხია და მასზე მითითება მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენს,[105] თუმცა წინამდებარე საქმეში სასამართლომ არაერთხელ განმარტა ხანდაზმულობის ვადის დეფინიცია, განსაზღვრა მისი მნიშვნელობა და მიუთითა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პრაქტიკაზე, რომლითაც ხანდაზმულობის ვადის თითქმის ყველა სამართლებრივი თვისებაა ახსნილი და დახასიათებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციების თანახმად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე.[106] ხანდაზმულობის ვადის გამოყენებით გამოირიცხება კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. ზემოხსენებული

[103] თოდუა ნ., თაღლითობის გამიჯვნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან, აქვე იხ.,
https://www.gba.ge/ka/%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%

[104] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 23/06/2024 წელი, მუხლი 82, აქვე იხ.,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=130#!

[105] საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება საქმე საქმე №ას-1123-2023, აქვე იხ.
http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

[106] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 23/06/2024 წელი, მუხლი 128, აქვე იხ.,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=130#

რეკომენდაციების თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გამოყენება სასამართლოს აძლევს საშუალებას შეისწავლოს, დაადგინოს ფაქტები და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ხელი შეუწყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას, გააძლიეროს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა ურთიერთკონტროლი და დაუყოვნებლივ აღადგინოს პირის დარღვეული უფლება.[107]

ნებისმიერ დარგში დროს დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით, დრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლებრივ ურთიერთობებში. ხანდაზმულობის ვადა არის ცნობა უფლების სუბიექტის მიმართ, სასამართლოს გზით, განსაზღვრულ დროში აღიდგინოს დარღვეული უფლება. ამ უკანასკნელს კი გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ ნებისმიერ ურთიერთობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა დიდი ხნის წინ, დროის გასვლამ შესაძლოა პირდაპირი გავლენა მოახდინოს მის უფლებებზე.[108] ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, საკუთარი უფლების დაცვა სამართლებრივად იძულების გზით ხორციელდება, ვადის გასვლა კი ამ უფლების გაქარწყლებას გულისხმობს და პირი პრაქტიკულად კარგავს შესაძლებლობას ისარგებლოს სასამართლო წესით დაცვის უფლებით.[109] ეროვნული სასამართლოების მიდგომა ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით ჰარმონიზაციაშია ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან. საქმეში სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განმარტებულია, რომ ხანდაზმულობის ვადას რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზანი ახასიათებს: 1. სამართლებრივი განსაზღვრულობა და საბოლოობა; 2. პოტენციური მოპასუხეების დაცვა ძველი სარჩელისგან; 3. უსამართლობის თავიდან აცილება, რომელიც შეიძლება დროის გასვლის გამო, წარმოიშვას არასაიმედო და არასრულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.[110] წინამდებარე გადაწყვეტილებაში ვხვდებით სსკ-ის 130-ე მუხლთან დაკავშირებულ ვადის დენის დაწყებისათვის განსაზღვრულ ობიექტურ და სუბიექტურ მომენტს.[111] ობიექტურ მომენტად უფლების დარღვევის ფაქტი განისაზღვრება, ხოლო სუბიექტურ მომენტად - დრო, როდესაც უფლებამოსილი პირისთვის უფლების დარღვევის შესახებ გახდა ცნობილი ან გარემოებათა გათვალისწინებით უფლების დარღვევის ფაქტი უნდა შეეტყო.[112] სტატიის ფარგლებში მკითხველის ყურადღებას სწორედ ხანდაზმულობის ვადის სუბიექტურ მომენტზე - სუბიექტური ფაქტორების განსაზღვრაზე გავაკეთებთ, რადგან როგორც სასამართლო განმარტავს ხანდაზმულობის ვადის დაწყებისთვის მოსარჩელის მიერ ინფორმაციის პოზიტიურ ცოდნასთან ერთად, მის ბრალეულ არცოდნასაც ითვალისწინებს.[113] აღნიშნულის შესაბამისად, „თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის თაობაზე, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებებიდან

---

[107] საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ.63; შდრ. სუსგ 11.06.2012 საქმე №ას-547-515-2012)

[108] თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005 წ., გვ. 133; ბესარიონ ზოიძე, ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბილისი, 2003 წ. გვ. 110

[109] გიორგი სვანაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 144-ე, ველი 1. თბილისი, 2017

[110] Stubbings and Otherss vs. The United Kingdom, განაცხადის ნომერი №22083/93; №220095/93, 22 ოქტომბერი, 1996

[111] საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება საქმე საქმე №ას-1123-2023, აქვე იხ. http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

[112] საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება საქმე საქმე №ას-1123-2023, აქვე იხ. http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

[113] საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება საქმე საქმე №ას-1123-2023, აქვე იხ. http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

გამომდინარე პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ“.[114] როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხანდაზმულობის ვადის დაწყებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მომენტის ერთობლიობა. სუბიექტური მომენტი მოიცავს ცოდნას, როგორც ვალდებულებას უფლების დარღვევის შესახებ ან ბრალეულ არცოდნას, თუმცა ბრალეული არცოდნა ამ შემთხვევაში განიხილება იმ კონტექსტში, როცა მოსარჩელეს უნდა სცოდნოდა უფლების დარღვევის შესახებ, მაგრამ მან ამის შესახებ მისივე ბრალეულობის გამო ვერ შეიტყო. რა ხდება იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელეს დაცული ჰქონდა კეთილსინდისიერების ყველა პირობა, მაგრამ ხანდაზმულობის ვადა გავიდა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მან მისგან დამოუკიდებელი და არაბრალეული მიზეზის გამო ვერ შეიტყო მისი უფლების დარღვევის შესახებ? აღნიშნულ კითხვაზე პასუხი სწორედ ზემოხსენებული და განხილული დოქტრინის, „თაღლითობის დამალვის“ ჭრილში უნდა შევაფასოთ და აღნიშნული დოქტრინის მახასიათებელი ნიშნები ეროვნული სამართლის სისტემაშიც გავითვალისწინოთ, რაც გაზრდის ამ ინსტიტუტის პოზიტიურ გაგებას.

ხანდაზმულობის ვადის, როგორც ინსტიტუტის არსებობა ხელს უწყობს ბიზნეს საქმიანობის სტაბილურობას და მის განვითარებას, რადგან იგი უზრუნველყოფს პარტნიორთა და კორპორაციათა სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს, რაც საფუძველი ხდება შესაბამისი გეგმის მიხედვით წარიმართოს ბიზნეს სტრატეგიები. სტრატეგიები ხშირად მოიცავს ხანდაზმულობათა ვადების გათვალისწინებას, რაც ეხმარება კომპანიებს დაიცვან თავიანთი ინტერესები და უზრუნველყონ განვითარების უწყვეტი პროცესი.[115] ინვესტიციის მართვის ნაწილში ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, ასეთ დროს ინვესტორებს უჩნდებათ განცდა, რომ მათი კაპიტალი სამართლებრივად დაცულია, ხოლო კანონით განსაზღვრული და დადგენილი ვადები კი ხელს უწყობს მათი ნდობის გაძლიერებას და ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში.[116]

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999 წელი;

2. ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა., ზუბიტაშვილი ნ., ალადაშვილი გ., მაღრაძე გ., ეგნატაშვილი დ., საკორპორაციო სამართალი, თბ., 2022;

3. გიორგი სვანაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 144-ე, ველი 1. თბილისი, 2017 წელი;

4. თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005 წ., გვ. 133; ბესარიონ ზოიძე, ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბილისი, 2003;

5. თოდუა ნ., თაღლითობის გამიჯვნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან;

[114] ახვლედიანი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999 წელი, მუხლი 130, გვერდი 320

[115] Meinhardt, H. (2017). Corporate Governance and the Law: Global Perspectives. Oxford University Press

[116] Eisenberg, M. A. (1993). The Structure of Corporation Law. Columbia Law Review, 93(7), 1461-1524

6. მიგრიაული რ., სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, გამომცემლობა შპს „სეზანი“ თბ., 2021;

7. ჯუღელი გ., გიგუაშვილი გ., განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, 2021;

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ.63; შდრ. სუსგ 11.06.2012 საქმე №ას-547-515-2012);

9. განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე;

10. ჯორბენაძე ს., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“.

უცხოენოვანი ლიტერატურა:

11. Armour, Hansmann, & Kraakman, 2009;

12. David M. Walker, THE OXFORD COMPANION TO LAW, Clarendon Press, Oxford, 1980;

13. Delaware Code, Title 10, Chapter 81, § 8106, Actions subject to 3-year limitation;

14. Eisenberg, M. A. (1993). The Structure of Corporation Law. Columbia Law Review, 93(7), 1461-1524;

15. Harrison, J. (2008). The Law of Corporations in a Nutshell. Thomson West;

16. John P. Dawson, Fraudulent Concealment and Statutes of Limitation, 31 Mich. L. Rev. 875, 1933;

17. Meinhardt, H. (2017). Corporate Governance and the Law: Global Perspectives. Oxford University Press;

სამართლებრივი აქტები:

18. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

19. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი;

20. UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (2010);

21. Limitation Act 1980, UK Parliament;

22. Bürgerliches Gesetzbuch (BGB), Germany;

23. Civil Code of Japan;

24. Delaware Code;

სასამართლო გადაწყვეტილებები:

25. Stubbings and Otherss vs. The United Kingdom;

26. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება საქმე №ას-1123-2023.

არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაცია როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილი
Juvenile Diversion and Mediation as a Component of Restorative Justice

დიმიტრი ცანავა
სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
Dimitri Tsanava
Student of the Doctoral Program in Law
Caucasus International University

აბსტრაქტი. არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია აღდგენით მართლმსაჯულების ნაწილია, რადგან კანონმდებელს ორიენტირი აქვს საზოგადოებრივი და საჯარო ინტერესების დაცვაზე. აღდგენითი მართლმსაჯულების მიზანია, დამნაშავის დასჯასთან ერთად, ყველა იმ ზიანის კომპენსაცია, რომელიც მიადგა მსხვერპლს და საზოგადოებას.

განრიდება ეს არის პროცესი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული მოქმედებების ერთობლიობას, რომელიც მიმართულია არასრულწლოვანის დასახმარებლად. დახმარების არსი მდგომარეობს შემდეგში, რომ არასრულწლოვანმა უკეთესად გააცნობიეროს თავისი ქმედება და მისი ზემოქმედება სხვა პირებზე. ეს შეიძლება მოიცავდეს მსხვერპლისთვის ბოდიშის მოხდას, მედიაციის პროცედურებს და ა.შ.

მედიაცია, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილი, ითვალისწინებს კომუნიკაციის პროცესს, სადაც მესამე მხარე მედიატორი ხელს უწყობს ორივე მხარის დიალოგს და კონფლიქტის გადაწყვეტას. ასეთი მიდგომა ქმნის შესაძლებლობას, რომ დამნაშავემ და მსხვერპლმა ურთიერთობები დააბალანსონ.

აღდგენითი მართლმსაჯულება განსაკუთრებით ეფექტურია არასრულწლოვანთა შემთხვევაში, რადგან არასრულწლოვანი ხშირად საჭიროებს მითითებას დაშვებულ შეცდომებთან მიმართებაში. ასეთ შემთხვევაში, მედიაცია და განრიდება შეიძლება მოქმედებდეს როგორც რეაბილიტაციის ინსტრუმენტი, რომელიც დამნაშავეს საშუალებას აძლევს, წვლილი შეიტანოს საკუთარი ქმედებების გამოსწორებაში. ეს მიდგომა არა მხოლოდ საზოგადოების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, არამედ ახალგაზრდა თაობას აძლევს შანსს, რომ უფრო ჰუმანურად და სოციალური პასუხისმგებლობით გაიზარდონ.

საკვანძო სიტყვები: განრიდება, მედიაცია, აღდგენითი მართლმსაჯულება, არასრულწლოვნები.

Abstract. Juvenile diversion and mediation constitute an integral component of restorative justice, as the legislative framework is fundamentally oriented towards safeguarding public and societal interests. The paramount objective of restorative justice is not merely to punish the offender, but to comprehensively compensate for the harm inflicted upon both the victim and the society at large.

Diversion represents a nuanced procedural mechanism designed to assist a juvenile. The core intervention strategy is predicated on facilitating the juvenile's enhanced cognitive comprehension of their actions and the consequential impacts on persons. This rehabilitative approach may encompass multifaceted interventions, including, but not limited to, formal apologetic restitution, structured mediation procedures, and other remedial mechanisms.

Mediation, as a part of the restorative justice, facilitates a structured communicative process wherein a third party - the mediator systematically enables dialogic engagement and conflict resolution between the conflicting parties. Such an approach engenders a unique opportunity for interpersonal reconciliation between the perpetrator and the victim,

Restorative justice demonstrates particularly profound efficacy in juvenile contexts, as they frequently require guidance in understanding their committed errors. In these circumstances, mediation and diversion function as sophisticated rehabilitative instruments, empowering the juvenile offender to meaningfully contribute to rectifying their misconduct. This progressive judicial approach not only ensures societal safety but simultaneously provides the emerging generation with a transformative opportunity to grow more humanely and with greater social responsibility.

Keywords: Diversion, mediation, restorative justice, juveniles.

აღდგენითი მართლმსაჯულება წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელების ინოვაციურ მიდგომას, რომელიც ფუნდამენტურად განსხვავდება ტრადიციული, სასჯელზე

ორიენტირებული სისტემისგან. 1970 წლის შემდეგ, სისხლის მართლმსაჯულებაში მომუშავე ადამიანების დიდი ნაწილი დანაშაულთან გამკლავების უკეთესი გზების ძიებაში იყო, იმისათვის, რომ თავიდან აერიდებინა საპატიმრო სასჯელის ნეგატიური ეფექტები.[117] ის ეფუძნებოდა იდეას, რომ დანაშაული არ არის მხოლოდ კანონის დარღვევა, არამედ პირველ რიგში ადამიანებს და ურთიერთობებს შორის არსებული კავშირის რღვევა. აღდგენითი მართლმსაჯულების იდეაა იმ ზიანის გამოსწორებაა, რომელიც დანაშაულის შედეგად მიადგა მსხვერპლს, საზოგადოებას და თავად დამნაშავესაც. იურიდიულ ლიტერატურაში საერთაშორისოდ აღიარებული ტერმინია იუვენალური იუსტიცია. ასევე, სიტყვა ,,იუსტიცია", მრავალი მნიშვნელობით გამოიყენება, უპირველესად იგი განიმარტება, როგორც მართლმსაჯულება. შესაბამისად, იუვენალური იუსტიცია ითარგმნება, როგორც არასრულწლოვანთა (მოზარდთა) მართლმსაჯულება.[118]

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც სამართლის განვითარება სულ უფრო ჰუმანურ ხასიათს იძენს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებს. დიდი ხნის განმავლობაში სისხლის სამართლის სისტემა ორიენტირებული იყო მხოლოდ სასჯელის დანიშვნაზე და ნაკლებად ითვალისწინებდა დამნაშავის რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რესოციალიზაციის საკითხებს. ეს მიდგომა განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა არასრულწლოვანებთან მიმართებაში. აღდგენითი მართლმსაჯულება წარმოადგენს ალტერნატიულ მიდგომას, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ დამნაშავის დასჯაზე, არამედ დანაშაულით გამოწვეული ზიანის გამოსწორებაზე. ტრადიციული მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დაზარალებულს ხშირად რჩება განცდა, რომ სამართალწარმოების პროცესისგან სრულიად გარიყულია და მისი უფლების დაცვაზე არავინ ზრუნავს. მის სიტყვას, სატკივარს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რაც ზრდის უკმაყოფილებას და უნდობლობას სამართალდამცავი სტრუქტურების მიმართ.[119] მსხვერპლის უფლების აღდგენა და საზოგადოებრივი თანაცხოვრების შენარჩუნება, ამ კონტექსტში, განრიდება და მედიაცია გვევლინება როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, განსაკუთრებით არასრულწლოვნებთან მიმართებაში.

განრიდება წარმოადგენს პროცესს, რომლის მეშვეობითაც ხდება არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის გამოყვანა ფორმალური, მართლმსაჯულების სისტემიდან და მისი ჩართვა რეაბილიტაციის პროგრამაში. ეს პროცესი საშუალებას აძლევს არასრულწლოვანს, თავიდან აიცილოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და ნასამართლობა, რამაც შესაძლოა დიდი გავლენა იქონიოს სამომავლოდ მის განვითარებაზე. მედიაცია, როგორც განრიდების პროცესის შემადგენელი ნაწილი, გულისხმობს დანაშაულის ჩამდენ პირსა და დაზარალებულს შორის დიალოგის წარმართვას, ნეიტრალური მესამე მხარის მედიატორის მონაწილეობით. მედიაცვიის პროცესი საშუალებას აძლევს დაზარალებულს, გამოხატოს თავისი გრძნობები და მოთხოვნები, ხოლო სამართალდამრღვევს - გააცნობიეროს თავისი ქმედების შედგები და აიღოს პასუხისმგებლობა მათზე.

საქართველოში არასრულწლოვანთა განრიდება მედიაცია დაინერგა 2010 წლიდან, ხოლო 2015 წელს მიღებული, ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით" საკანონმდებლო

[117] ივო, ერცინი, წიგნში: ერცინი/ჯავახიშვილი/ ჯავახიშვილი, აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმზღვანელო, 2020 წ. გვ 18

[118] ვ. წითელაური, ,,არასრულწლოვანთა სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები", სადისერტაციო სანშრომი, 2020 წ. გვ.27

[119] ი. ხერხეულიძე, ,,აღდგენითი მართლმსაჯულება არასრულწლოვნებისთვის, არსებული გამოცდილება და სამომავლო პერქსპექტივები". გვ, 67

დონეზე გამყარდა ეს მექანიზმები. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტის მთავარ მიზანს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი გარანტიების შექმნით, მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესების დაცვა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისთვის საჭირო მექანიზმების შემუშავება წარმოადგენდა.[120] კანონმდებლობის თანახმად, „განრიდება შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაული, და ის პირველად არის დაკავებული სამართალდარღვევით.[121] განრიდების პროგრამის ფარგლებში, არასრულწლოვანთან მუშაობენ სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა სპეციალისტები, რომლებიც ეხმარებიან მას საკუთარი ქმედების შედეგების გააზრებაში და სოციალურად მისაღები ქცევის ნორმების ჩამოყალიბებაში.

მედიაციის პროცესში, დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის შეხვედრა ხელს უწყობს ორმხრივ გაგებას და ემპათიას. არასრულწლოვანთა მედიაციას აქვს მრავალი უპირატესობა ტრადიციულ სასამართლო პროცესთან შედარებით. პირველ რიგში, ის იცავს მოზარდს სტიგმატიზაციისგან, რომელსაც ხშირად თან ახლავს სისხლის სამართლის სისტემაში მოხვედრას. არასრულწლოვანს არ რჩება ნასამართლობა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მის სამომავლო შესაძლებლობებზე ნეგატიურ გავლენას. მეორე მხრივ, მედიაცია აძლევს დაზარალებულს ხმის უფლებას და აქტიურად მონაწილეობს პროცესში. ტრადიციული სასამართლო პროცესისგან განსხვავებით, სადაც დაზარალებული ხშირად მხოლოდ მოწმის როლში გვევლინება, მედიაციაში ის თანასწორი მონაწილეა, რომელსაც შეუძლია გამოხატოს თავისი მოლოდინები და საჭიროებები.

მედიაცია ასევე ხელს უწყობს არასრულწლოვანის პასუხისმგებლობის გრძნობების განვითარებას. დანაშაულის აღიარების პროცესში, ისევე როგორც ზიანის ანაზღაურებაში აქტიური მონაწილეობა, ეხმარება მოზარდს გააცნობიეროს თავისი ქმედების შედეგები და ისწავლოს უკეთესი გადაწყვეტილების მიღება მომავალისთვის. მედიაცია არის დროის დაზოგვის პროცესი, რომელიც ამცირებს სასამართლო სისტემის დატვირთვას და საშუალებას იძლევა რესურსები გადანაწილდეს უფრო სერიოზული დანაშაულების შემთხვევებზე.

საზოგადოებისთვის განრიდებისა და მედიაციის პროგრამა წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს დანაშაულის პრევენციისთვის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. ამასთან, პროგრამა ზოგავს სახელმწიფო რესურსებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში დაიხარჯებოდა სასამართლო პროცესებისა და სასჯელის აღსრულებაზე. თუმცა, მიუხედავად მრავალი უპირატესობისა, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის განხორციელება დაკავშირებულია გარკვეულ გამოწვევებთან. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპების შესახებ. ხშირად, საზოგადოება მოითხოვს მკაცრ სასჯელს და სკეპტიკურად უყურებს ალტერნატიულ მექანიზმებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მათი ინფორმირება განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სარგებლიაონობის შესახებ. აგრეთვე, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია მასში ჩართული პროფესიონალების კვალიფიკაციაზე. შესაბამიად,

[120] საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგები ყოველწლიური ანგარიში, 2023 წ. გვ.6

[121] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 3708-IIს, 12/06/2015, მუხლი 38-ე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=25 [28/04/2025]

აუცილებელია სოციალური მუშაკების, მედიატორების, პროკურორებისა და სხვა სპეციალისტების უწყვეტი პროფესიული განვითარება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თანამედროვე სისტემა უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს. განრიდება და მედიაცია წარმოადგენს ამ პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას, რადგან ის მიმართულია არასრულწლოვნის რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისკენ, ნაცვლად მისი დასჯისა და სტიგმატიზაციისა. აღდგენითი მართლმსაჯულება არ არის მხოლოდ სამართლებრივი ინსტიტუტი, არამედ შესაძლებლობა, რომელიც ცვლის ჩვენს დამოკიდებულებას დანაშაულისა და სჯელის მიმართ. ის გვთავაზობს ახალ ხედვას, სადაც დანაშაული განიხილება არა როგორც კანონის დარღვევა, არამედ როგორც ზიანი, რომელიც მიადგა ადამიანებს და მათ ურთიერთობებს. ის გვაძლევს შესაძლებლობას, შევცვალოთ ტრადიციული მიდგომა დანაშაულისა და სასჯელის მიმართ და შევქმნათ უფრო ჰუმანური და ეფექტური სისტემა, რომელიც ორიენტირებულია არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებზე და საზოგადოების უსაფრთხოებაზე.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი განსაზღვრავს განრიდება-მედიაციის პროგრამის სამართლებრივ საფუძვლებს. კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ,,პროკურორს უფლება აქვს არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენებით“.[122] ეს წარმოადგენს პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია კანონით დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. კანონმდებლობა აწესებს რამდენიმე კუმულაციურ პირობას განრიდებისთვის: დანაშაული უნდა იყოს ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის, არასრულწლოვანი არ უნდა იყოს ნასამართლევი, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა დანაშაული, არასრულწლოვანი თანახმა უნდა იყოს განრიდებაზე, არასრულწლოვანი უნდა აღიარებდეს დანაშაულს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლი, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობას ანიჭებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, პატიმრობის კოდექსისა და თავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნების მიღწევის ყველაზე მსუბუქი საშუალების გამოყენებას. აღნიშნული კოდექსის მე-8 მუხლი იმპერატიულად ადგენს არასრულწლოვანთა მიმართ, პირველ რიგში, განრიდებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებათა გამოყენების მართებულობის შეფასებას, სასჯელის მიზნების მიღწევასთან მიმართებით. ამასთან, კანონმდებელი სასამართლოში საქმის წარმოების ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებას ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვად მიიჩნევს.[123]

განრიდება-მედიაციის პროგრამა საქართველოში წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მნიშვნელოვან მიღწევას, რომელიც ეფუძნება აღდგენითი მართლმსაჯულების თანამედროვე პრონციპებს. სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს ეფექტიანობას რეციდივიზმის შემცირებისა და არასრულწლოვანთა რეინტეგრაციის თვალსაზრისით. თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

---

[122] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ.94

[123] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემეტაციის შეფასება, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, გვ.14

პროფესიონალთა გადამზადების მიმართულებით აუცილებელია პროკურატურის, სოციალური მუშაკების, მედიატორებისა და პროცესში მონაწილე ყველა პირის რეგულარული გადამზადება თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობით. მონიტორინგისა და შეფასების სიტემის დახვეწისთვის საჭიროა შეიქმნას პროგრამის ეფექტიანობის შეფასების კომპლექსური სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს რეგულარულად შევაფასოთ შედეგები და შევიტანოთ შესაბამისი ცვლილებები. საკანონმდებლო ცვლილებების მხრივ რეკომენდირებულია განრიდების კრიტერიუმების დაზუსტება და პროკურორის დისკრეციის ფარგლების უფრო მკაფიოდ განსაზღვრა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ერთგვაროვანი პრაქტიკა.

მომავალში კვლევები უნდა ფოკუსირდეს განრიდება-მედიაციის გრძელვადიანი ეფექტების შესწავლაზე, სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამის ეფექტიანობის შედარებით ანალიზზე და დაზარალებულთა კმაყოფილების დონის შეფასებაზე. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო დავხვეწოთ პროგრამა და უზრუნველვყოთ მისი მაქსიმალური შესაბამისობა როგორც არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებთან, ისე საზოგადოების უსაფრთხოების მოთხოვნებთან.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

გამოყენებული ლიტერატურა

3. საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგები ყოველწლიური ანგარიში, 2023 წ.
4. ივო, ერცინი, წიგნში: ერცინი/ჯავახიშვილი/ ჯავახიშვილი, აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმზღვანელო.
5. წითელაური, ვ. ,,არასრულწლოვანთა სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები“, სადისერტაციო სანშრომი, 2020 წ.
6. ხერხეულიძე, ი. ,,აღდგენითი მართლმსაჯულება არასრულწლოვნებისთვის: არსებული გამოცდილება და სამომავლო პექსპექტივები“.
7. შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო) მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016 წ.
8. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემეტაციის შეფასება, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი.

დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელების პირობები (პარალელები საერთაშორისო საკორპორაციო სამართალთან)

Conditions of the Continued Existence of a Wound-UP Entrepreneurial society (Parallels with international corporate law)

გრიგოლი ახალაია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სამართლის დოქტორანტი
Grigoli Akhalaia
Caucasus International University
PhD studentin Law

აბსტრაქტი. სახელმწიფოთა განვითარება ცალსახად კავშირშიამრავალ ფაქტორთან, რომელთა შორის, თამამად შეიძლება ითქვას, მოწინავე ადგილი უჭირავს მდგრადად და შეუფერხებლად ფუნქციონირებად სამეწარმეო საზოგადოებებს.

სწორედ რომ მდგრადად და პროგრესულად ფუნქციონირებადი სამეწარმეო საზოგადოებები / მეწარმე სუბიექტები ჰქმნიან ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს ქვაკუთხედს. თუმცა, ამ ყველაფერთან ერთად, იქვე თავს იჩენს არასწორი მართვისა და სავალუტო თუ გლობალური კრიზისების შედეგად, დაშლილ კონდიციაში (ლიკვიდაციის პროცესში) მყოფი სამეწარმეო საზოგადოებებიც, რომელთაც კრიზისული, პასიური ფაზიდან გარკვეულ მიზეზთა გამო არ ან ვერ ძალუძთ განაგრძონ არსებობა. შესაბამისად, სახელმწიფოთა მდგრადი განვითარების ტენდენციურობის ასამაღლებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ დაშლილმა მეწარმე სუბიექტებმა განაგრძონ არსებობა და ისინი იყვნენ ზემოთ აღნიშნული პროცესების აქტიური წარმომადგენლები.

ზემოთ აღნიშნულ სიტუაციას, მეტად რთულ ხასიათს სძენს სახელმწიფოში არასრულფასოვანი სამართლებრივი ბერკეტების არსებობა და რეალობაში მათი იმპლემენტაციის სისტემატურობა. ამდენად, სახელმწიფოთა კანონმდებლობაშივე უნდა იქნეს შემუშავებული დამატებითი პირობები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ დაშლილი მეწარმე სუბიექტების არსებობის გაგრძელების პროცესების მარტივად წარმართვა და სასურველი შედეგის მიღწევა - მეწარმე სუბიექტის არსებობის გაგრძელება.

საკვანძო სიტყვები: სამეწარმეო საზოგადოება, ლიკვიდაცია, არსებობის გაგრძელება, პირობები.

Abstract. The development of states is clearly linked to many factors, among which, it can be safely said, the leading place is occupied by sustainably and smoothly functioning entrepreneurial societies.

Precisely sustainable and progressive entrepreneurial societies/entrepreneurial entities that form the cornerstone of an economically strong state.However, along with all this, there are also entrepreneurial societies that are in a wound-up condition (in the process of liquidation) as a result of mismanagement and currency or global crises, which, due to certain reasons, cannot or are unable to continue their existence from the crisis, passive phase.Accordingly, in order to increase the tendency of states towards sustainable development, it is vital that the dissolved entrepreneurial entities continue to exist and be active representatives of the above-mentioned processes.

The above-mentioned situation is made even more difficult by the existence of ineffective legal levers in the state and the systematic nature of their implementation in reality.Therefore, additional conditions should be developed in the legislation of the states, which should ensure the smooth conduct of the processes of continuing the existence of dissolved entrepreneurial entities and the achievement of the desired result - the continuation of the existence of the entrepreneurial entity.

Keywords: entrepreneurial society, liquidation, continuation of existence, conditions.

დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების გადაწყვეტილება არსებობის გაგრძელებაზე - პარალელები საერთაშორისო საკორპორაციო სამართალთან საკითხის ტერმინოლოგიური კუთხით განჭვრეტისას აღმოვაჩენთ, რომ ქართული სამეწარმეო სამართალი, ,,მეწარმეთა შესახებ'' სქართველოს კანონის 2022 წლის ცვლილებამდე, არ იცნობდა სიტყვათა წყობის კონცეფციას შემდეგი ფორმულირებით: ,,დაშლილი სამეწარმეო საზოგადოება'' და მით უფრო,

,,დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელების''[124] კონცეფციას. სამეწარმეო სამართლის კანონმდებლობის 2022 წლის ცვლილებამდელ პერიოდში, ზემოთ აღნიშნული პროცესის, ანუ ,,დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელების'' აღმნიშვნელი/აღმწერელი პროცესი, ტერმინოლოგიური ფორმულირებით, შემდეგნაირად წარმოსდგებოდა - ,,ლიკვიდაციის პროცესში მყოფი სამეწარმეო საზოგადოება''. მათი შედარებისას ცხადია, რომ ეს უკანასკნელი, სწორი დიქციური მსჯელობის კუთხითაც, მეტად ეფექტიანი საშუალებაა გაგებულ იქნეს მარტივად, კონკრეტულ სიტუაციაში, სამეწარმეო სამართლის რომელი ინსტიტუტის გამოვლინებას აქვს ადგილი. ტერმინოლოგიურ დონეზე პირველი მათგანი, ანუ, ,,დაშლილი სამეწარმეო საზოგადოება'', ერთი შეხედვით, თითქოს მრავალ და რთულ პროცესთა ერთიანობას წარმოადგენს, თუმცა, უნდა ითქვას ის, რომ აღნიშნულიც და ,,ლიკვიდაციის პროცესში მყოფი სამეწარმეო საზოგადოებაც'' ერთი და იმავე პროცესის აღმნიშვნელი სიტყვათა წყობაა. ერთ-ერთი განმასხვავებელი ფაქტორი კი, მათ შორის, როგორც უკვე ვახსენე, არის ის რომ ,,ლიკვიდაციის პროცესში მყოფი სამეწარმეო საზოგადოება'' უფრო მარტივად, პირდაპირ და გასაგებად გვამცნობს, რომ საქმე, სამეწარმეო სამართლის ერთ-ერთ ინსტიტუტთან, სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაციასთან გვაქვს.

რაც შეეხება მთავარ სამსჯელო საკვლევ თემას - დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების გადაწყვეტილებას არსებობის გაგრძელებაზე. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონი, დღეს, მხოლოდ ერთ საფუძველსა და პირობას გვთავაზობს, იმისათვის რომ დაშლილმა სამეწარმეო საზოგადოებამ განაგრძოს არსებობა. ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის 87 - ე მუხლის დანაწესით მხოლოდ პარტნიორთა გადაწყვეტილებაა (ხმათა 3/4-ის უმრავლესობით[125]) აუცილებელი და საკმარისი წინაპირობა დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გასაგრძელებლად. სათუოა ის ფაქტი, რომ კანონმდებლობის მსგავსი სახის იმპერატიული დათქმა, რიგ შემთხვევებში, ველარ ჰპოვებს სამართლიანობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის პირნათლად მსახურების შესაძლებლობას. მაგალითად, შპს-ში, ორი დამფუძნებელი პარტნიორის შეხედულებები არ ემთხვევა ერთმანეთს, რათა დაშლილმა სამეწარმეო საზოგადოებამ განაგრძოს არსებობა, ანუ შეწყვიტოს ლიკვიდაციის პროცესი და გადაინაცვლოს აქტიურ ფაზაში.

ზემოთ აღნიშნული სახის სიტუაციათა სამართავად მნიშვნელოვანია აღმოიფხვრას კანონმდებლობის ხარვეზი და კანონმდებლობაშივე გაჩნდეს იმგვარი ნორმები, დათქმები, რომლებიც დაიცავს და უზრუნველყოფს თითოეული პარტნიორის ინტერესსა თუ ''პარტნიორთა მიმართ სამართლიანი მოპყრობის იდეას''.

მაშასადამე, სავსებით შესაძლებელია, რომ კანონმდებლობაში დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელების მეორე წინაპირობად ჩაიწეროს სასამართლოსმიერი გზა, რომ ერთ-ერთი პარტნიორის მიმართვის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნიოს მართლზომიერად და შესაძლებელად გაგრძელდეს დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობა, თუნდაც ერთპიროვნული პარტნიორობითა და სამეწარმეო საზოგადოების ერთპიროვნული ხელმძღვანელობით.

დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელების მეორე პირობა შესაძლებელია ჩამოყალიბებულ იქნეს შემდეგი ფორმულირებით : დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელება სამეწარმეო საზოგადოების, შპს-სპარტნიორის განცხადებით/სარჩელით **სასამართლოსთვის მიმართვის გზით.** მოცემული სახის პირობას

[124]საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ''; 22/02/2023; 87-ე მუხლი;

აქვე იხ; https://matsne.gov.ge/.

[125] ბურდული ი, მახარობლიშვილი გ, თოხაძე ა, ზუბიტაშვილი ნ, ალადაშვილი გ, მაღრაძე გ, ეგნატაშვილი დ - საკორპორაციო სამართალი; (მეორე გამოცემა); გამომცემლობა - "იურისტების სამყარო" თბილისი 2022; გვ - 348-349;

აქვს არსებობის უფლება იმდენად რამდენადაც პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორებს შორის არსებობის გარკვეული უთანხმოებები და ინტერესთა შეუთავსებლობები. ასე მაგალითად, შპს-ში ორი დამფუძნებელი პარტნიორის შეხედულებები არ ემთხვევა ერთმანეთს, რათა დაშლილმა სამეწარმეო საზოგადოებამ განაგრძოს არსებობა, ანუ შეწყვიტოს ლიკვიდაციის პროცესი და გადაინაცვლოს აქტიურ ფაზაში. ამ დროს, მნიშვნელოვანია სამეწარმეო სამართლის კანონმდებლობაში არსებობდეს დამატებითი ბერკეტი/წინაპირობა, რომელზე დაყრდნობითაც ერთ-ერთმა პარტნიორმა, რომელსაც სურს დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელება, შესაძლებელი გახადოს, სასამართლოსთვის მიმართვის გზით, დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელება. მეტიც, სათანადო მტკიცებულებათა საშუალებით მოითხოვოს მეორე პარტნიორის გარიცხვა სამეწარმეო საზოგადოებიდან[126] (მაგ. შპს-დან), თუ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ მისი დარჩენა მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მომატანი იქნება სამეწარმეო საზოგადოებისთვის[127].

უცხოურ სამართალზე დაყრდნობით საკვლევ პრობლემაზე მსჯელობა, გვაძლევს შესაძლებლობას მეტად ღიად და კრიტიკულად ვისაუბროთ დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელების მიზნებისთვის ეროვნული კანონმდებლობით შემოთავაზებული პირობების თვისებრივ კონდიციებზე. მაგალითად, როგორც ვიცით ჩვენი, ეროვნული კანონმდებლობით, დღეს, მხოლოდ ერთი პირობაა შემოთავაზებული დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გასაგრძელებლად და ამასთანავე, გერმანულ საზოგადოებათა სამართალშიც **(საზოგადოებათა სამართალი - Gesellschaftsrecht)** ზუსტად იგივე წინაპირობის არსებობის მხილველნი ვართ: პარტნიორთა გადაწყვეტილება დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გასაგრძელებლად[128]. თუმცა, აქვე შეგვიძლია, გერმანულ საზოგადოებათა სამართალში (საზოგადოებათა სამართალი - Gesellschaftsrecht[129]) გაბატონებული შეხედულებისამებრ[130], ჩამოვაყალიბოთ დამატებით მესამე და მეოთხე პირობა, რათა დაშლილმა სამეწარმეო საზოგადოებამ (მაგ: შპს-მ) შეძლოს არსებობის გაგრძელება. პირობები შესაძლოა წარმოვადგინოთ შემდეგი ფორმულირებით: დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელება სამეწარმეო საზოგადოების, შპს-ს პარტნიორის/პარტნიორთა მხრიდან ამავე შპს-ს სხვა (დანარჩენი) პარტნიორის/პარტნიორების წილების შეძენით უსასყიდლოდ ან მათთვის სათანადო კომპენსაციის გადახდის გზით. ხოლო, მეოთხე პირობა კი წარმოვადგინოთ შემდეგი ფორმულირებით: დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელება სამეწარმეო საზოგადოების, შპს-ს პარტნიორთა მხრიდან წილთა შეძენის (იგულისხმება შემდგომში პარტნიორთა ამორიცხვა საზოგადოებიდან) ან წილთა შეძენის შესახებ ინფორმაციის სულ მცირე ორჯერ შეტყობინების გაგზავნითა და ამავე ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებიდან 60 დღიანი ვადის გასვლის შემთხვევაში. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, საჭიროებს კონკრეტიკას. დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელება ამგვარი პირობით შესაძლებელი უნდა იყოს იმ შეთხვევათა მოსაწესრიგებლად, როდესაც

---

[126]საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ''; 22/02/2023; 143 - ე მუხლი;

აქვე იხ; https://matsne.gov.ge/.

[127]ჯუღელი გ. გიგუაშვილი გ. განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (09.02.2021 წლის რედაქციით); თბილისი, 2021; გვ. 164;

[128]საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ''; 22/02/2023; 87-ე მუხლი;

აქვე იხ; https://matsne.gov.ge/.

აქვე იხ. Raiser/Veil KapGesR&51 Rn. 16.; GmbHG - კომენტარები Casper&60 Rn. 124 ff;

[129]კარსტენ შეფერი - საზოგადოებათა სამართალი (მთარგმნელი როინ მიგრიაული); მე-5, ახლად გადამუშავებული გამოცემა; 2019; გვ. 473-477, კონტენტ ანალიზი;

[130] V. Volker Bottien; Hans Gummert und andere - Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts Bd 5: Verein, Stiftung bürgerlichen Rechts Hardcover – 23 Mar. 2016; Seite 77-79

სამეწარმეო საზოგადოებაში, შპს-ში, გარკვეულ პარტნიორთა წრის მოძიება, მათთან კომუნიკაციის დამყარება და პარტნიორთა საერთო კრებაზე არათუ გამოცხადება, არამედ, მოწვევაც კი შეუძლებელია, რათა განხილულ და გადაწყვეტილ იქნეს დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელების საკითხი.

საკვლევ პრობლემაზე მუშაობამ გამოააშკარავა აგრეთვე ისიც, რომ კანონმდებლობით არ არის შემოთავაზებული, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების (მაგ. შპს-ს) არსებობის გაგრძელების საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც სამეწარმეო საზოგადოების (მაგ. შპს-ს) დაშლა გამოწვეული იყო სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენით[131]. ცხადია, რომ აღნიშნული სახის ნორმის არარსებობა, ცალსახად ხარვეზია კანონმდებლობისა, შესაბამისად, ამ მხრივაც, ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის 87-ე მუხლში უნდა გაჩნდეს სათანადო ნორმა.

დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელება, რომელიც ლიკვიდაციის პროცესში აღმოჩნდა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის საფუძველზე, მხოლოდ და მხოლოდ პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე, არ უნდა იყოს შესაძლებელი და ეს ამგვარადაც გახლავთ. ერთგვარი ნონსენსი იქნებოდა და სამართლებრივ ჩარჩოებს აცდენილი, რომ წარმოვიდგინოთ, სასამართლოს გადაწყვეტილების გვერდის ავლით, სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე, პარტნიორებმა თავიანთი გადაწყვეტილების საფუძველზე შეძლონ ამგვარი დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელება. მთავარი ამოსავალი წერტილი მსგავსი მოცემულობის მქონე სამეწარმეო საზოგადოებათათვის უნდა იყოს ის, რომ სათანადო მტკიცებულებათა წარდგენით, კვლავ სასმართლოს გზით, განახორციელონ ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტა და სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელება.

დასკვნა

სტატიაში გავრცობილი მსჯელობის გათვალისწინებით, ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ ,,მეწარმე თა შესახებ'' საქართველოს კანონის 87-ე მუხლში ცალკე დათქმის სახით უნდა გაჩნდეს სამართლებრივი ნორმა, რომლის დისპოზიციაც შესაძლებელია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ : დაუშვებელია დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელება პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე, იმ შეთხვევაში, თუ ამავე სამეწარმეო საზოგადოების დაშლა (ლიკვიდაციის დაწყება) განხორციელდა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენით.

პრაქტიკული თვალსაზრისითაც, სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენით დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორებს არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგინონ დოკუმენტაცია/თავიანთი გადაწყვეტილება და მოითხოვონ ლეგიტიმურად, დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელება. აღნიშნული უდავოა, რომ ამგვარად უნდა იყოს. დაბრკოლებას ჰქმნის ის ფაქტორი, რომ სისხლის სამართლის საქმეზე, სასამართლოს განაჩენის საფუძველზე, დაშლილ სამეწარმეო საზოგადოებას სამართლებრივ სტატუსად განესაზღვრება შემდეგი რამ : ,,დაშლილი საზოგადოება (მიმდინარეობს ლიკვიდაციის პროცესი)''. მეტიც, აღნიშნული სახის ჩანაწერი, კონკრეტულ მეწარმე სუბიექტზე, ამონაწერის განახლების შემთხვევაში, ამავე ამონაწერის სათანადო გრაფაში დათქმის სახით გამოჩნდება. თავის მხრივ, ეს ყოველივე, მინიშნება უნდა იყოს დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორებისათვის, რომ დამატებით რესურსების გაღება, იმ საქმისთვის, რომლის ხორცშესხმაც ვერ მოხდება, ამაო და არასასურველი შედეგის მომტანი იქნება. კერძოდ, მათი ყველა მცდელობა, სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დაშლილი სამეწარმეო

[131] საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ''; 22/02/2023; 78^1 - ე მუხლის ,,გ'' ქვეპუნქტი;

საზოგადოების არსებობის გასაგრძელებლად, მხოლოდ მათივე გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, უარყოფილი იქნება.

განვითარებული მსჯელობის კვალდაკვალ, შესაძლებელია თამამად ითქვას ისიც, რომ საკვლევი პრობლემის სიმწვავეს სწორედ, კანონმდებლობაში ზემოთ დასახელებული პირობათა არარსებობა განაპირობებს. მეტიც, აღნიშნული პირობების კანონმდებლობაში სისტემატიზაცია გაადვილებს იმ სამეწარმეო საზოგადოებათა სოციალურ ფონს, რომელთაც სურთ ხელთ არსებულ რესურსებზე დაყრდნობით განაგრძონ არსებობა თუ ფუნქციონირება. აგრეთვე, ლიკვიდაციის პროცესის არათუ დასრულება, არამედ შეწყვეტა, სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გასაგრძელებლად შეუძლებელიც კი იქნებოდა, იმ შემთხვევათა არსებობის დროს, როდესაც სამეწარმეო საზოგადოებაში, შპს-ში, გარკვეულ პარტნიორთა წრის მოძიება, კომუნიკაციის დამყარება მრავალი მცდელობის მიუხედავად ამოუხსნელი ამოცანის მსგავსი აღმოჩნდებოდა.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
2. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ 2021;
3. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 1994;

ქართულენოვანი ლიტერატურა :

4. ავტორთა კოლექტივი - საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი 1, 2011;
5. ბაქაქური ნ, მარტინ გ, და სხვები, საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო იურისტებისთვის, 2019;
6. ბურდული ი, მახარობლიშვილი გ, და სხვები, საკორპორაციო სამართალი. 2022;
7. თოდუა უ, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებებში. 2019;
8. მახარობლიშვილი გ, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი. 2015;
9. მიგრიაული რ, სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021;
10. მიგრიაული რ. ქართული კერძო სამართლის აქტუალური საკითხები (გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და სხვა პუბლიკაციები); მეორე შევსებული გამოცემა; გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო''; 2016;
11. მიგრიაული რ, შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები (შედარებითი ანალიზი ინზოლვენცის გერმანულ სამართალთან) 2004;
12. კრაკმანი რ, არმორი ჯ, დევის პ და სხვები, საკორპორაციო სამართლის ანატომია (შედარებითი და ფუნქციური მიდგომა). მესამე გამოცემა; 2019 ; ფანიაშვილი ლევან, ტივიშვილი დავით - გზამკვლევი - ,,სოციალური საწარმოებისა და არასამეწარმეო იურიდიული პირებისათვის''. რედაქტორები, GIZ, EU4BUSINESS; 2020;
13. ქოქრაშვილი ქ, სამეწარმეო სამართალი, თბილისი; 2019;
14. შეფერ კ, საზოგადოებათა სამართალი. მთარგმნელი როინ მიგრიაული. თბილისი; 2019;

15. შუდრა თ. საწარმოს ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის საგადასახადო ასპექტები. გამოცემლობა ,,თსუ''; 2010;

16. ჯანხოთელი შ. საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ'' (კითხვები, პასუხები, რეკომენდაციები) 2010;

17. ჭანტურია ლ, თედო ნ, ,,მეწარმეთა შესახებ'' კანონის კომენტარები. თბილისი 2002;

18. ჯუღელი გ, გიგუაშვილი გ, განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (09.02.2021 წლის რედაქციით) 2021;

უცხოენოვანი ლიტერატურა

19. Andrew G. PeyW.lee. and Rosemary T. TechnologyandCorporate Law, How in novation Shapes Corporate Activity? 2022

20. Andrew G. PeyW.lee, Rosemary TeeleLangrof – Technology and Corporate Laq, How innovation Shapes Corporate Activity. John Armour, Henry Hansmann, Reinier Kraakman - THE ESSENTIAL ELEMENTS OF CORPORATE LAW: WHAT IS CORPORATE LAW? ; 2009;

21. Armen A. and Harold D. Production, informationCosts, andEconomicOrganization, 62 AmericanEconomicReview 777; 1972;

22. Christoph V. William S.Jim S. and David P. 11 – Risk management in corporate law and corporate governance; 05 august 2011;

23. Dr. Dirk Eckhardt, Notar, Bergisch Gladbach; Dr. Marc Hermanns, Notar, Köln - Kölner Handbuch Gesellschaftsrech; VerlagCarl Heymanns Verlag Auflage 4. Auflage 2021;

24. John Armour, Henry Hansmann, Reinier Kraakman - THE ESSENTIAL ELEMENTS OF CORPORATE LAW: WHAT IS CORPORATE LAW? 2009;

25. Michael j. and William M. Theory of the Firm: Managerial Behavior, Agency Costand Ownership Structure, 3 JournalofFinancialEconomics 305; 1976;

26. münchener handbuch des gesellschaftsrechts.- münchen: beck bd. 3. Hans-Joachim P, Mayer D. 2001;

27. Raiser/Veil KapGesR&51 Rn. 16.; GmbHG - Casper&60 Rn. 124 ff

28. V. Volker Bottien; Hans Gummert und andere - Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts Bd 5: Verein, Stiftung bürgerlichen Rechts Hardcover – 23 Mar. 2016;

სხვა წყაროები

29. განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. თბილისი; 2021; https://info.parliament.ge;

30. განმარტებითი ბარათი „მეწარმეთაშესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. იხ. https://info.parliament.ge ;

31. პირველი დირექტივა - აპროქსიმაციის საკითხის რეგულირება; დირექტივის რეკოდიფიცირება-2012/30 EU; O.J (L315) 74.

ბენეფიციარის არამართლზომიერი მოთხოვნა და გარანტის დაცვის მექანიზმები
Unlawful Demands by the Beneficiary and Protection Mechanisms for the Guarantor

თამარ გოგოლაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სამართლის სკოლის დოქტორანტი
Tamar Gogolashvili
Caucasus International University
Doctoral student at the School of Law

აბსტრაქტი. საბანკო გარანტიის წარმოშობა და განვითარება საერთაშორისო კომერციასა და მის საბანკო მომსახურებას უკავშირდება. მიმდინარე ეტაპზე საბანკო გარანტიის საჭიროება საქართველოში უდაოდ დიდია. სამოქალაქო ბრუნვაში საბანკო გარანტიის მნიშვნელობის ზრდის მიუხედავად, დღეის მდგომარეობით როგორც სამეცნიერო ისე პრაქტიკულ დონეზე გადასაწყვეტი რჩება საბანკო გარანტიის არაერთი პრობლემური საკითხი. პრაქტიკაში აღნიშნული "ღია კითხვების არსებობა" იწვევს კომერციული ბანკების განსაკუთრებულ სიფრთხილეს საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

გარანტიის დამოუკიდებელი ხასიათი მოთხოვნის წარდგენისას ბენეფიციარს ათავისუფლებს ვალდებულების დარღვევის მტკიცების ტვირთისაგან, შესაბამისად, როგორც პრინციპალის, ასევე გარანტისათვის მნიშვნელოვანია, რომ გარანტმა ეფექტურად გამოიყენოს უფლების დაცვის მექანიზმები.

კვლევის მიზანია ბენეფიციარის არამართლზომიერი მოთხოვნის სამართლებრივი შეფასება და იმ მექანიზმების ანალიზი, რომლებიც დაიცავენ გარანტს და პრინციპალს აღნიშნული მოთხოვნებისგან.

ნაშრომში დასმული პრობლემების წარმოსაჩენად და მათი გადაჭრის გზების დასასახად ავტორის მიერ გამოყენებული იქნება კვლევის შესაბამისი მეთოდები. ავტორის მიერ განხორციელებული კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია დიალექტიკური მეთოდი, ასევე ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები, ანალოგიის და შედარების მეთოდები.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სასამართლოს როლს, შეაჩეროს (აკრძალოს) გარანტიის შესრულება. ნაშრომში იქნება მოცემული რეკომენდაციები გარანტის დაცვის მექანიზმების გამოყენებასთან დაკავშირებით.

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ პირველად ქართულ სამეცნიერო და აკადემიურ სივრცეში გაეცნონ ნაშრომს, რომელიც გამოკვეთავს ბენეფიციარის არაკეთილსინდისიერების შეფასების, გარანტის დაცვის მექანიზმებისა და სასამართლოს როლის ურთიერთმიმართებას, რაც ბალანსის შენარჩუნებისა და საბანკო გარანტიის ინსტიტუტის „გადარჩენის" მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საკვანძო სიტყვები: საბანკო გარანტია, ბენეფიციარი, კეთილსინდისიერება, კომერციული ბანკები, არამართლზომიერი მოთხოვნა.

Abstract. The origin and development of a bank guarantee are related to international commerce and its banking services. At the current stage, the importance of bank guarantees in Georgia is high. Despite the increasing importance of bank guarantees in civil turnover, number of problematic issues related to bank guarantees remain to be unsolved at both the scientific and practical levels. In practice, the existence of the aforementioned "open questions" causes commercial banks to be particularly cautious when making decisions about issuing a bank guarantee. The independent nature of the guarantee relieves the beneficiary from the burden of proving evidences for a breach of obligation, when submitting a claim, therefore, it is important for both the principal and the guarantor, that the guarantor effectively uses the mechanisms for protecting rights. The purpose of the study is the legal assessment of the beneficiary's unlawful claim and the analysis of the mechanisms that will protect the guarantor and the principal from the aforementioned claims.

Author will use appropriate research methods to present the problems raised in the paper and to suggest ways to solve them. The methodological basis of the research carried out by the author is the dialectical method, as well as the methods of induction and deduction, analogy and comparison. The work will pay special attention to the role of the court in suspending (prohibiting) the performance of the guarantee. The work will provide recommendations regarding the use of guarantor's protection mechanisms. Interested parties will have the opportunity to get acquainted with the work for the first time in the Georgian scientific and academic space, which outlines the relationship between the assessment of the beneficiary's unfairness, the mechanisms for protecting the guarantor and

the role of the court, which is an important prerequisite for maintaining the balance and "saving" the institution of bank guarantee.

Keywords: Bank guarantee, beneficiary, good faith, commercial banks, unfair demand.

შესავალი

თანამედროვე უახლესი გამოწვევების ფონზე კომერციული ბანკების განვითარების კვალდაკვალ იზრდება საბანკო ოპერაციებისა და საბანკო პროდუქტების რიცხვი, რაც თავის მხრივ საბანკო კანონმდებლობის სრულყოფისა და მთელი რიგი საკითხების სამეცნიერო დონეზე გააზრების აუცილებლობას ქმნის. საბანკო გარანტიების აქტუალურობა უდავოა, მეტიც, ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გარიგებებში მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ საშუალებას სწორედ საბანკო გარანტიები წარმოადგენს.

საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარება, მით უფრო, თანამედროვე ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის პირობებში, შეუქცევადი პროცესია, რომელიც თავის მხრივ, მოითხოვს ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობას.

სამოქალაქო ბრუნვაში საბანკო გარანტიის მნიშვნელობის ზრდის მიუხედავად, დღეის მდგომარეობით როგორც სამეცნიერო ისე პრაქტიკულ დონეზე გადასაწყვეტი რჩება საბანკო გარანტიის არაერთი პრობლემური საკითხი. პრაქტიკაში აღნიშნული "ღია კითხვების არსებობა" იწვევს კომერციული ბანკების განსაკუთრებულ სიფრთხილეს როგორც საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე, ასევე ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემთხვევაში გადახდის განხორციელდებისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის კეთილსინდისიერება მნიშვნელოვანი ფაქტორია საბანკო გარანტიებთან დაკავშირებულ ურთერთობებში. კეთილსინდისიერება კი მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს. ცხადია, არანაკლები მნიშვნელობის მქონეა გარანტის წინდახედულობა და თანმიმდევრულობა.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ბენეფიციარის არამართლზომიერი მოთხოვნის სამართლებრივი ასპექტები და მექანიზმები, რომლითაც გარანტს შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები.

საბანკო გარანტიების მნიშვნელობა

დღეისათვის საბანკო გარანტიის საჭიროება საქართველოში უდაოდ დიდია. მეტიც, საბანკო გარანტია რამდენიმე ათეულია წელია ინარჩუნებს ბიზნეს გარიგებების მყარი „გარანტის" როლს. ცხადია, კრედიტორი არ შეიძლება ყოველთვის დამოკიდებული იყოს მოვალის მიმართ ნდობაზე ან მოვალის გადახდისუნარიანობაზე. ერთი მხრივ, ნდობა არ არის კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, მეორე მხრივ, კრედიტორი მოწოდებული უნდა იყოს მოვალისაგან მოთხოვნის უზრუნველყოფის საიმედო საშუალება მიიღოს. საბანკო გარანტიის, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენება აქტუალურია იმ შემთხვევებში, როდესაც მეწარმეს ბიზნეს პროექტების განხორციელებისათვის კრედიტი კი არ სჭირდება, არამედ გარანტია, რომ ბანკი პრობლემების წარმოშობის დროს მისცემს მას ფულად სახსრებს მოვალის ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ.

საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ურთიერთობები თანამედროვე კომერციულ პრაქტიკაში ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო საშუალებაა რისკების დაზღვევის კუთხით. საბანკო გარანტიები, განსაკუთრებით დამოუკიდებელი გადახდის გარანტიები, გვთავაზობს ბენეფიციარის დაცვის მყარ იურიდიულ საფუძველს, როდესაც პრინციპალი არღვევს ძირითად ვალდებულებას, მაგრამ საბანკო გარანტიის არააქცესორულობა ქმნის საფრთხეს, რომ არაკეთილსინდისიერმა ბენეფიციარმა ბოროტად გამოიყენოს უფლება. ეს კი თავის მხრივ,

საფრთხეს უქმნის გარანტისა და პრინციპალის ინტერესებს, საბოლოო ჯამში - საბანკო გარანტიის ინსტიტუტის საიმედოობას. საბანკო გარანტიის მოქნილობასა და მიმზიდველობას მხარეებისათვის სწორედ რომ მისი არააქცესორული ხასიათი განაპირობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის კეთილსინდისიერება მნიშვნელოვანი ფაქტორია საბანკო გარანტიაში. კეთილსინდისიერება კი მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს.

მიუხედავად გარანტიის არააქცესორული ბუნებისა, ბენეფიციარს ევალება, რომ მოთხოვნის წარდგენისას იმოქმედოს მართლზომიერად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლი ითვალისწინებს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების ვალდებულებას, მართლზომიერად განახორციელონ უფლებები. კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა ბენეფიციარის მხრიდან შესაძლოა შეფასდეს როგორც უფლების ბოროტად გამოყენება და გახდეს სასამართლო დავის საგანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსი გონივრული მზრუნველობის გამოჩენას გარანტსაც აკისრებს, რაც სწორედ რომ კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინებაა.

ბენეფიციარის მოთხოვნის შემოწმების ფარგლები

ბენეფიციარის მოთხოვნის მართლზომიერების, ბენეფიციარის კეთილსინდისიერების შეფასებისას უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენა. გარანტს უნდა წარედგინოს მოთხოვნა გარანტიაში განსაზღვრული წესის დაცვით. გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის თანხის გადახდის აუცილებელი წინაპირობაა მოთხოვნის წარდგენა გარანტიაში მითითებული ვადის დაცვით. გარანტი ვალდებულია, დაადასტუროს, რომ ბენეფიციარის მოთხოვნის წარმოდგენა მოხდა საბანკო გარანტიის ვადის ამოწურვამდე. ვადის დარღვევა ან მოთხოვნის წარდგენის სხვა წესის დაუცველობა წარმოადგენს გარანტის მიერ გადახდაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძველს. მნიშვნელოვანია, რომ გარანტმა ზედმიწევნით დაიცვას გარანტიაში მითითებული წესები, რადგან გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ ბენეფიციარისათვის ანაზღაურების შემთხვევაში გარანტი კარგავს რეგრესული მოთხოვნის უფლებას პრინციპალის მიმართ. რეგრესული მოთხოვნა კი გარანტის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია.

საბანკო გარანტია უზრუნველყოფის მყარი, საიმედო და "სწრაფად აღსრულებადი" საშუალებაა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იგი უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას.

საბანკო გარანტია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უზრუნველყოფის საშუალებაა, რომელიც სხვა უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან განსხვავებით, რიგი თავისებურებებით ხასიათდება. საბანკო გარანტიის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რაც მას უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან გამოარჩევს, არის საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისაგან.

მიუხედავად საბანკო გარანტიის კანონით გათვალისწინებული დამოუკიდებელი (არააქცესორული) ბუნებისა და მისი დამოუკიდებლობის ძირითადი ვალდებულებისაგან, მისი გაცემის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის, აუცილებელია, რომ საბანკო გარანტია აკმაყოფილებდეს ასევე ორ მნიშვნელოვან წინაპირობას, კერძოდ, ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს გარანტიის პირობებს და მისი წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ გარანტიით განსაზღვრულ ვადაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით - არააქცესორულობით. საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნების პრაქტიკული ახსნა კი მის ეკონომიკურ დანიშნულებაშია. სამოქალაქო ბრუნვის სისწრაფისა და სიმარტივის ხელშესაწყობად, კანონმდებელმა საბანკო გარანტიის სახით შექმნა მოთხოვნის უზრუნველყოფის იმგვარი მექანიზმი, რომელიც კრედიტორის რისკებს მინიმუმამდე დაიყვანს და დავის წარმოების გარეშე უზრუნველყოფს მის მყისიერ დაკმაყოფილებას მაღალი რეპუტაციის, გადამხდელუნარიანი მეწარმე სუბიექტის (ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის) უშუალო ჩართულობით. საბანკო გარანტიის სიმყარე და ეფექტურობა ხელს უწყობს მრავალი ისეთი გარიგების დადებას, რომელიც ვერ შედგებოდა, რომ არა გარანტის სახით ბანკის ურთიერთობაში მონაწილეობა, რაც მესამე პირის ვალდებულების ჯეროვან შესრულებაზე ვალდებულების აღებასა და მისი შესაგებლების გამოყენების გარეშე საბანკო გარანტიის მოსარგებლის ფინანსურ დაკმაყოფილებაში გამოიხატება.

საბანკო გარანტია მოქმედებს, როგორც სახელშეკრულებო რისკის განაწილების მექანიზმი (რომელიც უზრუნველყოფს, რომ დავის შემთხვევაში ბენეფიციარს არ მოუწიოს სასამართლო გადაწყვეტილების ლოდინი თანხის მიღებამდე).

გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის გარანტიით გათვალისწინებულ გადახდაზე უარის თქმა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია შესაძლებელი, მათ შორის, ბენეფიციარის ქმედებებში უფლების ბოროტად გამოყენების მოტივით. კეთილსინდისიერების პრინციპზე მითითებები უკიდურესად ფრთხილად უნდა იქნას გამოყენებული, რათა საბოლოოდ არ მოხდეს საბანკო გარანტიის დამოუკიდებულობის პრინციპის ჩანაცვლება აქცესორულობის პრინციპით.

რა შემთხვევებში შეიძლება ბენეფიციარს უარი ეთქვას გადახდაზე მის ქმედებებში უფლებების ბოროტად გამოყენების ნიშნების არსებობის გამო, - საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია. ეს შეიძლება იყოს ასევე შემთხვევა, როდესაც ბენეფიციარი, მიიღო რა პრინციპალისაგან შესრულება, უსაფუძვლო გამდიდრების მიზნით ითხოვს გარანტისაგან გადახდას.

გაერთიანებული ერების UNCITRAL-ის მოდელური კანონი და საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) წესები — Uniform Rules for Demand Guarantees (URDG 758) — ითვალისწინებენ ბენეფიციარის კეთილსინდისიერების მნიშვნელობას. UNCITRAL-ის მოდელური კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ გარანტს აქვს უფლება, უარი თქვას გადახდაზე თაღლითური (ე.წ. „ფროდი“) მოთხოვნის შემთხვევაში. აღნიშნული ე.წ. „ფროდის გამონაკლისი“ ქართული კანონმდებლობით საბანკო გარანტიასთან მიმართებაში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, თუმცა ამ შემთხვევაში გამოიყენება სამოქალაქო სამართლის პრინციპები, განსაკუთრებით კეთილსინდისიერებისა და ბოროტად გამოყენების აკრძალვის პრინციპები.

თუ გარანტი დაადასტურებს, რომ ბენეფიციარი მოქმედებდა არამართლზომიერად, არაკეთილსინდისიერად, სულ მცირე სასამართლოს გზით გარანტიის საფუძველზე გადახდის შეჩერებას უნდა მიაღწიოს. „ფროდი“, როგორც წესი, გულისხმობს ბენეფიციარის მიერ განზრახ ცრუ განცხადებას ან არაკეთილსინდისიერ ქმედებას გარანტიის მოთხოვნის წარდგენისას. „თაღლითობის გამონაკლისი“ მნიშვნელოვანი კონცეფციაა მოთხოვნის გარანტიების პრაქტიკული და სამართლებრივი ფუნქციონირებისთვის. ქართული სამართლებრივი სივრცე ჯერ კიდევ ვითარდება ამ მიმართულებით, თუმცა უკვე იკვეთება საერთო მიდგომა საბანკო

გარანტიებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვასთან დაკავშირებით.

ბენეფიციარის კეთილსინდისიერება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს გარანტიის სისტემის მდგრადობას და სამართლიანობას. მიუხედავად გარანტიის დამოუკიდებელი ბუნებისა, ბენეფიციარის უფლება მოთხოვნის წარდგენაზე არ არის აბსოლუტური.

გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ. აღნიშნული ნორმა საშუალებას აძლევს ბენეფიციარს მიმართოს შესაბამის ზომებს.

ქართულ სამართალში განმტკიცებულია გარანტის მიერ ბენეფიციარის დაუყოვნებლივ შეტყობინების ვალდებულება. დაუყოვნებელ შეტყობინებაში იგულიხმება შეტყობინება „ბრალეული გაჭიანურების გარეშე“ და იგი, როგორც წესი, მომდევნო საბანკო სამუშაო დღეა. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ბენეფიციარს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს საბანკო გრანტიის მოქმედების დარჩენილი დროის განმავლობაში ხელმეორედ წარადგინოს მოთხოვნა გარანტის მიმართ და მოსთხოვოს მას საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება. რადგან თუკი მოთხოვნა დროულად იქნა წარდგენილი, მაგრამ უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, ბენეფიციარი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე ჯეროვანი წესით ხელახლა წარადგინოს მოთხოვნა და მოითხოვოს დაკმაყოფილება.

მიმდინრე ეტაპზე საჭიროა როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული მექანიზმების განვითარება, რათა დაცული იქნებს ბალანსი ბენეფიციარის, გარანტისა და პრინციპალის ინტერესებს შორის. სწორედ ასეთი განვითარება ქმნის რეალურ საფუძველს გარანტიის ინსტიტუტის ეფექტურად და სამართლიანად გამოყენებისთვის. ტექნოლოგიები გაუმჯობესებს გარანტიების მართვას, მაგრამ გაზრდის მისი ბოროტად გამოყენების რისკს. ტექნოლოგიამ არ უნდა ჩაანაცვლოს კეთილსინდისიერების სამართლებრივი შეფასება — აღნიშნული უნდა დარჩეს ადამიანის სამართლებრივი ანალიზის საგნად.

გონივრული მზრუნველობა, როგორც რეგრესის უფლების განხორციელების ერთ-ერთი წინაპირობა

ბენეფიციარის თუმდაც არამართლზომიერი, არაკეთილსინდისიერი მოთხოვნის საპირწონედ არსებობს კომერციული ბანკის როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ძლიერი მხარის ვალდებულება, გამოიჩინოს გონივრული წინდახედულობა, გონივრული მზრუნველობა.

რეგრესის უფლების განხორციელება გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის საბანკო გარანტიის საფუძველზე გადახდილი თანხის პრინციპალისაგან მიღების წინაპირობაა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარანტის რეგრესის უფლებასთან დაკავშირებით ერთი მუხლით შემოიფარგლება და ღიად ტოვებს მთელ რიგ საკითხებს. სამოქალაქო კოდექსის ჩანაწერები ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით გაფართოებასა და სრულყოფას მოითხოვს, რადგან ბენეფიციარის მოთხოვნის არასწორი დაკმაყოფილება რეგრესის უფლების დაკარგვის ტოლფასია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თუ გარანტი, მიუხედავად ბენეფიციარის კეთილსინდისიერებისა, გადაიხდის ბენეფიციარის სასარგებლოდ გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ, იგი დაკარგავს რეგრესის უფლებას და მას მოთხოვნის უფლება მხოლოდ ბენეფიციარის მიმართ დარჩება. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, გარანტს არა აქვს უფლება მოსთხოვოს პრინციპალს იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ ან ბენეფიციარის მიმართ

გარანტის ვალდებულების დარღვევის გამო, თუ პრინციპალთან გარანტის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

როგორც ქართულ სამართლის დოქტრინაშია აღნიშნული, სასამართლო პრაქტიკის განზოგადებული დასკვნით, გარანტის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ გაცემული თანხა რეგრესის წესით პრინციპალისაგან ანაზღაურებას ექვემდებარება, თუ ბენეფიციარის მოთხოვნა, თანხის გაცემის თაობაზე, შეესაბამებოდა გარანტიის პირობებს, კერძოდ, იმ მიზნებსა და ამოცანებს, რისთვისაც საბანკო გარანტიის ხელშეკრულება დაიდო.

რეგრესის უფლების დაუბრკოლებელი განხორციელების წინაპირობა არის: სწორად შედგენილი გარანტია და გარანტიაში მოცემული პირობების ზედმიწევნით დაცვა გარანტის მიერ როგორც ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებისას, ასევე პრინციპალის მიმართ მოთხოვნის წარდგენისას.

მიზანშეწონილია სპეციალური ნორმ(ებ)ის შემოტანა სამოქალაქო კოდექსში, რომელიც პირდაპირ შეეხება საბანკო გარანტიებთან დაკავშირებით ბენეფიციარის მოთხოვნის კეთილსინდისიერების შემოწმებას და მის შედეგებს.

დასკვნა

გარანტიის სამართლებრივი მექანიზმების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გამარტივებას, მხარეთა ინტერესების დაცვის ეფექტურობას, ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობის გამყარებას, ყოველივე აღნიშნული კი არამხოლოდ ადგილობრივი, არამედი გლობალური ეკონომიკურ სტაბილურობის წინაპირობაა.

საბანკო გარანტიებზე მზარდი მოთხოვნა შეიმჩნევა როგორც საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ სუბიექტებს, ასევე ფინანსურ ინსტიტუტებს შორის, რომლებიც მუდმივად ახდენენ შესაბამისი დოკუმენტაციის დახვეწას ბაზრის დინამიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ასევე მზარდი კონკურენციისა და ტექნოლოგიური განვითარების პირობებში ამ ინსტრუმენტის შემდგომი გამოყენებისა და პოპულარობის შენარჩუნება მნიშვნელოვად იქნება დამოკიდებული არამარტო მათ მოქნილობაზე, არამედ სასამართლო პრაქტიკაზეც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიური განვითარება თაღლითობის რისკებს მნიშვნელოვნად გაზრდის. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დადგინდეს ისეთი სტანდარტი, რომელიც წარმოადგენს გონივრულ ბალანსს ერთი მხრივ არააქცესორულობის პრინციპის დაცვასა და, მეორე მხრივ, თაღლითური ქმედებების აღკვეთისა და პრევენციის აუცილებლობას შორის.

წინამდებარე ნაშრომში წარმოჩენილი პრობლემები, დღეისათვის თავისი აქტუალურობით უდაოდ ყურადღებას იმსახურებენ. ეს კი ნიშანია იმისა, რომ საბანკო გარანტიის ნორმატიული რეგულირება ფეხდაფეხ უნდა მისდევდეს დროს და მუდმივად უნდა იხვეწებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მიღების თარიღი: 26/06/1997;
2. მესხიშვილი ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები: თეორია და სასამართლო პრაქტიკა ტ.1, რედ. თამარ ჭალიძე, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბ. 2020;
3. ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2014;

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 17/02/2015 გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/3772-14;

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 14/12/2016 გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/4960-16;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 13/12/2023წ. გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1356-2023;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 01/02/2017წ. გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1038-999-2016;

8. Cranston Ross and Avgouleas Emilios, Principles of Banking Law, Oxford University Press, 2017;

9. Derleder Peter, Knops Kai-Oliver, Bamberger Heinz Georg " Bankrecht" (2nd Edition), Springer City: Berlin, Germany, 2017;

10. Dewar John "International Project Finance: Law and Practice" (3rd Edition), Oxford University Press City: Oxford, UK, 2021;

11. Gooch James M. Banking Law and Regulation, Wolters Kluwer, 2016;

12. Goode Roy, Kronke Herbert, McKendrick Ewan, Transnational Commercial Law: International Instruments and Commentary (2nd Edition), Oxford University Press City: Oxford, UK, 2012;

13. Kern Alexander, Principles of Banking Regulation, Cambridge Unievrsity Press, 2019;

14. Portisch Wolfgang and Ernst Ulrich, Bankrecht: Grundlagen des privaten und öffentlichen Bankrechts sowie des internationalen Bankgeschäfts, 2018;

15. Schwintowski / Mittwoch, Bankrecht: Geschäftsfelder - Digitalisierung – Europäisierung Aufl., Carl Heymanns Verlag, Köln, 2018;

16. Schütze Rolf A., Bankgarantien in der internationalen Praxis (5th Edition), De Gruyter City: Berlin, Germany, 2018;

17. Stuerner Rolf and Schaefer Christoph, Bankvertragsrecht, C.H. Beck, 2017;

18. Westphalen Friedrich Graf, Die Bankgarantie im internationalen Handelsverkehr (5th Edition), Dr. Otto Schmidt City: Cologne, Germany, 2015.

Digital Identity and Legal Personhood: Regulating AI and Virtual Entities in the Digital Age

Nino Jolia
Visiting Lecturer at Caucasus International University
PhD in Economics, PhD (c) in Law

Abstract. As artificial intelligence systems, virtual avatars, and decentralized autonomous organizations increasingly perform complex functions in society, legal frameworks face unprecedented challenges in addressing their status and governance. This article examines the intersection between digital identity and legal personhood, investigating whether AI-driven entities should receive formal legal recognition and under what conditions.

The discussion analyzes key regulatory challenges including liability allocation, data sovereignty, and accountability mechanisms in human/non-human interactions. Questions include: Should AI systems possess limited legal standing for specific purposes? How might digital identity frameworks balance innovation against established legal principles? What structures best address harms originating from autonomous digital entities?

Through comparative analysis of emerging regulatory approaches – including the EU AI Act, corporate personhood extensions, and blockchain-based governance frameworks – the article identifies potential pathways for legal evolution. Particular attention is given to graduated personhood models that correlate rights with corresponding responsibilities and oversight mechanisms.

This exploration aims to develop a nuanced regulatory approach that facilitates technological advancement while safeguarding human rights and societal interests. The legal status of AI entities has transcended theoretical debate to become an urgent policy imperative shaping the future of legal systems.

Keywords: artificial intelligence, legal personhood, digital identity, regulatory frameworks, autonomous systems, liability, data sovereignty, EU AI Act, graduated personhood, technological governance.

Introduction

The digital age is transforming how we interact with technology, creating new entities that challenge the boundaries of traditional legal frameworks. Among these innovations, artificial intelligence (AI), virtual avatars, and decentralized autonomous organizations (DAOs) are reshaping societal functions, from business operations to social interactions. As these technologies become increasingly autonomous and integrated into daily life, they raise pressing questions about their legal status, accountability, and regulation.

The proliferation of advanced technologies – particularly artificial intelligence (AI), virtual entities, and decentralized systems – is rapidly reshaping legal and institutional landscapes. These developments not only introduce novel actors into the digital ecosystem but also compel a reevaluation of foundational legal concepts such as personhood, responsibility, and identity.[132] Traditional legal doctrines, designed for human individuals and legal entities, are increasingly strained by the emergence of autonomous systems capable of decision-making, contracting, and interacting independently across digital platforms.

Rather than offering a summary of established issues, this article focuses on the legal implications of this transformation: How should law adapt to non-human agents that operate with increasing autonomy? What mechanisms can ensure that innovation does not outpace accountability? And how might legal systems assign or deny personhood without undermining human rights or social order?

Key Challenges in Regulating AI and Virtual Entities

As digital technologies continue to advance at an unprecedented pace, the concept of digital identity has undergone a significant transformation. Traditionally confined to human individuals and, in limited cases, corporations and government institutions, digital identity now encompasses a wide array of non-human entities including artificial intelligence (AI) systems, virtual avatars, and decentralized autonomous organizations (DAOs).[133] These entities are increasingly embedded within digital and physical infrastructures, taking on roles that were previously the exclusive domain of human agents.

Digital identity refers to the virtual or data-driven representation of an entity – whether human, corporate, or algorithmic – within a digital environment. This identity can be composed of various data elements, such as behavioral patterns, biometric information, algorithmic signatures, and smart contract histories, which together establish a coherent and actionable profile.[134] Importantly, in the case of AI systems and DAOs, this identity is not simply descriptive but operational – it can trigger transactions, make decisions, and initiate legal or economic consequences in digital ecosystems.

---

[132] Jolia N., Legal Regulation of E-Commerce in Georgia: Challenges and Developments, VII International Scientific Conference, Manchester, UK (Online), Conference Proceeding, DOI https://doi.org/10.5281/zenodo.14577212

[133] Clarke R., Identity Management: The Technologies Their Business Value Their Problems Their Prospects, Xamax Consultancy Pty Ltd, 2004.

[134] Fabbrini F., Celeste E., The Right to Be Forgotten in the Digital Age: The Challenges of Data Protection Beyond Borders, Cambridge University Press, 2020.

In the light of recent developments, the concept of legal personhood has come under increased scrutiny. Traditionally, legal personhood has been reserved for natural persons – human beings, and juridical persons, such as corporations and certain state entities.[135] The legal rationale for granting personhood to corporations was largely functional: it allowed them to own property, enter contracts, sue and be sued, and otherwise operate in the legal system as single entities rather than as collections of individuals.[136]

The emergence of AI systems and DAOs, however, presents a new challenge to this model. These entities now regularly perform tasks involving negotiation, complex decision-making, risk analysis, and autonomous execution. For instance, algorithmic trading bots make rapid market decisions with significant financial consequences, while DAOs governed by smart contracts can allocate capital, engage service providers, and even arbitrate disputes – all without direct human oversight.[137] This increasing functional autonomy forces a fundamental question: should such entities be recognized as legal persons, and if so, under what criteria and constraints?

In response to this legal and ethical dilemma, some scholars have proposed a model of graduated legal personhood.[138] This model suggests that rights and responsibilities should be allocated on a sliding scale, depending on the level of autonomy, societal impact, and functional role of the digital entity. An AI with limited decision-making capabilities, for example, might be entitled only to minimal recognition under civil law, while a DAO managing significant public funds or services could warrant broader rights and obligations, including potential regulatory oversight or fiduciary duties.

ცვლილებების წინააღმდეგობა: ხელოვნური ინტელექტის დანერგვამ შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა, როგორც მენეჯერული რგოლის, ისე, სხვა კატეგორიის თანამშრომლების მხრიდან. თანამშრომლებს შორის შესაძლებელია წამოიჭრას უნდობლობის პრობლემა, სამსახურის დაკარგვის შიში და ა.შ ამ წინააღმდეგობის დასაძლევად, ორგანიზაციებმა უნდა განავითარონ გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის კულტურა, ჩართონ თანამშრომლები გარდამავალ პროცესში და აცნობონ იმ სარგებელის შესახებ, რომელიც ხელოვნურმა ინტელექტმა შესაძლოა მოუტანოს მათ სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსზე.

სამართლებრივი და მარეგულირებელი შესაბამისობა: საქართველოს და ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობა აღიარებს ზეგანკავეთური სამუშაოს რეგულირებას და თუ დაინერგება

[185] Swedish Working Hours Act (1982:673), Section 3https://www.government.se/contentassets/1b29fd35b2544f13875137beab80911a/1982673-working-hours-act.pdf (09.03.25)

ხელოვნური ინტელექტის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს დარეგულირების სისტემა ეს ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ დაიცვას კონკრეტული ქვეყნის რეგულაციები, და მინიმალურად ქონდეს ადგილი შრომით თუ მასთან დაკავშირებულ დავებს.

დასკვნა

საქართველოს, ევროკავშირის, მათ შორის ცალეკული ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა - შვედეთის, გერმანიისა და საფრანგეთის რეგულირების მოდელების შედარებით სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე შესაძლოა დასკვნის გაკეთება, რომ ქართული კანონმდებლობა ზეგანაკვეთურ შრომასთან დაკავშირებით სრულად იზიარებს ძირითად ევროპულ პრინციპებსა და დასაქმებულთა დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, მიუხედავად სოციალური, ეკონომიკური კონტექსტისა და სამართლებრივი მოწესრიგების მოდელებს შორის განსხვავებისა. მსგავსება მიუთითებს იმაზე, რომ შრომის სამართლის რეფორმები ემსახურება ევროკავშირთან დაახლოებისა და ჰარმონიზების ძირითად სამართლის პოლიტიკას შრომითი უფლებების საერთო ევროპული ღირებულებების გაზიარებით.

ქართული მიდგომა ზეგანაკვეთური სამუშაოს რეგულაციებისადმი, რომელიც ხასიათდება უფრო მოქნილი საკანონმდებლო ჩარჩოთი ასახავს პრაგმატულ ბალანსს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობასა და ზოგად ევროპულ პრინციპებს შორის. ერთი მხრივ, შრომის კოდექსი ითვალისწინებს ზეგანაკვეთური შრომის რეგულირების არსებით ელემენტებს, როგორიცაა მაქსიმალური ნორმირებული სამუშაო საათების კვირის განმავლობაში, ზეგანაკვეთური შრომის ნებაყოფლობითობას და მასზე შეთანხმების აუცილებლობას დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, ხოლო მეორე მხრივ, კანონი აგრეთვე ითვალისწინებს დამსაქმებლის ინტერესებს ფორს-მაჟორის გარემოებების არსებობისას. შრომის კოდექსის მიდგომა ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების ოდენობასთან დაკავშირებით, აგრეთვე შეესაბამება საერთაშორისო შრომის სტანდარტებს, განსაზღვრავს რა, რომ ზეგანაკვეთური შრომა უნდა ანაზღაურდეს ჩვეულებრივი საათობრივი ანაზღაურების გაზრდილი ოდენობით. მართალია კონკრეტული ოდენობა და განაკვეთი კანონით განსაზღვრული არ არის, თუმცა აღნიშნული ვაკუუმი შეავსო საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკამ შრომის საერთაშორისო სტანდარტებზე მითითებით.

ცალკეულ ევროპულ სახელმწიფოთა მოდელებთან შედარებითმა ანალიზმა წარმოაჩინა, რომ მაგალითად შვედური მოდელი წარმოადგენს ზეგანაკვეთური შრომის რეგულირების შერეულ მოდელს, თუმცა ძლიერი საკანონმდებლო რეგულირების მიკერძოებით. კერძოდ, შვედეთის კანონმდებლობა სრულად არეგულირებს ზეგანაკვეთური შრომის ძირითად სამართლებრივ ასპექტებს, მათ შორის ნორმირებული სამუშაო დროის ზღვარს, ზეგანაკვეთური სამუშაო საათების ლიმიტებსა და მისი ანაზღაურების წესს. ამასთან, დატოვებულია სივრცე კოლექტიური თუ ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებების მეშვეობით განსხვავებული, თუმცა არა დასაქმებულის საუარესო პირობებზე შეთანხმების.

გერმანული რეგულირება წარმოადგენს შერეული მოდელის მაგალითს, თუმცა განსხვავებით შვედურისა, გერმანიაში ზეგანაკვეთური შრომის რეგულირების ძირითადი ასპექტები დელეგირებულია კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებებზე. მიუხედავად ერთი შეხედვით რბილი და დერეგულირებული საკანონმდებლო მოწესრიგებისა, როდი ნიშნავს, რომ გერმანული მოდელი ნაკლებად ითვალისწინებს დასაქმებულთა ინტერესებს. პირიქით, გერმანულ ტრადიციასა და კულტურაში კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების როლი ძალზედ ეფექტური საშუალებაა სპეციფიური ინდუსტრიების და სექტორებისთვის დამახასიათებელ ფაქტორებზე ორიენტირებული შრომითი ურთიერთობების რეგულირებაში, რომლებიც ხშირად სტანდარტულ საკანონმდებლო რეგულირებაზე უფრო მყარ და ეფექტიან დასაქმებულთა უფლებების დაცვის მექანიზმებს შეიცავს.

ფრანგული მოდელის ანალიზი კი, წარმოაჩენს ზეგანაკვეთური შრომის რეგულირებაზე საკანონმდებლო მონოპოლიის მაგალითს, რომელიც განსხვავებული ინტერპრეტაციების ნაკლებ სივრცეს ტოვებს.

რთულია მსჯელობა იმაზე, თუ რომელი მოდელია უპირატესი ან უმჯობესი ზეგანაკვეთური შრომის რეგულირების არსებითი მიზნების მიღწევისთვის, ვინაიდან განსხვავებული მოწესრიგება დამოკიდებულია სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებზე. მაგალითად, თუ გერმანული მოდელი, რომელიც მეტ მნიშვნელობას ანიჭებს კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებებსა და პროფესიული კავშირების როლს ზეგანაკვეთური შრომის რეგულირებისას, ეფექტურია გერმანიაში ვინაიდან კოლექტიური შრომითი ურთიერთობებს უკვე საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია და ტრადიცია გააჩნია, მისი ადაპტირება შესაძლებელია შეუსაბამო იყოს საქართველოში, სადაც სოციალური და ეკონომიკური გარემოს განსხვავების გამო დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის ურთიერთობები კვლავ არსებითად ასიმეტრიულია დამსაქმებლის სასარგებლოდ, შესაბამისად რთულია მსგავსი სენსიტიური რეგულირების სრულად დასაქმებულთა და დამსაქმებლებს შორის არსებულ კოლექტიურ, თუ ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებებზე დელეგირება.

ქართული მოდელის ეფექტიანობის დადგენისთვის მნიშვნელოვანია მისი მოქმედების შეფასება დროში. ვინაიდან, საქართველოს შრომის კოდექსმა უკანასკნელ ათწლეულებში არაერთი ცვლილება განიცადა, მათ შორის ზეგანაკვეთური შრომის რეგულირების მხრივ, იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და რთულია დავასკვნათ პასუხობს თუ არა არსებულ გამოწვევებს, თუმცა შესაძლოა ითქვას, რომ პრობლემა, რომელმაც უკვე თავი იჩინა ეს არის არსებული ნორმების პრაქტიკაში ადაპტირება, რაზეც მიუთითებს შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მიღებული ოქმების ოდენობა ზეგანაკვეთური შრომის რეგულირების დარღვევის ფაქტებზე. ამ მხრივ, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ამ ეტაპზე არსებით გამოწვევას წარმოადგენს საკანონმდებლო მოწესრიგების პრაქტიკაში განხორციელების ასპექტები, მათი შესრულების მონიტორინგი და გამოვლენილი დარღვევების ეფექტური აღკვეთა.

რაც შეეხება ზეგანაკვეთური სამუშაოს რეგულირებას ხელოვნური ინტელექტის საშუალებით, ეს მომავლის საინტერესო გამოწვევად შეიძლება მივიჩნიოთ თუმცა, გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა კონფიდენციალურობასთან, ალგორითმის მიუკერძოებლობასთან, თანამშრომლების წინააღმდეგობასთან, სისტემურ ინტეგრაციასთან და სამართლებრივ შესაბამისობასთან უნდა იყოს ყურადღებით შესწავლილი და გამოკვლეული.

დაინტერესებულმა მხარეებმა, მათ შორის ბიზნესმა, მთავრობამ და ინდუსტრიის ლიდერებმა, უნდა ითანამშრომლონ, რათა ჩამოაყალიბონ სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც დაიცავს მუშაკთა უფლებებს ხელოვნური ინტელექტის პოტენციალის გამოყენებისას. ასევე, ხელოვნური ინტელექტის გავლენის პოპულარიზაციასთან ერთად, მუშაკები მზად უნდა იყვნენ ადაპტირდნენ ცვალებად მოთხოვნებთან, ტექნოლოგიის განვითარების პარალელურად. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა და კომპანიებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ საჭირო ტრენინგებისა და რესურსების უზრუნველყოფაში, რათა მოამზადონ მუშაკები მომავლისათვის,

ხელოვნური ინტელექტის პოტენციალის გათვალისწინებით, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ შრომის ბაზარი, რომელიც არა მხოლოდ განვითარდება ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ, არამედ განვითარებად შრომითი ბაზრისთვის პრიორიტეტული იქნება მისი სამუშაო ძალის კეთილდღეობა და განვითარება. საბოლოო ჯამში, ხელოვნური ინტელექტის წარმატება შრომის ბაზარზე დამოკიდებული იქნება ჩვენს კოლექტიურ უნარზე, გამოვიყენოთ მისი შესაძლებლობები უფრო დიდი სიკეთისთვის, რაც უზრუნველყოფს, რომ სამუშაოს მომავალი იყოს ინკლუზიური, მდგრადი და ყველასთვის სასარგებლო.

ბიბლიოგრაფია

1. ლიტერატურა

შველიძე ზ., საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, თანა რედ. ბაქაქური ნ., თოდრია თ., შველიძე ზ. იუსტიციის უმაღლესი სკოლა. საავტორო უფლება შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (2017)

ხაჟომია თ., შრომის შრომის ხელშეკრულების ფორმა და არსებითი პირობები, შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ თბილისი, 2014

2. პუბლიკაციები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, აკადემიური წერა, თბილისი 2022

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, შრომის ინსპექციის საქმიანობის შეფასება, 2021

European Foundation for the Improvement of Living and Working Conditions, Overtime in Europe: Regulation and Practice 2022 10 March.

German Employment and Labour Laws: A Comprehensive Guide. 2024 19 February

Pusch Wahlig Workplace Law, Employment Law Overview, Germany 2021-2022

3. ნორმატიული აქტები და კონვენციები

3.1. ქართული

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის N597 დადგენილება სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ჩამონათვლის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“(ბოლო ცვლილება 15/12/2023 დოკ.N 3883-XIIIმს-Xმპ

3.2. უცხოური

Code du travail (France) remendment 24 June 2024

https://www.legifrance.gouv.fr/codes/texte_lc/LEGITEXT000006072050/

Directive 2003/88/EC of the European Parliament and of the Council of 4 November 2003 concerning certain aspects of the organisation of working time, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1414674219132&uri=CELEX:32003L0088

ILO No. 30 Convention on Hours of Work (Commerce and Offices), 1930, https://normlex.ilo.org/dyn/normlex/de/f?p=1000:12100:0::NO::P12100_INSTRUMENT_ID,P12100_LANG_CODE:312175,en:NO

Swedish Working Hours Act (1982:673) Amendments: up to and including SFS 2013:611 https://www.government.se/contentassets/1b29fd35b2544f13875137beab80911a/1982673-working-hours-act.pdf

4. სასამართლო გადაწყვეტილებები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-44-2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1128-2021.

The Impact of Law on Market Functioning and Competition

Tamar Rukhadze
Technical University of Georgia
Academic Doctor,PhD
Tamar Kamkhadze
Technical University of Georgia,
Academic Doctor,PhD
Ana Tabutsadze
Caucasus University (CU),
Caucasus Law shool bachelor

Resume. In modern conditions, legal norms play a prominent role in regulating the market and competition. It is impossible for the market to function without a healthy entrepreneurial environment. The existing legislation in Georgia, despite its soundness, needs to be adapted to the changes in the environment, in the direction of promoting and developing small and medium-sized businesses.

Keywords: Law, global, market, competition, development, diversity, consumer, entrepreneurship, diversification, capital, legal mechanism

Introduction

In various countries of the modern world, the increase in production volumes is noticeable even to the naked eye, directly affecting both international and local markets. A diverse and free competitive environment is a prerequisite for the development of entrepreneurship, economic growth, and social stability.

The legal framework of a country plays a significant role in market functioning and competition development. Legal regulations help establish fair competition conditions, prevent harmful practices, and ensure the stability of the entrepreneurial environment. This paper examines the key legal aspects that influence the market and competition.

Competition law is one of the primary legal mechanisms that protect the principles of fair competition. Its main objectives are:

- **Preventing monopolies and cartel agreements** – restricting the unfair advantage of companies with dominant market positions.
- **Protecting consumer rights** – ensuring better choices, lower prices, and higher quality products through competition.
- **Supporting market diversification** – facilitating the entry of new players into the market, thereby increasing competition.

• **Encouraging new businesses** – ensuring equal opportunities for business development through legal norms.

The main instruments of competition law are antitrust laws, which limit the power of dominant companies and ensure the free functioning of the market. The Georgian Law on Competition is the primary legal act that safeguards market freedom. This law establishes the **National Competition Agency**, whose main functions include:

• **Investigation** – examining the actions of economic agents and state institutions.

• **Control of concentrations** – monitoring market mergers and acquisitions.

• **Control of state aid** – ensuring fair competition in government support mechanisms.

• **Market monitoring** – analyzing market trends and potential violations.

• **Assessing the impact of decisions** – evaluating the effectiveness of competition policies.

• **Providing recommendations** – offering guidance to improve the competitive environment.

Regarding market monitoring, it does not target specific entities or operate within a set timeframe. If reasonable suspicion of a violation arises, monitoring may evolve into a formal investigation.

According to Article 10 of the **Law on Competition**, the following are prohibited:

• Establishing an association, union, or other entrepreneurial structure that weakens or restricts competition.

• Granting preferential treatment to an economic agent, creating an unfair advantage over competitors.

• Restricting or obstructing an economic agent's business activities or independence.

• Creating a state structure for monopolizing the production or sale of goods or granting existing state institutions such authority.

• Making decisions that give an economic agent a dominant position, significantly restricting free pricing and competition.

From this article alone, it is evident that any attempt to limit free competition, whether by governmental bodies or competitors, is strictly prohibited by law.

Legal Mechanisms for Market Regulation

The law regulates various aspects of the market to ensure a fair and transparent economic environment. The primary regulatory mechanisms include:

• Licensing and permits.

• Tax regulation.

• Consumer protection laws.

• Environmental regulations.

• Financial and banking sector control.

These regulations contribute to market stability and encourage responsible corporate behavior. For example, the **U.S. Securities and Exchange Commission (SEC)** oversees financial market transparency and investor protection.

A healthy competitive environment enables small and medium-sized businesses to establish and grow, protecting them from restrictions and unfair treatment by dominant companies. For countries with economies similar to Georgia's, the development of small and medium-sized enterprises (SMEs) is crucial.

Georgian legislative acts are largely influenced by international norms, as the country is a member of various international organizations such as the World Trade Organization (WTO). Additionally, Georgia **has free trade agreements with Turkey, Ukraine, and an Association Agreement with the European Union**.

The standards and certifications present in international markets determine the quality and reliability of products in the local market.

Although Georgian legislation includes mechanisms to ensure free competition, given the rapid growth and modifications in international relations and markets, the legal framework must continuously evolve to meet modern challenges.

The Impact of Law on Small and Medium Enterprises (SMEs)

Legal norms are especially important for SMEs, as this sector heavily depends on fair competition. Legal frameworks:

- Ensure mechanisms to protect small businesses and foster their development.
- Restrict unfair practices by dominant companies, reducing market concentration.
- Simplify business registration and operational processes, facilitating entrepreneurship.

For example, in **European Union countries,** special tax benefits and grants support new enterprises financially.

International Law and the Global Market

Under globalization, international law significantly influences market functioning. The legal frameworks of the World Trade Organization (WTO) and the European Union (EU) promote:

- **Trade facilitation** – reducing barriers in member countries' markets.
- **Investment protection** – strengthening investor rights.
- **Fair international competition** – implementing anti-dumping measures.

For instance, the **European Commission on Competition** monitors transnational corporations and restricts unfair trade practices.

Conclusion

Law plays a crucial role in ensuring market stability and fairness. Competition law, market regulation, and international norms contribute to sustainable economic development. Effective use of legal mechanisms fosters innovation, fair competition, and consumer protection.

Legal regulations not only ensure market stability but also provide new opportunities for small and medium-sized businesses, fostering economic growth and consumer protection. Strict adherence to legal norms and their efficient implementation contribute to the formation of an innovative and competitive market, promoting sustainable economic development.

In the process of globalization, the role of international law becomes even more important, as it establishes common norms for international markets and facilitates trade. Countries must continue improving their legal frameworks to create a competitive environment and attract investments. Only through this approach can a fair and sustainable economic system be developed, providing equal opportunities for all market participants.

References

1.https://gnomonwise.org/ge/publications/analytics/218

2. https://courtwatch.ge/articles/court-

3.economyhttps://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1219051

4. ხუბუა გიორგი, სამართლის თეორია, თბილისი, 2015 წ,

5. გიორგი ლორია,შესავალი სამართალმცოდნეობაში ნაწილი 2,. თბილისი. 2022 წ.

დისკრიმინაციაზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმები და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები
Legal Mechanisms for Responding to Discrimination and Related Problematic Issues

თინათინ ცინარიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი,
Tinatin Tsinaridze
Caucasus International University
Doctoral Educational Program in Law

აბსტრაქტი. დღევანდელ მსოფლიოში გამოწვევად რჩება ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების დაცვა და თანასწორობის უზრუნველყოფა. 2014 წელს, ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველოში შემუშავდა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა. კვლევის მიზანი იყო ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეფასება და შექმნილი ანტიდისკრიმინაციული გარემოს, დისკრიმინაციის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების მექანიზმების იმპლემენტაციის და მისი პრაქტიკული აღსრულების საკითხის შესწავლა.

სტატიის ფარგლებში განხილულია დისკრიმინაციის სახეები, ფორმები და მათი გამოვლენის სამართლებრივი ასპექტები ევროპული სამართლის და სხვა ქვეყნების შიდა კანონმდებლობის დეტალური ანალიზის საფუძველზე. ნაშრომში მიმოხილულია გონივრული მისადაგების მნიშვნელობა დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის თავისებურებანი, საქართველოს რეალობაში არსებული გამოწვევები. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საკანონმდებლო სიახლეს, რომლის საფუძველზეც პროცესში გაჩნდა ახალი სუბიექტი -სპეციალური მოსარჩელე. კვლევის ფარგლებში, შეფასდა სამოქალაქო სამართალწარმოებისას დისკრიმინაციის დავებში მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურებანი, ამ კატეგორიის დავებში დისკრიმინაციის მსხვერპლის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების სირთულეები, საერთაშორისო ქვეყნების პრაქტიკით შესაძლო მტკიცებულებების მოპოვების ახლებური პრაქტიკა. კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა დისკრიმინაციის ახალი კატეგორია, ალგორითმული დისკრიმინაცია, რაც განპირობებულია თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებით და დღევანდელ მსოფლიოში ხელოვნური ინტელექტის როლის მნიშვნელობის ზრდით. ალგორითმების მიერ მიღებული გაუმჭვირვალე გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევაში, იწვევს დისკრიმინაციას დაცული ნიშნით და არის ზიანის მომტანი.

საგულისხმოა, რომ 2024 წლის 2 მაისს შესრულდა 10 წელი, რაც ამოქმედდა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, რომლის იმპლიმენტაციის ეტაპზე არსებული სამართლებრივი პრობლემატიკაა გააზრებული, შეფასებული და წარმოჩენილია სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, დისკრიმინაციის დავები, მტკიცების ტვირთი, დისკრიმინაციაზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმები, თანასწორობა.

Abstract. In the contemporary world, the protection of human rights standards and the enforcement of equality remain significant challenges. In 2014, within the framework of the Association Agreement, Georgia adopted anti-discrimination legislation. This study aims to assess the extent to which Georgia has fulfilled its obligation under the Association Agreement, to examine the existing anti-discrimination framework, and to evaluate the effective implementation and enforcement of legal mechanisms addressing discrimination.

This article analyzes the types and forms of discrimination and their legal manifestations through a comprehensive review of European Law and detail analysis of domestic legislation of other countries. The article explores the specific challenges faced by persons with disabilities in Georgia. Particular attention is given to legislative innovations, including the introduction of a new procedural actor- the Special Plaintiff.

The Study further examines the allocation of the burden of proof in discrimination disputes within civil proceedings, the evidentiary challenges faced by victims of discrimination, and emerging international practices for obtaining evidence in such cases. The study has identified the new form of discrimination – algorithmic discrimination- arising from advancements of technologies and the increasing role of artificial intelligence in modern world. Non-transparent decisions made by algorithm frequently lead to discriminatory outcomes based on protected characteristics, posing significant legal and ethical concerns.

Notably, May 2, 2024, marks the tenth anniversary of the enactment of Georgia's anti-discrimination legislation. This article critically assesses the legal issues encountered during the implementation phase and presents key findings on the effectiveness of the legal framework over the past decade.

Keywords: anti-discrimination legislation, discrimination disputes, burden of proof, legal mechanisms for addressing discrimination, equality.

1.1. დისკრიმინაციის სახეები და სამართლებრივი ფორმები

თანასწორობა ანტიკური პერიოდიდან განიხილება სამართლის ფუძემდებლურ პრინციპად. თანასწორობა და სამართლის უზენაესობა არის დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველი. დღევანდელ მსოფლიოში, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტები და კვლავ უდიდეს გამოწვევად რჩება თანასწორობის უზრუნველყოფა. 2014 წელს, ევროინტეგრაციის ფარგლებში შემუშავდა საქართველოს კანონი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ". კანონით პირდაპირ იკრძალება ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია, საჯარო თუ კერძო სექტორში. კანონი აგრეთვე ითვალისწინებს დისკრიმინაციული ფაქტის პრევენციას და მათზე რეაგირების ეფექტურ მექანიზმებს.

დისკრიმინაცია არის თავისუფლების დარღვევა, ისეთი განსხვავებული მოპყრობა, რომელსაც არ აქვს სამართლებრივი დასაბუთება. დისკრიმინაცია არის არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა, რომელსაც არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება. დისკრიმინაციის სხვადასხვა სახეების არსებობა კიდევ უფრო მასშტაბურს და კომპლექსურს ხდის მის სამართლებრივ ბუნებას. დისკრიმინაციული მოპყრობა შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი.[186]

საერთაშორისო აქტებით, ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული დისკრიმინაციის კონკრეტული განმარტება შესაბამისად, ქვეყნების შიდა ეროვნული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას, მუდმივად უმჯობესდება და აწესებს თანასწორობის პრინციპის რეალიზებისთვის მაღალ სტანდარტებს. პირდაპირი დისკრიმინაცია გულისხმობს, როდესაც პირი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებისას არახელსაყრელ პირობებში ხვდება სხვა თანაბარ პირობებში მყოფ პირებთან შედარებით ან პირიქით. შესაძლებელია ესეთი მოპყრობა გამართლებული იყოს, თუ ის განპირობებულია ობიექტური და ლეგიტიმური გარემოებებით, რაც აუცილებელია დემოკრატიისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის.[187] პირდაპირი დისკრიმინაციის სპეციალური სახედ მიიჩნევა, ნაგულისხმევი (აღქმით) ნიშნით დისკრიმინაცია. ამ კატეგორიას პირის მიმართ განსხვავებული მოპყრობა ფაქტობრივად არ ახასიათებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია და გადამწყვეტია დისკრიმინაციის ჩადენის მოტივი. არაპირდაპირი (ირიბი) დისკრიმინაცია

[186] დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლი, 2014 ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/Cwrp5hdx [ბ. ნ. 30.04.2025]

[187] ე. გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, 2013, 59

არის განსხვავებულ სიტუაციებში მყოფი ადამიანების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომა. მრავალი ნიშნით (მრავალმხრივი) დისკრიმინაცია[188], ახალი კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს, ორი ან მეტი ნიშნით პირის დისკრიმინაციას. დისკრიმინაციის საფუძვლებიდან აღსანიშნავია, ერთ-ერთი ახალი ფორმა, შევიწროება, რომელიც იმპერატიულად დაემატა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობას. შევიწროება არის ნებისმიერი პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომლის მიზანიც არის სხვისი ღირსების შელახვა, მტრული და დამამცირებელი გარემოს შექმნა. დღევანდელ მსოფლიოში ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარების პარალელურად, აუცილებელი გახდა ახალი დისკრიმინაციის სახის "ალგორითმული დისკრიმინაციის" [189] იდენტიფიცირება.

1.2. ხელოვნური ინტელექტი და თანასწორობა: გამოწვევები და სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები

ციფრული სამყაროს ეპოქაში სამუშაო პროცესების ავტომატიზაციის მიზნით, სხვადასხვა სექტორში აქტიურად ხდება ალგორითმების გამოყენება. ხელოვნური ინტელექტი დღითი დღე უფრო აქტიურად აღწევს ადამიანის ცხოვრებაში. შესაბამისად, ლეგიტიმურია საზოგადოების დამოკიდებულება, ხელოვნური ინტელექტისადმი ნაკლები ნდობა, მასზე დაფუძნებული გადაწყვეტილების სისწორეზე და სამართლიანობაზე, დაშვებულ შეცდომებზე და მიკერძოებაზე. ხელოვნური ინტელექტი ვერ მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას, მას არ შესწევს ემოციებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, რომელიც მხოლოდ ადამიანს შესწევს. [190]

ხელოვნური ინტელექტი შექმნილია ადამიანების მიერ, შესაბამისად ის რა თქმა უნდა შესაძლებელია იყოს მიკერძოებული. საბანკო სექტორი იყენებს ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც ამუშავებს სოციალური და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, რის საფუძველზეც განსაზღვრავს სესხის დამტკიცების და გაცემის რისკებს. ზუსტად აქ ჩნდება დისკრიმინაციის მაღალი რისკი. ხელოვნური ინტელექტი აქტიურად გამოიყენება დანაშაულის პრევენციისთვის სამართალდამცავ უწყებებში. ყველაზე ცნობილი მაგალითია ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული COMPAS.56 სისტემა, რომელიც გამოიყენება დანაშაულის რეციდივის დასადგენად, აგრეთვე, სასამართლოს მიერ ბრალდებულისთვის გირაოს შეფარდების მიზნით. ჟურნალისტური კვლევის საფუძველზე, 2016 წელს, გამოიკვეთა აღნიშნული პროგრამის მიკერძოება დისკრიმინაციული ნიშნით, კანის ფერისა და რასის შესაბამისად. [191] ხელოვნური ინტელექტი (AI) გამოიყენება აქტიურად საჯარო და კერძო სექტორში ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითად ალგორითმები გამოიყენება დასაქმების, ციფრული მარკეტინგის, სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულის პრევენციის და აღმოფხვრის მიზნით. ყველა ზემოაღნიშნულ სფეროში ალგორითმით მიღებული გადაწყვეტილება დაეფუძნა დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნით, მათ შორის, კანის ფერი, რასა, ასაკი, სოციალური მდგომარეობა და სხვა. პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია სულ უფრო მეტად არის დაკავშირებული ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან და მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.[192] ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას უნდა მოხდეს გამჭვირვალობისა და ეთიკური ნორმების მაღალი სტანდარტით დაცვა, რაც უზრუნველყოფს

[188] დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლი, 2014 ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/Cwrp5hdx [ბ. ნ. 30.04.2025]

[189] M.Kilic, Algorithmic Discrimination and Ethical Perspective of Artificial Intelligence, Human Right and Equality Institution of Turkiye, Ankara, 2024

[190] გ. ხუბუა, სამართლის დიგიტალიზაცია. იხ. ბმული: https://cutt.ly/oe9aQ2jX [ბ. ნ. 30.04.2025]

[191] ფ. ზუიდერვენ ბორგესიუსი, დისკრიმინაცია, ხელოვნური ინტელექტი და ალგორითმზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, დემოკრატიის გენერალური დირექტორატი, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2018 წელი, 23-24 გვ

პრევენციულად დისკრიმინაციის თავიდან აცილებას და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვას.

მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არსებობს ხელოვნური ინტელექტის ერთგვაროვანი განმარტება, რომელიც მოწესრიგებული იქნება ქვეყნების კანონმდებლობით. 2018 წელს ევროკომისიამ შექმნა ხელოვნური ინტელექტის პირველადი განმარტება: ხელოვნური ინტელექტი ახასიათებს ისეთ სისტემებს, რომლებიც გარემოს ანალიზით, ავლენენ ინტელექტუალურ ქცევას და, დამოუკიდებლობის გარკვეული დონით, ახორციელებენ ქმედებებს კონკრეტული მიზნების მისაღწევად. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სისტემები შეიძლება იყოს ვირტუალურ სამყაროში სხვადასხვა პროგრამებზე დაფუძნებული, როგორიც არის ხმის ამომცნობი, სახის ამომცნობი სისტემა, ხმის ასისტენტი და სხვა.[193] მიკერძოების აღმოფხვრის, თავიდან აცილებისა და პრევენციის ერთადერთი საშუალება არის უწყვეტი მონიტორინგი, გამჭვირვალობის დაცვა და ანგარიშვალდებულების სისტემის შექმნა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ალგორითმების აუდიტი, თუ რა სახის ინფორმაცია მუშავდება, როგორ მუშავდება და რა მიზნით, როგორ ხორციელდება არქივირება.[194] 2023 წლის 8 დეკემბერს, ევროკავშირმა მიიღო ხელოვნური ინტელექტის აქტი (AI Act), რომლის მიზანია შექმნილი ალგორითმები დაეფუძნოს ფუნდამენტურ უფლებებს, ევროკავშირის ღირებულებებს და უსაფრთხოებას. აქტი ვრცელდება მხოლოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, როგორც საჯარო აგრეთვე, კერძო სექტორზე. გამონაკლისია თავდაცვის, სამხედრო და ეროვნული უსაფრთხოების მიმართულებით კვლევები.

ამერიკის შეერთებული შტატები არის პირველი პიონერია, რომელმაც 2016 წელს შეიმუშვა ხელოვნური ინტელექტის ჩარჩო და ყოველ წლიურად აფინანსებს კვლევებს ამ მიმართულებით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არის ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ამ მიმართულებით მიღწევებს აფასებს გაზომვადი ინდიკატორებით და ეკონომიკური მაჩვენებლებით. ამ მიზნით შეიმუშვა რიგი საკანონმდებლო ნორმები. მნიშვნელოვანი ნაბიჯებით გამოირჩევა ქვეყნებს შორის, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო, სადაც სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის განვითარება.

საქართველოს ამ ეტაპზე, არ გააჩნია ეროვნული პოლიტიკა და ხედვა ხელოვნური ინტელექტის მართვის საკითხებზე, შესაბამისად, საჯარო თუ კერძო სექტორი საკუთარი ინტერესების და ბიზნესის მიზნებისთვის იყენებს ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც ამ ეტაპზე სამართლებრივ რეგულირებას არ ექვემდებარება და შესაბამისად, ალგორითმის გამოყენების კრიტერიუმები, წესები და პირობები ყალიბდება ბიზნესის ინტერესების გათვალისწინებით. საჯარო სექტორში მრავლად ფიქსირდება უკვე ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მაგალითები. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით[195], მოწესრიგდა კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ეროვნული ზედამხედველობის ქვეშ მოქმედი იურიდიული პირების მიერ ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების შემუშავების ეთიკური პრინციპები, ვალიდაციის პირობები, სამ დონიანი შემოწმების სქემა, აუდიტის ჩატარების წესი და ალგორითმში არასამართლიანი უპირატესობის მინიჭების

[192] ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო (FRA) „უფლებების მომავლის მიღება, ხელოვნური ინტელექტი და ფუნდამენტური უფლებები“, ლუქსემბურგი, 2020 წ. 2-3 გვ.

[193] ნ. გოდერძიშვილი, ხელოვნური ინტელექტი: არსი, საერთაშორისო სტანდარტები, ეთიკური ნორმები და რეკომენდაციები. პოლიტიკის დოკუმენტი, გამოცემული ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ, 2021 წელი, 10 გვ.

[194] პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატის სახელმძღვანელო 28-29 გვ [ბ. ნ. 30.04.2025]

[195] „მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკური, ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების მოდელების რისკების მართვის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წელის 17 აგვისტოს N151/04 ბრძანება.

შემთხვევაში მასზე რეაგირების მექანიზმები. 2017 წელს, ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელდა პირველად ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ტურისტების სეგრეგაციისთვის, რის საფუძველზეც მოხდა საქართველოში შემოსული ტურისტების შესახებ: სქესის, ეროვნების, სოციალური მდგომარეობის კრიტერიუმებით ინფორმაციის დამუშავება, ამასთან, დამუშავდა მათი საჯარო პოსტების ტექსტები და სენტიმენტები. მოცემული კრიტერიუმებით ინფორმაციის დამუშავება ადამიანის უფლებების დაცვის ასპექტში განსახილველი საკითხია.

1.3 გონივრული მისადაგების ვალდებულება, შშმ პირთა უფლებები და სპეციალური მოსარჩელის როლი სამართალწარმოებაში

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD) და მისი დამატებითი ოქმი 2006 წლის 13 დეკემბერს მიიღეს. კონვენცია ემყარება არადისკრიმინაციისა და თანასწორობის პრინციპებს, გონივრული მისადაგების უფლებას. კონვენციით განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური პრინციპი, ყველა ადამიანის ღირსების, უფლებებისა და სიცოცხლის თანაბრად აღიარების, შესაბამისად, კონვენციით აღიარებულია შშმ პირთა თანასწორუფლებიანობა, რომ იცხოვრონ დამოუკიდებლად და ჰქონდეთ საკუთარი ცხოვრების განკარგვის უფლება. კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ გონივრული მისადაგება. გონივრული მისადაგებად ითვლება: ინფრასტრუქტურული და ინფორმაციული ხელმისაწვდომობა შშმ პირთათვის, სამუშაო პროცესისა და სასწავლო პროცესის ადაპტირება, აუცილებელი ტექნოლოგიური მოწყობილობებით უზრუნველყოფა და სხვა ღონისძიებები, რაც შესაძლებლობას მისცემს ყოველ კონკრეტულ შშმ პირს სრულყოფილად მოახდინოს მისი უფლებების რეალიზება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის რატიფიკაცია საქართველომ მოახდინა, 2014 წელს, რითიც იკისრა ვალდებულება უზრუნველყოს შშმ პირთა მიერ საკუთარი უფლებების რეალიზება და თანასწორობის ხელშეწყობა დისკრიმინაციის ყველა ფორმის გარეშე. 2020 წელს, საქართველომ მიიღო კანონი "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ"[196] (შემდგომში - შშმ პირი). კანონით, დაეფუძნა სოციალურ მოდელს, რაც გულისხმობს, პირთა რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებულობას და რეაგირებას. საკანონმდებლო ცვლილებებით შემოვიდა "უნივერსალური დიზაინის" პრინციპი, კერძოდ, გაჩნდა შენობა-ნაგებობის და სხვა ინფრასტრუქტურის ადაპტირების ვალდებულება. საგულისხმოა, რომ გონივრული მისადაგება ("უნივერსალური დიზაინის") შშმ პირთა უფლებების რეალიზებისთვის მნიშვნელოვნად ამცირებს სოციალურ ბარიერებს. გონივრული მისადაგებაში იგულისხმება, კონკრეტული სიტუაციის მოდიფიკაცია იმგვარად, რომ შშმ პირმა შეძლოს ისარგებლოს მისთვის მინიჭებული უფლებებით. [197] შშმ პირი არის მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევით, რომლის გათვალისწინებითაც შესაძლებელია ხელი შეეშალოს აღნიშნული პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვებთან თანაბარ პირობებში. [198] საკანონმდებლო პაკეტის მიღებით, საქართველომ იკისრა ვალდებულება 2035 წლის 31

[196] "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი, 2020

[197] ქაშაკაშვილი ნ. „შრომით ურთიერთობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით გონივრული მისადაგება" 2019, 7

[198] "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტი, 2020

დეკემბრამდე, სრულყოფილად უზრუნველყოს კანონის იმპლემენტაცია. ამასთან, 2021 წელს, საქართველომ მოახდინა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატურული ოქმის რატიფიკაცია.

"შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ"[199] ახალი კანონით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შშმ პირებისთვის სამართალწარმოების ხელმისაწვდომობას, ამ მიზნით, დამკვიდრდა ახალი სუბიექტი სამოქალაქო სამართალწარმოებაში - სპეციალური მოსარჩელე. სამოქალაქო საქმეებზე შშმ პირთა უფლებების დაცვა შესაძლებელია კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციების მიერ. სპეციალური მოსარჩელის სტატუსით ორგანიზაციის რეგისტრაცია ხორციელდება 3 წლის ვადით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.[200][201] სპეციალურ მოსარჩელეს არ სჭირდება კანონიერი წარმომადგენლობის უფლების მინიჭება, რაც თავის მხრივ, წარმოშობს რისკს, სამართალწარმოება შეეწინააღმდეგოს დასაცავი პირის ნებას. საქართველოს კანონით შემოტანილი სიახლე "სპეციალური მოსარჩელე" ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ "საჯარო ინტერესის მქონე მოსარჩელის" კონცეფციას. ამ მიმართულებით, საინტერესო პრაქტიკა არის ევროპაში, ამერიკაში, სამხერთ აფრიკაში და აზიაში.

სამართლებრივი სიახლის იმპლემენტაცია, ცხადია, პოზიტიურად უნდა შეფასდეს, იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის უფლებამოსილება მიენიჭა ორგანიზაციებს, რომელთაც ამ მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, რაც გაამარტივებს პროცესებს (შეამცირებს განხილვის ვადებს, ხარჯებს და სხვა) და გაზრდის შშმ პირთა მართმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე პრაქტიკაში მწირია სპეციალური მოსარჩელის სტატუსით რეგისტრირებული ორგანიზაციები და მათ მიერ შექმნილი სასამართლო პრაქტიკა (3 სპეციალური მოსარჩელე).[202]

1.4. დისკრიმინაციის მტკიცების სტანდარტები სამოქალაქო სამართალში ეროვნული კანონმდებლობით

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი არეგულირებს მტკიცების ტვირთის სტანდარტს, რომლის თანახმად, მხარეებმა უნდა დაამტკიცონ გარემოებანი, რაზეც ამყარებენ თავის სასარჩელო მოთხოვნას და შესაგებელს. მტკიცების ტვირთი სამოქალაქო სამართალწარმოებაში ობიექტურად და თანაბრად ნაწილდება, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და ძირითადად ეფუძნება სადავო საკითხის მარეგულირებელ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს. სამოქალაქო სამართალწარმოება სრულად ეფუძნება მხარეთა შეჯიბრს დაარწმუნონ სასამართლო კონკრეტული პოზიციის სისწორეში. [203]

სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპია - „actori incumbit probatio[204]", რაც ნიშნავს, რომ მოსარჩელეს ეკისრება მტკიცების ტვირთი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363^3-ე მუხლის

---

[199] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი https://cutt.ly/Pe9atpPi დოკუმენტის 6823-რს

[200] „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის N241 ბრძანება

[201] სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 07 ნოემბრის N252842 წერილი, სპეციალური მოსარჩელის სტატუსით რეგისტრირებული ან/და გაუქმებული ორგანიზაციების შესახებ.

[202] 2021 წლიდან 2025 წლის 13 იანვრის მდგომარეობით, მხოლოდ 3 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია რეგისტრირებული,

[203] ქ. მესხიშვილი, „მტკიცებულებათა სტანდარტი დისკრიმინაციის სამართალში", შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი, N10/2022, 2022 წ, 22-23 გვ

[204] მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს. იხ. ბმულია: https://cutt.ly/qe3cUCEv

შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებულია იურიდიული ფაქტებითა და მტკიცებულებებით შექმნას დისკრიმინაციის ვარაუდი, ხოლო მოპასუხე ვალდებულია ამტკიცოს, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.[205] მტკიცების ტვირთი ეკისრება მას ვინც ამტკიცებს, ვისი ინტერესიც არის დაამტკიცოს ესა თუ ის სამართლებრივი შედეგი და არა მას ვინც უარყოფს. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი ნაწილდება თანაბრად, მაგრამ დავის სამართლებრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, შესაძლებელია, მტკიცების ტვირთის განაწილება განხორციელდეს ზოგადი წესით ან სპეციალური საპროცესო და მატერიალური ნორმებით.

დისკრიმინაციის დავები მიეკუთვნება დავათა კატეგორიას, როდესაც განსაკუთრებით რთული, კომპლექსური და საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია, მხარეთ შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილება. მტკიცების ტვირთის შებრუნების მიზანი არის ობიექტურად მოხდეს მტკიცებულებების შეფასება, რომლის წარმოდგენის შესაძლებლობაც არ ჰქონდა დისკრიმინაციის მსხვერპლს. დისკრიმინაციის დავების განხილვისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მტკიცების ტვირთის განაწილებას, მტკიცებულებების მოპოვებას და სასამართლოს როლს ამ პროცესში. დასკვნა

2014 წელს, ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ იკისრა ვალდებულება მოახდინოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის სამართალთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან. სტატიაში სწორედ უახლესი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესწავლით მიზნით, განხორციელდა დისკრიმინაციის სახეების, ფორმების, სამართლებრივი მექანიზმების, გამოწვევებისა და სამართლებრივი მექანიზმების შესწავლა. კვლევის ფარგლებში, ნათლად გამოიკვეთა, რომ ევროდირექტივების შესაბამისად, ყველა ქვეყანას აქვს შემუშავებული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, რითიც უზრუნველყო-ფილია თანასწორობა. საქართველოში შემუშავებული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა თანხვედრაშია ევროკავშირის სამართალთან, მაგრამ რა თქმა უნდა, მუდმივად საჭიროებს გაუმჯობესებას, მაღალი სტანდარტით ადამიანის უფლებების დაცვას და ძლიერი ანტიდისკრიმინაციული გარემოს შექმნას.

საგულისხმოა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ეტაპების გათვალისწინებით, გაჩნდა ალგორითმის მიერ გამოწვეული დიკრიმინაციის რეგულირების აუცილებლობა. უდავო ფაქტია, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას აქვს თანდაყოლილი რისკი განსხვავებული/უთანასწორო მოპყრობის, რაც ქმნის დისკრიმინაციის ახალ ფორმებს. ხელოვნური ინტელექტის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებისთვის, აუცილებელია შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა, ეთიკური ნორმები და სტანდარტები, სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტი და კონკრეტული ინფრასტრუქტურა. სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით ახალი კანონის შემუშავებით, რის საფუძველზეც მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ამოქმედდა სპეციალური მოსარჩელის სტატუსი. მაგრამ პრაქტიკაში სამიზნე აუდიტორია ნაკლებად იყენებს აღნიშნულ სტატუს, ამისთვის რიგი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ცნობიერების ამაღლება, მათ შორის, შშმ თემის წარმომადგენლებისთვის და უნდა მოხდეს სასამართლოს ინფრასტრუქტურის ადაპტირება ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

[205] ქ. მესხიშვილი, „მტკიცებულებათა სტანდარტი დისკრიმინაციის სამართალში“, შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი, N10/2022, 2022 წ, 25 გვ

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული აქტები

1. „საქართველოს კონსტიტუცია“, 1995
2. “საქართველოს კონსტიტუცია” 1921
3. “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”, 2014, საქართველოს კანონი
4. “შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ” საქართველოს კანონი, 2020
5. გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 2018
6. საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად, 1969
7. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაერო, 1948
8. ევროპული კონვენცია “ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ”, 1950
9. გაეროს კონვენცია “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ” 2006
10. გაეროს კონვენცია “ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვის”, 1979

სამეცნიერო ლიტერატურა

11. ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ. და სხვ, “საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი”, თბილისი, 2013,
12. გაბისონია ზვიადი, „ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი“, გამომცემლობა იურისტების სამყარო, 2022,
13. დ. გეგენავა, გ. გიორგაძე, ანტიდისკრიმინაციული სამართალი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021წ
14. თ. ტუღუში., გ. ბურჯანაძე., გ. მშვენიერაძე., გ. გოცირიძე., ვ. მენაბდე., “ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა”, 1996-2012 წლები, 2013,
15. თ. გვარამძე, ადამიანის უფლებები და ხელოვნური ინტელექტი, თსუ სამართლის ჟურნალი N2, 2024წ
16. კვაჭაძე მ., ღვინჯილია ე., ჯუღელი ნ., “დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში”, თბილისი, 2017
17. ლ. იზორია, ადამიანის უფლებების შეზღუდვის და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, სტატიათა კრებული, 2002, 43

18. ოპერმანი თ., კლასენი დითერ კ., ნეთესჰაიმი მ. “ევროპული სამართალი” სასწავლო სახელმძღვანელო, GIZ , 2021

19. ოპერმანი/კლასენი/ნეთესჰაიმი, ევროპული სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, GIZ 2018 განახლებული გამოცემა, 2021

20. ძამაშვილი ბ. „დისკრიმინაცია, როგორც სამართლებრივი კატეგორია და მისი გამოვლენის ფორმები“, სტატია 2014, 293

21. adams-Prassl, Jeremias, Binns, Reuben, Kelly-Lyth, Aislinn, “Directly Discriminatory Algorithms, Journal “Modern Law Review”, page 1 January 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/VwrH3fE7

22. M.Kilic, Algorithmic Discrimination and Ethical Perspective of Artificial Intelligence, Human Right and Equality Institution of Turkiye, Ankara, 2024

ანგარიშები, რეკომენდაციები და კომენტარები

23. ევროპის საბჭო და ევროპის კავშირი “სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ”, ანგარიში 2013, თბილისი,

24. ნ. გოდერძიშვილი, პოლიტიკის დოკუმენტი ხელოვნური ინტელექტი: არსი, საერთაშორისო სტანდარტები, ეთიკური ნორმები და რეკომენდაციები, 2021.

25. ქ. ხომერიკი "სპეციალური მოსარჩელე" საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში.

26. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში, “დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ” თბილისი, 2022

27. ევრო საბჭო “საქართველოში დისკრიმინაციის საქმეებზე შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გზამკვლევი”, თბილისი, 2015

28. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, “დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული მექანიზმები, კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი”, თბილისი, 2016

29. ს. რენგა გენდერული თანასწორობა, ევროკავშირის ნორმების ასახვა ეროვნულ კანონდებლობაში, იტალიის ანგარიში, ევროკავშირი, 2023 წელი

30. ფ. კამას როდა - ესპანეთის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის 2023 წლის ანგარიში, ევროკავშირი, ბრუსელი 2023

31. ჯ. მალდერი - გენდერული თანასწორობა, ევროკავშირის ნორმების ასახვა ეროვნულ კანონდებლობაში, გერმანიის ანგარიში, ევროკავშირი, 2023 წელი

32. ს. ვან დროგენბროკი - ბელგიის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის 2023 წლის ანგარიში, ევროკავშირი, 2023

33. მ. ლის სეპპერი - ესტონეთის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის 2023 წლის ანგარიში, ევროკავშირი, 2023

34. პ. პეტროგლუ - გენდერული თანასწორობა, ევროკავშირის ნორმების ასახვა ეროვნულ კანონდებლობაში, გერმანიის ანგარიში, ევროკავშირი, 2023 წელი

35. ევროპის საბჭოს დირექტივა 2000/43/EC, 29 ივნისის 2000 დირექტივა

36. ევროპის საბჭოს დირექტივა 2000/78/EC, 27 ნოემბრის 2000 დირექტივა

37. U.S. Equal Employment Opportunity Commission, The Rehabilitation act of 1973

პატიმართა და სასჯელ მოხდილ პირთა რესოციალიზაციის საკითხები
Issues of resocialization of prisoners and convicted persons

ნოდარ მატარაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
დოქტორანტი
Nodar Mataradze
Georgian Technical University
Faculty of Business Technologies
PhD student

აბსტრაქტი. სამეცნიერო სტატიაში გაანალიზებულია შემდეგი ცნებების სემანტიკური შინაარსი და ურთიერთმიმართება: სოციალიზაცია, დესოციალიზაცია, რესოციალიზაცია, ასოციალიზაცია, აგრეთვე მათი წარმოებული დეფინიციები - „პატიმართა რესოციალიზაცია“ და „ციხიდან გათავისუფლებული პირების რესოციალიზაცია“. განიხილება რესოციალიზაციის პროცესის შემდეგი კომპონენტები: მისი მიზანი, ამოცანები, შედეგები და რესოციალიზაციის მექანიზმები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალური გარემოს გავლენას ციხიდან გათავისუფლებულ პირთა რესოციალიზაციის პროცესებზე. მითითებულია, რომ არსებობის ამჟამინდელ ეტაპზე, ურბანიზებულმა საზოგადოებამ ჯერ ვერ მოახერხა მდგრადი და ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბება, როგორც სოციალური დაძაბულობის ესკალაციის, ასევე არაადაპტირებული ან არასაკმარისად ადაპტირებული ადამიანების რაოდენობის ზრდისთვის.

სოციალიზაციის არსის განხილვისას აღნიშნულია სოციალური ფორმირების, განვითარების, განხორციელების პროცესში ასიმილაციის (ადაპტაციის), რეპროდუქციის (ინტეგრაციის) და საზოგადოების კულტურის გაუმჯობესება (ინდივიდუალიზაცია). ხაზგასმულია, რომ სოციალიზაციის შედეგი არის ასიმილაცია, გაუმჯობესება და სულიერი ფასეულობები (სულიერება), რომელიც წარმოადგენს სოციალიზაციის მწვერვალს. პატიმართა რესოციალიზაციის შესწავლის კონტექსტში სოციალიზაცია განიხილება სოციალიზაციის კომპონენტად, რაც უზრუნველყოფილია სოციალური განათლების ნორმებით. ტერმინოლოგიური დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად, სტატიაში მოცემულია პატიმრების სოციალიზაციისა და რესოციალიზაციის ტერმინების განსხვავებების დეტალური ახსნა, ეს უკანასკნელი, ავტორის განზრახვის მიხედვით, უნდა ჩაითვალოს განმეორებითი სოციალური ფორმირების, განვითარების, დაუფლებისა და სოციალურად პოზიტივის რეპროდუქციის შედეგად; რესოციალიზაციის დროს პატიმართა სოციალიზაციის მაღალი დონის ფორმირებით, რომ შესაძლებელია სოციალიზაციის დონის თანდათან ამაღლება, საიდანაც გამომდინარეობს ავტორის მსჯელობა რომ ეს პროცესი გადაჭრის ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ამოცანას პატიმრის რესოციალიზაციის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად.

ავტორი აღნიშნავს, რომ რესოციალიზაციის პროცესის ეფექტიანობის კოლექტიური კრიტერიუმია „რესოციალიზაციის ტრაექტორია“, რომელიც გაგებულია, როგორც პატიმრის ნორმატიული სოციალიზაციისკენ დაბრუნების გზა, რომლის შედეგია ინდივიდის განვითარება და აღდგენა. ნორმატიული სოციალიზაციის პროცესის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: პატიმართა რესოციალიზაცია; მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია; სოციალიზაცია; დესოციალიზაცია; რესოციალიზაცია; ასოციალიზაცია.

Abstract. The scientific article analyzes the semantic content and relationship of the following concepts: socialization, desocialization, resocialization, asocialization, as well as their derived definitions - “resocialization of prisoners” and “resocialization of persons released from prison”. The following components of the resocialization process are considered: its purpose, objectives, results and resocialization mechanisms. Special attention is paid to the influence of the social environment on the resocialization processes of persons released from prison. It is indicated that at the current stage of its existence, urbanized society has not yet managed to form sustainable and effective

mechanisms for both the escalation of social tension and the increase in the number of maladapted or insufficiently adapted people.

When discussing the essence of socialization, it is noted that in the process of social formation, development, implementation, assimilation (adaptation), reproduction (integration) and improvement of the culture of society (individualization). It is emphasized that the result of socialization is assimilation, improvement and spiritual values (spirituality), which are the pinnacle of socialization.

The author notes that the collective criterion for the effectiveness of the resocialization process is the "resocialization trajectory", which is understood as the path of the prisoner's return to normative socialization, the result of which is the development and restoration of the individual. About the process of normative socialization.

Keywords: resocialization of prisoners; resocialization of convicts; socialization; desocialization; resocialization; asocialization.

შინაარსი. თანამედროვე ურბანიზებული საზოგადოების ერთ-ერთი განუყოფელი რეალობა დღეს მზარდი სოციალური დაძაბულობაა. ჩვენი თანამოქალაქეების უმრავლესობის ყოველდღიური ცხოვრების პირობებსა და თვისებებს თან ახლავს გაზრდილი სტრესი ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენი თანამოქალაქეების პერიოდულად წარმოშობილი პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია სოციალური ინსტიტუტების მუშაობაში არეულობითა და შეუსაბამობით, არასტაბილურობით სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში, იწვევს სტრესის ფაქტორებს თანამედროვე საზოგადოების სოციოკულტურულ სივრცეში. მართლაც, ასეთი საზოგადოება თავისი გადაჭარბებულობით, ურბანული მოსახლეობის გადატვირთულობით, ინდივიდის სოციოკულტურული ავტონომიით, ურთიერთობების უპიროვნოობით, არასტაბილურობით, უბრალო ადამიანისათვის არსებული სოციალური ორგანიზაციების გაგების სიძნელეებით აჩენს არსებობის დისკომფორტს ადამიანთა მნიშვნელოვან რაოდენობაში , რომელებიც ხელს უწყობენ სოციალური დაძაბულობის ზრდას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აგრესიის ინდივიდუალური და კოლექტიური აქტები. აგრესია შეიძლება გამოიხატოს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური და ეთნო-ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლებს შორის ურთიერთქმედების გაზრდილ ემოციურ და ფსიქოლოგიურ ფონზე, ასეთი ურთიერთობის დროს აგრესიის ზოგადი დონის მატებაში, ადგილობრივი კონფლიქტების მატებაში, რაოდენობის მატებაში. დევიანტური ქცევის ფაქტები, ასევე სოციალურ გარემოში „დამნაშავე" ძებნის მცდელობების ზრდა და „მტრის იმიჯის" აქტიური ფორმირება. ეს ყველაფერი შეგვიძლია აღვნიშნოთ საქართველოს მეგაპოლისებში არსებულ ვითარებაზე დაკვირვებით. როგორც თანამედროვე საზოგადოება, ასევე, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მეგაპოლისების ტერიტორიული თემები გრძნობენ სოციალური დაძაბულობის შემცირების აუცილებლობას, სადაც ზრდის ფაქტორი არის არაადაპტირებული ინდივიდების საზოგადოებაში ყოფნა, რომლებიც, რიგი მიზეზების გამო, არ ჯდებიან ყოველდღიურ რიტმში და საზოგადოების ცხოვრების პირობები.

ურბანულ საზოგადოებას თავისი არსებობის ამჟამინდელ ეტაპზე ჯერ არ ჰქონია დრო, რომ ჩამოეყალიბებინა სტაბილური და ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც მიმართული იქნება ზოგადად სოციალური დაძაბულობის მატებაზე და მისი ისეთი ელემენტის წინააღმდეგ, როგორიცაა ცხოვრებაზე არასაკმარისად ადაპტირებული ადამიანების ზრდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რესოციალიზაციასთან დაკავშირებული ასეთი მექანიზმების ფორმირების ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება შეიძლება დაკავშირებული იყოს კულტურული გარემოს რესურსების გამოყენებასთან. ეს პერსპექტივა ჩანს თანამედროვე საქართველოს პირობებში, რადგან შიდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დიდი ქალაქების მაცხოვრებლების სოციალური ჯგუფია, რომლებსაც პრობლემები აქვთ სოციალურ სფეროში.

ადაპტაციებს მნიშვნელოვნად ავსებენ ისინი, ვინც სასჯელი მოიხადა. ყოველივე ამის შემდეგ, თუ წარსულში საზოგადოების ტიპის ტრადიციული საზოგადოებები საკმაოდ წარმატებით იყენებდნენ კულტურულ ფაქტორებს თავიანთ პრაქტიკაში სოციალური კონტროლის განსახორციელებლად და ინდივიდების და ზოგიერთი ჯგუფის არაადაპტაციით გამოწვეული გადახრების სოციალურად მისაღებ მიმართულებაზე გადასაყვანად. კულტურული პოტენციალის გამოყენება ამ სფეროში არის გააზრებული და აშკარად არასაკმარისად ჩართული რაც განსაკუთრებით ნათლად იგრძნობა შიდა მეგაპოლისების პირობებში.

სოციალურ კონტექსტში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სასჯელაღსრულების ადგილებიდან ქალაქურ დასახლებებში დაბრუნებული ადამიანების არასწორი მორგება, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ხელისუფლების ყველა დონისა და საზოგადოების აქტიური ურთიერთქმედებით. მნიშვნელოვან წვლილად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ხსნის ახალ შესაძლებლობებს ინდივიდის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისთვის, რომლებშიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კულტურული გარემოს სოციალური რესურსების ფართო სპექტრი. ეს განსაზღვრავს იმ საკითხების აქტუალობას, რომლებსაც ეძღვნება ჩვენი სამეცნიერო სტატია.უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვროთ ტერმინოლოგია, რადგან შემდგომი წარმოდგენის ძირითადი ცნებები - „პატიმართა რესოციალიზაცია“ და „ციხიდან გათავისუფლებული პირების რესოციალიზაცია“ აშკარად უკავშირდება ისეთ ზოგად ცნებებს, როგორიცაა „რესოციალიზაცია“ ზოგადად და „ადაპტაცია“.ამ ცნებების არსის გასარკვევად და მათი არსებითი განსხვავებების დასადგენად სხვა მონათესავე ცნებებისგან, მოდით მივმართოთ „სოციალიზაციის“ ზოგადი კონცეფციის ანალიზს, რომელიც, როგორც ერთ-ერთი ცენტრალურია სოციოლოგიურ და სოციალურ-პედაგოგიურ მეცნიერებებში, ამავე დროს, ერთგვარი მნიშვნელოვანი რგოლია დაკავშირებული ცნებების ზოგიერთი „ბუჩქის“ სახით - როგორიცაა ადაპტაცია, დესოციალიზაცია, რესოციალიზაცია და ასოციალიზაცია.

ჩვენი აზრით განსახილველი კონცეპტუალური სახე ასე გამოიყურება. ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერების უმრავლესობის აზრით, აქ ძირითადია სამი ურთიერთდაკავშირებული კატეგორია, რომლებსაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მთელი განხილული საკითხის გასაგებად: „სოციალიზაცია“,

„დესოციალიზაცია“ და „რესოციალიზაცია“. ჩვენი აზრით, ისინი ყველაზე მართებულად განიმარტება შემდეგნაირად: სოციალიზაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადამიანისსოციალური კავშირების შეძენისა და განვითარების პროცესი, რაც უზრუნველყოფს მის ადაპტაციას კონკრეტულ საზოგადოებაში ცხოვრების პირობებთან;დესოციალიზაცია არის ადამიანის მიერ სოციალიზაციის პროცესში ადრე შემუშავებული სოციალური კავშირების განადგურების პროცესი, რაც ადრე უზრუნველყოფდა მის ადაპტაციას გარკვეულ საზოგადოებაში ცხოვრების პირობებთან;პიროვნების რესოციალიზაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც დესოციალიზაციის შედეგად დაკარგული სოციალურად მნიშვნელოვანი თვისებებისა და პოზიტიური სოციალური კავშირების აღდგენა,ანუ ადამიანის დაკარგული სოციალიზმის მნიშვნელოვანი ელემენტების აღდგენა.თუ ვსაუბრობთ მათ ურთიერთობაზე, მაშინ ეს ასეა. ამ ტრიადაში უპირველესი, რა თქმა უნდა, არის„სოციალიზაცია“, რადგან თუ ეს არ მომხდარა კონკრეტულ შემთხვევაში და თუ ემთხვევა უარყოფითი ხასიათის არასასურველი გარემოებები, არ შეიძლება პიროვნების დესოციალიზაცია; ანუ „დესოციალიზაცია“ ვერ მოხდება, მაგრამ, ვინაიდან „რესოციალიზაციის“ აუცილებლობაზე მხოლოდ იმ შემთხვევებში შეგვიძლია ვისაუბროთ, როცა უკვე დესოციალიზებულ ადამიანთან

გვაქვს საქმე, მაშინ ამის საჭიროება შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება დესოციალიზაციის პროცესი და დასრულდება.

ანუ ინდივიდის დესოციალიზაციის გარეშე - პროცესი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის წინა სოციალიზაციის შედეგების განადგურებასთან (ან თავად სოციალიზაციის პროცესში პათოლოგიების არსებობასთან) - მისი პროცესის დაწყებისა და განვითარების წინაპირობები. რესოციალიზაცია (ადამიანის მიერ საზოგადოებაში დაკარგული პოზიციების აღდგენის პროცესი) ვერ წარმოიქმნება.

ამრიგად, საუბრისას "რესოციალიზაციის" ჩვენი პრეზენტაციის ძირითად განმარტებაზე, რომელიც არის კონცეპტუალური ტრიადის ბოლო ელემენტი "სოციალიზაცია - დესოციალიზაცია - რესოციალიზაცია", აღვნიშნავთ, რომ კონცეფცია მომდინარეობს ლათინური პრეფიქსის "re" კომბინაციიდან. - გაიმეორა, საპირისპირო და გვიანდელი ლათინური - "socialis", რაც ნიშნავს "საჯარო". ამ შემთხვევაში, პრეფიქსი „რე“ მიუთითებს განმეორებითი მოქმედების არსებობაზე ან განახლების განხორციელებაზე, როგორც პროცესზე, რომელიც ეწინააღმდეგება ასოციალიზაციას ან დესოციალიზაციას და ადამიანის მიერ ერთხელ დაკარგულის აღდგენას.ეს ნიშნავს, რომ ყველა ეს კონცეფცია და მასთან დაკავშირებული მოდელის იდეები შესაბამისი პროცესების შესახებ, ახასიათებს ადამიანის პიროვნების განვითარების ცალკეულ ეტაპებს და ასოცირდება სხვადასხვა მიდგომებთან ადამიანსა და საზოგადოებას შორის ურთიერთშეთანხმების მიღწევის საკითხის გადაჭრის მიმართ. მაშასადამე, თვით ფენომენების არსებითი შინაარსის გათვალისწინება „პატიმართა რესოციალიზაცია“ („თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია“), ასევე „პატიმრობის ადგილიდან გათავისუფლებული პირების რესოციალიზაცია“ და მათ შესახებ სანიმუშო წარმოდგენის ჩამოყალიბება. საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მათი გამორჩეული თვისებები, განვასხვავოთ ისინი დაკავშირებული სოციალური პრაქტიკოსებისგან და გავარკვიოთ არა მხოლოდ რა იგულისხმება ამ ფრაზებში, არამედ განვსაზღვროთ შესაბამისი სფერო მათი ეფექტიანი განხორციელებისთვის. სასჯელაღსრულების დაწესებულებები, რომლებიც კვლავაც რჩებიან, თუმცა არა ერთადერთი, მაგრამ სტაბილური მიმწოდებელი საკმარისი რაოდენობის პირთათვის, რომლებიც არ ჯდება საზოგადოებაში, ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა. მაგრამ ჩვენი აზრით, სასჯელაღსრულების დაწესებულებების „ბრალის წილი“ განმეორებითი დანაშაულის გამოვლინებებში ნასამართლობის შემდეგ სასჯელის მოხდის შემდეგ გათავისუფლებულ პირებს შორის საგრძნობლად გაზვიადებულია. ფაქტია, რომ დანაშაულის ჩამდენი ადამიანი, ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანი, თანდაყოლილია სოციალიზაციის გარკვეული ეტაპების გავლისას, რაც თან ახლავს მის განვითარებას დაბადების მომენტიდან. თუმცა ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ჩადის სოციალურად საშიშ ქმედებას, რისთვისაც საზოგადოებაში გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია დადგინდეს, რა იყო ასეთი ქცევის განმსაზღვრელი, კერძოდ: რა სოციალურმა ურთიერთობებმა შეუწყო ხელი ნეგატიური ნორმების ათვისებას, რომელმა სოციალურმა ინსტიტუტებმა არ მოახდინეს დადებითი გავლენა ინდივიდის სოციალიზაციის პროცესზე. ამ ფაქტორების გათვალისწინება საშუალებას მოგცემთ თავიდან აიცილოთ შეცდომები პიროვნების შემდგომ რესოციალიზაციაში. ეს აჩვენებს კავშირს სოციალიზაციასა და რესოციალიზაციას შორის. აქ მნიშვნელოვანია რესოციალიზაციის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებისა და პირობების მკაფიო გაგება: მისი მიზნები, ამოცანები, შედეგები და რესოციალიზაციის მექანიზმები.

მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზანი (როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულების კედლებში იხდიან სასჯელს, ისე სასჯელის მოხდის შემდეგ

გათავისუფლებულები), ჩვენი აზრით, უნდა გავიგოთ, როგორც მსჯავრდებულის თანდაყოლილი ნორმებისა და ღირებულებების შეცვლის პროცესი. მთელი პოზიტიური სოციალური გამოცდილების მოპოვება, ასევე სუბიექტურობის მიღწევა, რათა გააცნობიეროს სრული ფუნქციონირების უნარი

საზოგადოებამ განთავისუფლების შემდეგ. დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მთელი რიგი პრაქტიკული პრობლემების გადაჭრით, რომელთაგან მთავარია:

- მსჯავრდებულთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოსწორების, განმტკიცებისა და შენარჩუნების ხელშემწყობი პირობების შექმნა და სარეაბილიტაციო პირობებში უარყოფითი ფსიქო-ემოციური გამოცდილების კომპენსირება;
- მსჯავრდებულებში ისეთი უნარების განვითარება, რომელიც შეძლებს უზრუნველყოს როგორც დანაშაულის დაძლევა, ასევე თვითგანათლების, თვითკონტროლის უნარის ჩამოყალიბება, თვითრეალიზაციის პროცესის ხელშეწყობა ურთიერთობებისა და საქმიანობის სოციალურად მისაღებ სისტემაში;
- ღირებულებითი ცნობიერების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის სურვილს გათავისუფლების შემდეგ დაიცვას ქცევის კონსტრუქციული ფორმები და ნიმუშები, გაზარდოს მისი ზოგადი კულტურული დონე და დაძლიოს დანაშაულებრივი სუბკულტურის ფაქტორების გავლენა;
- მსჯავრდებულის საზოგადოებისთვის სასურველი სოციალური კავშირების აღდგენა დაშენარჩუნება, მათი გამდიდრება და განვითარება იმ ტერიტორიულ სოციალურ-კულტურულ გარემოში, რომელიც მიიღო გათავისუფლების შემდეგ;
- პროფესიული ცოდნის, კომპეტენციის და სხვა შრომითი უნარების მოპოვება ან/და აღდგენა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი განათლებისა და პროფესიული სწავლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
- პატიმრის თვითგანვითარების ხელშეწყობა, სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ ღირსეული ცხოვრების მოტივაციის შენარჩუნება და გაზრდა, გააქტიურება.

მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნის დაზუსტება გვაახლოებს რესოციალიზაციის პროცესის შედეგის გაგებასთან.თანამედროვე სოციალური პედაგოგიკის თანახმად, სოციალიზაციის შედეგია სოციალიზაცია, რომელიც მოიცავს პიროვნული და სოციალური პარამეტრების საკმაოდ ფართო სპექტრს: პიროვნების განათლებიდან და საკმარისი ცნობიერებიდან იდეოლოგიურ სიმწიფემდე, შემდეგ კი სოციალურ აქტივობამდე და სრულფასოვანი ცხოვრების უზრუნველყოფამდე.სოციალიზაციის კრიტერიუმებია: ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები, სტერეოტიპები, ღირებულებები, სამყაროს სურათი; ადაპტირება, ცხოვრების წესი, დამოუკიდებლობის დონე, თავდაჯერებულობა და ავტონომია, ინიციატივა, სიფხიზლე და კომპლექსების ნაკლებობა, კანონმორჩილი ქცევა, სოციალური იდენტობა (უნივერსალური, ჯგუფური). განსაკუთრებით აღსანიშნავია ის,რომ მეცნიერები სოციალიზაციის შედეგს განსხვავებულად განსაზღვრავენ - როგორც კატეგორიის „სოციალიზაცია“, ასევე კატეგორიის „სოციალიზაცია“. ვ.ნიკიტინი და ლ.მარდახაევი სოციალურობას სოციალური განათლების შედეგის პოზიციიდან ასაბუთებენ.სოციალიზაციის არსის ზუსტად აღქმაში სოციალური ფორმირების, განვითარების, განხორციელების მიღწევაში ასიმილაციის (ადაპტაციის), რეპროდუქციის (ინტეგრაციის), საზოგადოების კულტურის გაუმჯობესების (ინდივიდუალიზაციის) გზით, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სოციალიზაციის შედეგზე, როგორც ასიმილაციისა ასდა გაუმჯობესების მწვერვალზე. სულიერი ფასეულობების (სულიერების), რომელიც, ჩვენი აზრით, არის კულმინაცია.

პატიმართა რესოციალიზაციის შესწავლის ფარგლებში, მიგვაჩნია, რომ სოციალიზაცია არის სოციალიზაციის კომპონენტი და უზრუნველყოფილია სოციალური განათლების ნორმებით. ტერმინოლოგიური აღრევის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია აღვნიშნოთ ისეთი ცნებების გამიჯვნის აუცილებლობა, როგორიცაა პატიმრების სოციალიზაცია და რესოციალიზაცია. პატიმართა რესოციალიზაცია უნდა გავიგოთ, როგორც სოციალური პოზიტიური გამოცდილების განმეორებითი სოციალური ფორმირების, განვითარების, დაუფლებისა და რეპროდუქციის შედეგი.ცხოვრების აქტივობა საზოგადოებაში. აღვნიშნოთ, რომ რესოციალიზაციის დროს პატიმართა სოციალიზაციის მაღალი დონის ფორმირების პროცესში შესაძლებელია სოციალიზაციის დონის ამაღლება, რაც ლოგიკურად გულისხმობს იმის გაგებას, რომ ჩვენ ვწყვეტთ პატიმრის რესოციალიზაციის მაღალი დონის უზრუნველყოფის პრობლემას; .რესოციალიზაციის პროცესის შინაარსი შედარებით არასრული იქნება პატიმართა რესოციალიზაციის მექანიზმების ანალიზისა და დასაბუთების გარეშე, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, რეალურად როგორ ყალიბდება პატიმრის რესოციალიზებული პიროვნება.

რაც შეეხება მსჯავრდებულთა და/ან სასჯელის მოხდის შემდეგ გათავისუფლებულ პირთა რესოციალიზაციის პროცესებს, მათი განხორციელების მექანიზმები წარმოდგენილია შემდეგნაირად. ჩვენი აზრით, წარმოდგენილი მექანიზმების პირდაპირი „გადატანა“ რესოციალიზაციის პროცესზე არასაკმარისი იქნება, თუნდაც შემოთავაზებულს დაემატოს ისეთი ეფექტიანი რესოციალიზაციის მექანიზმი, როგორიცაა განათლება. სოციალიზაციისა და რესოციალიზაციის წამყვან მექანიზმებს დასაბუთებული მეცნიერთა სამეცნიერო პოტენციალის საფუძველზე, ჩვენ ჩამოვაყალიბებთ საკუთარ გაგებას პატიმართა რესოციალიზაციის წამყვანი მექანიზმის შესახებ, რომელსაც პირობითად განვსაზღვრავთ, როგორც ნეგატიური სოციალური გამოცდილების შებრუნების მექანიზმს, რომლის არსი ასეთია: რესოციალიზაციის გარემოში ახალ წევრებზე ზემოქმედება უფრო მნიშვნელოვანი იქნება, თუ ის განხორციელდება რესოციალიზებული პატიმრების რესურსებით. ასეთი გავლენის დადებითი ეფექტი აიხსნება იმით, რომ განხორციელდება სოციალურა დამტკიცებული ნორმებისა და ღირებულებების ასიმილაციის სტიმულირება, ქცევის სოციალურად არა იძულებითი და არა სპეციალურად ორგანიზებული გავლენის სუბიექტებისგან (სპეციალისტები), არამედ მათგან, ვინც მნიშვნელოვანია ინდივიდისთვის.ეს მიდგომა არა მხოლოდ არ ეწინააღმდეგება ძირითად აზრს, რომელსაც განვიხილავთ კონცეპტუალურ ტრიადაში „სოციალიზაცია – დესოციალიზაცია – რესოციალიზაცია“ სინერგიული კავშირის ფარგლებში, არამედ საშუალებას გვაძლევს ერთად გამოვიყენოთ ეს საფუძვლიანი მექანიზმები ტრაექტორიის აღსადგენად. ნორმატიული სოციალიზაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია სამეცნიერო მიმოქცევაში „რესოციალიზაციის ტრაექტორიის“ ცნების შემოტანა.

პედაგოგიკაში ტრაექტორია გაგებულია, როგორც პირადი გზა განათლებაში პირადი პოტენციალის რეალიზაციისკენ. მსგავს არსებით მახასიათებლებს ვხვდებით სხვა მეცნიერებათა მეცნიერულ განვითარებაში. ამრიგად, სოციოლოგების ა.კოვალევას, ვ.ბოგდანოვას მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომლებმაც შეიმუშავეს ახალგაზრდობის სოციალიზაციის ტრაექტორიის კონცეფცია, აღვნიშნავთ, რომ აღნიშნული ტერმინით აღნიშნული სპეციალისტები ესმით ინდივიდის სოციალიზაციის ეფექტურობის დროის დინამიკას, მათ შორის. სოციალურ ნორმასთან ადაპტაცია და მისი ინტერნალიზება ანალოგიურად, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ტრაექტორიით (როგორც სასჯელს იხდიან, ისე ციხიდან გათავისუფლების შემდეგ ნორმალურ ცხოვრებას უბრუნდებიან) ჩვენ გავიგებთ პატიმრის ნორმატიულ

სოციალიზაციაში დაბრუნების გზას, რომლის შედეგია პიროვნების განვითარება და ნორმატიული სოციალიზაციის აღდგენა.

სოციალურ-პედაგოგიური მეცნიერების წარმომადგენელთა ნაშრომების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პატიმრების რესოციალიზაციის არსის გარკვევა მნიშვნელოვანია ჩვენი ამოცანის გადასაჭრელად, ცხადია, მარტო სოციალიზაციის პარადიგმის გათვალისწინება საკმარისი არ არის. ინდივიდის გარე სამყაროსთან მრავალმხრივი კავშირების ერთობლიობა, რომლის ცენტრიც ინდივიდია, წარმოადგენს ინდივიდის საფუძველს, ამიტომ რესოციალიზაციის შინაარსი არის ამ პროცესის მიზანმიმართული მართვა სოციალური რეალობის ფორმატში; ანუ ჩვენი ყოვლისმომცველი კვლევისშემდეგი საკითხი იქნება პატიმართა რესოციალიზაციისთვის ორგანული სოციოკულტურული გარემოს გათვალისწინება.

„სოციალური გარემო“, როგორც სოციალური პედაგოგიკის ერთ-ერთი წამყვანი განმარტება, ზოგადად განიხილება, როგორც რთული მრავალდონიანი ფორმაცია, სოციალური ურთიერთობების სპეციფიკური გამოვლინება, რომელიც ხდება საზოგადოებაში, რომელშიც ინდივიდი ცხოვრობს და ვითარდება; ადამიანის ცხოვრების სოციალური პირობების ერთობლიობა (საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროები, სოციალური ინსტიტუტები, სოციალური ჯგუფები), რომლებიც გავლენას ახდენენ მის ცნობიერებაზე და ქცევაზე. „სოციალური გარემოს“ ცნება განისაზღვრება, როგორც ადამიანის არსებობის, ჩამოყალიბებისა და საქმიანობის სოციალური და სულიერი (განსხვავებით ფიზიკური) პირობები; პიროვნებაზე მოქმედი ფაქტორი]. ა.მუდრიკი, ფართო გაგებით (მაკროგარემო) განსაზღვრავს სოციალურ გარემოს, როგორც მთლიან სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას: პროდუქტიული ძალები, სოციალური ურთიერთობებისა და ინსტიტუტების მთლიანობა, საზოგადოებრივი ცნობიერება, საზოგადოების კულტურა; სოციალური გარემო ვიწრო გაგებით (მიკროგარემო), როგორც პიროვნების უშუალო გარემო - ოჯახი, სამუშაო, საგანმანათლებლო და სხვა ჯგუფები, საცნობარო ჯგუფები, ინტერესთა ასოციაციები.სოციალიზაციის პროცესის კომპონენტებთან დაკავშირებით მეცნიერთა მოსაზრებაზე მითითებააღვნიშნავთ, რომ სპონტანური სოციალიზაცია, რომლის ზემოქმედებას განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ობიექტური რეალობები, არ იძლევა სოციალიზაციის დადებით შედეგს. ამავდროულად, სოციალურად კონტროლირებადი სოციალიზაციის (სოციალური განათლება) გავლენა, როგორც საზოგადოების მიერ სხვადასხვა პირობების სისტემატური შექმნა - სამართლებრივი, სულიერი, მატერიალური, ორგანიზაციული და ა.შ. შეიძლება ჰქონდეს „იდეალიზებული“ ხასიათი და შევიდეს კონფლიქტში სოციალური რეალობები. ამ მხრივ აუცილებელია სოციალიზაციის გარემოს შექმნა, რომელშიც სოციალური გავლენა ინდივიდზე იქნება დაბალანსებული და ერთგვაროვანი, აერთიანებს სპონტანურობისა და მიზანდასახულობის ყველა ელემენტს.

ჩვენი აზრით, დესოციალიზაციისა და რესოციალიზაციის პროცესების განვითარების ახსნა მიზანშეწონილი იქნება, რადგან თითოეულ მათგანს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქვს თავისი მახასიათებლები და დამოკიდებულია სოციალური გავლენის ხარისხზე. ამრიგად, სოციალური გარემოს უარყოფითი ფაქტორების გავლენის ქვეშ, რაც, ა.ვ. მუდრიკი არის ობიექტური ფაქტორები ადამიანის სოციალიზაციის არახელსაყრელი პირობების მსხვერპლად გადაქცევაში, ხდება დესოციალიზაციის პროცესი. ამავე ავტორის აზრით, დესოციალიზაციის მძლავრი ფაქტორია ვიქტიმოგენურობა, როგორც მახასიათებლების, ნიშან-თვისებების, საფრთხეების არსებობა სოციალიზაციის გარკვეულ ობიექტურ გარემოებებში, რომელთა გავლენამ შეიძლება ადამიანი გახადოს ასეთი გარემოებების მსხვერპლი (მაგალითად, ვიქტიმოგენური მიკროსაზოგადოება). .სოციალურ გარემოში რესოციალიზაციას, როგორც კონცეპტუალური

ტრიადის პროცესს და კომპონენტს აქვს სპეციფიკური თავისებურებები და მოითხოვს სპეციალურად ორგანიზებულ პირობებს. ამ პროცესის არსი შეიძლება გამოიხატოს კონცეპტუალურ იდეაში: რესოციალიზაციის გარემოში სოციალური განათლებისა და სოციალური მომზადების პროცესები ერთდროულად არის სპეციალურად ორგანიზებული, რადგან მხოლოდ ამ ორი პროცესის დომინირების შემთხვევაში შეიძლება იყოს პატიმართა რესოციალიზაციის დადებითი შედეგი. მიღებული, ხოლო სპონტანური სოციალიზაციის ნეგატიური გავლენა შეზღუდულია რესოციალიზაციის გარემოს ფარგლებში. რესოციალიზაციის გარემო შინაარსობრივად და არსებით არის ზოგადი სოციალური გარემოს ნაწილი, საფუძველი იმისა, თუ რა არის მისი სპეციფიკა, რომელიც მდგომარეობს სოციალური იზოლაციის გაზრდილ დონეზე, სპონტანური სოციალიზაციის ფაქტორების გავლენის კონტროლირებად ბუნებაში. ამ საკითხზე სამეცნიერო კვლევების ანალიზი ცხადყოფს ორაზროვნებას ტერმინ „რესოციალიზაციის გარემოს“ არსებით გაგებაში. სოციალური გარემოს ზოგად განმარტებებზე დაყრდნობით, რესოციალიზაციის გარემოს განსაზღვრება ადამიანთა სხვა კატეგორიებთან მიმართებაში, ჩვენ გამოვყოფთ სოციალური გარემოს საკუთარ გაგებას პატიმრების რესოციალიზაციის იდეების ფონზე, რაც ჩვენს კვლევაში იქნება. გაგებული, როგორც პირობების ერთობლიობა, რომელიც პატიმარს აძლევს შესაძლებლობას აღადგინოს ჯანმრთელობა (ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია), სოციალური კავშირები (სოციალური რეაბილიტაცია), კულტურული ფასეულობების შესწავლასა და ათვისებაზე დაფუძნებული ახალი სოციალურად დადებითი გამოცდილების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. ნორმები, დამოკიდებულებები, ქცევის ნიმუშები, ასევე სოციალური აქტივობის განხორციელება სხვადასხვა ტიპის საქმიანობაში. ფაქტორების ან გარემო ფაქტორების განსაზღვრისას აღვნიშნავთ, რომ ზოგადად ლ. მარდახაევს ესმის ყველაფერი, რაც პირდაპირ და ირიბად მოქმედებს ადამიანზე: ოჯახი, სკოლა, მედია, ახალგაზრდული ასოციაციები და ა.შ. ხაზს ვუსვამთ, რომ სოციალიზაციის ფაქტორებისა და გარემო ფაქტორების მეცნიერთა გაგების გაურკვევლობის მიუხედავად, ყველა მათგანი ამა თუ იმ ხარისხით ახდენს გავლენას ჩვენს მიერ შესწავლილ კონცეპტუალურ ტრიადაში პროცესების განვითარებაზე. გარემო ფაქტორების და სოციალიზაციის იდენტიფიცირებისას აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე სოციალურ პედაგოგიკაში ფაქტორები იყოფა მეგა- (სივრცე, პლანეტა, სამყარო), მაკრო- (ქვეყანა, ეთნიკური ჯგუფი, სახელმწიფო), მეზო- (ადგილი და დასახლების ტიპი, რომელიც ეკუთვნის. სუბკულტურა) და მიკრო ფაქტორები (თანატოლების ჯგუფები, მეზობლები, ოჯახი, ორგანიზაციები). მათი გავლენისა და განხორციელების დონეები კორელაციაშია თემების მასშტაბებთან, ამიტომ შეგვიძლია განვასხვავოთ სოციალური (სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, პიროვნული განვითარების ეროვნული მახასიათებლები, მათ შორის ცხოვრების ხარისხი, გარემო ვითარება, ექსტრემალური სოციალური გარემოებების გაჩენა და ა.შ.) და ინდივიდუალური პიროვნული ფაქტორები (პიროვნების ცხოვრების გზის უნიკალურობა).

დასკვნა

რომ შევაჯამოთ ნათქვამი, ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ რესოციალიზაციის ორ მხარეს, როგორც საფუძველს, რომელ ხარისხზე იქნება დამოკიდებული სასჯელის მოხდის შემდეგ გათავისუფლებული პირის საზოგადოებაში ინტეგრაციის წარმატება. ამ მხარეებიდან პირველს აკავშირებს თავად პიროვნების ღირებულებით-მოტივაციური კომპლექსი და ყოველდღიურ გაგებაში ვლინდება ალტერნატივის საშუალებით: „სურს ან არ სურს“ გახდეს კანონმორჩილი მოქალაქე და რა ფასეულობები, რა საცნობარო ჯგუფები. ის ორიენტირებულია: ასოცირდება თუ არა ასოცირდება კრიმინალურ გარემოსთან. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვსაუბრობთ

რესოციალიზაციაზე მუშაობის იმ სფეროებზე, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებულია თავად ადამიანზე მაკორექტირებელი გავლენის მოხდენაზე, მისთვის შესაძლო პერსპექტივების გამოვლენაზე და მასში აუცილებელი სოციალური და პროფესიული უნარების ერთობლიობის განვითარებაზე. და შესაძლებლობები. რესოციალიზაციის პროცესების მეორე მხარე უფრო მეტად მოიცავს ადამიანის გარე გარემოსთან მუშაობას; ყოველ შემთხვევაში მისი მახასიათებლებისა და ძირითადი გავლენის ფაქტორების გათვალისწინებით. იგი ასოცირდება კულტურული კონფორმულობის პრობლემის რეალურ გადაწყვეტასთან პიროვნებასა და სოციალურ-ტერიტორიულ საზოგადოებას შორის, რომელიც მას განთავისუფლების შემდეგ მასპინძლობს. და აქ, იგივე „ყოველდღიური ენის“ გამოყენებით, შეგვიძლია მოკლედ, მაგრამ ლაკონურად დავახასიათოთ მთავარი პრობლემა: „დაუშვებენ თუ არა ამას“. ანუ, ჩვენ ვსაუბრობთ ურთიერთშესაბამისობაზე, ერთის მხრივ, თავად რესოციალიზაციის პიროვნების კულტურულ მიდრეკილებასა და მეორეს მხრივ, მის მიმღებ კულტურულ გარემოს ძირითად პარამეტრებსა და მათ მახასიათებლებს შორის.ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური განათლების (სოციალურობის) შედეგისგან განსხვავებით, სოციალიზაციის შედეგი არ არის გარანტირებული პოზიტიური, რადგან სოციალიზაციის პროცესი, რომელიც იძენს სპონტანურ ხასიათს, პირდაპირ და ირიბად გავლენას ახდენს ინდივიდზე, ყოველთვის არ ვითარდება. დადებით პირობებში 3. გარდა ამისა, როგორც საზოგადოების ნაწილი, ადამიანს ზოგჯერ არ აქვს შესაძლებლობა განთავისუფლდეს საზოგადოების იმ ნაწილისგან, რომელიც მასზე უარყოფითად აისახება, წარმოიქმნება დამახინჯებული სოციალური ინტერაქცია, რაც გავლენას ახდენს ადამიანის ფუნქციონირებაზე გარემო.

ლიტერატურა

1. სადოვაია ე.ს. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. პოლისი. პოლიტიკური კვლევები. 2016. No 4. გვ 41–53.

2. შაპოვალ ი.ა. საზღვრებს მიღმა, როგორც კონსტრუქციული აგრესიის აქტი. თანამედროვე მეცნიერებისა და განათლების ალმანახი. 2016. No4 (106). გვ 137–141.

3. მუდრიკ A.V. სოციალური პედაგოგიკა: [სახელმძღვანელო. სტუდენტებისთვის პედ. უნივერსიტეტები] / A.V. მუდრიკი; [რედ. ვ.ა. სლასტენინი]. – მე-3 გამოცემა, რევ. და დამატებითი მ.: საგამომცემლო ცენტრი "აკადემია", 2000. – 200გვ.

სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა ციფრული შევიწროებისგან
Protection of the Authority of the Judiciary from Digital Harassment

ნათია გველესიანი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურის სტუდენტი
Natia Gvelesiani
Caucasus International University
PhD student

აბსტრაქტი. ციფრული ტექნოლოგიების მზარდმა ინტეგრაციამ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიწვია სასამართლო ინსტიტუტების გამოწვევების იდენტიფიცირება, რომელთაგან ერთ-ერთია ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენასთან ბრძოლის კომპლექსური მიდგომა, რომელიც მიმართულია მოსამართლეებისა და სასამართლო ინსტიტუტების მიმართ. სოციალური მედიის პლატფორმებისა და ონლაინ ფორუმების, როგორც გამოხატვის ადგილის მზარდმა გამოყენებამ გამოიწვია სიძულვილის ენის გავრცელება, რაც აუარესებს მოქალაქეთა ნდობას სამართლებრივი და დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ, საფრთხეს უქმნის სოციალურ სტაბილურობასა და სამართლებრივ წესრიგს, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტსა და დამოუკიდებლობას.

ნაშრომში განხილულია ციფრული შევიწროების ბუნება და გავლენა სასამართლო სისტემაზე, როგორიცაა სოციალური მედიის თავდასხმები და სასამართლო ავტორიტეტის შელახვის მცდელობები დეზინფორმაციის საშუალებით.

სტატია განიხილავს, თუ როგორ ეხება არსებული სამართლებრივი ჩარჩოები, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) პრეცედენტები, ციფრული შევიწროებისგან სასამართლო დაცვის აუცილებლობას სიტყვის თავისუფლების პრინციპების შელახვის გარეშე. ასევე, დაპირისპირებული ინტერესებიდან თუ რომელ სამართლებრივ სიკეთეს უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

ნაშრომის მიზანია გამოკვეთოს სამართლებრივი და ტექნოლოგიური სტრატეგიების შემუშავება, რომელსაც შეუძლია დაიცვას სასამართლო ავტორიტეტი, სამართლის უზენაესობა და შეინარჩუნოს სამართლიანი საზოგადოება ახალი ციფრული საფრთხეების ფონზე.

საკვანძო სიტყვები: სიძულვილი, ენა, შევიწროება, გამოხატვა, ციფრული, ადამიანი, უფლებები.

Abstract. The increasing integration of digital technologies into daily life has led to the identification of challenges for judicial institutions, one of which is the complex approach to combating hate speech in the online space, which targets judges and judicial institutions. The growing use of social media platforms and online forums as places of expression has led to the spread of hate speech, which undermines public trust in legal and democratic institutions, threatens social stability and the rule of law, and harms the authority and independence of the judiciary.

The article examines how existing legal frameworks, including the European Court of Human Rights (ECtHR) precedents, address the need for judicial protection from digital harassment without undermining the principles of free speech. It also explores which legal interests should take precedence in situations of conflicting interests.

The aim of the paper is to highlight the development of legal and technological strategies that can protect judicial authority, the rule of law, and maintain a just society in the face of emerging digital threats.

Keywords: Hate, Speech, Harassment, Expression, Digital, Human, Rights

1. შესავალი

სამართლებრივ სახელმწიფოში მართლმსაჯულების ძირითადი მიზანია ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვა, რაც მოსამართლის მიუკერძოებლად და ზეწოლის გარეშე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას გულისხმობს. ამის საფუძველს სასამართლოს დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიები ქმნის, რომლებიც ხშირ შემთხვევაში კონსტიტუციაში აისახება. როგორც გერმანიის, ისე საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ მოსამართლე ექვემდებარება მხოლოდ კანონს და კონსტიტუციას. თუმცა, მხოლოდ სამართლებრივი გარანტიები საკმარისი არ არის, თუ მოსამართლეს პრაქტიკაში არ გააჩნია დამოუკიდებლობის დაცვის რეალური შესაძლებლობა. ამისთვის აუცილებელია შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმები, რომელთა დახმარებითაც მოსამართლე ეფექტურ წინააღმდეგობას გაუწევს და თავიდან აიცილებს თავის სამოსამართლო საქმიანობაზე ნებისმიერი სახის ზეგავლენის მოხდენის მცდელობას (კონფერენცია, 2013, გვ. 115).

ციფრულ ეპოქაში მოსამართლეები ხშირად ხდებიან ონლაინ შევიწროების ობიექტი, რაც საფრთხეს უქმნის როგორც მათ უსაფრთხოებას, ისე სასამართლოს ავტორიტეტს. ასეთ პირობებში სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

დამოუკიდებელი მართლმსაჯულება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია. მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ თავისუფლება, მიიღონ მიუკერძოებელი გადაწყვეტილებები

გარე გავლენის გარეშე, რათა კანონის უზენაესობა თანაბრად გავრცელდეს საზოგადოების ყველა წევრზე (Daniel C. Préfontaine, Q.C. & Joanne Lee, 1998). ისტორიული გამოცდილება კი ცხადყოფს, რომ დამოუკიდებელი სასამართლოს გარეშე, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკი მნიშვნელოვნად იზრდება. დამოუკიდებლობა, ასევე, განაპირობებს სამართლიან სასამართლოსა და საზოგადოების ნდობას (EDITORIAL, 2024). მოსამართლეთა მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა აუცილებელია სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად. მოსამართლეთა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა კონსტიტუციით ან უმაღლეს სამართლებრივ დონეზე უნდა იყოს დაცული. ამ ფუნდამენტური კანონებით გათვალისწინებული სტრუქტურული მოწყობა უნდა აჩვენოს უფლებამოსილების მკაფიო განაწილება აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის (Mijatović, 2019).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციით სასამართლოს დამოუკიდებლობა გარანტირებულია, მართლმსაჯულების სისტემა მნიშვნელოვან გამოწვევებს წინაშე დგას. საერთაშორისო კრიტიკა, გახმაურებული საქმეები და მოსამართლეებზე შესაძლო ზეწოლა მიუთითებს სიღრმისეული რეფორმების აუცილებლობაზე. მოცემულ სტატიაში გაანალიზებული იქნება ძირითადი შემთხვევები, დამოუკიდებლობის გამოწვევები და მათი გავლენა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე.

2. სასამართლო ავტორიტეტის დაცვის მნიშვნელობა

სასამართლო სისტემა, წარმოადგენს ხელისუფლების ნეიტრალურ და დამოუკიდებელ შტოს, რომელიც სულ უფრო და უფრო ხდება ციფრული შევიწროების სამიზნე, რაც მიზნად ისახავს მისი ავტორიტეტის შელახვას. ციფრული შევიწროების ერთ-ერთი ყველაზე საგანგაშო ასპექტია სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვის პოტენციალი. როდესაც მოსამართლეებს თავს ესხმიან ონლაინ, გახმაურებული გადაწყვეტილებების გამო ან/და, რომელზეც საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია. მიზანი ხშირად მათი დაშინება ან დისკრედიტაციაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი გადაწყვეტილებები თანხვედრაში არ მოდის იმ პირთა ინტერესებთან, რომელთა მხრიდანაც ხორციელდება სასამართლოს დისკრედიტაცია. ციფრულ შევიწროებას შეიძლება ჰქონდეს მრავალი ფორმა. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია კიბერბულინგი, კიბერსტალკინგი, დოქსინგი და ონლაინ ცილისწამება. NapoleonCat-ის მონაცემებით, 2024 წლის დეკემბერში საქართველოში Facebook-ის 3,709,900 მომხმარებელი იყო, რაც მოსახლეობის დაახლოებით 95.2%-ს შეადგენს. (Social media users in Georgia, 2024). მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული სტატისტიკა მომხმარებელთა ჯგუფებში გაწევრიანების შესახებ არ მოიპოვება, ცნობილია, რომ მათი დიდი ნაწილი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ჯგუფებში, რაც სოციალური მედიის პლატფორმების კომუნიკაციურ ფუნქციას კიდევ უფრო აძლიერებს.

კიბერბულინგი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული ბულინგია, რომელიც სოციალური მედიის, შეტყობინებებისა თუ თამაშის პლატფორმებისა და მობილური ტელეფონის საშუალებით ხდება. იგი განმეორებადი ქცევაა, რომელიც ადამიანის დაშინებას, შერცხვენას თუ გაბრაზებას ისახავს მიზნად.

კიბერსტალკინგი (Cyberstalking) წინასწარ შერჩეული სამიზნის ,,ადევნება", ,,გადაკიდება, ძალადობის და შევიწროების ფორმაა, რომელიც ხდება ინტერნეტის და სხვა ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით. ეს გულისხმობს სიტყვიერ შეურაცხყოფას, ხშირად ვებ-გვერდებზე, სოციალური მედიის პლატფორმებზე, მესენჯერებში და ელექტრონულ ფოსტაში. კიბერსტალკინგი შეიძლება მოიცავდეს არა მხოლოდ სიტყვიერ შეურაცხყოფას, არამედ პირადი

ინფორმაციის გაჟონვას, მუქარას, ან სხვა სახის მავნე ქმედებებს. კიბერსტალკინგის მსხვერპლ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს სერიოზული როგორც ფსიქიკური, ისე ჯანმრთელობისთვის საზიანო პრობლემები, განსაკუთრებით თუ მსხვერპლი გრძნობს, რომ ის საფრთხეშია (Kelly, 2016).

ერთ-ერთი სახიფათო ტაქტიკაა დოქსინგი (doxing), ქმედება, როდესაც ადამიანი, ორგანიზაცია ან ჯგუფი ავრცელებს პირად ხასიათის ინფორმაციას (მაგალითად, სახელი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა და სხვა) რაც ხელმისაწვდომია ინტერნეტში სხვა ადამიანებისათვის, მათი ნების წინააღმდეგ. მიზანი არის პირის ან ორგანიზაციისთვის ძალადობა, ზიანის მიყენება, დისკრედიტაცია, ფსიქოლოგიური ან ფიზიკური დისტრესის გამოწვევა.. ადამიანები ხშირად აღმოჩნდებიან ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ფიზიკური საფრთხის წინაშე. (https://www.womenslaw.org/, 2024).

ონლაინ ცილისწამება (Online Defamation) არის შემთხვევა, როდესაც ინტერნეტში, ძირითადად სოციალურ მედია, ფორუმებსა და სხვა ონლაინ პლატფორმებზე, პირის რეპუტაციის ან ღირსების განზრახ შელახვა ხდება. ონლაინ ცილისწამება შეიძლება მოიცავდეს: ტყუილის გავრცელებას პირის ან ორგანიზაციის შესახებ, არასწორი ან დამამცირებელი განცხადებების გაკეთება, რომელიც მიზნად ისახავს სხვების შეურაცხყოფას ან მათ რეპუტაციაზე ზემოქმედებას (https://www.womenslaw.org/, 2024).

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში, მოსამართლეების წინააღმდეგ სოციალურ ქსელებსა თუ ონლაინ პლატფორმებზე, განსაკუთრებით ფეისბუქ ჯგუფებში, ვრცელდება არა მხოლოდ მათი პირადი ხასიათის ინფორმაცია, როგორიცაა სახლის მისამართი, არამედ შეურაცხმყოფელი და დამაკნინებელი განცხადებები. ამასთან, ხშირია შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტები ან აქტივისტები მოსამართლეებს პირადად აკითხავენ სახლთან ან სამსახურთან და პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებენ მათი მისამართით. მსგავსი ქმედებები მიზანმიმართულად არღვევს მოსამართლეების პირად სივრცეს და საფრთხეს უქმნის სასამართლოს მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას. შესაბამისად, ციფრული შევიწროება საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ინდივიდუალურ მოსამართლეებს, არამედ სასამართლოს დამოუკიდებლობას, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტს აზიანებს.

არაერთმა კვლევამ დაადგინა, რომ საზოგადოებრივი აზრი და მედია გავლენას ახდენს მოსამართლეებზე გადაწყვეტილების მიღებაზე (Monika Hanych, Hubert Smekal, Jaroslav Benák, 2023). ბევრმა ქვეყანამ მიიღო კანონი ონლაინ შევიწროების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგალითად, გერმანიაში ძალაში შევიდა კანონი ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენის წინააღმდეგ. ზემოაღნიშნული კანონი NetzDG-ის სახელით არის ცნობილი და სოციალურ მედიებს, მათ შორის ისეთებს, როგორიცაა ფეისბუკი, ტვიტერი, გუგლი, ავალდებულებს, რომ საჩივრის შესვლიდან 24 საათის განმავლობაში სიძულვილის შემცველი კონტენტი წაშალონ. ვალდებულების არშესრულების შემთხვევაში კომპანიას, შესაძლოა 50 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმაც კი დაეკისროს, თუმცა სანქციის ოდენობა კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე იქნება დადგენილი.

ყალბ საინფორმაციო საიტებს შეუძლიათ გაავრცელონ ყალბი ნარატივები სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რათა შეარყიონ საზოგადოების ნდობა (International Commission of Jurists, 2022). მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა პლატფორმამ მიაღწია წინსვლას ციფრული შევიწროების წინააღმდეგ (მაგ., ანგარიშის, პოსტის მიმოხილვა, იგივე report), კონტენტის ეფექტურად მოდერაციის უნარი კვლავ სადავო საკითხია. ამასთან, პირადი ინფორმაციის გამჟღავნება - და ცილისწამება ანონიმურობის გამო უმეტეს შემთხვევაში დაუსჯელია.

ფრაზა „სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი“ მოიცავს იმ ცნებას, რომ სასამართლოები არიან და საზოგადოების მიერ ზოგადად მიიჩნევიან, როგორც სათანადო ორგანოები სამართლებრივი დავების გადასაჭრელად და ადამიანის ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებად სისხლის სამართლის საქმეებზე. აქ ასევე, იგულისხმება საზოგადოების მხრიდან პატივისცემის მაღალი ხარისხი და რწმენა, რომ სასამართლოს შესწევს ამ ფუნქციის შესრულების უნარი (Worm v. Austria - para. 41, 1997). თუ არ ჩავთვლით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხდება მეტად საზიანო და უსაფუძვლო თავდასხმა, მოსამართლეები წარმოადგენენ სახელმწიფოს ფუნდამენტური ინსტიტუციის ნაწილს და შეიძლება დაექვემდებარონ პირად კრიტიკას დასაშვებ ფარგლებში (ლინდონი, ოჩაკოვსკი-ლორენი და ჟული (Lindon, OtchakovskyLaurens and July) საფრანგეთის წინააღმდეგ, $74, 2022). ამდენად, თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას, მათზე ვრცელდება დასაშვები კრიტიკის უფრო ფართო ფარგლები, ვიდრე რიგითი მოქალაქის შემთხვევაში (Morice v. France , 2015). თუმცა ერთ-ერთ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა აღნიშნულ დასაშვები კრიტიკის ზღვარს გადააბიჯა, როცა სატელევიზიო არხის მეშვეობით მოსამართლეს მძიმე პირად შეურაცხყოფას აყენებდა. ვინაიდან „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მხრიდან მოსამართლის მისამართით განხორციელებული უსაფუძვლო მედია შეტევები შეიძლება განხილული იყოს როგორც მოსამართლის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის შეუფერებელი მცდელობა და ზოგადად წვლილი შეიტანოს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის შელახვაში. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გენერალური დირექტორი არც კი მალავდა იმას, რომ ამგვარ შეურაცხმყოფელ საჯარო გამონათქვამებს განზრახ იყენებდა იმ მიზნით, რომ მოსამართლის პროვოცირება მოეხდინა და მისი აცილების მოთხოვნის საფუძვლები შეექმნა (RUSTAVI 2 BROADCASTING COMPANY LTD AND OTHERS v. GEORGIA, 2019).

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებმა დაადასტურეს, რომ მოსამართლის რეპუტაციის დაცვა შეიძლება გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ საფუძვლად იქცეს. საქმეზე Peruzzi v. Italy, იტალიელი ადვოკატი გაასამართლეს მოსამართლის ცილისწამებისთვის განზრახ სასამართლო შეცდომების შესახებ წერილის მეშვეობით. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანმა სადავო წერილი გაუგზავნა, როგორც თავად მოსამართლეს, აგრეთვე ლუკას რაიონული სასამართლოს სხვა მოსამართლეებსაც. როგორც ეს გენოას სააპელაციო სასამართლომ მართებულად აღნიშნა, ამგვარი შინაარსის წერილის გავრცელება ისეთ ვიწრო წრეში, როგორიც რაიონული სასამართლოა, აუცილებლად შელახავდა მოსამართლის რეპუტაციას. სასამართლომ დაადგინა, მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა ,,აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში'', რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სხვათა რეპუტაციის და სასამართლო სისტემის ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვა, კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის მნიშვნელობის ფარგლებში (CASE OF PERUZZI v. ITALY, 2015).

საქმეზე BACKOVIĆ v. SERBIA (No. 2) გადაწყვეტილებით ეროვნული სასამართლოს წერილობითი საჩივრით შეურაცხყოფის გამო პასუხისმგებლობის დაკისრების კონვენციასთან შესაბამისობის საკითხი და "ზურაბიანი საქართველოს წინააღმდეგ" საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით ეროვნული სასამართლოს საჯაროდ, სასამართლო სხდომაზე შეურაცხყოფის გამო პასუხისმგებლობის დაკისრების კონვენციასთან შესაბამისობის საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ორივე შემთხვევაში უფლების დაცვის ერთი და იმავე

სტანდარტით შეაფასა. ამასთანავე, უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ორივე შემთხვევაში სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის დაცვა დაასახელა (CASE OF BACKOVIĆ v. SERBIA, 2025) (ZURABIANI v. Georgia, 2025).

ზემოაღნიშნული გარემოებების შესაბამისად, ციფრული შევიწროება მზარდ საფრთხეს წარმოადგენს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა უსაფრთხოებისთვის. კიბერბულინგი, კიბერსტალკინგი, დოქსინგი და ონლაინ ცილისწამება არღვევს მათ პირად სივრცეს და იწვევს საზოგადოების ნდობის შერყევას სასამართლოს მიმართ. მიუხედავად გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა ლეგიტიმური შეზღუდვის საფუძველია. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ, სხვა ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით, გააძლიეროს სამართლებრივი მექანიზმები და ციფრული პლატფორმების რეგულაცია, რათა დაცული იქნას სასამართლოს დამოუკიდებლობა და დემოკრატიული პრინციპები.

3. მედიის როლი და პასუხისმგებლობა

გამოხატვის თავისუფლება მედიას განსაკუთრებულ უფლებებსა და მოვალეობებს ანიჭებს. მედია ავრცელებს ინფორმაციას საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე და ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას საჯარო დებატებისა და რეფლექსიისთვის. მაშასადამე, დამოუკიდებელი მედია და ხარისხიანი ჟურნალისტიკა ითვლება დემოკრატიული საზოგადოების „დარაჯად“ (გამოხატვის თავისუფლება და მედია, თ. გ.). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მედია აქტიურად იყენებს, სოციალურ მედიას ინფორმაციის გავრცელებისა და აუდიტორიასთან ურთიერთობისთვის. ტელეკომპანიები, როგორიცაა TV Mtavari, TV Pirveli და TV Formula, აქტიურად იყენებენ Facebook-სა და სხვა პლატფორმებს ახალი ამბების გასავრცელებლად (Atchaidze, 2024). დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის გამოხატვის უფლება სასამართლო პროცესების გაშუქებაზე უნდა დაბალანსდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან. გადაჭარბებულმა გაშუქებამ ან მიზანმიმართულმა კამპანიამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოსამართლეების მიუკერძოებლობას.

ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური. ტერმინი „უფლებები“ განიმარტება, როგორც ჟურნალისტის პრეროგატივა, განახორციელოს საკუთარი პროფესიული მოვალეობები და გააშუქოს საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხები, ხოლო „პასუხისმგებლობები“ ნიშნავს, რომ ჟურნალისტმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად და მიაწოდოს ზუსტი და სანდო ინფორმაცია, ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად (საბჭო). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია ჟურნალისტისთვის დაკისრებული სანქცია ისეთ საქმეში, როცა ჟურნალისტი თავის სტატიაში მოსამართლეს ადანაშაულებდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უკანონო სარგებლის მიღებაში. საქმის კონკრეტული გარემოებების შეფასების შედეგად სასამართლომ დაასკვნა, რომ ჟურნალისტის მიერ გავრცელებული ფაქტობრივი ინფორმაცია სრულიად დაუსაბუთებელი იყო და წარმოადგენდა პერსონალურ შეტევას მოსამართლეზე. შესაბამისად, როცა ადგილი აქვს სასამართლოს ავტორიტეტის უხეშად დამაზიანებელ შეტევებს და აშკარად დაუსაბუთებელ განცხადებებს, ასეთ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლების დაცვის გარანტიები შეზღუდულია (Lomakin v. Russia 17/11/2005, 2005). შესაბამისად, მედიის მიერ გადაჭარბებულმა ან მავნე გაშუქებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსამართლეთა მიუკერძოებლობას და სასამართლო პროცესის სამართლიანობას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის საქმის დროს მედიის ინტენსიურმა

შემოწმებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოს სამართლიანობაზე და ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობაზე (CASE OF HAUSCHILDT v. DENMARK, 1989). (Fair Trials International , 2012). ზოგიერთი ქვეყანა აწესებს ანგარიშგების შეზღუდვებს, რათა თავიდან აიცილოს წინასწარი განხილვა მიმდინარე სასამართლო პროცესებზე. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, იმ მომენტიდან, როდესაც პირს ბრალი წაუყენებენ, ინფორმაციის გასაჯაროება შეზღუდულია ნაფიც მსაჯულებზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად (Partsakoulaki, 2024).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა თავიანთი მიხედულობის ფარგლებში ჯეროვნად დაადგინეს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელეების გამოხატვის თავისუფლებასა და შესაბამისი საჯარო ინტერესის დაცვას შორის და მოსარჩელეებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით მათი გამოხატვის თავისუფლება არ შეზღუდულა. აღნიშნული საქმე პორტუგალიაში ცნობილი გაზეთის ჟურნალისტებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას ეხება იმის გამო, რომ მათ ეროვნულ სასამართლოში განხილვის პროცესში არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალები გაზეთში გამოაქვეყნეს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში, საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საქმის მასალების გაზეთში გამოქვეყნების მიზანი მხოლოდ მკითხველთა გარკვეული წრის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება იყო. შესაბამისად, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ მასალების გაზეთში გამოქვეყნებას საჯარო ინტერესის საგანს მიკუთვნებული დებატის გამართვაში წვლილი შეჰქონდა. სასამართლომ ყურადღება ასევე ჟურნალისტებისთვის შეფარდებული სასჯელის სიმკაცრეზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ შეფარდებული სასჯელის ზომა არაპროპორციულ არ ყოფილა (მე-10 და მე-11 პარაგრაფები) (Tânia Alexandra FERREIRA E CASTRO DA COSTA LARANJO and Ana Isabel SALGADO DA FONSECA, 2025). ასევე მნიშვნელოვანია, 2019 წელს აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტმა გადაწყვეტილება, როდესაც ჯულიან ასანჟს ჯაშუშობის მუხლით ბრალი წარედგინა, საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც აშშ-ს მთავრობამ გამომცემელს დააკისრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ინფორმაციის გავრცელების გამო, (BARRETT, 2019).

შესაბამისად, ყოველთვის, როდესაც ჯერარაღძრული, მიმდინარე, თუ დამთავრებული საქმის განხილვა ხდება სასამართლოს გარეთ, საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით, ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლო ამოწმებს, ხომ არ მოხდა სასამართლოს ფუნქციის უზურპაცია ან შეთავსება მედიის მიერ. მედია შეიძლება წარმოჩნდეს ალტერნატიული მართლმსაჯულების ფორუმად და, შესაბამისად, შელახოს სასამართლოს ავტორიტეტი (კორკელია, 2012).

4. საქართველოს კანონმდებლობა:

საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონის (,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“) მე-3 მუხლითა და ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლების უფლება, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტია და ემსახურება როგორც თავად დემოკრატიული საზოგადოების, ისე - ინდივიდის ინტერესებს, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები. თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, გამოხატვის თავისუფლება, სხვა საფუძვლებთან ერთად, ასევე შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის დასაცავად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია სამართალწარმოების

განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით სასამართლოს საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უხეში ჩარევა, დამამძიმებელი გარემოებებია სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ ამ ქმედების ჩადენა, ან ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ასევე, სისხლის სამართლის წესით დასჯადია სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან დაკავშირებით, მოსამართლის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა, აღნიშნული მუხლის თანახმად, ქმედება შეიძლება ჩადენილი იყოს ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის ან ძალადობით, რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის. სსკ-ის 366-ე მუხლით კი ისჯება სასამართლოს უპატივცემულობა, რაც გამოიხატა მოსამართლის შეურაცხყოფით. გარდა ამისა, „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს პასუხისმგებლობას მოსამართლესთან ისეთი ტიპის კომუნიკაციისთვის, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის განხილვასთან და არღვევს სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს.

სამართლის ნორმების ფუნქციაა სამართლებრივი პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს. გამოხატვის თავისუფლება უმნიშვნელოვანესი უფლებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუმცა, იგი აბსოლუტურ უფლებას არ წარმოადგენს და მისი შეზღუდვა დასაშვებია კანონიერი საფუძვლის არსებობისას, ისეთ პირობებში, როდესაც მას ცალკეული პირის, თუ პირთა ჯგუფის კანონიერი ინტერესები უპირისპირდება (განჩინება, 2014). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობა შეიძლება გამოყენებულ იქნას ციფრული შევიწროების შემთხვევებზე, სულ უფრო იზრდება მოთხოვნა უფრო კონკრეტული კანონმდებლობის შესახებ, რათა გადაჭრას ონლაინ ძალადობის უნიკალური გამოწვევები. კიბერბულინგის შესახებ სპეციალური კანონის არარსებობა არ ნიშნავს, რომ პირს არ შეუძლია საკუთარი უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს მედიის ან სხვა პირის მიერ ცილისწამების, პატივის და ღირსების შელახვის შემთხვევაში, მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონისა და სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე. თუმცა, საერთო სასამართლოების სისტემას არ გააჩნია სამართლებრივი ბერკეტი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც შევიწროება აშკარად არ ექვემდებარება არსებული კანონების დებულებებს, სასამართლოს შეურაცხყოფისათვის მოითხოვოს სამართლებრივი რეაგირება. საქართველომ უნდა განიხილოს კიბერბულინგისადმი მიმართული კონკრეტული კანონების მიღება, რაც სამართლებრივი პროცესის გამარტივებასა და სამართალდამცავ ორგანოებს უფრო მკაფიო მითითებებს უზრუნველყოფს.

1966 წელს მიღებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლი იცავს ყოველი ადამიანის უფლებას, შეუფერხებლად გამოხატოს საკუთარი აზრი. ამავე მუხლის მე-3 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ ამ უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას გულისხმობს. ამიტომ, იგი შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად, სახელმწიფო უშიშროების, საჯარო წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად. შესაბამისად, უფლება-ინტერესებს შორის სამართლიანი წონასწორობის დასამყარებლად ერთ-ერთ პინაზე დადებული ინტერესი უნდა შეიზღუდოს. იმისთვის, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა/მასში ჩარევა მართლზომიერი იყოს, უნდა დაკმაყოფილდეს სამი პირობა: ა) საამისოდ უნდა არსებობდეს ხელმისაწვდომი, ცხადი და წინასწარგანჭვრეტადი სამართლებრივი საფუძველი,

რომელიც ითვალისწინებს ისეთ შეზღუდვას/ჩარევას; ბ) ჩარევას/შეზღუდვას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტთან; და გ) გამოყენებული შეზღუდვა უნდა იყოს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ – დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი იურისპრუდენცია შეიძლება სახელმძღვანელო გამოდგეს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერების გადასაწყვეტად (კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, 2012). ამასთან, საერთაშორისო ორგანოები, როგორიცაა ვენეციის კომისია, გაეროს სპეციალური მომხსენებლები და ევროპის საბჭო ხაზს უსვამენ, რომ მოსამართლეების შევიწროება ძირს უთხრის სასამართლოს დამოუკიდებლობას (Commission, Venice, 2010).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მიღწეულ იქნეს ინტერესების სამართლიანი ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობას შორის, რათა თავიდან იქნას აცილებული ერთი უფლების არაპროპორციული შეზღუდვა, მეორე უფლების დაცვის საფუძვლით.

5. დასკვნა

სასამართლოს დამოუკიდებლობა წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს, რომლის დაცვა განსაკუთრებით აქტუალურია ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში. დღევანდელი რეალობა მოსამართლეებს უწესებს ახალ გამოწვევებს, რომლებიც გამოხატულია ონლაინ შევიწროების სხვადასხვა ფორმით. აღნიშნულ ქმედებებს ხშირად პოლიტიკური მიზანი ამოძრავებს და მიზნად ისახავს მოსამართლეთა დისკრედიტაციასა და გადაწყვეტილებების მანიპულაციას. ციფრული შევიწროება არამხოლოდ საფრთხეს უქმნის ინდივიდუალური მოსამართლეების უსაფრთხოებასა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, არამედ ზიანს აყენებს სასამართლოს მიუკერძოებლობას და მთლიანად სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს.

საერთაშორისო პრაქტიკა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები აჩვენებს, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და ამ უფლებების შეზღუდვა დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ ეს აუცილებელია სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის - ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. სახელმწიფოსა და მედიის პასუხისმგებლობა მდგომარეობს იმაში, რომ მათ უნდა უზრუნველყონ დაბალანსებული მიდგომა გამოხატვის თავისუფლებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვას შორის. აუცილებელია სისტემური და გამჭვირვალე რეფორმები, რათა მართლმსაჯულებამ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და საზოგადოების ნდობა. ამ რეფორმებმა არ უნდა შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება — პირიქით, აუცილებელია ბალანსის დაცვა კრიტიკასა და სასამართლოს დამოუკიდებლობას შორის. ეს არის დემოკრატიული განვითარებისა და ევროინტეგრაციის წინაპირობა.

ბიბლიოგრაფია

1. *Fair Trials International .* (2012). the European Commission (DG Justice), the Oak Foundation and the Global Criminal Justice Fund of the Open Society Foundations.

2. PETER EISLER, NED PARKER, JOSEPH TANFANI. (2024 წლის 14 05). *When Donald Trump attacks the integrity of judges hearing cases against him, his followers often respond with*

გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ვალდებულებების შესრულების შეფასებისას, გადასახადების ადმინისტრირების განმახორციელებელი მთავარი ორგანო, ინდიკატორებად იყენებს საქართველოს საგადასახადო კანონშესაბამისობის ძირითად პრინციპებს: საგადასახადო რეგისტრაციას, დროულ დეკლარირებას, დეკლარირებული ინფორმაციის სისწორეს და ბიუჯეტთან დროულ ანგარიშსწორებას. გადამხდელის ქცევა ფასდება ქულების პრინციპით. შეფასების დაწყებისას გადასახადის გადამხდელს ენიჭება მაქსიმალური ქულა, რომელიც მცირდება ქცევის რეიტინგზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორების შესაბამისად, რომელთა გაცნობა შესაძლებელია თავად გადასახადის გადამხდელისთვის.

ასევე, საგადასახადო ორგანოს მხრიდან, საგადასახადო კანონმორჩილების ქცევაზე განსაკუთრებულ დაკვირვების ობიექტს წარმოადგენენ მსხვილი გადასახადის გადამხდელთა კატეგორიით განსაზღვრული პირები. გადასახადის გადამხდელის კატეგორიზაციას, საგადასახადო მიზნებისთვის, ახდენს საგადასახადო ორგანო და სიდიდის მიხედვით გამოარჩევს სამ კატეგორიად: მცირე, საშუალო და მსხვილი. შესაბამისი კატეგორიების განსაზღვრა, ხორციელდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე, რომელიც საგადასახადო ორგანოსთვის სახელმძღვანელო შიდა ინსტრუქციას წარმოადგენს.

აღნიშნული პროექტის განხორციელების სახით, საგადასახარო ორგანოს ქმედება ორიენტირებულია გადასახადის გადამხდელების კმაყოფილებაზე და ურთიერთობის გაღრმავებაზე. შედეგად, ბიზნესის წარმომადგენლებს ეძლევათ შესაძლებლობა გაიგონ საგადასახადო ორგანოს ხედვა და შეფასების კრიტერიუმები მათი კონკრეტული ქმედებების მიმართ, რაც ხელს უწყობს საგადასახადო ორგანოსგან ინფორმაციის მიღების გამარტივებას. შედეგად, ქცევითი რეიტინგის ქულის სახით, გადამხდელს გააჩნია ინსტრუმენტი პარტნიორებთან, ან პოტენციურ ინვესტორებთან ზოგადი საგადასახადო ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების წარმოსაჩენად.

მსგავსი ქმედება, ცალსახად უქმნის მოტივაციას ბიზნესს და უბიძგებს მას, როგორც გადასახადის გადამხდელს, სათანადო რეპუტაციის მოსაპოვებლად კანონშესაბამისობის დონის ამაღლებისკენ. აღნიშნული განაპირობებს ბიზნესის ქცევისა და საგადასახადო კულტურის გაუმჯობესებას.

გამოყენებეული ლიტერატურა

1. ORGANISATION FOR ECONOMIC COOPERATION AND DEVELOPMENT (OECD). (2009). Conference on Influencing Taxpayers' Compliance Behaviour, Conference. OECD Forum on Tax Administration.
2. RS. (2024). 2023 წლის ანგარიში.
3. გაბისონია, ი., & ბარამია, თ. (2024). სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი საგადასახადო სამართალში. თბილისი: მერიდიანი.

4. გადასახადის გადამხდელის ქცევის რეიტინგი არის ინსტრუმენტი საგადასახადო ვალდებულების შესრულების წარმოსაჩენად. (2024). ბიზნეს პარტნიორი, https://bp.ge/news/ekonomika/gadasakhadis-gadamkhdelis-qtsevis-reitingi-aris-instrumenti-sagadasakhado-valdebulebis-shesrulebis-tsarmosachenad.

5. კაკაშვილი, ნ., & ჩიკვილაძე, მ. (2023). გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი.

საქართველოს ფისკალური ანუ საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა და მისი სადისკუსიო პრობლემატიკა ეკონომიკის სტაბილიზაციაში

Georgia's fiscal or tax-budgetary policy and its discussion issues in stabilizing the economy

გიორგი ცაავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
რატი ბურდიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
Giorgi Tsaava
Georgian Technical University
Doctor of Economic Sciences. Professor
Rati Burdiashvili
Georgian Technical University
Doctor of Economics, Professor

აბსტრაქტი. ნაშრომში აღწერილია მსოფლიოსი საყოველთაოდ აღიარებული და თითქის ყველა სფეროში და დარგებში გამოყენებადი „ოქროს კვეთას“ პროპორცია, მოყვანილია მისი გაანგარიშების მათემატიკური მოდელი და მითითებულია, რომ მისი მნიშვნელობა 100%-ის 62%-ად და 38%-ად დაყოფას ითვალისწინებს. შეთავაზებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში პირდაპირი და ირიბი გადასახადების მოცულობების „ოქროს კვეთას“ პროპორციის ფარგლებში დაკანონება, რაც სოციალურად ყველაზე უფრო „არასამართლებრივ“ ირიბ გადასახადებს (აქციზი და დამატებული ღირებულების გადასახადი) ზომიერების ფარგლებში აქცევს. მითითებულია, რომ პირდაპირი და ირიბი გადასახადების მოცულობების თანაფარდობა შესაბამისად 1:1-თან ან 1:2-თან უნდა შეადგენდეს და საქართველოში იგი თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში საპირისპიროდ შეიცვალა, რაც ქვეყნის ეკონომიკის საერთო დაუბალანსებულობაზე და კრიზისულ განვითარებაზე მიუთითებს. აღნიშნულია, რომ პირდაპირი და ირიბი გადასახადების მოცულობის „ოქროს კვეთად“ ფარგლებში დაკანონება ანალიზირებადი ათი წლის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობას 20 მილიადზე მეტს დაუზოგავდა და იგი ქვეყანაში საშუალო შემოსავლიანი ფენის დამკვიდრებისა და მოსახლეობიდან დამატებითი ფინანსური შემოსავლის წყარო გახდებოდა. შეთავაზებულია პირდაპირ გადასახადებში აღნიშნული დანაკლისის კომპენსირება - მოგების გადასახადის ხარჯზეც არის შესაძლებელი, თუ ორგანიზაციებს „შემოსავლების განულების“ შესაძლებლობის სანაცვლოდ და „შემოსავლების ხელუხლებელი ნაშთის სახით“ მოგების გეგმა დაუკანონდებათ თუნდაც ქვეყნის წლიური ინფლაციის დონეზე, რაც ორგანიზაციების მიერ უკვე შექმნილი ქვეყნის ლოჯისტიკური ობიექტების „უფასოდ გამოყენების საფასური“ იქნება.

საკვანძო სიტყვები: „ოქროს კვეთა“, ეკონომიკური ნორმატივები, ოქროს პროპორცია, გადასახადდაბეგვრის ბაზა, საწარმოს ბალანსი, ბიუჯეტი, სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკა.

Abstract. The paper describes the “golden ratio” proportion, universally recognized in the world and used in almost all fields and industries, presents a mathematical model for its calculation and indicates that its value assumes

the division of 100% into 62% and 38%. It is proposed to legalize the volumes of direct and indirect taxes in the state budget revenues within the “golden ratio” proportion, which would bring the socially most “illegal” indirect taxes (excise duty and value added tax) within the limits of moderation. It is indicated that the ratio of the volumes of direct and indirect taxes should be 1:1 or 1:2, respectively, and in Georgia it has changed in the opposite direction under the conditions of a modern market economy, which indicates the general imbalance and crisis development of the country's economy. It is noted that the legalization of the volume of direct and indirect taxes within the "golden mean" would save the country's population more than 20 billion during the analyzed ten years and would become a source of establishing a middle-income class in the country and additional financial income from the population. It is proposed to compensate for the aforementioned shortfall in direct taxes - it is also possible at the expense of profit tax, if organizations are allowed to "spend income" and "in the form of an intact balance of income" in exchange for the opportunity to make a profit plan at least at the level of the country's annual inflation, which would be the "fee for free use" of the country's logistics facilities already created by organizations.

Keywords: „Golden Section“, economies norms, golden basis of assessment, balance sheet, budget, statement financial policy.

თავიდანმე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულ ისეთ ფენომენზე, როგორიცაა **„ოქროს კვეთას“** პროპრცია, რომელმაც გამოყენების თვალსაზრისით - საზოგადოებრივი ცხოვრების, ხელოვნების, მეცნიერების მრავალი დარგი, გეომეტრიაში, პოეზიაში, მუსიკაში, არქიტექტურაში, ჯანდაცვაში (ძველი ეგვიპტელი არქიტექტორები, ევკლიდე, პითაგორა, ლუკა პაჩიოლი, ლეონარდო დე ვინჩი, იოჰან კეპლერი), ბუნებაში, საზოგადოებაში, ეკონომიკაში, ეკონომეტრიკაში, ბიზნესის მართვის სფეროში (აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი), სამშენებლო კონსტრუქციებში, ფინანსურ გაანგარიშებებში და საბანკო მენეჯმენტში (პროფესორო გიორგი ცაავა), **შეიძლება დავასკვნათ, რომ პრაქტიკულად არ არის დანჩენილი არც ერთი სფერო და დარგი, საქმე და საქმიანობა, სადაც არ იყოს გამოყენებული „ოქროს კვეთას“ პროპორცია (Valeri, 2024). მითითებულია, რომ „ოქროს კვეთას“ პროპორცია ქმნის ყველაზე უფრო სრულყოფილ ფორმებს და უმაღლეს ჰარმონიას იწვევს. ამდენად მისი ყველგან და ყველაფერში ობიექტურ კანონზომიერებად ჩამოყალიბება და პრაქტიკაში დანერგვა მეტად სასარგებლო ფენომენად გვესახება [1].**

რამდენადაც „ოქროს კვეთას“ პროპორცია გეომეტრიიდან არის შემოსული, გავიხსენოთ მისი მიღების წესი: ვთქვათ ერთი ერთეულის ტოლი მონაკვეთი AB შედგება ორი სხვადასხვა სიდიდის (AC და CB) მონაკვეთებისაგან, სადაც x – „ოქროს კვეთას“ დიდი ნაწილია, ხოლო (1 - x) კი - მცირე ნაწილი. ვინაიდან მონაკვეთის დიდი ნაწილი საშუალო პროპორციულია (საშუალო გეომეტრიულია) მთლიანი მონაკვეთისა და მცირე ნაწილის, გვექნება შემდეგი განტოლება: [x : (1 - x)] = (1 : x); მიღებული განტოლების დადებითი ფესვი არის AC მონაკვეთის სიგრძე (C - მთლიანი მონაკვეთის შიდა გაყოფის წერტილია) და იგი ტოლია [(V/5 - 1) / 2] = 0,62 - ის, ხოლო შესაბამისად CB მონაკვეთის სიგრძე (1 - x) ტოლი იქნება [(3 – V/5) / 2] = 0,38 - ის. **ანუ „ოქროს კვეთას“ პროპორცია მათემატიკურად შესაბამისად 0,62 და 0,38 -ის ტოლია.**

აღნიშნული ფენომენალური, აქსიომური, საყოველთაოდ აღიარებული „ოქროს კვეთას“ მათემატიკური გაანგარიშებით განმტკიცებული პროპორციის მოკლედ გაცნობიერების შემდეგ (უფრო დეტალურად იხილოთ ავტორების მიერ მოწოდებულ მონოგრაფიაში [1] და შესაბამისი საიტის მასალებში) და **ვიცით რა, რომ „სოციალურად ყველაზე „უსამართლო“ გადასახადს წარმოადგენს ირიბი (განსაკუთრებით ზეზომიერი) გადასახადები (აქციზი და დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) [გვ. 21])“,** საქართველოს 2015 – 2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემების საფუძველზე (იხ. ცხრ. N 1) **შემდეგი სახის სადისკუსიო პრობლემატიკას გთავაზობთ:**

საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში - საბიუჯეტო შემოსავლების პირდაპირ და ირიბ გადასახადების მოცულობებს შორის შესაბამისად მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული „ოქროს კვეთას“ პროპორციის (62 და 38%-ის) თანაფარდობის დაკანონება.

ცხრილი N 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემები (2015 – 2024 წწ) (მლნ ლარებში)[292]

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024*
შემოსავლები	**8 170,5**	**8 580,0**	**9 750,3**	**10 595,6**	**10 675,0**	**10 490,4**	**12 750,3**	**16 450,3**	**18 716,5**	**21 847,9**
გადასახადები	**7 549,6**	**7 986,8**	**8 991,3**	**9 695,9**	**9 665,6**	**9 364,8**	**11 439,5**	**14 976,7**	**16 994,2**	**20 196,5**
საშემოსავლო გადასახადი	2 052,6	1 978,2	2 526,0	2 877,9	3 200,2	3 079,8	3 491,5	4 644,4	5 574,8	6 627,7
მოგების გადასახადი	1 025,2	1 055,9	756,6	736,6	866,3	919,4	1 015,3	1 930,2	2 018,2	3 117,5
დღგ	3 505,4	3 286,3	4 122,6	4 426,9	4 243,6	3 918,2	4 883,9	6 036,8	6 793,7	7 558,8
აქციზი	870,7	1 069,6	1 450,9	1 465,7	1 506,7	1 619,4	1 868,8	2 010,2	2 270,3	2 488,0
იმპორტის გადასახადი	69,2	70,1	71,6	73,4	79,1	74,4	86,4	126,0	151,2	126,2
ქონებაზე გადასახადი	-	0,0	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები	26,5	526,5	63,6	115,4	-230,3	-246,4	93,6	229,1	186,0	278,2
სოციალური შენატანები	-	0,0	-	-	-	-	-	-	-	-
გრანტები	315,6	296,8	289,9	339,4	420,2	409,0	343,7	260,9	162,7	188,2
სხვა შემოსავლები	305,3	296,4	469,1	560,3	589,2	716,6	967,1	1 212,7	1 559,6	1 463,2
ხარჯები	**8 158,0**	**8 741,8**	**9 372,1**	**9 543,7**	**9 975,5**	**12 533,9**	**14 197,9**	**15 350,2**	**16 928,1**	**20 047,6**
შრომის ანაზღაურება	1 376,8	1 452,3	1 385,4	1 407,6	1 454,7	1 543,1	1 654,8	1 792,1	2 177,2	2 586,0
საქონელი და მომსახურება	946,2	1 117,8	1 248,5	1 288,3	1 301,9	1 529,1	1 800,1	1 870,9	2 139,0	2 301,3
პროცენტი	326,6	397,7	476,6	513,0	604,5	763,7	790,5	746,8	1 182,2	1 472,4
სუბსიდიები	245,7	359,3	541,4	444,7	578,0	1 024,1	1 023,2	1 210,4	1 146,4	1 376,7
გრანტები	1 271,4	935,1	968,6	1 282,7	687,1	768,3	738,7	1 040,1	1 196,7	1 473,4
სოციალური უზრუნველყოფა	2 802,4	3 150,1	3 324,3	3 501,3	3 946,6	5 343,2	6 082,6	6 052,1	6 805,9	7 787,3
სხვა ხარჯები	1 188,9	1 329,5	1 427,3	1 106,1	1 402,7	1 562,4	2 108,0	2 637,8	2 280,7	3 050,5
ბიუჯეტის საოპერაციო სალდო	**12,5**	**-161,8**	**378,2**	**1 051,9**	**699,5**	**-2 043,5**	**-1 447,6**	**1 100,1**	**1 788,4**	**1 800,3**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**392,8**	**416,1**	**874,2**	**1 811,2**	**2 162,9**	**2 220,9**	**2 331,6**	**3 101,5**	**3 769,5**	**3 941,3**
ბიუჯეტის მთლიანი სალდო	**-380,3**	**-577,9**	**-496,0**	**-759,3**	**-1 463,4**	**-4 264,4**	**-3 779,2**	**-2 001,4**	**-1 981,1**	**-2 141,0**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**560,9**	**488,7**	**640,2**	**365,2**	**-87,2**	**2 082,0**	**-1 270,0**	**711,4**	**394,9**	**-174,5**
საშინაო	560,9	488,7	640,2	365,2	-87,2	2 082,0	-1 270,0	711,4	394,9	-174,5
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	**941,2**	**1 066,6**	**1 136,2**	**1 124,5**	**1 376,2**	**6 346,4**	**2 509,2**	**2 712,8**	**2 375,9**	**1 966,5**
საშინაო	264,9	318,4	338,1	387,2	906,6	1 984,0	-393,0	1 303,4	1 416,8	1 476,0
საგარეო	676,3	748,2	798,1	737,3	469,6	4 362,4	2 902,2	1 409,4	959,1	490,5
მემორანდუმის მუხლები										
მთლიანი ხარჯები	**8 550,8**	**9 157,9**	**10 246,3**	**11 354,9**	**12 138,4**	**14 754,8**	**16 529,5**	**18 451,7**	**20 697,6**	**23 988,9**
ვალის ნაშთი სანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	**13 109,4**	**15 102,7**	**16 729,1**	**18 015,7**	**20 573,9**	**29 607,2**	**29 761,1**	**28 493,8**	**31 400,4**	**33 135,2**
საშინაო	2 827,3	3 170,6	3 535,2	3 922,5	4 831,2	6 145,3	5 798,8	7 105,1	8 524,5	10 014,8
საგარეო	10 282,1	11 932,1	13 193,9	14 093,2	15 742,7	23 461,9	23 962,3	21 388,7	22 875,9	23 120,4

ცხრილი 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პირდაპირი და ირიბი გადასახადების მოცულობების „ოქროს კვეთას“ პროპორციის თანაფარდობით ინტერპრეტირება (2015 – 2024 წწ) (მლნ ლარი)

[292] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/771/sakhelmtsifo-biujeti

	საბიუჯეტო მუხლები:	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.
1	**შემოსავლები**	**8 170,5**	**8 580,0**	**9 750,3**	**10 595,6**	**10 675,0**
2	გადასახადები	7 549,6	7 986,8	8 991,3	9 695,9	9 665,6
3	პირდაპირი გადასახადები, სულ	3 072,8	3 034,1	3 282,6	3 614,5	4 066,5
	მათ შორის: - საშემოსავლო გადას - მოგების გადასახადი	2 052,6 1 025,2	1 978,2 1 055,9	2 526,0 756,6	2 877,9 736,6	3 200,2 866,3
4	ირიბი გადასახდები, სულ	4376,1	4356,9	5571,5	5892,6	5750,3
	მათ შორის: - დღგ - აქციზი	3 505,4 870,7	3 286,3 1 069,6	4 122,6 1 450,9	4 426,9 1 465,7	4 242,6 1 506,7
5	პირდაპირო და ირიბი გადასახადების ჯამი	7 448,9	7 391,0	8 853,1	9 507,1	9 816,8
6	პირდაპირ და ირიბ გადასახადებს შორის სხვაობა	+1 303,3	+1 322,8	+1 288,0	+2 278,1	+1 693,8
7	პირდაპირი და ირიბი გადასახა-დების %-ული თანაფარდობა	40 / 60	39 / 61	37 / 63	26 / 74	24 / 76
8	„ოქროს კვეთას“ პროპირციით პირდაპირ და ირიბ გადასახადებს შორის თანაფაედობა %-ლად	62 / 38	62 / 38	62 / 38	62 / 38	62 / 38
9	„ოქროს კვეთას“ პროპორციით პირდაპირი გადასახადები იქნებ.	4 618,1	4 582,4	5 488,9	5 529,4	5 786,4
10	„ოქროს კვეთას“ პროპორციით ირიბი გადასახადები იქნებოდა	2 830,8	2 808,6	3 304,2	3 977,7	4 030,4
11	ირიბ გადასახადებში ეკონომია იქნებოდა	-1 545,3	-1 548,3	-2 207,3	-1,914,9	-1 707,9

ცხრილი 2-ის (გაგრძელ). საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პირდაპირი და ირიბი გადასახადების მოცულობების „ოქროს კვეთას“ პროპორცის თანაფარდობით ინტერპრეტირება (2015 – 2024 წწ) (მლნ ლარი)

	საბიუჯეტო მუხლები:	2020 წ.	2021 წ.	2022 წ.	2023 წ.	2024 წ.
1	**შემოსავლები**	**10 490,4**	**12 750,3**	**16 450,3**	**18 716,5**	**21 847,9**
2	გადასახადები	9 364,8	11 439,5	14 976,7	16 994,2	20 196,5
3	პირდაპირი გადასახადები, სულ	3 999,2	4 506,8	6 571,6	7 593,0	9 745,7
	მათ შორის: საშემოსავლო გადასახ. - მოგების გადასახადი	3 079,8 919,4	3 491,5 1 015,3	4 644,4 1 930,2	5 574,8 2 018,2	6 627,7 3 117,5
4	ირიბი გადასახდები, სულ	5 557,6	5 752,7	8 047,0	9 064,0	10 046,8
	მათ შორის: - დღგ - აქციზი	3 918,2 1 619,4	4 883,9 1 968,8	6 036,8 2010,2	6 793,7 2 270,3	7 558,8 2 488,0
5	პირდაპირო და ირიბი გადასახადების ჯამი	9 556,8	10 264,5	14 628,6	16 657,0	19 792,5
6	პირდაპირ და ირიბ გადასახადებს შორის სხვაობა	+ 2 258,6	+ 1 245,9	+ 1 475,4	+ 1 471,7	+ 301,1
7	პირდაპირი და ირიბი გადასახა-დების %-ული თანაფარდობა	27 / 73	20 / 80	22 / 78	22 / 78	21 / 79
8	„ოქროს კვეთას“ პროპორციით პირდაპირ და ირიბ გადასახადებს შორის თანაფაედობა %-ლად	62 / 38	62 / 38	62 / 38	62 / 38	62 / 38
9	„ოქროს კვეთას“ პროპორციით პირდაპირი გადასახადები იქნებოდა	5 491,1	6 363,9	9 069,6	10 327,3	12 16ხ1,4
10	„ოქროს კვეთას“ პროპორციით ირიბი გადასახადები იქნებოდა	3 365,5	3 900,6	5 559,0	6 329,7	7 631,1

11	ირიბ გადასახადებში ეკონომია იქნებოდა	-2 192,1	-1 852,1	-2 488,0	-2 734,9	-2 415,7

ცხრილი 2-ის მონაცემების ანალიზის შედეგად შემდეგი სახის **დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა:**

1. მითითებულია, რომ სოციალურად ყველაზე უფრო „არასამართლიანს“ წარმოადგენს ირიბი (განსაკუთრებით ზეზომიერი მოცულობით) გადასახადები (აქციზები და დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)). ისინი ერთნაირი ხარისხით ახდენენ საგადასახადო ზეწოლას მთლიანად ყველა მოსახლეობაზე, მაგრამ შედარებითი მნიშვნელობით ყველაზე ძლიერად ისინი დაბალ შემოსავლიან პირებზე ზემოქმედებენ [2, გვ. 24].

2. აღნიშნულია, რომ პირდაპირი გადასახადები - ამოიღება უშუალოდ ქონების მფლობელები, შემოსავლების მიმღები საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, ხოლო ირიბი გადასახადები კი - ფიქსირდებიან საქონელის (მომსახურეობის) ფასში და ამოიღება საქონელის და მომსახურეობების რეალიზაციის ან მოხმარების სფეროში, ანუ საბოლოო ჯამში გადაიტანება პროდუქციის მომხმარებლებზე - მოსახლეობაზე [3, გვ. 184].

3. მითითებულია, რომ მთელ მსოფლიოში (სსრკ-ის პერიოდშიც კი) პირდაპირი და ირიბი გადასახადების თანაფარდობა შეადგენდა და შეადგენს მიახლოებით 1 : 1-თან ან 1 : 2-თან, დღეს კი საქართველოში აღნიშნული თანაფარდობა საპირისპიროდ შეიჩვალა (თუნდავ ანალიზირებადი 10 წლის განმავლობაში) და იგი მერეობს შესაბამისად 40 – 60%-დან 20 – 80%-ის ფარგლებში [2. გვ. 21].

4. აღნიშნულია, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსული პირდაპირი და ირიბი გადასახადების საერთო მოცულობის შეუცვლელად, მათ შორის ჩვენს მიერ შეთავაზებული „ოქროს კვეთას“ პროპორციული (62/38%-იანი) თანაფარდობის დაკანონება, თუნდაც ანალიზირებადი 10 წლის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობას (1 545,3 + 1 548,3 + 2 207,3 + 1 914,9 + 1 707,9 + 2 192,1 + 1 852,1 + 2 488,0 + 2 734,9 + 2 415,7) = 20 606,3 მლნ ლარს (ანუ 20 მილიარდ ლარზე მეტს, ანუ წელიწადში საშუალოდ 2 მლრდ ლარს) დაუზოგავდა და იგი ქვეყანაში საშუალო შემოსავლიანი მოსახლების ფენის დამკვიდრებისა და ქვეყნის ეკონომიკისათვის უშუალოდ მოსახლეობიდან დამატებითი ფინანსური რესურსების წარმოშობის დამატებითი წყარო იქნებოდა.

5. შეთავაზებულია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების აღნიშნული დანაკლისის კომპენსირება განხორციელებული იქნას ძირითადად თუნდაც პირდაპირი - მოგების გადასახადის ხარჯზე, შემდეგი არგუმენტის გათვალისწინებით: თუ ადრე (თუნდაც სსრკ-ს პერიოდში) თითოეულ სახელმწიფო ორგანიზაციებს ყოველწლურად მოგების გეგმა უმტკიცდებოდა, დღეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ორგანიზაციებს უკვე მოგების არანაირი მოცულობა არ უდგინდება და მათ უმეტესობას „შემოსავლების განულების“ შესაძლებლობებიც გაუჩნდათ. ამდენად საგადასახადო კოდექსში მოგების გადასახადის 20%-ის ოდენობით დადგენა თანამედროვე პირობებში უფრო ფიქციაა, ვიდრე პირდაპირი გადასახადით - მოგების გადასახადიდან ბიუჯეტის შევსების წყარო, რამდენადაც ნოლიდან ან მასთან დაახლოებული მცირე სიდიდიდან 20%-იანი დაბეგვრა უკვე საკმაოდ მცირე გახდა და იგი საშემოსავლო გადასახადის ნახევარზე ნაკლებია (იხ. ანალიზირებად პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის მოგების გადასახადის მოცულობები (Valeri, ABOUT TAX ON FINANCIAL TRANSACTIONS IN GEORGIA, 2022)).

6. მითითებულია, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ყოველწლიურად ოფიციალურად დაუმტკიცდეთ

„შემოსავლების ხელუხლებელი ნაშთი“ (თუნდაც წლიური ინფლაციის დონეზე), რისი საფუძველი იქნება მათ მიერ უფასოდ გამოყენებადი „სახელმწიფოს მიერ ადრე შექმნილი ლოჯისტიკური ობიექტების გამოყენების საფასური, როგორებიცაა; კომუნალური მეურნეობა, წყალი, გაზი, ელექტროენერგია, ბაგები, ბაღები, სკოლები, ინსტიტუტები, შიდა გზები, შიდა ავტოტრანსპორტი, მეტროპოლიტენი და სხვა მრავალი ობიექტები“.

7. აღნიშნულია, რომ საქართველოს სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემაში გადასახადის ფისკალურ და მარეგულირებელ (ეკონმიკურ-მასტიმულირებელ) ფუნქციებს შორის ოპტიმალური თანაფარდიობის („ოქროს შუალედის“) დადგენა ანუ საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაცია ნანდვილად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში, რეალური სექტორის განვითარებაში, ქვეყანაში საშუალო შემოსავლიანი ფენის ჩამოყალიბებაში, სოციალურად ყველაზე უფრო „არასამართლიანი“ ირიბი გადასახადების (აქციზები, დამატებული ღირებულების გადასახადი) მოსახლეობის ფართო ფენაზე საგადასახადო ზეწოლის აღმოფხვრაში და ამდენად საქართველოს საგადასახადო სისტემა ნამდვილად გახდება სოციალური ორიენტაციის ერთ-ერთი საუკეთესო სფერო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ცაავა გიორგი. - ეკონომიკური ნორმატივების სრულყოფის საკითხები: „ოქრო9ს კვეთას“ პროპორცია - ბუნენაში, ფერწერაში, არქიტექტურაში, მშენებლობაში, ეკონომიკაში, ბიზნესში, ფინანსურ და საბანკო მენეჯმენტში, მონოგრაფია. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2016. – 126 გვ.; ISBN 978-9941-0-8840-7.
2. Глухов В.В., Дольдэ И.В. – Налоги: Теория и практика, учебное пособие. – Санкт Петербург, «Специальная литература», 1996. – 282 с.; ISBN 5-7571-0082-6.
3. Гукасьян Г.М. – Экономическая теория: Ключевые вопросы, учебное пособие. – Москва: ИНФРА-М, 2002. – 199 с.; ISBN 5-16-001073-4.
4. https://docs.google.com/gview?url=https://issmsai.wordpress.com/wp-content/uploads/2024/11/e183a1e183a2e18390e183a2e18398e18390-1.docx&embedded=true
5. https://ijsser.org/2022files/ijsser_07__203.pdf

გიგ ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმი და განვითარების პერსპექტივები
Mechanisms of Functioning and Development Prospects of the Gig Economy

ნინო გრიგოლაია
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ალტე უნივერსიტეტი
Nino Grigolaia
Doctor of Economics, Professor
Alte university

ანოტაცია. დასაქმების ახალი ფორმის შინაარსისა და თავისებურებების ანალიზის საფუძველზე, ნაშრომში განხილულია გიგ-ეკონომიკის ფუნქციონირების სპეციფიკა და განვითარების პერსპექტივები; განსაზღვრულია მისი სტრუქტურული ელემენტები. ნაშრომში შეჯამებულია დასაქმების ახალი ფორმების ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარების საკითხისადმი თეორიული და პრაქტიკული

მიდგომები; დაკონკრეტებულია გიგ-ეკონომიკის მონაწილეები და მათი ფუნქციონირების თავისებურებები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პლატფორმის კომპანიებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც საბაზრო ურთიერთობების კორდინატორები. პლატფორმის კომპანიები თავიანთ ვალდებულებებს ასრულებენ ალგორითმული მართვის საფუძველზე ხუთ ძირითად ეტაპზე: ნდობა, შესაბამისობა, კონტროლი, სტიმულირება და უკუკავშირი.

აღნიშნულია, რომ ალგორითმული მართვა შესაძლებელს ხდის გავლენის მოხდენას გიგ-მუშაკების ქცევაზე და შეიცავს ფუნქციებს, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტებს შორის ეფექტიანი ურთიერთქმედების მექანიზმის რეალიზაციას.

ნაშრომში წარმოდგენილ ახალი შრომითი ურთიერთობების ეკონომიკის კვლევის შედეგებს გააჩნიათ არა მხოლოდ თეორიული ღირებულება, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც და ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას გიგ-ეკონომიკის განვითარების მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელებისას გრძელვადიან პერიოდში

საკვანძო სიტყვები: გიგ ეკონომიკა, პლატფორმის კომპანიები, გიგ მუშაკები, ალგორითმული მართვა, შრომითი ურთიერთობები.

Abstract. Based on an analysis of the content and characteristics of this new form of employment, the paper discusses the specifics of the functioning and development prospects of the gig economy. Its structural elements are defined. The article summarizes theoretical and practical approaches to the emergence and development of new forms of employment in the economy. The participants of the gig economy and the characteristics of their functioning are specified.

Particular attention is paid to platform companies that act as coordinators of market relations. Platform companies fulfill their obligations based on algorithmic governance in five key stages: trust, compliance, control, incentive, and feedback.

It is noted that algorithmic management makes it possible to influence the behavior of gig workers and contains features that ensure the implementation of an effective interaction mechanism between the subjects of socioeconomic relations.

The research findings presented in the paper on the economics of new labor relations have not only theoretical value but also practical significance and can be used in the development and implementation of promising mechanisms for the long-term development of the gig economy.

Keywords: Gig economy, platform companies, gig workers, algorithmic management, industrial relations

გიგ ეკონომიკა ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს, ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების სპექტრის გაფართოებისა და დასაქმებულთა და დამსაქმებელთა მოტივაციისა და პრეფერენციების ცვლილებების საფუძველზე ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეებს.

გიგ ეკონომიკის სუბიექტებია: გიგ მუშაკები, მომხმარებლები (დასრულებული სამუშაოსა და მომსახურების შედეგების მომხმარებლები და შემკვეთები), კომპანიები (პლატფორმის კომპანიები, გიგ მუშაკთა დამქირავებელი კომპანიები და შერეული ფორმატის კომპანიები) და სამთავრობო ორგანოები და ინსტიტუტები. გიგ ეკონომიკაში მონაწილე თითოეული სუბიექტის მოტივაცია განსხვავებულია.

გიგ-მუშაკების მონაწილეობა გიგ-ეკონომიკაში განპირობებულია როგორც ეკონომიკური, ასევე არაეკონომიკური ფაქტორებით. ადამიანების გადაწყვეტილება გახდნენ გიგ-მუშაკები ძირითადად გამოწვეულია აუცილებლობით, უზრუნველყონ საკუთარი საბაზისო საჭიროებები სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ახალი ფორმების გამოყენებით. ეკონომიკური რეცესიის პირობებში, ისეთი სოციალური პრობლემები, როგორიცაა შრომის ანაზღაურების შემცირება, სამუშაო ადგილების დაკარგვა, საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ზრდა, პენსიაზე გასვლა და შვილებზე ზრუნვა, ზრდის ეკონომიკურ ზეწოლას დასაქმებულებზე და უბიძგებს მათ გამოსავლის ძიებისკენ, მათ შორის გიგ-დასაქმების გზით.

მეწარმეები გიგ-დასაქმებას იყენებენ, როგორც სტრატეგიულ მექანიზმს სტარტაპების განვითარების პროცესში ფინანსური ტვირთის შესამცირებლად (Zhang et al., 2019). ასევე, გიგ-დასაქმების ფორმატი ხშირად გამოიყენება იმ ადამიანების მიერ, რომლებიც იმყოფებიან სამუშაოს ძიების ან დროებითი უმუშევრობის ეტაპზე. ამ შემთხვევაში გიგ-დასაქმება წარმოადგენს ერთგვარ „ტრამპლინს“ მუდმივი სამუშაოს მიღებისკენ: იგი არა მხოლოდ ამცირებს ეკონომიკურ სტრესს, არამედ ხელს უწყობს პროფესიული უნარების განვითარებას და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

არაეკონომიკური ფაქტორების გავლენით ადამიანები ირჩევენ გიგ-საქმიანობას სოციალური ურთიერთობების, თვითშეფასებისა და თვითრეალიზაციის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. პირველ რიგში, გიგ-მუშაკები მომსახურების გაწევის პროცესში ურთიერთობენ მრავალ მომხმარებელთან, რაც მათ ყოველდღიური სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში ეხმარება (Yao et al. 2021). მეორე მხრივ, ზოგიერთი პლატფორმა იყენებს ანონიმურობის მექანიზმებს მოთხოვნა-მიწოდების სინქრონიზაციისთვის. მსგავსი მექანიზმები საშუალებას იძლევა, გვერდი აუარონ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში დისკრიმინაციას, რითაც იზრდება იმ გიგ-მუშაკების უსაფრთხოების განცდა, რომლებიც იმიგრანტების ან უმცირესობების წარმომადგენლები არიან. შედეგად, გიგ-საქმიანობა მათთვის ასევე შეიძლება გახდეს თვითშეფასებისა და თვითრეალიზაციის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება (Joshi et al. 2024).

საბოლოოდ, გიგ-ეკონომიკის მოქნილობა გიგ-მუშაკებს სამუშაოს ორგანიზების პროცესში გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას აძლევს, პლატფორმის კომპანიები ხაზს უსვამენ იმას, რომ გიგ-მუშაკები დამოუკიდებელ დასაქმებულებად განიხილებიან, რაც, თავის მხრივ, მათ თვითრეალიზაციის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას აძლევს.

გიგ-ეკონომიკაში მომხმარებლები შეიძლება დავყოთ მომხმარებელ-მწარმოებელად (prosumers) და უშუალოდ მომხმარებლებად. **პროსიუმერები** იმ პირებს წარმოადგენენ, რომლებიც ერთდროულად იღებენ შემოსავალს, როგორც მწარმოებლები, და ამავდროულად მონაწილეობენ გიგ-ეკონომიკაში, როგორც მომხმარებლები. მომხმარებლები კი გიგ-ეკონომიკაში მხოლოდ მოხმარების პროცესის გზით ერთვებიან.

ციფრული პლატფორმები მომხმარებლებს საშუალებას აძლევს დაძლიონ დროისა და სივრცის შეზღუდვები, სთავაზობს ინდივიდუალური პრეფერენციებსა და ფინანსური მოლოდინებზე მორგებული მომსახურებისა და სერვისების ფართო არჩევანს. გი გ-ეკონომიკაში მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ მოქნილი, კომფორტული და მოსახერხებელი წვდომა სხვადასხვა სახის მომსახურებებსა და პროდუქტებზე.

ციფრული პლატფორმების გამოყენება ახდენს მომხმარებელთა დანახარჯების ოპტიმიზაციას და მომხმარებლის ჩვევებისა და მოლოდინების ტრანსფორმაციას. აღნიშნული ფაქტორები ზრდის მომხმარებელთა მხრიდან ამ პლატფორმების გამოყენების მიმართ ინტერესს.

გიგ-ეკონომიკაში მომსახურებისა და პროდუქტების ფართო და მოქნილი არჩევანი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, დაიკმაყოფილონ მოთხოვნები ნებისმიერ დროს და ნებისმიერი მოცულობით, ტერიტორიული შეზღუდვის გარეშე.

გიგ-ეკონომიკა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, გაამარტივონ მომსახურების მოძიებისა და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესი.

ინფორმაციის მოპოვების ეტაპზე მომხმარებლებს შეუძლიათ სწრაფად იპოვონ პროდუქტები ან მომსახურებები ონლაინ ფორმატში რეკლამის, ფილტრაციის, პოზიციონირებისა და საკვანძო

სიტყვებით ძიების მეშვეობით, რაც მნიშვნელოვნად ამცირების დროის დანახარჯებს. შეკვეთის განთავსების ეტაპზე მომხმარებლებს შეუძლიათ სწრაფად დაასრულონ შეძენის პროცესი მობილური გადახდის გამოყენებით, რაც შესყიდვის პროცესს ამარტივებს. მიღების ეტაპზე მომხმარებლებს აქვთ საშუალება, აკონტროლონ პროდუქტის ან მომსახურების მოძრაობა პლატფორმის მეშვეობით მთელი პროცესის განმავლობაში, რაც ზრდის კლიენტთა ნდობასა და ლოიალურობას. გაყიდვის შემდგომი მომსახურების ეტაპზე მომხმარებლებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაუკავშირდნენ მხარდაჭერის სამსახურს, რათა დაიცვან თავიანთი კანონით გარანტირებული უფლებები და ინტერესები.

მოხმარებაზე დანახარჯების შემცირება აისახება ფასების მექანიზმის რეგულირებაში (საქონლისა და მომსახურების ფასები), **ტრანზაქციული ხარჯების შემცირებაში** (ინფორმაციული ხარჯები, გადახდისას დამატებითი ხარჯები და ა.შ.) და **დამატებითი დანახარჯების მინიმიზაციაში** (იმ თანხლებელი საქონლისა და მომსახურების ხარჯები, რომელთა შეძენაც ძირითადი პროდუქტების/მომსახურების ყიდვის პროცესში გახდება აუცილებელი).

მოხმარების მოდელების ტრანსფორმაცია აისახება მომხმარებელთა შეხედულებებისა და ჩვევების, მოხმარების ობიექტების და გარიგებების განხორციელების მეთოდების ცვლილებებში, რაც გამოწვეულია ეკონომიკური ურთიერთობების ახალი ფორმების განვითარებით.

კერძოდ, მოხმარებაზე შეხედულებების ცვლილება ვლინდება იმაში, რომ მომხმარებლები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ პროდუქტისა და მომსახურების გამოყენების უფლებას, ვიდრე საკუთრების უფლებას. მოხმარების ჩვევების ცვლილება გამოიხატება მომხმარებელთა მზარდ მზადყოფნაში, განახორციელონ შესყიდვები ონლაინ ფორმატში, ნაცვლად ტრადიციული ოფლაინ შესყიდვებისა.

მოხმარების ობიექტის ცვლილება იმაში გამოიხატება იმაში, რომ დღეს მომხმარებლები უფრო მეტ ხარჯავენ არამატერიალურ რესურსებზე: ცოდნაზე, დიჯიტალურ კონტენტზე, ემოციურ ღირებულებასა და ვირტუალურ კომუნიკაციაზე. დაბოლოს, გარიგებების განხორციელების მეთოდების ცვლილება გამოიხატება იმით, რომ ნაღდი და საბანკო სალაროების მეშვეობით გადახდები თანდათან იცვლება მობილური გადახდების სისტემებით.

გიგ-ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის კომპანიები, მათ შორის პლატფორმის კომპანიები; კომპანიები, რომლებიც იყენებენ აუთსორსინგს ფრილანსერების შრომით და კომპანიები, რომლებიც იყენებენ შერეულ მიდგომას.

პლატფორმის კომპანიები წარმოადგენენ ფირმა -შუამავლებს, რომლების იყენებენ ციფრულ პლატფორმებს, მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედებისთვის.

კომპანიები, რომლებიც იყენებენ გიგ-მუშაკებს, ქირაობენ მუშაკებს ციფრული პლატფორმების მოთხოვნის შესაბამისად, მოქნილი დასაქმების ფორმატით.

შერეული მოდელის კომპანიები აერთიანებენ ორივე ზემოხსენებული ტიპის ელემენტებს.

დანახარჯების შემცირებისა და ეფექტურობის ამაღლების მოკლევადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით, ასევე ციფრული ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის გრძელვადიანი ტენდენციის პასუხად, კომპანიები აქტიურად ერთვებიან გიგ-ეკონომიკაში.

გიგ-ეკონომიკა კომპანიებს საშუალებას აძლევს მოახდინონ შრომის ანაზღაურების, მენეჯმენტს და მომსახურების ხელშეწყობის ბიუჯეტის ოპტიმიზაცია. ტრადიციულად, კომპანიები დიდ ფინანსურ რესურსს ხარჯავენ თანამშრომელთა ხელფასებზე, მათ შორის დასაქმებისა და განთავისუფლების პროცედურებზე, სხვადასხვა ფონდებში გადარიცხვებსა და სტაჟირებაზე. თუმცა, გიგ-ეკონომიკის მოქნილი დასაქმების ფორმა კომპანიებს აძლევს

საშუალებას, საჭიროების მიხედვით გამოიყენონ მუშახელი და მინიმუმამდე დაიყვანონ საოპერაციო ხარჯები.

გარდა ამისა, გიგ-ეკონომიკა კომპანიებს სთავაზობს ციფრული მენეჯმენტის ინსტრუმენტებს, რაც ამცირებს მენეჯმენტის ზედმეტ ხარჯებს, ამცირებს შტატში მყოფი პერსონალის რაოდენობას და საჭიროებს მხოლოდ მცირე ტექნიკური გუნდის ჩართულობას ციფრული სისტემების განახლებისა და მხარდაჭერისთვის.

კომპანიებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, ციფრული პლატფორმების გამოყენებით დაამუშაონ მომხმარებელთა მონაცემები, შექმნან პერსონალური პროფილები, შეიმუშაონ მიზნობრივი სარეკლამო კომპანიები და, ამ გზით, მნიშვნელოვნად შეამცირონ მარკეტინგული ხარჯები.

გიგ-ეკონომიკა ასევე ხელს უწყობს ბიზნესის ეფექტიანობის ზრდას, რადგან კომპანიებს საშუალებას აძლევს გააფართოონ მომსახურების სპექტრი და შესთავაზონ მომხმარებლებს კომპლექსური მომსახურება.

გრძელვადიან პერსპექტივაში, გიგ ეკონომიკას შეუძლია დაეხმაროს კომპანიებს ციფრული ტრანსფორმაციის წარმართვაში და ბაზრის ცვალებად ტენდენციებზე რეაგირებაში. გიგ ეკონომიკის ფორმირებასა და განვითარებაში მონაწილეობის პროცესში კომპანიებს შეუძლიათ გააუმჯობესონ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისა და მართვის უნარი, რაც გამოიწვევს ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციას, პროდუქტებისა და მომსახურების განახლება და გაუმჯობესებას, ბიზნეს მოდელების ტრანსფორმაციას და ორგანიზაციული და ოპერაციული ცვლილებების დაჩქარებას.

ორგანიზაციული და ოპერაციული ცვლილებები კომპანიებს აძლევთ შესაძლებლობას, მიაღწიონ სრული ციფრული ტრანსფორმაციას და გაიზარდონ კონკურენტუნარიანობა.

თავიდან ბიზნეს-პროცესები ოპტიმიზაცია გამოიხატება განვითარების, წარმოების და დისტრიბუციის პროცესების ინტეგრაციაში. შემდეგ, ინოვაციური მეთოდები პროდუქტის მომსახურების სფეროში გამოიხატება თანამედროვე ბაზარზე ორიენტაციასა და მომხმარებლებზე პერსონალიზირებული პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდებაში. შემდეგ, ბიზნეს-მოდელის ცვლილება გამოიხატება მოთხოვნაზე ორიენტირებული ინტერნეტ-ბიზნეს მოდელის ტრანსფორმაციაში. ბოლოს, ორგანიზაციული ცვლილებების დაჩქარება გამოიხატება ორგანიზაციის წევრების ექსტერნალიზაციაში, ორგანიზაციული მართვის ციფრიზაციაში, ორგანიზაციული ფორმის პლატფორმიზაციაში და კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის გამარტივებაში.

გიგ-ეკონომიკის სწრაფმა გაფართოებამ სათანადო რეგულაციების არარსებობის პირობებში გამოიწვია რიგი პრობლემები, როგორიცაა ძალაუფლების ასიმეტრია მომხმარებლებსა და პლატფორმის კომპანიებს შორის, რაც ასუსტებს მოლაპარაკებებში გიგ-მუშაკთა პოზიციებს, მომხმარებელთა მონაცემების გაჟონვა, სოციალური დაცვის არარსებობა და სხვა რისკები.

სახელმწიფოს, როგორც რეგულატორს ეკისრება პასუხისმგებლობა, განიხილოს და გადაჭრას გიგ-ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები. მომხმარებლის როლში სახელმწიფო აქტიურად ნერგავს ციფრულ პლატფორმებს საკუთარ საქმიანობაში, რითაც აუმჯობესებს მართვას, ზრდის ფინანსურ მდგრადობას და ამცირებს ხარჯებს. გარდა ამისა, სახელმწიფომ შესაძლოა გამოიყენოს პლატფორმის კომპანიები საჯარო სერვისების მიწოდებისთვის ან პირდაპირ დაიქირაოს გიგ-მუშაკები, რაც გაზრდის სახელმწიფო სერვისების მიწოდების სისწრაფეს.

დაბოლოს, სახელმწიფო როგორც რეგულატორი და როგორც აქტიური მონაწილე გიგ-ეკონომიკის პროცესებში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი ფორმირებისა და განვითარების პროცესში.

ცვლილებები მაკროეკონომიკურ გარემოში და გიგ-ეკონომიკის მონაწილეთა ქცევითი მოდელების ევოლუცია მნიშვნელოვნად გარდაქმნის მის ფუნქციონირების სპეციფიკას. ეს ცვლილებები გავლენას ახდენს დასაქმების ფორმებზე, ანაზღაურების სისტემაზე, რეგულაციებზე და გიგ-დამსაქმებელთა სოციალური დაცვის მექანიზმებზე. ციფრული პლატფორმებისა და **ალგორითმული მართვის გაფართოებული შესაძლებლობები** აიძულებს გიგ-მუშაკებს ადაპტირდნენ ახალ პირობებთან, წინააღმდეგობა გაუწიონ მათ, დროებით შეწყვიტონ საქმიანობა ან აირჩიონ ალტერნატიული ქცევითი მოდელები.

ციფრული პლატფორმა წარმოადგენს **კომუნიკაციის საშუალებას, გარიგებების ინსტრუმენტს და სოციალური-ეკონომიკური ურთიერთობების ორგანიზაციის სისტემას** გიგ-ეკონომიკაში. შესაბამისად **ციფრული პლატფორმების მფლობელები**, **პლატფორმის კომპანიები იღებენ გიგ-ეკონომიკის ორგანიზატორის ფუნქციას** – ისინი უზრუნველყოფენ ინფორმაციის აგრეგაციას, მონაცემთა გაცვლას და სხვა კომპლექსური ამოცანების გადაწყვეტას.

გიგ-ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში პლატფორმული კომპანიები **ქმნიან პლატფორმულ ეკოსისტემას** და თანდათან აფართოებენ გავლენას ყველა მონაწილეზე. შედეგად, იკავებენ **დომინანტურ პოზიციას გიგ-ეკონომიკაში** და იღებენ სისტემის მართვაზე პასუხისმგებლობას.

ორმაგი იდენტურობა პლატფორმის კომპანიებს ავალდებულებს მრავალი კორპორატიული ვალდებულების აღებას. პლატფორმის კომპანიებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პლატფორმის მომხმარებელთა რაოდენობა. ამიტომ, როგორც ეკონომიკური სუბიექტი, კომპანია ვალდებულია გააუმჯობესოს მომხმარებლებთან ურთიერთობის პროცესი, რითაც ზრდის თავის მიმზიდველობას კლიენტებისთვის. როგორც სოციალური სუბიექტი, პლატფორმის კომპანიებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ციფრული საინფორმაციო სისტემის მომხმარებელთა ქცევის მართვაზე.

კერძოდ, საქმიანობის პროცესის სტანდარტების, ნორმებისა და წესების დაწესებით და ონლაინ- ინსტრუქციების სერიის მიწოდებით, პლატფორმის კომპანიებს შეუძლიათ პრაქტიკულად „აკონტროლონ“ მომხმარებლების პლატფორმები, რომლებიც განაწილებულია სხვადასხვა დროსა და სივრცეში და არ ექვემდებარება ორგანიზაციის უშუალო კონტროლს, რათა დარწმუნდნენ, რომ მათი ქცევა შეესაბამება კანონებს, რეგულაციებს და ეთიკურ ნორმებს.

დინამიური ფასწარმოქმნის წყალობით მომხმარებლებს ეძლევათ სტიმული უფრო აქტიურად გამოიყენონ პლატფორმის შესაძლებლობები და უკუკავშირის ალგორითმების საფუძველზე პლატფორმის მომხმარებლებს ენიჭებათ შეფასებები, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას გააუმჯობესოს მათი მართვის ინსტრუმენტები. **ამგვარად, პლატფორმის კომპანიები ასრულებენ მრავალ ფუნქციებს ხუთ საკვანძო ეტაპზე: ნდობა, შესაბამისობა, კონტროლი, სტიმული და უკუკავშირი.**

რაც შეეხება ფუნქციონირების მექანიზმს პლატფორმის კომპანიები ალგორითმული მართვის საშუალებით მრავალრიცხოვან ვალდებულებებს ასრულებენ. იმ ხუთ ეტაპზე, რომელზეც პლატფორმის კომპანიები საკუთარ ვალდებულებებს ახორციელებენ, ალგორითმულ მართვას აქვს ფუნქციები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტებს შორის ეფექტური ურთიერთქმედების მექანიზმის ჩამოყალიბებას.

ნდობის ეტაპზე რეპუტაციის სისტემა ასრულებს პლატფორმის მომხმარებლებს შორის ნდობის ფორმირების მენეჯმენტის ფუნქციას. რეპუტაციის სისტემის საშუალებით პლატფორმის კომპანიები ობიექტურად და დეტალურად აგროვებენ და ავრცელებენ ინფორმაციას პლატფორმის მომხმარებლების შესახებ როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების მხრიდან, რითაც ამცირებენ მათ შორის არსებულ საინფორმაციო ასიმეტრიას. ამავდროულად, მომხმარებლების პლატფორმაზე დამოკიდებულების გასაძლიერებლად, პლატფორმის კომპანიები მალავენ მომხმარებლების გარკვეულ საიდინტიფიკაციო მონაცემებს, რათა თავიდან აიცილონ „დეპლატფორმირება“. პლატფორმის მომხმარებლები რეპუტაციის სისტემის მეშვეობით აყალიბებენ ნდობით ურთიერთობებს, რაც მათ საშუალებას აძლევს შეამოწმონ და დააბალანსონ ერთმანეთი (Kobis et al. 2021).

შესაბამისობის ეტაპზე დაგეგმვის სისტემა ასრულებს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ამოცანების შეთანხმების მენეჯმენტის ფუნქციას. პლატფორმა იღებს დავალებებს მოთხოვნის მხრიდან დაგეგმვის სისტემის მეშვეობით და აერთიანებს არსებულ და განახლებულ მონაცემებს, ასევე ციფრულ ტექნოლოგიებს, როგორიცაა მანქანური სწავლება, რათა სწრაფად განაწილოს დავალებები იმ გიგ-მუშაკებზე, რომლებიც კონკრეტულ მოთხოვნას შეესაბამებიან.

კონტროლის ეტაპზე სენსორული სისტემა ასრულებს პლატფორმის მომხმარებელთა ქცევის მართვის ფუნქციას. პლატფორმა აკონტროლებს და წარმართავს ენდოგენურ პროცესებსა და ქმედებებს „რბილი“ და „მკაცრი“ კონტროლის მექანიზმების გამოყენებით სენსორული სისტემის მეშვეობით. „რბილი“ კონტროლი გულისხმობს პლატფორმის მომხმარებელთა მახასიათებლების განსაზღვრას მათი პროფილის ფორმირებისთვის და შემდგომ პერსონალიზებული ინფორმაციის გაგზავნას. „მკაცრი“ კონტროლი კი მოიცავს ალგორითმულ სანქციებს, როგორიცაა პლატფორმის იმ მომხმარებლების იძულებითი დეაქტივაცია, რომლებიც არღვევენ ორგანიზაციის ნორმებსა და მიზნებს (Waldkirch et al. 2021).

სტიმულირების ეტაპზე ფასების სისტემა ასრულებს მართვის ფუნქციას, რაც ზრდის პლატფორმის მომხმარებელთა ჩართულობას და უბიძგებს მათ პლატფორმის უფრო აქტიური გამოყენებისკენ დინამიური ფასების სტრატეგიების მეშვეობით, რომლებიც ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების მიმდინარე მახასიათებლებს ეფუძნება.

ფასების სისტემა იყენებს დაბალი ფასების სტრატეგიას, რათა მოთხოვნის მხარე წაახალისოს მომხმარებლური აქტივობის გაზრდისკენ ტრანზაქციების შემცირების პერიოდში, ხოლო ფასების სუბსიდირების სტრატეგიას, რათა მიწოდების მხარე დაეხმაროს სამუშაო დროის გაზრდაში პიკური მოთხოვნის დროს, ამგვარად კოორდინაციას უწევს ბაზრის მონაწილეთა ქმედებებს.

ამავდროულად, ფასების სისტემა ეკონომიკური სარგებლის მიღების პროცესში ამატებს თამაშის ელემენტებს, როგორიცაა ქულები, დონეები და მედლები, რაც პლატფორმაზე ვაჭრობას თამაშად გარდაქმნის და მომხმარებლებისთვის პლატფორმის მიმზიდველობას ზრდის (Wei et al. 2021).

რეიტინგული სისტემა უკუკავშირის ეტაპზე ასრულებს პლატფორმის მომხმარებელთა მიმოხილვების მართვის ფუნქციას. რეიტინგების სისტემა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, შეაფასონ მომსახურების ხარისხი შესრულებული შეკვეთების მიხედვით. შემსრულებლები, თავის მხრივ, რეიტინგების სისტემის საშუალებით აფასებენ კლიენტების სანდოობას.

რაც შეეხება თავად პლატფორმის კომპანიებს, მათ რეიტინგული სისტემა შეუძლიათ გამოიყენონ როგორც მომხმარებლების წახალისებისა და შეზღუდვის ინსტრუმენტი. თუმცა,

მისი მთავარი დანიშნულება არის შეკვეთების შემსრულებლების მუშაობის ეფექტიანობის მართვა (Durlauf 2019).

რეიტინგული სისტემა უკუკავშირის ეტაპზე ასრულებს პლატფორმის მომხმარებელთა მიმოხილვების მართვის ფუნქციას. რეიტინგების სისტემა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, შეაფასონ მომსახურების ხარისხი შესრულებული შეკვეთების მიხედვით. შემსრულებლები, თავის მხრივ, რეიტინგების სისტემის საშუალებით აფასებენ კლიენტების სანდოობას.

რაც შეეხება თავად პლატფორმის კომპანიებს, მათ რეიტინგული სისტემა შეუძლიათ გამოიყენონ როგორც მომხმარებლების წახალისებისა და შეზღუდვის ინსტრუმენტი. თუმცა, მისი მთავარი დანიშნულება არის შეკვეთების შემსრულებლების მუშაობის ეფექტიანობის მართვა (Durlauf 2019).

ალგორითმული მართვა საშუალებას იძლევა დაარეგულიროს გიგ-მუშაკების ქცევა მოთხოვნისა და მიწოდების კოორდინაციის საფუძველზე.

მმართველობითი ფუნქციები გადადის მომხმარებლებზე, ხოლო მართვის ობიექტს გიგ-მუშაკები წარმოადგენენ. ამ ვითარებაში გიგ-მუშაკებს შეუძლიათ ადაპტირება მიმდინარე პირობებთან, წინააღმდეგობის გაწევა ან პლატფორმაზე მუშაობის დასრულება, მომსახურებაზე უარის თქმით. საწყის ეტაპზე ალგორითმი გიგ-მუშაკებს გადასცემს პლატფორმის მიერ დადგენილ სამუშაო სტანდარტებსა და ნორმებს, და მათი უმრავლესობა მიჰყვება ალგორითმის მითითებებს, პლატფორმის მოთხოვნებს და ადაპტირდება ალგორითმების განახლებებთან.

შემდგომში, ზოგიერთი გიგ-მუშაკი შესაძლოა გამოიყენოს ალგორითმული სისტემის სისუსტეები, რათა მიიღოს უფრო ხელსაყრელი სამუშაო პირობები.

ზოგიერთ შემთხვევაში, ალგორითმის მიერ ინტენსიურმა და უწყვეტმა მონიტორინგმა შესაძლოა გამოიწვიოს „დეპლატფორმირება“, ანუ გიგ-მუშაკების გადასვლა სხვა ანალოგიურ პლატფორმებზე და მათი ანგარიშების გაუქმება (Are, Briggs 2023).

გიგ-ეკონომიკა აქტიურად ცვლის შრომის ბაზარს და ახალი შესაძლებლობები ეძლევა სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეებს. გიგ-ეკონომიკის ეფექტიანი განვითარება დამოკიდებულია აქტორების უნარზე, ადაპტირდნენ ტექნოლოგიურ და სოციალურ ცვლილებებთან, ასევე შრომის ბაზრის დროულ სახელმწიფო რეგულირებაზე.

გიგ-ეკონომიკის ზრდისა და განვითარების პოტენციალი შეიძლება დაიყოს სამ ძირითად მიმართულებად. განვითარების პირველი მიმართულება გიგ-მუშაკთა კვალიფიკაცია – მოიცავს ციფრული უნარების ტიპების დივერსიფიკაციას, მაღალი დონის ციფრულ წიგნიერებას და დისტანციური სამუშაოს განხორციელების მოქნილ მეორე მიმართულება- შრომითი პროცესების მართვის პლატფორმიზაცია – გულისხმობს შიდა და გარე მონაცემთა გაცვლას ონლაინ-სისტემების მეშვეობით, შრომითი პროცესების გამარტივებას, შრომითი ურთიერთობების ორგანიზების მეთოდების დივერსიფიკაციას და კომპანიების ადაპტაციას შრომის ბაზრის ცვლილებებთან.

განვითარების მესამე მიმართულება- სახელმწიფო და სოციალური მმართველობის სისტემატიზაცია ციფრულ პროცესებში – მოიცავს სამართლებრივი სისტემის სტანდარტიზაციას, კომპლექსურ სოციალურ უზრუნველყოფას და მმართველობითი სისტემების ინტეგრაციას ციფრულ გარემოში.

ამრიგად, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გიგ-ეკონომიკა იპყრობს დაინტერესებული მხარეების ყურადღებას მრავალი უპირატესობის გამო. ამასთან, მისი განვითარება გარკვეულ სირთულეებსა და რისკებს აწყდება, რაც ზღუდავს შრომითი ურთიერთობების ციფრულიზაციის შესაძლებლობებს. გიგ-ეკონომიკის ხელსაყრელი და მდგრადი განვითარების

უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და მენეჯერული შესაძლებლობების მუდმივი იდენტიფიკაცია და გამოყენება, აგრეთვე ამ ეკონომიკური მოდელისათვის დამახასიათებელი რისკების ეფექტიანი შემცირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Are C., Briggs P. (2023) The Emotional and Financial Impact of De-Platforming on Creators at The Margins. Social Media + Society. Vol. 9. Is. 1. DOI: 10.1177/20563051231155103

2. Durlauf M. (2019) The Commodification of Digital Labor in the Gig Economy: Online Outsourci ng, Insecure Employment, And PlatformBased Rating and Ranking Systems. Psycho sociological Issues in Human Resource Management. Vol. 7. Is. 1. P. 54–59.

3. Joshi A., Jain S., Gupta P.K. (2024) Challenges and Impact of the Gig Economy. Sustainable Economies. Vol. 2. Is. 2. P. 1–10. DOI: 10.62617/se.v2i2.96

4. Keller M. (2023) Getting the First Gig: Exploring the Affective Relations of Accessing Place-Based Platform Labour. Digital Geography and Society. Vol. 5. DOI: 10.1016/j.diggeo.2023.100067

5. Kobis N.C., Soraperra I., Shalvi S. (2021) The Consequences of Participating in the Sharing Economy: A Transparency-Based Sharing Framework. Journal of Management. Vol. 47. Is. 1. P. 317–343. DOI: 10.1177/0149206320967740 Korshunova T.Yu.,

6. Waldkirch M., Bucher E., Schou P.K., Grünwald E. (2021) Controlled by the Algorithm, Coached by the Crowd — How HRM Activities Take Shape on Digital Work Platforms in the Gig Economy. The International Journal of Human Resource Management. Vol. 32. Is. 12. P. 2643–2682. DOI: 10.1080/09585192.2021.1914129

7. Wei W., Beini L., Yaru L. (2021) The "Double-Edged Sword" Effect of Platform Work Gamification on Online Delivery Workers' Work Involvement: The Role of Mind-Flow Experience and Overwork. Nankai Management Review. Vol. 1–18. Available at: https://kns-cnki-net-443.webvpn.las.ac.cn/kcms/ detail/12.1288.F.20210910.0901.002.html

8. Yao Z., Weden S., Emerlyn L., Zhu H., Kraut R.E. (2021) Together but Alone: Atomization and Peer Support Among Gig Workers. Proceedings of the ACM on Human-Computer Interaction. Vol. 5. P. 1–29. DOI: 10.1145/3479535

9. Zhang T., Bufquin D., Lu C. (2019) A Qualitative Investigation of Microentrepreneurship in the Sharing Economy. International Journal of Hospitality Management. Vol. 79. P. 148–157. DOI: 10.1016/j.ijhm.2019.01.010

მწვანე მიწოდების ჯაჭვის მართვა
Green Supply Chain Management

ქეთევან შენგელია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი
Ketevan Shengelia
Technical University of Georgia
Associate Professor at the
Faculty of Business Technologies

აბსტრაქტი. მწვანე მიწოდების ჯაჭვის მართვა არის მნიშვნელოვანი კონცეფცია. იგი ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიღწევას. მისი მიზანია გარემოსდაცვითი მიმართულების გაძლიერება მწვანე და სუფთა სამყაროსკენ.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკონომიკის მდგრადი ზრდისთვის მნიშვნელოვანია მწვანე მიწოდების ჯაჭვის სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს უაღრესად საჭირო მიმართულებების გაძლიერებას: ინოვაციები და ტექნოლოგიები; ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სისტემების გაუმჯობესება; განათლება და შრომითი რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება, რაც გაზრდის შრომის პროდუქტიულობას; სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და აგრარული სექტორის ეფექტიანობის ამაღლება; ენერგოეფექტურობა და გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა და გარემოსდაცვითი სტანდარტების გაუმჯობესება. ამ მიმართულებების განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიკაციას და მდგრად ზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ მწვანე მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტზე მოქმედებს შიდა და გარე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მის მდგრადობაზე. საქართველო მნიშვნელოვან სტრატეგიულ პოზიციაზე მდებარეობს ევროპასა და აზიას შორის, რაც მას უნიკალურ სატრანსპორტო ჰაბად აქცევს. საქართველოს აქვს ყველა პირობა, რომ გახდეს რეგიონული სატრანსპორტო და ლოგისტიკური ცენტრი. თუმცა, ამისთვის აუცილებელია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, პორტებისა და სარკინიგზო ქსელის მოდერნიზაცია და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, რაც საბოლოო ჯამში მწვანე მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის სრულყოფას და დახვეწას მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: მწვანე მენეჯმენტი, მიწოდების ჯაჭვის მართვა.

Abstract. Green supply chain management is an important concept that contributes to achieving sustainable development. Its goal is to strengthen environmental approaches toward a greener and cleaner world.

The paper highlights that for Georgia's sustainable economic growth, it is crucial to enhance the green supply chain. This will support key areas such as: innovations and technologies; improvement of infrastructure, transportation, and logistics systems; education and the upskilling of the workforce, which will increase labor productivity; modernization of agriculture, implementation of modern technologies, and improvement of the efficiency of the agricultural sector; energy efficiency and environmental protection, adoption of sustainable development principles, and enhancement of environmental standards. The development of these directions will facilitate the diversification and long-term sustainable growth of Georgia's economy.

The study argues that green supply chain management is influenced by internal and external factors that affect its sustainability. Georgia's strategic location between Europe and Asia makes it a unique transportation hub. The country has all the necessary conditions to become a regional transport and logistics center. However, to achieve this, it is essential to improve infrastructure, modernize ports and railway networks, and strengthen international cooperation. Ultimately, this requires refining and optimizing green supply chain management.

Keywords: Green management, supply chain management.

შესავალი

მწვანე მიწოდების ჯაჭვის მართვა არის მნიშვნელოვანი კონცეფცია. იგი ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. მისი ძირითადი ელემენტებია: ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენება; მდგრადი წარმოების პროცესები; ენერგოეფექტური ლოგისტიკა და ტრანსპორტირება; ნარჩენების მინიმიზაცია და გადამუშავება; მომწოდებლების ეკოლოგიური სტანდარტების დაცვა.

ტერმინი "მწვანე მიწოდების ჯაჭვის მართვა" (Green Supply Chain Management – GSCM) გამოიყენება მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის კონტექსტში, სადაც განსაკუთრებული როლი ეთმობა გარემოსდაცვით ასპექტებს. იგი გულისხმობს პროცესების დანერგვას, რომლებიც ამცირებენ ნარჩენებს, ენერგიის მოხმარებას და გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებას მიწოდების ჯაჭვის ყველა ეტაპზე- დაწყებული ნედლეულის მოპოვებიდან, წარმოების, ლოგისტიკისა და მომხმარებლამდე მიწოდების ჩათვლით.

მწვანე მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი ამაღლებს ორგანიზაციის პოზიტიურ რეპუტაციას და ეკონომიკურ სარგებელსაც მოუტანს, რადგან მომხმარებლები სწორედ უპირატესობას ანიჭებენ იმ კომპანიებს, რომლებიც ზრუნავენ გარემოზე. იგი ასევე მოიცავს ეკოლოგიური ინოვაციების წახალისებას, რომელთა მეშვეობითაც კომპანია შეძლებს ახალი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა და სერვისების შემუშავებას.

მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტმა გადალახა შესყიდვის, წარმოების და განაწილების ტრადიციული საზღვრები. თანამედროვე ეტაპზე გარემოსდაცვითი საკითხები გახდა მიწოდების ჯაჭვის კვლევის ძირითადი ნაწილი. ეს საჭიროება მხოლოდ რეგულაციებისა და პოლიტიკის მოთხოვნებით არ არის გამოწვეული, კომპანიები ცდილობენ მდგრადობის მიღწევას როგორც ეკონომიკური სარგებლის, ისე გარემოს კეთილდღეობისთვის. მწვანე მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი (GSCM) მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიწოდების ჯაჭვში გარემოსდაცვითი ეფექტიანობის გაზრდაში და ის თანამედროვე ოპერაციების მენეჯმენტის კვლევების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა გახდა.

აღნიშნული პრობლემის დამუშავებისას ჩვენ შევისწავლეთ უცხოელი მეცნიერების კვლევები. განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამედროვე მეცნიერთა მოსაზრებები: Kannan, D., Jabbour, A.B.L., Jabbour, C., Ming K. Lim, Ming-Lang Tseng, Kim Hua Tan, Tat Dat Bui, Liu, X., Yang, J., Qu, S., Wang, L., Shishime, T., Bao, C., Singh, M.D., Kant, R., Stentoft, J., Lüthje, T., Tavana, M., Shaabani, A., Santos-Arteaga, F.J., Zhu, Q., Sarkis, J.

ძირითადი ნაწილი

ნებისმიერი პროდუქტი წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის პირველადი წყაროდან საბოლოო მომხმარებლამდე მიწოდების მომენტამდე გაივლის ცალკეული ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისგან შედგენილ ე.წ. მიწოდების ჯაჭვს. მწვანე მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი შეიძლება განიმარტოს, როგორც მწვანე შესყიდვების მართვის, მწვანე წარმოების და მწვანე ლოგისტიკის ერთობლიობა (Singh and Sharma, 2015). თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკაში მწვანე მიწოდების ჯაჭვი მრავალი ორგანიზაციის ქვაკუთხედად იქცა. ნარჩენების შემცირება ბიზნესში და რესურსების გამოყენების უზრუნველყოფა მინიმალური დანახარჯებით ხელს უწყობს ეფექტიანობას და ორგანიზაციების მდგრად განვითარებას (Stentoft and Lüthje, 2012). თუმცა, ამ პროცესს თავისი ფასი აქვს. ჩვენ ამ ფასს ვიხდით კლიმატის ცვლილების და მისი შედეგების სახით. კლიმატის ცვლილების კატასტროფული გავლენა არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული რეგიონით ან ქვეყნით, ის მთელს მსოფლიოს მოიცავს.

ამ მიზეზით, გაერთიანებულმა ერებმა ჩაატარა კონვენციები, როგორიცაა პარიზის შეთანხმება, COP 26, COP 27 სამიტები და სხვა. პარიზის შეთანხმება მიღებულ იქნა 2015 წელს COP 21-ის (21-ე კონფერენცია) ფარგლებში პარიზში, საფრანგეთში. COP 26 – 2021 (გლაზგოს სამიტი, შოტლანდია, დიდი ბრიტანეთი). COP (Conference of the Parties) არის გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ყოველწლიური შეხვედრა. მონაწილეობდა 190-ზე მეტი ქვეყანა, მათ შორის საქართველო. მიზანი იყო გლობალური ქვეყნების გაერთიანება საერთო მდგრადი მიზნების მისაღწევად და გარემოსდაცვითი მიმართულების გაძლიერება მწვანე და სუფთა სამყაროსკენ. ასევე COP 27 – 2022 (შარმ-ელ-შეიხი, ეგვიპტე), გაიმართა 2022 წლის ნოემბერში

ეგვიპტეში, შარმ-ელ-შეიხში. მონაწილეობა მიიღო 190-მა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ. მთავარი მიღწევები: "Loss and Damage" ფონდის შექმნა – განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა გადაუხადონ კლიმატური ცვლილებებისგან დაზარალებულ ღარიბ ქვეყნებს. გაკეთდა კლიმატის ფინანსებზე მეტი აქცენტი. ძირითადი საკითხი იყო განახლებადი ენერგიის განვითარება და საწვავის შემცირების შესახებ დებატები.

საქართველო აქტიურად მონაწილეობს გაეროს კლიმატურ მოლაპარაკებებში. ქვეყანა პარიზის შეთანხმების წევრია და 2030 წლისთვის აპირებს ნახშირბადის ემისიების შემცირებას 35%-ით 1990 წლის დონესთან შედარებით. საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაცია, რადგან ქვეყანა ექვემდებარება წყალდიდობებს, გვალვებსა და მეწყერებს. უშედეგო დაპირებების ნაცვლად, არსებობს მოთხოვნა, შეიქმნას პრაქტიკული „კლიმატური კეთილდღეობის გეგმა.“ საქართველო 2030 წლისთვის მიზნად ისახავს ენერგიის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას განახლებადი წყაროებიდან, განსაკუთრებით ჰიდროენერგიის, მზის და ქარის ენერგიის მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებს შეუძლიათ შედარებით მარტივად გადავიდნენ ეკოლოგიურად უსაფრთხო ეკონომიკაზე ეკონომიკური ზიანის გარეშე, განვითარებადი ქვეყნებისათვის რთულია საწვავზე დამოკიდებულების შემცირება და სწრაფი გადასვლა მწვანე მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის მიმართულებით. ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია მთავრობის მხრიდან ყოვლისმომცველი მხარდაჭერის გარეშე, რადგან მიწოდების ჯაჭვის პროცესში მდგრადობის მიღწევა უმნიშვნელოვანესია.

ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკა სტაბილურად იზრდება. მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით 2024 წელს ეკონომიკა გაიზარდა 9.5%-ით, რაც ყველაზე მაღალია ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებთან მიმართებაში.[293] საქართველოს ეკონომიკის მდგრადი ზრდისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი მიმართულებების გაძლიერება: ინოვაციები და ტექნოლოგიები; ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სისტემების გაუმჯობესება; განათლება და შრომითი რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება, რაც გაზრდის შრომის პროდუქტიულობას; სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და აგრარული სექტორის ეფექტიანობის ამაღლება; ენერგოეფექტურობა და გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა და გარემოსდაცვითი სტანდარტების გაუმჯობესება. ამ მიმართულებების განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიკაციას და მდგრად ზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ნაშრომში განხილულია მწვანე მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის შიდა და გარე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მიწოდების ჯაჭვის მდგრადობაზე. მრავალი მსგავსი კვლევა ჩატარდა, სადაც ნაჩვენებია მწვანე მიწოდების ჯაჭვის პროცესში ფაქტორებს შორის ურთიერთქმედება.

უცხოელ და ქართველ ავტორთა ნაშრომების ანალიზის საფუძველზე, გამოვლინდა მწვანე მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის რვა შიდა ფაქტორი, რომლებიც სპეციფიკურია განვითარებადი ქვეყნის ინდუსტრიისთვის. შიდა ფაქტორებს შორის გამოვყოფთ შემდეგს:

ორგანიზაციის უმაღლესი მენეჯმენტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მწვანე მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის პოლიტიკის შემუშავებაში. ეს ფაქტორი პირდაპირ კავშირშია გარე ფაქტორებთან, უმაღლესი მენეჯმენტი მოქმედებს როგორც შუამავალი კომპანიის შიდა და გარე გარემოს შორის. მენეჯმენტის კეთილი ნების და მათი პოლიტიკის საშუალებით ორგანიზაცია მიმართულებას იღებს მდგრადობისა და ეფექტურობისკენ მიწოდების ჯაჭვში.

[293] https://www.businessinsider.ge/en/average-real-gdp-growth-in-2024

მომწოდებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ორგანიზაციის მდგრადობის მიღწევაში. ბევრი კომპანია უპირატესობას ანიჭებს მათ კვანძოვან სამუშაოებს, მომწოდებლების აუთსორსინგს.

მასალების შესანახი სისტემა წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ნარჩენების წარმოქმნის პროცესში. მასალების სწორად შენახვა იცავს პროდუქტს დაზიანებისაგან. (Zhang et al., 2020).

მასალების ტრანსპორტირება და დასაწყობება, მოითხოვს ორგანიზაციის მნიშვნელოვანი რაოდენობით ენერგეტიკულ რესურსებს და ხარჯებს. ამ სფეროში სწორი მენეჯმენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს "მწვანე" მიწოდების ჯაჭვის მიმართულებით. **ლოგისტიკის სისტემა.** მწვანე ლოგისტიკის სისტემა წარმოადგენს გარემოსდაცვითი ფილოსოფიის კომბინაციას პროდუქტის განვითარების, შესყიდვების, შენახვის და ტრანსპორტირების საკითხებში. (Seroka-Stolka; Ociepa-Kubicka, 2019). კომპანიის ნახშირბადის გამოყოფის 70%-ზე მეტი გამოწვეულია ტრანსპორტირების პროცესში, რაც წარმოადგენს მთავარ სფეროს, რომელთან დაკავშირებითაც საჭიროა "მწვანე" პოლიტიკის მიღწევა მიწოდების ჯაჭვში (Dzwigol et al., 2021).

დაბინძურების თავიდან აცილება და სახიფათო ნარჩენების მართვა. გარემოსდაცვითი საკითხები ძირითადად ნარჩენების მართვის აქტივობებზეა გამიზნული. წარმოების პროცესი მოიხმარს ენერგიასა და რესურსებს საბოლოო პროდუქტის მისაღებად. პროდუქტის სიცოცხლის ციკლში დაბინძურება ხდება მრავალ ეტაპზე.

ეკოლოგიური შეფუთვა. პროდუქტის შეფუთვა იცავს პროდუქტს დაზიანების ან გაუფასურებისგან. შეფუთვის მენეჯმენტი ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური პერსპექტივიდანაც. ორგანიზაციები ჩვეულებრივ არჩევენ ეკონომიური შეფუთვის მასალებს, როგორიცაა პლასტიკა და პოლითილენი, რომლებიც გარემოს დაბინძურების მთავარი მიზეზებია (Gardas and Raut, 2019).

მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა ზრდის მიწოდების ჯაჭვის ოპტიმიზაციას (Dong et al., 2021). IT ინსტრუმენტების გამოყენება უზრუნველყოფს უკეთეს ხილვადობას და გამჭვირვალობას მთლიან მიწოდების ჯაჭვის პროცესში. ინფორმაციის გაზიარება და კომუნიკაცია წარმოადგენს მიწოდების ჯაჭვის მთავარ მამოძრავებელ ძალას. ტექნოლოგია ხსნის კომუნიკაციისა და უკეთესი ინტეგრაციის შესაძლებლობას სხვადასხვა ეტაპებს შორის მიწოდების ჯაჭვში (Morella et al., 2020). მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენება გავლენას ახდენს ტრანსპორტირების ქსელის ოპტიმიზაციაზე, უკეთესი ინვენტარის მართვაზე, ინვენტარის კოორდინაციაზე, პრევენციული მოვლის, ხარისხის შემოწმებისა და გარანტიების პროცესზე.

გარე ფაქტორებს ორგანიზაცია მცირე ზომით აკონტროლებს, რადგან ისინი კონტროლდება მთავრობის კანონმდებლობით. მათ მიეკუთვნება მთავრობის რეგულაციები, ინდუსტრიული პოლიტიკა და გარე ურთიერთობები, რაც უმაღლესი მენეჯმენტის მიერ გაითვალისწინება და ამ ფაქტორების საფუძველზე ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს კომპანიის პოლიტიკის შესახებ.

მიწოდების ჯაჭვის მართვა ბიზნესის გულია. კომპანიების მდგრადი განვითარებისთვის მიწოდების ჯაჭვის პოლიტიკაში პრიორიტეტულია მწვანე მეთოდების გამოყენება. გარემოს ფაქტორების ინტეგრაცია მიწოდების ჯაჭვში ახლა უკვე ძალიან მნიშვნელოვანი გახდა. განვითარებულმა ქვეყნებმა ეს პრაქტიკა ადრე დააფიქსირეს. თუმცა ახლა წარმოება გადადის აზიურ რეგიონში.

საქართველოში წარმატებით მუშაობს ენერგეტიკის, მეტალურგიის, ნავთობის იმპორტის, საცალო ვაჭრობის, ჯანდაცვის, კომუნიკაციების, ფარმაცევტული პროდუქტების წარმოება, ასევე სამშენებლო კომპანიები, ავტომობილებით ვაჭრობა, ცემენტის ინდუსტრია, ტექსტილის ინდუსტრია, მარგანეცის წარმოება, საავტომობილო და საზღვაო გადაზიდვები. ამ სფეროებში მწვანე მიწოდების ჯაჭვის მართვა მნიშვნელოვანია. გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო

პოლიტიკამ არსებითი როლი უნდა შეასრულოს, რადგან ეკონომიკური მდგრადობა მიწოდების ჯაჭვში დამოკიდებულია ნარჩენების მართვის სისტემაზე.

საქართველო მნიშვნელოვან სტრატეგიულ პოზიციაზე მდებარეობს ევროპასა და აზიას შორის, რაც მას უნიკალურ სატრანსპორტო ჰაბად აქცევს. ქვეყნის, როგორც სატრანსპორტო დერეფნის, განვითარების რამდენიმე ძირითადი უპირატესობა აქვს. ესენია:

✓ **გეოგრაფიული მდებარეობა.** საქართველო ევროპასა და აზიას შორის ერთ-ერთი უმოკლესი გზაა, რაც მას ევრაზიული სატრანსპორტო ქსელის მნიშვნელოვან ნაწილად აქცევს. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა აძლიერებს საქართველოს როლს ჩინეთიდან ევროპისკენ გადაზიდვების განხორციელებაში.

✓ **საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი.** საქართველო მონაწილეობს TRACECA-ში (Transport Corridor Europe-Caucasus-Asia), რომელიც მიზნად ისახავს ევროპასა და აზიას შორის კავშირის გაძლიერებას. ჩართულია მცირე ევროპო-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანში (Middle Corridor), რომელიც ალტერნატივას წარმოადგენს რუსული და ირანული მარშრუტებისთვის.

✓ **შავი ზღვის პორტები.** ბათუმის, ფოთისა და ანაკლიის (მომავალი) ღრმაწყლოვანი პორტები საქართველოს მნიშვნელოვან საზღვაო სატრანსპორტო ცენტრად აქცევს. ეს პორტები აერთიანებენ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს ევროპულ ბაზრებთან.

✓ **საკვანძო ენერგეტიკული დერეფანი.** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი ხელს უწყობენ ენერგორესურსების ტრანსპორტირებას კასპიის რეგიონიდან ევროპამდე. ეს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა ზრდის საქართველოს მნიშვნელობას საერთაშორისო ბაზარზე.

✓ **ინფრასტრუქტურული განვითარება.** საქართველოს აქვს განვითარებული საავტომობილო და სარკინიგზო ქსელი, რომელიც მუდმივად ახლდება. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, თუ აშენდა, კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალს.

✓ **თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები.** საქართველოს აქვს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შეთანხმება, რაც მას ევროპასთან ვაჭრობაში მნიშვნელოვან პარტნიორად აქცევს. ასევე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებია ჩინეთთან, თურქეთთან, დსთ-ს ქვეყნებთან, რაც ქვეყნის სატრანსპორტო დერეფნის მიმზიდველობას ზრდის.

✓ **ტრანზიტული შემოსავლის ზრდის პოტენციალი.** გადაზიდვებისა და სატრანსპორტო ჰაბის განვითარებით, საქართველო შეძლებს გაზარდოს ტრანზიტული შემოსავლები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.

საქართველოს აქვს ყველა პირობა, რომ გახდეს რეგიონული სატრანსპორტო და ლოგისტიკური ცენტრი, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. თუმცა, ამისთვის აუცილებელია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, პორტებისა და სარკინიგზო ქსელის მოდერნიზაცია და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

ლიტერატურა

Singh, M.D., Kant, R., 2008. Knowledge management barriers: An interpretive structural modeling approach. Int. J. Manage. Sci. Eng. Manage. 3 (2), 141–150. https://doi.org/10.1080/17509653.2008.10671042

Ming K. Lim, Ming-Lang Tseng, Kim Hua Tan, Tat Dat Bui, Knowledge management in sustainable supply chain management: Improving performance through an interpretive structural modelling approach, Journal of Cleaner Production,Volume 162, 2017, Pages 806-816,ISSN 0959-6526, 10.1016/j.jclepro.2017.06.056. (https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S095965261731226X).

Liu, X., Yang, J., Qu, S., Wang, L., Shishime, T., Bao, C., 2012. Sustainable production: practices and determinant factors of green supply chain management of chinese companies. Bus. Strateg. Environ. 21, 1–16. https://doi.org/10.1002/bse.705.

Singh, M.D., Kant, R., 2008. Knowledge management barriers: An interpretive structural modeling approach. Int. J. Manage. Sci. Eng. Manage. 3 (2), 141–150. https://doi.org/10.1080/17509653.2008.10671042.

Stentoft, J., Lüthje, T., 2012. Global operations and their interaction with supply chain performance. Ind. Manage. Data Syst. 112, 1044–1064. https://doi.org/10.1108/02635571211255014.

Tavana, M., Shaabani, A., Santos-Arteaga, F.J., et al., 2021. An integrated fuzzy sustainable supplier evaluation and selection framework for green supply chains in reverse logistics. Environ. Sci. Pollut. Res. 28, 53953–53982. https://doi.org/10.1007/s11356-021-14302-w.

Jena, J., Sidharth, S., Thakur, L.S., Kumar Pathak, D., Pandey, V.C., 2017. Total Interpretive Structural Modeling (TISM): approach and application. J. Adv. Manage. Res. 14 (2), 162–181. https://doi.org/10.1108/JAMR

ცირკულარული ეკონომიკის ბიზნესმოდელების უპირატესობები და ძირითადი გამოწვევები კახეთის რეგიონში.

Advantages of Circular Economy Business Models and Challenges in the Kakheti Region

მაია ალადაშვილი
ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
Maia Aladasvili
Iakob Gogebashvili Telavi State University
Associate Professor

აბსტრაქტი: თანამედროვე პერიოდში, მსოფლიო მასშტაბით, მუშაობს ეკონომიკის ხაზოვანი, იგივე წრფივი მოდელი, რომლის ძირითადი ფორმულაც ასე გამოიყურება:

მოპოვება - წარმოება - მოხმარება - გადაგდება.

მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობას, ამ მოდელის ხანგრძლივი მოქმედების გამო, იმგვარი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა საგნების მიმართ, რომ მათ გამოყენებას და მოხმარებას მაშინვე ვწყვეტთ, როდესაც გვბეზრდება, ან რაიმე დეტალი უფუჭდება, რომლის აღდგენაც შესაძლებელია, და ამ საგანს მაშინვე ნაგავსაყრელზე მივმართავთ. შედეგად, ოკეანეებში ნარჩენებისგან წარმოიშობა სხვადასხვა შტატის თუ ქვეყნის ზომის კუნძულები, რომელსაც დამანგრეველი მოქმედება აქვს ჩვენი ეკოლოგიის და ადამიანთა ჯანმრთელობისთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსალოდნელია მსოფლიო მოსახლეობის ზრდა ყოველ 10 წელში 500-750 მილიონით, ასევე იზრდება მსოფლიოს განვითარებად რეგიონებში ცხოვრების სტანდარტები და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა, აქედან გამომდინარე, ნავარაუდებია, რომ 2050 წლისთვის მატერიალური რესურსების მოხმარება გაორმაგდება.

რაც უფრო მეტ რესურსს მოვიხმართ, ის უფრო ნაკლები რჩება მომდევნო თაობებს. როგორც ცნობილია, რესურსები უსასრულო რაოდენობის არ არის და დროთა განმავლობაში ეს რესურსები გამოილევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასწრაფოდ გვჭირდება ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა, რომ თავიდან ავიცილოთ ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომების დამანგრეველი შედეგები.

საკვანძო სიტყვები: ცირკულარული; უპირატესობა; გამოწვევა; ბიზნესმოდელი; დაფინანსება.

Abstract: The linear economic model is widely prevalent across the globe, and its formula follows this cycle: extraction – production – consumption – waste.

Over time, this model has led to significant challenges. A large portion of the global population tends to discard items once they lose interest in them or when small parts stop working, even if they can be repaired. The unfortunate outcome is that many of these items end up in landfills or waste bins. This behavior has contributed to vast islands of waste in our oceans, which not only devastate ecosystems but also have a detrimental impact on human health.

Looking ahead, with an estimated global population increase of 500-750 million people in the next decade and rising living standards in developing countries (where more people will have the purchasing power to buy goods), material resource consumption is expected to double by 2050. The more resources we consume, the fewer resources will be available for future generations, as these resources are finite.

Given these challenges, it is crucial that we transition to a circular economy to mitigate the destructive impact of the mistakes made by past economic models. A circular economy promotes sustainability by focusing on reuse, repair, and recycling, ensuring that resources are used more efficiently and waste is minimized.

Keywords: circular economy, advantages, challenges, business model, funding.

თანამედროვე პერიოდში, შეინიშნება პროდუქციის მოხმარების ჭარბი ზრდა, მიუხედავად იმისა, რომ რამოდენიმე ქვეყანაში, კერძოდ ჩრდილოეთ ამერიკაში და ავსტრალიაში ეს ტენდენცია შემცირებულია, დანაჩენ მსოფლიოში ეს ზრდა მიმდინარეობს. შესაბამისად, იზრდება ნარჩენების რაოდენობაც.

გამომდინარე იქიდან, რომ ამ ოდენობის ნარჩენების მართვა თითქმის შეუძლებელია და ამისგან ხშირად თავს ვიკავებთ ზედმეტი დაანახარჯების თავიდან აცილების მიზნით, შედეგად ეს ნარჩენები დიდი რაოდენობით გვხვდება იქ, სადაც არავინ ელოდება, კერძოდ ზღვებში, ოკეანეებში, ზღვის ცხოველების და ფრინველების მუცელში და საბოლოოდ, ჩვენს ორგანიზმში.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს მსოფლიოში 2 მლრდ. ტონა მყარი, მუნიციპალური ნარჩენი შეიქმნა, ხოლო 2050 წლისთვის სავარაუდოდ ეს ციფრი 3,4 ტონამდე გაიზრდება. ყოველწლიურად იზრდება ელექტრონული ნარჩენების რაოდენობაც, ხოლო მათი გადამუშავების მაჩვენებელი ძალიან ნელა იზრდება.

მსოფლიო გადასულია გამოსავლის ძიებაში და სწორედ ერთ-ერთი ასეთი გამოსავალია ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა, რაც ეკონომიკის ცირკულარული ბიზნესმოდელების დანერგვას და განვითარებას გულისხმობს მთელ მსოფლიოში.

ცირკულარული ეკონომიკა, თავისთავად, პროდუქციის წარმოების და მოხმარების ახლებურ ხედვას გულისხმობს. აქ შეგვიძლია გამოვყოთ ე.წ. 3 R პრინციპი:

Reduce (შემცირება) - რაც გულისხმობს როგორც რესურსების, ასევე პროდუქციის ნარჩენებად გადაქცევის შემცირებას.

Reuse (ხელახალი გამოყენება) - მაქსიმალურად გამოვიყენოთ ნებისმიერი პროდუქტის ყველა ღირებული ნაწილი.

Recycle (გადამუშავება) - გადავამუშავოთ ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა მისი ხელახალი ნედლეულად გამოყენების ან აღდგენის გზით.

სამივე ეს მიდგომა ხელს შეუწყობს რესურსების მაქსიმალურად დაზოგვას, შეამცირებს დანახარჯებს და რაც მთავარია, შეამცირებს ეკონომიაზე მათ უარყოფით შედეგებს.

ცირკულარურ ეკონომიკაზე გადასვლას გააჩნია სხვა მთელი რიგი უპირატესობები, კერძოდ:

1. შესაძლებელია შევამციროთ წარმოების დანახარჯები - პროდუქციის იმგვარად შექმნა, რომ შესაძლებელი იყოს მისი ხელახალი გამოყენება, მარტივად დაშლა და გადამუშავება, რაც იმაზე უფრო ნაკლებად ხარჯიანია, ვიდრე ახალი ნედლეულით მისი დამზადება.

2. შესაძლებელია ფართო მოხმარების საგნების ოდენობის შესამჩნევი შემცირება, მათი მიწოდების ნაცვლად მომსახურეობის შეთავაზებით, ანუ მოსახლეობა საგნების ყიდვის ნაცვლად გადავა მომსახურების შეძენაზე, რაც შესამჩნევად დაზოგავს რესურსების და შესაბამისად დანახარჯების და ნარჩენების რაოდენობას.

3. შექმნის შემოსავლის ახალ წყაროებს - კომპანიები აყალიბებენ ახალ საწარმოებს თავიანთი საწარმოო ნარჩენების უკან დაბრუნების, მათი ხელახალი რესურსად გადაქცევის მიზნით და იგივე, ან განსხვავებული პროდუქციის წამოების მიზნით. ან მიმართავენ სხვა პარტნიორებს უკულოგისტიკის მიზნით. ეს მოვლენა ქმნის არა მხოლოდ დამატებით შემოსავლებს, არამედ ზოგავს რესურსების გამოყენებას და ამცირებს ნარჩენების ოდენობას.

4. ახალი ბიზნესშესაძლებლობების და მეორადი ნედლეულის ახალი ბაზრების შექმნა - შესაძლებელი ხდება , საქონლის იმგვარად შემუშავება დიზაინის პროცესშივე, რომ პროდუქციის დაზიანების შემთხევაში მათი შეკეთება და ნაწილების გამოყენება შესაძლებელი იყოს, ამგვარად მომხმარებელს შეიძლება მიაწოდონ პროდუქციის რომელიმე დეტალი, ინსრტუქციასთან ერთად და თვითონვე შეძლოს მისი შეცვლა.

5. ამ მოდელის დროს შესაძლებელია ნარჩენის რესურსად გამოყენება მისი ხელახალი მოხმარების და გადამუშავების გზით.შესაძლოა პროსუქციისთვის მეორე სიცოცხლის მინიჭება და სიცოცხლისუნარიანობის გაზრდა.

6. მცირდება ახალი რესურსების გამოყენება - ეს გვაძლევს ეკონომიკის მდგრადობის შენარჩუნების საშუალებას, ზოგავს არა მხოლოდ რესურსების რაოდენობას, არამედ ნარჩენებისას.

7. იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა ახალი ტიპის საწარმოების შექმნის პარალელურად.

მიუხედავად ზემოთჩამოთვლილი უპირატესობებისა, ცირკულარული ეკონომიკა ძალიან ნელა ვითარდება იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ძალიან მაღალია ამ ეკონომიკურ ბიზნესმოდელებზე გადასვლის შესაძლებლობა. ამის მიზეზია მთელი რიგი გამოწვევები, რომელთა გადაწყვეტა საკმაოდ დიდ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ძალიასხმევას საჭიროებს.

გამომდინარე იქიდან, რომ 2015 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთთანამშრომლობას მსოფლიოს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში, რომლის ვადაც 2030 წელს იწურება, საქართველო ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებულ გზას დააადგა, რადგან მდგრადი გავნითარების მიზნების მიღწევა შეუძლებელია ცირკულარული ეკონომიკის ბიზნესმოდელების განვითარების გარეშე.

გამოკითხვის მეთოდით, ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა მცირე კვლევა კახეთის რეგიონში, ცირკულარული ბიზნესმოდელების განვითარების მიმდინარეობის და შემაფერხებელი

გარემოებების დადგენის მიზნით. კვლევაში უშუალოდ ვეწვიეთ ადგილზე 40 მდე მცირე და საშუალო ბიზნესის წამომადგენელს და გამოვკითხეთ ზემოაღნიშნული მოდელის შესახებ.

- აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 12 % -მა იცის ცირკულარული მოდელების და ზოგადად მდგრადი განვითარების შესახებ, შესაბამისად არავითარი ინფორმაცია არ გააჩნიათ ცირკულარული ეკონომიკის პროექტებისთვის გამოსადეგი და ხელმისაწვდომი დაფინანსების და ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ეს არის **დაფინანსების** საკითხები. ცირკულარული ეკონომიკის პროექტები და ბიზნესები, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, დგანან ფინანსური რესურსის წვდომის პრობლემის წინაშე. მიზეზი გახლავთ ის, რომ ამ ტიპის მეწარმეებს არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა და რესურსები, ასევე კვალიფიციური კადრები, რომ მოამზადონ ცირკულარული ეკონომიკის პროექტების კონცეფციები, რომ ინვესტორისთვის სისტემაში მოიყვანონ და მოამზადონ სრულფასოვანი ბიზნეს გეგმა ან დაფინანსების სათანადო ფორმები. ასპარეზზე ახლადგამოჩენილ ცირკულარულ ბიზნესებს, რომელთაც ხშირად დიდი სასტარტო კაპიტალი სჭირდებათ, ფინანსური სფერო მაღალრისკიანებად და ეკონომიკურად დაუსაბუთებლად მიიჩნევს, რაც პრობლემას უქმნის ამ ტიპის საწარმოებს დაფინანსების მოპოვების მიმართულებით.

კახეთის რეგიონში უამრავი ღვინის ქარხანა ფუნქციონირებს, რადგან ღვინო და ყურძენი არის ამ რეგიონის მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყარო. ყურძნის წიბწა, რომლისგანაც საკმაოდ სასარგებლო და რაც მთავარია, მისგან ძვირადღირებული ზეთის მიღებაა შესაძლებელი, ამჟამად გამოიყენება მხოლოდ სასუქად ვენახისთვის, მაშინ როდესაც ამით დამატებითი არცთუ მცირე შემოსავლის მიღებაა შესაძლებელი. კახეთის რეგიონში, ამჟამად მხოლოდ 2 ქარხანა გადაამუშავებს ყურძნის წიბწას და იღებს ზეთს, რომელიც გამოყენებადია როგორც კულინარიაში, ასევე კოსმეტიკის მიმართულებით.

საქართველოს ბაზარზე წიბწის ზეთი შემოდის იმპორტით ესპანეთიდან და იტალიიდან, მაშინ როდესაც თუ გავითვალისწინებთ საქართველოში წამოებული ყურძნის მოცულობას, მისი ნარჩენის მხოლოდ ნახევარიც რომ გადამუშავდეს, არა მხოლოდ მთლიანად დააკმაყოფილებდა ქართულ ბაზარს, არამედ შესაძლებელი იქნებოდა მისი ექსპორტზე გატანაც .

ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობის მიზეზად ქარხნებმა დაასახელეს ზეთის სახდელი და წიბწის გამოსარჩევი დანადგარების ძალიან მაღალი ფასი, რომლის შესაძლებლობაც ამ ეტაპზე არ გააჩნიათ.

კიდევ ერთი პრობლემაა ცირკულარული მოდელების **დაფინანსების** საკითხი - ცირკულარული ეკონომიკის პროექტები და ბიზნესები, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, დგანან ფინანსური რესურსის წვდომის პრობლემის წინაშე. მიზეზი გახლავთ ის, რომ ამ ტიპის მეწარმეებს არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა და რესურსები, ასევე კვალიფიციური კადრები, რომ მოამზადონ ცირკულარული ეკონომიკის პროექტების კონცეფციები, რომ ინვესტორისთვის სისტემაში მოიყვანონ და მოამზადონ სრულფასოვანი ბიზნეს გეგმა ან დაფინანსების სათანადო ფორმები. ასპარეზზე ახლადგამოჩენილ ცირკულარულ ბიზნესებს, რომელთაც ხშირად დიდი სასტარტო კაპიტალი სჭირდებათ, ფინანსური სფერო მაღალრისკიანებად და ეკონომიკურად დაუსაბუთებლად მიიჩნევს, რაც პრობლემას უქმნის ამ ტიპის საწარმოებს დაფინანსების მოპოვების მიმართულებით.

-ცირკულარული ეკონომიკის სფეროში კახეთში **შეზღუდულია სპეციალიზებული საკონსულტაციო მომსახურება**, რისი მიზეზიც გახლავთ ის, რომ ამ ინოვაციურ სფეროში არ არის ჯერჯერობით საკმარისად დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება, რომ სპეციალისტებმა ზუსტად

შეაფასონ ცირკულარული ეკონომიკის ბიზნესშესაძლებლობები და გათვალონ ყველა შესაძლო რისკი ამ პროცესში.

მიუხედავად ამ გამოწვევებისა, კახეთის რეგიონში არის ცირკულარული ეკონომიკის განვითარების დიდი პოტენციალი, რომელთა მიღწევა შესაძლებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმით:

1.ინფორმაციის ინტენსიური მიწოდება როგორც საზოგადოებისთვის, ასევე ბიზნესისთვის ცირკულარული ეკონომიკის პოტენციურ სარგებლიანობაზე და ნარჩენების შემცირების მნიშვნელობაზე, რომ ნარჩენი არ არის „ნაგავი“ და ნებისმიერი ნედლეული შესაძლოა გამოვიყენოთ რომელიმე კონკრეტული მიმართულებით.

2.აუცილებელია ბიზნეს სექტორის განათლებაც იმასთან მიმართებაში, რომ ცირკულარული ეკონომიკური მოდელი არა მხოლოდ ნარჩენების შემცირებას და ეკოლოგიის გაჯანსაღებას ემსახურება, არამედ შემოაქვს ფინანსური სარგებელი ბიზნესისთვის.

3.სახელმწიფო ტენდერების მიმდინარეობისას პრიორიტეტი მიენიჭოს ცირკულარული მოდელების მქონე საწარმოებს.

4.სახელმწიფომ მიიღოს სპეციალური პროგრამა ცირკულარული ბიზნესმოდელების გადასვლისთვის დაფინანსების გამარტივების და ხელისშეწყობის მიზნით.

5. 2014 წელს საქართველომ მიიღო **კანონი ნარჩენების მართვის შესახებ,** რომლის თანახმად ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე. თუმცა კახეთის რეგიონში კვლავ არის უკანონო ნაგავსაყრელები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას. ჯერჯერობით ნარჩენების სეპარირებასაც ვერ მივაღწიეთ. სასწრაფოდ უნდა მოხდეს ამ კანონის მოქმედებაში მოყვანა.

დასკვნა

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასებას თუ გავითავლისწინებთ, ძალიან რთულია მოხდეს ზუსტი პროგნოზირება იმაზე, თუ როგორ და რამდენად გაიზრდება პროდუქტიულობა ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის შემთხვევაში, თუმცა ფაქტები ცალსახაა ზოგიერთი მაჩვენებლის მიმართულებით, მაგალითად ევროპაში გაზრდილია გადამუშავების სფეროში დასაქმებულთა მაჩვენებელი 1 მილიონამდე. ასევე ცალსახაა კლიმატის ცვლილებების შერბილება და დაბინძურების შემცირება.

საქართველოშიც უკვე დაწყებულია ეკონომიკის წრფივი მოდელიდან ცირკულარულზე გადასვლის პროცესი. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, რომლებიც ხვალ მოგვევლინებიან გადაწყვეტილებების მიმღებებად. ამიტომ მათი სწორი მიმართულებით სწავლება და განვითარება საუკეთესო გზა იქნება სამომავლო პასუხისმგებლობისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალადაშვილი, მ., (2023). „ცირკულარული ეკონომიკა და მდგრადი განვითარების პრიორიტეტები საქართველოში“, ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“, N1, 66-72.

2. ვისმეტი, ჰ., (2019). ცირკულარული ეკონომიკა-კონცეფცია და ფაქტები. სახელმძღვანელო. თბილისი: მომზადებულია GENN-ის მიერ.

3. პრაშეკი, დ., (2022). ცირკულარული ეკონომიკის სახელმძღვანელო უნივერსიტეტებისათვის. თბილისი: პირველი გამოცემა.

4. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულება. https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo_ka?s=221
5. საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია.
6. [ცირკულარული ეკონომიკა (2020). ცირკულარულობის ხარვეზების ანალიზის 2020 წლის ანგარიში. წყარო: https://www.circularity-gap.word/global]
7. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4325640?publication=0
8. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=14
9. https://www.economy.ge/?page=projects&s=27
10. www.geostat.ge

საოპერაციო რისკების მართვა: თანამედროვე გამოწვევები და ეფექტური სტრატეგიები
Operational Risk Management: Modern Challenges and Effective Strategies

მარიამ შანავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
საკრედიტო ოპერაციების მონიტორინგის მენეჯერი - სს საქართველოს ბანკი
ალეკო ქუთათელაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი. ბიზნესტექნოგიების ფაკულტეტი
Mariam Shanava
PHD student - Georgian Technical University
Credit Operations Monitoring Manager – Bank of Georgia
Aleko Qutateladze
Georgian Technical University
Professor. Business Technologies Faculty

აბსტრაქტი. საოპერაციო რისკები არის ნებისმიერი გარემოება, რომელმაც შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს ორგანიზაციის ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე. საოპერაციო რისკების გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს: ადამიანური შეცდომები, ტექნიკური პრობლემები, გარე ფაქტორები და პროცესის გაუმართაობა. ამ რისკების მართვა მნიშვნელოვანია, რადგან იგი უზრუნველყოფს ორგანიზაციის სტაბილურობას, ზრდას და ეფექტურობას. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციული რისკების მართვა ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, მას ხშირად ახლავს სხვადასხვა გამოწვევები. ასეთ გამოწვევებში შედის სწრაფად ცვალებადი გარემო, ადამიანური ფაქტორების გავლენა, ტექნოლოგიური რისკები და ანალიზის ნაკლებობა.

სტატია განიხილავს თანამედროვე გამოწვევებს, რომლებსაც ორგანიზაციები აწყდებიან საოპერაციო რისკების მართვისას. მათ შორის ციფრული ტრანსფორმაციის, კიბერშეტევების და რეგულაციური ზეწოლის გავლენას. ასევე, განხილულია ეფექტური სტრატეგიები საოპერაციო რისკების მართვისთვის, როგორიცაა რისკის ადრეული იდენტიფიცირება, ძლიერი შიდა კონტროლის მექანიზმები და ახალი ტექნოლოგიების ინტეგრირება. ამ სტატიაში ასევე გამახვილებულია ყურადღება თანამშრომლების უწყვეტი სწავლებისა და კრიზისული მართვის გეგმების მნიშვნელობაზე, რაც ეხმარება ორგანიზაციებს რისკების ეფექტურად მართვაში და მათ შემცირებაში.

ინტეგრირებული რისკების მართვის მიდგომა საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს შეამცირონ დანაკარგები და გააუმჯობესონ ოპერაციული ეფექტურობა, რაც ხელს უწყობს მათ კონკურენტუნარიანობასა და ასევე მდგრადობის შენარჩუნებას თანამედროვე ბაზარზე.

საკვანძო სიტყვები: საოპერაციო რისკი, ფინანსური დანაკარგი, ფინანსური სექტორი, მდგრადი გარემო, საოპერაციო დანაკარგი.

Abstract. Operational risks are any circumstances that can negatively impact an organization's daily functioning. The causes of operational risks can include human errors, technical problems, external factors, and process failures. Managing these risks is crucial as it ensures the stability, growth, and effectiveness of the organization. Although operational risk management represents a significant challenge for organizations, it is often accompanied by various obstacles. These challenges include a rapidly changing environment, the influence of human factors, technological risks, and a lack of proper analysis.

The article discusses the contemporary challenges organizations face in managing operational risks. Among these are the impacts of digital transformation, cyberattacks, and regulatory pressures. It also examines effective strategies for managing operational risks, such as early risk identification, strong internal control mechanisms, and the integration of new technologies. The article further highlights the importance of continuous employee training and crisis management plans, which help organizations effectively manage and mitigate risks.

An integrated risk management approach allows organizations to reduce losses and improve operational efficiency, thereby enhancing their competitiveness and maintaining sustainability in the modern market.

Keywords: Operational Risk, Financial Loss, Financial Sector, Sustainable Environment, Operational Loss.

საოპერაციო რისკები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაზე. ის გამოწვეულია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებით. საოპერაციო რისკები შეიძლება უკავშირდებოდეს: ადამიანური შეცდომებს, ტექნიკურ გაუმართაობას, ორგანიზაციული პროცესების დისფუნქციას და მოულოდნელ გარე მოვლენებს. ამ რისკების მართვა არამხოლოდ ორგანიზაციული სტაბილურობის უზრუნველსაყოფადაა აუცილებელი, არამედ საოპერაციო რისკების სწორი მართვა ზრდის ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობასა და ეფექტურობას.

საოპერაციო რისკების მართვა წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას, რადგან ის მოიცავს მრავალფეროვან ფაქტორებს, რომლებიც შეიძლება მუდმივად იცვლებოდეს. ამ სტატიაში განხილული იქნება მთავარი გამოწვევები, რომელთა მართვაც ორგანიზაციებს უწევთ ოპერაციული რისკების აღმოჩენისას და ასევე ამ გამოწვევებთან გამკლავების ეფექტური მიდგომები, რომლებსაც იყენებენ წარმატებული ორგანიზაციები.

დღევანდელ მსოფლიოში, სადაც სწრაფად ცვალებადი ტექნოლოგიური პროცესებია, გლობალიზაციის ეტაპზე გარემო ფაქტორების ცვლილებები განსაზღვრავს ბაზრის კონკურენციას, ასეთ დროს კი საოპერაციო რისკების მართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. არასწორად ან სათანადოდ არ შეფასებულმა რისკები შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ზარალი, რეპუტაციის დაკარგვა და ყველაზე ცუდ შემთხვევაში, ორგანიზაციის ჩამოშლა.

საოპერაციო რისკების მართვის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ორგანიზაციული კულტურის განვითარება, რომელიც ხელს უწყობს რისკების მართვის ადრეულ გამოვლენასა და პრევენციას. რისკების ადექვატური მართვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თანამშრომლები იცნობენ და ენთუზიაზმით იცავენ იმ პრინციპებსა და პროცესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო და გამართულ სამუშაო გარემოს. სწორედ ამიტომ, ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ძლიერი რისკების მართვის პოლიტიკა და პროგრამა, რომელიც საყოველთაოდ გასაგები და ყველასთვის ხელმისაწვდომია.

2011 წლიდან 2016 წლამდე მსხვილმა ბანკებმა საოპერაციო რისკების გამო თითქმის 210 მილიარდი დოლარის ზარალი განიცადეს (იხ.სურათი 1). ამ დანაკარგების უმეტესობა

გამოწვეული იყო თანამშრომლების და სისტემების კლიენტებთან ურთიერთობისას დაშვებულ შეცდომებზე, ტრანზაქციების დამუშავების ხარვეზებზე ან აშკარა თაღლითობაზე.

მარეგულირებელი ორგანოები, რეგულარულად განიხილავენ და აკონტროლებენ ბანკის მოწყვლადობას საოპერაციო რისკის მიმართ. იძულებითი თუ სტიმულატორების ფონზე, ბანკებს აქვთ შესაძლებლობები მართონ საოპერაციო რისკები, თუმცა მათ ხშირად უჭირთ ამის გაკეთება. ბევრ ბანკს უჭირს ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების გაგება, გაზომვა და მართვა, რომლებიც ხელს უწყობენ საოპერაციო რისკის წარმოშობას, მათ შორის ადამიანის ქცევას, ორგანიზაციულ პროცესებს და IT სისტემებს.

საოპერაციო რისკები მოიცავს მრავალი ფაქტორს, რომელიც შესაძლოა გავლენას ახდენს ორგანიზაციის ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე. მაგალითად:

- ადამიანური შეცდომები;
- ტექნიკური პრობლემები;
- პროცესების გაუმართაობა;
- გარე ფაქტორები;
- კიბერშეტევები და მონაცემთა დაცვის დარღვევები;
- საგარეო და პოლიტიკური რისკები;
- ფინანსური ქმედებების არარეგულირებადობა;
- შიდა კონტროლის სისტემის სისუსტე;
- კონფლიქტი და კომუნიკაციის პრობლემა;

სურათი 1: მსხვილი ბანკების მიერ განცდილი ზარალი



წყარო: https://www.bain.com/insights/how-banks-can-manage-operational-risk/ [გადამოწმებულია 04.04.2025]

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი საოპერაციო რისკების მაგალითები იწვევს ორგანიზაციაში ფინანსურ დანაკარგებს და ეს ყველაფერი ასევე ქმნის არასტაბილურ გარემოს ფუნქციონირებისათვის.

2023 წელი ბანკებისათვის საოპერაციო რისკების მართვის კუთხით ერთგვარი გამოწვევა გახდა. ამ პერიოდში, საოპერაციო რისკებს ჰქონდა მზარდი ტენდენცია. (იხ. სურათი 2) რისკების ჩამონათვალში ძირითადად იყო კიბერუსაფრთხოება, სისტემური ფინანსური რისკები, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები და ახალი ტექნოლოგიების ინტეგრაციის რისკები. ამ გამოწვევებმა ხაზგასმით აჩვენა, რომ აუცილებელია შეუქცევადი ყურადღება მიექცეს უსაფრთხოებას, ეფექტურ მმართველობას და სისტემური სტაბილურობის შენარჩუნებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ცენტრალური ბანკები ადექვატურად რეაგირებდნენ როგორც გლობალურ კრიზისებზე, ასევე ტექნოლოგიურ განვითარებაზე, რათა შეინარჩუნონ ნდობა და ფინანსური სისტემის სტაბილურობა. შესაბამისად, 2023 წელს კიდევ ერთხელ დადასტურდა, საოპერაციო რისკების მართვის საჭიროება და ასევე გამართული სტრატეგიების მშნიშვნელობა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მდგრადი და უსაფრთხო ფინანსური გარემო.

სურათი 2: ფინანსური დანაშაულების რისკი 2023 წელი



წყარო: EuReCA (EBA's AML/CFT მონაცემთა ბაზა)- [გადამოწმებულია 04.04.2025]

საქართველოს მაგალითზე რომ განვიხილოთ: 2023 წელს, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანმა საოპერაციო დანაკარგმა 29.7 მილიონი ლარი შეადგინა. ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 2022 წლის მთლიან დანაკარგზე 32 პროცენტით ნაკლებია. მთლიანი დანაკარგი იმ სახის დანაკარგს წარმოადგენს, რომელიც საოპერაციო მოვლენასთან დაკავშირებულ თავდაპირველ თანხობრივ მაჩვენებელს უკავშირდება, საოპერაციო დანაკარგის ყოველგვარ ანაზღაურება/დაბრუნებამდე. 2023 წელს დაფიქსირდა საოპერაციო დანაკარგის 22,408 მოვლენა, რაც 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით 10 პროცენტით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკების ანგარიშგების ფარგლებში, კომერციული ბანკი ვალდებულია აღრიცხოს ყველა საოპერაციო დანაკარგის მოვლენა, რომლის მთლიანი დანაკარგი უდრის ან აღემატება 10 ლარს. (იხ. სურათი 3) და (იხ. სურათი 4).

სურათი 3: 2023 წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა საბანკო სექტორისთვის



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის 2023 წლის წლიური ანგარიში-[გადამოწმებულია 04.04.2025]

სურათი 4: 2022 წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა საბანკო სექტორისთვის



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის 2022 წლის წლიური ანგარიში-[გადამოწმებულია 04.04.2025]

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში (2019-2023) ევროპის საბანკო და ფინანსური სექტორისთვის ტოპ 5 საოპერაციო რისკი ძირითადად დაკავშირებული იყო გლობალურ ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ გამოწვევებთან, კიბერუსაფრთხოებასთან, სამართლებრივ და რეგულაციურ ცვლილებებთან. ჩამოთვლილი რისკები მიიჩნევა ყველაზე მნიშვნელოვანად ამ პერიოდის განმავლობაში: (იხ. სურათი 5)

სურათი 5: (2019-2023) წლებში, ევროპის ბანკებში გავრცელებული საოპერაციო რისკები



წყარო: https://www.eba.europa.eu/publications-and-media/publications/operational-risks-and-resilience - [გადამოწმებულია 04.04.2025]

კიბერუსაფრთხოება და მონაცემთა დაცვის რისკები: კიბერთავდასხმების რაოდენობა და სირთულე საგრძნობლად გაიზარდა. ბანკები განიცდიდნენ დიდი რაოდენობით მონაცემთა გაჟონვას, ჰაკერული შეტევების გამო სისტემურ შეფერხებებს, ფინანსურ თაღლითობას და სხვა ტექნიკური პრობლემებს. კიბერუსაფრთხოების რისკები მოიცავს: როგორც პირდაპირი კიბერშეტევების საფრთხეს (მაგალითად, DDoS შეტევები, ვირუსები, მონაცემთა გაჟონვა), ასევე მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს რეგულაციების დარღვევა.

კრიზისული ფინანსური და ეკონომიკური პირობები: COVID-19-ის პანდემია და რუსეთის უკრაინაში შეჭრა, ეს ის მოვლენებია, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საბანკო სექტორზე. ეკონომიკური არასტაბილურობა, ბაზრის გაურკვევლობა და ინფლაცია ზრდიდა რისკებს სესხების, ინვესტიციებისა და საბანკო ოპერაციების მართვაში. პანდემიის პერიოდში მრავალი ბანკი იძულებული გახდა, გადაედგა ზომები კრედიტების გაცემის შეზღუდვის, აქტივების შემცირებისა და სხვა ფინანსური სტრატეგიების განხორციელების მიზნით.

ციფრული ტრანსფორმაციის და ტექნოლოგიური ინოვაციების რისკები: ციფრული პლატფორმებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების სწრაფმა ზრდამ 2019-2023 წლებში ბევრ საბანკო ინსტიტუტს აიძულა შეეცვალა მათი ოპერაციული მოდელები და სერვისები. ამ ყველაფერმა თავის მხრივ, გაზარდა ტექნოლოგიურ ხარვეზები, სისტემური დარღვევები, აუთსორსინგის პრობლემები და ინოვაციების მიერ გამოწვეულ რისკები. ისეთი ახალი ტექნოლოგიები, როგორიცაა ბლოკჩეინი, ხელოვნური ინტელექტი, Cloud და მონაცემთა ანალიზი, მრავალი რისკის წყარო გახდა.

რეგულაციების და შესაბამისობის რისკები: ევროპაში ბოლო წლებში შეინიშნება მზარდი რეგულაციების ტენდენცია, როგორიცაა GDPR (მონაცემთა დაცვის რეგულაცია) და ახალი გარემოსდაცვითი ან მდგრადობის სტანდარტები, ეს ყველაფერი კი საბანკო სექტორისთვის კიდევ ერთი გამოწვევა აღმოჩნდა. საბანკო ინსტიტუტებმა მუდმივად უნდა განაახლონ მათი

პროცედურები, რათა ისინი შეესაბამებოდნენ ახალ კანონმდებლობას, ხოლო ამ პროცესში შეიძლება დაშვებული ყოფილიყო შეცდომები, რაც სანქციებს ან სასამართლო დავებს გამოიწვევდა. მზარდი მოთხოვნა მონაცემთა უსაფრთხოების, ფინანსური ტრანზაქციების გამჭვირვალობისა და მდგრადობის სტანდარტების მიმართ ზრდის შესაბამისობისა და რეგულაციების არასწორად შესრულების რისკებს.

<u>ფინანსური დანაშაულები და თაღლითობა:</u> ბოლო 5 წლის განმავლობაში გაიზარდა ფინანსური დანაშაულები და თაღლითობა, განსაკუთრებით პანდემიის დროს, როდესაც მომხმარებლები უფრო ხშირად იყენებდნენ ონლაინ ბანკინგს. ამის შედეგად, ბანკებმა დაიწყეს უფრო მეტი ინვესტიციის ჩადება ფინანსური დანაშაულების გამოვლენის სისტემებში, თუმცა თაღლითობისა და ფულის გათეთრების რისკები მაინც ძალზე მაღალი დარჩა.

გლობალური პროცესებიდან გამომდინარე, როგორც ამ ერთიანობის ნაწილი არც საქართველოს საბანკო სექტორი ყოფილა გამონაკლისი. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ბოლო (2023 წლის) შემაჯამებელი დოკუმენტიდან დგინდება, რომ ბოლო წლების განმავლობაში საოპერაციო რისკები, მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხი გახდა ქართული ბანკებისათვისაც. (იხ. სურათი 6)

სურათი 6: ბოლო ხუთი წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა (2019-2023)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის 2023 წლის წლიური ანგარიში - [გადამოწმებულია 04.04.2025]

საოპერაციო რისკების ეფექტური მართვა ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს უკეთ მოემზადონ პოტენციური პრობლემებისთვის და თავიდან აიცილონ ან მინიმუმამდე დაიყვანონ შესაძლო ზარალი. ეფექტური სტრატეგიები მოიცავს როგორც პრევენციულ ზომებს, ისე რეაგირების გეგმებს. რადგან საოპერაციო რისკები დაკავშირებულია ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობასთან, მისი მართვა უნდა იყოს უწყვეტი პროცესი, ეს პროცესი კი მოითხოვს სისტემურ მიდგომას და ინტეგრირებულ სტრატეგიებს.

პირადი დაკვირვების, წარმატებული ორგანიზაციების მაგალითებისა თუ ექსპერტთა მოსაზრების გათვალისწინებით, ქვემოთ დასკვნის სახით გიზიარებთ რამდენიმე მნიშვნელოვანი სტრატეგიას, რომელიც ვფიქრობ ხელს შეუწყობს საოპერაციო რისკების ეფექტურ მართვას და წაადგება სტრატეგიულ წარმატებასა და განვითარებაში.

- რისკების ადრეული იდენტიფიკაცია და შეფასება:_ ორგანიზაციამ უნდა შექმნას მყარი სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს ადრეულ ეტაპზე აიღოს რისკები და სწორად შეაფასოს მათი პოტენციური გავლენა. ამისთვის გამოიყენება სხვადასხვა იდენტიფიკაციის

მეთოდები, როგორიცაა SWOT ან PEST ანალიზი, ასევე ფოკუსირება უნდა იყოს როგორც შიდა, ისე გარე რისკებზე.

➢ შიდა კონტროლის და პროცედურების გაუმჯობესება:_ყველა ოპერაციულ პროცესს უნდა ჰქონდეს მკაფიო და დოკუმენტირებული პროცედურები, რაც შეამცირებს შეცდომების რისკს. საჭიროების შემთხვევაში, უნდა შემუშავდეს ახალი პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს უკეთეს კონტროლს.

➢ ტექნოლოგიური დაცვა და ინოვაციური გადაწყვეტილებები:_მნიშვნელოვანია, რომ ბანკს ჰქონდეთ დაცული ქსელები და მონაცემთა ბაზები, რათა თავიდან აიცილონ კიბერშეტევები და მონაცემთა გაჟონვა. ასევე, გამოყენებული ტექნოლოგიები უნდა იქნას მუდმივად განახლებული.

➢ ფინანსური რესურსების მართვა და რისკების გადაფარვა:_ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ფინანსური რესურსები, რომ შეძლონ რისკების დაფარვა და წარმოქმნილი პრობლემების გადალახვა. ასევე, შესაძლებელია დაზღვევის პოლიტიკის დანერგვა, რათა შეიზღუდოს ფინანსური ზარალი.

➢ ტრეინინგი და თანამშრომელთა განათლება: თანამშრომლები უნდა იყვნენ კარგად მომზადებულნი და გათვითცნობიერებულნი რისკების მართვის პროცესებში. ამისთვის საჭირო კურსები და ტრენინგები უნდა გახდეს სისტემატური.

➢ კრიზისული მართვა და რეაგირების გეგმა: ორგანიზაციამ უნდა მოამზადოს სავალდებულო კრიზისული რეაგირების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული მოვლენების შემთხვევაში რამდენად სწრაფად უნდა რეაგირებდეს და ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი.

➢ კომუნიკაცია და თანამშრომლობა: ორგანიზაციაში უნდა იყოს გამართული კომუნიკაციის არხები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწორი ინფორმაციის სწრაფ და ეფექტურ გადაცემას ნებისმიერ ცვლილებაზე ან პრობლემაზე.

➢ მოწინავე ანალიზი და მონაცემთა გამოყენება: ორგანიზაციები უნდა იყენებდნენ განახლებული ანალიტიკური ინსტრუმენტებს და ტექნოლოგიებ, რათა შეასუსტოს რისკები და მინიმუმამდე დაიყვანოს მათზე დამოკიდებულება.

➢ პროაქტიური მონიტორინგი და აუდიტი: საოპერაციო რისკების ეფექტური მართვისთვის აუცილებელია რეგულარული მონიტორინგი და აუდიტი, რათა ორგანიზაციამ დროულად მოახდინოს არასწორ ოპერაციებზე რეაგირება.

დღეს, როდესაც ორგანიზაციები განიცდიან ახალი რეალობის მუდმივ ტესტირებას, მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიებმა არა მხოლოდ არსებულ გამოწვევებს უპასუხოს, არამედ გვქონდეს შესაძლებლობა წინასწარ განვსაზღვროთ მოსალოდნელი საფრთხეები, გავიაზროთ და მოვახდინოთ მათი ესკალაციის პროცესების განხორციელება. ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც სრულად ინარჩუნებენ მოქნილობას და მუდმივად განავითარებენ თავიანთ პოლიტიკას, შეძლებენ მდგრად წარმატებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის 2023 წლის წლიური ანგარიში
2. საქართველოს ეროვნული ბანკის 2022 წლის წლიური ანგარიში
3. https://www.eba.europa.eu/publications-and-media/publications/operational-risks-and-resilience-0

4. https://www.intuition.com/top-5-operational-risks-for-banks-in-2025/
5. https://www.ncontracts.com/nsight-blog/operational-risk-guide
6. https://www.eba.europa.eu/publications-and-media/publications/operational-risks-and-resilience
7. https://www.zengrc.com/blog/what-are-the-top-operational-risks-for-banks/
8. Basel Committee on Banking Supervision, (2011). Principles for the Sound Management of Operational Risk, Bank for International Settlements, Basel, Switzerland, June 2011 [online]. Available at: http://www.bis.org/publ/ bcbs195.pdf, [Accessed: 5 December 2011}
9. https://www.eba.europa.eu/regulation-and-policy/operational-risk
10. ARIANE CHAPELLE, Operational Risk Management: Best Practices in the Financial Services Industry (The Wiley Finance Series), Publication date: February 4, 2019,
11. https://www.fdic.gov/system/files/2024-07/sisummer06-article1.pdf
12. https://www.researchgate.net/publication/329943653_Operational_Risk_Management_in_A_Commercial_Bank
13. https://www.intuition.com/operational-risk-management-for-the-banking-industry/

საბანკო სექტორის როლი უძრავი ქონების ბაზარზე საქართველოში
The role of the banking sector in the real estate market of Georgia

თათია ჯობავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
დოქტორანტი
Tatia Jobava
Georgian Technical University
Faculty of Business Technologies
PhD student

აბსტრაქტი. უძრავი ქონების ბაზარი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობისთვის. ის ერთ-ერთ განმსაზღვრელ როლს ასრულებს როგორც ფიზიკური პირების, ასევე ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის პროცესში.

უძრავი ქონების ღირებულების ცვლილებამ შესაძლოა დიდი გავლენა მოახდინოს აღნიშნული ბიზნესის ზრდის შესაძლებლობებზე, ასევე შეუქმნას ცალკეულ მონაწილეებს ინვესტიციების მოზიდვის და განხორციელების სურვილი, რაც საერთო ჯამში ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას უწყობს ხელს.

საბანკო სექტორში მიღებული გადაწყვეტილებები პირდაპირ გავლენას ახდენს უძრავი ქონების ფასებზე. აღნიშნული გადაწყვეტილებები, როგორიცაა რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთების

დადგენა, სესხების მოცულობის/პირობების დამტკიცება, კრედიტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ან შემცირება, უშუალოდ მოქმედებს უძრავი ქონების მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთობაზე.

რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის შემცირებისას, როგორც წესი, იზრდება სესხებზე ხელმისაწვდომობა და შესაბამისად, როდესაც უძრავი ქონების ბაზარზე ფასები მზარდია, კომერციული ბანკები აქტიურად ზრდიან სესხების მოცულობას. ეს ყოველივე ქმნის ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს.

სტატიაში გაანალიზებულია კომერციული ბანკების გავლენა უძრავი ქონების ბაზარზე და შესწავლილია, როგორ მოქმედებს ბანკების სტრატეგიული გადაწყვეტილებები, საპროცენტო განაკვეთები უძრავი ქონების ბაზრის დინამიკაზე.

შესაბამის მონაცემებზე დაყრდნობით შესწავლილია საქართველოში 2022-2025 წლის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის მდგომარეობა თბილისის მაგალითზე, ასევე მოცემულ წლებში ბანკების გადაწყვეტილებები, საპროცენტო განაკვეთები და გაცემული უზრუნველყოფილი სესხების მოცულობა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება უძრავი ქონების ბაზრის მდგომარეობას.

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონება, კომერციული ბანკები, რეფინანსირების განაკვეთი, უზრუნველყოფილი სესხი.

Abstract. The real estate market serves as a pivotal element in a country's economic development and stability, significantly influencing both individual and national economic activities.

Fluctuations in real estate values can substantially impact the sector's growth potential and motivate investors to engage in property transactions, thereby contributing to the nation's economic prosperity.

Strategic decisions within the banking sector, such as adjustments to the refinancing rate, modifications in lending terms, and changes in credit accessibility, directly affect the dynamics of the real estate market.

Typically, a reduction in the refinancing rate enhances loan availability, leading to increased demand in the real estate market, while rising property prices encourage commercial banks to expand their lending activities, thereby fostering business development.

This study examines the influence of commercial banks on the real estate market, focusing on how strategic decisions and interest rates impact market dynamics.

Specifically, it analyzes the residential real estate market in Georgia, using Tbilisi as a case study for the period 2022 to 2025, drawing on relevant data related to interest rates, bank decisions, and the volume of secured loans issued during this time.

Keywords: real estate, commercial banks, refinancing rate, secured loan.

უძრავ ნივთს[294] წარმოადგენს მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომელიც მყარად დგას მიწაზე, უძრავი ქონება კი სარგებელს და უფლებებს უკავშირდება, რომელიც უძრავი ნივთის ფლობიდან წარმოიშვება. უძრავი ქონების ბაზარი არის იმ სისტემის ერთობლიობა, სადაც მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები მყიდველებს ან მესაკუთრეებს ემსახურებიან როგორც საცხოვრებელი, ასევე კომერციული მიზნებისთვის.

უძრავი ქონების ფასები, როგორც ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური ინდიკატორი, დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან, შემოსავლისა და დასაქმების შესაძლებლობების ზრდასთან. საბანკო პოლიტიკის ცვლილება, სტრატეგიული გადაწყვეტილებები და ფინანსური ოპერაციები პირდაპირ აისახება უძრავი ქონების ფასებზე. განსაკუთრებით ისეთ პერიოდებში, როდესაც უძრავი ქონების ბაზარზე ფასები მნიშვნელოვნად მერყეობს. უძრავი ქონების ბაზრის ზრდა პირდაპირ არის დაკავშირებული ცენტრალური ბანკის საკრედიტო პოლიტიკასთან. როდესაც უძრავი ქონების ფასები იზრდება, ბანკები, როგორც წესი, უფრო ლოიალურად აფასებენ მომხმარებელთა საკრედიტო პოტენციალს. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ უძრავ ქონებაზე ფასების ზრდის ფონზე ისინი მეტად დაცულად

[294] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 149.

გრძნობენ თავს. თუმცა, როდესაც უძრავი ქონების ფასები მცირდება, ბანკები იძულებული ხდებიან უფრო მკაცრად განიხილონ კრედიტების გაცემა, რადგან პოტენციური გადახდების გაუმართაობა იზრდება.

უძრავი ქონების ფასების ცვლილების ერთ-ერთი ფაქტორი რეფინანსირების განაკვეთია. თუ რეფინანსირების განაკვეთი მცირდება, მყიდველისთვის ხელმისაწვდომი ხდება უძრავი ქონების შეძენა და შესაბამისად, მაღალი მოთხოვნის ფონზე მატულობს უძრავი ქონების ფასები, ხოლო მაღალი საპროცენტო განაკვეთის ფონზე მცირდება მოთხოვნა და აღნიშნული შესაბამისად აისახება უძრავი ქონების ფასებზე.

რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი ქვეყნის ინფლაციის მაჩვენებელია. გაზრდილი ინფლაციის ფონზე, როგორც წესი იზრდება საპროცენტო განაკვეთიც, ვინაიდან ინფლაცია განიხილება, როგორც ეკონომიკის განვითარების მასტიმულირებელ ან შემაფერხებელი ფაქტორად.

2022 წლის უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თბილისში საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასები საკმაოდ გაიზარდა. რეგიონში არსებული კონფლიქტების ფონზე, გაიზარდა მიგრაციის ეფექტი. კერძოდ, საქართველოში საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე გაზრდილმა მოთხოვნამ და ბანკების საშეღავათო პროგრამებმა ფიზიკურ პირებს უძრავი ქონების შეძენის და ინვესტირების მოტივაცია გაუჩინა.

საშეღავათო პროგრამა მოიცავდა სახელმწიფოს მხრიდან სესხის სუბსიდირებას 5 წლით, კერძოდ, ამ პერიოდში ცალკეულ ჯგუფებზე სახელმწიფო აფინანსებდა მაქსიმუმ 8%-ს 5 წლის ვადით, 200 000 ლარზე ნაკლებ სესხზე. ამ ფაქტორმა გაზარდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ტრანზაქციები, განსაკუთრებით საცხოვრებელი ფართების და კომერციული ფართების კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ რეფინანსირების განაკვეთი მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდებოდა (11%).

დიაგრამა 1.



წყარო: კომპანია „კოლიერსი-colliers“

მიგრაციის ეფექტმა და ფასების ზრდამ ბანკებს საშუალება მისცა საშეღავათო პროგრამები აქტიურად გამოეყენებინათ. 2022 წელს საცხოვრებელი ბინების ტრანზაქციებმა მაღალ ნიშნულს მიაღწია, რაც გამოწვეული იყო, ასევე, პანდემიის შემდეგ ეკონომიკური აღდგენის პროცესით და ხელშემწყობი ფაქტორებით.

დიაგრამა 2. **რეფინანსირების განაკვეთის დინამიკა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელს სესხებზე საბანკო რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ 11%-ს შეადგენდა, ამ პერიოდში სებ-ის (საქართველოს ეროვნული ბანკი) ერთ-ერთი სტრატეგია იყო მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება და ინფლაციის შემცირება.

შსს სასაზღვრო პოლიციის მონაცემებზე დაყრდნობით[295], მიგრაციამ 2023 წლის ბოლოს იკლო, რაც ბანკებისთვის გრძელვადიანი გათვლებით მოსალოდნელი იყო. მიგრაციის ეფექტით გამოწვეული შედეგებისა და ინფლაციის დონის შემცირების ფონზე, სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი ეტაპობრივად 9.5%-მდე შეამცირა. განაკვეთის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი საცხოვრებელ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ტრანზაქციების კლება წარმოადგენდა. აღნიშნულმა გარკვეული სტაბილურობა შექმნა უძრავი ბაზარზე.

2024 წელს, ინფლაციის დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნების ფონზე, რეფინანსირების განაკვეთი კვლავ მცირდებოდა (8%-მდე). შესაბამისად, წინა წელთან შედარებით გაიზარდა საცხოვრებელი უძრავი ქონების ტრანზაქციები და საგრძნობლად გაიზარდა უზრუნველყოფილი სესხების მოცულობა (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3.



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ სებ-ის მონაცემებზე დაყრდნობით

თიბისი კაპიტალის, ბოლო - 2025 წლის კვლევის მიხედვით, უკანასკნელ პერიოდში უძრავი ქონების ბაზრის მზარდი ტენდენციის მიუხედავად, თბილისის უძრავი ქონების ბაზრის

[295] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სტატისტიკური მონაცემები, 2024 წ.

მონაცემებით 2025 წელი სუსტად დაიწყო. გაყიდვების მაჩვენებელი წინა წლის პირველი ორი თვის მონაცემების გათვალისწინებით შემცირდა. სებ-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკაში „უძრავი ქონების შესაძენად და რემონტისთვის გაცემული სესხის მოცულობა“ კლება დაახლოებით 15%-ს შეადგენს წინა წლის პირველი ორი თვის მონაცემებთან მიმართებით. ამის პარალელურად, სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი 8%-ზე შეინარჩუნა და უზრუნველყოფის კოეფიციენტი 5%-ით შეამცირა, რაც გულისხმობს უძრავი ქონების შემძენისთვის 10%-იან გადახდას, ნაცვლად 15%-ისა. საშეღავათო პირობების დაწესება მიზნად ისახავს უძრავი ქონების ბაზარზე მდგრადი აქტივობის შენარჩუნებას. მიმდინარე მონაცემებზე დაყრდნობით, სავარაუდოა, რომ სებ-ის გადაწყვეტილებები დიდ გავლენას მოახდენს უძრავი ქონების ბაზრის განვითარებაზე. ამისათვის, აუცილებელია შენარჩუნდეს ინფლაციის დაბალი დონე, ვინაიდან თუ ინფლაცია გაიზრდება, გაიზრდება ბანკების საპროცენტო განაკვეთები, რაც თანაბარ პირობებში, თავის მხრივ უძრავ ქონებაზე მოთხოვნის შემცირებას გამოიწვევს.

დასკვნა. უძრავი ქონების ბაზარი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ფინანსურ სტაბილურობაზე. უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნის დინამიკა მჭიდროდ უკავშირდება სებ-ის მიერ მიღებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებსა და რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებს. უძრავი ქონების ბაზარზე დადებითი ტენდენციების შენარჩუნება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობისთვის.

როგორც სტატიაში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, უძრავ ქონებაზე მოთხოვნას გარე ფაქტორების გარდა განსაზღვრავს საბანკო პოლიტიკა და სებ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. განსაკუთრებით ეს ეხება რეფინანსირების განაკვეთს და სესხებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. მიუხედავად ბოლო პერიოდში დაფიქსირებული პოზიტიური მდგომარეობისა, რისი ხელშემწყობიც საბანკო სისტემაში განხორციელებული აქტივობებია, უძრავი ქონების ბაზარი საქართველოში ჯერ კიდევ გამოწვევების წინაშე დგას. შესაბამისად, სებ-ის სტრატეგიული გადაწყვეტილებები გრძელვადიან პერიოდზე უნდა იყოს გათვლილი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც ეკონომიკური საფრთხეები, ასევე უძრავი ქონების ბაზარზე არსებული გამოწვევები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თიბისი კაპიტალი, თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონება (იანვარი, 2025). https://tbccapital.ge/static/file/202502283625-tbilisi-residential-market-monthly-watch-january-2025-geo.pdf - გადამოწმებულია 15.04.2025.
2. კომპანია კოლიერსი, საცხოვრებელი უძრავი ქონების მიმოხილვა (2024). https://www.colliers.com/download-article?itemId=b34232b8-b088-41b2-a5d1-fda286e75ff9 - გადამოწმებულია 11.04.2025.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი, მონეტარული პოლიტიკის ანგარიში (მარტი, 2025). https://inlnk.ru/w4B65D - გადამოწმებულია 22.04.2025.
4. საქართველოს ეროვნული ბანკი, საგანგებო ღონისძიებები COVID-19-თან დაკავშირებით (იანვარი, 2022). https://nbg.gov.ge/page/covid-19 - გადამოწმებულია 07.03.2025.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები (მარტი, 2025). https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data - გადამოწმებულია 21.04.2025.

6. საქართველოს ეროვნული ბანკი, უძრავი ქონების დეველოპმენტის სექტორის კვლევა (დეკემბერი, 2022). https://inlnk.ru/20REP9 - გადამოწმებულია 12.03.2025.

7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 149. კონსოლიდირებული ვერსია (დეკემბერი, 2024). https://inlnk.ru/KedG9P - გადამოწმებულია 20.03.2025.

მომავლის უსაფრთხოება: როგორ ცვლის ახალი ტექნოლოგიები ბიზნესის უსაფრთხოების რეალობას

The Security of the Future: How New Technologies Change the Reality of Business Security

მარიამ კუპრაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორანტი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი,
Mariam Kuprashvili
Georgian Technical University
PhD student, Faculty of Business Administration

ანოტაცია. წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ბიზნესის უსაფრთხოების მახასიათებლებს თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული უშიშროების [296] განუყოფელ ნაწილს. ბიზნესის უსაფრთხოება იწყება მცირე კომპანიებში, თუმცა მისი კრიტიკული მნიშვნელოვნება გრძელდება სახელმწიფოსა და შემდეგ გლობალური მასშტაბით. თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესმა მრავალ დადებით ეფექტთან ერთად წარმოშვა არაერთი სირთულე. ინფორმაციულ ეპოქაში მსოფლიო გადაიქცა ერთიან გლობალურ სივრცედ, სადაც თავისუფლად მოძრაობს კაპიტალი, საქონელი, მომსახურება, ნებისმიერი აზრი, იდეა და ტექნოლოგია. სტატიაში განხილულია ჰიპოთეზა ციფრული ქსელის, ხელოვნური ინტელექტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გავლენის შესახებ, რომელიც იწვევს კიბერუსაფრთხოების რისკების ზრდას, შედეგად კი მეტი ფინანსური რესურსის ინვესტირების აუცილებლობას კიბერთავდაცვის სისტემებში. კვლევის მიზანია, სტატისტიკური მონაცემებითა და მაგალითებით შეისწავლოს ახალი ტექნოლოგიების გავლენა ბიზნესის უსაფრთხოების თანამედროვე რეალობაზე და გასცეს რეკომენდაციები. ხაზი გაუსვას კიბერუსაფრთხოების მნიშვნელოვან როლსა და ზეგავლენას, რომელსაც ის ახდენს ბიზნესის ფუნქციონირებაზე.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის უსაფრთხოება; გლობალიზაცია; კიბერუსაფრთხოება; ტექნოლოგიები.

Abstract. The presented issue is dedicated to the characteristics of business security in the modern world, which is an integral part of a country's national security system. Critical importance of business security starts in small companies, but extends to the state level and then globally. The relevance of the topic is determined by the fact that ongoing globalization process in modern world along with many positive effects has brought numerous challenges, conflicts and unresolved issues. We live in the information age, where the development of digital networks, computer technologies, mobile devices and artificial intelligence transformed a world into a unified global space, where capital, goods, services, technologies, any ideas move freely. Accordingly, the aim of the research is to study the impact of new technologies on the modern reality of business security. Specifically, it aims to emphasize the

[296] ტერმინი „ეროვნული უშიშროება“ 1904 წელს პირველად აშშ-ის პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა გამოიყენა. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი მიძღვნილ წერილში ის პანამის არხის ზონისადმი პრეტენზიას აშშ-ის „ეროვნული უშიშროების“ ინტერესით ასაბუთებდა.

significant role and influence of cybersecurity on business operations, analyze existing data and generalize obtained results.

Key words: Business Security; Cybersecurity; Globalization; Technologies.

შესავალი

წარმატებული ბიზნესი ქვეყნისთვის არის „მშენებლობის ფუნდამენტი“, რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური კეთილდღეობისა და ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად. მას აქვს უნარი ხელი შეუწყოს ქვეყანაში რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებასა და გახადოს ის კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ასპარეზზე. ციფრული გლობალიზაცია და ტექნოლოგიური განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესის უსაფრთხოებაზე, რაც თავის მხრივ ქმნის ახალ გამოწვევებსა და საჭიროებებს, რათა მოხდეს მეტად ძლიერი და თანამედროვე უსაფრთხოების მექანიზმებისა და სტრატეგიების შემუშავება. უსაფრთხოების სტრატეგიის კონტექსტში, გამოწვევების ბუნების მიხედვით, საჭიროა დაინერგოს პრევენციის შესაბამისი სისტემა [13]. ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და ციფრული ტრანსფორმაცია აიძულებს ინსტიტუტებს მუდმივად გააუმჯობესონ უსაფრთხოების მექანიზმები, ხოლო ბიზნესის უსაფრთხოების სტრატეგიები მოარგონ ცვალებად გარემოს. ნაშრომში მიმოვიხილავთ წარსულ გამოცდილებასა და მიმდინარე სტატისტიკას, რომელიც თვალსაჩინოს გახდის მსოფლიოში კიბერდანაშაულის ზრდის ტენდენციას, ასევე, ხაზს გაუსვამს ბიზნესის უსაფრთხოების პროდუქტიულად წარმოების საჭიროებას. მოვახდენთ მიღებული შედეგების ანალიზსა და განზოგადებას.

ძირითადი ნაწილი

ინფორმაცია კაცობრიობის დაუშრეტელ გლობალურ რესურსად იქცა, დადგა ცივილიზაციის განვითარების სრულიად ახალი - ინფორმაციული რესურსის ინტენსიურად ათვისების ეპოქა, სადაც ინფორმაცია სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს ნებისმიერი სახელმწიფოს უშიშროებაზე [3]. ქვეყნის ეროვნული უშიშროების სისტემაში ერთ-ერთი წამყვანია ბიზნესის უსაფრთხოება, რომლის ფარგლებშიც თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად წინ იწევს კიბერუსაფრთხოების როლი. თავის მხრივ, კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს სპეციფიკური კონცეფციას, რომელიც ეხება ციფრულ სისტემებსა და ინტერნეტთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას, ასევე, ის არის საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო სფეროში არსებული კომპონენტების (მონაცემები, პროგრამები, ქსელები, მოწყობილობები, კომპიუტერები) კიბერშეტევებისგან ტექნიკურად დაცვის მეთოდიკის, ტექნოლოგიებისა და პროცესების ერთობლიობა [9, გვ. 21].

საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციაში ნათლად ჩანს, რომ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რესურსების დაცვა იწყება მცირე და საშუალო ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფით. ეროვნული ინტერესების ნუსხაში კიბერუსაფრთხოების განმტკიცებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საქართველოს მიზანია, შექმნას ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კიბერთავდასხმის უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანას და მცირე დროში ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების 100%-ით აღდგენას. შექმნილია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა [2].

კიბერშეტევების პრაქტიკამ დაანახა სახელმწიფოებს, თუ რამდენად დიდი როლი და გავლენა აქვს ბიზნესის უსაფრთხოებას ქვეყნის სამხედრო, პოლიტიკურ, დიპლომატიურ, ჯანმრთელობის, სოციალურ თუ სხვა მიმართულებებზე. მსოფლიო ბანკის კვლევის შესაბამისად, მაკროეკონომიკურ დონეზე კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელთან [7, გვ.16]. ამავე

კვლევაში ნაჩვენებია კიბერშემთხვევების ტრენდი გასული დეკანის მანძილზე, სადაც თვალსაჩინოა, რომ იგი პიკს აღწევს 2022 წელს, რაც დაკავშირებულია რუსეთ-უკრაინის ომთან. ასევე, მაღალი მაჩვენებელია 2019-2020 წლებში კოვიდ-პანდემიის პერიოდში. აქვე აღნიშნულია, რომ კიბერშეტევების მაღალი რიცხოვნობით გამოირჩევა შემდეგი ქვეყნები: ინდოეთი, ჩინეთი, ბრაზილია, პაკისტანი და მექსიკა [7, გვ 6].

საინტერესოა „IMF"[297]-ის ანგარიში, სადაც ცენტრალური ბანკებისათვის რისკების ჩამონათვალში კიბერუსაფრთხოების რისკი მიეკუთვნება საოპერაციო რისკების კატეგორიას და ახდენს მნიშვნელოვან გავლენას საფინანსო სექტორის ფუნქციონირებაზე, შედეგად კი ეკონომიკურ პროცესებზე [10, გვ 25-26]. ამავე კვლევის მიხედვით, კიბერუსაფრთხოება შედის ციფრული რისკების ნუსხაში, რომელიც საფრთხეს უქმნის საფინანსო სექტორის IT (ინფორმაციული ტექნოლოგიები) სისტემებს [10, გვ 42].

Figure 2: Distribution of cyber incidents in the last decade



Source: Authors' own elaboration based on CISS Cyber Events Database

The Role of Cybersecurity in Economic Performance. Washington, DC; World Bank

კიბერშეტევების რისკი მზარდია საფინანსო სექტორისთვის [1]. ერთერთ საწყის წერტილად შესაძლოა მივიჩნიოთ 2016 წლის ბანგლადეშის ბანკის კიბერშეტევა, რომლის დროსაც მოხდა 1 მილიარდი ამერიკული დოლარის უკანონო გადარიცხვა, საიდანაც 81 მილიონი ამერიკული დოლარი მიემართა ფილიპინების, ხოლო 20 მილიონი ამერიკული დოლარი შრი-ლანკის მიმართულებით. ჰაკერების მიერ მოხდა საბანკო სისტემა „SWIFT"-ში შეღწევა, განხორციელდა 35 უკანონო ტრანზაქცია, საიდანაც 5 აღმოჩნდა წარმატებული [8]. აღნიშნული მოვლენა გახდა საბანკო სექტორში ბიზნესის უსაფრთხოების გამკაცრებისა და შესაბამისი საპასუხო პოლიტიკის წარმოების საწინდარი. შედეგად, დანერგილია CS-FSM (საფინანსო სექტორის მენეჯმენტი კიბერ უსაფრთხოების მიმართულებით), რომელიც ზრდის მონაცემთა კონფიდენციალურობას 18.3%-ით, ახდენს რისკების შემცირებას 13.2%-ით, აძლიერებს მონაცემთა დაცვას 16.2%-ით [4].

კიბერუსაფრთხოების სფერო დინამიურია საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად, სადაც სამომავლო სტრატეგიების განვითარებისთვის მიზანშეწონილია წარსული

[297] საერთაშორისო სავალუტო ფონდი - საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს გლობალური ფინანსური სისტემის უზრუნველყოფას უცხოური გაცვლითი კურსებისა და საგადამხდელო ბალანსის მონიტორინგის მეშვეობით. მინიჭებული აქვს გაეროს სპეციალიზებული დაწესებულების სტატუსი

გამოცდილების ანალიზი. საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება. შემთხვევა, რომელმაც შეცვალა კიბერ რეალობა საქართველოში, გახლავთ 2008 წლის ივლისსა და აგვისტოში რუსეთის მხრიდან განხორციელებული თავდასხმა ჩვენი ქვეყნის კიბერსივრცეზე. აღნიშნულის მიზანი სამთავრობო უწყებების, მედია საშუალებებისა და საბანკო სექტორის დაზიანება გახლდა [9, გვ. 107]. ეს ფაქტი ბევრმა საერთაშორისო ექსპერტმა შეაფასა, როგორც საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ინფორმაციულ/კიბერ ომი.

2022 წელს მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო სისტემურმა კიბერშეტევამ, რომელიც განხორციელდა კოსტა-რიკის 30-მდე სახელმწიფო დაწესებულების პროგრამულ უზრუნველყოფაზე და გაგრძელდა 56 დღის მანძილზე. პირველად ისტორიაში, კიბერშეტევის მიზეზით კოსტა-რიკის მთავრობამ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. აღნიშნული კიბერშეტევის შედეგად ქვეყნის ეკონომიკამ იზარალა 1.6 მილიარდი ამერიკული დოლარი, რაც ქვეყნის მშპ-ს 2.3% იყო [7, გვ.2]

შესაძლოა ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიო ინდუსტრიაში საინტერესოა ისრაელის კიბერუსაფრთხოების ინფრასტრუქტურა, რომელმაც აუწყო ფეხი საინფორმაციო ეპოქაში მიმდინარე ცვლილებს, ტექნოლოგიების განვითარებასა და გვევლინება გლობალური კიბერძალის სახით. უმსხვილესმა ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა, როგორიცაა Microsoft, IBM, Google, Apple, Cisco, Paypal, Intel და სხვ. დააფუძნეს საკუთარი კიბერნეტიკული განვითარებისა და კვლევითი ცენტრები ისრაელში [11].

წამოჭრილი ჰიპოთეზის სისწორეს ამტკიცებს ფაქტი, რომ თანამედროვე მსოფლიოში იზრდება ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით წარმოებული შეტევების რიცხვიც. „IBM“[298]-ის მიერ ჩატარებული კვლევის შესაბამისად, 2024 წლის მანძილზე მსოფლიოს მასშტაბით კომპანიებს, რომლებმაც დანერგეს AI (ხელოვნური ინტელექტი) ბიზნესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პროცესებში საშუალოდ 2.22 მილიონი დოლარით მეტი დანაზოგი ჰქონდათ, იმ ორგანიზაციებთან შედარებით, ვინც არ იყენებდა ხელოვნურ ინტელექტს აღნიშნულ მიმართულებაში [5]. ასევე, საინტერესოა კომპანია „Microsoft“[299]-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევა, რომლის მიხედვითაც მისი მომხმარებლები ყოველდღიურად ხდებიან 600 მილიონამდე კიბერშეტევის „მსხვერპლი“, რაც ყოველწლიურად 219 ტრილიონ შეტევას გულისხმობს [6].

დასკვნა

ნაშრომში გაანალიზებულია მიმდინარე საინფორმაციო-ტექნოლოგიური ევოლუციის გავლენა კიბერუსაფრთხოებაზე, ასევე ამ უკანასკნელის როლი ქვეყნის ეროვნულ უშიშროებასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. განხილული ფაქტორების გავლენა ეკონომიკურ გარემოზე თვალსაჩინოს ხდის უარყოფით პერსპექტივას. აღნიშნულს ამყარებს უახლესი სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს მასშტაბით კიბერდანაშაულის ხარჯი 2025 წლის ბოლოს მიაღწევს წლიურ 10.5 ტრილიონ დოლარს [12]. პოზიტიური შედეგების უზრუნველსაყოფად, სასურველი იქნება მეტად მოხდეს რესურსების ინვესტირება კიბერუსაფრთხოების მიმართულებაში, რისკების დროული გამოვლენა, შესაბამისი საპასუხო პოლიტიკის გატარება, რომელიც იქნება დაფუძნებული უახლეს ტექნოლოგიებზე, გამოყენებული იქნება “AI” ციფრული უსაფრთხოების სისტემები, კონტროლის ავტომატიზაცია, მყისიერი რეაგირება და მრავალ-დონიანი ავტორიზაციის მეთოდები. ასევე, პროცესში ჩართული იქნება ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვა, კრიზისების მართვა, ნულოვანი ნდობა ყველა

[298] IBM - პროგრამული უზრუნველყოფისა და კომპიუტერული ტექნიკის უმსხვილესი კორპორაცია მსოფლიოში
[299] Microsoft - მულტინაციონალური კომპიუტერული ტექნოლოგიების კორპორაცია

მოსალოდნელი საფრთხის მიმართ და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება აღნიშნული მიმართულებით.

ლიტერატურა

1. Fetais, N., AL-Dosari, Kh., Kacukvar, M. (2022). Artificial Intelligence and Cyber Defensen System for Banking Industry: A Qualitative Study of AI Applications and Challenges. *Cybernetics and System,* 55(2), https://doi.org/10.1080/01969722.2022.2112539

2. Ministry of Foreign Affairs of Georgia. *National Security Concept of Georgia*. https://mfa.gov.ge/national-security-concept#mcetoc_1gn2cre9pipq (In Georgian)

3. Kuprashvili, H. (2012). *System Information. The Provision of National Security.* Tbilisi (In Georgian); pg. 66

4. Mishra, SH. (2023). Exploring the impact of AI-Based Cyber Security Financial Sector Management. *Applied Sciences*, 13(10), 5875; https://doi.org/10.3390/app13105875

5. Cost of a Data Breach Report 2024.
https://www.ibm.com/reports/data-breach.
https://www.cobalt.io/blog/top-cybersecurity-statistics-2025

6. Microsoft Digital Defense Report 2024.
https://www.microsoft.com/en-us/security/security-insider/intelligence-reports/microsoft-digital-defense-report-2024

7. Cobos, E. V., Cakir, S., Mei-Zahav, H., Barakcin, B. B., (2024). *The Role of Cybersecurity in Economic Performance.* Washington, DC. World Bank https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/099092324164526526

8. Hill, J. A., (2018). SWIFT Bank Heists and Article 4A. Journal of Consumer and Commercial Law, pg. 25-30. https://scholarship.law.ua.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1512&context=fac_working_papers

9. Khulordava, N. (2024). *International Mechanisms for Combating Cyber Threats and the Cahllenges Facing Georgia*. Technical University of Georgia.

10. Khan, A., Malaika, M., (2021). *Central Bank Risk Management, Fintech, and Cybersecurity*, WP/21/105. https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2021/04/23/Central-Bank-Risk-Management-Fintech- and-Cybersecurity-50278

11. Saraidarov, L. (2024), Israel Cyber Security System. *Scientific Cyber Security Association,* (SPCSJ) 4(3) ISSN 2587-4667. https://journal.scsa.ge/wp-content/uploads/2019/12/4-4-3.pdf

12. https://www.statista.com/forecasts/1280009/cost-cybercrime-worldwide

13. Otinashvili, R. (2023). Fundamentals of Systematic Management of Business Security. *Economics*,DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-157,pg.157. https://www.researchgate.net/publication/376367431_Fundamentals_of_Systematic_Management_of_Business_Security

ევროკავშირის სტანდარტების დანერგვა საქართველოს ჯანდაცვის სექტორში: გამოწვევები და პერსპექტივები

Implementation of EU Standards in Georgia's Healthcare Sector: Challenges and Perspectives

ალექსანდრე შარაშენიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ეკონომიკის დოქტორი
მაკა ბულეიშვილი
მედიცინის დოქტორი
მარიამ ჯიქიძე
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
Alexander Sharashenidze
Georgian Technical University
Doctor of Economics
Maka Buleishvili,
Doctor of Medicine, PhD
Mariam Jikidze
Tbilisi State Medical University

ანოტაცია: საქართველო აქტიურად ახორციელებს ევროკავშირის სტანდარტების დანერგვას, მათ შორის ჯანდაცვის სექტორში, რაც ასოცირების შეთანხმების ფარგლებში სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. კვლევაში განხილულია საერთაშორისო გამოცდილება და COVID-19 პანდემიის გავლენა ჯანდაცვის სისტემის განვითარებაზე. ევროკავშირის მოდელების ადაპტაცია აღიარებულია როგორც სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორი. თუმცა, გამოწვევად რჩება რეგულაციების სრულყოფა და კერძო სექტორის როლის გაძლიერება. დასკვნაში ხაზგასმულია, რომ ევროკავშირის პრაქტიკის გათვალისწინებით განხორციელებული რეფორმები ხელს უწყობს როგორც ჯანდაცვის სისტემის მდგრად განვითარებას, ისე ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და ევროპული ინტეგრაციის პროცესის გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები ეკონომიკური ზრდა, ევროინტეგრაცია, სამედიცინო რეფორმა, ჯანდაცვის სისტემა.

Abstract. Georgia is actively implementing EU standards, including in the healthcare sector, as part of the Association Agreement, which contributes to improving the quality of medical services and accessibility of healthcare. This study examines international experiences and the impact of the COVID-19 pandemic on the development of the healthcare system. The adaptation of EU models is recognized as a key factor in strengthening social and economic stability. However, challenges remain in refining regulations and enhancing private sector involvement. The conclusion highlights that reforms based on EU practices promote the sustainable development of the healthcare system, accelerate economic growth, and support Georgia's European integration process.

Keywords: Economic Growth, Euro-Integration, Medical Reform, Healthcare System.

შესავალი

საქართველოს საგარეო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ევროკავშირთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის გეოპოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე. ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველო აქტიურად მუშაობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაზე, რაც ხელს უწყობს ქვეყნის შიდა რეფორმების დაჩქარებას, მათ შორის, ჯანდაცვის სექტორში.

თეორიული ჩარჩოების გამოყენება, როგორიცაა ადამიანის კაპიტალის თეორია, კრიტიკულად მნიშვნელოვანია რეფორმების ეფექტიანობის გაზრდისთვის. აღნიშნული თეორია ხაზს უსვამს ცოდნისა და უნარების განვითარების მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მდგრადობისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მომზადება და

ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ევროპული გამოცდილება აჩვენებს, რომ პრევენციულ და პირველადი ჯანდაცვის სერვისებში ინვესტიცია არა მხოლოდ ამცირებს სამედიცინო ხარჯებს, არამედ ზრდის ეკონომიკურ ეფექტიანობას. შესაბამისად, აუცილებელია, საქართველოში პრიორიტეტი მიენიჭოს სამედიცინო განათლების გაუმჯობესებას და სისტემის ოპტიმიზაციას.

კეინსიანური ეკონომიკის თეორია, რომელიც ემყარება სახელმწიფოს აქტიურ როლს ეკონომიკის სტაბილიზაციასა და კრიზისების მართვაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ჯანდაცვის პოლიტიკის ფორმირებაში. COVID-19-ის პანდემიის დროს მთავრობის მიერ გაძლიერებულმა ჩარევამ, მათ შორის ჯანდაცვის სფეროში ინვესტიციების გაზრდამ, ნათლად აჩვენა ამ მიდგომის ეფექტიანობა. ევროპული ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ სახელმწიფო სტრატეგიული ჩარევის გარეშე შეუძლებელია ჯანდაცვის ხარჯების ეფექტიანი მართვა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

საქართველოში, სადაც სახელმწიფო ცდილობს შეინარჩუნოს ბალანსი საჯარო და კერძო სექტორის ხარჯებს შორის, მთავრობა რჩება მნიშვნელოვან აქტორად, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც კერძო სექტორის ჩართულობა შეზღუდულია. ასეთ რეგიონებში აუცილებელია სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სერვისების მიწოდებას და გაუმჯობესებას.

საქართველოს ჯანდაცვის რეფორმებში თეორიული ჩარჩოების ინტეგრაცია არა მხოლოდ აადვილებს არსებული გამოწვევების გააზრებას, არამედ ხელს უწყობს მათი გადაჭრის ინოვაციური გზების პოვნას. ადამიანის კაპიტალის განვითარება და კეინსიანური მიდგომების გამოყენება საქართველოში ჯანდაცვის სისტემის რეფორმების წარმატების საწინდარი შეიძლება გახდეს, რაც ქვეყანას ევროპულ სტანდარტებთან კიდევ უფრო დააახლოებს.

სტატიის მიზანია საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესებისა და რესურსების ოპტიმიზაციისათვის წინადადებების შემუშავებისათვის ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულ იქნა მრავალმხრივი მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარების ეკონომიკური ასპექტების ღრმა ანალიზს ემყარებოდა.

მეთოდოლოგიის ძირითადი ეტაპები: 1. დოკუმენტური ანალიზი – საქართველოს ჯანდაცვის სამართლებრივი და სტრუქტურული ჩარჩოს შესწავლა ასოცირების შეთანხმების კონტექსტში; ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და ინსტიტუციური რეფორმების შეფასება; 2. ეკონომიკური მოდელების გამოყენება 3. საერთაშორისო გამოცდილების შედარებითი ანალიზი – ევროკავშირის ქვეყნების ჯანდაცვის მდგრადობისა და ფინანსური მოდელების ადაპტაციის შესაძლებლობების შეფასება; რეგიონული თანამშრომლობისა და ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალის ანალიზი; 4. ქმედითი რეკომენდაციების შემუშავება – მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა ინსტიტუციური და ფინანსური მოდელები, რომლებიც ჯანდაცვის სისტემის მდგრადობასა და რესურსების ოპტიმალურ მართვას უწყობს ხელს.

კვლევის შედეგების საფუძველზე გამოტანილ იქნა დასკვნები, რომლებიც ემყარება საქართველოს ეკონომიკურ რეალობას და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკას, ხოლო მიღებული დასკვნები აერთიანებს როგორც ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესების, ისე ევროპულ

ინტეგრაციასთან ჰარმონიზაციის მიზნებს, რაც კვლევას მნიშვნელოვან მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებას ანიჭებს.

შედეგები და ანალიზი

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის პროცესში იმყოფება. 2005 წლის ეროვნული ჯანდაცვის სტრატეგიამ საფუძველი ჩაუყარა ისეთ კრიტიკულად მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორიცაა სავალდებულო დაზღვევის დანერგვა, ჯანდაცვის სექტორის პრივატიზაცია და სახელმწიფო ხარჯების გადანაწილების ოპტიმიზაცია. აღნიშნული რეფორმები, მიზანმიმართულად განხორციელებული პოლიტიკის პირობებში, ხელს უწყობდა სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება (2014) გარდამტეხი მომენტი იყო, რომელმაც დააჩქარა ჯანდაცვის სექტორის რეფორმები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმების დანერგვა, რაც გამჭვირვალობის გაზრდისა და კორუფციის შემცირების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ამ მექანიზმებმა ხელი შეუწყო ფინანსური რესურსების მიზნობრივი გამოყენების გაზრდას, რაც საქართველოს ჯანდაცვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

სისტემის რეფორმებმა ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით მრავალმხრივი გავლენა მოახდინა: გააქტიურდა კერძო სექტორი, გაჩნდა ახალი ინვესტიციები, შეიქმნა სამუშაო ადგილები, ხოლო სამედიცინო მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სამედიცინო პერსონალის გადამზადებაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, რაც მოიცავდა ისეთი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას, როგორიცაა ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების (EMR) სისტემა.

COVID-19 პანდემიის პერიოდში განხორციელებულმა საგანგებო ფინანსურმა ინვესტიციებმა გააძლიერა ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოციალური უთანასწორობის შემცირებას. მოწყვლადი ჯგუფებისთვის სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე ფოკუსირებით საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის განვითარებამ, სოციალური სამართლიანობის პრინციპების განმტკიცება შეძლო.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, კვლავ გამოწვევად რჩება რეგიონული უთანასწორობა, რაც განპირობებულია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის ხარჯების არათანაბარი განაწილებით. მაგალითად, საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში სამედიცინო სერვისების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქალაქებს, რაც ამცირებს ინკლუზიური მოდერნიზაციის ეფექტიანობას.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მოდერნიზაცია წარმოადგენს ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესის ცენტრალურ კომპონენტს, რომელიც ითვალისწინებს როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ და ინსტიტუციურ განვითარებას. ამ პროცესის წარმატებით განხორციელება, ერთადერთი მიზანი არ არის, მისი შედეგები უფრო ფართო და მრავალმხრივია, რადგან ის უკავშირდება ქვეყნის მდგრადი განვითარების პოტენციალის რეალიზაციას.

ჯანდაცვის სისტემის რეფორმების ფარგლებში მიღწეული პროგრესი, მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვა, კერძო და სახელმწიფო სექტორების კოორდინაციის გაძლიერება და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება, აშკარად აჩვენებს საქართველოს მისწრაფებას ევროპული სტანდარტების დამკვიდრებისკენ. თუმცა, დარჩენილი გამოწვევების ეფექტიანი მართვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა სისტემის მდგრადობა და ეფექტიანობა უზრუნველყოფილ იქნეს:

1. **რეგიონული უთანასწორობის შემცირება** – საჭიროა სახელმწიფო საბიუჯეტო რესურსების სამართლიანი და საჭიროებებზე დაფუძნებული განაწილება, რათა შემცირდეს ჯანდაცვის სერვისების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაში არსებული განსხვავებები რეგიონებს შორის.

2. **სამედიცინო ინფრასტრუქტურის გაძლიერება** – პრევენციული და პირველადი ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესება მოითხოვს მიზნობრივ ინვესტიციებს, რაც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის ძირითადი ინდიკატორების გაჯანსაღებას.

3. **ინოვაციური ფინანსური მოდელების დანერგვა** – მოქნილი და ბალანსირებული ფინანსური მიდგომები, რომლებიც თანაბრად მოიცავს საჯარო და კერძო სექტორების ინტერესებს, წარმოადგენს სისტემის მდგრადი განვითარების საკვანძო ელემენტს.

4. **ადამიანის კაპიტალის განვითარება** – სამედიცინო განათლების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ჩამოყალიბებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას საერთაშორისო მასშტაბით.

ამ გამოწვევების გადაჭრის პარალელურად, აუცილებელია სისტემური რეფორმების ღრმა გააზრება და ეფექტიანი მართვა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ სარგებელს მაქსიმალურად გაზრდის. მაგალითად, ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესება შრომისუნარიანობის ზრდას განაპირობებს, რაც ქვეყნის მწარმოებლურობასა და ეკონომიკურ აქტივობას ზრდის. სამედიცინო ტურიზმის განვითარება და ინოვაციური ტექნოლოგიების ინტეგრირება კი ხელს უწყობს ეკონომიკის დივერსიფიკაციას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

ევროპული ჯანდაცვის მოდელების ეფექტიანი ადაპტაცია საქართველოსთვის წარმოადგენს არა მხოლოდ სოციალური თანასწორობის გაღრმავების და ჰუმანიტარული შედეგების მიღწევის გზას, არამედ ეკონომიკური დინამიკის განმტკიცების მნიშვნელოვან მექანიზმს.

ჯამში, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარება უნდა განიხილებოდეს როგორც სტრატეგიული მიზანი, რომელიც ქვეყნის სოციალურ სტაბილურობას, ეკონომიკურ ზრდას და ევროპულ სტანდარტებთან თავსებადობას უზრუნველყოფს. ევროპული ინტეგრაციის ფარგლებში მიღებული გამოცდილება და ინსტიტუციური ჩარჩო ქვეყნის მდგრადი განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, რომელიც არა მხოლოდ მოსახლეობის კეთილდღეობაზე აისახება, არამედ საქართველოს პოზიციებს საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

დასკვნა

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეფორმებმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ხელმისაწვდომობა. საქართველოში განხორციელებული რეფორმები, როგორიცაა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, ხელს უწყობენ ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობას.

მიუხედავად იმ პოზიტიური ცვლილებებისა, როგორიცაა რეგიონული უთანასწორობის შემცირება, სისტემის მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა კვლავ გამოწვევად რჩება.

კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური ჯანდაცვის სისტემის შექმნისათვის მნიშვნელოვანია ფინანსური და ინფრასტრუქტურული ინვესტიციებისა და ადამიანური რესურსების განვითარების (სამედიცინო პერსონალის გადამზადება და განათლების ევროპულ

სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა) გაგრძელება. დამატებით, აუცილებელია ინოვაციური ფინანსური მოდელების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს სამედიცინო სერვისების ეფექტურ და თანაბარ განაწილებას რეგიონებში. რეგიონებში აუცილებელია ჯანდაცვის სექტორის სამართლიანი და საჭიროებებზე დაფუძნებული ფინანსური რესურსების გადანაწილება.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარება წარმოადგენს არა მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური წინსვლის წინაპირობას, არამედ ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას და საერთაშორისო არენაზე საქართველოს პოზიციების გამყარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დევიძე, თ. (2015). ინვესტიციების მართვა ჯანდაცვის სისტემაში. *სოციალური ეკონომიკა*, *2*(38),
2. დევიძე, თ., გურეშიძე, გ. (2015). ჯანდაცვის სრულყოფის მექანიზმები საქართველოში. *სოციალური ეკონომიკა*, *3*,
3. საქართველოს ჯანდაცვის რეფორმები: სტრატეგიული ცვლილებები. (2022). საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტრო.
4. **შარაშენიძე, ა.** (2024). **მოთხოვნა ჯანდაცვის სერვისებზე და სამედიცინო დაწესებულებების ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობები (საქართველოს მაგალითზე).** *ჟურნალი „ეკონომისტი*, **3**(სექტემბერი), 78-84. https://doi.org/10.36172/EKONOMISTI
5. European Union & Georgia. (2014). *Association of the European Union and Georgia: Agreement establishing an association between the European Union and its Member States, on the one part, and Georgia, on the other part*. Official Journal of the European Union. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A22014A1030%2801%29
6. European Commission. (2020). EU health policy: A vision for 2030. European Commission. https://ec.europa.eu/health/health-policy_en
7. Gotsadze, G., & Makhashvili, N. (2017). Health System Reform in Georgia: Impact and Lessons Learned. European Journal of Public Health, 27(1), 123-129.
8. Kukhianidze, A., & Rukhadze, M. (2021). "The Economic Effects of Health System Reforms in Georgia". Georgian Economic Review
9. Kutzin, J. (2013). Health financing for universal coverage: Synthesis report of the regional consultations. World Health Organization. https://www.who.int/health_financing/en/
10. OECD. (2020). Health at a glance: Europe 2020. OECD Publishing. https://doi.org/10.1787/4dd50c09-en
11. World Bank. (2020). Health Financing and Performance in Georgia. World Bank Group.
12. World Health Organization. (2019). *Health systems in transition: Georgia 2019*. World Health Organization. https://www.euro.who.int/en/countries/georgia

ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები და გამოწვევები ქართულ აგრო სექტორში

Main directions and challenges of financial support for business in the Georgian agricultural sector

გენად შავაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
შიდა აუდიტის დეპარტამენტის აუდიტორი
Genad Shavadze
Doctoral student in Business Administration at Caucasus International University
Auditor of the Internal Audit Department of the Ministry of Defense of Georgia

აბსტრაქტი. საქართველო უძველესი აგროკულტურის ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის ხანგრძლივი ისტორია მისი სხვადასხვა ტრადიციების მრავალფეროვნებითაც ხასიათდება. ამას აღნიშნავენ სხვადასხვა მეცნიერ მკვლევარები. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს „ქართველი ერის მოღვაწეობა მარტო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ასპარეზით არ განისაზღვრებოდა, არამედ მეურნეობაშიც მას დაუცხრომელი მუშაობა უწარმოებია“. ხოლო, პ. ჟუკოვსკი წერს „თავისი ბუნებრივი პირობებით და ისტორიული წარსულით უნდა იქნეს განხილული, როგორც კულტურულ მცენარეთა ევოლუციის დიდმნიშვნელოვანი კერა. კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად ქართველები უძველესი მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მატარებლები არიან“.

აგრარული სექტორის ფერმერულ-მეურნეობებსა და სხვადასხვა გაერთიანებების (კოოპერატივი) აღორძინებისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების მოძიება, სახელმწიფოს მხარდაჭერა, როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე საერთაშორიოს ბაზრებზე, რადგან სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს, ამდენად, სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის განვითარება საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ბოლო წლებში მიღებულმა გამოცდილებამ არამარტო საქართველოში არამედ მთელ მსოფლიოში აგრარული სექტორის მნიშვნელობამ და როლმა წინა პლანზე გადმოიწია COVID-19 (პანდემია), რუსეთ-უკრაინის ომი და ისრაელ-პალესტინის კომფლიქტის პირობებში. უკვე მსოფლიო შეფარვის გარეშე ღიად საუბრობს მოსალოდნელ საფრთხეებზე სურსათის დეფიციტზე, მწარმეობლურობის არასაკმარისობაზე და მოსალოდნელ შიმშილზე. საქართველოს მთავრობა ბოლო ათწლეულია აქტიურად ახორციელებს აგრარული სექტორის განვითარებისთვის მხარდამჭერ სხვადასხვა სახის პროექტებს, ბიზნესში ინვესტიციების მოზიდვას, კანონმდებლობის შერბილებას, აგრარული სექტორი გადასახადებისგან გათავისუფლება, გამოწვევებზე რეაგირებას და კორდინაციას ახდენს საერთაშორისო ბაზრებზე. ნაშრომში აისახება 2018-2024 წლებში აგრარულ სექტორში მხარდაჭერილი პროექტების როლი და კორელაცია სარგებლიანობის კოეფიციენტების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: აგროკულტურის ქვეყანა, ფერმერული მეურნეობები, სიღარიბის დაძლევა, სექტორის აღორძინება, მწარმეობლურობის არასაკმარისობა, მხარდაჭერილი პროგრამები, სარგებ-ლიანობის კოეფიციენტები.

Abstract. Georgia is a country of ancient agriculture. The long history of agriculture is characterized by the diversity of its various traditions. This is noted by various scientific researchers. Ivane Javakhishvili notes that “the activity of the Georgian nation was not determined only by the political, social and cultural spheres, but it also carried out tireless work in agriculture”. And, P. Zhukovsky writes that “with its natural conditions and historical past, it should be considered as a significant center of the evolution of cultivated plants. Along with other peoples of the Caucasus, Georgians are carriers of a high culture of ancient agriculture”.

For the revival of farms and various associations (cooperatives) of the agricultural sector, it is important to find financial resources and support from the state, both in the local market and in international markets, because the development of agriculture is the most effective means of sustainable economic development of the country and overcoming poverty, therefore, the development of the agricultural industry is one of the important and priority

directions of the Georgian government. The experience gained in recent years has brought the importance and role of the agricultural sector to the forefront not only in Georgia but also throughout the world, in the conditions of COVID-19 (pandemic), the Russian-Ukrainian war and the Israeli-Palestinian conflict. The world is already openly talking about the impending threats of food shortages, lack of entrepreneurship and impending famine. The Georgian government has been actively implementing various projects to support the development of the agricultural sector for the past decade, attracting investments in business, simplifying legislation, exempting the agricultural sector from taxes, responding to challenges and coordinating in international markets. The paper reflects the role and correlation of projects supported in the agricultural sector in 2018-2024 according to the coefficients of utility.

Key words: agricultural country, farms, poverty alleviation, sector revival, lack of entrepreneurship, supported programs, coefficients of utility.

შესავალი.

საქართველოში უძველესი დროიდან სოფლის მეურნეობის დარგს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და შეიძლება ითქვას საქართველო ერთ-ერთი უძველესი აგრარული კულტურის ქვეყანაა. საქართველოს აგრარული სექტორის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა მემკვიდრეობამ და საბჭოთა პერიოდის ავტორიტარულმა მმართველობამ სხვა დარგებთან ერთად მნიშვნელოვნად დააზარალა ქართული აგრო სექტორი. დამოუკიდებლობის შემდეგ პერიოდში არასწორმა რეფორმებმა ბიზნესის მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები და გამოწვევები კიდევ უფრო მძიმე გახდა სოფლის მეურნეობისთვის. ბიზნესის მხარდაჭერის ფუნქციონირების თვალსაზრისით აგრო სექტორში წარმოადგენს რთულ ელემენტს და ის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განმსაზღვრელი დინამიური სფეროა. აგრო სექტორში სახელმწიფოს მიერ ბიზნესის მხარდაჭერის ფორმირებასა და განვითარებაზე გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების ძირითად მონაცემებზე დამყარებული შედეგები და მისი წარმომქმნელი ინდიკატორები სოციალურ, ეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორები. მისი ძირითადი ფუნქციაა ეკონომიკური სექტორებისა და ძირითადი მხარდაჭერის მიმართულებების დროული, რაციონალური და საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველყოფა. სექტორში ბიზნესის ძირითადი მიმართულებების რელევანტურ ფუნქციონირებაზე განსაკუთრებით არის დამოკიდებული, როგორც სასოფლო-სამეურნეო ქვეყნის ეკონომიკური და შრომითი შესაძლებლობების გამოყენების ხასიათი და ხარისხი.

სახელმწიფო და საერთაშორიოს მხარდაჭერის ბიზნესის ძირითადი მიმართულებები და გამოწვევები, საქართველოს ფინანსური მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ბევრი კვლევა არსებობს აგრო სექტორში ფინანსური ინსტიტუტების და ფინანსური ბაზრების როლზე და მის მნიშვნელობაზე სახელმწიფო ეკონომიკური მხარდაჭერის ძირითად მიმართულებებზე, ასევე საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში გამოიკვეთა, ის ძირითადი ვექტორები, რომლებიც გავლენას ახდენეს აგრო სექტორის ძირითად მიმართულებებზე.

2018-2024 წლებში საქართველოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ფინანსური მხარდაჭერა მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციას, მდგრადი განვითარების ხელშეწყობას და კონკურენტუნარიანობის ზრდას. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები და აღნიშნული სფეროს ეფექტიანობა.

აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 2018-2023 წლებში მედიანა არის 10%.(იხ. ცხრილი N1.)

ცხრილი N1.

აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 2018-2023 წლებში		
წლები	პროდუქციის ღირებულება (აშშ $ -მლნ.)	წინა წელთან შედარებით ზრდა/კლება (%-ში)
2018 წელი	959,2	23,2%
2019 წელი	888,8	-7,3%
2020 წელი	942,2	6%
2021 წელი	1142	21,2%
2022 წელი	1262	10,6%
2023 წელი	1437	13,90%

წყარო: შედგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით.(https://mepa.gov.ge/Ge/Reports)

2018 წლის მონაცემებს თუ შევადარებთ 2023 წლის მონაცემებს დავინახავთ, რომ ექსპორტი გაიზარდა 50%-ით, რაც განსაკუთრებული როლს ასრულებს ეკონომიკის მდგრად განვითარებაში. შესაბამისად ამის ერთ-ერთი ხელის შემწყობი არის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელებული პროექტები და თანადგომა სახელმწიფოს მხრიდან.

რ. ასათიანი და პ. კოღუაშვილი მიიჩნევენ, რომ დასახული მიზნების რეალიზაცია ორ ეტაპადაა განსახორციელებელი: პირველ ეტაპზე (2023-2026 წწ.) უნდა მოხდეს დარგის მთავარი წარმოების საშუალების და ფაქტორის – მიწების ინვენტარიზაცია, მათზე დაფუძნებული წარმოების რეაბილიტაცია-განვითარება; მეორე ეტაპზე (2027-2030 წწ.) კი განსახორციელებელია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, სოფლის მეურნეობის მაღალტექნოლოგიურ დარგად ტრანსფორმაცია და უპირატესად ინტენსიური გზით განვითარების უზრუნველყოფა (პ. კოღუაშვილი რ. ასათიანი, 2023).

„სოფლის მეურნეობის წვლილი საკვებში, ნედლეულში და ინდუსტრიალიზაციის პროცესისთვის აუცილებელია ფინანსური ჭარბი (მათ შორის, სავალუტო) ინვესტირება ადრეულ სტადიაზე“ (Johnston B.F., 1970).

ცხრილში წარმოდგენილია სახელმწიფო მხარდაჭერით მიღებული ფინანსური დახმარება აგრარული სექტორისათვის გრანტებით და მოზიდული ინვესტიციებით (იხ. ცხრილი N2).

ცხრილი N2.

სახელმწიფო მხარდაჭერით მიღებული ფინანსური შედეგები 2018-2023 წ.წ. (გრანტები, ინვესტიციები)						
შექმნილი ინვესიციები	2018	2019	2020	2021	2022	2023
ჯამური ინვესტიცია (ლარი)	70 439 440	76 529 140	80 057 647	97 472 755	111 885 934	130 440 789
სახელმწიფო თანადაფინანსება გრანტის სახით (ლარი)	22 938 834	25 544 514	28 901 103	33 942 132	38 830 433	45 661 373
მოზიდული ინვესტიცია (ლარი)	47 500 606	50 984 626	51 156 544	63 530 623	73 055 502	84 779 417
1 ლარი გრანტით მოზიდული ინვესტიცია (ლარი)	2,07	2	1,77	1,87	1,88	1,88
საწარმოების რაოდენობა	45	50	56	68	81	97
დასაქმებულთა ჯამური	1 535	1 622	1 582	1 733	1 931	2 195

რაოდენობა (სეზონური დასაქმების ჩათვლით)						
1 დასაქმებულის საშუალო ხელფასი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით (ლარი/თვე)	375	390	475	507	534	505
აგროპროდუქციის რეალიზაციით მისაღები შემოსავალი (ლარი)	99 822 233	106 364 823	119 121 823	206 294 051	232 228 339	256 502 339
სახელმწიფო გრანტის % -ის წილი ინვესტიციებში	32,60 %	33,40 %	36,10 %	34,82 %	34,71 %	35,01%

წყარო: შედგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით.(https://mepa.gov.ge/Ge/Reports)

2018 წლიდან 2023 წლის ჩათვლით ჯამური ინვესტიცია გაიზარდა 85.2%-ით, სახელმწიფო დაფინანსება გრანტი გაიზარდა 99.1%-ით. 2018 წლიდან 2023 წლის ჩათვლით საწარმოების რაოდენობა გაიზარდა 115.6%-ით, დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა (სეზონური დასაქმების ჩათვლით) გაიზარდა 43%-ით, 1 დასაქმებულის საშუალო ხელფასი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით (ლარი/თვე) გაიზარდა 34.7%-ით, აგროპროდუქციის რეალიზაციით მისაღები შემოსავალი (ლარი) გაიზარდა 157%-ით.

ცხრილი N3. სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული და უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილების ფარგლებში დაფინანსებული პროექტები აგროსექტორებში (03), 2018-2024 წლებში (2024 წლის აგვისტოს ბოლოს მდგომარეობით).

ცხრილი N3.

რეგიონი	2018-2024			
	პროექტების რაოდენობა	სესხის მოცულობა	ინვესტიცია	დასაქმება
აჭარა	1	700 000	1 490 000	7
გურია	1	5 000 000	8 500 000	17
სამეგრელო-ზემო სვანეთი	16	49 696 918	53 877 656	270
სულ	**18**	**55 396 918**	**63 867 656**	**294**

წუარო: ინფორმაცია გამოთხოვილია - „აწარმოე საქართველოში“

შენიშვნა:

- ცხრილში მოცემული პროგრამის ფარგლებში აგროსექტორები (NACE Rev. 2: 01, 02, 03 განყოფილებები, გარდა 03.11, 03.21 და 03.22 კოდებისა) არ ფინანსდება, რადგან მათ სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტი "შეღავათიანი აგროკრედიტი" ფარავს;

- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული და უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილების ბენეფიციარები აგროსექტორებში (03.11, 03.21 და 03.22 კოდები), 2018-2024 წლებში (2024 წლის აგვისტოს ბოლოს მდგომარეობით) შეადგენს 13 მეწარმე სუბიექტს.

საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აგროსექტორებში (01,03) დამტკიცებული სესხები, 2020-2024 წ.წ. (იხ.ცხრილი N4)

ცხრილი N4

რეგიონი	2020-2024			
	პროექტების რაოდენობა	სესხის მოცულობა	დასაქმება	%
აჭარა	2	970 000	12	0,51%
გურია	21	11 776 500	143	6,15%
თბილისი	5	1 865 000	24	0,97%
იმერეთი	27	18 716 742	198	9,78%
კახეთი	39	35 802 800	389	18,70%
მცხეთა-მთიანეთი	6	2 349 340	40	1,23%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1	301 500	6	0,16%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	94	61 853 079	793	32,31%
ქვემო ქართლი	13	7 313 830	68	3,82%
შიდა ქართლი	86	50 471 950	536	26,37%
სულ	**294**	**191 420 741**	**2 209**	**100%**

წყ

არო: ინფორმაცია გამოთხოვილია - „აწარმოე საქართველოში)

2022 წელს, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა რაოდენობამ 229.2 ათასი კაცი შეადგინა, რაც ქვეყანაში დასაქმებულთა 17.9%-ს შეადგენს. 2012-დან 2022 წლამდე, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა რაოდენობა 78.1 ათასი კაცით (25.4%), ხოლო მათი წილი ქვეყანაში დასაქმებულებში, 7.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022). (იხ. გრაფიკი N1)

გრაფიკი N1.

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.



საქართველოს ეკონომიკაში აგრო სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ასევე საქართველოს ხელისუფლებისთვის პრიორიტეტებს შორის აგრარული სექტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია და დიდ ძალისხმევას ხარჯავს მისი აღორძინებისთვის. საქართველოს

აგრარულ სექტორში ძირითადი მიმართულებები კლასიფიკაციის მიხედვით შეიძლება დავყოთ, ესენია:

1. **სუბსიდიები და სახელმწიფო პროგრამები**

საქართველოს მთავრობა აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს, რომლებიც მიმართულია აგრო სექტორის განვითარებასა და ფერმერული მეურნეობის მხარდაჭერაზე. ეს მოიცავს: სუბსიდირებულ საფინანსო პირობებს, თანამედროვე ტექნიკისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარების შეძენის პროგრამებს.

2. ფინანსური (ბანკი) კრედიტები და ლიზინგი

ფინანსური სექტორი (ბანკები) და მიკროფინანსური ორგანიზაციები წარმოადგენენ კრედიტებს, რომლებიც შეუძლია დაეხმაროს ფერმერებს, სოფლის მეურნეობის ტექნიკისა და სხვა საჭირო რესურსების შეძენაში. კრედიტები დამოკიდებულია პროგრამების მიხედვით, თუმცა აქტიურად ჩართულია სახელმწიფო ფერმერულ-მეურნეობებს მაქსიმალურად გაუწიოს მხარდაჭერა და ნაწილობრივ მოახდინოს სესხის სუფსიდირება.

3.ახალი ინვესტიციების მოზიდვა

ბოლო წლებში საქართველოში იზრდება ინვესტიციები, ამას ბევრი ფაქტორი მეტყველებს ექსპორტის ზრდა წინა წლებთან შედარებითთ გაორმაგებულია, ასევე მთლიანი მწარმოებლურობის შესაძლებელობები გაზრდილია გეომეტრიული პროგრესით, რაც წესით მომავალში პოზიტიურად უნდა აისახოს და დინამიურად განვითარდეს აგრარული სექტორის ყველა მიმართულება. ეს ინვესტიციები მოდის, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონორებისგან.

4. **ინფორმაციული მხარდაჭერა და ტრენინგები**

სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები ახორციელებენ ტრენინგებს ფერმერებისთვის, რათა ხელი შეუწყონ მათ ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას. ამაში შედის რჩევები ფინანსური მართვის, ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.

სახელმწიფო დიდი ძალისხმევას დებს აგრო სექტორის განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული სახელმწიფო პროგრამები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, ბევრი პრობლემა კვლავ რჩება, რაც ხელს უშლის სექტორის სრულ განვითარებას და ეფექტურ ფუნქციონირებას. ქვემოთ ჩამოყალიბებულია გამოწვევები, რომლებიც აწუხებს აგრო სექტორს საქართველოში:

1. **ფინანსური რესურსების შეზღუდული ხელმისაწვდომობა და სავალუტო რისკი**

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო და ფინანსური ინსტიტუტები ხშირად გთავაზობენ სუბსიდიებს და კრედიტებს, ბევრი ფერმერი ვერ ახერხებს ფინანსური რესურსების მოძიებას. განსაკუთრებულად ახალად დამწყები ფერმერები და მცირე ზომის აგრო საწარმოები ხშირად ვერ იღებენ დაფინანსებას ან ვერ ახერხებენ მაღალი პირობების (მაღალი საპროცენტო განაკვეთები, მოთხოვნები უზრუნველყოფაზე) დაკმაყოფილებას. ასევე, არ არსებობს საკმარისი დაფინანსება ახალი ბიზნეს იდეების განვითარებისთვის, რასაც გრძელვადიანი საკრედიტო და ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება. საქართველოს ბიზნესებში ცვალებადი **ეროვნული ვალუტა** (ლარის გაუფასურება) ქმნის დამატებით პრობლემებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც აგრო ბიზნესი იმპორტზეა დამოკიდებული. სხვადასხვა კვლევებში ხშირად იკვეთება სავალუტო რისკების მნიშვნელობა, რაც ინვესტორებისთვის საფრთხის შემცველია.

2. კონკურენტუნარიანი გარემოს ნაკლებობა და არასტაბილური ბაზრის პირობები

საქართველოს აგრო სექტორში ერთ-ერთ გამოწვევად რჩება კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა მცირე ზომის და დიდი ზომის მწარმოებლებს შორის, როცა არის ყოველთვის საშიშროება მცირე ზომის ფერმერული მეურნეობები შთანთქოს დიდი ზომის მეურნეობებმა. ასევე, ხშირია ბაზრის ფასების მერყეობა. ნედლეულის და პროდუქციის ფასების კოლაფსი შეიძლება გამოიწვიოს ფერმერების ფინანსური კრიზისი. მერყევი ფასები, სურსათის მოთხოვნის ცვლილებები და არასტაბილური საექსპორტო ბაზრები დიდ გავლენას ახდენენ ფერმერებზე და მათგან გამომდინარე ფინანსურ გადაწყვეტილებებზე.

3. თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობა

აგრო სექტორში ტექნოლოგიური განვითარების ნაკლებობა და თანამედროვე ტექნიკის არარსებობა ქმნის პრობლემებს, რაც მოქმედებს წარმოების ეფექტურობაზე. თანამედროვე ტექნიკის შეძენა და დანერგვა დიდ ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული, და შესაბამისად ბევრი ფერმერი ვერ ახერხებს ამ ტექნიკის შეძენას, აქედან გამომდინარე წარმოების ეფექტურობა დაბალია. ასევე თანამედროვე ტექნიკის არ ქონა მოითხოვს დიდ სამუშაო ძალას (ადამიანური რესურსები), რაც დამატებითად ტვირთავს მთლიანი სამუშაო ძალის გადანაწილებას, რაც დიდი ტვირთია მთლიანობაში შემოსავლებით ერთ ადამიანზე.

4. ახალი რეგულაციები და კანონმდებლობის კომპლექსურობა

ქვეყანაში ხშირად ხდება ცვლილებები აგრო სექტორის რეგულაციებში, რაც შესაძლოა შექმნას უხერხულობა და არასაკმარისი ცოდნის გამო, ზოგიერთ ფერმერს უჭირს ახალი წესების და კანონების გათვალისწინება. ხშირად იცვლება ფინანსური მხარდაჭერის პირობები, რაც აშინებს ფერმერებს და უჭირთ სწრაფი ადაპტაცია.

5. სადაზღვევო პაკეტების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა

აგრო სექტორში საკმაოდ დიდი რისკები არსებობს, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი კატასტროფებით, როგორც წვიმა, გვალვა და სხვა კლიმატური ცვლილებები. თუმცა, აგროდაზღვევის სისტემა ჯერ კიდევ არ არის კარგად განვითარებული საქართველოში, რაც ზრდის რისკებს და ამცირებს ფერმერების ინვესტიციის მოზიდვის შესაძლებლობას.

6. კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა

სოფლის მეურნეობაში არსებული სამუშაო ძალა ხშირად არ არის საკმარისად პროფესიონალიზირებული, რაც აისახება როგორც ფინანსურ გადაწყვეტილებებს, ასევე პროდუქტების განსაზღვრის და მართვის სტრატეგიებზე. ფინანსური მართვა, მენეჯმენტი და სპეციალური ცოდნა აუცილებელია, რათა მოხდეს არსებული ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენება.

7. ინვესტორების ნაკლებობა და ინფრასტრუქტურის არ არსებობა

საქართველოს ხელისუფლებას აქვს პრაგმატული პოლიტიკა და ცდილობს მხარი დაუჭიროს უცხოურ ინვესტიციებს, აგრო სექტორში არ არის საკმარისი ინვესტიციები. ამ მხრივ, ხშირია უცხოური ინვესტორების სკეპტიციზმი, და ისინი მიუთითებენ რისკების მაღალ დონეზე, დაბალ პროდუქტიულობაზე და არაკონკურენტუნარიან ბიზნეს გარემოზე.

ზემოაღნიშნული გამოწვევები წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან და მკაფიოდ გამოკვეთილ პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლის აგრარული სექტორის განვითარებას. მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს რეგიონულ ჭრილში: საჭიროებების იდენტიფიცირება, კვლევების ჩატარება, საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, უმაღლესი სასწავლებლების (უნივერსიტეტი) და კოლეჯების მოდერნიზაცია, რამაც უნდა მოახდინოს თანამედროვე მეთოდებით სწავლება და ახალგაზრდა თაობაში დარგის პოპულარიზაცია.

აგრო სექტორის განვითარების პერსპექტივები საქართველოში მრავალმხრივი და გრძელვადიანია. ეს სფერო საქართველოს ეკონომიკისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რჩება, შესაბამისა მისი განვითარებისათვის მომავალში უნდა გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები:

1. **ინოვაციები, თანამედროვე ტექნოლოგიები და მოდერნიზაცია**

თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა ზრდის ეფექტურობას, პროდუქტიულობას, ციფრული პლატფორმების დანერგვას აგრო სექტორში.

2. **ფერმერთა განათლება და პროფესიული მომზადება.**

მცირე ფერმერული მეურნეობების გაერთიანება, ფერმერების გადამზადება და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მოდერნიზაცია.

3. აგროტურიზმი და რეგიონული განვითარება

აგროტურიზმი საქართველოში მზარდი ტრენდია, განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებში (ქართლში, კახეთში). ეს აერთიანებს სოფლის მეურნეობასა და ტურიზმს.

4. ახალი ბაზრები და ექსპორტის პოტენციალი

მზარდი გლობალური მოთხოვნაა თხილზე, ღვინოზე, ხილზე, ბოსტნეულზე, მარცვლეულზე და სხვა.

დასკვნა

ეს გამოწვევები სერიოზულ გავლენას ახდენენ საქართველოში აგრო სექტორის განვითარებაზე. მათ შორის, ძირითადი პრობლემებია საკრედიტო ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ბაზრის არასტაბილურობა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შეზღუდვა. ამ პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა როგორც მთავრობის, ისე კერძო სექტორის მხრიდან უფრო ეფექტური მხარდაჭერა, ინვესტიციები და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.საქართველოს აგრო სექტორის განვითარება შესაძლებელია ინტეგრირებული და სტრატეგიული მიდგომით, რაც მოიცავს: ტექნოლოგიური მოდერნიზაციას, განათლების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, კოოპერაციის წახალისებას, ბიოპროდუქციის ხელშეწყობას და გარე ბაზრებზე წვდომის გაძლიერებას.

ბიბლიოგრაფია

1. პ. კოღუაშვილი, რ. ასათიანი - საქართველოს სოფლის მეურნეობა - გამოწვევები და პერსპექტივები, 2023წ.

2. Johnston B.F. (1970). Association Agriculture and Structural Transformation in Developing Countries: A Survey of Research. Journal of Economic Literature, 8(2): 369-404.

3. https://mepa.gov.ge/Ge/Reports

4. https://mepa.gov.ge/Ge/Reports

5. ინფორმაცია გამოთხოვილია(მატერიალური ფორმით) - „აწარმოე საქართველოში“, 2024 წ.

6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პოლიტიკის კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტი, 2024წ.

კონტრპროდუქტიული თვისებების როლი სამუშაოს ეფექტიანობის პროგნოზირებასა და მართვაში

The Role of Counterproductive Traits in Predicting and Managing Work Performance

ლევან ლევერაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
Levan Leverashvili
Georgian National University SEU
Doctor of Social Sciences

რეზიუმე - სამუშაოს შესრულება ტრადიციულად ასოცირდება დადებით მახასიათებლებთან, როგორიცაა კეთილსინდისიერება, ადაპტირება და მოტივაცია. თუმცა, თანამედროვე კვლევები სულ უფრო მეტად უსვამს ხაზს კონტრპროდუქტიული თვისებების გავლენას - პიროვნულ მახასიათებლებს, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედონ სამუშაო ადგილზე ქცევასა და შესრულების შედეგებზე. ამ თვისებების გაგება აუცილებელია იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ცდილობენ პროდუქტიულობის ოპტიმიზაციას, რისკების შემცირებას და ეფექტიანობის მართვის ეფექტური სტრატეგიების შემუშავებასა და ინტეგრაციას. კონტრპროდუქტიული თვისებები არის ის მახასიათებლები, რომლებიც სამუშაო ადგილზე წარმოქმნის არაეფექტურობას და ინტერპერსონალურ კონფლიქტებს. ეს თვისებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ნარცისიზმით, მაკიაველიზმით, იმპულსურობით, აგრესიით, დაბალი კეთილსინდისიერებით და ემოციური არასტაბილურობით. თანამშრომლებს, რომლებიც ამჟღავნებენ ასეთ თვისებებს, შეიძლება ხელი შეუშალონ გუნდურ მუშაობას, წინააღმდეგობა გაუწიონ ავტორიტეტს ან ჩაერთონ არაეთიკურ ქცევებში, რაც საბოლოოდ გავლენას მოახდენს სამუშაოს მთლიან შესრულებაზე.

თანამედროვე კვლევების მიხედვით, კონტრპროდუქტიული სამუშაო ქცევები (CWB) შეიძლება განჭვრეტილი იყოს გარკვეული პიროვნული თვისებების შეფასებით. ფსიქომეტრიული შეფასებები, ქცევითი ინტერვიუები და პროგნოზირებადი ანალიტიკა დაგეხმარებათ ტენდენციების დაუსწრებლად გამოვლენაში, სამუშაო ადგილზე პოტენციური კონფლიქტების ან ეთიკური დარღვევების წინასწარ განჭვრეტაში.

ინსტრუმენტები, როგორიცაა დიდი ხუთეული პიროვნების მოდელი და ბნელი ტრიადა (ნარცისიზმი, მაკიაველიზმი, ფსიქოპათია) იძლევა ღირებულ შეხედულებებს პოტენციურ რისკებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ მახასიათებლებს შეუძლიათ უარყოფითად იმოქმედონ შესრულებაზე, ეფექტური მართვის სტრატეგიებს შეუძლიათ შეამსუბუქონ მათი ეფექტი. ორგანიზაციებს შეუძლიათ განახორციელონ მიზნობრივი ინტერვენციები, მათ შორის:

- დაქირავების სტრუქტურირებული პროცესები, რომელიც ამოწმებს კონტრპროდუქტიულ თვისებებს;
- ტრენინგებისა და განვითარების პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ თვითშემეცნებას და ემოციურ რეგულაციას;
- შესრულების მართვის მკაფიო სისტემები ანგარიშვალდებულების ზომებით;
- კულტურულის ინიციატივები სამუშაო ადგილზე, რომლებიც აძლიერებენ ეთიკურ ქცევას და თანამშრომლობას.

კონტრპროდუქტიული მახასიათებლები, თუ არ იქნება გამოსწორებული, პოტენციურად შეუძლია გამოიწვიოს გართულებები სამუშაოს შესრულების პროცესში. თუმცა, ფსიქოლოგიური შეფასებების, სტრატეგიული ინტერვენციების და ლიდერობის განვითარების ინტეგრირებით, ორგანიზაციებს შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ და მართონ მათი გავლენა, რაც ხელს უწყობს პროდუქტიული და ჰარმონიული სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებას.

გამოწვევა: ორგანიზაციები ხშირად ამახვილებენ ყურადღებას თანამშრომლების მუშაობის დადებით თვისებებზე, თუმცა უგულებელყოფენ, იმას, თუ, როგორ შეიძლება ისეთმა კონტრპროდუქტიულმა მახასიათებლებმა, როგორიცაა: ნარცისიზმი, იმპულსურობა, ან დაბალი კეთილსინდისიერება,

გამოიწვიოს სამუშაო ადგილზე უარყოფითი ქცევები, ისეთი, როგორიცაა: კონფლიქტები, გაცდენები ან ეთიკური დარღვევები. ამ თვისებების პროგნოზირებისა და მართვის სტრუქტურირებული ინსტრუმენტების გარეშე, ბიზნესი რისკავს პროდუქტიულობის მაღალ დონეს და ორგანიზაციული მორალის დაქვეითებას.

მიზანი: აღნიშნული ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს, თუ, როგორ შეუძლიათ HR პროფესიონალებს ამოიცნონ და მართონ კონტრპროდუქტიული თვისებები პიროვნების შეფასების, ქცევითი ინსტრუმენტებისა და ორგანიზაციული სტრატეგიების გამოყენებით. რაც მიზნად ისახავს მუშაობის შედეგების გაუმჯობესებას, ქცევითი რისკების შემცირებით და ჯანსაღი სამუშაო გარემოს ხელშეწყობით.

საკვანძო სიტყვები: კონტრპროდუქტიული სამუშაო ქცევები (CWB); სამუშაო შესრულება; თანამშრომლის ქცევა; პიროვნული თვისებები; შესრულების მენეჯმენტი; პროდუქტიულობა სამუშაო ადგილზე; ნიჭის მართვა; თანამშრომლების შეფასება; HR ანალიტიკა.

Resume - Work performance is traditionally associated with positive attributes such as conscientiousness, adaptability, and motivation. However, research increasingly highlights the impact of counterproductive traits—personality characteristics that can negatively influence workplace behavior and outcomes. Understanding these traits is essential for organizations seeking to optimize productivity, reduce risks, and implement effective performance management strategies. Counterproductive traits refer to characteristics that contribute to workplace deviance, inefficiency, and interpersonal conflicts. These traits include but are not limited to narcissism, Machiavellianism, impulsivity, aggression, low conscientiousness, and emotional instability. Employees exhibiting such traits may struggle with teamwork, resist authority, or engage in unethical behaviors, ultimately affecting overall work performance.

Research suggests that counterproductive work behaviors (CWBs) can be anticipated by assessing certain personality traits. Psychometric assessments, behavioral interviews, and predictive analytics can help identify tendencies toward absenteeism, workplace conflicts, or ethical violations. Tools like the Big Five Personality Model and Dark Triad (narcissism, Machiavellianism, psychopathy) provide valuable insights into potential risks.

While these traits can negatively impact performance, effective management strategies can mitigate their effects. Organizations can implement targeted interventions, including:

- Structured hiring processes that screen for counterproductive traits;
- Training and development programs that promote self-awareness and emotional regulation;
- Clear performance management systems with accountability measures;
- Workplace culture initiatives that reinforce ethical behavior and collaboration.

Counterproductive traits, if unaddressed, can lead to performance challenges and workplace disruptions. However, by integrating psychological assessments, strategic interventions, and leadership development, organizations can predict and manage their impact, fostering a more productive and harmonious work environment.

Problem Statement: Organizations often focus on positive traits in employee performance, overlooking how counterproductive traits—such as narcissism, impulsivity, or low conscientiousness—can lead to negative workplace behaviors like conflict, absenteeism, or ethical breaches. Without structured tools to predict and manage these traits, businesses risk decreased productivity and morale.

Purpose Statement: This study aims to explore how HR professionals can identify and manage counterproductive traits using personality assessments, behavioral tools, and organizational strategies. The goal is to improve performance outcomes by reducing behavioral risks and fostering a healthier work environment.

Key words: Counterproductive Work Behaviors (CWB); Job Performance; Employee Behavior; Personality Traits; Performance Management; Workplace Productivity; Talent Management; Employee Appraisal HR Analytics.

თანამედროვე ორგანიზაციებში თანამშრომლის სამუშაოს შესრულება არ ეყრდნობა მხოლოდ დადებით მახასიათებლებს, როგორიცაა კეთილსინდისიერება, კრეატიულობა ან მოტივაცია. თანაბრად მნიშვნელოვანია კონტრპროდუქტიული თვისებები - ქცევითი მიდრეკილებები და პიროვნული ნიშნები, რომლებიც ხელს უშლიან სამუშაოს ეფექტიანად შესრულებას და ზიანს აყენებენ ორგანიზაციულ ეფექტიანობას. აღნიშნული თვისებები იჩენს თავს ე.წ. კონტრპროდუქტიული სამუშაო ქცევების (Counterproductive Work Behaviors – CWBs) სახით, რაც მოიცავს ისეთ უარყოფით ქმედებებს, როგორიცაა სამუშაოს გაცდენა, დაგვიანება,

ნეგატიური კომუნიკაცია, სამუშაოს საბოტაჟი, არაეთიკური ქმედებები და სხვა დევიანტური ქცევები.

კონტრპროდუქტიული თვისებების განსაზღვრა და მათი მნიშვნელობა ადამიანური რესურსების მართვაში (HRM) - კონტრპროდუქტიული თვისებები წარმოადგენს ინდივიდუალურ, შედარებით სტაბილურ მახასიათებლებს, რომლებიც ზრდის თანამშრომლის მიდრეკილებას ისეთი ქცევებისკენ, რომლებიც ხელს უშლიან ორგანიზაციის ეფექტიან ფუნქციონირებას. ასეთ მახასიათებლებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. "ბნელი ტრიადა" (Dark Triad) - ნარცისიზმი, მაკიაველიზმი და ფსიქოპათია - ასევე იმპულსურობა და დაბალი კეთილსინდისიერება. აღნიშნული თვისებების იდენტიფიკაცია მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვის სფეროში, ვინაიდან ისინი საშუალებას იძლევა წინასწარ შეფასდეს ქცევითი რისკები, რაც გავლენას ახდენს გუნდურ ურთიერთობებზე და საერთო მუშაობის ხარისხზე. HR სპეციალისტებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ამ თვისებების გამოვლენასა და მართვაში, როგორც შერჩევისა და დასაქმების ეტაპზე, ასევე შემდგომში - შეფასების, ტრენინგებისა და საჭიროების შემთხვევაში, მაკორექტირებელი ჩარევის დროს (Fox & Spector, 1999). აღნიშნული მიდგომა ორგანიზაციებს აძლევს შესაძლებლობას, შეიმუშაონ ეფექტიანი სტრატეგიები, რომლებიც შეამცირებს კონტრპროდუქტიული ქცევების ზეგავლენას და გააუმჯობესებს სამუშაო გარემოს.

გავლენა სამუშაოს შესრულებასა და ორგანიზაციულ შედეგებზე - კონტრპროდუქტიული თვისებების გავლენა მრავალმხრივია. მათი მქონე თანამშრომლები ხშირად აზიანებენ ინდივიდუალურ პროდუქტიულობას, ვინაიდან დაკავებულნი არიან ქცევით, რომელიც უშლის ხელს სამუშაოს შესრულებას. მაგალითად, ხშირი დაგვიანება ან დაუსწრებლობა არღვევს სამუშაო პროცესის თანმიმდევრობას, ხოლო აგრესიული ან ნარცისული ქცევებით გამოწვეული კონფლიქტები აზიანებს გუნდის კოორდინაციას. მსგავსი ქცევები არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ გუნდურ და ორგანიზაციულ დონეზეც იწვევს ნეგატიურ შედეგებს - მცირდება პროდუქტიულობა, იკლებს ინოვაციური პოტენციალი და იზრდება ხარჯები, რაც უკავშირდება დამატებით ტრენინგებს, კონსულტაციებს ან კადრების შეცვლას (Bennett & Robinson, 2000). გარდა ამისა, როდესაც ორგანიზაციაში ხშირია კონტრპროდუქტიული ქცევა, იქმნება არასასურველი კორპორაციული კულტურა, მცირდება თანამშრომელთა ჩართულობა და იზრდება კადრების ჩანაცვლებაზე დამოკიდებულება - რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახება, როგორც ფინანსურ მაჩვენებლებზე, ასევე ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობაზე.

სტატიის მიზანია - კონტრპროდუქტიული თვისებების წინასწარ განსაზღვრაში ადამიანური რესურსების მართვის (HR) პროფესიონალების როლის დადგენა, რის საფუძველზეც ხდება მართვისა და შესრულების ეფექტიანობის განსაზღვრა. ანალიზი ეფუძნება ემპირიულ მიგნებებსა და თეორიულ ჩარჩოებს, რომელიც მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- **წინასწარ განსაზღვრის ინსტრუმენტები** – განიხილება ფსიქომეტრიული ინსტრუმენტების, სტრუქტურირებული ქცევითი ინტერვიუების და ადამიანური რესურსების ანალიტიკის გამოყენება კონტრპროდუქტიული თვისებების იდენტიფიკაციის პროცესში, როგორც თანამშრომელთა შერჩევის, ასევე მათი შეფასების ეტაპზე.
- **ინტერვენციული სტრატეგიები** – მოიცავს მიზანმიმართულ ტრენინგებს, ეფექტიან სამუშაოს შესრულების მართვის სისტემებს და ორგანიზაციული კულტურის გაძლიერების ინიციატივებს.
- **შედეგების ოპტიმიზაცია** – აჩვენებს, თუ, როგორ შეიძლება კონტრპროდუქტიული ქცევის, პროაქტიული მართვა, ორგანიზაციისთვის შედეგების გაუმჯობესების საწინდარი

გახდეს, გაიზარდოს შესრულების დონე, გაუმჯობესდეს გუნდური დინამიკა და გაძლიერდეს ორგანიზაციული ეფექტიანობა.

წინასწარი შეფასების მექანიზმების მართვით ინტეგრირება მიზანმიმართულ მენეჯმენტთან, HRM-ს საშუალებას აძლევს, არამარტო შეამციროს კონტრპროდუქტიული ქცევებით გამოწვეული რისკები, არამედ აქციოს ისინი ზრდისა და ინოვაციის შესაძლებლობებად. შესაბამისად, ეს სტატია ცდილობს დააკავშიროს თეორია და პრაქტიკა, რაც HR პროფესიონალებს მიაწვდის პრაქტიკულ ინსტრუმენტებს და მტკიცებულებაზე დაფუძნებულ სტრატეგიებს, რომლებიც დაეხმარებიან გამძლე და მაღალი შესრულების მქონე სამუშაო ძალის ფორმირებაში.

ქცევითი დეფიციტის მქონე მახასიათებლების გააზრება სამუშაო გარემოში - განისაზღვრება, როგორც თანამშრომლების ნებაყოფლობითი ქმედებები, რომლებიც მიზანმიმართულად ან უნებლიედ აზიანებს ორგანიზაციულ ეფექტიანობას და სამუშაო გარემოს კეთილდღეობას. აღნიშნული ქცევები მოიცავს, როგორც მცირე დარღვევებს ასევე სერიოზულ არასათანადო ქმედებებს, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული პიროვნულ თვისებებთან. კვლევები ცხადყოფს, რომ კონტრპროდუქტიული სამუშაო ქცევა (CWB) შემთხვევითი მოვლენა არ არის, არამედ გამომდინარეობს ინდივიდის სტაბილური პიროვნული მახასიათებლებიდან, რომლებიც ადამიანებს ასტიმულირებენ ორგანიზაციული ნორმებიდან გადახვევით (Sackett & DeVore, 2001). მაგალითად, დაბალი პასუხისმგებლობის მქონე ინდივიდს შესაძლოა ხშირ შემთხვევაში ავიწყდებოდეს სამუშაოს შესრულება, მაშინ როცა ე.წ. "ბნელი ტრიადის" (Dark Triad) მქონე პიროვნებები: ნარცისიზმი, მაკიაველიზმი და ფსიქოპათია - ხშირად ჩართულნი არიან მანიპულაციურ ან ეთიკურად საეჭვო ქმედებებში.

ყველაზე გავრცელებული კონტრპროდუქტიული მახასიათებლები მოიცავს ნარცისიზმს, მაკიაველიზმს, იმპულსურობას, დაბალ პასუხისმგებლობასა და ემოციურ არასტაბილურობას. **ნარცისიზმი** - გამოხატულია გადაჭარბებული თვითშეფასებითა და მუდმივი აღიარების მოთხოვნით, რაც სხვების წვლილისა და გრძნობების იგნორირებას იწვევს. **მაკიაველიზმი** - გულისხმობს მანიპულაციურ მიდგომას, მორალისადმი ცინიკურ დამოკიდებულებასა და ეგოისტურ მოტივაციას, რაც გუნდური სამუშაოს ხარჯზე პერსონალურ სარგებელზე ფოკუსირებას იწვევს. **იმპულსურობა** - გამოხატულია წინასწარი გააზრების გარეშე ქმედებებში, რაც ხელს უშლის პროცესის სისწორეს ან შეცდომებს. **დაბალი პასუხისმგებლობა** - ასოცირდება სანდოობის ნაკლებობასთან, რაც ვლინდება დაგვიანებებში, ვადაგადაცილებულ დავალებებსა და უხარისხო შესრულებაში. **ემოციური არასტაბილურობა** (ანუ ნევროტიზმი) - ხშირად იწვევს განწყობის ცვალებადობას, სტრესულ რეაქციებსა და კონფლიქტებს ურთიერთობებში, რაც ასუსტებს გუნდურ სულისკვეთებას. ამ მახასიათებლების გამოვლინება რეალურ სამუშაო გარემოში იშვიათი ნამდვილად არ არის. მაგალითად, იმპულსური თანამშრომელი შესაძლოა ხშირად იღებდეს დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებს, რაც იწვევს ოპერაციულ შეცდომებს ან უსაფრთხოების პრობლემებს. ნარცისისტულმა პირებმა შესაძლოა მიითვისონ სხვების დამსახურება, უარყონ კონსტრუქციული კრიტიკა, ან შექმნან კონკურენტული ატმოსფერო თანამშრომლობის ნაცვლად. მაკიაველი თანამშრომლები მანიპულირებენ კოლეგებზე, ან იყენებენ ორგანიზაციულ პოლიტიკაში არსებულ ხარვეზებს პირადი მიზნების მისაღწევად. დაბალი პასუხისმგებლობის მქონე ინდივიდები ხშირად არღვევენ სამუშაო დისციპლინას, უგულებელყოფენ პროექტებსა და ხარისხობრივ სტანდარტებს. ემოციურად არასტაბილური თანამშრომლები კი იწვევენ დაძაბულ სოციალურ ურთიერთობებს, კონფლიქტებს, მორალურ დაღლილობას და ზოგჯერ ეთიკური წესების დარღვევასაც კი.

ამრიგად, ამ ქცევითი მახასიათებლების გაგება საშუალებას აძლევს HR პროფესიონალებს უკეთესად დააიდენტიფიცირონ და მართონ მსგავსი ქცევები. ეს ცოდნა მნიშვნელოვანია, როგორც რეკრუტინგის პროცესში, ასევე შიდა ტრენინგებისა და შეფასებების დაგეგმვისას, რათა მაქსიმალურად შემცირდეს მათი უარყოფითი გავლენა და შეიქმნას პროდუქტიული და ჯანსაღი სამუშაო გარემო.

ქცევითი კონტრპროდუქტიული მახასიათებლების წინასწარ განსაზღვრის HRM სტრატეგიები - თანამედროვე ადამიანური რესურსების მართვაში (HRM) კონტრპროდუქტიული მახასიათებლების წინასწარი იდენტიფიცირება მნიშვნელოვანი წინაპირობაა სამუშაო გარემოს ეფექტიანობისთვის, თანამშრომელთა გადინების შემცირებისა და ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებისთვის. კონტრპროდუქტიული ქცევები (CWB-ები), როგორიცაა გაცდენები, კონფლიქტები, არაეთიკური გადაწყვეტილებები და დაბალი პროდუქტიულობა, ხშირად განპირობებულია გარკვეული პიროვნული მახასიათებლებით. HR პროფესიონალებს მართებთ წინასწარი შეფასების სტრატეგიების დანერგვა, რათა დროულად ამოიცნონ შესაძლო რისკები და უზრუნველყონ ეფექტური მართვა. ქვემოთ განხილულია ძირითადი HRM სტრატეგიები, რომლებიც მიმართულია თანამშრომლებში კონტრპროდუქტიული მახასიათებლების პროგნოზირებისა და მართვისკენ:

I. პიროვნების შეფასების ინსტრუმენტები: "Big Five"- ისა და "Dark Triad"- ის მოდელების გამოყენება რეკრუტინგში - ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდი კონტრპროდუქტიული ტენდენციების პროგნოზირებისთვის არის პიროვნების შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც საშუალებას აძლევს HR პროფესიონალებს, შეაფასონ კანდიდატების ქცევითი ტენდენციები და მათი შესაბამისობა ორგანიზაციულ მიზნებთან:

- **"Big Five" მოდელი:** აფასებს ინდივიდებს ხუთ ძირითად მახასიათებელზე - ღიაობა გამოცდილებისადმი, პასუხისმგებლობა, ექსტრავერსია, შეთანხმებულობა და ნევროტიზმი. კვლევებით დადასტურებულია, რომ მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ინდივიდები ნაკლებად არიან მიდრეკილნი CWB - ებისკენ, მაშინ როცა ნევროტიზმის მაღალი დონე ემოციურ არასტაბილურობასა და კონფლიქტებში ვლინდება (Salgado, 2002);
- **"Dark Triad" ტესტი:** ყურადღებას ამახვილებს სამ ძირითად მახასიათებელზე - ნარცისიზმი, მაკიაველიზმი და ფსიქოპათია - რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სამუშაოს დევიანტურ ქცევებთან. მაღალი მაჩვენებლები მაკიაველიზმში მიუთითებს მანიპულაციურობასა და ეგოისტურ მოტივაციაზე, ხოლო ფსიქოპათიური ტენდენციები - იმპულსურობასა და არაეთიკურ ქცევებზე (O'Boyle et al., 2012);
- **ემოციური ინტელექტის ტესტები (EQ):** ეხმარება HR პროფესიონალებს იმ კანდიდატების იდენტიფიცირებაში, რომლებიც ვერ მართავენ საკუთარ ემოციებს და ურთიერთობებს. დაბალი EQ ხშირად ასოცირდება აგრესიასთან, კრიტიკის მიუღებლობასა და სტრესთან გამკლავებასთან (Goleman, 1998).

ამ ინსტრუმენტების რეკრუტინგის პროცესში ინტეგრირება, ამცირებს იმ კანდიდატების დაქირავების რისკს, რომლებიც შეიძლება ჩაერთონ კონტრპროდუქტიულ ქცევებში და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ორგანიზაციულ კულტურასა და ღირებულებებთან.

II. ქცევითი ინტერვიუების ტექნიკები: კანდიდატებში საყურადღებო ნიშნების იდენტიფიცირება - სტანდარტული ფსიქომეტრიული შეფასებების გარდა, ქცევითი ინტერვიუები HR პროფესიონალებს აძლევს საშუალებას, შეაფასონ კანდიდატის წარსული ქცევა მომავალი ქცევების პროგნოზირების მიზნით.

- **STAR მეთოდი (სიტუაცია, ამოცანა, ქმედება, შედეგი):** ინტერვიუერები სთხოვენ კანდიდატებს, აღწერონ სიტუაციები, სადაც ეთიკური დილემის წინაშე, კონფლიქტურ ან სტრესულ გარემოში აღმოჩნდნენ. იმგვარი პასუხები, რომლებიც ავლენენ პასუხისმგებლობის არიდებას, მანიპულაციურობას ან კონფლიქტურობას, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც საყურადღებო ნიშნები;
- **სცენარული კითხვები:** კანდიდატებს სთავაზობენ ჰიპოთეტურ სიტუაციებს, რომლებიც ეთიკურ პრობლემებს, გუნდში კონფლიქტებს ან დროში შეზღუდულ დავალებებს ეხება. პასუხები ასახავს კანდიდატის პრობლემების გადაჭრის უნარს, ეთიკურ აღქმასა და ემოციურ სტაბილურობას;
- **მიკროექსპრესიები და არავერბალური ნიშნები:** გამოცდილი ინტერვიუერები აკვირდებიან ქვეცნობიერ ჟესტებს, რაც შესაძლოა მიუთითებდეს მოტყუებას, თავდაცვითობას ან პასუხისმგებლობის არიდებას. ზედმეტი თავდაჯერებულობა ან დამცინავი ტონი შესაძლოა უკავშირდებოდეს კონტრპროდუქტიულ მახასიათებლებს.

ქცევითი ინტერვიუები ფსიქომეტრიულ ტესტებთან კომბინაციაში ქმნის სრულყოფილ სურათს კანდიდატის შესაძლო ქცევითი რისკების შესახებ.

III. HR ანალიტიკა და AI ტექნოლოგიები რეკრუტინგში: პროგნოზირებადი მოდელების გამოყენება - ხელოვნური ინტელექტისა (AI) და მონაცემთა ანალიტიკის განვითარებასთან ერთად, HR პროფესიონალებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ პროგნოზირებადი მოდელები, რომლებიც აუმჯობესებს შერჩევის სიზუსტეს და ამცირებს რისკებს.

- **Machine Learning ალგორითმები:** ხელოვნური ინტელექტი აანალიზებს რეზიუმეებს, წარსულ სამუშაო გამოცდილებასა და სოციალურ ქსელში ქცევებს, რათა განსაზღვროს კანდიდატის შესაბამისობა ორგანიზაციულ კულტურასთან. ალგორითმები გამოავლენენ შეუსაბამობებსა და წინასწარი გაფრთხილების ნიშნებს;
- **NLP (ბუნებრივი ენის დამუშავება):** ენაზე დაფუძნებული ანალიტიკა აფასებს ტექსტში - როგორც რეზიუმეში, ისე ინტერვიუს ტრანსკრიპტში - გამოყენებულ ტერმინებს, რაც ავლენს ზედმეტ თავდაჯერებულობას, დაბალ პასუხისმგებლობას ან არაჯეროვნებას;
- **HR პროგნოზირებადი ანალიტიკა:** წარსული შეფასებებისა და თანამშრომელთა ქცევის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, გამოიკვეთოს წარმატებული თანამშრომლებისთვის დამახასიათებელი ნიშნები და გამოირიცხოს რისკის შემცველი პროფილები.

HR ანალიტიკისა და AI ტექნოლოგიების გამოყენებით, ორგანიზაციები ამცირებენ სუბიექტურ გადაწყვეტილებებს და ზრდიან შერჩევის სიზუსტეს, რაც კონტრპროდუქტიული ქცევების თავიდან აცილებას უწყობს ხელს.

IV. ადრეული ნიშნები არსებულ თანამშრომლებში: შეფასებები, უკუკავშირი და ორგანიზაციული კვლევები - თანამშრომლების დაქირავების შემდეგაც აუცილებელია მათი ქცევის მუდმივი მონიტორინგი. შეფასებები, თანატოლთა უკუკავშირი და ანონიმური გამოკითხვები, რაც ხელს უწყობს პრობლემური ქცევის ადრეულ იდენტიფიცირებას:

- **შესრულების შეფასება:** რეგულარული შეფასებები ასახავს თანამშრომლის პროდუქტიულობას, ვადების დაცვასა და გუნდურ თანამშრომლობას. გამუდმებული გაცდენები, უკუკავშირის მიუღებლობა ან ხარისხის მკვეთრი ვარდნა შესაძლოა მიუთითებდეს კონტრპროდუქტიულ ტენდენციებზე;

- **360-გრადუსიანი უკუკავშირი და თანაბარ პოზიციაზე მყოფთა შეფასება:** თანამშრომლები ხშირად აკვირდებიან ისეთ ქცევებს, რომელთაც მენეჯერები ვერ ამჩნევენ. ანონიმური შეფასებები ავლენს შესაძლო პრობლემებს, მათ შორის აგრესიას, მანიპულაციას ან არაეთიკურ ქცევებს;
- **დაკმაყოფილების და ჩართულობის კვლევები:** ანონიმური გამოკითხვები ასახავს თანამშრომელთა განწყობას და იძლევა ინფორმაციას იმ შესაძლო ფარულ ფაქტორებზე, რომლებიც დაკავშირებულია დისფუნქციურ ქცევებთან;
- **ქცევითი მონაცემების ანალიზი:** დაგვიანებების, შვებულების მოხმარების და დისციპლინური ზომების ტენდენციების შეფასება იძლევა ობიექტურ მონაცემებს კონტრპროდუქტიული ქცევის პროგნოზირებისთვის.

განგრძობადი მონიტორინგი იძლევა საშუალებას, დროულად ჩატარდეს კორექციული ჩარევა, როგორიცაა ქოუჩინგი, მედიაცია ან მიზანმიმართული ტრენინგები, რომლებიც ხელს უწყობს ქცევის კორექტირებას.

სამუშაოს შესრულების მართვის სისტემები: მოლოდინებისა და ანგარიშვალდებულების მკაფიოდ განსაზღვრა - კარგად სტრუქტურირებული შესრულების მართვის სისტემა, აუცილებელია სამუშაო გარემოში კონტრპროდუქტიული თვისებების შესამცირებლად. სამუშაოს აღწერილობის, მოლოდინებისა და ანგარიშვალდებულების მკაფიო განსაზღვრა უზრუნველყოფს იმას, რომ თანამშრომლებს ცხადად ესმოდეთ იმ ქცევითი სტანდარტების მნიშვნელობა, რომელსაც ორგანიზაცია ითხოვს. რეგულარული შეფასებები, მიზანზე ორიენტირებული შეხვედრები და უკუკავშირის სტრუქტურირებული სესიები, ადამიანური რესურსების სპეციალისტებს ეხმარება თანამშრომელთა ქცევის მონიტორინგსა და შესაძლო პრობლემების პრევენციულად იდენტიფიცირებაში.

შესრულების შეფასების კრიტერიუმების, ორგანიზაციულ ღირებულებებთან დაკავშირების მიზნით, HR განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ეთიკურობაზე, გუნდურ მუშაობასა და პასუხისმგებლობაზე, რითაც კონტროლდება ისეთ კონტრპროდუქტიულ ქცევებზე მიდრეკილება, როგორებიცაა უპასუხისმგებლობა, მანიპულაცია და წესების დარღვევა (Aguinis, 2013). ღია და სამართლიანი შეფასების სისტემის დანერგვით, ორგანიზაცია ამცირებს დასაქმებულთა მხრიდან უსამართლობის აღქმის ალბათობას, რაც ხშირად კონტრპროდუქტიული ქცევის წყაროა.

ტრენინგი და ქოუჩინგი: ემოციური ინტელექტის, ეთიკური ქცევის და გუნდური მუშაობის განვითარება - გრძელვადიანი ტრენინგი და ქოუჩინგი უმნიშვნელოვანესი საშუალებებია კონტრპროდუქტიული თვისებების შესამცირებლად და პოზიტიური სამუშაო კულტურის ფორმირებისთვის. ემოციური ინტელექტის (EI) ტრენინგი ხელს უწყობს თანამშრომლებს საკუთარი ემოციების მართვაში, ურთიერთობების გაუმჯობესებასა და თვითშეცნობაში. სწორედ ეს ფაქტორებია მნიშვნელოვან როლში კონფლიქტებისა და არაეთიკური ქცევის თავიდან ასაცილებლად (Goleman, 1998). ეთიკის ტრენინგი თანამშრომლებს აცნობიერებინებს ორგანიზაციულ სტანდარტებს, სამართლიანობის, სექსუალური შევიწროების და ა.შ. შესახებ, ხოლო გუნდური აქტივობები აძლიერებს თანამშრომლობას და ამცირებს ისეთი ნეგატიური თვისებების გამოვლინებას, როგორიცაა მანიპულაცია ან გადაჭარბებული კონკურენცია. HR-ის პრაქტიკაში ამ ტიპის ინიციატივების ინტეგრირება ორგანიზაციებს ეხმარება კონტრპროდუქტიული ქცევის პრევენციასა და მართვაში.

ლიდერობისა და მენეჯმენტის როლი: როგორ შეუძლიათ მენეჯერებს კონტრპროდუქტიული ქცევის მართვა ქოუჩინგისა და უკუკავშირის გზით -

მენეჯერები კრიტიკულ როლს ასრულებენ გუნდში კონტრპროდუქტიული ქცევის იდენტიფიცირებასა და მართვაში. ეფექტიანი ლიდერობა მოიცავს თანამშრომლებისთვის უწყვეტ უკუკავშირს, ქცევითი სტანდარტების ჩამოყალიბებასა და დროულ ჩარევას, როდესაც პრობლემური ქცევა ფიქსირდება. ლიდერობის ისეთი სტილი, რომელიც ათავსებს ავტორიტეტსა და ემპათიას, ეხმარება მენეჯერებს რთულ სიტუაციებში, ისე, რომ თანამშრომლები ნეგატიურად არ დაიტვირთონ. ტრანსფორმაციული ლიდერობა - რომელიც ფოკუსირებულია შთაგონებასა და მენტორობაზე, ამცირებს კონტრპროდუქტიული ქცევის გამოვლინებას იმით, რომ თანამშრომლებში ნდობისა და პატივის კულტურას ამკვიდრებს (Bass & Riggio, 2006). თუ მენეჯერებს ასწავლიან, როგორ ამოიცნონ საფრთხის ნიშნები, მაგალითად: ხშირი გაცდენა, კონფლიქტები ან დემოტივაცია, ისინი შეძლებენ პრობლემებზე დროულ რეაგირებას და მათი ესკალაციის პრევენციას.

ტოქსიკური ქცევის პრევენცია ინკლუზიური და გამჭვირვალე გარემოს შექმნით - ძლიერი ორგანიზაციული კულტურა აუცილებელია კონტრპროდუქტიული თვისებების მინიმალიზაციისთვის. კომპანიები, რომლებიც ხელს უწყობენ გამჭვირვალობას, ჩართულობას და თანამშრომელთა მხარდაჭერას, ნაკლებად ხვდებიან ტოქსიკური ქცევის ზემოქმედების ქვეშ. კულტურის გაძლიერების ინიციატივები, როგორიცაა ღია კომუნიკაციის პლატფორმები, თანამშრომელთა აღიარების პროგრამები და მრავალფეროვნების მხარდაჭერა, უწყობს ხელს კუთვნილების განცდას და ამცირებს არაეთიკური თუ მანიპულაციური ქცევის რისკს. ჩართულობის პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ აზრის დაფასებას, კარიერულ განვითარებას და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას, ზრდის თანამშრომელთა ერთგულებასა და სამუშაო კმაყოფილებას. ეს კი თავის მხრივ ამცირებს ისეთ ქცევებს, როგორებიცაა ტყუილი, საბოტაჟი ან მობინგი (Saks, 2006). HR-მა ყურადღება უნდა გაამახვილოს სამუშაოს კლიმატის გაუმჯობესებაზე, რათა ორგანიზაციაში ტოქსიკური ქცევა თავიდან იქნას აცილებული.

სასჯელი და ინტერვენციული სტრატეგიები - თუ კონტრპროდუქტიული ქცევა არსებობს, ის არ იცვლება და დესტრუქციული ხდება, პრევენციული ზომების მიღების შემდეგ, HR-ს ევალება მკაფიო დისციპლინური და ინტერვენციული ნაბიჯების გადადგმა. პროგრესული დისციპლინა, მოიცავს სიტყვიერ გაფრთხილებებს, წერილობით შენიშვნებს, შრომითი ურთიერთობის დროებით შეჩერებას, ან საბოლოოდ შეწყვეტას. ეს ყველაფერი აძლევს თანამშრომლებს შანსს შეცვალონ ქცევა. ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს მედიაცია და კონფლიქტების გადაჭრის მექანიზმები, რათა ურთიერთდაპირისპირება არ გადაიზარდოს ორგანიზაციულ კრიზისში. იმ შემთხვევაში თუ უფრო მძიმე ვითარებაა, თანამშრომელთა დახმარების პროგრამები (EAPs) სთავაზობენ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასა და კონსულტაციას იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც შესაძლოა ქცევის მიზეზი იყოს. HR-მა უნდა დააბალანსოს დისციპლინური ზომები, მხარდაჭერის პოლიტიკასთან, რათა პროცესი იყოს სამართლიანი და თანმხვედრი კომპანიის პოლიტიკასთან.

ძირითადი გზავნილები HR პროფესიონალებისთვის - თანამედროვე, სწრაფად, ცვალებად სამუშაო გარემოში, კონტრპროდუქტიული თვისებების იდენტიფიცირება და მართვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროდუქტიული და ეთიკური სამუშაო კულტურის შესანარჩუნებლად. კონტრპროდუქტიული ქცევები (CWBs), რომლებიც ხშირად დაკავშირებულია ისეთ პიროვნულ მახასიათებლებთან, როგორებიცაა ნარცისიზმი, მაკიაველიზმი, იმპულსურობა და დაბალი კეთილსინდისიერება, ორგანიზაციებისთვის იწვევს სამუშაოს პროცესის დარღვევას, თანამშრომელთა დემოტივაციას და ფინანსურ დანაკარგებს.

ადამიანური რესურსების პრევენციული სტრატეგიების დანერგვით, კომპანიები მნიშვნელოვნად ამცირებენ ამ რისკებს და აუმჯობესებენ ზოგად შედეგებს.

HR პროფესიონალები წამყვან როლს თამაშობენ სამუშაო კულტურის ფორმირებასა და კონტრპროდუქტიულ ქცევებთან დაკავშირებული რისკების შემცირებაში. საფუძვლიანი შერჩევის პროცესის, პიროვნული ტესტებისა და ქცევითი ინტერვიუს დაგეგმვის ჩათვლით, HR-ს შეუძლია შესაძლო საფრთხეების პროგნოზირება ჯერ კიდევ დაქირავებამდე. პარალელურად, მუდმივად მოქმედი შესრულების მართვის სისტემები, ლიდერების ქოუჩინგი და ემოციური ინტელექტისა და ეთიკური გადაწყვეტილების მიღების შესახებ ტრენინგები ეხმარება თანამშრომლებს ჯანსაღი ქცევის განვითარებაში. ძლიერი კორპორაციული კულტურა, რომელიც დაფუძნებულია ინკლუზიურობაზე, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებაზე გამოსადეგია ტოქსიკური ქცევის პრევენციისთვის.

HR პროფესიონალებმა, რომლებიც მიზნად ისახავენ სამუშაოს შესრულების მართვის გაუმჯობესებას, ყურადღება უნდა გაამახვილონ შემდეგ ასპექტებზე:

- **ადრეული გამოვლენა და ჩარევა:** HR ანალიტიკის, თანამშრომელთა უკუკავშირის და რეგულარული შეფასებების გამოყენება ქცევითი პრობლემების დროულად იდენტიფიცირებისთვის;
- **ლიდერობის ტრენინგი და ქოუჩინგი:** მენეჯერების დატრენინგება იმისთვის, რომ ეფექტიანად მოახდინონ კონტრპროდუქტიულ ქცევებზე რეაგირება;
- **ჩართულობის ინიციატივები:** ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ეთიკურ ქცევას, გუნდურ მუშაობასა და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას;
- **დისციპლინური პოლიტიკის გამჭვირვალეობა:** მკაფიო და სამართლიანი წესების ჩამოყალიბება კონტრპროდუქტიული ქცევის მიმართ, კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფით.

პრაქტიკულ და წინასწარ დაგეგმილ HR მიდგომებს შეუძლია უზრუნველყოს, რომ კონტრპროდუქტიულმა თვისებებმა არ შეუშალოს ხელი ორგანიზაციის წარმატებას. ანგარიშვალდებულებისა და მუდმივი განვითარების კულტურის ხელშეწყობით, HR პროფესიონალებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ სამუშაოს შესრულება და ხელი შეუწყონ ორგანიზაციის გრძელვადიან განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Goleman, D. (1998). *Working with Emotional Intelligence.* Bantam.

2. O'Boyle, E. H., Forsyth, D. R., Banks, G. C., & McDaniel, M. A. (2012). A meta-analysis of the Dark Triad and work outcomes: A social exchange perspective*. Journal of Applied Psychology, 97*(3), 557.

3. Salgado, J. F. (2002). The Big Five personality dimensions and counterproductive behaviors. *International Journal of Selection and Assessment, 10*(1-2), 117-125.

4. Aguinis, H. (2013). Performance Management. Pearson.

5. Bass, B. M., & Riggio, R. E. (2006). Transformational Leadership. Psychology Press.

6. Chamorro-Premuzic, T., Winsborough, D., Sherman, R. A., & Hogan, R. (2016). The datafication of talent: How AI is reshaping the workplace. Harvard Business Review.

7. Goleman, D. (1998). Working with Emotional Intelligence. Bantam.

8. O'Boyle, E. H., Forsyth, D. R., Banks, G. C., & McDaniel, M. A. (2012). A meta-analysis of the Dark Triad and work outcomes. Journal of Applied Psychology.

9. Roulin, N., & Krings, F. (2020). When paying attention pays off: The Dark Triad in structured interviews. Journal of Business and Psychology.

10. Saks, A. M. (2006). Antecedents and consequences of employee engagement. Journal of Managerial Psychology.

11. Goleman, D., Boyatzis, R., & McKee, A. (2002). Primal Leadership: Unleashing the Power of Emotional Intelligence. Harvard Business Review Press.

12. Boyatzis, R., & McKee, A. (2005). Resonant Leadership: Renewing Yourself and Connecting with Others Through Mindfulness, Hope, and Compassion. Harvard Business Review Press.

13. Freedman, J. (2007). At the Heart of Leadership: How to Get Results with Emotional Intelligence. Wiley.

14. Bass, B. M., & Riggio, R. E. (2006). Transformational Leadership. Psychology Press.

15. McIntosh, G. L., & Rima, S. D. (2007). The Dark Side of Leadership: Identifying and Overcoming the Paradox. Baker Books.

16. Sternberg, R. J. (Ed.). (2009). The Cambridge Handbook of Intelligence. Cambridge University Press.

17. Lubadneh, T. (2020). Emotional Intelligence and Leadership – The Dark and Bright Sides. ResearchGate.

ეთიკის საკითხები ბუღალტრულ აღრიცხვაში

Ethical issues in accounting

მანანა მჭედლიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
Manana Mchedlishvili
Caucasus International Univers
Academic Doctor of Economics, Associate Professor

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის მიხედვით, ეთიკის საკითხები ბუღალტრულ აღრიცხვაში. დახასიათებულია ძირითადი პრინციპები და კონცეპტუალური მიდგომები, რომლებიც პრაქტიკაში შეიძლება შეხვდეს ბიზნესში დასაქმებულ და საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ ბუღალტრებს; დასახულია გზები და ჩამოყალიბებულია დასკვნები თანამედროვე ციფრულ ეპოში პროფესიონალი ბუღალტრების როლსა და მნიშვნელობაზე; ნაშრომში საუბარია კოდექსში არსებულ გარკვეულ გარემოებებზე, საფრთხეების გამოვლენასა და დამცავ ზომებზე.

ახალმა გარემომ შეცვალა მოთხოვნები ბიზნესის მიმართ და გააჩინა ახალი შესაძლებლობები, განსაკუთრებით კი განვითარდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ინდუსტრია. ბუღალტრის პროფესია მუდმივად მოითხოვს თვითგანვითარებას, კერძოდ, კი ბუღალტერთა ეთიკის კოდექსში შესული ცვლილებების შესწავლას, გაანალიზებას და გამოყენებას იმ კომპანიებში სადაც ისინი საქმდებიან. კოდექსის მიხედვით ისინი ვალდებული არიან უარი განაცხადონ იმ ინტერესების დაცვაზე, რომელიც წარმოიქმნება კანონის ან სამართლიანობის დარღვევით. ასევე ეკრძალებათ შეუთავსებელი ქმედებები, რომლითაც ირღვევა კანონი და პროფესიული ეთიკის ნორმები.

მიგვაჩნია რომ ნებისმიერი ბუღალტერი უნდა ფლობდეს ბუღალტერთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ძირითად პრინციპებს და კონცეპტუალურ მიდგომებს, მათ უნდათ შეეძლოს საფრთხეების

გამოვლენა, შესაფერისი დამცავი ზომების მიღება, ანდა გამოვლენილი საფრთხეების მისაღებ დონემდე შემცირება. იმ შემთხვევაში კი თუ არ არსებობს საფრთხეებისთვის შესაფერისი ზომების გამოვლენა პროფესიონალმა ბუღალტერმა უარი უნდა თქვას ან შეწყვიტოს შესაბამისი პროფესიული საქმიანობა. ხოლო იმ შემთხვევაში კი თუ პროფესიონალი ბუღალტერი აღმოჩნდება უჩვეულო სიტუაციაში, როდესაც კოდექსის გამოყენება გამოიწვევს არაადეკვატურ შედეგს, რომელიც საზოგადოების ინტერესებს ეწინააღმდეგება. რეკომენდებულია, რომ პროფესიონალმა ბუღალტრებმა მიმართონ სათანადო მარეგულირებელ ორგანოს ან ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას კონსულტაციისთვის.

ჩვენი აზრით აუცილებელია საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და სრულყოფა. ასევე აუცილებელია ეფექტიანობის ინდიკატორების შემუშავება, რაც პრაქტიკოსებს მისცემს სწორი შეფასების გაკეთების საშუალებას. ეფექტიანობის კრიტერიუმებად შეიძლება განისაზღვროს როგორც უცხოური გამოცდილება, ასევე ანალოგიური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების საუკეთესო პრაქტიკა.

ამრიგად, ბუღალტერთათვის ძალიან მნიშვნელოვანია ეთიკური კოდექსის დებულებების და წესების დაცვა. დადგენილი ნორმების დარღვევით ბუღალტერს შესაძლებელია ჩამოერთვას პროფესიული საქმიანობის ლიცენზია და გაირიცხოს საბუღალტრო ორგანიზაციის წევრობიდან.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული ეთიკა, ობიექტურობა, პროფესიული ქცევა, კონფედენციალურობა, ინტერესთა კონფლიქტი.

Abstract. The paper discuss ethical issues in accounting according to the Code of Ethics for Accountants. The main principles and conceptual approaches that accountants employed in business and engaged in public practice may encounter in practice are described; Paths are outlined and conclusions are drawn on the role and importance of professional accountants in the modern digital era; The paper discuss certain circumstances in the Code, identifying threats, and protective measures.

The new environment has changed the demands on businesses and created new opportunities, especially the information technology industry. The accounting profession constantly requires self-development, in particular, studying, analyzing, and applying changes to the Code of Ethics for Accountants in the companies where they work. According to the Code, they are obliged to refuse to protect interests that arise from a violation of law or justice. Incompatible actions that violate the law and professional ethics are also prohibited**;** We believe that any accountant should possess the basic principles and conceptual approaches of the Code of Professional Ethics for Accountants, they need to be able to identify threats, take appropriate protective measures, or reduce identified threats to an acceptable level. If there is no appropriate response to the threats, the professional accountant should refuse or cease the relevant professional activity. And in the event that a professional accountant finds himself/herself in an unusual situation where the application of the Code would lead to an inadequate result that is contrary to the public interest. It is recommended that professional accountants contact the appropriate regulatory body or a member organization of the IPA for advice. In our opinion, it is necessary to refine and improve the existing legislative framework in Georgia. It is also necessary to develop performance indicators that will allow practitioners to make accurate assessments. Criteria for effectiveness can be defined as both foreign experience and best practices of bodies carrying out similar activities.

Therefore, it is very important for accountants to adhere to the provisions and rules of the code of ethics. For violating established norms, an accountant may be deprived of his or her professional license and expelled from membership in an accounting organization.

Key words: professional ethics, objectivity, professional behavior, confidentiality, conflict of interest.

შესავალი. ბუღალტერი არის სპეციალისტი, რომელსაც ევალება მონაწილეობა მიიღოს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებაში. იგი აანალიზებს და ამოწმებს ბუღალტრულ ტრანზაქციებს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან. რა თქმა უნდა ყველა ბუღალტერი არ არის არაკეთილსინდისიერი მაგრამ, როდესაც ეთიკა ირღვევა, ამან შეიძლება კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს. ეთიკის წარმოშობა ბუღალტრულ აღრიცხვაში უკავშირდება 2001 წელს ისტორიაში ყველაზე ცნობილ თაღლითობის და კორუფციის სკანდალს, რომელიც ცნობილია ენრონის სკანდალის სახელწოდებით. სადაც შერჩეულ იქნა რთული სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლების გაბერვის

მიზნით. დამალული ვალები კი გარე საბალანსო ანგარიშებზე იყო ასახული, წარმოებდა ფარული აქციებით ვაჭრობა და რის შედეგადაც შეცდომაში შეყვანილ იქნენ ინვესტორები. ენრონის კრახმა 60 მილიარდიანი დანაკარგით უარყოფითი გავლენა იქონია ინვესტორებზე 5600 თანამშრომელზე, რომელთა საპენსიო ანგარიშები განადგურდა.[300] ამ სკანდალის დროს გამოიკვეთა დამნაშავენი: უმაღლესი რანგის წარმომადგელები, აუდიტორები, რომელნიც გულგრილი იყვენეს საქმესთან მიმართებაში და ბუღალტერები რომელნიც უშუალოდ მონაწილეობდენ ფინანსური ანგარიშგების შედგენაში. შემდეგი სკანდალი კი უკავშირდება, ფინანსური ინფორმაციის არასწორად წარდგენას მოგების გაზრდის მიზნით. 2002 წელს ცნობილია, როგორც ვორლდკომის სკანდალი.

ძირითადი ნაწილი. ბუღალტრულ აღრიცხვაში პროფესიული ეთიკა არსებობს არაკეთილსინდისიერი ბუღალტრებისაგან საზოგადოების დასაცავად. თავდაპირველად ბუღალტრები არავის წინაშე არ იყვნენ ვალდებულნი გაესაჯაროებინათ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. 1929 წლამდე არ არსებობდა ბუღალტერთა პროფესიული ეთიკის სტანდარტები. რობერტ ჰ.ჰერცი აღნიშნავს, რომ: "აღრიცხვის ანგარიშგების და ინფორმაციის გასაჯაროების ოფიციალური სტანდარტების შემუშავების იდეა წარმოიშვა 1929 წლის საფონდო ბირჟის კრახისა და დიდი დეპრესიის შემდეგ. ამ იდეამ მოიტანა აშშ-ში ბირჟების და ფასიანი ქაღალდების კომისიის შექმნა. მომდევნო წლებში კი უფრო მეტი სტანდარტი და ეთიკური ნორმა იყო შემუშავებული და პრაქტიკაში დანერგილი".[301]

ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ადგენს სტანდარტებს და შეიმუშავებს საერთაშორისო მაშტაბით გამოსაყენებელ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსს პროფესიონალი ბუღალტრებისთვის. სტანდარტების საბჭოს მიზანია ემსახუროს საზოგადოების ინტერესებს პროფესიონალი ბუღალტრებისთვის უმაღლესი ხარისხის ეთიკის სტანდარტების შექმნით და დამკვიდრებით კომპანიებში. სტანდარტების საბჭოს ევალება, რომ სატნდარტების შემუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობა იყოს გამჭირვალე და იმუშაოს საზედამხედველო საბჭოს მიერ დამტკიცებული პროცედურული პროცესის შესაბამისად. ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო დაკომპლექტებულია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებით. კერძოთ, 18 წევრით, რომელთაგან 9 წევრი პრაქტიკოსი პროფესიონალი ბუღალტერია. კოდექსი 40-ზე მეტ ენაზეა ნათარგმნი. კოდექსი შედგება 4 ნაწილისგან. მისი სტრუქტურა ასეთია:

პირველ ნაწილში- განხილულია ძირითადი პრინციპები და კონცეპტუალური მიდგომები.

მეორე ნაწილში-ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრების პროფესიული საქმიანობის განხორციელება.

მესამე ნაწილში-საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრების პროფესიული მომსახურების შესრულება, და

მეოთხე ნაწილში-განხილულია დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც ეხება საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალი ბუღალტრების მარწმუნებელი მომსახურების შესრულებას.

კოდექსში განხილულია ბუღალტრების ორი კატეგორია ბიზნეში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრები და საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრები. ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრები მუშაობენ დაქირავებით ან

[300] წყარო: ლ.საბაური, ნ.კვატაშიძე შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში, თბილისი 2023. გვ. 39-40

[301] წყარო: ლ.საბაური, ნ.კვატაშიძე შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში, თბილისი 2023. გვ. 41-42

სხვა სახელშეკრულებო პირობებით შემდეგ სფეროებში: ვაჭრობა, მრეწველობა ან მომსახურეობა, საჯარო სექტორი, განათლება, მარეგულირებელი ან პროფესიული ორგანიზაციები. ხოლო საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი არის ნებისმიერი პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც პროფესიულ მომსახურებას ეწევა აუდიტში, საგადასახადო და საკონსულტაციო სფეროში. კოდექსში განსაზღვრულია ხუთი ძირითადი პრინციპი, რომლებიც ყველა პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა დაიცვას. გარდა ამისა კოდექსი შეიცავს კონცეპტუალურ საფუძვლებს, რომლებიც მიდგომას ქმნის, რომლის გამოყენება სავალდებულოა ძირითადი პრინციპების, აუდიტის და სხვა მარწმუნებელ გარიგებებში; ასევე დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილი საფრთხეების გამოსავლენად, შესაფასებლად და მათზე რეაგიებისთვის. ამასთან ზემოაღნიშნული ძირითადი პრინციპები და კონცეპტუალური მიდგომები გამოიყენება ფართო სპექტრის ფაქტებისა და გარემოებების მიმართ, რომლებიც შეიძლება პრაქტიკაში შეხვდეს, როგორც ბიზნესში დასაქმებულ, ისე საზოგადოებრივ პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალ ბუღალტრებს. ნებისმიერი ბუღალტრისთვის, ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის მიხედვით, სავალდებულოა შემდეგი პრინციპების დაცვა:

პატიოსნება-იყოს პირდაპირი და კეთილსინდისიერი ყველა სახის პროფესიულ და საქმიან ურთიერთობაში.

ობიექტურობა-მიმართოს პროფესიულ ან საქმესთან დაკავშირებულ განსჯას ისე, რომ არ დაუშვას კომპრომისი მიკერძოების და ინტერესთა კონფლიქტის.

პროფესიული კომპეტენცია და სათანადო გულისხმიერება- შეიძინოს და შეინარჩუნოს პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ისეთი დონე, რაც აუცილებელია დამკვეთის ან დამქირავებელი ორგანიზაციის კომპეტენტური პროფესიული მომსახურებისათვის, რომელიც დაფუძნებული იქნება თანამედროვე ტექნიკურ და პროფესიულ სტანდარტებსა და შესაფერის კანონმდებლობაზე. **კონფედენციალურობა**-დაიცვას პროფესიული და საქმიანი ურთიერთობის დროს მიღებული ინფორმაციის კონფედენციალურობა.

პროფესიული ქცევა- დაიცვას სათანადო კანონები და სხვა მარეგულიებელი ნორმები; ნებისმიერი სახის პროფესიული საქმიანობისას და საქმიან ურთიერთობებში მოიქცეს ისე, როგორც შეეფერება პროფესიის პასუხისმგებლობას- იმოქმედოს საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ და თავი აარიდოს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მის პროფესიას დისკრედიტაციას გაუწევს.

პროფესიონალი ბუღალტრების მუშაობის პროცესში ერთი გარემოება შესაძლებელია რამდენიმე საფრთხის წარმოქმნის მიზეზი გახდეს, და პირიქით ერთმა საფრთხემ შესაძლოა გავლენა იქონიოს რამდენიმე ძირითადი პრინციპის დაცვაზე.

საფრთხე ვლინდება იმ შემთხვევაში როდესაც:

ა) პრაქტიკოს ბუღალტერს ფინანსური ინტერესი აქვს დამქირავებელ ორგანიზაციასთან სესხის, გარანტიის მიღების სურვილით;

ბ) ბუღალტერს ხანგრძლივი კავშირი აქვს იმ პირებთან, რომლებიც განლენას ახდენენ კომპანიის ბიზნეს გადაწყვეტილებებზე;

გ) პრაქტიკოსი ვერ თანხმდება ხელმძღვანელობასთან ბუღალტრული აღრიცხვის ამა თუ იმ პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით;

დ) პროფესიონალი ბუღალტერი ეწევა მისი დამკვეთის აქციების პოპულარიზაციას, ან ლობირებს კანონმდებლობას კლიენტის სასარგებლოდ; ე)პროფესიონალი ბუღალტერის ახლო ნათესავი ან ოჯახის წევრი დამკვეთის დირექტორი ან თანამდებობს პირია;

ვ) პროფესიონალ ბუღალტერს ემუქრებიან, რომ უარს ეტყვიან ამა თუ იმ დამკვეთის გარიგებაში მინაწილეობაზე ან დაითხოვენ ფირმიდან, პროფესიულ საკითხებზე უთანხმოების გამო;

ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის მიხედვით არსებობს გარკვეული გარემოებები, რომელიც გამოყენებადია როგორც ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრებისთვის ასევე საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრების მხრიდან;

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ინტერესთა კონფლიქტი (210)-როდესაც ბუღალტერი პასუხისმგებელია მომწოდებლის შერჩევაზე და მისი ოჯახის წევრმა შესაძლოა ფინანსური სარგებელი მიიღოს ამ ხელშეკრულებიდან. ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა შეიქმნას როდესაც: საქმიანობა დაკავშირებულია ორ ან რამდენიმე მხარეთან, რომელთა ინტერესები ამ საკითხთან მიმართებით წინააღმდეგობაშია ან ბუღალტრის ინტერესები წინააღმდეგობაშია დამსაქმებელთან. აღნიშნული გარემოება საფრთხეს უქმნის ობიექტურობის პრინციპს. მაგალითად, ბუღალტერი მუშაობს ორ ორგანიზაციაში, ერთი ორგანიზაციიდან იღებს ისეთ კონფედენციალურ ინფორმაციას, რომლის გამოყენებაც შეუძლია მეორის სასარგებლოდ ან საზიანოდ, ასევე ბუღალტერს ევალება ორგანიზაციისთვის მომწოდებლის შერჩევა, როდესაც ამ ოპერაციიდან მისი ოჯახის წევრმა, შესაძლოა მიიღოს ფინანსური სარგებელი; **ფინანსური ინფორმაციის მომზადება და წარგდენა (220)**- ბუღალტრის დამკვეთისთვის ან ფირმისთვის. ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენის დროს წარმოიშვება გარკვეული საფრთხეები, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის მიერ არასწორი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების შემთხვევაში, ასევე ბუღალტერი როდესაც ეყრდნობა სხვების მიერ შესრულებულ სამუშაოს ანდა რეაგირებს ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც მცდარია.

წახალისების შეთავაზება (250)- ფირმის მომწოდებლისგან. წახალისება არის რაიმე საგანი, სიტუაცია ან ქმედება რომელიც გამოიყენება სხვა პირის ქცევაზე ზემოქმედების საშუალებად; წახალისება საფრთხეს უქმნის შემდეგ პრინციპებს: პატიოსნება, ობიექტურობა და პროფესიული ქცევა. პროფესიონალმა ბუღალტერმა არავის არ უნდა შესთავაზოს ისეთი წახალისება, რომელიც გონიერი მესამე მხარის მიერ შეფასებული იქნება, რომ განხორციელდა წახალისების მიმღების ან სხვა პირის ქცევაზე მიზანშეუწონელი გავლენის მოხდენა. მიზანშეუწონლობის განსასაზღვრად განიხილება შემდეგი ფაქტორები:

ა) წახალისწების ხასიათი, სიხშირე, ღირებულება.

ბ) დროის მომენტი როდის განხორციელდა შეთავაზება.

გ) იმ პირთა როლი და თანამდებობა, ვინც სთავაზობს ან ვისაც სთავაზობენ.

დ) პროფესიული საქმიანობის დამახასიათებელი ნაწილია, მაგალითად საქმიან შეხვედრაზე საუზმე.

ე) რამდენად გამჭირვალედ მოხდა წახალისების შეთავაზება, და შემთავაზებელი პირის წარსული ან რეპუტაცია.

ზეწოლა ეთიკის ძირითად პინციპებზე (270)- იმის თაობაზე, რომ პროფესიონალმა ბუღალტერმა არასწორი რაოდენობის ასანაზღაურებელი საათები აჩვენოს ანგარიშში, ამა თუ იმ დამკვეთისთვის შესრულებულ გარიგებასთან დაკავშირებით. ზეწოლის განმახორციელებელი შეიძლება იყოს როგორც ორგანიზაციის გარეთ, ასევე ორგანიზაციაში დასაქმებული პირები. ზეწოლა შეიძლება იყოს აშკარა-სიტყვიერი, უსიტყვო-ქმედებით გამოხატული. არსებობს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული, ინფორმაციის მომზადებაზე და წარდგენაზე, ფინანსურ ინტერესებთან, წახალისებასთან, კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებული ზეწოლა. რომელნიც საფრთხეს უქმნიან ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვას.

პროფესიული დანიშვნა (320) - ახალ დამკვეთთან ან არსებული გარიგების შეცვლაზე დათანხმებამ შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ქცევის პრინციპების დაცვას. პატიოსნება ან პროფესიული ქცევა ითვალისწინებს მაგალითად, დამკვეთის მონაწილეობას უკანონო საქმიანობაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში გასათვალისწინებელია შესაფერისი ფაქტორები: ა)დამკვეთის და მისი საქმიანობის შესწავლა, ბ)ინფორმაცია დამკვეთის მესაკუთრეებსა და ხელმძღვანელობის შესახებ, გ)დამკვეთის მიერ აღებული ვალდებულება, რომელიც საეჭვო საკითხების გადაჭრას ეხება. საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალ ბუღალტრებს ანგარების საფრთხე შეექმნებათ თუ გუნდს არ გააჩნია ან არ შეუძლია შეიძინოს მოცემული პროფესიული მომსახურების სათანადოდ შესასრულებლად აუცილებელი კომპონენტები, ამის თავიდან ასაცილებლად კი საჭიროა შესაფერისი ფაქტორების გათვალისწინება: დამკვეთის საქმიანობის/ ბიზნესის სპეციფიკის შესწავლა; კონკრეტული გარიგების მოთხოვნის გაცნობა და მისი ოპერაციის სირთულის შესწავლა; შესასრულებელი სამუშაოს მიზნის, ხასიათისა და მაშტაბის შეფასება.

პროფესიული საზღაური (330) - ეთიკის კოდექსში გამოყოფილია საზღაურის შემდეგი დონეები: 1)პროფესიული საზღაურის დონე-რომელიც გავლენას ახდენს ბუღალტრის შესაძლებლობებზე, 2)პირობითი საზღაური, რომელიც გამოიყენება ზოგიერთი ტიპის არამარწმუნებელი მომსახურებისთვის, რამაც შესაძლოა ანგარების საფრთხე შეუქმნას ობიექტურობის პრინციპის დაცვას, 3)საშუამავლო საზღაური ან საკომისიო- თუ პროფესიონალი ბუღალტერი იხდის ან იღებს საშუამავლო საზღაურს, ან იღებს საკომისიო გადასახდელს დამკვეთთან დაკავშირებით, ამან შესაძლოა ანგარების საფრთხე შეუქმნას ეთიკის პრინციპების დაცვას.

დამკვეთის აქტივების შენახვა (350) - პროფესიონალმა ბუღალტერმა თავის თავზე არ უნდა აიღოს დამკვეთის ფულის ან სხვა აქტივების შენახვის პასუხისმგებლობა, თუ ამის გაკეთება ნებადართული არ არის კანონით. ამ დროს წარმოიქმნება ანგარების საფრთხე და ირღვევა პროფესიული ქცევის და ობიექტურობის პრინციპები. იმ შემთხვევაში როდესაც საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული ბუღალტერი ახალ დამკვეთს აიყვანს და გარიგებაზე დათანხმდება უნდა გამოიკვლიოს აქტივების წყარო და გაითვალისწინოს შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ვალდებულებები. წყაროს გამოკვლევის შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელოს 260 მუხლით (რეაგირება კანონმდებლობის დარღვევაზე), და უნდა დაიცვას ყველა შესაფერისი კანონი, ეს აქტივები უნდა იყოს განცალკევებული პირადი და ფირმის აქტივებისგან; აქტივები მხოლოდ დანიშნულებისამებრ უნდა გამოიყენოს და ყოველთვის მზად უნდა იყოს ამ აქტივებისა და ნებისმიერ შემოსავალზე, დივიდენდებსა თუ ამ აქტივებიდან მიღებულ მოგებაზე ანგარიშის ჩასაბარებლად.

დასკვნა. დღევანდელი მდგომარეობით ბაზარზე მაღალია მოთხოვნა, როგორც ბიზნესში დასაქმებულ ბუღალტერზე, ასევე საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალ ბუღალტერზე. ეს არის პროფესია რომელიც მუდმივად მოითხოვს თვითგანვითარებას, კერძოდ, კი ბუღალტერთა ეთიკის კოდექსში შესული ცვლილებების შესწავლას, გაანალიზებას და გამოყენებას იმ კომპანიებში სადაც ისინი საქმდებიან. კოდექსის მიხედვით ისინი ვალდებული არიან უარი განაცხადონ იმ ინტერესების დაცვაზე, რომელიც წარმოიქმნება კანონის ან სამართლიანობის დარღვევით. ასევე ეკრძალებათ შეუთავსებელი ქმედებები, რომლითაც ირღვევა კანონი და პროფესიული ეთიკის ნორმები.

მიგვაჩნია რომ ნებისმიერი ბუღალტერი უნდა ფლობდეს ბუღალტერთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ძირითად პრინციპებს და კონცეპტუალურ მიდგომებს, მათ უნდათ შეეძლოს საფრთხეების გამოვლენა, შესაფერისი დამცავი ზომების მიღება, ანდა გამოვლენილი საფრთხეების მისაღებ დონემდე შემცირება. იმ შემთხვევაში კი თუ არ არსებობს საფრთხეებისთვის შესაფერისი ზომების გამოვლენა პროფესიონალმა ბუღალტერმა უარი უნდა

თქვას ან შეწყვიტოს შესაბამისი პროფესიული საქმიანობა. ხოლო იმ შემთხვევაში კი თუ პროფესიონალი ბუღალტერი აღმოჩნდება უჩვეულო სიტუაციაში, როდესაც კოდექსის გამოყენება გამოიწვევს არაადეკვატურ შედეგს, რომელიც საზოგადოების ინტერესებს ეწინაარმდეგება. რეკომენდებულია, რომ პროფესიონალმა ბუღალტრებმა მიმართონ სათანადო მარეგულირებელ ორგანოს ან ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას კონსულტაციისთვის.

მიუხედავად იმისა რომ, ბუღალტერთა ეთიკის კოდექსში ყოველწლიურად მიმდინარეობს ცვლილებები, მიგვაჩნია რომ ხშირ შემთხვევაში საკანონმდებლო ხარვეზები წარმოადგენს აუდიტის არაეფექტურად ჩატარების მიზეზს, ჩვენი აზრით აუცილებელია საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და სრულყოფა. ასევე აუცილებელია ეფექტიანობის ინდიკატორების შემუშავება, რაც პრაქტიკოსებს მისცემს სწორი შეფასების გაკეთების საშუალებას. ეფექტიანობის კრიტერიუმებად შეიძლება განისაზღვროს როგორც უცხოური გამოცდილება, ასევე ანალოგიური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების საუკეთესო პრაქტიკა. ახალმა გარემომ შეცვალა მოთხოვნები ბიზნესის მიმართ და გააჩინა ახალი შესაძლებლობები, განსაკუთრებით კი განვითარდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ინდუსტრია. მიგვაჩნია რომ ეფექტური აუდიტის ჩატარების პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი ძირითადი კომპონენტების გათვალისწინება:[302]

- მოცულობითი მონაცემთა ბაზის მართვის შესაძლებლობა
- ხელოვნური ინტელექტი
- BI ანალიზური რეპორტების გამოყენების შესაძლებლობა
- შიდა პროცესების ავტომატიზაციის შესაძლებლობა
- რობოტიზაცია
- Cloud სისტემის დანერგვა სააღრიცხვო პროცესში და მისი მართვა

ამრიგად, ბუღალტერთათვის ძალიან მნიშვნელოვანია ეთიკური კოდექსის დებულებების და წესების დაცვა. დადგენილი ნორმების დარღვევით ბუღალტერს შესაძლებელია ჩამოერთვას პროფესიული საქმიანობის ლიცენზია და გაირიცხოს საბუღალტრო ორგანიზაციის წევრობიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საბაური ლ.კვატაშიძე ნ. (2023) შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში, გამომცემლობა შპს „ფორმა“ გვ.39-46; გვ. 41-42
2. ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის, IFAC, ბაფ, თბილისი, 2022
3. ღვალაძე ნ.(2024) განგრძობითი სწავლება. ეთიკის კოდექსის პრაქტიკაზე დაფუძნებული სემინარი
4. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. (2022). https:// saras.gov.ge. Retrieved from https://saras.gov.ge/Content/ files/SARAS%20AR22-2.pdf.
5. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2023-2026 წლების სტრატეგია. (2023, August 30). saras.gov.ge. Retrieved from saras.gov.ge.
6. https://awgm.ru/ka/professionalnaya-etika-buhgaltera-buhgalterskaya-professiya-i.html
7. https://www. Gfpaa.geGfpaa.gehttps://gfpaa.g
8. https://mfac.gradstudies.yorku.ca//
9. https://www.cpacanada.ca/en/foresight-initiative/trust-and-ethics/complexity-guidance-ethical-decision-making

[302] https://awgm.ru/ka/professionalnaya-etika-buhgaltera-buhgalterskaya-professiya-i.html

10. https://saras.gov.ge/ 2
11. https://matsne.gov.ge/ka 202.
12. https://www.cpacanada.ca/en/foresight-initiative/trust-and-ethics/mindsets-professional-accountants

დისტანციური ბანკინგი და ბიზნეს პროცესების ციფრული ტრანსფორმაცია
Remote banking and digital transformation of business processes

ნინო ხიდირბეგიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ფინანსების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ლუკა დიმიტრიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მაგისტრანტი
Nino Khidirbegishvili
Georgian Technical University
Doctor of Finance, Associate Professor
Luka Dimitrishvili
Georgian Technical University
Master's Student

აბსტრაქტი.საბანკო მომსახურების სისტემაში ფინანსური ტექნოლოგიების ციფრული ტრანსფორმაცია უზრუნველყოფს საბანკო ოპერაციების ხელმისაწვდომობას 24/7, აფართოებს თვითმომსახურების არხების დიაპაზონს, ზრდის ბიზნეს პროცესების ავტომატიზაციას და ხელს უწყობს საბანკო ეფექტურობის ზრდას. დისტანციური ციფრული სერვისები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს საკრედიტო ბაზარზე გაცილებით ეფექტურს ხდის კორპორატიული კლიენტების მომსახურების დონეს.
საკვანძო სიტყვები: საბანკო სერვისები, ტრანსფორმაცია, ციფრული ტექნოლიგიები, კორპორატიული კლიენტები, პერსონალური მომსახურება.

Abstract. The modern financial environment is characterized by the rapid spread of digital financial services. The digital transformation of financial technologies in the banking system ensures the availability of banking operations 24/7, expands the range of self-service channels, increases the automation of business processes and contributes to the growth of banking efficiency. Remote digital services, which are presented in the Georgian credit market, make the level of service to corporate clients much more efficient.
Keywords: Banking services, transformation, digital technologies, corporate clients, personal services.

ძირითადი ნაწილი. საბანკო სერვისების ციფროვიზაცია გახდა როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ვინაიდან კორპორატიული კლიენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ფინანსური ტრანზაქციების სიჩქარე, მოხერხებულობისა და უსაფრთხოების მაღალი ხარისხი, საბანკო სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა წარმატებული ბიზნესის განუყოფელი ნაწილი გახდა.

1. კლიენტების მომსახურების ციფროვიზაციის პროცესი: ქაღალდის დოკუმენტებიდან ონლაინ სერვისებამდე.

გასულ წლებში, ბანკში კორპორატიული კლიენტების მომსახურების მრავალი პროცესი დაკავშირებული იყო ქაღალდის დოკუმენტაციასთან და ფილიალებში პერსონალურ ვიზიტებთან. დღეს, ონლაინ ბანკინგისა და მობილური აპლიკაციების დანერგვით, მრავალი ტრანზაქციის შესრულება შესაძლებელია ოფისის დატოვების გარეშე. ურთიერთქმედებების ციფროვიზაცია მოიცავს:

✓ ონლაინ ბანკინგს ბიზნესისთვის: მსხვილი ბანკები გვთავაზობენ სპეციალიზებულ ონლაინ პლატფორმებს, რომელთა საშუალებითაც კომპანიებს შეუძლიათ მართონ საკუთარი ანგარიშები, განახორციელონ გადარიცხვები, გააკონტროლონ ფულადი ოპერაციები და მიიღონ რეპორტები.

✓ მობილურ აპლიკაციებს: უზრუნველყოფს წვდომას ანგარიშებზე და ტრანზაქციებზე, რაც აადვილებს კომპანიის ფინანსურ მენეჯმენტს.

✓ ელექტრონულ ხელმოწერას: ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების ხელმოწერის პროცესის დასაჩქარებლად, ბანკებმა დანერგეს ელექტრონული ხელმოწერის სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს კლიენტებს ხელი მოაწერონ დოკუმენტებს დისტანციურად და ფიზიკური დასწრების გარეშე.

2. ბიზნეს პროცესის ავტომატიზაცია.

ციფრული ტექნოლოგიები არა მხოლოდ ამარტივებს ბანკის კორპორატიულ კლიენტებთან ურთიერთობას, არამედ ხელს უწყობს მრავალი ბიზნეს პროცესის ავტომატიზაციას, რაც ამცირებს სტანდარტული ოპერაციების შესასრულებლად საჭირო დროს და ამცირებს ადამიანურ შეცდომებს.

✓ ონლაინ შეძენა: ბიზნესისითვის შესაძლებელი გახდა გადახდის მიღება საკუთარ ვებსაიტებზე და პლატფორმებზე. ეს საშუალებას აძლევს მომხმარებლებს განახორციელონ შესყიდვები ან გადაიხადონ მომსახურების საფასური სწრაფად და უსაფრთხოდ.

✓ პროცესების რობოტიზაცია: ბანკების უმრავლესობა იყენებს ტექნოლოგიებს რუტინული ამოცანების ავტომატიზაციისთვის, როგორიცაა გადახდების გადამოწმება, სესხის განაცხადების დამუშავება ან დოკუმენტაციის განხილვა. აღნიშნული ამცირებს ხარჯებს და ზრდის საოპერაციო ეფექტურობას.

✓ მონაცემთა ანალიტიკა: ბანკები იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს და მანქანურ სწავლებას ტრანზაქციის მონაცემების გასაანალიზებლად, რაც ეხმარება კომპანიების ფინანსური მოთხოვნების პროგნოზირებაში და თითოეული კლიენტისთვის პერსონალური გადაწყვეტილებების შეთავაზებაში.

3. საკრედიტო პროცესების დაჩქარება.

ბანკების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს კორპორატიული კლიენტების დაკრედიტება. ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით სესხების გაცემის პროცესი გაცილებით სწრაფი და მოსახერხებელი გახდა.

✓ ონლაინ სესხის განაცხადები: დღეს შესაძლებელია სესხის განაცხადის ონლაინ გაგზავნა და წინსწრებით დროის რეალურ რეჟიმში კრედიტის დამტკიცება. ბანკისთვის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება სირთულეს არ წარმოადგენს, აღნიშნულის მიღება შესაძლებელია როგორც ღია წყაროებიდან ასევე უშუალოდ თავად ბანკის მონაცემთა ბაზიდან.

✓ კრედიტუნარიანობის ანალიზი: თანამედროვე ბანკები იყენებენ დიდ მონაცემებს და ალგორითმებს (სქორინგს და გაკოტრების ალბათობის მოდელებს) რისკების სწრაფად გასაანალიზებლად, რაც მათ საშუალებას აძლევს შესთავაზონ კლიენტს ყველაზე ხელსაყრელი პირობები და შეამცირონ გადაწყვეტილების მიღების დრო.

4. უსაფრთხოება და მონაცემთა დაცვა.

ციფრული ტრანზაქციების ზრდასთან ერთად, ბანკები უფრო აძლიერებენ კლიენტების მონაცემების დაცვას.

✓ ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში მეტად მნიშვნელოვანი გახდა, ისეთი ასპექტები, როგორიცაა: მრავალდონიანი ავთენტიფიკაცია-ონლაინ სერვისებზე წვდომისთვის,

კორპორატიულმა კლიენტებმა უნდა გაიარონ იდენტურობის გადამოწმების რამდენიმე ეტაპი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის უსაფრთხოების დონეს.

✓ მონაცემთა დაშიფვრა: დაშიფვრის თანამედროვე ალგორითმების გამოყენება ხელს უწყობს ტრანზაქციისა და საბანკო ანგარიშის ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომისგან.

✓ თაღლითობის მონიტორინგი და პრევენცია: AI ტექნოლოგიების დახმარებით ბანკებს შეუძლიათ რეალურ დროში გააკონტროლონ საეჭვო ტრანზაქციები და თავიდან აიცილონ შესაძლო თაღლითური ქმედებები.

5. პერსონალური სერვისები.

ციფროვიზაცია ბანკებს კორპორატიული კლიენტებისთვის პერსონალური შეთავაზებების გაკეთების საშუალებას აძლევს. ანალიტიკისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შესაძლებელია მომხმარებლის მოთხოვნების განსაზღვრა.

✓ ინდივიდუალური პროდუქტის შეთავაზებები: მაგალითად, წინა ტრანზაქციებისა და მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე, ბანკები კლიენტებს სთავაზობენ სესხის უფრო ხელსაყრელ პირობებს ან ოპტიმიზირებულ ტარიფებს.

✓ ჩატბოტები და ვირტუალური ასისტენტები: ბანკების უმრავლესობა იყენებს ჩატბოტებს, რომლებსაც შეუძლიათ უპასუხონ კლიენტების კითხვებს 24/7, დახმარება გაუწიონ ტექნიკურ საკითხებში ან დააკავშირონ ბანკის შესაბამის სპეციალისტებთან.

6. გარე სერვისებთან და პარტნიორებთან ინტეგრაცია.

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ასევე შესაძლებელს ხდის საბანკო სერვისების ინტეგრირებას სხვა გარე სერვისებთან, როგორიცაა ბუღალტერია, ERP სისტემები და პროექტების მართვის სისტემები. ეს საშუალებას აძლევს კორპორატიულ კლიენტებს განახორციელონ ფინანსური ტრანზაქციები უშუალოდ ამ სისტემებიდან, რაც ამცირებს მონაცემთა ხელით შეყვანის საჭიროებას და ზრდის გამოთვლების სიზუსტეს.

საქართველოს წამყვანი ბანკები, **„თიბისი ბანკი“ და „საქართველოს ბანკი“**, აქტიურად ნერგავენ ციფრულ ტექნოლოგიებს კორპორატიული კლიენტების მომსახურების გასაუმჯობესებლად.

თიბისი ბანკი კორპორაციულ კლიენტებს სთავაზობს ელექტრონული ხელმოწერის სერვისს, რომელიც **Signify**-ის პლატფორმასთან თანამშრომლობით არის დანერგილი. ეს სერვისი საშუალებას აძლევს ბანკსა და კლიენტს დისტანციურად, ციფრული მოწყობილობების მეშვეობით, სრული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები გააფორმონ, რაც დროისა და რესურსების დაზოგვას უწყობს ხელს. 2024 წლის მონაცემებით, თიბისის კორპორაციულ კლიენტებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის 65% უკვე ელექტრონული ხელმოწერით დასტურდება, რაც 70,000 ფურცლის დაზოგვას ნიშნავს.[303] გარდა ამისა, თიბისი ბანკი უზრუნველყოფს **API პროდუქტებს**, რომლებიც შექმნილია ციფრული ბიზნესების განვითარების მხარდასაჭერად.[304] ეს სერვისები ბიზნესებს საშუალებას აძლევს გაამარტივონ ონლაინ მომსახურება და შექმნან სანდო, ტექნიკურად გამართული ციფრული სერვისები. ასევე ციფრული ინოვაციების მიმართულებით 2024 წელს თიბისის მობაილბანკი საერთაშორისო გამოცემებმა EUROMONEY და Global Business and Finance Magazine-მა საქართველოში საუკეთესო ციფრულ ბანკად დაასახელეს. მობაილბანკი მომხმარებლებს სთავაზობს ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა ერთგული ქულების ლარებში გადაცვლა, თანხის განაწილება 6-დან 36 თვემდე ვადით. ასევე **საინვესტიციო პლატფორმის** სიახლეების წყალობით, მომხმარებლებს შეუძლიათ

[303] TBC Business+1TBC Business+1TBC Business+1TBC Business+1

[304] TBC Developers

შექმნან ფავორიტი აქციების სია და ადვილად მოიძიონ სასურველი ინფორმაცია რჩეულ კომპანიებზე.[305]

საქართველოს ბანკი ციფრული არხების, მათ შორის ბიზნეს მობილბანკისა და ბიზნეს ინტერნეტბანკის, განვითარებაზეა ორიენტირებული. ბანკი იყენებს უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებს, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებს, რათა მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ანგარიშის გახსნა და სხვა სერვისები გაამარტივოს. 2023 წელს, ბანკმა დანერგა ციფრული ბიზნეს ნაკრები, რომელიც ათასობით ბიზნესს ფინანსურ პროდუქტებზე, ბიზნეს შეთავაზებებზე და სხვა სერვისებზე წვდომას უმარტივებს. ამ ინიციატივების შედეგად, **Global Finance**-მა საქართველოს ბანკი ქვეყანაში საუკეთესო კორპორატიული ციფრული ბანკის კატეგორიაში დაასახელა, ხოლო **The Digital Banker**-მა ბანკს საუკეთესო ციფრული სამომხმარებლო გამოცდილების მქონე ბანკის ჯილდო მიანიჭა საქართველოში.[306] აგრეთვე საქართველოს ბანკმა შექმნა **SuperApp**, რომელიც სხვადასხვა სერვისებს ერთ სივრცეში აერთიანებს, მათ შორის ტაქსის გამოძახებას, ბილეთების შეძენას და ონლაინ მაღაზიებს. ეს ინიციატივა 2022 წელს Banking Tech Awards-ზე მსოფლიოში საუკეთესო ციფრულ ინიციატივად დასახელდა. გარდა ამისა, საქართველოს ბანკმა **Cloudera**-სთან პარტნიორობით მოახდინა მონაცემთა ანალიტიკისა და რეპორტინგის ბაზის მოდერნიზაცია, რაც მომხმარებელთა ფინანსური მონაცემების უფრო ეფექტურ დამუშავებასა და ანალიზს უზრუნველყოფს.[307]

ამგვარად, ორივე ბანკი აქტიურად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს კორპორატიული კლიენტების მომსახურების გასაუმჯობესებლად, რაც მათ ბიზნეს პარტნიორებს თანამედროვე და ეფექტურ სერვისებზე წვდომას უზრუნველყოფს.

დასკვნა. ბანკის კორპორატიული კლიენტების მომსახურების ციფროვიზაცია რადიკალურად ცვლის როგორც თავად ურთიერთქმედების პროცესს, ასევე საბანკო მომსახურების ხასიათს. ონლაინ ბანკინგიდან პერსონალიზირებულ გადაწყვეტილებებამდე და ბიზნეს პროცესების ავტომატიზაციამდე. თანამედროვე ტექნოლოგიები უზრუნველყოფს უფრო დიდ სიჩქარეს, მოხერხებულობასა და უსაფრთხოებას, რაც ფინანსურ მომსახურებას ბიზნესისთვის მაქსიმალურად ეფექტურს ხდის.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს ეროვნული ბანკი
2. TBC Business+1TBC Business+1TBC Business+1TBC Business+1
3. TBC Developers
4. https://lionfinancegroup.uk/bank-of-georgia-named-worlds-best-digital-bank-2024-by-global-finance/
5. Measuring the Digital Economy Washington, D.C.: International Monetary Fund, 2018.

[305] DWV

[306] NEWS.GE აგრეგატორი+1არ გაჩერდე+1

[307] BM.GE

ექსტრემალური მენეჯმენტი: კრიტიკულ გარემოებებში წარმატების ხელოვნება
Extreme Management: The Art of Success in Critical Circumstances

მარიამ კვარაცხელია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი
მცირე სესხების ჯგუფის უფროსი ლიბერთი ბანკში
Mariam kvaratskhelia
Doctoral student of Caucasus International University
Head of Small Loans Group at Liberty Bank

ანოტაცია. ნაშრომის თემის აქტუალობას ის გარემოება განაპირობებს, რომ თანამედროვე პერიოდში კონკურენტული გარემოს შექმნის ახალ პირობებს აყენებს ინოვაციური ეპოქა, რაც გულისხმობს ქსელურ-ინფორმაციული ეკონომიკის მართვის ინსტრუმენტების ფლობას, რომლის გარეშე შეუძლებელია გლობალურ დონეზე მომავლის მართვა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვება.

ნაშრომის თემის აქტუალობას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ კრეატიული მენეჯმენტის განვითარების ტენდენციების გამოყენებაა მნიშვნელოვანი, თანამედროვე პირობებში კრეატიული მენეჯმენტის სამი ძირითადი მიმართულება გვაქვს: ენტროპიული მენეჯმენტი, ექსტრემალური მენეჯმენტი და სინერგეტიკული მენეჯმენტი.

ყურადღებას შევაჩერებთ ექსტრემალურ მენეჯმენტზე და საბანკო სექტორის განვითარებაში მის მნიშვნელობაზე ვისაუბრებთ.

ნაშრომის შესავალში გადმოცემულია თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი, ობიექტი, მეთოდოლოგიური საფუძველი და სიახლე.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ექსტრემალური მენეჯმენტის თავისებურებები და პრინციპები;

ნაშრომის მეორე თავში განხილულია ექსტრემალური მენეჯმენტის როლი საბანკო რისკების მართვაში;

ნაშრომის დასკვნაში გადმოცემულია კვლევის შედეგები.

საკვანძო სიტყვები: ექსტრემალური მენეჯმენტი, საბანკო სისტემა, ტექნოლოგიური ინოვაციები.

Annotation. The relevance of the topic of the paper is determined by the fact that in the modern period, the innovative era sets new conditions for creating a competitive environment, which implies the possession of network-informational economy management tools, without which it is impossible to manage the future at the global level and gain a competitive advantage.

The relevance of the topic of the paper is determined by the fact that it is important to use the development trends of creative management, in modern conditions we have three main directions of creative management: Entropic management, extreme management and synergistic management.

We will focus on extreme management and talk about its importance in the development of the banking sector.

The relevance of the topic, research goal, object, methodological basis and novelty are presented in the introduction of the paper.

The first chapter of the paper discusses the features and principles of extreme management;

The second chapter of the paper discusses the role of extreme management in banking risk management;

The results of the research are presented in the conclusion of the paper.

Key words: extreme management, banking system, technological innovations

შესავალი. თემის აქტუალობა. ნაშრომი შესრულებულია თემაზე: ექსტრემალური მენეჯმენტის არსი, მნიშვნელობა და როლი. ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურისგან.

ნაშრომის თემის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ მძლავრი გლობალიზაციის პირობებში მართვის თანამედროვე სფეროს რთული აგებულება აქვს და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, საკმაოდ მაღალია კონკურენციის დონე. მართვის პროცესზე ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა ღირებულებები, პროცესები, სწრაფად ცვალებადი მოვლენები. დინამიური და მრავალფაზიანია გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, რომლის პროცესში მოცემულობები შეიძლება შეიცვალოს.

ნაშრომის თემის აქტუალობას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ თანამედროვე პერიოდში კონკურენტული გარემოს შექმნის ახალ პირობებს აყენებს ინოვაციური ეპოქა, რაც გულისხმობს ქსელურ-ინფორმაციული ეკონომიკის მართვის ინსტრუმენტების ფლობას, რომლის გარეშე შეუძლებელია გლობალურ დონეზე მომავლის მართვა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვება.

ნაშრომის თემის აქტუალობას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ კრეატიული მენეჯმენტის განვითარების ტენდენციების გამოყენებაა მნიშვნელოვანი, თანამედროვე პირობებში კრეატიული მენეჯმენტის სამი ძირითადი მიმართულება გვაქვს: ენტროპიული მენეჯმენტი, ექსტრემალური მენეჯმენტი და სინერგეტიკული მენეჯმენტი.

ყურადღებას შევაჩერებთ ექსტრემალურ მენეჯმენტზე და საბანკო სექტორის განვითარებაში მის მნიშვნელობაზე ვისაუბრებთ.

ნაშრომის თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ თანამედროვე პირობებში ექსტრემალური მენეჯმენტის თავისებურებების საკითხებზე ნაშრომი აქვთ გამოქვეყნებული ქართველ პროფესორების ევგენი ბარათაშვილს, დავით ბიბიჩაძეს და თამარ ლაგვილავას სათაურით ექსტრიმ-მენეჯმენტის თავისებურებები მართვის თანამედროვე თეორიაში, რომელშიც ავტორები განიხილავენ მენეჯმენტის ტრადიციულ მიდგომებთან კრეატიული მენეჯმენტის უახლესი მიმართულების ექსტრემალური მენეჯმენტის განსხვავებებს და თავისებურებებს.

უცხოელი ავტორებიდან გავეცანით ნ. ანტონოვას ნაშრომს სათაურით მართვის ფსიქოლოგია; ნ. ბელიაცკის სახელმძღვანელოს მენეჯმენტის ინტელექტუალური ტექნიკა; გ. ვარიურიხინის სახელმძღვანელოს კრეატიული მენეჯმენტი. მმართველობითი გადაწყვეტილების ძიების შემოქმედებითი მიდგომები; დე ბონო ედვარდის აზროვნების ხელოვნება. ლატერალური აზროვნება, როგორც რთული ამოცანების გადაწყვეტის მეთოდი; დ. მედვედევის ეფექტური ჩერჩილი. მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ცნობილი პრემიერის მიერ გამოყენებული მეთოდები; ე.ტუნიკის შემოქმედებითი აზროვნების ფსიქოდიაგნოსტიკა. კრეატიული ტესტები; მ. რანკოს კრეატიული თეორიები და თემები. ძიება, განვითარება და პრაქტიკა; რ. ვეისბერგის კრეატიულობა და ცოდნა: თეორიების გამოწვევა. წიგნში კრეატიულობა.

კვლევის მიზანი. ნაშრომის კვლევის მიზანია ექსტრემალური მენეჯმენტის არსის, მნიშვნელობის და როლის შესწავლა. მიზნის მისაღწევად ამოცანად დასახული იქნა შემდეგი საკითხების შესწავლა:

- ექსტრემალური მენეჯმენტის თავისებურებები;
- ექსტრემალური მენეჯმენტის პრინციპები;
- საბანკო რისკების დახასიათება;
- საბანკო რისკების მართვა.-

კვლევის ობიექტია ექსტრემალური მენეჯმენტი.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია მეცნიერული ნაშრომები ექსტრემალური მენეჯმენტის არსის, მნიშვნელობის და როლის შესახებ.

სიახლე: ახლებურადაა შესწავლილი ექსტრემალური მენეჯმენტის არსის, მნიშვნელობის და როლის საკითხები. კვლევის შედეგად დავადგენთ, რომ ექსტრემალური მენეჯმენტი მართვის განსაკუთრებული ტიპია, რომელიც გულისხმობს მართვის პროცესის ყველა მონაწილის

ჩართვას.ექსტრაორდინალური არასტანდარტული მაღალი ხარისხის რისკის მქონე გადაწყვეტილების და მოქმედების რეალიზებასა და შემუშავებაში. ცვალებადი მოთხოვნების პირობებში ასეთი გადაწყვეტილებები ბანკის მდგრად და დინამიურ განვითარებას უზრუნველყოფს.

დავადგენთ, რომ ექსტრემალური მენეჯმენტი მართვის დინამიური, მოქნილი მოდელია კომპანიისათვის, რომლის განვითარებისთვის ცვლილებები, არაპროგნოზირებადობა, განუსაზღვრელობა, არასტაბილურობა და ტურბულენტურობაა დამახასიათებელი

დავადგენთ, რომ ექსტრემალური მენეჯმენტის პრინციპული თავისებურება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ხელმძღვანელებს არ აძლევს მზა ტიპურ და შაბლონურ პრაქტიკულ რეკომენდაციებს, არამედ სადაც წარუმატებლობა დაუშვებელია, ახალი კრეატიული გადაწყვეტილების შესაქმნელად აიარაღებს ეფექტიანი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტებით.

დავადგენთ, რომ ექსტრემალური მენეჯმენტის მმართველობითი გადაწყვეტილება შეიცავს მკვეთრად გამოხატული მაღალი ხარისხის რისკის და ექსტრემალური მიმართულების შემცველ ზოგჯერ არაკოპირებად და შოკის გამომწვევ არასტანდარტულ, აქტიურ მოქმედებებს და ღონისძიებებს,

დავადგენთ, რომ კლასიკური მენეჯმენტი დაფუძნებულია გეგმიურ, სტრატეგიულ განჭვრეტაზე თანმიმდევრული, გეგმაზომიერი, სტაბილური მართვა წინასწარ აპრობირებული და ცნობილი მეთოდური მეთოდოლოგიური და თეორიული მეთოდიკების და დებულებების საფუძველზე ხორციელდება. ექსტრემალური მენეჯმენტი სწრაფ, მოქნილ რეაგირებაზეა დაფუძნებული. მოულოდნელი ცვლილებებისას მართვას რეაქტიული ხასიათი აქვს. ადრე დამტკიცებული და მიღებული გეგმების მიუხედავად, რეალობის ყველა ცვლილებაზე მართვა მოქნილად და სწრაფად რეაგირებს.

I. ექსტრემალური მენეჯმენტის თავისებურებები და პრინციპები

1.1. ექსტრემალური მენეჯმენტის თავისებურებები

ნაშრომის თემის კვლევისას ექსტრემალური მენეჯმენტის თავისებურებების საკითხის შესწავლისას გავეცანით პროფესორების ევგენი ბარათაშვილის, დავით ბიბიჩაძის და თამარ ლაგვილავას ნაშრომს სათაურით ექსტრიმ-მენეჯმენტის თავისებურებები მართვის თანამედროვე თეორიაში, რომელშიც ავტორები განიხილავენ მენეჯმენტის ტრადიციულ მიდგომებთან კრეატიული მენეჯმენტის უახლესი მიმართულების ექსტრემალური მენეჯმენტის განსხვავებებს . და თავისებურებებს.

ნაშრომის თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ თანამედროვე პირობებში ინოვაციურ ეკონომიკაში კრიზისული და საგანგებო სიტუაციებით, არაპროგნოზირებადობით და გაურკვევლობით, შიდა და გარე გარემოს ცვლილებით გამოწვეული ახალი ამოცანები და პრობლემები წარმოიქმნა. ამ ამოცანების გადაჭრა ისეთი არასტანდარტული მიდგომების ძიებასთანაა დაკავშირებული, რომლის კოპირება შეუძლებელია წარსული გამოცდილებიდან და არსებული თეორიული კონცეფციებიდან, რაც მართვაში კრეატიული მენეჯმენტის აქტიურ გამოყენებას განაპირობებს.[308]

თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ ექსტრემალური მენეჯმენტი მართვის განსაკუთრებული ტიპია, რომელიც გულისხმობს მართვის პროცესის ყველა მონაწილის ჩართვას. ექსტრაორდინალური არასტანდარტული მაღალი ხარისხის რისკის მქონე გადაწყვეტილების და მოქმედების რეალიზებასა და შემუშავებაში. ცვალებადი მოთხოვნების პირობებში ასეთი გადაწყვეტილებები ბანკის მდგრად და დინამიურ განვითარებას უზრუნველყოფს.

[308] ევგენი ბარათაშვილი, დავით ბიბიჩაძე და თამარ ლაგვილავა, ექსტრიმ-მენეჯმენტის თავისებურებები მართვის თანამედროვე თეორიაში, თბ., 2017.

კვლევისას დავადგინეთ, რომ ექსტრემალური მენეჯმენტი მართვის დინამიური, მოქნილი მოდელია კომპანიისათვის, რომლის განვითარებისთვის ცვლილებები, არაპროგნოზირებადობა, განუსაზღვრელობა, არასტაბილურობა და ტურბულენტურობაა დამახასიათებელი

ნაშრომის თემის კვლევისას დავადგინეთ ექსტრემალური მენეჯმენტის პრინციპული თავისებურება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ხელმძღვანელებს არ აძლევს მზა ტიპურ და შაბლონურ პრაქტიკულ რეკომენდაციებს, არამედ სადაც წარუმატებლობა დაუშვებელია, ახალი კრეატიული გადაწყვეტილების შესაქმნელად აიარაღებს ეფექტიანი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტებით.

თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ ექსტრემალური მენეჯმენტის შინაარსი, ამოცანები და პირობები პრინციპულად განსხვავებულია კლასიკურისგან. გადაწყვეტილების მიღებისას კლასიკურ მენეჯმენტში გათვალისწინებულია საბაზო წინაპირობები, ინოვაციური პროდუქტების და ტექნოლოგიების გამუდმებული განახლების და სრულყოფის მოთხოვნა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა, ტექნოლოგიური ინოვაციების თაობების ცვლის ტემპების დაჩქარება.

კვლევისას დავადგინეთ, რომ ექსტრემალური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ამოცანა დროის პერიოდის შემცირებაა მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების, შემუშავების და გენერირებისთვის. ექსტრემალური მმართველობითი გადაწყვეტილება შეიცავს მკვეთრად გამოხატული მაღალი ხარისხის რისკის და ექსტრემალური მიმართულების შემცველ ზოგჯერ არაკოპირებად და შოკის გამომწვევ არასტანდარტულ, აქტიურ მოქმედებებს და ღონისძიებებს, რომელსაც შედეგიანობა და გადაწყვეტილების მიღების დიდი სიჩქარე ახასიათებს.

დავადგინეთ, რომ ექსტრემალური მმართველობითი გადაწყვეტილებების უმნიშვნელოვანეს ნიშნებს ასევე მუდმივად ცვალებადი და მათი მოქნილობის პირობებისა და მოთხოვნებისადმი ადაპტურობის მაღალი ხარისხი, აგრეთვე ინოვაციურობის და კრეატიულობის მაღალი დონე მიეკუთვნება.

ნაშრომის თემის კვლევისას დავადგინეთ პროფესორები ევგენი ბარათაშვილი, დავით ბიბიჩაძე და თამარ ლაგვილავა ნაშრომში სათაურით ექსტრიმ-მენეჯმენტის თავისებურებები მართვის თანამედროვე თეორიაში განიხილავენ ექსტრემალური და კლასიკური მენეჯმენტის სპეციფიკას და თავისებურებებს.[309]

დავადგინეთ, რომ ექსტრემალური მენეჯმენტის წარმატება მდგომარეობს არა პროცესის მონაწილეების მოქმედების და დროის მართვის უნარში, არამედ ექსტრემალური გარღვევის ჯგუფის ემოციების, განწყობილების, შემოქმედებითი ენერგიის და კრეატიულობის მართვის უნარში.

ნაშრომის თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ ეფექტიანი ექსტრემალური მენეჯმენტი მართვის მეგობრული კორპორაციული კულტურის და ცვლილებებისადმი მაღალი ადაპტაციის მოქნილ კომპანიებში გვხვდება, რაც შექმნილი ვითარების და მოთხოვნილების თანახმად შესაძლებელს ხდის კომპანიის მართვის კლასიკურიდან ექსტრემალურ მოდელზე ეფექტიანად გადართვას.

თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ ექსტრემალური მენეჯმენტის კონკრეტული მოდელი თითოეულ კომპანიაში არაკოპირებადია. ექსტრემალური მენეჯმენტის მოდელები განუმეორებელი, ექსკლუზიური და ინდივიდუალურია.

კვლევისას დავადგინეთ, რომ კრიზისული ეკონომიკის პირობებში კომპანიების საქმიანობაში ექსტრემალური მენეჯერების პროფესიული მომზადება სულ უფრო დიდ ყურადღებას და მნიშვნელობას იძენს. კრიზისული სიტუაციის არაპროგნოზირებადობის, განუსაზღვრელობის და არასტაბილურობის პირობებში სწორედ ასეთ მენეჯერებს აქვთ

[309] ევგენი ბარათაშვილი, დავით ბიბიჩაძე და თამარ ლაგვილავა, ექსტრიმ-მენეჯმენტის თავისებურებები მართვის თანამედროვე თეორიაში, თბ., 2017.

პასუხისმგებლობა ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების რეალიზაციასა და მიღებაზე. ექსტრემალური სიტუაციის წარმატების გარანტიაა პრობლემებზე მყისიერი რეაგირება და კვალიფიკაცია, მმართველობითი პერსონალის მუშაობის ორგანიზება.

მიგვაჩნია, რომ ექსტრემალური მენეჯერების ეფექტიანი სისტემის ფორმირებას შესაბამისი მეთოდოლოგიური ბაზა უნდა ახლდეს, რომელიც სინერგიულ ეფექტს უზრუნველყოფს ექსტრემალური და კრეატიული მენეჯმენტის პრაქტიკული გამოცდილების ათვისების პროცესში. ასეთი მიდგომა მომავალ მენეჯერებს აზროვნების შესაბამის ხასიათს ჩამოუყალიბებს

ექსტრემალური მენეჯმენტის პრინციპების საკითხის შესწავლის შემდეგ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საბანკო რისკების დახასიათების საკითხის შესწავლა.

II. ექსტრემალური მენეჯმენტის როლი საბანკო რისკების მართვაში

2.1. საბანკო რისკების დახასიათება

ნაშრომის თემის კვლევისას საბანკო რისკების დახასიათების საკითხის შესწავლისას დავადგინეთ, რომ ბიზნესის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია რისკი, რისკების მართვა ნაწილია იმ მასშტაბური სამუშაოსi, რომელსაც ღირებულების შესაქმნელად ეწევა კომერციული ბანკის მენეჯმენტი. თანამედროვე პირობებში კომერციული ბანკების კრახი იმაზე მიუთითებს, რომ არა აქვთ რისკების მართვის სისტემა. ბანკებმა არ იციან რისკების ხასიათი, რომელიც დაკავშირებულია მათ საქმიანობასთან.

კვლევისას დავადგინეთ, რომ კომერციული ბანკის მენეჯმენტისთვის უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ შესაძლო რისკების გათვალისწინებით გადაწყვეტილების პოტენციური მომგებიანობის შესწავლა მოხდეს. არამარტო გაუთვალისწინებელი რისკებისგან დაცვა უნდა მოხდეს, არამედ უსაფრთხო უბნებზე გარისკვით კონკურენტულ უპირატესობას მიაღწიონ ბანკებმა.

თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ ოთხი სახის რისკს არჩევენ **საბაზრო, საკრედიტო, საოპერაციო და ბიზნესის** რისკს. **საბაზრო რისკი** საბაზრო ფასების უარყოფითი ცვლილებისადმი დამოკიდებულებაა, რომელსაც საბირჟო საქონლის ფასებში, საპროცენტო განაკვეთში, სავალუტო კურსებში და ფასიანი ქაღალდების ფასებში ცვლილებები მიეკუთვნება.

ნაშრომის თემის კვლევისას **რისკების მართვის ხარისხის ამაღლების** საკითხის შესწავლისას დავადგინეთ, რომ კომერციული ბანკის მენეჯმენტმა რისკების გონივრული მართვისთვის უნდა იცოდეს რა სახის რისკებთანაა დაკავშირებული, ყველა ძირითადი რისკი უნდა იქნას გაცნობიერებული, ობიექტურად უნდა შეფასდეს მზად რა დონის და კონკრეტულად რომელი რისკისთვის არის.

კომერციული ბანკებისთვის დამახასიათებელია რისკების გარკვეული კომბინაცია.. ამიტომ, კომერციულმა ბანკებმა უნდა შეიმუშაოს თავისი რისკების მართვის სისტემა.

კომერციული ბანკების დირექტორების საბჭოს მხარდაჭერით რისკის სტრატეგიის ფორმულირება ევალება გენერალურ დირექტორს. თუმცა, როგორც სხვა მრავალი ფინანსური და საქმიანი გადაწყვეტილების შედეგი რისკის სტრატეგია თავისით ჩნდება. ერთი მენეჯერი მეორესთან შედარებით უფრო რისკისადმი იხრება ან რისკის ეფექტიან დონეზე მისი თვალსაზრისი სხვებისგან განსხვავდება, რის გამოც იბერება კომერციული ბანკის რისკების პორტფელი და ხდება უმართავი. ამიტომ ყველა მენეჯერმა უნდა მიიღოს კომერციული ბანკის რისკების საერთო სტრატეგია.

თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ კომერციული ბანკების **რისკ-მენეჯერების ჯგუფმა.** უნდა გამოავლინოს, გაზომოს და შეაფასოს რისკები და ერთიანი კორპორაციული სტრატეგია შეიმუშაოს. მისაღები რისკების დონე რისკების სტრატეგიის პრინციპებს უნდა შეესაბამებოდეს. ასეთ ჯგუფებს აქვს სხვადასხვა სტრუქტურა. რისკების მართვის მენეჯერების

კორპორაციული ჯგუფი ჰყავს მცირე კომერციულ ბანკებს. გამოცდილების მქონე. წევრებისგან შემდგარი რისკების ჯგუფი მართავს მსხვილი საბანკო კონგლომერატის მიმართულებებს.

კვლევისას დავადგინეთ, რომ **კვალიფიციური რისკ-მენეჯერების** ჯგუფში ინტელექტუალური რესურსების მოზიდვაა აუცილებელი. იმისათვის, რომ დაიცვან თავიანთი პოზიცია და. საქმიანი რჩევები მისცენ ხელმძღვანელებს კარიერაში წინსვლად განიხილება **რისკ-მენეჯერების** დანიშვნა

ნაშრომის თემის კვლევისას **რისკზე პასუხისმგებლობის** საკითხის შესწავლისას დავადგინეთ, რომ კომერციული ბანკებში **რისკ-მენეჯერების** კორპორაციული ჯგუფის არსებობა არ ნიშნავს, რომ კომერციული ბანკების სტრუქტურული ქვეგანაყოფები აღებულ რისკებზე პასუხისმგებელი არ არიან. ამ რისკების ბუნება მათ უკეთ ესმით და არაგონივრული რისკებისგან კომერციული ბანკის დაცვის უზრუნველყოფა შეუძლიათ.

ფინანსური შედეგების შეფასებისას დავადგინეთ, რომ უკუგების შეფასებისას, ხანგრძლივი პერიოდის კაპიტალ დაბანდებაზე ქვეყნის რისკის საფასური არ უნდა დავუმატოთ კაპიტალის ღირებულებას, რაც იმით აიხსნება, რომ განვითარებად ბაზარს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეიძლება ეკონომიკური კრიზისი განეცადა და ეს რისკი ადგილობრივი ბიზნესის შედეგების და აქტივების შეფასებისას უკვე გათვალისწინებული იყო.[310]

საბანკო რისკების დახასიათების საკითხის შესწავლის შემდეგ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საბანკო რისკების მართვის საკითხის შესწავლა.

2.2. საბანკო რისკების მართვა

ნაშრომის თემის კვლევისას საბანკო რისკების მართვის საკითხის შესწავლისას დავადგინეთ, რომ თანამედროვე საბანკო სისტემაში დამკვიდრებას იწყებს ექსტრემალური მენეჯმენტი, რომლის მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების მთავარი: წინაპირობები კლასიკური მენეჯმენტისგან განსხვავებით ბანკის შიდა და გარე გარემოს გამუდმებული ცვალებადობა; არაპროგნოზირებადობა, შემთხვევითობა, ქაოსურობა, მმართველობითი გადაწყვეტილების რეალიზაციის და მიღების ვადების მკვეთრი შემცირება, ბანკის განვითარების პროგრამების და გეგმების რეალიზაციის და შემუშავების პროცესში წარმოქმნილი მოულოდნელობა და განუსაზღვრელობაა..

ნაშრომის თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ კონკრეტული საბანკო რისკების მართვის პროცესში ხორციელდება ბანკის ექსტრემალური მენეჯერის მუშაობა. ბანკის ექსტრემალური მენეჯერი ვალდებულია ფლობდეს რისკების მართვის სფეროში მენეჯმენტის კონკრეტულ ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ თავისებურებებს.

თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ საბანკო რისკების მართვის ექსტრემალური მენეჯერი კრიზისული და საგანგებო სიტუაციების დაძლევის ექსტრემალური გეგმების შემუშავებისას განსაზღვრავს თუ მმართველობითი სიტუაციის მიმართ უშუალოდ ვინ, როგორ და რა ვადებში ახორციელებს ამა თუ იმ ტექნოლოგიას, პროცედურას, მოქმედებას. ბანკის ექსტრემალური მენეჯერი შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის შემუშავების სტრატეგიაზე აგებს პასუხს.

დავადგინეთ, რომ საბანკო რისკების მართვის ექსტრემალური მენეჯერების მომზადების პროგრამა თავის თავში მომზადების სხვადასხვა აქტიურ მეთოდს უნდა მოიცავდეს, რომლებიც იძლევა სხვადასხვა ექსტრემალურ პირობებში მუშაობის ინდივიდუალური სტილის, მოდელის და მეთოდიკის ფორმირების საშუალებას.

ამრიგად, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში საბანკო რისკების მართვის ტრადიციული მეთოდები ხშირად ნაკლებად ეფექტიანია ან არ მუშაობს. ამიტომ უნდა მოიცავდეს კრეატიულ ინსტრუმენტებს.

---

[310] თემურ კუპრავა, რისკების მართვა და განვითარებადი ბაზრები, თბ.,2022. http://www.business-magazine.ge/ge/11/library/239/(გადამოწმდა 24.11.2024.)

დასკვნა

ამრიგად, ნაშრომის კვლევის დასაწყისში მიზნად დავისახეთ ექსტრემალური მენეჯმენტის არსის, მნიშვნელობის და როლის შესწავლა. მიზნის მისაღწევად ამოცანად დასახული იქნა შემდეგი საკითხების შესწავლა:

- ექსტრემალური მენეჯმენტის თავისებურებები;
- ექსტრემალური მენეჯმენტის პრინციპები;
- საბანკო რისკების დახასიათება;
- საბანკო რისკების მართვა.-

კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ საბანკო რისკების მართვის მმართველობითი გუნდი ექსტრემალური გადაწყვეტილებების რეალიზაციის და შემუშავების ყველა ეტაპსა და სტადიაზე მუშაობს ფსიქოლოგიური ემოციური აღმავლობის რეჟიმში. ახალი იდეების, აზრების გენერირებას ახდენს. შედეგების მიღწევის არასტანდარტულ ღონისძიებებს სთავაზობს.

დავადგინეთ, რომ საბანკო რისკების მართვის ექსტრემალურ მენეჯმენტში მართვის პროცესის ცენტრალური ფიგურის, მენეჯერისადმი განსაკუთრებული მოთხოვნები არსებობს. ექსტრემალურ პირობებში მენეჯერის ძირითადი ამოცანა ბანკის მისიისა და მიზნებისადმი ერთგულება და მმართველი გუნდის მონაწილეების მოტივირების სისტემის შექმნა.ექსტრემალური მენეჯერის თვისებები, მართვის წარმატებას განსაზღვრავს..

დავადგინეთ, რომ საბანკო რისკების მართვის ექსტრემალური მენეჯმენტის წარმატება მდგომარეობს არა პროცესის მონაწილეების მოქმედების და დროის მართვის უნარში, არამედ ექსტრემალური გარღვევის ჯგუფის ემოციების, განწყობილების, შემოქმედებითი ენერგიის და კრეატიულობის მართვის უნარში.

დავადგინეთ, რომ საბანკო რისკების მართვის ეფექტიანი ექსტრემალური მენეჯმენტი მართვის მეგობრული კორპორაციული კულტურის და ცვლილებებისადმი მაღალი ადაპტაციის მოქნილ საბანკო კომპანიებში გვხვდება, რაც შექმნილი ვითარების და მოთხოვნილების თანახმად შესაძლებელს ხდის კომპანიის მართვის კლასიკურიდან ექსტრემალურ მოდელზე ეფექტიანად გადართვას.

კვლევისას დავადგინეთ, რომ კრიზისული ეკონომიკის პირობებში საბანკო რისკების მართვის ექსტრემალური მენეჯერების პროფესიული მომზადება სულ უფრო დიდ ყურადღებას და მნიშვნელობას იძენს. ექსტრემალური სიტუაციის წარმატების გარანტიაა პრობლემებზე მყისიერი რეაგირება და კვალიფიკაცია, მმართველობითი პერსონალის მუშაობის ორგანიზება.

მიგვაჩნია, რომ საბანკო რისკების მართვის ექსტრემალური მენეჯერების ეფექტიანი სისტემის ფორმირებას შესაბამისი მეთოდოლოგიური ბაზა უნდა ახლდეს, რომელიც სინერგიულ ეფექტს უზრუნველყოფს ექსტრემალური და კრეატიული მენეჯმენტის პრაქტიკული გამოცდილების ათვისების პროცესში. ასეთი მიდგომა მომავალ მენეჯერებს აზროვნების შესაბამის ხასიათს ჩამოუყალიბებს

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ევგ, ბიბიჩაძე დ. და ლაგვილავა თ., ექსტრიმ-მენეჯმენტის თავისებურებები მართვის თანამედროვე თეორიაში, თბ., 2017.

2. გრიშიკაშვილი ამბრ., ნობელიანტი ეკონომისტები, თბ., 2014.

3. კუპრავა თ., რისკების მართვა და განვითარებადი ბაზრები, თბ.,2022. http://www.business-magazine.ge/ge/11/library/239/(გადამოწმდა 24.11.2024.)

4. Антонова Н.В. Психология управления /Н.В. Антонова – М.: Высш.шк. экономики, 2010. – 272 с.

5. Беляцкий Н.П. Интеллектуальная техника менеджмента: учеб. Пособие / Н.Б. Беляцкий. – Минск: Новое знание, 2001. – 320 с.

6. Ванюрихин Г.И. Креативный менеджмент. Творческие подходы к поиску управленческих решений: учеб. – практ. Пособие / Г.И. Ванюрихин , МГУ им. М.В. Ломоносова. – М.:Макс Пресс, 2007. – 128 с.

7. Де Боно Эдвард. Искусство думать. Латеральное мышление как способ решения сложных задач / Де Боно Эдвард. – М.: Альпина Паблишер, 2013. – 176 с.

8. Медведев Д.Л. Эффективный Черчилль: методы которые использовал самый известный премьер в мировой историй / Д. Медведев. – М.:Рипол Классик, 2011. – 574 с.

9. Туник Е.Е. Психодиагностика творческое мышление. Креативные тесты / Е.Е. Туник. – СПб.: Дидактика Плюс, 2002. – 219 с.

10. Runco, M. A. -Creativity. Theories and themes: Research, development, and practice. Elsevier Academic Press, Burlington, MA. 2007

11. Weisberg, R. W. (1999) Creativity and knowledge: A challenge to theories. In Handbook of creativity (Sternberg, R. J., Ed), pp 226-250, Cambridge.

აქტივების გამოყენების ზრდის შესაძლებლობები მრეწველობაში
Opportunities for increasing asset utilization in industry

ნინო დარსაველიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სატრანსპორტო სისტემების და მექნიკის ინჟინერიის ფაკულტეტი
ასოცირებული პროფესორი
ლელა ბოჭოიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სატრანსპორტო სისტემების და მექნიკის ინჟინერიის ფაკულტეტი
ასოცირებული პროფესორი
მერაბი ჭელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი
მაგისტრანტი
Nino Darsavelidze
Georgian Technical University
Faculty of Transportation Systems and Mechanical Engineering
Associate Professor
Lela Bochoidze
Georgian Technical University
Faculty of Transportation Systems and Mechanical Engineering
Associate Professor
Merabi Chelidze
Georgian Technical University
Faculty of Transportation Systems and Mechanical Engineering
Master's student

აბსტრაქტი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საწესდებო კაპიტალი ასახავს საწარმოში მისი მფლობელების მიერ დაბანდებულ აქტივებს. კომერციულ საფუძველზე ორგანიზებულ საწარმოებს,

როგორც წესი, გააჩნიათ კოლექტიური ან კორპორაციული საკუთრება. მათი მესაკუთრე შეიძლება იყოს რამდენიმე იურიდიული ან ფიზიკური პირი, ან აქციონერთა კორპორაცია.

აქტივები საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსებია, რომლებიც წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგს წარმოადგენს, რის საფუძველზეც საწარმო მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას მოელის. აქტივები იმ პროდუქციის საწარმოებლად ან მომსახურების გასაწევად მოიხმარება, რომელიც მომხმარებელთა ინტერესებს დააკმაყოფილებს. მომხმარებელთა მიერ მოხმარებული საქონლის (პროდუქციის) ან მომსახურების ღირებულების გადახდა კი, საწარმოში ფულადი საშუალებების შემოსვლას უწყობს ხელს.

საწარმოებს სამეურნეო საქმიანობის შედეგად შეიძლება დარჩეთ გაუნაწილებელი მოგება, რომელიც აგრეთვე, გამოიყენება წარმოების გასაფართოებლად და წარმოადგენს აქტივების წყაროს. გარდა აღნიშნულისა, საკუთარი წყაროების შემადგენლობაში შედის სარეზერვო კაპიტალი თუმცა მათ სპეციალური, მიზნობრივი დანიშნულება აქვთ და სხვა მიზნით მათი გამოყენება არ შეიძლება. რეზერვების შექმნა ზოგჯერ საწარმოს წესდებით ან საკანონმდებლო მოთხოვნებითაა გათვალისწინებული და მის დანიშნულებას მესაკუთრეებისა და კრედიტორების ზარალისაგან დაცვა წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: მრეწველობა, ეროვნული ეკონომიკა, აქტივები, კაპიტალი, სები, ინდუსტრია, კორპორაცია, მატერიალური აქტივები, არამატერიალური აქტივები, მასალები, საქონელი, დანახარჯები, მოგება.

Abstract. In a market economy, share capital reflects the assets invested in an enterprise by its owners. Enterprises organized on a commercial basis usually have collective or corporate ownership. Their owners may be several legal or natural persons, or a corporation of shareholders.

Assets are tangible or intangible resources at the disposal of an enterprise that are the result of past economic events and from which the enterprise expects to receive future economic benefits. Assets are used to produce products or provide services that satisfy the interests of consumers. Payment for the cost of goods (products) or services consumed by consumers contributes to the inflow of cash into the enterprise.

Enterprises may have undistributed profits as a result of their economic activities, which are also used to expand production and serve as a source of assets.

In addition to the above, own sources include reserve capital, however, they have a special, targeted purpose and cannot be used for any other purpose. The creation of reserves is sometimes stipulated by the charter of the enterprise or by legislative requirements, and its purpose is to protect owners and creditors from losses.

Keywords: industry, national economy, assets, capital, capital, industry, corporation, tangible assets, intangible assets, materials, goods, expenses, profit.

მრეწველობა არის ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს საზოგადოების პროდუქტიულობის დონეზე. სწორედ ამიტომ, მრეწველობის დარგი, კერძოდ ენერგეტიკა, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, კვების მრეწველობა და ა.შ. უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თანამედროვე ეკონომიკაში.

მრეწველობის დარგის (მრეწველობის დარგებია: მეტალურგია – შავი მეტალურგია, ფერადი მეტალურგია; ენერგეტიკა – ელექტროენერგეტიკა, ნავთობის მრეწველობა, ატომური ენერგეტიკა; სამთო-მოპოვებითი მრეწველობა – სამთო-ქიმიური მრეწველობა; მანქანათმშენებლობა – გემთმშენებლობა, ავიამშენებლობა, ავიამშენებლობა; ქიმიური მრეწველობა; კვების მრეწველობა; მსუბუქი მრეწველობა – საფეიქრო მრეწველობა, ტყავ-საგალანტერიო; მრეწველობა, სამკერვალო მრეწველობა) ბრუნვაზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: გამოშვებული პროდუქცია, დამატებული ღირებულება, შუალედური მოხმარება, ფიქსირებული აქტივები, დასაქმებულთა რაოდენობა და დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება.

მრეწველობა მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, რამდენადაც მისი ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის წინსვლა, მოსახლეობის კეთილდღეობა, ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების განმტკიცება, დაცვა და შენარჩუნება, სიღარიბის დაძლევა, ქვეყანაში არსებული შრომითი რესურსების დასაქმების

უზრუნველყოფა. ქვეყნის მრეწველობის წინაშე არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სტრატეგიული ხასიათის მრავალი ამოცანა დგას, რომელთა მნიშვნელობა განსაკუთრებით ისეთ პერიოდში იზრდება, როგორშიც ამჟამად საქართველოა.

ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ხანგრძლივი გამოყენების წარმოების საშუალებები, რომლებსაც ძირითად საშუალებებს უწოდებენ. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა რეგულირდება ბასს 16–ით „ძირითადი საშუალებები“.

ძირითადი საშუალებები არის აქტივები, რომლებიც: იმყოფება საწარმოს მფლობელობაში და გამოიყენება: საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

საწარმოს რესურსები აქტივებს, ხოლო მათი წყაროები კაპიტალს წარმოადგენენ.

აქტივები საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსებია, რომლებიც წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგს წარმოადგენს, რის საფუძველზეც საწარმო მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას მოელის. აქტივები იმ პროდუქციის საწარმოებლად ან მომსახურების გასაწევად მოიხმარება, რომელიც მომხმარებელთა ინტერესებს დააკმაყოფილებს. მომხმარებელთა მიერ მოხმარებული საქონლის (პროდუქციის) ან მომსახურების ღირებულების გადახდა კი, საწარმოში ფულადი საშუალებების შემოსვლას უწყობს ხელს.

აქტივები წარმოების პროცესში მათი ფუნქციური როლის, ეკონომიკური დანიშნულებისა და ბრუნვადობის სიჩქარის მიხედვით იყოფა ძირითად და საბრუნავ აქტივებად (საშუალებებად).

ძირითადი აქტივები, ანუ ფონდები ეწოდება საწარმოს განკარგულებაში არსებულ აქტივებს, რომელთა გამოყენებაც გათვალისწინებულია ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში, ჩვეულებრივ, ისინი თავიანთი ბუნებით გრძელვადიანი აქტივებია, რადგან ამორტიზაციის ხანგრძლივი პერიოდი გააჩნიათ. გრძელვადიანი აქტივები არ არის გათვალისწინებული სარეალიზაციოდ.

ძირითადი აქტივები შეიძლება იყოს მატერიალური ან არამატერიალური ფორმით.

მატერიალურ აქტივებს ნივთიერი, ხელშესახები სახე გააჩნიათ. ისინი ძირითად საშუალებებად ანუ ფონდებად იწოდებიან. მათ მიეკუთვნება: მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგრები, სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ. ძირითადი საშუალებების დაჯგუფება ხდება უფრო გრძელვადიანიდან ნაკლებ გრძელვადიანამდე. ამიტომ ჩამონათვალში პირველ ადგილზე მიწა დგას.

არამატერიალურ აქტივებს ნივთიერი, ხელშესახები სახე არ გააჩნიათ. მათ მიეკუთვნება: პატენტები, ლიცენზიები, სხვადასვა უფლებები, გუდვილი და ა. შ.

საბრუნავ აქტივებს, რომლებიც თავიანთი ბუნებით მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივებია, მიეკუთვნება აქტივები, რომლებიც ძირითადად სავაჭრო დანიშნულებით ან სხვა მოკლევადიანი მიზნებისთვისაა განკუთვნილი. აგრეთვე, მათ მიეკუთვნება ფულადი საშუალებები, რომელთა გამოყენებაც არ არის შეზღუდული. მოკლევადიანი აქტივების მოხმარება ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში ხდება. ასეთებია: სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, ფულადი საშუალებები, მოკლევადიანი ინვესტიციები, მოთხოვნები.

საქონლო მატერიალური ფასეულობებს მიეკუთვნება: საქონელი, მასალები, დაუმთავრებელი წარმოება და მზა პროდუქცია. სასაქონლო-მატერიალური მარაგები- ეს ის ფასეულობებია, რომლებიც აუცილებელია მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ორ ჯგუფად იყოფა: საწარმოო მარაგები და სასაქონლო მარაგები. სამრეწველო საწარმოებს გააჩნიათ საწარმოო მარაგები, რომელიც მოიცავს მასალებს, მზა პროდუქციას და დაუმთავრებელი წარმოების

ნაშთებს. მასალები თავის მხრივ შემდეგ ჯგუფებად იყოფა: ნედლეული და ძირითადი მასალები; დამხმარე მასალები; სათბობი; სათადარიგო მასალები; ტარა და ტარამასალები.

საწარმოები საშუალებებს იღებენ განსაზღვრული წყაროებიდან და იყენებენ მიზნობრივი დანიშნულებით. ამიტომ საწარმოს აქტივები ჯგუფდება აგრეთვე, მათი ფორმირების წყაროების მიხედვით.

საწარმოს აქტივების ფორმირების შედეგად წარმოიქმნება ამ აქტივებზე სხვადასხვა სუბიექტის (იურიდიული და ფიზიკური პირების) უფლება, რომლის ჯამიც კაპიტალს წარმოადგენს. ასეთი უფლებები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს: ვალდებულებებად კრედიტორების წინაშე, რომელიც ნასესხებ ანუ მოზიდულ კაპიტალად იწოდება და მფლობელთა წილი, რომელიც საკუთარ კაპიტალს წარმოადგენს. სწორედ კაპიტალია ის თანხა, რომელიც ძირითად კავშირს წარმოადგენს მფლობელსა და ბიზნესს შორის. ვალდებულებები საწარმოს ვალებია, მისი ფინანსური მოვალეობაა. იგი საწარმოს დავალიანებაა სხვადასხვა ორგანიზაციების, საწარმოების ან პირების მიმართ, ხოლო იმ ორგანიზაციებს, საწარმოებს ან პირებს, რომელთა დავალიანებაც გააჩნია საწარმოს, კრედიტორები ეწოდება.

ვალდებულებებთან არის დაკავშირებული კრედიტორების უფლება საწარმოს აქტივებზე. ვალდებულებათა წარმოშობის საფუძველი გასული პერიოდის სამეურნეო ოპერაციები და მოვლენებია. საწარმოში მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ან მომსახურება, თუკი მათ წინასწარ ან მიწოდებისთანავე გადახდას არ ჰქონდა ადგილი, იწვევს სავაჭრო ვალდებულებების წარმოშობას. ვალდებულებებს მიეკუთვნება აგრეთვე, გადასახდელი ხელფასი, დარიცხული ხარჯები, გადასახდელი გადასახადები, გასანაღდებელი თამასუქები, დასაფარავი სესხები და ა.შ. გასანაღდებელი ანგარიშები სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებებია, რომლებიც საქონლის (მომსახურების) კრედიტით შეძენით წარმოიქმნება.

საგადასახადო ვალდებულებებად ითვლება ყველა ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოქმედი საგადასახო კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტების სასარგებლოდ. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს: გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი და ა.შ. გაცემული თამასუქები საწარმოს წერილობით ვალდებულებას წარმოადგენს, გადაუხადოს კრედიტორებს განსაზღვრული თანხა დროის მომავალ კონკრეტულ მომენტში.

აქტივების ძირითად საშუალებად აღიარების დროს შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობასთან ერთად გასათვალისწინებელია მათი სასარგებლო მომსახურების ვადაც. პერიოდს, რომელშიც ძირითად საშუალებას შეუძლია მოიტანოს ეკონომიკური სარგებელი, ეწოდება სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს, თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით.

8. **OECD** *Clusters in the Green Transition: Policies and Practices.* **2020**
9. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) – საქართველო. 2021

Priorities for Increasing Production and Import Replacement Developing countries

Ana Alpaidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Master of Economics and Business
Shota Veshapidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Doctor of Economics, Associate Professor

Abstract. The pursuit of economic growth and industrialization in developing countries is often marked by double challenges of stimulating domestic production and reducing dependence on imported goods. Increasing production and replacing imports are two fundamental strategies that can significantly enhance national development and economic self-sufficiency. Therefore, identifying the main priorities for production growth and import replacement, including interdependence and economic sustainability, are relevant topics. It is related to identifying priorities for production growth, import replacement, effective implementation of its strategies and the development of recommendations.

The basis of any economic development strategy in the developing country relies on increasing domestic production capacity. This includes facilitating industrialization, upgrading technologies, expanding infrastructure, and creating a favorable business environment. Priority should be given to sectors with high potential to create added gaps such as processing industry, agriculture and renewable energy sources. Attaching the workforce through education and skills development programs is crucial to ensuring that domestic production meets the growing demand and remain competitive in global markets. In addition, the development of sectors that serve local consumption at the same time is preparing for export markets, allowing economists to use economies of scale.

Replacement of imports implies the transition from dependence on foreign goods to production of locally equivalent products. This strategy is crucial to reduce the trade deficit, attract foreign currency and build a strong domestic industrial base. Import replacement priorities include identifying strategic sectors such as the food industry, textiles, pharmaceuticals and machine building that can be produced at the local level to replace imports. Government policies such as tariffs, subsidies and tax benefits may encourage local sectors to increase and improve

efficiency. However, the balance must be kept in order to avoid protectivist policies that can lead to inefficiency or suppression of innovation.

Effective implementation of production growth and import replacement strategies requires addressing key challenges such as inadequate infrastructure, limited access to funding, low technology capabilities and market fragmentation. Policy makers should prioritize investments in infrastructure (e.g. roads, electricity and telecommunications) and create funding mechanisms that will allow local enterprises access to capital for innovation and expansion. In addition, facilitating public-private partnerships, creating industrial clusters and improving access to international markets can be crucial in overcoming these challenges.

In conclusion, we note that the increase in production and the replacement of imports are crucial for the economic development of developing countries. By prioritizing targeted investments in key sectors, improving infrastructure, and adopting progressive trade and industrial policies, developing countries can create a sustainable economy that will reduce their dependence on external markets and move towards sustainable self-sufficient growth. However, special attention should be paid to the implementation of these strategies to ensure their adaptation to globaldynamicsandlocalneeds.

Keywords: Increasing local production, import replacement, economic policy, development strategy, sustainability, development challenges, local market, international trade.

The pursuit of economic growth and industrialization in developing countries is often marked by double challenges of stimulating domestic production and reducing dependence on imported goods. Increasing production and replacing imports are two fundamental strategies that can significantly enhance national development and economic self-sufficiency. Therefore, identifying the main priorities for production growth and import replacement, including interdependence and their role in promoting economic sustainability, are the topic. It is related to identifying priorities for production growth, import replacement, effective implementation of its strategies and the development of recommendations.

The basis of any economic development strategy in the developing country relies on increasing domestic production capacity. This includes facilitating industrialization, upgrading technologies, expanding infrastructure, and creating a favorable business environment. Priority should be given to sectors that have high potential to create added gaps such as processing industry, agriculture and renewable energy sources. Attaching the workforce through education and skills development programs is crucial to ensuring that domestic production meets the growing demand and remain competitive in global markets. In addition, the development of sectors that serve local consumption at the same time preparing for export markets allows economies to use economies.

Replacement of imports implies the transition from dependence on foreign goods to production of locally equivalent products. This strategy is crucial to reduce the trade deficit, attract foreign voyeurs, and build a strong domestic industrial base. Import replacement priorities include identifying strategic sectors such as the food industry, textiles, pharmaceuticals and machine building that can be produced at the local level to replace imports. Government policies such as tariffs, subsidies and tax benefits may encourage local sectors to increase and improve efficiency. However, the balance must be kept in order to avoid protectivist policies that can lead to inefficiency or suppression of innovation.

Effective implementation of production growth and import replacement strategies requires addressing key challenges such as inadequate infrastructure, limited access to funding, low technology capabilities and market fragmentation. Policy makers should prioritize investments in infrastructure (e.g. roads, electricity and telecommunications) and create funding mechanisms that will allow local enterprises access to capital for innovation and expansion. In addition, facilitating public-private partnerships, creating industrial clusters and improving access to international markets can be crucial in overcoming these challenges.

Import replacement priorities:

Protection of strategic sectors – developing countries often practise sectors that are not yet competitive in the international market (for example, agriculture, light industry).

The imposition of tariffs and quotas – temporary tariffs and restrictions on foreign products contribute to the protection and growth of domestic production.

Subsidies and tax benefits – Government support for local producers reduces production costs and increases competitiveness.

Attracting investments – encouraging local investment (both from domestic and foreign investors) is important for the success of import replacement policy.

Brazil – a classic example of import replacement

In the 1950s and 1960s, Brazil relied on the policy of import replacement industrialization (ISI).

1) The state controlled the development of major industrial sectors (e.g. auto industry, textiles).

2) High tariffs on foreign products were introduced to protect local production.

3) The government actively developed state enterprises and provided subsidies.

4) A strong industrial base has been established.

China – Export-oriented Manufacturing Growth

Context:

Since the 1980s, China has launched economic reforms aimed at increasing production and orientation in foreign markets.

1) Special economic zones were created to attract foreign investment.

2) Focus on intensive production at work (textile, electronics).

3) The government has provided cheap labor resources, infrastructure and export incentives.

Result:

1) China has turned into a "factory of the world".

2) Production has become the main driver of economic growth.

Vietnam – a combination of production and import replacement

Since the 1990s, Vietnam has begun economic reforms under the "Doi Moi" policy.

1) Subsidies for agriculture (rice production and export).

2) Attracting foreign companies in the textile and electronics industry.

3) In parallel, limited support for import replacement – light industry.

Result:

1) Vietnam has become one of the fastest-growing economies in Southeast Asia.

2) The number of jobs has increased and poverty has decreased.

Common trends in developing countries:

Strategy	Advantage	Challenge
Import substitution	Protects local production	Lack of competition Low quality
Export-oriented production	Attraction and growth of foreign value	Labor exploitation
State support	Giving incentives to sectors	Can lead to inefficiency

Strategies for increasing production and import substitution, and what is the current situation in Georgia in this direction

Georgian economy and challenges

1) The economy is mainly dependent on services (e.g. tourism, finance).

2) Industry and agriculture are relatively weak, but have potential.

3) High import dependence – especially on consumer goods, energy resources and food.

Foreign trade deficit: imports significantly exceed exports.

How can production growth develop in Georgia?

1. Modernization of agriculture The agro-sector has great potential, especially in environmentally friendly and niche products (e.g. wine, honey, herbs).

• More investment is needed in irrigation systems, modern equipment, processing plants.

• Exports to the EU and Middle East markets are possible.

2. Development of textiles and light industry

• Low labor costs can be used to attract foreign investment.

• There is an opportunity to create "niche brands" that can be sold in international markets.

3. Green energy and energy production

• The potential for hydro and solar energy is high.

• Energy resources imported from Russia and Azerbaijan can be replaced with local production.

How does import substitution work in Georgia?

Today:

1) A large part of agricultural products is imported (e.g. meat, dairy products, seasonal vegetables).

2) Equipment, medicines, construction materials are mostly foreign.

3) Many local productions cannot compete with imports.

Success stories GE

• Wine industry – increased exports to the EU, China and the USA.

• Honey production – a niche product with growth potential.

• Nuts, fruits (watermelons, apples) – increased exports to Arab countries and Russia.

Outline of the Action Plan: Georgia 2025–2030

• Increase in production by creating competitive products at the local level.

• Import substitution in key sectors, which will reduce the outflow of foreign currency.

• Increase in employment and strengthen the regional economy.

2025–2026 – Creation of a base

◆ Identification of sectors: determination of priority sectors: agriculture, food production, light industry, energy, technologies.

◆ Supporting mechanisms: financing programs for small and medium-sized enterprises. Subsidies for the purchase of agricultural equipment and technologies. Tax incentives for local production.

◆ Human capital development: expansion of vocational education (agricultural machinery, textiles, automation). Opening of regional training centers.

2027–2028 – expansion and stabilization of production

◆ Expansion of the enterprise network: creation of agro-technological clusters in the regions. Doubling the number of processing enterprises in rural areas.

◆ Promotion of local products: "Buy Georgian" campaign – raising consumer awareness. Improving the quality of branding and packaging for export.

◆ Protection of the internal market: quality control and setting standards for local products. Imposition of temporary tariffs on imports that harm local production.

2029–2030 – Increasing competitiveness and exports

◆ Export promotion: Special grant programs for exporters. Opening trade representations in the European Union and the Middle East.

◆ Encouraging innovation: Financing innovative startups in agriculture and light industry. Financing research and development (R&D) centers.

◆ Monitoring and evaluation: Periodic evaluation of program results. Revision of the plan in accordance with the achieved results.

Success factors:

• Strong political will and consistent policy

• Coordination between the state and private sector

• Support from international donors and institutions

• Population involvement and knowledge raising

In conclusion, we note that increasing production and replacing imports are crucial for the economic development of developing countries. By prioritizing targeted investments in key sectors, improving infrastructure, and adopting progressive trade and industrial policies, developing countries can build sustainable economies that reduce their dependence on external markets and move towards sustainable self-sufficient growth. However, special attention must be paid to the implementation of these strategies to ensure that they are adapted to global dynamics and local needs. For manufacturing to develop, a long-term government strategy is needed, not just one-off programs. Import substitution should be sectorally selective so as not to crowd out low-quality products. Private sector involvement and adaptation of education systems are crucial.

References:

1) https://bm.ge/news/importis-chanacvlebaze-orientirebuli-strategia-mavnebluria-chveni-qveynistvis

2) www.geostat.ge

3) Krugman, International Economics, Theory and Policy. Chapter 11

4) Article; - GLOBALIZATION AND BUSINESS #7, 2019

5) file:///C:/Users/user/Downloads/Giorgi-Gaganidze%20(1).pdf

კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სამ წლიან (180 კრედიტი) საბაკალავრო პროგრამებზე გადასვლის დადებითი და უარყოფითი ფინანსური მხარეები

Financial pros and cons of private higher education institutions switching to three-year (180 credits) bachelor's degree programs

ლია ოტიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მოწვეული ასოცირებული პროფესორი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
Lia Otiashvili
Georgian Technical University
Visiting Assistant Professor
Doctor of Business Administration

აბსტრაქტი. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები 2024 წლიდან ახალი გამოწვევების პირისპირ აღმოჩნდნენ. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით, ბრძ. N72/ნ-ით შეტანილ იქნა ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესში. აღნიშნული ცვლილებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ ხელოვნების, ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო სფეროებს, მოუწევთ, რომ 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამების კრედიტების რაოდენობა შეამცირონ 60 კრედიტით, რაც თავისთავად ცხადია, რომ მოცემულ პროგრამებზე სწავლა გახდება სამ წლიანი.

სტატიაში წარმოდგენილია დადებითი და უარყოფითი ფინანსური ფაქტორები, რომელსაც გამოიწვევს მოცემული ცვლილება. დეტალურად არის წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მომგებიანობის შემცირების მაჩვენებელი, ასევე განხილულია სტუდენტთა მოსაზრებები არსებულ გამოწვევებთან მიმართებაში.

სტატიაში ასევე დასაბუთებულია ის გარემოებაც, რომ არსებული გამოწვევა მიუღებელი უნდა იყოს პროფესორ-მასწავლებლებისთვისაც, ვინაიდან რა თქმა უნდა საგრძნობლად შემცირდება მათი საათობრივი დატვირთვის მაჩვენებელიც, რაც გამოიწვევს მათთვის შემოსავლების შემცირებას.

სტატიაში აღწერილი და წარმოდგენილია არსებული საფრთხეები, კვლევის შედეგები, პრობლემების გადაჭრის გზები და რეკომენდაციები, რომელიც რა თქმა უნდა დადებით ასახვას ჰპოვებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, საბაკალავრო პროგრამები, ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები

Abstract. Higher education institutions of Georgia have been facing new challenges since 2024. By order of the Minister of Education, Science and Youth of Georgia, Decree No. N72/N, amendments were made to the procedure for developing educational programs. With this change, higher education institutions that offer narrow fields of arts, business, and administration will have to reduce the number of credits in 240-credit bachelor's programs by 60 credits, which of course means that studies in these programs will become three years long.

The article presents the positive and negative financial factors that this change will cause. It presents in detail the rate of decline in the profitability of higher education institutions, and also discusses students' opinions regarding the existing challenges.

The article also substantiates the fact that the current challenge should be unacceptable for professors as well, since their hourly workload will certainly be significantly reduced, which will lead to a decrease in their income.

The article describes and presents existing threats, research results, ways to solve problems, and recommendations, which will certainly have a positive impact on higher educational institutions.

Key Words: Higher education institutions, undergraduate programs, financial security issues.

ძირითადი ნაწილი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები განახლებულ ინტერესს ხედავენ სამწლიანი საბაკალავრო პროგრამების მიმართ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით (ბრძ. N72/ნ, მიღების თარიღი:28.02.2024 წ.) შეტანილ იქნა ცვლილება 2019 წლის 30 სექტემბრის ბრძანება N206/ნ-ში, რომელიც ეხება ,,ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) შემუშავების წესის დამტკიცებას“. [1. ბრძ.N72/ნ, 28.02.2024]

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი განსაზღვრავს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს, შემუშავებულ იქნეს, მხოლოდ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ერთობლივად, უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად 180 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამის განხორციელების უფლება დამოუკიდებლად შესაძლებელია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ. ცვლილება ეხება ხელოვნების, ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო სფეროებს.

ეს პროგრამები არ არის ახალი ტენდენცია. სხვა ქვეყნების უნივერსიტეტები დიდი ხანია გვთავაზობენ მოკლევადიან საბაკალავრო პროგრამებს. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში სტანდარტული ბაკალავრის ხარისხის დასრულებას სამი წელი სჭირდება. შეერთებული შტატების ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სცადა მსგავსი პროგრამის განხორციელება დაახლოებით ათი წლის წინ, როდესაც ვაშინგტონის შტატის და სხვაგან საკანონმდებლო ორგანოებმა უბრძანეს საჯარო უნივერსიტეტებს შეექმნათ ეს პროგრამები სწავლის ხარჯების შესამცირებლად.

თუმცა, პროგრამები დიდწილად წარუმატებელი აღმოჩნდა. ამ პროგრამებისადმი ინტერესის ამჟამინდელი აღორძინება მომდინარეობს „ბაზრის ზეწოლისგან უფრო ეფექტური პროგრამისთვის“.

საკითხთან მიმართებაში გვიჩნდება კითხვა გარკვეული სპეციალობის საბაკალავრო პროგრამების სამ წლიან სწავლებაზე გადასვლის დაჩქარება, ხომ არ არის ნაწილობრივ გამოწვეული მთავრობის პოლიტიკით? აქვე ლოგიკურია ყურადღება გავამახვილოთ სამ წლიან საბაკალავრო პროგრამებზე გადასვლის მიზეზი, ხომ არის საერთო საგანმანათლებლო ბაზარზე დამსაქმებლების მხრიდან მოთხოვნა დაჩქარებულ პროგრამებზე გადასვლა ან თუნდაც სტუდენტთა მხრიდან მოთხოვნები, იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ სტუდენტებს საკმაიდ დიდი ფინანსური რესურსების გადახდა უწევთ შესაბამისი ბაკალავრიტის ხარისხის მისაღებად, რაც მათთვის მძიმე ტვირთია.

სამწლიან (180 კრედიტიან) საბაკალავრო პროგრამებზე გადასვლა დადებით ფინანსურ ფაქტორად შეგვიძლია მოვიაზროთ სტუდენტებისთვის, ვინაიდან სტუდენტებისთვის

შემცირდება ხარჯები და ამავდროულად კურსდამთავრებულთა სამუშაო ბაზარზე უფრო სწრაფი წვდომა იქნება შესაძლებელი. ბევრი სტუდენტისთვის, ფინანსები, სავარაუდოდ, უმთავრესი და სრულიად პრაგმატული საზრუნავია.

აღნიშნული ცვლილება განხორციელდა 2024 წელს. 2023-2024 წელს საბაკალავრო პროგრამებზე სტუდენტთა მიღების მაჩვენებელი გაზრდილია წინა წლებთან შედარებით და საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 37,382-ს, ხოლო 2019-2020 წელში ჩარიცხულთა რაოდენობამ შეადგინა 30,750; 2020-2021 წელს 32, 236; 2021-2022 წელს - 31, 546-მა; 2022-2023 წელს საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხულთა რაოდენობა შეადგენდა 33,738; 2023-2024 სასწავლო წელს - 37,382-ს, 2024-205 წელს 35, 542-ს. (იხილეთ გრაფიკი N1)

გრაფიკი N1. 2019-2020 სასწავლო წლიდან 2024-2025 სასწავლო წლამდე საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთ რაოდენობა



როგორც მოცემული მაჩვენებლებიდან ჩანს საბაკალვრო პროგრამებზე ჩარიცხულთა რაოდენობა 2023-24 სასწავლო წელს გაცილებით ჭარბობს წინა წლების მაჩვენებელს. ცხადია ის ფაქტი, რომ გაზრდილი სტუდენტების რაოდენობა თავისთავად ზრდის გრანტირებულთა და კანონმდებლობით განსაზღვრული სტუდენტთა დაფინანსების რიცხვს (მაღალმთიან სოფლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბოლო 3 წელის შემთხვევაში თუ სწავლობდა მოსწავლე, აფხაზეთიდან დევნილების, ომში მონაწილეთა შვილები, სოციალურად დაუცველი სტუდენტები და სხვ.), აქედან გამომდინარე ლოგიკურად ჩნდება კითხვა აღნიშნული გარემოება, ხომ არ გახდა სახელმწიფოსთვის, რომ რიგი პროგრამებისა გადასულიყო სამ წლიან სწავლებაზე გასაცემი ხარჯების შემცირების მიზნით.

მნიშვნელოვანია თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები გარკვეული მიმართულებების პროგრამული დაფინანსების ოდენობა როგორ გამოიყურება ზემოთ ჩვენს მიერ განხილული წლებისთვის.

საქართველოს მთავრობის 67-ე დადგენილების თანახმად (06.03.2024 წ.) 2024-2025 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული მიმართულების/მიმართულებების პროგრამული დაფინანსების მოცულობა განისაზღვრა 12 723 750 (თორმეტი მილიონ შვიდას ოცდასამი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარით. [2. დადგენილება N67. 06.03.2024 წ.]

ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობა კი შეადგენს 13 162 500 (ცამეტი მილიონ ას სამოცდაორი ათას ხუთასი) ლარს. (წყარო: საქართველოს მთავრობის დადგენილება N67, 06.03.2024), ხოლო სრული და ნაწილობრივი ოდენობის სახელმწიფო სასწავლო გრანტებმა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგიის აკრედიტირებულ საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის გამოყოფილია 2024-2025 სასწავლო წელს 9 155 000 (ცხრა მილიონ ას ორმოცდათხუტმეტი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად (დადგენილება N 263, 18.07.2023) სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი დაწესებულებებისთვის 2023-2024 სასწავლო წლისათვის დაფინანსების მოცულობა განისაზღვრა 12 723 750 (თორმეტი მილიონ შვიდას ოცდასამი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარით. (დადგენილება N263, 18.07.2023). ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობა კი შეადგენს 12 600 000 (თორმეტი მილიონ ექვსასი ათასი) ლარს, ხოლო სრული და ნაწილობრივი ოდენობის სახელმწიფო სასწავლო გრანტებმა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგიის აკრედიტირებულ საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის გამოყოფილია 2023-2024 სასწავლო წელს 9 155 000 (ცხრა მილიონ ას ორმოცდათხუტმეტი ათასი) ლარი. 2022-2023 სასწავლო წლის პროგრამული დაფინანსების მოცულობა იდენტურია 2023-2024 სასწავლო წლის დაფინანსების მოცულობის. (დადგენილება 220, 26.04.2022). ჩვენს მიერ განხილული სასწავლო წლების მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობა გაზრდილია წინა წლებთან შედარებით 562 500 ლარით. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფოს მიერ რიგი საბაკალავრო პროგრამების ხანგრძლივობის შემცირებით, ხომ არ მოხდა ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობის შემცირება? ვინაიდან ზემოთ აღნიშნულ პროგრამებზე სწავლა გახდა სამ წლიანი, შესაბამისად მეოთხე კურსელები აღარ გვეყოლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოცულობაც შესაბამისად შემცირდება.

ფინანსურად დადებითი ფაქტორი არის თქო ნაწილობრივ ვერ ვიტყვით თუ არ ჩავთვლით რა თქმა უნდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაზოგილ თანხებს, ვინაიდან გრანტირებულთა სიას ვერ გავზრდით თვითნებურად, რადგან სახელმწიფო გრანტის მოპოვება შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად. დადებით ფაქტორად შეგვიძლია მოვიაზროთ თუ გაწეული დანაზოგის საფუძველზე გაიზრდება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სოციალური სტატუსის მქონე სტუდენტების რიცხვი.

რამდენად იქნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის აღნიშნულ პროგრამებზე სამ წლიან სწავლებაზე გადასვლა მათთვის ფინანსური თვალსაზრისით მისაღები? თუ გადავხედავთ 2022-2023 სასწავლო წელს ჩარიცხული სტუდენტების, რიცხოვნობას 33,738, რომლებიც განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე 2024-2025 სასწავლო წელს დაასრულებენ სწავლას, ვფიქრობთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვისაც არ უნდა იყოს მიმზიდველი, ვინაიდან 2024-2025 სასწავლო წელს ასევე საბაკალავრო პროგრამებს დაასრულებენ 2020-2021 წელს ჩარიცხული სტუდენტებიც 32, 236 სტუდენტი. თუ ამოსავალ

წერტილად ავიღებთ 2022-2023 სასწავლო წელს ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობას, რომელთაც სწავლა უნდა დაესრულებინათ 2025-2026 სასწავლო წელს და ცვლილებების შედეგად ასრულებენ 2024-2025 წელს სწავლას და მოიპოვებენ შესაბამისი კვალიფიკაციის ბაკალავრიატის დამადასტურებელ დოკუმენტს, შედეგად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სტუდენტთა რიცხოვნობა ჯამში შემცირდება 33,738-ით (2022-2023 სასწავლო წლის ჩარიცხვების მიხედვით), რაც რა თქმა ფინანსურად მიმზიდველი არაა, ვინაიდან შემცირდება თვითოეული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის შემოსავლები და ასევე საერთო ჯამში მათი მოგება.

ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა საქართველოში შეადგენს: უნივერსიტეტი - 56, კოლეჯი - 2, მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები - 6, ჯამში შეადგენს 64-ს. თუ გადავანაწილებთ 2022-2023 სასწავლო წელს ჩარიცხულთა რაოდენობას ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, საშუალო მაჩვენებლებით - 2022-2023 წელს ჩარიცხულთა რაოდენობას - 33 738-ს გავყოფთ ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობაზე - 64-ზე მივიღებთ, რომ საშუალოდ თვითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მესამე კურსზე ჰყავს 527 სტუდენტი, ეს რა თქმა უნდა ორიენტაციისათვის, რომ ავიღო, თუ საშუალოდ რა მოცულობის შემოსავალს კარგავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რეალურად საგანმანათლებლო ბაზარზე ჩარიცხულთა რაოდენობა არათანამბრად ნაწილდება, ჩარიცხულთა რაოდენობას ემატება ასევე უცხოელი სტუდენტების რაოდენობაც, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

საორიენტაციაოდ, რომ ავიღოთ ცვლილებების შედეგად კურსდამთავრებულთა რიცხოვნობის მაჩვენებელი 527 სტუდენტიდან, შეძლო სწავლა დაესრულებინა 210 მესამე კურსის სტუდენტს. განვსაზღვროთ, რომ თვითოეულ ჯგუფში ირიცხება 30 სტუდენტი, გამოდის, რომ ჯამში 7 ჯგუფი გვყვავს სხვადასხვა სპეციალობებით.

თითოეული ჯგუფიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 30X2250=67500 ლარს, შვიდი ჯგუფის შემთხვევაში შემოსავალი გვექნება 67500X7=472 500 ლარი. აღნიშნული შემოსავლებიდან შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ ხარჯები, თუ რა რაოდენობის ფინანსური ხარჯები სჭირდება თვითოეულ ჯგუფს ლექცია-სემინარების უზრუნველსაყოფად. თუ ჩავთვლით, რომ თვითოეულ პროფესორს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საათში უხდის 25 ლარს, გამოდის, რომ 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის შემთხვევაში, სემესტრული საკონტაქტო საათების რაოდენობა შეადგენს 45-ს, ხოლო 45X25=1125, თვითოეული პროფესორისათვის სემესტრში ასაღები თანხა შეადგენს 1125 ლარს, თუ გავითვალისწინებთ საშემოსავლო და საპენსიო გადასახადებს პროფესორის ხელფასი სემესტრში დარიცხული გვექნება 1372 ლარი. 5 კრედიტიანი სასწავლო კურსების შემთვევაში, ჯამში სტუდენტი სწავლობს 6 საგანს, რომელზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაწეული ხარჯები შეადგენს 1372X6=8232 ლარს, ამას საშუალოდ შეგვიძლია დაუმატოთ ზამთრის პერიოდში გათბობის ხარჯები, საშუალოდ თვეში 150 ლარი, გათბობა დაახლოებით 4 თვე გვჭირდება, რომელზე გაწეული ხარჯებიც შეადგენს 600 ლარს. 8232+600=8832, ნათლად ჩანს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის თვითოეული ჯგუფიდან შემოსავალი შეადგენს 67500-8832=58 668 ლარს. მოცემულ თანხას საშუალოდ გამოვაკლოთ ადმინისტრაციულ პერსონალზე გადასახდელი თანხა, რომელიც მხოლოდ მოცემული კონკრეტული ჯგუფიდან არ ხდება გადახდა, მაგრამ ავიღოთ საორიენტაციოთ 20000 ლარი, 58 668-20 000 = 38 668 ლარს მივიღებთ თვითოეული

ჯგუფიდამ მოგებას, ხოლო 7-ი ჯგუფის შემთხვევაში მოგება შეადგენს 38 668 X 7=270 676 ლარს, აღნიშნული თანხის რეფინანსირებას თუ არ მოახდენს საგანმანათლებლო დაწესებულება არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა, თუ რეფინანსირების მეთოდს არ გამოიყენებს, მაშინ მოცემული თანხა დაიბეგრება მოგების გადასახადით. რაც არ უნდა იყოს, საგულისხმოა იმ გარემოების გამოკვეთა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მკვეთრად შეუმცირდებათ მოგება, რაც მიმაჩნია, რომ არ უნდა იყოს სახარბიელო მათთვის, თუ ვიტყვით, რომ ხარჯებიც უმცირდებათ და შესაძლოა, რომ მათთვის პრივილეგირებული იყოს სამ წლიან საბაკალავრო პროგრამაზე გადასვლა, ვფიქრობთ, რომ მოგება იმდენად აღემატება გაწეულ ხარჯებს, რომ ნამდვილად არასახარბიელოა.

თუ გავითვალისწინებთ სტუდენტების პოზიციებს, მათ ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ მათთვის მიმზიდველია, სამ წლიან საბაკალავრო პროგრამებზე გადასვლა, ვინაიდან შეუმცირდებათ ფინანსური ხარჯები, ასევე დაეუფლებიან ერთი წლით ადრე პროფესიას, რომლის საფუძვლადაც მოიპოვებენ ბაკალავრის სტატუს და შეძლებენ საკუთარი პროფესიით დასაქმებას.

დასკვნა. საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ქვეყანაში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური უზრუნველყოფის დადებითი და უარყოფითი საკითხები განხორციელებული ცვლილებების ფონზე. პრობლემად იკვეთება ის გარემოება, რომ აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუმცირდებათ მიღებული მოგება, რაც შესაძლოა მცირე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სავალალოც კი აღმოჩდეს და ცვლილებამ გამოიწვიოს მათი დახურვა, საერთო ბაზრიდან გასვლა. დადებით საკითხად მოიაზრება ის გარემოება, რომ ცვლილებების საშუალებით სტუდენტებს უმცირდებათ ფინანსური ხარჯები, რაც არა მარტო სწავლის გადასახადს, მოიცავს, არამედ საცხოვრებელ და საყოფაცხოვრებო ხარჯებსაც, რაც მათ უმრავლესობას საშუალებას მისცემს, რომ შესაბამისი განათლება მიიღონ, რომელიც ხშირ შემთხვევაში მათთვის მიუწვდომელი იყო, ამავდროულად მათ შეუმცირდებათ საბაკალავრო პროგრამის დასრულების დროც, 1 წლით ადრე შეძლებენ კვალიფიკაციის მოპოვებას და მათ საშუალება მიეცემათ პროფესიით დასაქმების.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება N72/ნ, 28.02.2024

https://matsne.gov.ge/ka/document/view/6117132?publication=0

2. საქართველოს მთავრობის დადგენილება N67 (06.03.2024წ.) 2024-2025 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ

https://matsne.gov.ge/ka/document/view/6127265?publication=0

3. საქართველოს მთავრობის დადგენილება N 263, 18.07.2023) 2023-2024 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5869460?publication=0

4. საქართველოს მთავრობის დადგენილება N 220, 26.04.2022) 2022-2023 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5445713?publication=0
5. განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
https://www.mes.gov.ge/content.php?id=1855&lang=geo&csrt=10122920073638085112

სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობა ავიაინდუსტრიაში
The importance of strategic planning in the aviation industry

ანა კურტანიძე
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი. პროფესორი
მაკრინე ბაბლუანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
Ana Kurtanidze
Georgian Aviation University
Faculty of Business Administration. Professor
Makrine Babluani
Georgian Technical University
Doctor of Business Administration

აბსტრაქტი. მსოფლიოში, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კონკურენტუნარიანი, სწრაფად განვითარებადი და დინამიური ინდუსტრიაა ავიაცია. ავიაკომპანიებსა და აეროპორტებს დარგის სწრაფად ცვალებად გარემოსთან გასამკლავებლად ესაჭიროებათ სტრატეგიული მენეჯმენტის მეთოდების ეფექტურად დანერგვა, განხორციელება და კონტროლი. რაც შემდგომ მათ კონკურენტულ უპირატესობას საგრძნობლად უწყობს ხელს. სტრატეგიული დაგეგმვა აუცილებელია ავიაკომპანიებისა და აეროპორტების მიერ დასახული მიზნების საავიაციო ბაზარზე არსებულ პირობებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანისათვის. კომპანიას უნდა შეეძლოს მოსალოდნელი რისკების წინასწარ განსაზღვრა და ცვლილებებთან მარტივად გამკლავება. ის ავიაკომპანიები, რომლებიც მუდმივად ცდილობენ ინოვაციებისა და ახალი სტრატეგიების დანერგვას, კონკურენტებთან შედარებით ტექნოლოგიურად განვითარებას, ახალ გარემო ცვლილებებთან სწრაფად ადაპტირებას, მომხმარებლების მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას, მეტად მარტივად აღწევენ ბაზარზე კონკურენტულ უპირატესობას.

ავიასაწარმოების განვითარების გრძელვადიანი გეგმა-ფორსაიტი მორგებულია არსებულ გარემოებას, რეალობას, მოხოვნებს, შესაძლებლობებს და საკმაოდ მომგებიანია. ეს გენრალური/სტრატეგიული გეგმა მომავლის ხედვაა და ეხმარება ავიასაწარმოებს სწორად შეაფასონ საკუთარი რესუსები. მათზე დაყრდნობით გააანალიზონ შესაძლებლობები და გაწერონ გრძლევადიანი მოქმედების გეგმა, რომელიც ფორსმაჟრულ სიტუაციებშიც გაუწევთ უდიდეს დახმარებას.

საკვანძო სიტყვები: ავიაცია, ავიაინდუსტრია, სტრატეგია, კონკურენტები, ტექნოლოგიები, გლობალიზაცია, სტრატეგიული მენეჯმენტი, ფორსაიტი, გენერალური გეგმა,მომხმარებლები, სტრატეგიული მეთოდები.

Abstract. Aviation is considered to be one of the most competitive, fast-growing and dynamic industries in the whole world. In order to deal with the rapidly changing environment, airlines and airports need to effectively plan, implement and control strategic management methods, which will further significantly contribute to their compatitive advantage in the market.

The above mentioned is necessary in order for the goals set by the airlines and airports to be in full compliance with the conditions in the aviation field. The company should be able to predict expected risks and deal with the

changes easily. Those airlines that constantly try to introduce innovations and new strategies, develop technogically compared to competitors, quickly adapt to new environmental changes, meet the needs of customers as much as possible, more easily achieve a competitive advantage in the market.

A long-term plan for the development of aviation industry - foresight - is quite profitable. The general strategic plan is adapted to the existing circumstances, reality, trends, opportunities.

A vision of the future helps airlines to define and correctly assess their resources, based on them to analyze opportunities and write a powerful action plan that will provide the greatest assistance even in force majeure situations.

Keywords: aviation, aviation industry, strategy, competitors, technologies, globalization, strategic management, foresight, master plan, customers, strategic methods.

მძაფრი კონკურენცია და სწრაფად ცვალებადი გარემო დამახასიათებელია ყველა ბიზნეს ერთეულისათვის და მათ შორის საავიაციო სფეროსათვის. ავიაკომპანიები მიმართავენ სხვადასხვა სტრატეგიულ მეთოდებს ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მიზნით. აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ თითოეული მომხმარებელი ინდივიდუალურია და განსხვავებული მოთხოვნილებები აქვს. ავიასაწარმოები კონკურენტებთან კონკურენციის გასაწევად იყენებენ - საფასო სტრატეგიებს ეთიკის ფარგლებში; მომხმარებლების ლოიალურობის პროგრამებს, (ხშირი ფრენის პროგრამა); ალიანსების შექმნას; მომსახურების დიფერენციაციას; ბაზრების სეგმენტირებას და ფოკუსირებას; მარშტურების რაოდენობის გაზრდას; ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას.

ცნობილია, რომ ავიაციის დარგისათვის დამახასიათებელია ხშირი და მუდმივი ცვლილებები, ამიტომ, საჭიროა საბაზრო ცვლილებების წინასწარ განჭვრეტა, რესურსების ეფექტური განაწილება და მომგებიანი სტრატეგიების შემუშავება. COVID-19 პანდემიამ ცხადყო, რომ საავიაციო ინდუსტრია სათანადოდ მომზადებული არ იყო და ავიაკომპანიების უმეტესობამ კრიზისის დროს სავალალო მაჩვენებლები დააფიქსირა, რამაც შემდგომ პერიოდში განაპირობა სტრატეგიული დაგეგმვისა და გლობალურ პირობებთან ადაპტაციაზე მორგებული მიზნების მიმართ ყურადღების გამახვილება.

სტრატეგიული მენეჯმენტის სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია- - ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მატრიცა. ბოსტონის მატრიცის დახმარებით შესაძლებელია შეთავაზებების ვიზუალური წარმოდგენა ორი მაჩვენებლის გამოყენებით. ესენია: ბაზრის ზრდის ტემპი და საბაზრო წილი. აღნიშნული მატრიცა უზრუნველყოფს კომპანიის პროდუქციასთან დაკავშირებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას.

ტერმინი „Boston Box Matrix“, ასევე ცნობილია, როგორც „BCG Matrix“, ან „Growth-Share Matrix“. აღნიშნული მატრიცა 1970-იან წლებში შეიქმნა Boston Consulting Group (BCG)-ის მიერ, რომელიც ბოსტონში დაფუძნებულ მენეჯმენტის საკონსულტაციო ორგანიზაციას წარმოადგენდა. ბოსტონი დაერქვა ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ხოლო, რაც შეეხება ტერმინ „ყუთს“, ის დაერქვა მატრიცის ვიზუალიდან გამომდინარე და ასახავს მის ბადისებრ სტრუქტურას, რომელიც ოთხ კვადრატად, ანუ ყუთად არის დაყოფილი. ეს კვადრატებია: ძაღლი (DOG); ფულადი ძროხა (CASH COW); ველური კატა (WILD CAT); ვარსკვლავი (STAR).

ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მატრიცა- ეფექტურად მოქმედებს ავიაციის დარგზე. ავიაკომპანიებისათვის უზრუნველყოფს რესურსების შედარებით ეფექტურად განაწილებას. „ვარსკვლავის“ კატეგორია ფულადი რესურსების ახალ ინვესტიციებში განაწილების მაჩვენებელს ზრდის, რაც პირდაპირპროპორციულია საავიაციო ბაზრის განვითარებასთან. „ფულადი ძროხების“ სტრატეგია უმეტესწილად ორიენტირებულია ფულადი სახსრების შემოდინებაზე, რაც საავიაციო ინდუსტრიის ფინანსურ სტაბილურობაში დიდ როლს თამაშობს.

„ველური კატის“ პრინციპი არეგულირებს ბაზარზე არსებულ კომპანიებს, რაც გამოიხატება პოტენციური ზრდის სფეროებში ინვესტირების განხორციელებით. „ძაღლის“ კატეგორია ავიაკომპანიებს უბიძგებს სტრატეგიის გაუმჯობესებისაკენ, რისი წარმატებით აღსრულებაც საავიაციო ინდუსტრიის გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის განმაპირობებელია.

სტრატეგიული მენეჯმენტის კიდევ ერთი მეთოდი - ანსოფის მატრიცა ავიაციის სფეროში ძალიან ეფექტური შედეგებით ხასიათდება. ანსოფის მატრიცას, მეორენაირად ეწოდება- პროდუქციისა და ბაზრის გაფართოების ბადე. იგი შექმნა იგორ ანსოფმა (მათემატიკოსი და ბიზნეს მენეჯერი) და თავისივე სახელი უწოდა.

ანსოფის მატრიცას ორგანიზაციების მენეჯმენტის გუნდები იყენებენ კომპანიისათვის მომგებიანი სტრატეგიების დასახვის მიზნით. ეს მეთოდი ფირმებს ხელს უწყობს, შეაფასონ მათი არსებული მდგომარეობა და შეისწავლონ მათთვის ახალი პროდუქცია და ბაზრები. მიზეზს წარმოადგენს ავიაკომპანიებისა და აეროპორტებისათვის სარგებლის მომტანი მიდგომების შეთავაზება, რაც საბოლოო ჯამში ბაზრის მომგებიანობაზეც აისახება. მატრიცის თითოეული სტრატეგია ორიენტირებულია ავიაგადამზიდავებთან ერთად საავიაციო ბაზრის განვითარებაზეც. ის კომპანიებს უბიძგებს მომხმარებლებისათვის შეთავაზებული მომსახურების, საფასო პოლიტიკის, ინოვაციებთან დაკავშირებული ტაქტიკების, მარკეტინგული ინიციატივების გაუმჯობესებისაკენ. თითოეული ავიაკომპანიისა, თუ აეროპორტის მიერ შეტანილი წვლილი საკუთარ განვითარებაში კი უზრუნველყოფს საავიაციო ბაზრის ეკონომიკურ წინსვლას.

ოთხმოქმედებიანი ჩარჩო (ოთხმოქმედებიანი ჩარჩო უზრუნველყოფს მომხმარებლე- ბისათვის ღირებულების შექმნას ოთხი ქმედებით რომლებიც არის: აღმოფხვრა, შემცირება, ამაღლება და შექმნა) საავიაციო ინდუსტრიის მოთამაშეების მხრიდან ერთ-ერთ ყველაზე აქტიურად გამოყენებად მეთოდს წარმოადგენს. აღნიშნული მოდელი კომპანიებს მომხმარებლებისათვის შეთავაზებული ღირებულების ამაღლებაში ეხმარება. ზედმეტი მახასიათებლების აღმოფხვრით/შემცირებითა და ფუნქციების გაუმჯობესებით/ინოვაციის დანერგვით ავიასაწარმოები საოპერაციო ხარჯების შემცირებასა და ეფექტური ოპერირების ზრდას ახერხებენ. ოთხმოქმედებიან ჩარჩოზე დაყრდნობით, მგზავრების შეხედულებების, საჭიროებების გათვალისწინება და მაქსიმალურად დაკმაყოფილება აუცილებლად აისახება გაყიდვების მაჩვენებლის ზრდის სახით, რაც საავიაციო ინდუსტრიის საერთო პოზიტიური სურათით გამოიხატება.

საავიაციო ინდუსტრიაში პორტერის 5 ძალის მეთოდს პოზიტიური გავლენა აქვს სწორი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას (*ალტერნატიული ტრანსპორტის საფრთხე; ბაზარზე ახალი მოთამაშეების გამოჩენის საფრთხე; კონკურენცია ბაზარზე არსებულ კომპანიებს შორის; მომწოდებლების სავაჭრო ძალა; მომხმარებლების სავაჭრო ძალა.).* პორტერის მეთოდი ავიაკომპანიებს ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში უწყობს ხელს. მსგავსი სტრატეგიული დაგეგმარებით ისინი მოიპოვებენ კონკურენტულ უპირატესობას, გაზრდიან ბრენდის ცნობადობას და ექნებათ ერთგულ მომხმარებელთა ბაზა.

ასევე, არსებობს ფორსაიტის მეთოდოლოგია, რომელიც წარმოადგენს ოპერატიულ ჩარჩოს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მონაცემების უფრო ნათლად დასანახად. ეს კი საშუალებას აძლევს საწარმოებს გაანალიზონ მონაცემები მომავალ მოსალოდნელ მოვლენებზე. ფორსაიტი გულისხმობს პრაქტიკას, მეთოდებს, ინსტრუმენტებსა და ტექნიკას, რომლებიც ეხმარება ორგანიზაციას აქტიურად შეისწავლოს, ჩამოაყალიბოს და მართოს მომავალი. ეს მოიცავს

ცვლილების ძირითადი მამოძრავებლების გააზრებას, მომავალში შესაძლო პროგნოზებს და ცვლილებების გავლენას კონკრეტულ ბიზნესზე, პროექტებსა თუ კონტექსტებზე.

ფორსაიტი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიზნეს კონტექსტების ფართო სპექტრისთვის. ეს მოიცავს სტრატეგიას, რისკს და ინოვაციური პროცესებს, ასევე მარკეტინგის, დიზაინისა და საინჟინრო პროექტების განხორციელებას. ამ გეგმის მიზანია უზრუნველყოს სამომავლო შესაძლებლობების მაქსიმალურად გაზრდა და რისკების მინიმუმამდე დაყვანა. ავიასაწარმოებისათვის, განვითარების ეს გრძელვადიანი გეგმა, საკმაოდ მომგებიანი და სწორი წინ გადადგმული ნაბიჯია.

გამომდინარე ავიასაწარმოების სტრატეგიების დაგეგმვის მიზანშეწონილობიდან აუცილებელია ლოიალობის პროგრამების შეთავაზება მგზავრებისათვის, მომსახურების პერსონალიზაცია დასამახსოვრებელი გამოცდილების შესაქმნელად და ფრენის კეთილმოწყობა/უსაფრთხოება. ავიაკომპანიებმა მონაცემთა ანალიზის გზით მოპოვებული ინფორმაცია უნდა გამოიყენონ საბაზრო მდგომარეობის, მომხმარებლების საჭიროებებისა და ოპერაციული საქმიანობის მონიტორინგისათვის, რაც მათ სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება. სტრატეგიულ ალიანსებში გაწევრიანება და პარტნიორობა ფრიად მნიშვნელოვანია, რაც ავიაკომპანიებს საერთაშორისო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებზე გასვლაში დაეხმარება. ასევე ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი ფაქტორია ხარჯების მართვის სტრატეგიები.

ცნობილია, რომ ინტერნეტ-მომხმარებლების რაოდენობის ზრდამ, რაც გამოწვეულია ტექნოლოგიების განვითარებით, ხელი შეუწყო ახალი მარკეტინგული სტრატეგიების წარმოქმნას. ციფრულ რეკლამაზე, ბევრად ნაკლები სახსრებია საჭირო, ვიდრე - ბეჭდურ რეკლამებზე, რადიო რეკლამებზე და ბილბორდებზე. იმისათვის, რომ ავიაბიზნესში წამატებით ფუნქციონირებდეს აღნიშნული ციფრული მარკეტინგის სტრატეგიები, აუცილებელია მარკეტინგული ხარჯების დასაფარად არსებობდეს წინასწარ განსაზღვრული ბიუჯეტი. ასევე ავიაკომპანიები მომახმარებლებისათის ყოველთვის აქტუალურები რომ იყვნენ, საჭიროა ინოვაციური პროექტების მუდმივად განხორციელება. მნიშვნელოვანი და აუცილებელია გარემოს დაცვის გათვალისწინება, საწვავის ეფექტურობის გაუმჯობესება და ეკომეგობრული საჰაერო ხომალდებით ოპერირება.

ავიაკომპანიები, რომლებსაც სტრატეგიული მენეჯმენტის დაგეგმვის მეთოდები პრაქტიკაში ეფექტურად აქვთ დანერგილი, ახერხებენ საავიაციო ინდუსტრიის გამოწვევებთან მარტივად გამკლავებასა და გრძელვადიანი სასიცოცხლო ციკლის შენარჩუნებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Kennedy, R., 2020, Strategic Management, Blacksburg, United States of America;
2. Hicks, M., 2023, Beyond the Backlog: The Product Managers Compendium, Portland, Oregon;
3. Süzen, E. (2023, November 30). Analysis techniques for strategic management in the aviation sector. Web of Conferences. https://www.e3s-conferences.org/articles/e3sconf/pdf/2023/89/e3sconf_ipfa2023_05022.pdf
4. Kotler, P., & Keller, K. L., 2012, Marketing Management, 14th ed., Upper Saddle River, New Jersey.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში
The securities market in Georgia

ანნა ზარანდია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო
პროგრამის დოქტორანტი
Anna Zarandia
Caucasus International University
Faculty of Business and Technology
Doctoral Student in the Doctoral Educational
Program in Business Administration

აბსტრაქტი. ფასიანი ქაღალდების ბაზრის არსებობა და განვითარება ყველა ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მართალია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი ფორმალურად არსებობს, რეალურად იგი ვერ ვითარდება, რასაც მრავალი ფაქტორი უშლის ხელს. პირველი ის რომ ქვეყანაში პრივატიზაციისა და ინსტიტუციონალური მშნებლობის პროცესები არასწორად განხორციელდა. არასწორად ჩატარებულმა პრივატიზაციის პროცესმა შედეგად ვერ მოიტანა ინვესტორთა მონაწილეობა და პრივატიზებული საწარმოების სწორი კორპორაციული მართვა. პრივატიზირებულ საწარმოთა უმეტესობაში აქციების საკონტროლო პაკეტებს შრომით კოლექტივები, სინამდვილეში კი ყოფილი დირექტორები დაეპატრონენ, რომელთა აქციების საჯარო შეთავაზების გზით ახალ ინვესტორთა მოზიდვის არანაირი სურვილი არ გააჩნდათ და შედეგად პრივატიზებულ საწარმოთა უმეტესობა დარჩა ინვესტიციების გარეშე, რამაც ფაქტიურად შეუძლებელი გახდა მეორად ბაზარზე მათი აქციებით მასობრივი ვაჭრობა.

მეორე ფაქტორი თუ რატომაც ვერ ვითარდება ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში, არის ფინანსურ სექტორში კომერციული ბანკების სრული დომინირება, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის ალტერნატიული ფინანსური ბაზრების განვითარებას. აუცილებელია, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება დაეკისროს დამოუკიდებელ რეგულატორს, აღდგეს ამერიკელი ექსპერტების მიერ რეკომენდირებული 2008 წლამდე მოქმედი ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფს საფონდო ბირჟაზე დაშვებულ ფასიან ქაღალდებზე გარიგებების დადებას მხოლოდ საფონდო ბირჟაზე და კონკურენტი საბანკო სექტორის ზეგავლენის შესუსტებას საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურის მართვაზე.

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ობლიგაციების გამოშვებისა და საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათი დაშვების ზრდა ხელს უნდა უწყობდეს საქართველოში პორტფელური ინვესტიციების განვითარებას შედეგი პირდაპირ უკუპროპორციულია. ამის მიზეზს წარმოადგენს საბანკო სექტორისათვის კომფორტული და მისაღები ობლიგაციების გამოშვება და ეროვნული ბანკის მიერ მისი რეფინანსირების დაკრეტიტების საფუძვლად გამოიყენება. ბოლო პერიოდში გამოშვებული და საქართველოს საფონდო ბირჟაზე დაშვებული ყველა ობლიგაციის ნომინალი ძირითადად იმდენად მაღალია რომ მისი ყიდვა-გაყიდვა მასობრივ ბაზარზე პრაქტიკულად შეუძლებელია.

საკვანძო სიტყვები: ფასიანი ქაღალდების ბაზარი, კანონი, ობლიგაცია, ლიკვიდურობა, კომერციული ბანკები.

Abstract. The existence and development of the securities market is vital for every country. Although the securities market formally exists in Georgia, in reality it cannot develop, which is hindered by many factors. The first is that the privatization and institutional building processes in the country were carried out incorrectly. The incorrectly conducted privatization process did not result in investor participation and proper corporate governance of the privatized enterprises. In most privatized enterprises, controlling stakes in the shares were owned by labor

collectives, or in fact, former directors, who had no desire to attract new investors through a public offering of their shares, and as a result, most of the privatized enterprises were left without investments, which made mass trading of their shares on the secondary market practically impossible.

The second factor why the securities market in Georgia cannot develop is the complete dominance of commercial banks in the financial sector, which makes the development of alternative financial markets virtually impossible. It is necessary to entrust the regulation of the securities market to an independent regulator, to restore the norms recommended by American experts that were in effect until 2008, which ensure that transactions on securities admitted to the stock exchange can be concluded only on the stock exchange and to weaken the influence of the competing banking sector on the management of the stock market infrastructure.

Although it seems that the increase in the issuance of bonds and their admission to the Georgian Stock Exchange should contribute to the development of portfolio investments in Georgia, the result is directly inversely proportional. The reason for this is the issuance of bonds that are comfortable and acceptable for the banking sector and are used by the National Bank as the basis for its refinancing credits. The nominal value of all bonds issued and listed on the Georgian Stock Exchange in recent times is generally so high that it is practically impossible to buy and sell them on the mass market.

Keywords: Securities market, Law, Bond, Liquidity, Commercial banks.

დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა საინვესტიციო სახსრების მძაფრ დეფიციტს განიცდის, ერთადერთ რეალურ გამოსავალს საინვესტიციო პოლიტიკის ცვლილება წარმოადგენს, რაც უპირველეს ყოვლისა პირდაპირი ინვესტიციების ნაცვლად პორთფელური ინვესტიციების ხელშემწყობი გარემოს, კერძოდ კი ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნაში უნდა გამოიხატოს. ფასიანი ქაღალდების ბაზრის, როგორც ინსტიტუციონალური მექანიზმის მნიშვნელობის დასახასიათებლად საკმარისია იმ სფეროების ჩამოთვლა, რომლებშიც იგი მთავარ როლს ასრულებს. მსოფლიოს მეტ-ნაკლებად განვითარებულ ყველა ქვეყანაში სწორედ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით ხდება ბიზნესის დაფინანსება, დაგროვილი ფინანსური რესურსების (დანაზოგების) დაბანდება, საბიუჯეტო დეფიციტის და მუნიციპალური პროექტების დაფინანსება, დაგროვებით საპენსიო სქემებში და სადაზღვევო კომპანიებში აკუმულირებული ფინანსური სახსრების დაბანდება.

მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებით ხდება რეალურად შესაძლებელი ბიზნესის გამჭვირვალობის ზრდა, კორპორატიული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება, საინვესტიციო სახსრების მულტიპლიკაციური ეფექტი, ცალკეული დარგების და ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობიოს მკაფიო ორიენტირების გაჩენა. გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას ქვეყნისათვის მოაქვს ისეთი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური ეფექტები, როგორებიცაა: მოსახლეობის ფართე ფენების ჩართვა მსხვილ ბიზნესში (ბიზნესის და მოსახლეობის ფართო ფენების პირდაპირი ინტერესების თანხვედრა) და სააქციო საზოგადოების, როგორც მართვის დემოკრატიული სისტემის მოდელის გამოყენება ქვეყნის და მუნიციპალური სუბიექტებთან მიმართებაში.

სამწუხაროდ, საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას ხელს უშლის უამრავი ფაქტორი, რომელთა გამომწვევი მიზეზებიც ქვეყანაში არასწორად განხორციელებული პრივატიზაციისა და ინსტიტუციონალური მშენებლობის პროცესებში არსებულ პრობლემებში უნდა ვეძიოთ.

1994 წელს საქართველოში დაიწყო მასობრივი პრივატიზაციის პროცესი, რომლის მიზანიც იყო, არამარტო კერძო ინვესტორთა მოზიდვა, არამედ ფასიანი ქაღალდების ბაზრის და მისი ინფრასტუქტურის ინსტიტუტების ჩამოყალიბება.[321] თუმცა, არასწორად ჩატარებულმა პრივატიზაციის პროცესმა შედეგად ვერ მოიტანა ინვესტორთა მონაწილეობა და აქციონერთა

[321] ალესანდრე სჭინავა ,,ინვესტიციები“ თეორია, ანალიზი ორგანიზაცია, მართვა

პრივატიზებული საწარმოების სწორი კორპორაციული მართვა. პრივატიზირებულ საწარმოთა უმეტესობაში აქციების საკონტროლო პაკეტებს ე.წ. შრომითი კოლექტივები, სინამდვილეში კი ფაქტიურად ყოფილი დირექტორები დაეპატრონენ, რომელთაც აქციების საჯარო შეთავაზების გზით ახალ ინვესტორთა მოზიდვის არანაირი სურვილი არ გააჩნდათ და შედეგად პრივატიზებულ საწარმოთა უმეტესობა დარჩა ინვესტიციებს გარეშე, რამაც ფაქტიურად შეუძლებელი გახადა მეორად ბაზარზე მათი აქციებით მასობრივი ვაჭრობა.

მიუხედავად ამისა, 1998 წელს საქართველოში დაიწყო USAID-ის მიერ დაფინანსებული „კაპიტალის ბაზრის განვითარების პროექტი“, რომლის ფარგლებშიც ამერიკელი, ევროპელი და ქართველი სპეციალისტების ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ერთ წელიწადში ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობის მომზადება და დამტკიცება. ეს კანონი იმდენად სრულყოფილი აღმოჩნდა, რომ 1999 წელს უკვე შეიქმნა ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო - ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია და მოხდა ბაზრის ძირითადი ინსტიტუტების საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების და საბროკერო კომპანიების ლიცენზირება. ამასთან, 2000 წლისთვის მზად იყო, არა მარტო ყველა საჭირო კანონქვემდებარე აქტი, არამედ ბირჟის და დეპოზიტარის თვითრეგულირების წესები და პროცედურებიც, აგრეთვე ბირჟისა და დეპოზიტარის ურთულესი სავაჭრო და საკლირინგო-საანგარიშსწორებო სისტემები, რამაც შესაძლებელი გახადა უკვე 2000 წელს რეგულარული საბირჟო ვაჭრობის დაწყება.[322]

სამწუხაროდ, ხელისუფლების მხარდაჭერის უქონლობის პირობებში „კაპიტალის ბაზრის განვითარების პროექტი“, რომელიც თავდაპირველად ხუთ წელიწადზე იყო გათვლილი 2 წელიწადში მოულოდნელად შეწყდა და ახლად ჩამოყალიბებულ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებს დამოუკიდებლად მოუწიათ ურთულესი პრობლემების გადაწყვეტა, მაგრამ კარგი კანონმდებლობის, სწორად ორგანიზებული ბაზრის ინსტიტუტების და ფასიანი ქაღალდეიბის კომისიის ერთობლივმა ძალისხმევამ სამ წელიწადში შესაძლებელი გახადა არამარტო საქართველოს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობების ინტენსიფიკაცია, არამედ ბაზრის ლიკვიდურობის თანდათანობითი ზრდაც. შედეგად მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში იმდენად გაიზარდა, რომ სულ უფრო და უფრო მეტი ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორი ჩაერთო ქართული კომპანიების აქციების ყიდვა-გაყიდვის პროცესში. საქართველოს ემიტენტებთან და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუტებთან თანამშრომლობით დაინტერესდნენ მსოფლიოს მსხვილი საინვესტიციო ინსტიტუტები. საქართველოს საფონდო ბირჟასთან ხელშეკრულება გააფორმა BLOOMBERG-მა. ასევე, გაიზარდა მსოფლიოს წამყვანი ბირჟების მხრიდან საქართველოს საფონდო ბირჟის შეძენისა და ერთიან სავაჭრო პლათფორმაში მისი ინტეგრირების სურვილიც. ასეთ სურვილს რამოდენიმე ევროპული ბირჟა გამოთქვამდა, ხოლო 2007 წლის ბოლოს NAZDAQ OMX-მა საქართველოს საფონდო ბირჟის აქციონერებს მეტად მომგებიანი შეთავაზებაც გაუკეთა. სამწუხაროდ, ეს გარიგება არ შედგა საქართველოს ბანკის ტოპ-მენეჯერებისა და მათთან დაახლოვებული სამთავრობო წრეების გააფთრებული წინააღმდეგობის გამო.

სამწუხაროდ, საქართველოს საფონდო ბაზრის წარმატებული ზრდა 2008 წლის დასაწყისში შეჩერდა, რისი მიზეზიც უპირველეს ყოვლისა აღმოჩნდა ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობაში ე.წ. „ლიბერალიზაციის“ საბაბით შეტანილი ფუნდამენტური ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც ერთის მხრივ გაუქმდა ფასიანი ქარალდების ბაზრის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო და რეგულირების ფუნქცია გადაეცა ამ სფეროს განვითარებით

[322] იაშა (იაკობ) მესხია, ,,ბიზნესის საფუძვლები“ თბილისი 2011 წელი. გვ.55

დაუინტერესებელ ეროვნულ ბანკს, ხოლო მეორეს მხრივ საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით საჯარო და კონკურენტულ გარემოში ვაჭრობა ფაქტიურად ჩანაცვლდა არასაბირჟო, ანუ არასაჯარო ვაჭრობით. შედეგად, გაქრა წლების განმავლობაში მოპოვებული ბაზრის ლიკვიდურობის ზრდის ფაქტორი და მკვეთრად დაეცა ინვესტორთა ინტერესი ქართული საფონდო ბაზრისადმი.[323] ფასიან ქაღალდებზე ვაჭრობამ საფონდო ბირჟიდან არასაჯარო და არაკონკურენტულ სივრცეში გადაინაცვლა.

2012 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში მომზადდა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ზემოხსენებული დამანგრეველი ცვლილებებით შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებს, მაგრამ, სამწუხაროდ ეს კანონპროექტი სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა საბანკო ლობის მხრიდან. ზემოაღნიშნულის გარდა ასევე სერიოზული საკანონმდებლო პრობლემაა, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის საბაზისო კანონმდებლობა არაა ჰარმონიზებული სამთავრობო ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობასთან, ხოლო საგადასახადო კოდექსი არ უწყობს ხელს საფონდო ბაზრის მექნიზმების განვითარებას.

2015 წლიდან ლიცენზიის შენარჩუნებისთვის საბროკერო კომპანიას მოეთხოვება კაპიტალის მინიმალური ოდენობა 500,000 ლარი და აღიარების გართულებული სქემის თანახმად კაპიტალის შევსების წყაროდ მიჩნეულია ფაქტიურად მხოლოდ ფულადი რესურსი, რაც ბაზრის საერთო დაცემის ფონზე არ აძლევს დამოუკიდებელ საბროკერო კომპანიას კონკურენცია გაუწიონ კომერციული ბანკის ფილიალებს და ადგილი აქვს საფონდო ინდუსტრიის, როგორც საბანკო სესხის ალტერნატივის ფაქტიურ გაქრობას. ამ ნაბიჯით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ხელი შეუწყო საფონდო ბაზრის კომერციული საბანკო სექტორისადმი (ანუ კონკურენტული სტრუქტურის) დამორჩილების ტენდენციას. ყურადსაღებია, რომ საფინანსო ბაზრის იმ სეგმენტს, რომელიც მკვეთრ ზრდას განიცდის კრიზისის პირობებში და გაცილებით უფრო რისკიანია - მიკროსაფინანსო კომპანიები - საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან მხოლოდ 250,000 ლარის კაპიტალი ესაჭიროება. ნიშანდობლივია, რომ შეკითხვაზე თუ რატომ აქვს ადგილი ასეთ დისპროპორციას და რატომ არ აბრუნებს ეროვნული ბანკი მისი წინამორბედი - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის სამი ტიპის სალიცენზიო მოთხოვნებს - საქართველოს ეროვნული ბანკი იშველიებს ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებას და მის ფორმალურ მოთხოვნებს საფონდო ბაზრის მიმართ.

საქართველოს საფონდო ბირჟის მესაკუთრეთა სტრუქტურის ანალიზით დგინდება, რომ 2014 წლის მდგომარეობით საფონდო ბირჟის აქციათა 56 პროცენტი უკვე კონკურენტი სფეროს წარმომადგენლების - ქართული კომერციული ბანკების საკუთრებაშია, რაც ნიშნავს, რომ ქართული კომერციული ბანკები არ დაუშვებენ საქართველოში მათი კონკურენტის - საფონდო ბაზრის რეალურ განვითარებას, რადგან ეს ეწინააღმდეგება მათ არსებულ მონოპოლისტურ მდგომარეობას. ამის დასტურია 2014 წლის 16 სექტემბრის ჩატარებული საქართველოს საფონდო ბირჟის საერთო კრება, სადაც კომერციულმა ბანკებმა მოახერხეს ახალი სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტება, რომელიც უშუალოდ კომერციული ბანკების და/ან მათთან დაკავშირებული პირებისგან შედგება. ამ მხრივ, საქართველოში კონკურენცია ფულადი რესურსის მოზდივის ორ წყაროს შორის დასრულდა კომერციული საბანკო სექტორის გამარჯვებით და ამიერიდან საბანკო სესხს საქართველოში ალეტრნატივა არა აქვს, რაც მძიმედ აისახება ქვეყნის სამომავლო ეკონომიკურ განვითარებაზე. სიტუაციას ართულებს ის ფაქტი, რომ 2008 წელს შეცვლილი კანონმდებლობით მთლიანად ფულადი ბაზრის ამ ორივე სფეროს ერთი მეგარეგულატორი ჰყავს

[323] გიორგი ცერცვაძე ,,შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში“ გამომცემლობა ,,მერიდიანი“, თბილისი 2013 წელი გვ.40

- საქართველოს ეროვნული ბანკი. 2007 -2008 წწ მომხდარი ე.წ. „ლიბერალური“ საკანონმდებლო ცვლილებებით გაუქმდა საფონდო ბაზრის აუცილებელი ატრიბუტი - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, მისი ყველა უფლება გადაეცა ქართული კომერციული ბანკების რეგულატორს და მათი ინტერესების გამტარებელ საქართველოს ეროვნულ ბანკს. ამას თან დაერთო საბროკერო კომპანიების მიმართ გატარებული უმკაცრესი პოლიტიკა, რომლის შედეგად საქართველოში 2014 წლისთვის ფაქტიურად აღარ დარჩა კომერციული ბანკისგან დამოუკიდებელი შუამავალი რგოლი - საბროკერო კომპანია.

ზემოაღნიშნულმა პრობლემებმა ცხადია ზეგავლენა მოახდინა საქართველოს საფონდო ბირჟაზე (სსბ), რომელიც არის ერთადერთი მოქმედი ორგანიზებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში. იგი USAID-ის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა და მისი ელექტრონული სავაჭრო სისტემა ბროკერებს ათასობით სხვადასხვა აქციით ვაჭრობის შესაძლებლობას აძლევს სამუშაო ადგილებიდან, რომლებიც განლაგებულია როგორც სსბ-ის სავაჭრო დარბაზში, ასევე საბროკერო კომპანიათა ოფისებში - დისტანციური წვდომის ტერმინალების დახმარებით.

2024 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სსბ-ის სავაჭრო სისტემაში დაშვებულია 28 კომპანიის ფასიანი ქაღალდი, ხოლო საშუალო დღიურმა ბრუნვამ 2024 წლის მარტის თვეში - 2 224 ლარი, მაგრამ სიტუაცია ყოველთვის ასეთი მძიმე არ ყოფილა. [324]მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა 2014 წელს, როდესაც საქართველოს საფონდო ბირჟის მმართველობა ხელში კომერციულმა ბანკებმა ჩაიგდეს. მათ საფონდო ბირჟიდან მთლიანად განდევნეს აქციები და მათ ნაცვლად სრულიად არალიკვიდური სასესხო ინსტრუმენტები შემოიტანეს.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლამდე საქართველოს საფონდო ბირჟაზე დაშვებულ ფასიან ქაღალდებში ძირითადი ადგილი აქციებს ეკავა. 2024 წლის მდგომარეობით კი დაშვებული აქციების რაოდენობა სულ რვაა: სს ,,თელასი“, სს ,,ლიბერთი ბანკი“, სს ,,საქართველოს ბანკი“, სს ,,ისანი-ქართუ“, სს ,,მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმი“, სს,,გრინ დაზღვევა საქართველო“, სს ,,ტრანსმშენი“, სს ,,სარაჭიშვილი“. აქედან სს ,,ლიბერთი ბანკის“ აქციებზე გარიგებებს შედარებით რეგულარული ხასიათი აქვს, ხოლო სს ,,საქართველოს ბანკის“ აქციების შემთხვევაში ერთი წლის ჩავარდნაა - 2021 წელში გარიგებებში მონაწილეობა არ მიუღია. საბოლოო ჯამში სს ,,ლიბერთი ბანკის“ აქციებზე ამ ხუთი წლის განმავლობაში სულ 122 გარიგებაა დადებული და მოცულობა შეადგენს 195 475 641.00.

[324] საქართველოს საფონდო ბირჟა: https://gse.ge/securities ბოლო ნახვა 22.04.2025



როგორც ვხედავთ, გარიგებების რაოდენობა წამყვანი ბანკების აქციებზეც კი იმდენად დაბალია, რომ რაიმე ლიკვიდურობაზე საუბარი წარმოუდგენელია. სამაგიეროდ, კომერციული ბანკების მიერ დანიშნული ადმინისტრაცია, სავაჭრო სისტემიდან აქციების ამოღების პარალელურად აქტიურად იზიდავს ტიპიურ საბანკო ინსტრუმენტებს - ობლიგაციებს, თუმცა ამას საქართველოს საფონდო ბირჟაზე ობლიგაციებით ვაჭრობის გააქტიურება არ გამოუწვევია. მიუხედავად ამისა, პრესაში ობლიგაციების დაშვება წარმოდგენილია, როგორც ბაზრის ზრდა, რაც სიცრუეა, ვინაიდან ბაზარი ვერ იქნება მხოლოდ ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება, თუ ამას არ მოჰყვა საკუთრივ ვაჭრობა ამ ფასიან ქაღალდებზე.



კრებსითი ინფორმაცია ვაჭრობის ძირითად მაჩვენებლებთან დაკავშირებით ემიტენტების მიხედვით (ობლიგაციები - ივაჭრება ევროში) 2020 წელს არცერთ კომპანიას არ მიუღია მონაწილეობა, ხოლო 2021 წლიდან - 2023 წლის ჩათვლით მუდმივად გარიგებები იყო კომოპანია შპს ,,საქართველოს სალიზინგო კომპანია“, ბოლო წელს კი აქტიურად გამოჩნდა შპს ,,თეგეტა მოტორსი“. აღსანიშნავია რომ ძალიან მცირე რაოდენობაა გარიგებების, აქედან გამომდინარე მათ

ლიკვიდურობაზე ზედმეტია საუბარი. საზოგადოების მცირე ნაწილმა თუ იცის გამოშვებული აქციების შესახებ და ამავდროულად იმდენად მცირეა ლიკვიდურობა რომ მსურველიც არავინ არის. გარიგებების რაოდენობა კი ყოველ წელს მცირდება.[325]



კრებსითი ინფორმაცია ვაჭრობის ძირითად მაჩვენებლებთან დაკავშირებით საბროკერო კომპანიების მიხედვით (აქციები) ძალიან მცირეა და ამავდროულად ყოველ წელს კომპანიების რაოდენობა იკლებს, ეს იმის მაჩვენებელია რომ გამოშვებული აქციები კომოანიების მიერ არ ივაჭრება ლიკვიდური არ არის, დაინტერესება კი მცირეა. 2020 წლიდან 2024 წლის ჩათვლით რეგულარულად ვინც ფიქსირდება არის კომპანია სს ,,გალტ ენდ თაგარტი“.



[325] საქართველოს ეროვნული ბანკი: https://nbg.gov.ge/monetary-policy/currency ბოლო ნახვა 23.04.2025

სერიოზული ხარვეზებია ფასიანი ქაღალდების რეგულირების სფეროშიც. ეროვნული ბანკი, ორგანულად არ არის დაინტერესებული კომერციული ბანკების კონკურენტი სფეროს - საფონდო ბაზრის განვითარებით. არასწორი რეგულირების შედეგია ისიც, რომ ბაზარს ფაქტობრივად მხოლოდ ბანკის შვილობილი საბროკერო კომპანიები შემორჩა, რომელთაც საფონდო ბაზრის ინსტრუმენტების განვითარების ინტერესი არა აქვთ - პირდაპირი ინტერესთა კონფლიქტის გამო საბანკო სექტორთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, ქვეყანაში ინსტიტუციური ინვესტორების და ბაზრის ლიკვიდურობის არარსებობის პირობებში კი ქართული კომპანიებისათვის ფინანსური რესურსების მოზიდვის ერთადერთ წყაროს კვლავ საბანკო კრედიტი წარმოადგენს. მაგრამ კრედიტების მაღალი საპროცენტო განაკვეთები (ასევე კრედიტის გაცემის მცირე ვადა, გირაოთი უზრუნველყოფის აუცილებლობა) გრძელვადიანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ამ ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობას ართულებს. ასეთ პირობებში რეალურ გამოსავალს და საფონდო ბაზრის განვითარების ქმედით პერსპექტივას ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება წარმოადგენს.

საჯარო შეთავაზებას აქვს მრავალი უპირატესობა. საერთაშორისო პრაქტიკაში ინვესტიიციების მოზიდვის ამ ხერხს უწოდებენ IPO-ს (Initial Public Offering - პირველადი საჯარო განთავსება). კომპანია აქციების საჯარო განთავსების შემდეგ გვევლინება „საჯარო კომპანიის“ სტატუსით, ე.ი ხდება ანგარიშვალდებული კომპანია. საზოგადოდ, საჯარო შეთავაზებით აქციების განთავსება ხორციელდება საფონდო ბირჟებზე, თუმცა ეს შესაძლებელია ასევე ბირჟის გარეშეც.[326]

საჯარო შეთავაზების ძირითად უპირატესობებს საბანკო კრედიტთან მიმართებაში წარმოადგეს: 1) გრძელვადიანი კაპიტალის მიზიდვის შესაძლებლობა, ინვესტიციების უფრო დაბალი ფასი, ინვესტიციების უვადო ხასიათი; 2) კაპიტალის მოზიდვის სიმარტივე (კომპანიებს საჯარო შეთავაზებით შეუძლიათ გაზარდონ საწესდებო კაპიტალი აქციების მიყიდვით ინვესტორთა ფართო წრისათვის. კაპიტალი, რომელიც აქციების განთავსებისას მოიზიდება, საბანკო კრედიტისაგან განსხვავებით, არ საჭიროებს უკან დაბრუნებას და პროცენტების გადახდას); 3) კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება - აქციების გამოშვებით იზრდება კომპანიის კაპიტალი; 4) კომპანიის პრესტიჟისა და იმიჯის გაზრდა; 5) კომპანიის კაპიტალიზაციის გაზრდა, მისი აქციების ლიკვიდურობისა და საკრედიტო რეიტინგის გაზრდა; 6) კორპორაციული მართვის გაუმჯობესება.

საფონდო ბირჟებზე აქციების საჯარო შეთავაზების შემდეგ კომპანია იძენს ობიექტურ საბაზრო ღირებულებას. როგორც წესი, „საჯარო კომპანიის“ ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე „დახურული ტიპის“ კომპანიის. მყიდველები „საჯარო კომპანიის“ აქციებში უფრო მეტ ფასს იხდიან, რადგანაც: ა) იზრდება პოტენციური ინვესტორების წრე;ბ) ხელმისაწვდომია კომპანიის შესახებ სათანადო ინფორმაცია; გ) იზრდება მოთხოვნები კომპანიისადმი როგორც თვით ბირჟების, ასევე მარეგულირებელი ორგანოებისაგან. მეორეს მხრივ, კაპიტალიზაციის ზრდა კომპანიას ახალ გზებს უხსნის კაპიტალის მოსაზიდად აქციების მსოფლიოს წამყვან ბირჟებზე განთავსებით, რადგან წამყვან უცხოურ ბირჟებზე აქციების განთავსებისათვის შეზღუდვებია დაწესებული დაბალი კაპიტალიზაციის მქონე კომპანიებისათვის (შენიშვნა: კომპანიის საბაზრო

[326] დავით მაისურაძე, მაგდა ლაზიშვილი, ირაკლი შაკიაშვილი, ირინა იამანიძე, ლუკა კოდუა, ,,ინვესტიციის დაცვის მექანიზმების ევოლუცია და პრობლემური ასპექტები საქაღგველოში, თბილისი 2019 წელი. გვ. 23

კაპიტალიზაცია წარმოადგენს კომპანიის ფასიანი ქაღალდების მთლიანი რაოდენობის ნამრავლს მათ მიმდინარე საბაზრო ფასზე). [327]

კომპანიების აქციების საჯარო შეთავაზების განხორციელება საფონდო ბირჟაზე ზრდის მის ლიკვიდურობას, რადგან მხოლოდ საფონდო ბირჟაზეა შესაძლებელი ყოველდღიურად მილიონობით შემხვედრი განაცხადების გაკეთება როგორც ყიდვაზე, ასევე გაყიდვაზე.[328] ზემოაღნიშნული ფაქტორები (კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, კაპიტალიზაციის ზრდა, აქციების ლიკვიდურობის ზრდა) ხელს უწყობს კომპანიის რეიტინგის ზრდას. თავის მხრივ, მაღალრეიტინგული კომპანიისათვის ადვილდება წვდომა უფრო იაფი ფინანსური რესურსებისაკენ. [329]

აქციების საჯარო განთავსებით კომპანია იღებს რა „საჯარო კომპანიის“ სტატუსს, ვალდებულია დანერგოს კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკა (ცნობისათვის, საქართველოს საბანკო ასოციაციამ 2009 წელს მიიღო კორპორაციული მართვის კოდექსი ბანკებისათვის). ეს კარგია როგორც თვით კომპანიისათვის, ასევე აქციონერებისათვის, რადგანაც კორპორაციული მართვის სისტემა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს: ა) სამართლიანობა: დაცული უნდა იქნეს აქციონერთა უფლებები და უზრუნველყოფილი იყოს ყველა აქციონერისადმი თანასწორი მოპყრობა; ბ) გამჭვირვალობა: სრულ და ზუსტ ინფორმაციის საჭიროებენ ერთის მხრივ, პოტენციური ინვესტორები, მეორეს მხრივ - აქციონერები, კრედიტორები, კომპანიის მმართველი ორგანოს წევრები, მარეგულირებელი ორგანო. თუ საწარმოს შესახებ ინფორმაცია საჯარო არაა, მას ვერ ექნება გარე ინვესტორთა იმედი. ინვესტორები უნდა ფლობდნენ ზუსტ და დროულ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა რისკის შესაფასებლად თავისი ფინანსური სახსრების დაბანდებისას. აღნიშნული ინფორმაცია მათ ეხმარება განსაზღვრონ კომპანიის საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, შეაფასონ კომპანიის პერსპექტულობა. წინდახედულ ინვესტორებს მხოლოდ ის კომპანიები აინტერესებთ, სადაც ანგარიშების საჯაროობა და აქციონერთა უფლებებია დაცული; გ) ანგარიშვალდებულება: სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უნდა ხორციელდებოდეს მენეჯმენტის ეფექტიანი მონიტორინგი, თვით სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშვალდებულია კომპანიისა და აქციონერების წინაშე. კომპანია თავის მხრივ მუდმივად წარუდგენს მარეგულირებელ ორგანოს პერიოდულ (წლიურ, ნახევარწლიურ, მიმდინარე) ანგარიშებს. [330]

ამრიგად, ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებით კომპანია არა მარტო მოიზიდავს კაპიტალს, არამედ იმაღლებს სტატუსსაც, თუმცა უმეტეს შემთხვევაში, კომპანიაზე კონტროლის ნაწილობრივ დაკარგვისა და ინფორმაციის გასაჯაროების ვალდებულების გაჩენის შიშის გამო კომპანიები უარს ამბობენ ამ შესაძლებლობაზე.

ცხადია, მხოლოდ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება საკმარისი არ არის ქვეყნის საფონდო ბაზრის განვითარებისათვის. აუცილებელია შემუშავდეს და პროგრამულად გაიწეროს საფონდო ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებული ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი მიმართულება, როგორიცაა საპენსიო რეფორმა, ხოლო დაგროვილი საპენსიო სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილის ინვესტირება განხორციელდეს ადგილობრივ კორპორატიულ და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში.

---

[327] ლამარა ქოქიაური, ნატო ბებიშვილი, საინვესტიციო პროექტები: თეორია, ანალიზი, მართვა, გამომცემლობა- ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ თბილისი 2010 წელი. გვ.67

[328] Tokunada, M., Iwasaki, I (2017). The Determinants of Foreign Direct Investment in Transition Economies: A Meta-analysis. J. The World Economy, Wiley Online Library.

[329] Fundanentals of Investment A Practitioners's Guide Brian O'Loughlin, Frank O'Brien.2019

[330] ავთანდილ ჩუთლაშვილი, ხათუნა ბარბაქაძე სალექციო კურსი ,,ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“ თბილისი 2016 წელი. გვ. 87

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაიხვეწოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება, კერძოდ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება დაეკისროს დამოუკიდებელ რეგულატორს, აღდგეს ამერიკელი ექსპერტების მიერ რეკომენდირებული და 2008 წლამდე მოქმედი ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფს საფონდო ბირჟაზე დაშვებულ ფასინი ქაღალდებზე გარიგებების დადებას მხოლოდ საფონდო ბირჟაზე და კონკურენტი საბანკო სექტორის ზეგავლენის შესუსტებას საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურის მართვაზე.

მიუხედავად იმისა რომ თითქოს ობლიგაციების გამოშვებისა და საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათი დაშვების ზრდა ხელს უნდა უწყობდეს საქართველოში პორთველური ინვესტიციების განვითარებას შედეგი პირდაპირ უკუპროპორციულია.[331]ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენს საბანკო სექტორისათვის კომფორტული და მისაღები ობლიგაციების გამოშვება და ეროვნული ბანკის მიერ მისი რეფინანსირების დაკრედიტების საფუძვლად გამოყენება. საქმე ის გახლავთ რომ, ბოლო პერიოდში გამოშვებული და საქართველოს საფონდო ბირჟაზე დაშვებული ყველა ობლიგაციის ნომინალი ძირითადად მაღალია, რის გამოც მისი ყიდვა-გაყიდვა მასობრივ ბაზარზე პრაქტიკუკლად შეუძლებელია. თვითონ განსაჯეთ თუ ობლიგაციის ნომინალია ერთი მილიონი ლარია ან ნახევარი მილიონი ლარია მისი ყიდვა გაყიდვის შესაძლებლობა თავიდანვე არ შეიძლება იყოს მაღალი, ხოლო პორთველური ინვესტიციების არსიდან გამომდინარე მათი განხორციელების ერთ-ერთ მთვარ წინაპირობად წარმოადგენს მაღალ ლიკვიდური საინვესტიციო ინსტრუმენტების სიმრავლე. ზემო აღწერილი კი სრულებით არ უწყობს ხელს ბაზრის ლიკვიდურობის ზრდა და გამოიყენება მხოლოდ ეროვნული ბანკისგან რეფინანსირების სესხის მიღების დროდ გირაო.[332] აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა რომ ყველაფერი რაც თითქოს და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ეგიდით კეთდება სინამდვილეში ემსახურება კომერციული ბანკების ინტერესებს, რომელიც ერთის მხრივ იღებს შესაძლებლობას მიიღონ ეროვნული ბანკისგან რეფინანისრების სესხი ხოლო მეორეს მხრივ შეუძლებელს ხდიან ფასიანი ქაღალდების ლიკიდურობას რაც მათი ბიზნესისათვის ძირითად კონკურენციულ ფაქტორს წარმოადგენს.

საქართველოს ეროვნული ბანკის და მთავრობის როლი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაში კაპიტალური ბაზრის შემდგომი განვითარებისთვის, ეკონომიკის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანია შეიქმნას შესაბამისი ხელშემწყობი გარემო, რაც გრძელვადიანი სტრატეგიის თანმიმდევრულ შესრულებასა და პროაქტიულ ქმედებებს მოითხოვს. შესაბამისი ხელშემწყობი გარემო, თავის მხრივ, გულისხმობს სტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოს, ფინანსური სექტორის მდგრად, გამჭვირვალე და ეფექტურ ფუნქციონირებას, გამართულ საკანონმდებლო და საზედამხედველო ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორების უფლებების დაცულობასა და ბაზრის სანდოობას, სხვადასხვა მასტიმულირებელი (საგადასახადო) პოლიტიკის არსებობას, განვითარებულ სამთავრობო ობლიგაციების ბაზარს, ქართული კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრას და შესაბამისობას, ფინანსური ინსტრუმენტების მრავალფეროვნების არსებობას, ფინანსური განათლების დონის ამაღლებასა და ასე შემდეგ.

ქვეყნები, რომლებიც უკეთ ახერხებენ ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობას, განვითარების მაღალ ტემპებს აღწევენ, ხოლო ქვეყნები, რომლებსაც საკანონმდებლო, თუ ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო გააჩნიათ არასახარბიელო საინვესტიციო გარემო

---

[331] ლამარა ქოქიაური, ,,ინვესტიციების თეორიული გენეზისი“, გამომცემლობა ,,თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი 2007 წელი. გვ. 46

[332] ლორენს გიტმანი, მაიკლ ჯონკი ჰაროლდ ბირმანი, სეიმორ შმიდტი ,,ინვესტირების საფუძვლები, თბილისი 2012 წელი. გვ.123

მუდმივად რჩებიან განუვითარებელი ეკონომიკის საშიშროების წინაშე. შესაბამისად ინვესტიციების მოზიდვისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ პოლიტიკური ნება, ამისათვის აუცილებელია მათი მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. აუცილებელია პირდაპირი ინვესტიციები ნაცვლად განვითარდეს პორთფელური ინვესტიციები, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც ლიკვიდური იქნება. ფასიანი ქაღალდების ბაზრის არსებობა და განვითარება ყველა ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებით ხდება რეალურად შესაძლებელი ბიზნესის გამჭვირვალობის ზრდა, კორპორატიული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება, საინვესტიციო სახსრების მულტიპლიკაციური ეფექტი, ცალკეული დარგების და ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობიოს მკაფიო ორიენტირების გაჩენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ, ვიდრე საქართველოს ფასიანი ქაღალდების ინფრასტრუქრურა კომერციული ბანკებისა და ეროვნული ბანკის კონტროლ ქვეშ იმყოფება, მის რაიმე პოზიტიურ განვითარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. დაუყოვნებლივ მისაღებია სკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ეროვნული ბანკს ჩამოართმევს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების ფუნქციას და დამოუკიდებელ კომისიას გადასცემს. ასევე, საკანონმდებლო დონეზე უნდა აიკრძალოს კომერციული ბანკების მიერ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუტების ფლობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იაშა (იაკობ) მესხია, ,,ბიზნესის საფუძვლები“,თბილისი 2011 წელი.
2. დავით მაისურაძე, მაგდა ლაზიშვილი, ირაკლი შაკიაშვილი, ირინა იამანიძე, ლუკა კოდუა, ,,ინვესტიციის დაცვის მექანიზმების ევოლუცია და პრობლემური ასპექტები საქართველოში, თბილისი 2019 წელი.
3. ალექსანდრე სიჭინავა ,,ინვესტიციები“ თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა.
4. ლორენს გიტმანი, მაიკლ ჯონკი, ჰაროლდ ბირმანი,სეიმორ შმიდტი ,,ინვესტირების საფუძვლები“ თბილისი 2012 წელი.
5. ავთანდილ ჩუთლაშვილი, ხათუნა ბარბაქაძე სალექციო კურსი ,,ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“ თბილისი 2016 წელი.
6. გიორგი ცერცვაძე, ,,შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში“, გამომცემლობა ,,მერიდიანი“, თბილისი 2013 წელი.
7. ლამარა ქოქიაური, ნატო ბებიაშვილი, საინვესტიციო პროექტები: თეორია, ანალიზი, მართვა, გამომცემლობა ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი 2010 წელი.
8. ლამარა ქოქიაური, ,,ინვესტიციების თეორიული გენეზისი“, გამომცემლოვა ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი 2007 წელი.
9. Tokunada, M., Iwasaki, I (2017). The Determinants of Foreign Direct Investment in Transition Economies: A Meta- analysis. J. The World Economy, Wiley Online Library.
10. Fundamentals of Investment A Practitioner's Guide Brian O'Loughlin, Frank O'Brien. 2019
11. საქართველოს საფონდო ბირჟა: https://gse.ge/securities
12. საქართველოს ეროვნული ბანკი: https://nbg.gov.ge/monetary-policy/currency

ციფრიზაცია როგორც მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი (საქართველოს მაგალითზე)
Digitalization as a factor promoting sustainable development (on the example of Georgia)

ია ნაცვლიშვილი
ასოცირებული პროფესორი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ia Natsvlishvili
Associate Professor
Faculty of Economics and Business
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატიის მიზანია, წარმოაჩინოს ციფრიზაციის პროცესი, როგორც მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი. განხილულია კავშირი ციფრიზაციასა და სამეწარმეო ინოვაციას შორის, წარმოდგენილია მტკიცებულებები, რომლებიც ავლენენ საქართველოში ციფრიზაციის პროცესის თავისებურებებს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის კონტექსტის გათვალისწინებით. კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენდა სამაგიდო კვლევა (არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და შედარებითი ანალიზი, მეორადი მონაცემებისა და ოფიციალური სტატისტიკური მასალის ანალიზი, ემპირიული მტკიცებულებების განხილვა, შემთხვევათა შესწავლა).

მდგრადი განვითარების მიზნები ეფუძნება სამ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა. მდგრადი მეწარმეობა არის სოციალური უთანასწორობისა და გარემოს დეგრადაციის პრობლემის პოტენციური გადაწყვეტა. სამეწარმეო განათლებას აქვს დადებითი და თვალსაჩინო ეფექტი ინოვაციებსა და კრეატიულობაზე. მეწარმეობისა და მდგრადობის საერთო კონცეფტუალურ საფუძველს წარმოადგენს „ხანგრძლივობის“ კონცეფცია - არსებული რესურსების კონსერვაცია მომავალი თაობებისთვის და გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი უნიკალური გადაწყვეტილებების მოძებნა. მომავალი თაობების საჭიროებები სწრაფად იცვლება, განსაკუთრებით - ციფრიზაციის თანამედროვე ეპოქაში. სამეცნიერო კვლევები ციფრული ტრანსფორმაციის შესახებ სწრაფად ვითარდება 2014 წლიდან. ციფრულმა ტრანსფორმაციამ მთლიანად შეცვალა სამეწარმეო საქმიანობა ბიზნეს-პროცესებში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით. ამასთან, თავად ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად გაჩნდა სრულიად ახალი ბიზნესები. დღეისათვის „დამრღვევი“ ინოვაციის თეორია არის დომინანტური თეორიული მიდგომა. ციფრული ტრანსფორმაცია მოიცავს „დამრღვევ“ ტექნოლოგიებს, საზიარო პლატფორმებს და ეკოსისტემას, ასევე, ისეთ ახალი შესაძლებლობების ტექნოლოგიებს, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი. ციფრიზაციის პროცესი ერთმანეთთან აკავშირებს ეკონომიკის ვირტუალურ და ფიზიკურ სექტორებს.

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ საქართველოში ციფრიზაციის პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორი საქართველოში სწრაფად იზრდება - სხვა სექტორებთან შედარებით 6-ჯერ უფრო სწრაფად გაიზარდა 2019-2022 წლებში. ხელოვნური ინტელექტის დომინანტობა სრულიად ცვლის ციფრულ ეკოსისტემას გლობალურად. ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის კონტექსტში დემატერიალიზაციის სტრატეგია (პროდუქტის შეცვლა სერვისით ან პროგრამული უზრუნველყოფით) განსაკუთრებით რელევანტური ხდება ციფრული ტრასნფორმაციის ეპოქაში.

Keyword: ციფრული ტრანსფორმაცია, მდგრადი განვითარება, მდგრადი მეწარმეობა, მდგრადი ბიზნეს მოდელი, ცირკულარული ეკონომიკა.

Abstract. The aim of the article is to present the process of digitalization as a factor facilitating sustainable development. The connection between digitalization and entrepreneurial innovation is discussed. Evidences is presented that reveals the peculiarities of the digitalization process in Georgia, taking into account the context of the transition to a circular economy. The research methodology was desk research (review and comparative analysis of existing scientific literature, analysis of secondary data and official statistical material, discussion of empirical evidence, case studies).

The Sustainable Development Goals are based on three interrelated components: economic growth, social inclusion, and environmental protection. Sustainable entrepreneurship is a potential solution to the problem of social inequality and environmental degradation. Entrepreneurship education has a positive and visible effect on innovation and creativity. The common conceptual basis of entrepreneurship and sustainability is the concept of "durability"- conserving existing resources for future generations and finding unique solutions designed for the long term. The needs of future generations are changing rapidly, especially in the modern era of digitalization. Digital transformation has completely changed entrepreneurial activity by integrating digital technologies into business processes. In addition, digital transformation itself has created entirely new businesses. Today, the theory of "disruptive" innovation is the dominant theoretical approach. Digital transformation includes "disruptive" technologies, shared platforms and ecosystems as well as new enabling technologies such as artificial intelligence. The process of digitalization connects the virtual and physical sectors of the economy.

The research results show that the digitalization process in Georgia has been particularly strengthened in the last few years. The information technology sector in Georgia is growing rapidly - it grew 6 times faster than other sectors in 2019-2022. The dominance of artificial intelligence is completely changing the digital ecosystem globally. In the context of the transition to a circular economy, the strategy of dematerialization (replacing a product with a service or software) becomes especially relevant in the era of digital transformation.

Keyword: digital transformation, sustainable development, sustainable entrepreneurship, sustainable business model, circular economy.

შესავალი. ეკონომიკის მდგრადი განვითარება ორიენტირებულია საზოგადოების მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალი თაობების საჭიროებებს. ეკონომიკის მდგრადი განვითარება გულისხმობს გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალურად გათვალისწინების პირობებში. გაეროს გენერალურმა ასამბლეის მიერ 2015 წელს მიღებულ რეზოლუციაში „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის" (United Nations, n.d.). განისაზღვრა 15 წლიანი სამოქმედო გეგმა მსოფლიოს წინაშე არსებულ გლობალური გამოწვევებთან გასამკლავებლად. განისაზღვრა მდგრადი განვითარების ურთიერთდაკავშირებული 17 მიზანი, რომლებიც დაჯგუფებულია სამ ძირითად კატეგორიად - ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ კატეგორიებად (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2021წ.). მდგრადი მეწარმეობა წარმოადგენს კავშირს მდგრად განვითარებასა და მეწარმეობას შორის. მდგრადი მეწარმეობა მდგრადი განვითარების მიზნების მეთორმეტე მიზანია, რაც ითვალისწინებს ნარჩენების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდას, ბუნებასთან ჰარმონიული ცხოვრების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

დღეისათვის მსოფლიოში არსებულმა მწვავე გეოპოლიტიკურმა და გეოეკონომიკურმა გარემოებებმა საფრთხე შეუქმნა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას 2030 წლისთვის. მდგრადი განვითარების მიზნები ეფუძნება მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა. დღეს არსებული სამხედრო კონფლიქტები, „სატარიფო ომები", დეგლობალიზაციის ტენდენციები სამივე ამ ელემენტზე გავლენას ახდენს: ზრდის გლობალური ეკონომიკური რეცესიის რისკს, ამწვავებს უთანასწორობისა და სიღარიბის პრობლემას, საფრთხეს უქმნის გარემოსდაცვით ღონისძიებებზე ძალისხმევის კონცენტრაციას (ნაცვლიშვილი, 2020). ამავე დროს მიმდინარეობს ეკონომიკის ციფრიზაციის გლობალური პროცესი. ციფრულმა ტრანსფორმაციამ მთლიანად შეცვალა სამეწარმეო საქმიანობა ბიზნეს-პროცესებში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით. ამასთან, თავად ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად გაჩნდა სრულიად ახალი ბიზნესები.

ეკონომიკის ციფრიზაციის გლობალური ტენდენციისა და მიმდინარე გამოწვევების ფონზე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა კვლავ რჩება აქტუალურ ამოცანად. შესაბამისად,

აქტუალურია ციფრიზაციის გლობალურ ეპოქში მდგრადი მეწარმეობის ხელშემწყობი ფაქტორების გამოვლენა. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ციფრიზაციის პროცესის, როგორც მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორის წარმოჩენა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის ამოცანები: ციფრიზაციასა და სამეწარმეო ინოვაციას შორის კავშირის განხილვა; იმ მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლებიც ავლენენ საქართველოში ციფრიზაციის პროცესის თავისებურებებს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის კონტექსტის გათვალისწინებით. კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენდა სამაგიდო კვლევა (არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და შედარებითი ანალიზი, მეორადი მონაცემებისა და ოფიციალური სტატისტიკური მასალის ანალიზი, ემპირიული მტკიცებულებების განხილვა, შემთხვევათა შესწავლა).

მდგრადი მეწარმეობა და ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაციის კონცეფცია. მდგრადი მეწარმეობა განიხილება როგორც გარემოს დეგრადაციისა და სოციალური უთანასწორობის პრობლემის გადაწყვეტის პოტენციური გზა. კომპანიის საქმიანობაში მდგრადობის ჩართვა დაკავშირებულია სირთულეებთან და გაურკვევლობასთან განსხვავებული და ზოგჯერ საპირისპირო მიზნების გამო, რაც გულისხმობს ორგანიზაციებისგან ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ღირებულებების ერთდროულად მიღწევას (Farny & Binder, 2021).

მდგრადი მეწარმეობა მოიცავს ისეთ აღმოჩენას, შექმნასა და სამეწარმეო შესაძლებლობების გამოყენებას, რაც საზოგადოებისთვის სოციალური და გარემოსდაცვითი მიღწევებით ხელს უწყობს მდგრადობას. შესაძლებლობების შექმნის კონცეფცია არის მთავარი ფაქტორი. მეწარმეობასა და მდგრადობას შორის საერთო საფუძველია ხანგრძლივობის კონცეფცია: მიმდინარე რესურსების შენარჩუნება მომავალი თაობებისთვის და უნიკალური გადაწყვეტილებების შემუშავება გრძელვადიან პერსპექტივაში. თუმცა, მომავალი თაობების საჭიროებები სწრაფად იცვლება და მათი წინასწარ განჭვრეტა ურთულესია. მდგრადი მეწარმეობა შესაძლებლობების შექმნის გზითა და განვითარებით ქმნის საზოგადოებისთვის სასარგებლო ღირებულებებს გაურკვეველ გარემოში. ეს გულისხმობს რისკზე წასვლას უნარს, ინოვაციურ დამოკიდებულებასა, კეთილგონიერებას და ეთიკურ საკითხებს. დღეისათვის ბევრი პრაქტიკოსი და მეცნიერი განიხილავს მდგრად მეწარმეობას, როგორც ბიზნესის წარმატების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს. მდგრადი მეწარმეობა წარმოქმნის ინოვაციას და კონკურენტულ უპირატესობას ახალ და არსებულ საწარმოებში. მდგრად მეწარმეობას აქვს პოტენციალი იყოს გამარჯვების მომტანი სტრატეგია და უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა (Greco & de Jong, 2017).

დღეისათვის ცირკულარული ეკონომიკის კონცეფცია სამეცნიერო წრეებში, ინდუსტრიის წარმომადგენლებსა და პოლიტიკოსებს შორის განიხილება როგორც რესურსების უყაირათოდ ხარჯვის, დაბინძურებისა და მავნე აირების გაფრქვევის შემცირების სტრატეგია (Barford & Ahmad, 2022). ცირკულარული ეკონომიკის ზოგიერთი განმარტება ყურადღებას ამახვილებს ცირკულარული ეკონომიკის მრავალდონიან მიდგომაზე: „ცირკულარული ეკონომიკა აღწერს ეკონომიკურ სისტემას, დამყარებულს ისეთ ბიზნეს მოდელებზე, რომლებიც „საექსპლუატაციოდ ვადაგასული“-ს კონცეფციას ანაცვლებს წარმოება/დისტრიბუციასა და მოხმარების პროცესებში მასალის შემცირებით, ალტერნატიულად ხელახლა გამოყენებით, გადამუშავებით და აღდგენით. მდგრადი განვითარების განხორციელების მიზნით, აღნიშნული ბიზნეს მოდელები მიკრო დონეზე (პროდუქტები, კომპანიები, მომხმარებლები), მეზო დონეზე (ეკო-ინდუსტრიული პარკები) და მაკრო დონეზე (ქალაქი, რეგიონი, სახელმწიფო და გარეთ) მოქმედებენ, რათა უზრუნველყონ ეკოლოგიური ხარისხის, ეკონომიკური კეთილდღეობის და სოციალური

თანასწორობის დამკვიდრება, დღევანდელი და მომავალი თაობების სასარგებლოდ“ (კავკასიის გარემოსდაცვითი ცოდნის პორტალი, 2019).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ბიზნეს მოდელის (ბმ) ყველა განმარტებაში ცენტრალურ როლს ასრულებს ღირებულების ცნება: ღირებულების შეთავაზება, ღირებულების შექმნა და მიწოდება, ღირებულების შეძენა, ასევე, ამას ემატება ღირებულებათა ქსელი (Zott & Amit, 2010). ბიზნეს მოდელი კომპანიის ფუნქციონირების ის ძირითადი ბირთვია, რომელიც განსაზღვრავს, რა მთავარ ფასეულობას ქმნის ბიზნესი თავისი მომხმარებლისთვის და როგორ უზრუნველყოფს მის შექმნას. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მდგრადი ბიზნეს მოდელი (მბმ) განიხილება, როგორც სტანდარტული ბიზნეს მოდელის კონცეფციის მოდიფიკაცია, როცა მას ემატება გარკვეული მახასიათებლები და მიზნები. მბმ-ში ინტეგრირებულია მდგრადი განვითარების კონცეფცია, პრინციპები და მიზნები ან მდგრადობის პრინციპები ინტეგრირებულია ღირებულების შეთავაზების, ღირებულების შექმნისა და მიწოდების, ასევე, ღირებულების შეძენის მექანიზმებში (ნაცვლიშვილი, 2020). მბმ-ის განმარტება შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს - ბიზნეს მოდელი, რომელშიც ინტეგრირებულია მრავალი დაინტერესებული პირის პრო-აქტიური მენეჯმენტი, დაინტერესებულ პირთა ფართო სპექტრისთვის მონეტარული და არა-მონეტარული ღირებულებების შექმნა და რომელიც ითვალისწინებს გრძელვადიან პერსპექტივას (Geissdoerfe et al, 2018).

ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაცია (ცბმი) არის კომპლექსური ორგანიზაციული გამოწვევა, რაც გაპირობებულია მრავალფეროვანი ბარიერებით და სხვადასხვა ფაქტორებით (Guldmann & Huulgaard, 2019; Tura et al, 2019). ცბმი განსაზღვრულია, როგორც „ღირებულების შეთავაზების, ღირებულების შექმნისა და მიწოდების, ღირებულების შეძენის და ორგანიზაციულ ერთეულში ამ სამ ელემენტს შორის ურთიერთკავშირების გამარტივებული ასახვა“ (Geissdoerfer et al, 2018, p. 402), რომელიც გულისხმობს ნარჩენი მასალების გადამუშავებას, გამოყენების ფაზის გაფართოებას/გახანგრძლივებას, გამოყენების ფაზის ინტენსიფიკაციას და/ან დემატერიალიზაციას (პროდუქტის შენაცვლებას სერვისით ან პროგრამული უზრუნველყოფით), რათა შეამციროს ორგანიზაციულ სისტემაში რესურსების გამოყენება, ნარჩენებისა და გამონაბოლქვის ორგანიზაციიდან გადინება (Geissdoerfer et al, 2020, p. 7). ბიზნესის ოთხი სტრატეგია-ნარჩენების გადამუშავება, გაფართოება, ინტენსიფიკაცია და დემატერიალიზაცია - შესაძლებელია სხვადასხვა კომბინაციით არსებობდეს ერთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, ასევე, შესაძლებელია დაემატოს ორი სხვა დამხმარე სტრატეგიაც - ეფექტიანობის გაზრდა (Bocken et al, 2016) და განახლებადი რესურსების გამოყენება (Webster, 2015).

ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაციის მითითებული ოთხი სტრატეგიიდან ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში განსაკუთრებით აქტუალური ხდება დემატერიალიზაციის სტრატეგია (პროდუქტის შენაცვლება სერვისით ან პროგრამული უზრუნველყოფით). ციფრული ტრანსფორმაციის საკითხების მიმართ სამეცნიერო ინტერესი და კვლევა სწრაფად ვითარდება 2014 წლიდან. „დამრღვევი ინოვაციის თეორია“ არის დომინანტური თეორიული მიდგომა, რომელსაც ეფუძნება ბიზნეს მოდელის ინოვაციის (ბმი) ციფრული ტრანსფორმაცია. ციფრული ტრანსფორმაციის ტენდენცია მოიცვს „დამრღვევ“ ტექნოლოგიებს, გასაზიარებელ პლატფორმებსა და ეკოსისტემას, ასევე, ახალი შესაძლებლობების ტექნოლოგიებს. თითქმის ყველა ინდუსტრიაში ციფრული ტრანსფორმაცია გავლენას ახდენს ღირებულების შექმნაზე, ღირებულების მიწოდებაზე და ღირებულების მიღებაზე. სწორედ ამ გავლენის შედეგად

ინდუსტრიებში შეიქმნა ისეთი ახალი ბიზნეს მოდელები, როგორიცაა ეკონომიური ინოვაცის ბიზნეს მოდელი და ცირკულარული ეკონომიკის ბიზნეს მოდელი (Vaska et al, 2021) .

ეკონომიკის ცირკულარულობა საქართველოში და ციფრული ტრანსფორმაცია. საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასების 2022 წლის ანაგრიშის მიხედვით საქართველოს ცირკულარობის მაჩვენებელი 1.3%-ს შეადგენს, ცირკულარობის ხარვეზი 98.7%-ის ტოლია (პრასეკი და სხვ., 2022). შესაბამისად, საქართველოს საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მოხმარებული რესურსების უდიდესი ნაწილი პირველადი წარმოშობისაა. ქვეყნის ეკონომიკა დიდწილად წრფივია. ეს მაჩვენებელი არ ნიშნავს, რომ ეკონომიკაში გამოყენებული რესურსების 98.7% ნარჩენებში ხვდება - ცირკულარობასთან შეუსაბამობა რამდენიმე ელემენტს მოიცავს: ნედლეულის დიდი ნაწილი მატერიალურ აქტივებს შენობა-ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის სახით ემატება; ნედლეული წარმოდგენილია გადამუშავების პოტენციალის მქონე ბიომასით; არაცირკულარული ნაკადები, როგორიცაა წიაღისეული საწვავი და სხვა არაგანახლებადი შემავალი რესურსები, ერთობლივად, ცირკულარობასთან შეუსაბამობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. მომდევნო 5-10 წლიანი პერიოდის სამიზნედ ცირკულარობის არსებული 1.3%-იანი მაჩვენებლის 6.6%-მდე გაზრდა განისაზღვრა. საქართველოს ეკონომიკა ყოველწლიურად 315 მილიონ ტონაზე მეტ რესურსს მოიხმარს (ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 78 ტონა). ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი იზრდება. საქართველოს საზღვრებს მიღმა საქართველოს მთლიანი მოხმარების 69%-ზე ოდნავ ნაკლები რესურსი იწარმოება. საქართველოს მიერ ნედლეულის მოხმარების მაღალი მაჩვენებელი ემისიატევად პროცესებთან ჯერ კიდევ მჭიდრო კავშირშია (პრასეკი და სხვ., 2022. გვ 21). ექსპერტთა აზრით, საქართველოს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის გასაძლიერებლად საჭიროა ეროვნული საგზაო რუკის მომზადება. ცირკულარული ეკონომიკის ძირითადი პრინციპები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს 6 მოქმედების სახით: რეგენერაცია (Regenerate), გაზიარება (Share), ოპტიმიზაცია (Optimise), ციკლურობა (Loop), ვირტუალიზაცია (Virtualise) და გაცვლა (Exchange) – ReSOLVE ჩარჩო (Prasek & Tchelidze, 2023).

ამჟამად, როგორც მთლიანი ეკონომიკის, ასევე ცალკეული დარგების ცირკულარობის დონე დაბალია. დარგების უმეტესობას ეფექტიანობის გაზრდისა და ცირკულარობის ინდიკატორების გაუმჯობესების შესაძლებლობა გააჩნია. სოფლის მეურნეობაა ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლისათვის პრიორიტეტულ დარგად არის მიჩნეული, რადგან კვლევისას შერჩეული 14 დარგიდან 6 სოფლის მეურნეობის ქვედარგი იყო (პრასეკი და სხვ., 2022. გვ.315). საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის ხარვეზის აღმნოსაფხვრელად ექსპერტების მხრიდან შეთავაზებულია ოთხი სტრატეგია: ნაკადების დავიწროება-ნაკლების მოხმარება, ნაწარმის დამზადებისას გამოყენებული მასალების რაოდენობის შემცირება; ნაკადების შენელება-უფრო ხანგრძლივად გამოყენება, რესურსების მოხმარების ოპტიმიზება საქონლის ვარგისიანობის/ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივებით; ნაკადების აღდგენითობა-გასუფთავება: წიაღისეული საწვავის, დამაბინძურებლებისა და ტოქსიკური მასალების ჩანაცვლება აღდგენითი წყაროებით; ნაკადების წრებრუნვა-ხელახალი გამოყენება: ეს საქონლისა და მასალების გადამუშავებას და/ან ხელახლა გამოყენებას მოიცავს (პრასეკი და სხვ., 2022გვ. 326).

ციფრიზაციის პროცესის ტენდენციები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის გაზრდის მიზნით შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება წარიმართება ეკონომიკის გაციფრულების ეპოქაში. 2024 წლის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024),ინტერნეტით უზრუნველყოფილია შინამეურნეობების 91.5% (2.6%-ით მეტი წინა წლის ანალოგიურ

მაჩვენებელთან შედარებით). მოცემული მაჩვენებელი საქალაქო დასახლებებში 1.4%-ით გაიზარდა, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 4.1%-ით (შესაბამისად, 94.5%და 87.5%). ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და თბილისში დაფიქსირდა (შესაბამისად, 97.8% და 95.8%). ბოლო 3 თვის განმავლობაში ინტერნეტით ისარგებლა 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 84.8% (2.1%-ით მეტმა წინა წელთან შედარებით, საქალაქო დასახლებებში - 89.2%, სასოფლო დასახლებებში- 77.7%). მოცემული მაჩვენებელი ქალების შემთხვევაში არის 85.1%, ხოლო კაცების შემთხვევაში - 84.5%. აღნიშნული მაჩვენებლი ყველაზე მაღალია 15-29 წლის მოსახლეობაში (99.0%). 2023 წლის ანალოგიური გამოკვლევის მიხედვით, 15 წელზე მეტი ასაკის მქონე მოსახლეობაში ინტერნეტის გამოყენების მთავარი მიზნები იყო სოციალური ქსელები და ინტერნეტ-კავშირი (შესაბამისად, 95,6% და 94,3%). აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მოსახლეობის 47,1% იყენებდა ინტერნეტს ინტერნეტ-ბანკინგისთვის და მხოლოდ 45,2% - საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სასმახური, 2023).

საქართველოს ეკონომიკის გაციფრულების პროცესის ასახსნელად საჭიროა ბიზნეს სუბიექტების მიერ საინფორამციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების თავისებურებების შესწავლაც. მკვლევარების მიერ (**Zhghenti, Chkareuli, Mamuladze, 2024**) საქართველოს ციფრული ეკონომიკის პერსპექტიულ სექტორებად განიხილება: ელექტრონული კომერცია (ნავარაუდები 13%-იანი ზრდა 2024 წლისთვის), ფინტექი (ნავარაუდები ციფრული გადახდების 15%-იანი ზრდა და ელექტრონული საფულით გადახდების 19% ზრდა 2024 წელს), აგრიტექი (საქართველოს ფერმერთა ასოციაციის 10-დან 9 ფერმერი იყენებს ციფრულ მოწყობილობებს), ციფრული მასპინძლობის სექტორი (ტურისტების 24% იყენებდა Airbnb-ის გაქირავების სერვისს 2023 წელს), ჯანდაცვის ტექნოლოგიები (ნავარაუდები იყო 10.4%-იანი ზრდა 2024 წლისთვის), ციფრული მარკეტინგი (ციფრული სარეკლამო ბაზარი თანაბრად არის განაწილებული მობილურ და მოწყობილობებს და კომპიუტერებს შორის), IT სექტორი, განათლების ტექნოლოგიები. IT სექტორის გამოშვება 2022 წელს შეადგენდა მთლიანად ეკონომიკის 1.6%-ს. მუდმივი ფასებით გამოსახული IT სექტორი სხვა დარგებთან შედარებით დაახლოებით 6-ჯერ უფრო მეტად გაიზარდა 2019-2022 წლებში მაშინ, როცა მთლიანად ეკონომიკა გაიზარდა 1.24-ჯერ.

მიუხედავად აღნიშნული სწრაფი ზრდისა, ბიზნეს სუბიეტებს სჭირდებათ გადადგან გარკვეული ნაბიჯები ციფრიზაციის მიმართულებით: ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლისთვის მომზადება და ციფრული ტრანფორმაციის გეგმის შემუშავება; ონლაინ სივრცეში დამკვიდრება (გლობალური პლატფორმების გამოყენება, სოციალური მედიის ათვისება); თანამშრომელთა ციფრული შესაძლებლობების გაზრდა; სასარგებლო ინსტრუმენტებისა და პროგრამების გამოყენება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, 2021).

მსოფლიოში მიმდინარე გაციფრულების პროცესი საქართველოში დაჩქარდა ბოლო წლების განმავლობაში. ბიზნეს პროცესების გაციფრულება გულისხმობს ისეთი პროცესების გაციფრულებას, როგორიცაა: მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი (CRM), აუდიტიდა ფინანსური პროცესები, მიწოდების ჯაჭვისა და მარაგების მართვა, პროექტების მენეჯმენტი, გაყიდვები და მარკეტინგი, მონაცემთა ანალიზი. ექსპერტთა შეფასებით, საქმიანობის ციფრულმა ტრანსფორმაციამ ადგილობრივი სტარტაპებისთვის - სამი ძირითადი შედეგი (Zhghenti & Chkareuli, 2023) მოიტანა: მომხმარებლის რაოდენობის ზრდა, მომხმარებელზე ორიენტირება, შიდა პროცესების გამარტივება. ბიზნესის პროცესების გაციფრულების პარალელურად,

„საზოგადოების გაციფრულებას“ ასევე სამი ძირითადი შედეგი მოჰყვა: ციფრულ პროდუქტებზე ნდობის ზრდა მომხმარებლებში, ტექნოლოგიური ცოდნის ზრდა, მონაცემთა მოცულობის ზრდა. აღსანიშნავია, რომ ციფრული ტრანსფორმაციის კვალდაკვალ გაძვირდა ციფრულ სამყაროში მიზნობრივი სეგმენტისთვის რეკლამირების ფასები. 2023 წლის სტატისტიკით, ადგილობრივ ბიზნესში ინტერნეტ კავშირის მქონე ადგილობრივი საწარმოების 3.7% იყენებდა CRM სისტემას, იგივე მაჩვენებელი მცირე ბიზნესში 3.3%-ა.

დღეს მსოფლიოში ხელოვნური ინტელექტის (AI) სტარტაპების განვითარება გლობალური ტენდენციაა და წამყვანი ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატებია. AI სტარტაპების მსოფლიო დაფინანსების დაახლოებით ნახევარი მოდის აშშ-ზე. 2023 წლის მონაცემებით, გლობალურად მთლიანი ინვესტიციები AI სტარტაპებში მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 65 მილიარდ დოლარს აჭარბებდა. ექსპერტების შეფასებით (Zhghenti et al, 2024) საქართველოს AI ეკოსისტემა მზარდია ხარისხობრივად და რაოდენობრივად, თუმცა, განვითარების საწყის ეტაპზეა და არ არის მყარი. იგი საქართველოში ძირითადად ფოკუსირდება B2B მოდელებზე. საქართველოს AI ეკოსისტემა დგას ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორებიცაა: ენის ბარიერი, ტალანტით დაჯილდოებული კადრების მოძიება, მომხმარებლის მზადყოფნა, ბაზრის მოლოდინი.

დასკვნა. მდგრადი მეწარმეობა წარმოადგენს კავშირს მდგრად განვითარებასა და მეწარმეობას შორის. დღეისათვის მსოფლიოში მიმდინარეობს ეკონომიკის ციფრიზაციის გლობალური პროცესი. მდგრადი მეწარმეობა მოიცავს ისეთ აღმოჩენას, შექმნასა და სამეწარმეო შესაძლებლობების გამოყენებას, რაც საზოგადოებისთვის სოციალური და გარემოსდაცვითი მიღწევებით ხელს უწყობს მდგრადობას. შესაძლებლობების შექმნის კონცეფცია არის მთავარი ფაქტორი. მდგრადი მეწარმეობა წარმოქმნის ინოვაციას და კონკურენტულ უპირატესობას ახალ და არსებულ საწარმოებში. მდგრად მეწარმეობას აქვს პოტენციალი იყოს გამარჯვების მომტანი სტრატეგია და უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა. დღეისათვის ცირკულარული ეკონომიკის კონცეფცია სამეცნიერო წრეებში, ინდუსტრიის წარმომადგენლებსა და პოლიტიკოსებს შორის განიხილება როგორც რესურსების უყაირათოდ ხარჯვის, დაბინძურებისა და მავნე აირების გაფრქვევის შემცირების სტრატეგია. ბიზნესის ოთხი სტრატეგია-ნარჩენების გადამუშავება, გაფართოება, ინტენსიფიკაცია და დემატერიალიზაცია - შესაძლებელია სხვადასხვა კომბინაციით არსებობდეს ერთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, ასევე, შესაძლებელია დაემატოს ორი სხვა დამხმარე სტრატეგიაც - ეფექტიანობის გაზრდა და განახლებადი რესურსების გამოყენება. ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაციის მითითებული ოთხი სტრატეგიიდან ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში განსაკუთრებით აქტუალური ხდება დემატერიალიზაციის სტრატეგია (პროდუქტის შენაცვლება სერვისით ან პროგრამული უზრუნველყოფით). თითქმის ყველა ინდუსტრიაში ციფრული ტრანსფორმაცია გავლენას ახდენს ღირებულების შექმნაზე, ღირებულების მიწოდებაზე და ღირებულების მიღებაზე. სწორედ ამ გავლენის შედეგად ინდუსტრიებში შეიქმნა ისეთი ახალი ბიზნეს მოდელები, როგორიცაა ეკონომიური ინოვაცის ბიზნეს მოდელი და ცირკულარული ეკონომიკის ბიზნეს მოდელი. საქართველოს საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მოხმარებული რესურსების უდიდესი ნაწილი პირველადი წარმოშობისაა. ქვეყნის ეკონომიკა დიდწილად წრფივია. როგორც მთლიანი ეკონომიკის, ასევე ცალკეული დარგების ცირკულარობის დონე დაბალია. დარგების უმეტესობას ეფექტიანობის გაზრდისა და ცირკულარობის ინდიკატორების გაუმჯობესების შესაძლებლობა გააჩნია. სოფლის მეურნეობაა ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლისათვის პრიორიტეტულ დარგად არის მიჩნეული. მსოფლიოში მიმდინარე გაციფრულების პროცესი საქართველოში დაჩქარდა ბოლო წლების

განმავლობაში. ბიზნეს საქმიანობის ციფრულმა ტრანსფორმაციამ ადგილობრივი სტარტაპებისთვის მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა. ბიზნესისა და ეკონომიკის გაციფრულების პარალელურად მიმდინარე „საზოგადოების გაციფრულებას“ ასევე მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. საქართველოში ხელოვნური ინტელექტის ეკოსისტემა განვითარების ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, თუმცა მზარდია ხარისხობრივად და რაოდენობრივად.

References

- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, (2021). ციფრული ტექნოლოგიები ბიზნესში. როგორ შევაბიჯოთ ციფრულ სამყაროში https://businessguide.ebrd.ge/posts/how-do-I-take-my-business-digital
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, (2021). *მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები.* 2021, 1-27. https://idfi.ge/ge/sdg-report-2021-georgia-results
- კავკასიის გარემოსდაცვითი ცოდნის პორტალი, (2019). *ცირკულარული ეკონომიკა - კონცეფცია და ფაქტები.* http://environment.cenn.org/app/uploads/2020/05/Circular_Economy_1_R1_GEO.pdf
- ნაცვლიშვილი, ი. (2020). მდგრადი განვითარების და მდგრადი ბიზნეს მოდელის პერსპექტივები პოსტკოვიდურ ეპოქაში . *გლობალიზაცია და ბიზნესი.* Vol. 5 No. 10; 227-232. https://eugb.ge/index.php/111/article/view/114
- პრასეკი, დ., ჭელიძე, მ., პავლიაშვილი, ს. & ქიმერიძე, მ. (2022). საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასება. https://orkisi.ge/wp-content/uploads/2023/06/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-2022-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98.pdf
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სასმახური. (2024). *შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები (2024 წელი)* *https://www.geostat.ge/ka/single-news/3245/shinameurneobebshi-sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqenebis-machveneblebi-2024*
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სასმახური. (2023). *შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები (2023 წელი).* https://www.geostat.ge/ka/single-news/2930/shinameurneobebshi-sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqenebis-machveneblebi-2023-tseli
- Barford, A., & Ahmad, S. R. (2022). Levers for a corporate transition to a plastics circular economy. *Business Strategy and the Environment*, 1–15. https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1002/bse.3182
- Bocken, N., De Pauw, I., Bakker, C., & Van Der Grinten, B. (2016). Product design and business model strategies for a circular economy. *Journal of Industrial and Production Engineering,* 33(5), 308–320. https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/21681015.2016.1172124

- Farny, S. & Binder, J.K. (2021). Sustainable Entrepreneurship. *World Encyclopedia of Entrepreneurship*, Edward Elgar publishing, UK, 605-611. https://globaljournals.org/GJMBR_Volume22/E-Journal_GJMBR_(A)_Vol_22_Issue_5.pdf
- Geissdoerfer, M., Pieroni, M., Pigosso, D. C. A., & Soufani, K. (2020). Circular business models: A review. *Journal of Cleaner Production,* Volume 277, 20 December 2020, 123741 https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0959652620337860 https://www.researchgate.net/publication/343810965_Circular_business_models_A_review
- Geissdoerfer, M., Vladimirova, D., & Evans, S. (2018). Sustainable business model innovation: A review. *Journal of Cleaner Production,* 198, 401–416 https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0959652618318961
- Greco, A. & de Jong, G. (2017). *Sustainable Entrepreneurship: Definitions, Themes and Research Gaps.* Center of Sustainable Entrepreneurship. University of Groningen. 1706-CSE, 1–36. https://www.rug.nl/cf/pdfs/cse/wps6_angela.pdf
- Guldmann, E. & Huulgaard, R. D. (2020). Barriers to circular business model innovation: A multiple-case study. *Journal of Cleaner Production,* 243, 118160 https://fardapaper.ir/mohavaha/uploads/2019/11/Fardapaper-Barriers-to-circular-business-model-innovation-A-multiple-case-study.pdf
- Natsvlishvili, I. (2020). Sustainable business models to connect tourism and agriculture (Georgian perspective). *Proceedings of V International Scientific and Practical Conference, Imperatives of Modern Management.* Kiev, April 23-24, 2020, pp. 265-268
- Prasek, D. E., & Tchelidze, M. (2023). *Circularity Mapping for Georgia 2022.* January 17, 2023. https://forbes.ge/en/circularity-mapping-for-georgia-by-dr-dariusz-edward-prasek-and-dr-medgar-tchelidze/ #:~:text=The%20conclusion%20was%20that%20Georgia,a%20circularity%20gap%20of%2098.7%25
- Tura, N., Hanski, J., Ahola, T., Ståhle, M., Piiparinen, S., & Valkokari, P. (2019). Unlocking circular business: A framework of barriers and drivers. *Journal of Cleaner Production,* 212, 90–98. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0959652618336059
- United Nations. (n.d). Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development. https://sdgs.un.org/2030agenda
- Vaska, S., Massaro, M., Bagarotto, E. M., &Mas, F.D. (2021). The Digital Transformation of Business Model Innovation: A Structured Literature Review. *Frontiers in Psychology*, January 2021. Sec. Organizational Psychology Volume 11 – 2020. | https://doi.org/10.3389/fpsyg.2020.539363 https://www.frontiersin.org/journals/psychology/articles/10.3389/fpsyg.2020.539363/full
- Webster, K. (2015). *The circular economy: A wealth of flows.* Ellen MacArthur Foundation https://ellenmacarthurfoundation.org/the-circular-economy-a-wealth-of-flows-2nd-edition
- Zhghenti, T., Chkareuli, V., Khatiashvili-Gurgenidze, M., (2024). AI Start-up Ecosystem in Georgia. Digital ecosystem digest. Winter report 2024. https://btu.edu.ge/wp-content/uploads/2024/03/Winter-2024-Digest-ENG-2.pdf
- Zhghenti, T., Chkareuli, V., Mamuladze, T., (2024). Promising sectors in Georgia's digital Economy for Startups Digital ecosystem digest., Spring report 2024. https://btu.edu.ge/wp-content/uploads/2024/06/Digest-inglisuri.pdf

- Zhghenti, T., Chkareuli, V., (2023). Digitization trends and startup ecosystem in Georgia. Digital ecosystem digest. Summer report 2023. https://btu.edu.ge/wp-content/uploads/2024/01/Digitization-Trends-and-Startup-Ecosystem-in-Georgia.pdf
- Zott, C. & Amit, R. (2010). Business model design: an activity system perspective. *Long Range Planning*, 43, 216-226. https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0024630109000533

ციფრული ეკონომიკა - საბანკო სისტემის მაგალითზე

Digital Economy-- The Example of the Banking System

ნელი სესაძე
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ასოცირებული პროფესორი
ლია პიტიურიშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ასისტენტ პროფესორი
ნინელი თევდორაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ასოცირებული პროფესორი
Neli Sesadze
Georgian National University SEU
Associate Professor
Lia pitourishvii
Georgian National University SEU
Assistant Professor
Nineli Tevdorasfvili
Neli Sesadze
Georgian National University SEU
Associate Professor

აბსტრაქტი. დღეისათვის მიმდინარე ტექნოლოგიური რევოლუციის მასშტაბები ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. შეიძლება ითქვას, რომ ციფრული ტექნოლოგია თანდათან იწვევს საზოგადოების და გლობალური ეკონომიკის ტრანსფორმაციას. ტექნოლოგიების ინტეგრირება არა მხოლოდ აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, არამედ ქმნის სრულიად ახალ შესაძლებლობებს როგორც ფინანსური ინსტიტუტებისთვის, ასევე მომხმარებლებისთვის.

დიგიტალიზაცია ხდება კონკურენტუნარიანობისა და ადაპტაციის ძირითადი ელემენტი ფინანსურ სექტორში. ის კომპანიები, რომლებიც წარმატებით მოახდენენ ტექნოლოგიების ინტეგრირებას და შეძლებენ ცვალებად გარემოსთან ადაპტაციას, შეინარჩუნებენ ლიდერის პოზიციებს ბაზარზე.

სტატიაში წარმოდგენილია საბანკო სექტორის განვითარების საკვანძო ასპექტები ციფრულ ეპოქაში — ბანკის ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციები, საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებებზე, მომსახურების მოდელებსა და საკუთარი ეკოსისტემის განვითარებაზე მათი გავლენა.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ბანკი, საბანკო სექტორი, ციფრული ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი

Abstract. In the modern era, digitalization represents a transformative force in the development of both the economy in general and the financial sector in particular. The integration of technologies not only improves the quality of services but also creates entirely new opportunities for both financial institutions and consumers. Digitalization is becoming a fundamental element of competitiveness and adaptation in the financial sector. Those companies that successfully integrate technologies and can adapt to the changing environment will maintain leading positions in the market. The article presents the key aspects of banking sector development in the digital age — trends in the development of digital banking technologies, their impact on banking products and services, service models, and the development of their own ecosystem. The article concludes that the digital transformation of the environment and business processes will be the main direction of development for any business, including the banking business. Moreover, the development of the banking system based on the use of the latest technologies allows for the solution of many problems.

Keywords: blockchain, banking, innovation, digital economy, electronic payments, ecosystem, online banking.

შესავალი ციფრული ტრანსფორმაცია არის ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია ბიზნესის ყველა სფეროში, იგი ფუნდამენტურად ცვლის ბიზნესის ოპერირებისა და მომხმარებლებისთვის ღირებულების მიწოდების გზებს. ციფრული ტრანსფორმაცია ასევე კულტურის ცვლილებაა, რომელიც მოითხოვს ორგანიზაციებისგან მუდმივ ექსპერიმენტებს და შედეგების ანალიზს.

ციფრული ტრანსფორმაცია საბანკო სფეროში დაიწყო 1980-იანი წლების შუა ხანებში. განვითარებულ ქვეყნებში ეს პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო, მაშინ, როდესაც კომპიუტერები უკვე აქტიურად გამოიყენებოდა ოჯახებში.

მსოფლიო საბანკო სექტორმა სულ რამდენიმე წელიწადში განიცადა არსებითი ცვლილებები, უმეტესწილად როგორც გარემოს, ისე ბიზნესის ციფრული განვითარების გამო. ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების მრავალფეროვნება ადამიანებს საშუალებას აძლევს შეცვალონ ბიზნესთან ურთიერთობის ფორმები. კლიენტები სულ უფრო მეტ არხს იყენებენ საბანკო მომსახურების მისაღებად და ბანკებთან ურთიერთობისთვის ახალ პლატფორმებს ეყრდნობიან. პარალელურად მიმდინარეობს ტექნოლოგიების ადაპტაცია ადამიანების ქცევის ცვლილებებთან, რის შედეგადაც მიიღება ბიზნესის განვითარებისათვის სულ უფრო ეფექტური და დაბალდანახარჯიანი გადაწყვეტილებები. საბანკო პროცესების ციფრიზაციის შედეგად ფართოვდება კლიენტების გამოცდილება.

საბანკო სექტორში ინოვაციებზე მოთხოვნა ძირითადად მომხმარებლების მხრივ არის ნაკარნახევი. მათი ძირითადი მოთხოვნებია საბანკო ოპერაციების განხორციელებაზე დახარჯული დროის შემცირება, 24x7 რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობა,

ბოლო დროს ჩვენი ქვეყნის საბანკო სფეროშიც აღინიშნა საუკეთესო შედეგები ციფრულ სფეროში. საკმაოდ აქტიურად და ეფექტურად ხორციელდება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა.

ძირითადი ნაწილი.. საბანკო მომსახურების მოდელები მნიშვნელოვნად იცვლება ციფრული ტექნოლოგიების (მანქანური სწავლება, ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი, P2P დაკრედიტება, რობო-მრჩევლები), ასევე ინტეგრირებული ქსელური ეკონომიკის განვითარების შედეგად. მცირდება არასაბანკო მოთამაშეებისთვის ბაზარზე შესვლის ბარიერები და სატელეკომუნიკაციო და IT კომპანიები თავიანთი კომპეტენციების საფუძველზე ახორციელებენ ფინანსურ სერვისებსა და პროდუქტებს. მსხვილი და ტექნოლოგიურად განვითარებული ბანკები

ქმნიან საკუთარ ეკოსისტემებს, რომლებიც იღებენ შემოსავლის ახალ, არატრადიციულ წყაროებს. ეს ტენდენციები განსაზღვრავს დარგის განვითარების მიმართულებას და ბანკებისთვის მნიშვნელოვანია მათი გათვალისწინება საკუთარ სტრატეგიებში.

ციფრულ პლატფორმებზე ბანკების გადასვლის ძირითადი ფაქტორებია:

✓ ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაფართოება: ახლა უფრო მეტ ადამიანს შეუძლია საბანკო მომსახურებების ონლაინ მიღება;

✓ მობილური ტექნოლოგიები: სმარტფონებმა საბანკო მომსახურებები უფრო მოსახერხებელი გახადა;

✓ API-ზე დაფუძნებული ბანკინგი: ინოვაცია უზრუნველყოფს სერვისების შეუფერხებელ ინტეგრაციას, აუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას და ამცირებს თაღლითობას.

ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლამ მნიშვნელოვნი ზეგავლენა მოახდინა ტრადიციულ ბანკებზე. ტრადიციული ბანკების წინაშე არსებული გამოწვევებია:

✓ კონკურენცია ფინტექის მხრიდან: ახალი მოთამაშეები ინოვაციურ გადაწყვეტილებებს სთავაზობენ.

✓ მომხმარებელთა მოლოდინების ცვლილება: კლიენტები უფრო სწრაფ და მოხერხებელ სერვისებს მოითხოვენ.

✓ მოდერნიზაციის აუცილებლობა: ტრადიციულ ბანკს უწევს მოძველებულ სისტემებთან ბრძოლა, რაც ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ცვლილებებისადმი ადაპტირების გზაზე.

ციფრული ბანკინგის განვითარება ტექნოლოგიების წინსვლა არ არის მხოლოდ; ეს არის ფინანსური სერვისების მიწოდების გზის ახლებური გაააზრება თანამედროვე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ამ მხრივ ხელოვნური ინტელექტი (AI) და მანქანური სწავლება რევოლუციურ ცვლილებებს ახდენს საბანკო სექტორში. ისინი ბანკებს საშუალებას აძლევს:

✓ უზრუნველყონ მომხმარებელთა მხარდაჭერა რეალურ დროში (AI) მომუშავე ჩეთბოტების საშუალებით;

✓ გაანალიზონ დიდი მონაცემთა ბაზები თაღლითობის აღმოსაჩენად და კრედიტუნარიანობის შესაფასებლად;

✓ შესთავაზონ პერსონალიზებული რეკომენდაციები მომხმარებელთა ქცევის საფუძველზე.

ასევე ეხმარება მონაცემთა მართვასა და დაცვაში, რაც მომხმარებლებისთვის უკეთეს გამოცდილებას ქმნის. მაგალითად, მას შეუძლია სწრაფად განსაზღვროს ტენდენციები მომხმარებელთა მონაცემებში, რაც ბანკებს საშუალება ეძლევათ ოპერატიულად გაითვალისწინონ მომხმარებელთა ქცევის ცვლილებები.

ბლოკჩეინის ტექნოლოგია ზრდის საბანკო ოპერაციების უსაფრთხოებასა და ეფექტურობას. იგი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ფინანსურ ტრანზაქციებში ნდობისა და გამჭვირვალობის შესანარჩუნებლად. ბლოკჩეინი მართლაც ინოვაციური ტექნოლოგიაა, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს ფინანსურ სექტორში.

✓ ღრუბლოვანი გამოთვლების დახმარებით ბანკებისთვის შესაძლებელი ხდება:

✓ უზარმაზარი მოცულობის მონაცემების უსაფრთხო შენახვა და დამუშავება;

✓ მასშტაბური ოპერაციების ჩატარება;

✓ თანამშრომლობის მასშტაბების გაფართოვება და საბანკო სერვისებზე დისტანციურ წვდომა.

ღრუბლოვანი გამოთვლები ზრდის ბანკის პროდუქტიულობას და უზრუნველყოფენ სერვისების სწრაფ მიწოდებას.

დღეისათვის ბანკები იყენებენ სხვადასხვა მეთოდს მომხმარებლების მხარდასაჭერად. პირადი ფინანსების მართვის ინსტრუმენტების გამოყენებით, ისინი ეხმარებიან კლიენტებს ეფექტურად მართონ თავიანთი სახსრები. გარდა ამისა, ისინი იყენებენ პერსონალიზებულ კონტენტსა და შეტყობინებებს, რათა საბანკო გამოცდილება ინდივიდუალურ საჭიროებებს მოარგონ.

მსხვილ კომერციულ ბანკებთან მიმართებაში უკვე გამოიყენება ტერმინი „ციფრული ჰაბები“, როდესაც ბანკს შეუძლია თავისი კლიენტების ცხოვრებისეული ამოცანების უმეტესი ნაწილი გადაჭრა ერთ აპლიკაციაში.[333]

კომპანია Deloitte-მა ჩაატარა კვლევა 44 ქვეყნის 348 ბანკში. ბანკები ციფრულობის ხარისხის მიხედვით ოთხ ჯგუფად დაყვეს: Latecomers („ჩამორჩენილები“), Adopters („მიმღებები“), Smart Followers („მოწინავე მიმდევრები“) და Champions („ჩემპიონები“). [334]

„ჩემპიონების“ კატეგორიაში ბანკების დაახლოებით 10% მოხვდა. მათ აქვთ მრავალი სერვისული ოფცია, რომელთა შორის საკვანძო უპირატესობებად დასახელებულია: სადებეტო ბარათის ონლაინ გახსნა, კლიენტის ანკეტის შევსების პროცესის თვალყურის დევნება და მიღებული შეტყობინებები შეცდომების შესახებ, რომლებიც მიუთითებენ ონლაინ-ფორმის შევსებისას არსებულ პრობლემებზე.



.

ციფრული ჩემპიონების ყველაზე მეტი რაოდენობით ლიდერიობს ევროპა-პოლონეთი, ნიდერლანდები, იტალია, სლოვაკეთი, (!7), შემდეგ საუკეთესო შედეგი აღინიშნა აზიაში-ინდოეთში, თურქეთში (15) და სამხრეთ ამერიკაში -ბრაზილიაში (6).

მობილური ბანკინგი გახდა მიმზიდველი პლატფორმა სრულად ონლაინ ანგარიშების გასახსნელად. ციფრული ჩემპიონების უპირატესობა წარმოჩინდა ეკოსისტემების შექმნაში, საინვესტიციო სერვისებში.

საბანკო საქმეში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების ყველაზე პოპულარული მიმართულებები მოცემულია დიაგრამაზე.

სავსებით ლოგიკურია, რომ საბანკო საქმეში ლიდერი AI-ის გამოყენების მიმართულებით არის საკრედიტო სკორინგის სფერო.

საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ციფრული ტრანსფორმაციის მხრივ. ციფრული ფინანსური სერვისების ბაზრის განვითარების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია

[333] https://1economic.ru/lib/123146

[334] https://www.deloitte.com/ce/en/industries/financial-services/research/digital-banking-maturity-2024.html

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწყებული პროექტების/ინიციატივების შემდგომი განვითარება, მათ შორის ციფრული ბანკი და ღია ბანკინგი (ღია API-ის გამოყენება), ციფრული ჩართულობა და მყისიერი გადახდების სისტემა.

ბანკებმა მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელეს უკონტაქტო გადახდების განვითარების მიზნით. Visa-ს მონაცემებით, საქართველო პირველ ადგილზეა მსოფლიოში უკონტაქტო გადახდების გავრცელების მხრივ. მიუხედავად ამ მიღწევებისა, ნაღდი ფული კვლავ ფართოდ გამოიყენება სავაჭრო პუნქტებსა და კომუნალური გადახდებისთვის.

დასკვნა. ციფრული ეკონომიკა ბიძგს აძლევს საკრედიტო ინსტიტუტების განვითარებას, რადგან საბანკო სექტორი ინოვაციების დანერგვის საუკეთესო ნიშაა. ინოვაციები ინერგება ტექნოლოგიაში, მომსახურებაში, პროდუქციის ხაზში, რითაც უმჯობესდება ბანკების საქმიანობის სქემის თითოეული დონე.

ხელოვნური ინტელექტი (AI) აქტიურად გამოიყენება ამჟამად და გაიზრდება მისი შესაძლებლობები მომავალშიც- კლიენტთა ინტერესების პროგნოზირება, რისკების მართვა, მომსახურების პერსონალიზაცია, კლიენტთა ქცევის პროგნოზირება, მოთხოვნების დამუშავება, ანგარიშების მართვა, კრედიტების გაცემა **და სხვა.**



ნახ. 3 ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების მიმართულებები[335]

გამოყენებული ლიტერატურა

1. Allen N. BergerThe Economic Effects of Technological Progress: Evidence from the Banking Industry Journal of Money, Credit, and Banking The Ohio State University PressVolume 35, Number 2, March 2003 https://muse.jhu.edu/article/41878/pdf (გადამოწმებულია 02.05.2025)

2. Булетова, Н. Е. Внедрение цифровых технологий в банковский сектор: опыт экономически развитых стран / Н. Е. Булетова, М. Е. Шипилов // Вопросы инновационной экономики. – 2025. – Т. 15, № 3. – DOI 10.18334/vinec.15.3.123146 https://1economic.ru/lib/123146 (გადამოწმებულია 02.05.2025)

3. Болонин А.И., Алиев М.М., Исмаилов К.М. Технологии Big Data на финансовых рынках: практические аспекты // Экономическая безопасность. – 2024. – № 5. – с. 1093-1114. – doi: 10.18334/ecsec.7.5.121032 https://1economic.ru/lib/121032 (გადამოწმებულია 02.05.2025)

[335] https://cyberleninka.ru/article/n/iskusstvennyy-intellekt-v-bankovskoy-sfere/viewer

4. ЦИФРОВАЯ ТРАНСФОРМАЦИЯ: ОЖИДАНИЯ И РЕАЛЬНОСТЬ К XXIII Ясинской (Апрельской) международной научной конференции по проблемам развития экономики и общества 2022 г https://issek.hse.ru/mirror/pubs/share/603838492.pdf (გადამოწმებულია 02.05.2025)

5. საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოს ფინტექის განვითარების სტრატეგია კონცეპტუალური დოკუმენტი 2024წ.

6. საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების ეროვნული სტრატეგია

7. Digital Banking Maturity 2024 https://www.deloitte.com/ce/en/industries/financial-services/research/digital-banking-maturity-2024.html (გადამოწმებულია 02.05.2025)

8. Тренды цифровизации банкинга в 2025 году: основные направления развития и технологии https://dynamika.ru/trendy-tsifrovizatsii-bakinga-v-2025/ (გადამოწმებულია 02.05.2025)

9. Digital banking transformation: shaping the future of financial services https://techbullion.com/digital-banking-transformation-shaping-the-future-of-financial-services/ (გადამოწმებულია 02.05.2025)

მწვანე მარკეტინგი საქართველოში: მწვანე მომხმარებელთა სეგმენტაცია და მისი გავლენა ბრენდის იმიჯსა და მომხმარებელთა ლოიალობაზე

Green Marketing in Georgia: Green Consumer Segmentation and Its Impact on Brand Image and Customer Loyalty

გიგი ნოზაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
Gigi Nozadze
Caucasus International University
PhD student at the Faculty of Business Administration

აბსტრაქტი. მწვანე მარკეტინგი თანამედროვე ბიზნეს გარემოში სულ უფრო აქტუალური ხდება, განსაკუთრებით იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ცდილობენ მომხმარებელთა ლოიალობის გაზრდას და ბრენდის იმიჯის გაუმჯობესებას. აღნიშნული კვლევა იკვლევს მწვანე მარკეტინგის გავლენას საქართველოში და განსაკუთრებით ფოკუსირდება მწვანე მომხმარებელთა ხუთ კატეგორიაზე. სეგმენტაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით, განიხილება თითოეული ჯგუფის მახასიათებლები, მოტივაცია და ყიდვის ქცევა.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მწვანე მომხმარებლები საქართველოში განსხვავებული დამოკიდებულებით რეაგირებენ მწვანე მარკეტინგულ აქტივობებზე. ყველაზე აქტიური მომხმარებლები ირჩევენ ისეთ კომპანიებს, რომლებიც იყენებენ ეკოლოგიურად სუფთა მასალებს, ნერგავენ მდგრადი განვითარების პრინციპებს და ატარებენ გამჭვირვალე გარემოსდაცვით პოლიტიკას. სხვა ჯგუფები მეტად რეაგირებენ ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ფასების თანხვედრა ეკომეგობრულ პროდუქტებთან და ბრენდის ხანგრძლივი ერთგულება გარემოსდაცვითი ინიციატივების მიმართ.

ეს კვლევა მნიშვნელოვნად ეხმარება როგორც ბიზნესებს, რომლებიც ეკომეგობრულ პოლიტიკას ნერგავენ, ასევე მკვლევარებსა და პოლიტიკის შემქმნელებს, რომელთაც სურთ უკეთესად გაიგონ მწვანე მარკეტინგის როლი საქართველოში. კვლევის დასკვნები კომპანიებს მისცემს საშუალებას, შექმნან უფრო ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგიები, რომლებიც შეესაბამება მწვანე მომხმარებელთა მოლოდინებს. შედეგად, მწვანე ბიზნეს მოდელები უფრო მეტად მოიპოვებენ პოპულარობას ქართულ ბაზარზე, რაც ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრაციას სხვადასხვა სექტორში.

საკვანძო სიტყვები: მწვანე მარკეტინგი, მწვანე მომხმარებლები, სეგმენტაცია, ბრენდის იმიჯი, მომხმარებელთა ლოიალობა, ეკომარკეტინგი, მდგრადი განვითარება, მდგრადი მარკეტინგი, მწვანე კომუნიკაცია.

Abstract. Green marketing is becoming increasingly relevant in today's business environment, particularly for companies seeking to enhance customer loyalty and improve brand image. This study examines the impact of green

marketing in Georgia, with a particular focus on five categories of green consumers. Using segmentation methodology, the research explores the characteristics, motivations, and purchasing behaviors of each group.

The findings indicate that green consumers in Georgia exhibit varying levels of responsiveness to green marketing activities. The most proactive consumers choose companies that use eco-friendly materials, implement sustainable development principles, and maintain transparent environmental policies. Other consumer groups respond more to factors such as price alignment with eco-friendly products and a brand's long-term commitment to environmental initiatives.

This research provides valuable insights for businesses adopting eco-friendly policies, as well as for researchers and policymakers interested in understanding the role of green marketing in Georgia. The study's conclusions enable companies to develop more effective marketing strategies that align with green consumer expectations. As a result, green business models are likely to gain greater popularity in the Georgian market, contributing to the broader integration of sustainable development principles across various sectors.

Keywords: Green marketing, green consumers, segmentation, brand image, customer loyalty, eco-marketing, sustainable development, sustainable marketing.

შესავალი. დღევანდელ გლობალურ ბაზარზე ეკოლოგიური გამოწვევები სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მარკეტინგულ კომუნიკაციაში. მწვანე მარკეტინგი (Green Marketing) იქცა არა მხოლოდ ბრენდების სოციალური პასუხისმგებლობის გამოხატვის ფორმად, არამედ მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობადაც. Nielsen-ის გლობალური კვლევის მიხედვით (Nielsen, 2015), რომელიც წარმოდგენილია ანგარიშში *The Sustainability Imperative*, მსოფლიო მომხმარებელთა 66% მზად არის გადაიხადოს უფრო მაღალი ფასი ეკო-მეგობრულ პროდუქტებში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მწვანე მარკეტინგის მზარდ მნიშვნელობას.

საქართველოშიც ეკოლოგიური საკითხები თანდათან იპყრობს საზოგადოების ყურადღებას, თუმცა არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ ეკოლოგიური ცნობიერება ჯერ კიდევ სუსტია, ხოლო მწვანე პროდუქტების არჩევანი შედარებით შეზღუდულია. განსაკუთრებით ახალგაზრდებში და მაღალი შემოსავლის მქონე მომხმარებლებში შეინიშნება გარემოსდაცვითი ღირებულებების მიმართ მზარდი ინტერესი, თუმცა მწვანე ქცევა ფართო საზოგადოებაში ნაკლებად არის დამკვიდრებული. ამ მხრივ, მწვანე მარკეტინგი ქართულ ბაზარზე ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, რაც კვლევის აუცილებლობას უსვამს ხაზს.

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს მწვანე მომხმარებელთა სეგმენტური განაწილების გაანალიზებას საქართველოს ბაზარზე და მწვანე მარკეტინგის გავლენის შეფასებას ბრენდის იმიჯსა და მომხმარებელთა ლოიალობაზე. კვლევა ეფუძნება პიტის მოდელის (PIETE Model) გამოყენებით მწვანე მომხმარებელთა სეგმენტაციის განხორციელებას, მწვანე მარკეტინგის ეფექტიანობის შეფასებას.

კვლევა ცდილობს უპასუხოს შემდეგ საკვანძო კითხვებს: როგორი არის მწვანე მომხმარებელთა სეგმენტური განაწილება საქართველოს ბაზარზე? რა გავლენას ახდენს მწვანე მარკეტინგი მომხმარებელთა ლოიალობაზე საქართველოში? და როგორ აისახება მწვანე კომუნიკაცია ბრენდის იმიჯზე?

კვლევა ეფუძნება შემდეგ ჰიპოთეზებს:

H1: მწვანე მარკეტინგი საქართველოში დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა ლოიალობაზე.

H2: მწვანე კომუნიკაცია აუმჯობესებს ბრენდის იმიჯს ქართულ მომხმარებელთა აღქმაში.

H3: საქართველოში მომხმარებელთა უმრავლესობა მიეკუთვნება Light Greens ან Potential Greens სეგმენტებს.

მოცემული კვლევა გამოირჩევა იმით, რომ წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ მცდელობას მწვანე მომხმარებლების სეგმენტური პროფილის ჩამოყალიბებისა და მწვანე მარკეტინგის ეფექტიანობის ემპირიულ ანალიზზე საქართველოში. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი

მეთოდის გამოყენებით, 2025 წლის 10-28 მარტის პერიოდში, ონლაინ გამოკითხვის გზით. გამოიკითხა 300 რესპონდენტი სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფიდან. მონაცემთა ანალიზი ჩატარდა აღწერითი სტატისტიკის, კორელაციური და რეგრესიული ანალიზის მეთოდებით, SPSS პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს მწვანე მომხმარებელთა ქცევის სიღრმისეულ შესწავლაში, ხოლო პრაქტიკული მნიშვნელობა — მწვანე მარკეტინგული სტრატეგიების გაუმჯობესებაში ქართულ ბაზარზე მოქმედი ბრენდებისთვის.

1. მწვანე მარკეტინგის თეორიული საფუძვლები

1.1 მწვანე მარკეტინგის კონცეფცია

მწვანე მარკეტინგი წარმოადგენს სტრატეგიულ საქმიანობას, რომელიც გულისხმობს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების შექმნას, ბაზარზე მათ პოზიციონირებას და კომუნიკაციას, რომელიც ეფუძნება გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას. მწვანე მარკეტინგი აერთიანებს იმ მარკეტინგულ აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავენ არა მხოლოდ კომერციულ წარმატებას, არამედ გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობას.

Peattie (1995) მწვანე მარკეტინგს განსაზღვრავს როგორც „სრული მარკეტინგული პროცესის განვითარებას, რომელიც მოიცავს ეკოლოგიურად და სოციალურ დონეზე პასუხისმგებელ პროდუქტის დიზაინს, წარმოებას, შეფუთვას, კომუნიკაციასა და განაწილებას.“ აღნიშნული მიდგომა ხაზს უსვამს მწვანე მარკეტინგის სისტემურ ხასიათს და მის ინტეგრაციას ბიზნეს პროცესებში. იმ პირობებში, როდესაც მომხმარებელთა ცნობიერება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით მუდმივად იზრდება, მწვანე მარკეტინგი ბრენდებისთვის იქცა სავალდებულო სტრატეგიულ მიმართულებად, რაც გავლენას ახდენს როგორც კომპანიის რეპუტაციაზე, ასევე მომხმარებელთა ლოიალობაზე (Ottman, 2011).

1.2. მწვანე მარკეტინგის 4P მოდელი

მწვანე მარკეტინგის სტრატეგია ეფუძნება ტრადიციული მარკეტინგის 4P-ის (Product, Price, Place, Promotion) ეკოლოგიურად ადაპტირებულ ვერსიას. მწვანე მარკეტინგში:

პროდუქტი (Product) უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა, დამზადებული ბუნებრივი მასალებისგან ან ისეთი ტექნოლოგიებით, რომლებიც მინიმალურ ზიანს აყენებენ გარემოს. მწვანე პროდუქტების მაგალითებად შეიძლება დასახელდეს ბიოდეგრადირებადი შეფუთვა, ენერგოეფექტური ტექნოლოგიები და ორგანული საკვები პროდუქტები (Pride & Ferrell, 2016).

ფასი (Price) მწვანე პროდუქტებისთვის ხშირად უფრო მაღალია, ვიდრე ტრადიციული ალტერნატივებისთვის, თუმცა მომხმარებლები, რომლებიც აფასებენ ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას, მზად არიან გადაიხადონ დამატებითი თანხა. Statista-ს (2022) მონაცემებით, ეკოლოგიურად მგრძნობიარე მომხმარებლების 57% მზად არის გადაიხადოს უფრო მაღალი ფასი ეკო-მეგობრული პროდუქციის შეძენისას.

ადგილი (Place) მწვანე მარკეტინგში გულისხმობს პროდუქციის განაწილებას მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, როგორიცაა მოკლე მიწოდების ჯაჭვები, ეკო-მეგობრული ტრანსპორტირება და ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა.

კომუნიკაცია (Promotion) გულისხმობს გამჭვირვალე და სანდო ინფორმაციის მიწოდებას პროდუქტის ეკოლოგიური უპირატესობების შესახებ. მომხმარებელთა ნდობის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია სერტიფიცირების სისტემების გამოყენება, როგორიცაა ISO 14001 ან EU Ecolabel (Ottman, 2011).

მწვანე 4P მიდგომა ხელს უწყობს მომხმარებელთა ნდობის განმტკიცებას და აძლიერებს ბრენდის რეპუტაციას ეკოლოგიურად შეგნებულ ბაზრებზე.

1.3 მწვანე მომხმარებელთა სეგმენტაციის თეორიული მოდელი: PIETE მოდელი

მწვანე მომხმარებელთა სეგმენტაცია წარმოადგენს პროცესს, რომლის მიზანია მომხმარებელთა დაყოფა ჯგუფებად მათი ეკოლოგიური შეხედულებების, ქცევისა და ღირებულებების მიხედვით. სეგმენტაციის სწორად განხორციელება ბრენდებს აძლევს შესაძლებლობას, რომ მიზანმიმართულად შეიმუშავონ კომუნიკაციის სტრატეგიები, რაც თავის მხრივ აძლიერებს მომხმარებელთა ლოიალობას და აუმჯობესებს ბრენდის იმიჯს (Peattie, 2010).

მწვანე მომხმარებელთა კლასიფიკაციის ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გამოყენებულ მოდელს წარმოადგენს პიტის მწვანე სეგმენტაციის მოდელი — PIETE მოდელი (Peattie, 2010). მოდელი აჯგუფებს მომხმარებლებს ხუთ ძირითად სეგმენტად, რომელთაგან თითოეული ასახავს განსხვავებულ ეკოლოგიურ დამოკიდებულებასა და ქცევით პრეფერენციებს.

- **True Greens** — მომხმარებლები, რომლებიც არა მხოლოდ ღირებულებით იზიარებენ ეკოლოგიურ პრინციპებს, არამედ აქტიურად გამოხატავენ ამას თავიანთ ქცევაში. ისინი რეგულარულად ყიდულობენ ეკო-მეგობრულ პროდუქტებს, მონაწილეობენ გარემოსდაცვით აქტივობებში და გამოხატავენ მაღალი დონის გარემოსდაცვით ცნობიერებას.
- **Light Greens** — მომხმარებლები, რომლებიც დადებითად არიან განწყობილნი ეკოლოგიური ღირებულებების მიმართ, თუმცა მათი ქცევა ხშირად არ არის თანმიმდევრული. ისინი ზოგჯერ ყიდულობენ ეკო-მეგობრულ პროდუქტებს ან გამოხატავენ ეკოლოგიურ შეხედულებებს, თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებაში ეკო-აქტივობა ნაკლებად არის ინტეგრირებული.
- **Potential Greens** — მომხმარებლები, რომლებიც იჩენენ ინტერესს ეკოლოგიური საკითხების მიმართ და გამოხატავენ დადებით დამოკიდებულებას გარემოსდაცვით ღირებულებებისადმი, თუმცა ქცევით დონეზე ჯერ კიდევ სუსტი აქტივობით ხასიათდებიან. მათ შორის არის უთანხმოება განზრახვებსა და რეალურ ქმედებებს შორის, რაც მათ გარდაქმნას ეკო-მეგობრულ მომხმარებლებად შესაძლებელს ხდის სწორი კომუნიკაციის მეშვეობით.
- **Indifferent Consumers** — მომხმარებლები, რომლებსაც ეკოლოგიური საკითხები ნაკლებად აღელვებთ. ისინი არჩევანს აკეთებენ ფასისა და კომფორტის მიხედვით და მწვანე მარკეტინგული კომუნიკაცია მათზე სუსტად მოქმედებს.
- **Anti-Greens** — მომხმარებლები, რომლებიც სკეპტიკურად არიან განწყობილნი ეკოლოგიური პრობლემებისა და მწვანე მარკეტინგის მიმართ. მათთვის ეკოლოგიური კომუნიკაცია აღიქმება როგორც კომერციული სტრატეგია და არა როგორც რეალური ღირებულება.

აღნიშნულ კვლევაში მწვანე მომხმარებელთა სეგმენტაციის ანალიზი დაფუძნებულია PIETE მოდელზე, რომელიც მომხმარებელთა კლასიფიკაციის საფუძვლად იყენებს მათ ეკოლოგიურ შეხედულებებს, ქცევას და ღირებულებებს. კვლევის მიზანია საქართველოში მწვანე მომხმარებელთა სეგმენტური განაწილების განსაზღვრა და ამ სეგმენტების კავშირის შესწავლა ბრენდის იმიჯთან და მომხმარებელთა ლოიალობასთან.

2. კვლევის მეთოდოლოგია

2.1 კვლევის დიზაინი

კვლევა დაფუძნებულია რაოდენობრივი კვლევის დიზაინზე, რომლის მიზანია რიცხვობრივი მონაცემების შეგროვება და ჰიპოთეზების ტესტირება მომხმარებელთა ქცევისა და დამოკიდებულებების შესაფასებლად.

კვლევა ჩატარდა 2025 წლის 10-31 მარტის პერიოდში საქართველოს მასშტაბით. კვლევის მიზანი იყო მწვანე მომხმარებელთა სეგმენტური განაწილების განსაზღვრა და მწვანე

მარკეტინგის გავლენის შეფასება ბრენდის იმიჯსა და მომხმარებელთა ლოიალობაზე. მონაცემების შეგროვება განხორციელდა სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით, რომელიც მოიცავდა დახურულ კითხვებსა და 1-დან 5-მდე ბალიანი ლიკერტის სკალების გამოყენებით შეფასების ელემენტებს.

2.2 შერჩევის მეთოდი

კვლევაში გამოყენებულ იქნა არაპრობაბილისტური — ხელმისაწვდომი შერჩევის მეთოდი (Convenience Sampling), რომლის ფარგლებში რესპონდენტები შეირჩნენ მათი ხელმისაწვდომობისა და კვლევაში მონაწილეობის სურვილის მიხედვით. შერჩევა მოიცავდა 300 რესპონდენტს სხვადასხვა ასაკობრივ (18+), სქესობრივ და სოციალურ ჯგუფიდან. აღნიშნული მიდგომა შეირჩა მონაცემების სწრაფი და მრავალფეროვანი შეგროვების უზრუნველსაყოფად.

2.3 მონაცემების შეგროვების პროცედურა

მონაცემების შეგროვება განხორციელდა ონლაინ პლატფორმის (Google Forms) გამოყენებით, რაც უზრუნველყოფდა რესპონდენტების ფართო სპექტრის ჩართვას საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. კითხვარში მითითებული იყო, რომ კვლევა იყო ანონიმური და მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ სამეცნიერო მიზნებისთვის. რესპონდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია კვლევის მიზნებისა და პროცესის შესახებ, ასევე კონფიდენციალურობის დაცვის პირობების შესახებ, რის შემდეგაც ისინი ადასტურებდნენ თანხმობას მონაწილეობაზე. მონაცემების შეგროვება მიმდინარეობდა 2025 წლის 10-31 მარტის პერიოდში.

2.4 მონაცემების ანალიზის მეთოდები

მონაცემების ანალიზი მოიცავდა რამდენიმე ეტაპს:

პირველ ეტაპზე ჩატარდა აღწერითი სტატისტიკა, რომლის მიზანი იყო მწვანე მომხმარებელთა სეგმენტური განაწილების სიხშირეების და საშუალო მაჩვენებლების განსაზღვრა.

მეორე ეტაპზე განხორციელდა კორელაციის ანალიზი, რომლის მიზანი იყო ეკოლოგიური ცნობიერებისა და მომხმარებელთა ლოიალობას შორის წრფივი დამოკიდებულების სიძლიერისა და სტატისტიკური მნიშვნელობის შეფასება. პიარსონის კორელაციის მეთოდი ეფუძნება რაოდენობრივი ცვლადების ურთიერთმიმართების ანალიზს და განისაზღვრება ორი ცვლადის ერთობლივი ვარიაციის შეფასებით, რაც იძლევა საშუალებას, დადგინდეს კავშირის სიძლიერე და მიმართულება.

მესამე ეტაპზე შესრულდა წრფივი რეგრესიის ანალიზი, რომელიც მიზნად ისახავდა მწვანე მარკეტინგული ქცევის გავლენის შეფასებას ბრენდის იმიჯსა და მომხმარებელთა ლოიალობაზე. აღნიშნული სტატისტიკური ანალიზის მეთოდები მიზნად ისახავდა კვლევის ჰიპოთეზების რაოდენობრივ ტესტირებას და კვლევის კითხვებზე ემპირიული პასუხების მიღებას.

3. კვლევის შედეგები

3.1 აღწერითი სტატისტიკა

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 300-მა რესპონდენტმა, რომელთაგან 65% იყო ქალი და 35% - კაცი. რესპონდენტების ასაკობრივი განაწილება შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: 18-24 წლის ასაკის ჯგუფი შეადგენდა 30%-ს, 25-34 წლის - 40%-ს, 35–44 წლის - 20%-ს, ხოლო 45 წლის და მეტი ასაკის - 10%-ს. რაც შეეხება განათლებას, უმრავლესობას (65%) ჰქონდა უმაღლესი განათლება (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა), ხოლო დანარჩენ ნაწილს (35%) - საშუალო ან პროფესიული განათლება.

სეგმენტაციის ანალიზმა, რომელიც დაფუძნებულია PIETE მოდელზე, აჩვენა, რომ საქართველოს ბაზარზე მწვანე მომხმარებლები შემდეგნაირად ნაწილდებიან: ნამდვილი

მწვანეები (True Greens) — 10%, მსუბუქი მწვანეები (Light Greens) — 35%, პოტენციური მწვანეები (Potential Greens) — 30%, გულგრილი მომხმარებლები (Indifferent Consumers) — 20%, მწვანეების წინააღმდეგები (Anti-Greens) — 5%.

დიაგრამა 1. მწვანე მომხმარებელთა სეგმენტური განაწილება საქართველოში (PIETE მოდელი)



აღნიშნული განაწილება მიუთითებს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იზიარებს ეკოლოგიურ ღირებულებებს, თუმცა მათი ყოველდღიური ქცევა ყოველთვის არ შეესაბამება ეკო-მეგობრულ პრინციპებს.

სქესობრივი სეგმენტაციის ანალიზის მიხედვით (იხ. დიაგრამა 2), ქალებში შედარებით მაღალია მსუბუქი მწვანეების (Light Greens) სეგმენტის წილი (38%), რაც მიუთითებს ეკოლოგიური ღირებულებებისადმი უფრო პოზიტიურ დამოკიდებულებაზე, მაშინ როდესაც კაცებში უფრო გამოხატულია გულგრილი მომხმარებლების (Indifferent Consumers) წილი (25%) და შედარებით მეტი წარმომადგენლობაა პოტენციური მწვანეების (Potential Greens) სეგმენტში (32%).

დიაგრამა 2. მწვანე მომხმარებელთა სეგმენტური განაწილება სქესის მიხედვით



ეკოლოგიური ცნობიერების ანალიზმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა 68%-ს გარემოს დაცვა მნიშვნელოვანი საკითხად მიაჩნია (4 ან 5 ბალიანი შეფასება), ხოლო პროდუქტის შეძენისას ეკოლოგიურ ზეგავლენას 60% რეგულარულად ითვალისწინებს. ეკოლოგიურ საკითხებთან ინფორმირებულობის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 3.8 ბალი 5-ბალიან სკალაზე, რაც მიუთითებს ცნობიერების ზრდაზე, თუმცა ინფორმაციულ ხარვეზებზე.

რაც შეეხება ბრენდებისადმი ნდობას და ლოიალობას, რესპონდენტების 72% მზად არის დარჩეს ერთგული იმ ბრენდის, რომელიც იცავს გარემოსდაცვით პრინციპებს, ხოლო 65%-მა აღნიშნა, რომ ეკოლოგიური სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში შეცვლიდა ბრენდს. ასევე, 70%-ზე მეტმა გამოკითხულმა დადებითად შეაფასა მწვანე მარკეტინგის გავლენა მათი ბრენდის არჩევაზე, რაც ხაზს უსვამს მწვანე კომუნიკაციების მნიშვნელობას ქართულ ბაზარზე.

3.2 კორელაციის ანალიზი

კორელაციის ანალიზის ჩასატარებლად ინდივიდების ეკოლოგიური ცნობიერებისა და მწვანე ბრენდებისადმი ლოიალობის დონეები განსაზღვრული იქნა შესაბამის კითხვებზე (ეკოლოგიური ცნობიერება: კითხვები 5–7; ლოიალობა: კითხვები 15–17) მიღებული საშუალო ქულების საფუძველზე. თითოეული რესპონდენტის მონაცემთა ერთეული მოიცავდა ორ რაოდენობრივ მაჩვენებელს: ეკოლოგიური ცნობიერების ქულას (X ღერძზე) და მწვანე ბრენდებისადმი ლოიალობის ქულას (Y ღერძზე). კორელაციურმა ანალიზმა გამოავლინა საშუალო სიმტკიცის დადებითი კავშირი ეკოლოგიურ ცნობიერებასა და მწვანე ბრენდებისადმი ლოიალობას შორის ($r = 0.48$; $p < 0.01$). მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ ეკოლოგიური ცნობიერების მატება დაკავშირებულია მომხმარებელთა ლოიალობის დონის ზრდასთან ეკო-მეგობრულ ბრენდების მიმართ.

დიაგრამა 3. ეკოლოგიური ცნობიერებისა და მომხმარებელთა ლოიალობის კავშირი



დიდიაგრამა 3-ზე წარმოდგენილია თითოეული რესპონდენტის ეკოლოგიური ცნობიერების (X ღერძი) და მწვანე ბრენდებისადმი ლოიალობის (Y ღერძი) ქულები. თითოეული წერტილი ასახავს ერთ ინდივიდუალურ მონაცემთა წყვილს. დიაგრამაზე გამოსახული ტენდენციის ხაზი გამოხატავს დადებით მიმართულებას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეკოლოგიური ცნობიერების ზრდასთან ერთად იზრდება მომხმარებელთა ლოიალობაც.

ვიზუალური ანალიზი ადასტურებს სტატისტიკური ტესტირების შედეგებს და ხაზს უსვამს იმას, რომ ეკოლოგიურ ღირებულებებზე ორიენტირებული ქცევითი მახასიათებლები არსებით როლს ასრულებს ბრენდებისადმი მომხმარებელთა ერთგულების ჩამოყალიბებაში.

3.3 წრფივი რეგრესიის ანალიზი

ეკოლოგიური ცნობიერების გავლენის შესაფასებლად მწვანე ბრენდის იმიჯსა და მომხმარებელთა ლოიალობაზე გამოყენებულ იქნა წრფივი რეგრესიის ანალიზი. დამოუკიდებელ ცვლადად განისაზღვრა ინდივიდის ეკოლოგიური ცნობიერების საშუალო ქულა (კითხვები 5–7), ხოლო დამოკიდებულ ცვლადებად — მწვანე ბრენდის იმიჯის (კითხვები 11–14) და მწვანე ბრენდებისადმი ლოიალობის (კითხვები 15–17) საშუალო ქულები.

წარმოქმნილ მოდელზე ჩატარებულმა დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მოდელი არის სტატისტიკურად სარწმუნო ($F = 15.23$; $p < 0.001$), რაც ადასტურებს რეგრესიის ანალიზის ზოგად ვალიდურობას და მიუთითებს, რომ ეკოლოგიური ცნობიერება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს როგორც მწვანე ბრენდის იმიჯის, ასევე მომხმარებელთა ლოიალობის ვარიაციას.

ცხრილი 1. დისპერსიული ანალიზი - ANOVA ანალიზის შედეგები

კომპონენტი	df	SS	MS	F	Significance F
Regression	1	600.742	600.742	15.23	<0.001
Residual	298	1172.34	3.93	-	-
Total	299	1773.08	-	-	-

მწვანე ბრენდის იმიჯზე განხორციელებულმა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეკოლოგიური ცნობიერება მნიშვნელოვნად და პოზიტიურად არის ასოცირებული მწვანე ბრენდის აღქმულ იმიჯთან ($\beta = 0.5149$; $p < 0.001$), ხოლო განმარტების კოეფიციენტი ($R^2 = 0.298$) მიუთითებს, რომ ეკოლოგიური ცნობიერება მწვანე ბრენდის იმიჯის ვარიაციის დაახლოებით 30%-ს განაპირობებს.

დიაგრამა 4. ეკოლოგიური ცნობიერების გავლენა მწვანე ბრენდის იმიჯზე (Linear Regression Model)



მონაცემთა წერტილები და რეგრესიის ტენდენციური ხაზი ცხადყოფს, რომ ეკოლოგიური ცნობიერების ზრდასთან ერთად იზრდება მწვანე ბრენდის დადებითი აღქმაც. მომხმარებელთა ლოიალობის რეგრესიულმა ანალიზმა ასევე აჩვენა ეკოლოგიური ცნობიერების დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა ($\beta = 0.4013$; $p < 0.001$), ხოლო განმარტების კოეფიციენტი ($R^2 = 0.203$) მიუთითებს, რომ ეკოლოგიური ცნობიერება განაპირობებს მომხმარებელთა ლოიალობის ვარიაციის დაახლოები 20%-ს.

დიაგრამა 5. ეკოლოგიური ცნობიერების გავლენა მწვანე ბრენდისადმი ლოიალობაზე (Linear Regression Model)



ტენდენციის ხაზი აჩვენებს, რომ ეკოლოგიური ღირებულებების მნიშვნელობის ზრდასთან ერთად მომხმარებელთა ერთგულებაც მატულობს.

ცხრილი 2. რეგრესიის მოდელის შედეგები

დამოკიდებული ცვლადი	β	R^2	p-value
ბრენდის იმიჯი	0.5149	0.298	<0.001
მომხმარებელთა ლოიალობა	0.4013	0.203	<0.001

ცხრილში 2 წარმოდგენილი რეგრესიის მოდელის შედეგები ცხადყოფს, რომ ეკოლოგიური ცნობიერება წარმოადგენს მნიშვნელოვნად დადებით განმსაზღვრელ ფაქტორს როგორც მწვანე ბრენდის იმიჯისთვის, ასევე მომხმარებელთა ლოიალობისთვის. ეკოლოგიური ცნობიერების გავლენა ბრენდის იმიჯზე ($\beta = 0.5149$; $R^2 = 0.298$) უფრო ძლიერია, ვიდრე მომხმარებელთა ლოიალობაზე ($\beta = 0.4013$; $R^2 = 0.203$). ეს შედეგები ხაზს უსვამს გარემოსდაცვითი ღირებულებების კომუნიკაციის მნიშვნელობას ბრენდის რეპუტაციისა და მომხმარებელთა გრძელვადიანი ერთგულების განმტკიცების პროცესში.

4. დასკვნა

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მწვანე მომხმარებელთა სეგმენტური განაწილების განსაზღვრა და მწვანე მარკეტინგის გავლენის შეფასება ბრენდის იმიჯსა და მომხმარებელთა ლოიალობაზე. კვლევა ეფუძნებოდა PIETE მოდელს და რაოდენობრივ მონაცემებს, რომლებიც მიღებული იყო 300 რესპონდენტისგან.

მწვანე მომხმარებელთა სეგმენტაციამ აჩვენა, რომ ბაზარზე დომინირებენ მსუბუქი მწვანეები (Light Greens, 35%) და პოტენციური მწვანეები (Potential Greens, 30%), რაც მიუთითებს ეკოლოგიური ღირებულებების პოზიტიურ აღქმაზე, თუმცა არასრულად ჩამოყალიბებულ ეკოლოგიურ ქცევაზე.

კორელაციის ანალიზმა ($r = 0.48$; $p < 0.01$) და წრფივმა რეგრესიულმა მოდელებმა დაადასტურა, რომ ეკოლოგიური ცნობიერება პოზიტიურად არის ასოცირებული როგორც მწვანე

ბრენდის იმიჯთან (β = 0.5149; R^2 = 0.298), ასევე მომხმარებელთა ლოიალობასთან (β = 0.4013; R^2 = 0.203).

ჰიპოთეზების გადამოწმებამ აჩვენა შემდეგი შედეგები:

- **H1** (მწვანე მარკეტინგი დადებითად მოქმედებს მომხმარებელთა ლოიალობაზე) — **დადასტურდა**.
- **H2** (მწვანე კომუნიკაცია აუმჯობესებს ბრენდის იმიჯს) — **დადასტურდა**.
- **H3** (მომხმარებელთა უმრავლესობა მიეკუთვნება Light Greens ან Potential Greens სეგმენტებს) — **დადასტურდა**.

კვლევის ძირითადი დასკვნა არის ის, რომ მწვანე მარკეტინგი ქართულ ბაზარზე უკვე მნიშვნელოვანი ფაქტორია ბრენდის რეპუტაციისა და მომხმარებელთა ერთგულების ჩამოყალიბებაში. მიუხედავად ამისა, საჭიროა ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და მწვანე კომუნიკაციების გაძლიერება, რათა მოხდეს პოტენციური მწვანე მომხმარებლების სრული მობილიზება.

ბიბლიოგრაფია

1. Belz, F. M., & Peattie, K. (2009). Sustainability Marketing: A Global Perspective. John Wiley & Sons.
2. Bhattacharya, C. B., & Sen, S. (2004). Doing better at doing good: When, why, and how consumers respond to corporate social initiatives. California Management Review, 47(1), 9–24.
3. Bickart, B., & Ruth, J. A. (2012). Green eco-seals and advertising persuasion. Journal of Advertising, 41(4), 51–67.
4. Biswas, A., & Roy, M. (2015). Green products: An exploratory study on the consumer behaviour in emerging economies of the East. Journal of Cleaner Production, 87, 463–468.
5. Carrington, M. J., Neville, B. A., & Whitwell, G. J. (2010). Why ethical consumers don't walk their talk: Towards a framework for understanding the gap between the ethical purchase intentions and actual buying behaviour of ethically minded consumers. Journal of Business Ethics, 97(1), 139–158.
6. Chan, R. Y. (2001). Determinants of Chinese consumers' green purchase behavior. Psychology & Marketing, 18(4), 389–413.
7. Chatterjee, P. (2009). Green brand extension strategy and online communities. Journal of Systems and Information Technology, 11(4), 367–384.
8. Dangelico, R. M., & Vocalelli, D. (2017). Green Marketing: An analysis of definitions, strategy steps, and tools through a systematic review of the literature. Journal of Cleaner Production, 165, 1263–1279.
9. De Angelis, M., Adıgüzel, F., & Amatulli, C. (2017). The role of design similarity in recycling: A strategy to improve sustainable behavior. Journal of Business Research, 80, 150–158.
10. Delmas, M. A., & Burbano, V. C. (2011). The drivers of greenwashing. California Management Review, 54(1), 64–87.
11. Ginsberg, J. M., & Bloom, P. N. (2004). Choosing the right green marketing strategy. MIT Sloan Management Review, 46(1), 79–84.
12. Gleim, M. R., Smith, J. S., Andrews, D., & Cronin, J. J. (2013). Against the green: A multi-method examination of the barriers to green consumption. Journal of Retailing, 89(1), 44–61.

13. Grankvist, G., & Biel, A. (2007). Predictors of purchase of eco-labeled food products: A panel study. Food Quality and Preference, 18(4), 701–708.

14. Hartmann, P., Ibáñez, V. A., & Sainz, F. J. F. (2005). Green branding effects on attitude: Functional versus emotional positioning strategies. Marketing Intelligence & Planning, 23(1), 9–29.

15. Haws, K. L., Winterich, K. P., & Naylor, R. W. (2014). Seeing the world through GREEN-tinted glasses: Green consumption values and responses to environmentally friendly products. Journal of Consumer Psychology, 24(3), 336–354.

16. Hult, G. T. M. (2011). Toward a theory of the boundary-spanning marketing organization and insights from 31 organization theories. Journal of the Academy of Marketing Science, 39(4), 509–536.

17. Kotler, P., & Keller, K. L. (2016). Marketing Management (15th ed.). Pearson Education.

18. Kumar, P. (2016). State of green marketing research over 25 years (1990–2014): Literature survey and classification. Marketing Intelligence & Planning, 34(1), 137–158.

19. Laroche, M., Bergeron, J., & Barbaro-Forleo, G. (2001). Targeting consumers who are willing to pay more for environmentally friendly products. Journal of Consumer Marketing, 18(6), 503–520.

20. Lee, K. (2008). Opportunities for green marketing: Young consumers. Marketing Intelligence & Planning, 26(6), 573–586.

21. Mohr, L. A., & Webb, D. J. (2005). The effects of corporate social responsibility and price on consumer responses. Journal of Consumer Affairs, 39(1), 121–147.

22. Nielsen. (2015). The Sustainability Imperative: New Insights on Consumer Expectations. Nielsen Global Report.

23. Olson, E. L. (2013). It's not easy being green: The effects of attribute tradeoffs on green product preference and choice. Journal of the Academy of Marketing Science, 41(2), 171–184.

24. Papista, E., & Krystallis, A. (2013). Investigating the types of eco-conscious consumers: A combination of values and ecological lifestyle. Journal of Consumer Behaviour, 12(2), 110–122.

25. Park, H., & Kim, Y. (2016). An empirical test of the triple bottom line of customer-centric sustainability: The moderating role of consumer demographics. International Journal of Hospitality Management, 53, 25–35.

26. Peattie, K. (1995). Environmental Marketing Management: Meeting the Green Challenge. Financial Times Management.

27. Pickett-Baker, J., & Ozaki, R. (2008). Pro-environmental products: Marketing influence on consumer purchase decision. Journal of Consumer Marketing, 25(5), 281–293.

28. Pride, W. M., & Ferrell, O. C. (2016). Marketing (18th ed.). Cengage Learning.

29. Rahbar, E., & Wahid, N. A. (2011). Investigation of green marketing tools' effect on consumers' purchase behavior. Business Strategy Series, 12(2), 73–83.

30. Rex, E., & Baumann, H. (2007). Beyond ecolabels: What green marketing can learn from conventional marketing. Journal of Cleaner Production, 15(6), 567–576.

31. Solomon, M. R. (2018). Consumer Behavior: Buying, Having, and Being (12th ed.). Pearson Education.

32. Statista. (2022). Consumer willingness to pay for environmentally friendly products worldwide. Statista Research Department.

33. Suki, N. M. (2016). Consumer environmental concern and green product purchase in Malaysia: Structural effects of consumption values. Journal of Cleaner Production, 132, 204–214.

34. Vermeir, I., & Verbeke, W. (2006). Sustainable food consumption: Exploring the consumer attitude–behavior gap. Journal of Agricultural and Environmental Ethics, 19(2), 169–194.

35. White, K., MacDonnell, R., & Dahl, D. W. (2011). It's the mind-set that matters: The role of construal level and message framing in influencing consumer efficacy and conservation behaviors. Journal of Marketing Research, 48(3), 472–485.

36. Zinkhan, G. M., & Carlson, L. (1995). Green advertising and the reluctant consumer. Journal of Advertising, 24(2), 1–6.

მონაცემებზე დაყრდნობილი პროდუქტის მენეჯმენტი
Data driven Product management

არჩილ საფარიძე
ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი
Archil Saparidze
MBA

აბსტრაქტი. ციფრული პროდუქტის მართვაში ყველაზე რთული მომხმარებლების პრობლემის დადგენაა, შემდეგ კი ამ პრობლემის საუკეთესო გადაჭრის გზების მოფიქრება და ციფრულ პროდუქტში იმპლემენტაცია. ამ ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს რა გზები არსებობს მომხმარებელთა პრობლემების დასადგენად და როგორ შეიძლება პროდუქტის მენეჯერმა გამოიყენოს მონაცემები (Data) რათა ზუსტად ისეთი პროდუქტი შექმნას მომხმარებლისთვის რომელიც 1) გადაჭრის მომხმარებლის პრობლემას; 2) იქნება მარტივად მოსახმარი; 3) შექმნის გამოცდილებას რომელიც მომხმარებელს ამ პროდუქტის მიმართ ლოიალურს გახდის.

საკვანძო სიტყვები: Data Driven, ციფრული პროდუქტების მართვა, კანოს მოდელი.

Abstract: In digital product management, the most challenging task is identifying the customer's true problem, followed by finding the best possible solutions and implementing them into a digital product. This paper aims to explore the various approaches for uncovering user problems and how a product manager can effectively leverage data to create products that: (1) solve real user problems, (2) are easy to use, and (3) provide an experience that fosters customer loyalty.

Keywords: Data-driven, digital product management, Kano model.

ადრეული 1900იანი წლებიდან ახალი პროდუქტები იქმნებოდა ნიჭიერი გამომგონებლების მიერ, რომლებიც მუშაობდნენ დაუმუშავებელი ინსტრუმენტებით, თუმცა იყვნენ „კრეატიული გენიოსები საკმარისი მონდომებით და ხედვით“ ახალი პროდუქტების შესაქმნელად მოუხედავად უზარმაზარი სირთულეებისა (Niehaus, Elisabeth, Klaus Pohl, and Günter Böckle. 2005. 4-5).

წლიდან წლამდე პროდუქტების მენეჯმენტის როლი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება გლობალურ ჰიპერკონკურენტულ ვებ-ბაზარზე, რომელიც არასდროს ყოფილა ისეთი ერთიანი როგორიც დღეს არის. ფაქტობრივად ყოველდღიურად გვეძლევა საშუალება ვიხილოთ ათასობით ახალი პროდუქტის გამოჩენა და ასევე ათასობით პროდუქტის გაქრობა ამ ერთიანების და ნულების უსაზღვრო სამყაროში.

ყველა ციფრული პროდუქტის უკან დგას ერთი ადამიანი - პროდუქტის მენეჯერი (შეიძლება შეგვხვდეს სხვა დასახელებითაც, მაგალითად: პროდუქტის მფლობელი/owner, CPO და ა.შ). მისი პირდაპირი მოვალეობაა პროდუქტის მომხმარებლამდე მიტანა ისე რომ მომხმარებელმა მისი პრობლემა, რისი გადაჭრის გზების ძიების დროსაც ამ პროდუქტს წააწყდა, სრულად მოგვარებულად ჩათვალოს.

ახალი პროდუქტების გამოჩენასთან ერთად, იზრდება მომხარებლების გემოვნებებიც, იზრდება მათი მოთხოვნები და თუ ადრე რაღაც პრობლემა ადრე უმნიშვნელოდ ითვლებოდა ან ტექნოლოგიურად მიუღწევადი და საეცნიერო ფანტასტიკის დონემდე ადიოდა, ახლა უკვე მოლაპარაკების მაგიდაზე დევს და მისი მოგვარება პროდუქტის მენეჯერისთვის უფრო პრიორიტეტული ხდება, შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ რომ გამოწვევები რომლებიც საუკეთესო პროდუქტის მენეჯერებისთვისაც კი ხშირად რთული და გადაუჭრელი შეიძლება აღმოჩნდეს, ყოველდღიურად იზრდება და შესაბამისად უფრო კომპლექსურს ხდის პროდუქტის მართვის პროცესს.

პროდუქტის მენეჯმენტი შეგვიძლია ვთქვათ რომ ერთ-ერთი უძველესი, ბარტერის დროინდელი პროფესიაა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს მას ასე არ ერქვა, ადამიანები ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი პროდუქტები, რითაც სხვა ადამიანების პრობლემებს გადაჭრიდნენ იმდენად, რამდენადაც იმ ადამიანებისგან სამაგიეროდ მიღებული პროდუქტები გადაჭრიდნენ მათ პრობლემებს. პროდუქტის მენეჯერის როლი, როგორც ასეთი, საკმაოდ დიდი ხანია არსებობს მსოფლიო პრაქტიკაში და ის ციფრული პროდუქტების გამოჩენამდეც გამოიყენებოდა ყოველდღიური ფიზიკური პროდუქტების მწარმოებელი კომპანიების მიერ. ასეთი პროდუქტის მენეჯერის მოვალეობები იყო თითქმის იდენტური და გამოწვევებიც ასევე მზარდი იყო, თუმცა ადამიანების ცხოვრებაში ინტერნეტის და ციფრული რეალობის გამოჩენამ ამ პროცესში მნიშვნელოვანი კატალიზატორის როლი ითამაშა. დღეს უკვე რამდენიმე საათშია შესაძლებელი ახალი პროდუქტის იდეის მოფიქრება, დიზაინი და გამოშვება. ძველი თაობის პროდუქტის მენეჯერებისთვის ეს შეიძლება ზედმეტად მცირე დრო იყოს.

აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესის გათვალისწინება. ციფრული პროდუქტების შემთხვევაში გადაწყვეტილებები უფრო გართულდა ხოლო მათი რაოდენობა გაცილებით მეტი გახდა. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მეტი კომპლექსური გადაწყვეტილების მიღება გახდა ადამიანზე დამოკიდებული, მის ლოგიკაზე, გამოცდილებაზე, ემოციაზე და ხშირ შემთხვევაში ინტუიციაზე - სუფთა რაციონალური გადაწყვეტილების მიღება გაცილებით რთული გახდა (Gressel, Simone. 2020. 78-79).

ციფრული პროდუქტი, თავისი არსით, ხშირ შემთხვევებში იძლევა უფრო მეტ მოქნილობას და მომავალში ნაკლები შეცდომის დაშვების შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ ამ პროდუქტის სწორად განვითარებაში აისახება.

ციფრული პროდუქტის მენეჯმენტით პროდუქტის სიცოცხლის სრული ციკლი იფარება - სტრატეგიის განსაზღვრიდან პროდუქტის უშუალო მომხმარებელთან მიტანამდე. როგორც გრაფიკზეა მოცემული, პროდუქტის სიცოცხლის ციკლი რამდენიმე მცირე ეტაპისგან შედგება. (Ebert, Christof. 2014. 852)



გრაფიკი 1 - ციფრული პროდუქტის სიცოცხლის ციკლი

მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ისეთი ციფრული პროდუქტებიც, რომლებიც დაკავშირებულია Hardware პროდუქტებთან. მაგალითად, ჯერ კიდევ Windows 10-ის გამოსვლამდე, ამ პროდუქტის ლიცენზირებული ოპერაციული სისტემის ჩასაწერად მომხმარებელს დისკი ესაჭიროებოდა, რაც კომპანია მაიკროსოფტის მხრიდან პროდუქტის მართვის ციკლში ფიზიკური პროდუქტის მართვის შერევას გულისხმობდა. ინტერნეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოჩენამდე ციფრული პროდუქტების მართვის სწორედ ასეთი მიდგომები იყო გავრცელებული. პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები და შესაბამისად მისი განახლებები მეხსიერების მატარებელ მოწყობილობებზე ჩაწერას გულისხმობდა, შესაბამისად რთულდებოდა ამ პროდუქტების გაშვების შემდგომ წარმოქმნილი ხარვეზების დროული აღმოფხვრა. მეტიც, ხშირად ეს შეუძლებელიც შეიძლება ყოფილიყო.

სწორედ ამ პრობლემის წინაშე დადგნენ კომპანიები Netscape და Yahoo!. მათი პროდუქტების მენეჯერებს უწევდათ პროექტის მენეჯერობის შეთავსებაც, რადგან პროდუქტი, რომელიც მათ უნდა გამოეშვათ, მიუხედავად იმისა რომ ციფრული იყო, უნდა ყოფილიყო მაქსიმალურად ახლოს სრულყოფილთან (Cagan, Marty. 2008. 27-28). ამის გამო კი პროდუქტი დეველოპმენტის მოქნილობას კარგავდა.

თუმცა 1996 წლიდან, როცა ინტერნეტი შემოვიდა ჩვეულებრივი მომხმარებლების ცხოვრებაში, უკვე მარტივი გახდა მათთვის ციფრული პროდუქტების განახლებების და ახალი ვერსიების ამ ვების მიწოდება. შესაბამისად ამ პერიოდშივე მოხდა პროდუქტის და პროექტის მენეჯერის როლების საბოლოო გამიჯვნა (Cagan, Marty. 2008. 27-28). აქედანვე წარმოიშვა უკვე გამოშვებული პროდუქტების უწყვეტი ფუნქციონალური განახლებების საჭიროება, შესაბამისად სულ უფრო აქტუალური გახდა გამოშვებული პროდუქტის მიმდინარე ანალიზი რათა მომხმარებლებამდე სწორედ ის განახლებები მისულიყო რომელიც მათ ყველაზე მეტად ესაჭიროებოდათ - რომელიც ყველაზე ეფექტურად გადაჭრიდა მათ პრობლემებს. ციფრული პროდუქტი, ისე როგორც ნებისმიერი სახის პროდუქტი, აგებულია მომხმარებლის პრობლემის გადასაჭრელად. ისინი თავიანთ სურვილებს პროდუქტების მიმართ სწორედ პრობლემებზე ამყარებენ. პროდუქტის მენეჯერმა მომხმარებლების პრობლემების დასადგენად, მათი სურვილები, პრობლემები და საჭიროებები უნდა გაიგოს. ამისათვის მან შეიძლება სხვადასხვა მოდელი გამოიყენოს, რომელთა შედეგები შეიძლება მონაცემებში (Data) გადათარგმნოს, საიდანაც სწორი გადაწყვეტილებების მიღებას შეძლებს.

ერთ-ერთი ასეთი მოდელია, „კანოს მოდელი“. მისი დახმარებით პროდუქტის მენეჯერმა შეიძლება უპასუხოს ისეთ კითხვებს როგორებიცაა: „რა სერვისების გამოყენება შეიძლება მომხმარებლის საჭიროებების უმაღლეს დონეზე დასაკმაყოფილებლად?“ ან „რომელFeature-ებს აქვთ უფრო მეტი გავლენა მომხმარებლების კმაყოფილებაზე?“. ამ კითხვებზე საუბრობენ ამ საკითხის მკვლევარები თავიანთ ნაშრომში კანოს მოდელთან დაკავშირებით. (Sauerwein, Elmar, Franz Bailom, Kurt Matzler, and Hans H Hinterhuber. 1996. 1-2)

ავტორები აღიარებენ მომხმარებლების კმაყოფილების და მოთხოვნილებების რიგ შემთხვევებში შეუსაბამობას, თუმცა კანოს მოდელის გრაფიკული გამოსახულების აგებით, შესანიშნავად ახერხებენ ამ ზღვარის გავლებას.



გრაფიკი 2 - კანოს მოდელი.

კანოს მოდელის შედარებით განსხვავებულ გამოყენების გზები გამოჩნდა შედარებით მოგვიანებით, როცა მასში დაიწყო მომხმარებლების საჭიროებების და დაუფიქსირებელი სურვილების ინტეგრაცია. (Matzler, Kurt, and Hans H Hinterhuber. 1998. 25-38)მომხმარებლების მოთხოვნილებების და საჭიროებების დადგენა შეუძლებელია მათზე (და მათ ქცევებზე) ზუსტი მონაცემების ქონის გარეშე. მომხმარებლის ინტერნეტ აქტივობაზე თვალის მიდევნების შედეგად მიღებული ინფორმაცია უნიკალური და ფასდაუდებელია. ნებისმიერი ინტერნეტ ტრანზაქცია, კლიკი საყვარელ ვებსაიტზე, სასურველი ნივთის მოძიება და რაც ყველაზე მთავარია, სოციალური მედია პროვაიდერი მონაცემების უშრეტი წყაროა. სწორედ აქედან მოდის ინფორმაციის მასიური მოცულობა, რომლის ანალიზის შედეგადაც ხდება შემდეგ გადაწყვეტილებების მიღება პროდუქტის განვითარებაზე და მომხმარებლებთან კომუნიკაცია.

მაგალითად, ფორმულა 1-ის ავტომობილი საშუალოდ 20 GB ინფორმაციას აგენერირებს მანქანაზე დამონტაჟებული სენსორების მიხედვით. დაკვირვება არამხოლოდ მანქანის ტექნიკურ მხარეზე ხდება, არამედ მის მძღოლზეც, როგორი იყო მისი რეაქცია რბოლის სხვადასხვა მომენტში, რა შედეგებს იძლევა გუნდის კომუნიკაცია მძღოლთან ან რამ შეიძლება გამოიწვიოს Pit-stop-ებზე დაგვიანება. (Munford, M. 2014)

მნიშვნელოვანია შეგვეძლოს Big Data-ს სწორი ანალიზი. კლასიკური ერთის მხრივ ისეთი სტატისტიკური ანალიზის მოდელები, როგორიცაა P ტესტი ან კორელაცია შეიძლება არ იყოს საკმარისი ასეთი მასიური ინფორმაციის დასამუშავებლად, სადაც თითოეული მონაცემი

აღსანიშნავი და კარგად გამოსაკვლევი ობიექტი შეიძლება იყოს. თუმცა მეორე მხრივ, ზოგადი ტრენდების დასადგენად გავლებული რეგრესიის მოდელები შეიძლება გამოსადეგ ინსტრუმენტად იქცეს (George, Gerard, Martine R. Haas, and Alex Pentland. 2014. 6-7).

მონაცემთა ზოგადი პატერნების და ტრენდების დასანახად საუკეთესო იარაღია მონაცემთა ვიზუალიზაციის ტექნიკების გამოყენება. ჯერ კიდევ უძველესი ეპოქებიდან ჩანს ადამიანის გონების ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ვიზუალიზაციაზე. ნადირობის სტრატეგიების გამოსახვა გამოქვაბულის კედლებზე ან მოკლული და შენახული ცხოველების რაოდენობის სტატისტიკის წარმოება. ძველ ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობებიც არსებით სახელებს ასახავს ნაცვლად ჟღერადობისა (Costa, Carlos J. 2014.1-2)

მონაცემთა ვიზუალიზაციის თანამედროვე ინსტრუმენტები საშუალებას იძლევიან სწორ კალაპოტში მოვაქციოთ მონაცემები. მონაცემთა მეცნიერების მიერ ხდება მათი გაწმენდა, დალაგება და დაჯგუფება. ბოლოს კი, ეს მონაცემები ნაწილდება დეშბორდებზე, სადაც ასევე დატანილია სხვადასხვა ტიპის ინდიკატორები, რომელთა ვიზუალურად გადალახვის შემთხვევაში მის მომხმარებელს, შეუძლია მარტივი დასკვნების გაკეთება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ამრიგად, დეშბორდები არის გზა, რათა მოხდეს მაჩვენებლებზე დაკვირვება ცენტრალიზებული ვიზუალური სტრუქტურის მეშვეობით (Rogers, Patricia J. 2007.19-20).

ლიტერატურის სია

1. Lin, Chen. 2018. Data Driven Product Management. *IEEE Engineering Management Review* 46 (1): 16–18. https://doi.org/10.1109/EMR.2018.2810099.

2. Ebert, Christof. 2014. Software Product Management. *IEEE Software* 31 (3): 21–24. https://doi.org/10.1109/MS.2014.72.

3. Gressel, Simone, Pauleen David და Taskin Nazin. 2020. *Management Decision-Making, Big Data and Analytics*. SAGE Publications Ltd. https://uk.sagepub.com/en-gb/eur/management-decision-making-big-data-and-analytics/book268612#description.

4. Cagan, Marty. 2008. *Inspired: How To Create Products Customers Love*. 1st ed. Vol. 7. SVPG Press.

5. Kirk, Andy. 2019. *Data Visualisation*. 2nd ed. London: SAGE Publications Ltd. https://uk.sagepub.com/en-gb/eur/data-visualisation/book266150.

6. Niehaus, Elisabeth, Klaus Pohl, and Günter Böckle. 2005. Product Management. *Software Product Line Engineering: Foundations, Principles, and Techniques*, 163–92. https://doi.org/10.1007/3-540-28901-1_9.

7. Sauerwein, Elmar, Franz Bailom, Kurt Matzler, and Hans H Hinterhuber. 1996. Tha Kano Model: How to Delight Your Costumers. *International Working Seminar on Production Economics*.

8. Matzler, Kurt, and Hans H Hinterhuber. 1998. How to Make Product Development Projects More Successful by Integrating Kano's Model of Customer... *Technovation*.

9. Munford, M. 2014. Rule changes and big data revolutionise Caterham F1 chances. *The Telegraph*, Technology Section, 23 February 2014.

10. George, Gerard, Martine R. Haas, and Alex Pentland. 2014. "From the Editors: Big Data and Management." *Academy of Management Journal* 57 (2): 321–26. https://doi.org/10.5465/amj.2014.4002.

11. Costa, Carlos J. 2014. “Data Visualization,” no. November. https://doi.org/10.1145/2721882.2721883.

12. Rogers, Patricia J. 2007. “Theory-Based Evaluation: Reflections Ten Years On,” no. 114: 63–81. https://doi.org/10.1002/ev.

ქართული ღვინის ექსპორტის თანამედროვე მდგომარეობა და შეფასება
Current status and assessment of Georgian wine exports

ლაშა ხაზარაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორანტი
Lasha Khazaradze
Georgian Technical University
Doctorate

აბსტრაქტი. სტატიაში აღნიშნულია, რომ ქართული ღვინის ინდუსტრია საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია. იგი სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს წარმაოდგენს და ამასთან ერთად მისი საშუალებით მუშაობს ბევრი სხვა ინდუსტრია, როგორებიცაა: აგროტურიზმი, მინის ნაკეთობების წარმოება, მუხის მასალების წარმოება, თიხის ამ განხრით არსებული საინჟინრო სექტორი, ნაწილობრივ ჰორეკა სექტორი და სხვა. გარდა ამისა ქართულ ღვინოს ძალიან დიდი კულტურული და ისტორიული ღირებულება აქვს, რაც ერთისმხრივ ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათიც კი გახდა.

ასევე მოცემულია, რომ ქართული ღვინის ინდუსტრია განვითარების მაღალ დონეზეა წარმოების მხრივ, მაგრამ ამ სექტორში ბევრია გასაკეთებელი საერთაშორისო ცნობადობის ამაღლების მხრივ. საქართველოში ღვინის საზღვარგარეთ გატანა პრიორიტეტული საქმიანობაა, ვინაიდან ყურძნისაგან წარმოებული ნატურალური ღვინოების ექსპორტი საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის პირველ სამეულშია. ეს მონაცემი კი უფრო შთამბეჭდავია, თუ ღვინის ექსპორტს ღვინის ინდუსტრიის ფარგლებშივე წარმოებულ სხვადასხვა მაღალალკოჰოლური სასმელების ექსპორტსაც მივაწერთ. ბოლო 6 წლის განმავლობაში ღვინის ინდუსტრიამ მრავალი ცვლილება განიცადა, რაც ძირითადად გარემო ფაქტორების მიერ იყო განპირობებული. სირთულეები დაძლეული იქნა იმით, რომ ბოლო წლებში, 2020 წლის გარდა, ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა და ღირებულება სტაბილურად იზრდებოდა. თუმცა ამ ყველაფერმა მოიტანა ის, რომ 2019 წლის შემდგომ ერთი ლიტრი ქართული ღვინის ფასი საერთაშორისო ბაზარზე საგრძნობლად შემცირდა. ამასთანავე გაიზარდა ექსპორტის წილი წამროებულ პროდუქტთან შედარებთ და განხორციელდა ბაზრების მეტ-ნაკლებად დივერსიფიკაცია. ბოლო წლებშიც რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, ჩინეთი და ყაზახეთი ქართული ღვინის ყველაზე დიდ იმპორტიორებად გვევლინებიან, თუმცა ევროპისა და აშშ-ის ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია ახალ დონეზე ავიდა და ამ ქვეყნებში ქართული ღვინის ექსპორტი დიდად არის გაზრდილი.

საკვანძო სიტყვები: ექსპორტი, ადგილობრივი ექსპორტი, ეკონომიკური მდგრადობა, ღვინის ინდუსტრია.

Abstract. This article reviews Georgian wine industry, which is one of the most important sectors in Georgian economy. Wine industry is a leading field in Georgian agriculture upon which many other industries are dependent on, such as: agritourism, glass production, oak material production, engineering oriented on winemaking and

viticulture, partially HORECA sector and many more. Additionally, Georgian wine has great historical and cultural value, which caused for Georgian wine to become visiting card for foreigners.

This article also reviews the level which Georgian wine industry has reached and what can be done to improve international recognition of this product. Exporting wine from Georgia is a priority, since the wine export is one of the three leading exporting products from Georgia. The numbers which wine export showcases would be even more impressive if we included export of high alcoholic drinks produced within the wine industry. During the last 6 years, Georgian wine industry experienced many radical changes caused by economical environment. These challenges were overcome, except 2020, due to the fact that the quantity and value of the exported wines has had a stable increase. Despite that, these difficulties caused reduction in value of one unit of Georgian wine on foreign markets after 2019. It is also mentioned that share of exports from overall produced products in Georgia has also increased and markets have been diversified during last few years as well. During last years Russia was leading importer of Georgian wines, followed by Ukraine, Poland, China and Kazakhstan. Popularity of the Georgian wine has reached new heights in European and US markets also, thus increasing exporting rate to these countries.

Keywords: Export, Local export, Economical sustainability, Wine industry.

შესავალი

ღვინის ინდუსტრიას მსოფლიო ეკონომიკაში განსაკუთრებული როლი უჭირავს. ეს არის დარგი, რომელიც ფინანსურ სარგებლიანობასთან ერთად კულტურულ და სოციალურ მნიშვნელობასაც ატარებს. ეს ინდუსტრია ერთმანეთში აერთიანებს აგრონომიულ ოსტატობასა და კვების ტექნოლოგიის ხელოვნებას, რის შედეგადაც უნიკალური ალკოჰოლური სასმელი იქმნება. ღვინო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იწარმოება. ინდუსტრიის წამყვან ქვეყნებად კი ევროპის ქვეყნები: ესპანეთი, საფრანგეთი და იტალია გვევლინებიან. თუმცა ბოლო რამდენიმე ათწლეულია ღვინის ინდუსტრია სწრაფად გაიზარდა ე.წ ახალი სამყაროს ქვეყნებში, რომელთა ჩამონათვალსაც მიეკუთვნებიან: ავსტრალია, არგენტინა, ახალი ზელანდია, ჩილე, აშშ და სხვა. თითოეული ქვეყნის ღვინო უნიკალურია ვენახის ტერუარით, ტექნოლოგიური მიდგომებითა და ამ ორივეს შედეგად შექმნილი ღვინის ორგანოლეპტიკური მახასიათებლებით. მსოფლიოში ღვინის პოპულარიზაცია ქვეყანაში წარმოებული პროდუქტის ექსპორტის შედეგად დაიწყო და დღესაც ამ სახით გრძელდება. ექსპორტი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესია, რომელიც ქვეყნის ადგილობრივად წარმოებული პროდუქტის საზღვრებს გარეთ გატანასა და რეალიზაციას გულისხმობს. ექსპორტის შედეგად მყარდება ეკონომიკური ურთიერთობები, იზრდება ქვეყნის ცნობადობა და რაც მთავარია იზრდება მწარმოებლის შემოსავალი. ექსპორტი მწარმოებლებს აძლევს საშუალებას გაზარდონ პოტენციური მომხმარებლების რიცხვი და საკუთარი პროდუქცია მსოფლიო მასშტაბით ცნობადი გახადონ. აქედან გამომდიანრე ქვეყეანაში წარმოებული პროდუქტების საზღვრებს გარეთ გატანა მნშივნელოვანი ეკონომიკური ინდიკატორია იმისა, თუ რამდენად პროდუქტიულად ფუნქციონირებს ინდუსტრია, ამის საფუძველზე უნდა შეფასდეს მისი პოტენციალი და შედეგად განვითარდეს მეღვინეობის სექტორი.

საქართველოში ბოთლის ღვინის წარმოება ბოლო რამდენიმე წელია ახალ ეტაპზე გადავიდა. ადგილობრივი ღვინის ინდუსტრია ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება, რაც კარგად ჩანს მის მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაციში. ქართული ღვინის საერთაშორისო ასპარეზზე საფუძვლიანად გამოჩენის შემდეგ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა აღიარეს ქართული ღვინის უნიკალურობა, მისი ხარისხი და მნიშვნელობა მსოფლიო ინდუსტრიისთვის. რამდენადაც დღეს ქართული ღვინის ინდუსტრია ასეთი რეალობის წინაშე დგას, მნიშვნელოვანია გარემოებები არსებული ფაქტობრივი მონაცემებით შეფასდეს და გაკეთდეს ქართული ღვინის ექსპორტის ეკონომიკური ანალიზი, რათა შესაძლებელი გახდეს ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის შეფასება.

შინაარსი

„ღვინის სამშობლო“ - დღეს უკვე ასე მოიხსენიებენ საქართველოს მსოფლიოში. სხვადასხვა არქეოლოგიური, ბიოლოგიური და არქეობოტანიკური ნიმუშების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ღვინო პირველად საქართველოში დამზადდა. ღვინის წარმოების ტრადიცია კი უკვე 8000 წელს ითვლის. ამ ფაქტმა განსხვავებული ინტერესი გააჩინა საქართველოს მიმართ, რამაც ქართული ღვინის ინდუსტრიის წინსვლას შეუწყო ხელი. საქართველოში ღვინის წარმოება წლიდან წლამდე იზრდება, თუ არ ჩავთვლით 2019-2021 წლებში Covid-19-ის მიერ განპირობებულ უკუსვლას[336]. აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართული ღვინის ხარისხი დროთა განმავლობაში უმჯობესდება. ეს ფაქტორი მრავალი მიზეზით არის განპირობებული. პირველ რიგში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვამ განაპირობა ის, რომ მწარმოებელბს შეუძლიათ ევროპული ხარისხის დანადგარების გამოყენებით შექმნან მაღალი ხარისხის პროდუქტი. მეორეს მხრივ კი საწარმოებში დასაქმდნენ მაღალი ევროპული დონის განათლებისა და დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალები, რომლებსაც მანამდე წარმოებული ღვინის გაუმჯობესება სხვადასხვა მიდგომების დანერგვით შეუძლიათ. ამასთანავე საქართველოში გამკაცრდა ხარისხის კონტროლი და სავალდებულო გახდა ისეთი სტანდარტების დანერგვა, როგორებიცაა HACCP და ISO9001 სტანდარტები. მაგრამ ხარისხის ამაღლების უმთავრესი ფაქტორი კვლავ საერთაშორისო ბაზრებზე ასპარეზობაა. ყველამ კარგად იცის ევროპული ღვინის ხარისხის შესახებ. მომხამრებლებისთვის საკამრისია, მხოლოდ ქვეყნის სახელი უხსენოთ და ისინი უკვე დარწმუნებულები არიან, რომ ღვინო მაღალი ხარისხისაა. ასეთ საერთაშორისო ბაზრებზე ასპარეზობისას მინიმალურ მოთხოვნად ყალიბდება გასაყიდი პროდუქტის ხარისხი. შესაბამისად დაბალი ხარისხის პროდუქტის ექსპორტი ქართული ღვინის რეპუტაციის შემლახველი იქნებოდა. ამ ყველაფერს კი თან სდევს ერთეულის ფასი, ვინაიდან ხარისხის და ფასის ფარდობითობაა მთავარი რაც ბაზარზე ეკონომიკურ სარგებლიანობას განსაზღვრავს. ამ გარემოებების შედეგად კი ქართული ღვინის ინდუსტრია იძულებული გახდა საკუთარი პროდუქტის ხარისხი აემაღლებინა, რის კვალადაც გაიზარდა ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობაც. შედეგად ქართული ღვინო ძირითადად აკმაყოფილებს ყველა იმ სამომხმარებლო მოთხოვნებს, რაც მაღალი კლასის პროდუქტისთვის არის საჭირო.

ქართული ღვინო საბჭოთა კავშირში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. საბჭოთა კავშირის არსებობისას, საქართველოში წარმოებული ღვინის ძირითადი მომხმარებლები რუსეთი და უკრაინა იყვნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ღვინის მწარმოებლებმა დაიწყეს ახალი ბაზრების ათვისება, როგორებიცაა: აშშ, აღმოსავლეთ ევროპა, ცენტრალური ევროპა, სკანდინავიის ქვეყნები და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები. მიუხედავად ამისა პოსტსაბჭოთა ქვეყნები, განსაკუთრებთ კი რუსეთი კვლავ რჩება ქართული ღვინის მთავარ იმპორტიორად[337]. ერთისმხრივ რუსეთზე დამოკიდებულება საქართველოს განსხვავებულ გამოწვევებს უქმნიდა, როგორც პროდუქტის ხარისხის, ასევე ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისითაც, თუმცა ახალი ბაზრების მოთხოვნამ, ქართული ღვინის ხარისხის ამაღლება მაინც შეძლო და ადგილობრივად წარმოებული ღვინის დივერსიფიცირება ამ კუთხითაც მოხდა - მაღალი ხარისხის ღვინოები გადის ახალ, უფრო კონკურენტულ ბაზრებზე მაშინ, როცა დაბალხარისხიანი ღვინოები გამიზნულად რუსეთისა და მსგავსი ქვეყნებისთვის (ძირითადად პოსტსაბჭოთა ქვეყნების) გაიმიჯნა. დღეისათვის ქართული ღვინის ინდუსტრია ერთ-ერთი წამყვანი ინდუსტრიაა ექსპორტის მიმართულებთ. ბოლო რამდენიმე წელია ექსპორტირებული

[336] https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/14222

[337] https://bm.ge/news/ghvinis-eqsporti-rekordul-machvenebelzea-romel-qveynebshi-gaizardashemtsirda-gayidvebi

ქართული ღვინო მე-3 ადგილს იკავებს საქართველოდან ექსპორტირებულ საქონელს შორის და 2024 წელს ღირებულებით მე-2 ადგილზეც კი გადაინაცვლა[338]. საექსპორტო ღვინის ღირებულება მხოლოდ მსუბუქი ავტომობილებისა და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების შემდეგ იყო, ხოლო 2024-ში ღვინის ინდუსტრიამ სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს გადაასწრო. ღვინის ინდუსტრიის როლი საექსპორტო მიმართულებთ უფრო შთამბეჭდავი იქნება, თუ საექსპორტო ღვინოებს ექსპორტირებულ სპირტიან და შემაგრებულ სასმელებსაც დავუმატებთ, რომლებსაც თავისმხრივ ღირებულებით მე-4 ადგილი უჭირავს, ვინაიდან სპირტების და შემაგრებული სასმელების უმეტესობა კვლავ ღვინის ინდუსტრიის ფარგლებში იწარმოება.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2024 წელს საქართველოს ღვინის ექსპორტი რეკორდულ ნიშნულზე იყო. 2024 წელს საქართველოდან ღვინო 72 ქვეყნაში 95 მილიონ ლიტრამდე მოცულობის ღვინო ექსპორტირდა, რამაც ჯამში 276 მილიონი აშშ დოლარის ღირებულება შეადგინა[339]. ცხრილი N1-ში აღწერილია ბოლო 6 წლის განმავლობაში ქართული ღვინის ექსპორტის მაჩვენებლები. 2019 წელს ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა და ღირებულება იმ დროისთვის დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო. ამ წელს საგრძნობლად გაიზარდა ვენახებისა და ღვინის მწარმოებლების რაოდენობა. უფრო მეტად საყურადღებოა ღვინის საექსპორტო ღირებულების 17%-იანი ზრდა ისედაც გაზრდილ საექსპორტო მოცულობასთან შედარებით. შედეგად 2019 წელს ექსპორტირებული ღვინის საშუალო ფასი უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა, რაც ამ წელს წარმოებული ღვინის ხარისხის ზრდაზეც მეტყველებს. ქართული მეღვინეობისთვის განსაკუთრებით რთული წელი აღმოჩნდა 2020 წელი. მოგეხსენებათ 2019 წლის დეკემბრიდან მსოფლიოში covid-19-ის პანდემია დაიწყო, რამაც უარყოფითად იმოქმედა 2020 წლის მონაცემებზე. პანდემიის შედეგად შეიზღუდა საწარმოო პროცესები, შენელდა საერთაშორისო ვაჭრობა, შეიზღუდა ტურისტული მიმოსვლა და ამ ყველაფრის საფუძველზე ქართული ღვინის ინდუსტრია განსხვავებული გამოწვევების წინაშე დადგა.

ცხრილი N1

ქართული ღვინის საექსპორტო მაჩვენებლები

წელი	საექსპორტო ღვინის რაოდენობა (მლნ ბოთლი)	საექსპორტო ღვინის მოცულობა (მლნ ლიტრი)	ზრდა წინა წელთან შედარებთ	საექსპორტო ღვინის ღირებულება (მლნ აშშ $)	ზრდა წინა წელთან შედარებთ	საექსპორტო ქვეყნების რაოდენობა
1	2	3	4	5	6	7
2019	94	70.5	+9%	240	+17%	53
2020	92.4	69.3	-1%	216.5	-9%	60
2021	107	80.3	+16%	250	+16%	62
2022	138.7	104	+30%	252.5	+5.5%	66
2023	119.3	89.5	-12%	259.2	+3%	66
2024	126.7	95	+6%	276.1	+7%	72

ცხრილი შედგენილია ღვინის ეროვნული სააგენტოს 2019-2024 წლების წლიური ანგარიშებისა და საქსტატის 2020-2023 წლების მონაცემების საფუძველზე.

[338] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti

[339] https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/15494

მიუხედავად იმისა, რომ OIV-ის მონაცემებით ღვინის ექსპორტიორი ქვეყნებიდან, რამდენიმემ მაინც შეძლო პანდემიის ფონზე საექსპორტო ღვინის ღირებულებისა და რაოდენობის გაზრდა[340], საქართველო მათ რიცხვებში არ მომხდარა. მსოფლიოში ეპიდემიოლოგიური ფონის დაძლევასთან ერთად, მწარმოებლებს სურდათ 2020 წელს წარმოქმნილი დანაკარგების სწრაფად მოცილება და ახალი შესაძლებლობების გამონახვა. შედეგად მოხდა ის, რომ 2021 წელს ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა და მისი საერთო ღირებულება 16%-ით გაიზარდა. ეს რაოდენობები პანდემიამდელ მონაცემებსაც აღემატებბა, თუმცა 2021 წელს 1 ბოთლის ან 1 ლიტრი ღვინის ფასი კვლავ შემცირებული დარჩა (ცხრილი N2). 2022 წელი ქართული მეღვინეობისთვის გამოწვევებით დაიწყო. აღმოსავლეთ ევროპაში განვითარებულმა რთულმა პოლიტიკურმა ვითარებამ გამოიწვია ორ მთავარ ბაზარზე, რუსეთსა და უკრაინაში ექსპორტის კლება. ეს განსაკუთრებით ნათელი იყო წლის პირველ ნახევარში. ქართველ მწარმოებლებს სიტუაციასთან ადაპტაცია

ცხრილი შედგენილია ღვინის ეროვნული სააგენტოს 2019-2024 წლების წლიური ანგარიშებისა და

ცხრილი N2		
ქართული ღვინის ფასი საერთაშორისო ბაზარზე		
წელი	1 ბოთლის (0.75 ლ) ფასი (აშშ $)	1 ლიტრის ფასი (აშშ $)
2019	2.55	3.4
2020	2.34	3.12
2021	2.34	3.11
2022	1.82	2.42
2023	2.17	2.89
2024	2.18	2.9

საქსტატის 2020-2023 წლების მონაცემების საფუძველზე.

მოუწიათ, თუმცა 2022 წლის მეორე ნახევარში აღსდგა სავაჭრო ურთიერთობები ორივე ქვეყანასთან და წლის ბოლოს ინდუსტრიამ ექსპორტის ისტორიული მაქსიმუმი აჩვენა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ წელს შექმნილი ვითარებიდან გამომდიანრე, 1 ბოთლი ღვინის ფასი საგრძნობლად დაეცა. 2023 წელს პანდემიის შემდეგ პირველად დაფიქსირდა 1 ერთეული ღვინის ფასის ზრდა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ქართული ღვინის ინდუსტრიისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის კონტროლისა და ტექნოლოგიური განვთარების ფონზე ქართული ღვინის ხარისხი ობიექტურად იზრდებოდა, მსოფლიოში არსებულმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ უარყოფითად იმოქმედა საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინის ფასზე. ამგავრად მიუხედავდ იმისა, რომ 2023 წელს ექსპორტირებული ღვინსი რაოდენობა 12%-ით შემცირდა, 1 ბოთლის ფასის ზრდამ კვლავ განაპირობა ღვინის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ზრდა. ქართული მეღვინეობისთვის ძალზედ წარმატებული აღმოჩნდა 2024 წელი, როდესაც რეკორდული მაჩვენებლები დაფიქსირდა როგორც ექსპორტირებულ რაოდენობაში, ასევე ექსპორტირებული ღვინის ღირებულების, გადამუშავებული ყურძნის რაოდენობისა და ექსპორტირებული ქვეყნების რაოდენობის შემხვევაში. 2024 წელს ექსპორტიდან მიღებული

276 მილიონ აშშ დოლარზე მეტი შემოსავალი წინა წელთან შედარებით 7%-ით მეტი იყო, თუმცა უმნიშვნელოდ გაიზარდა ერთი ერთეული ღვინის ფასი.

[340] https://www.oiv.int/sites/default/files/2024-04/OIV_STATE_OF_THE_WORLD_VINE_AND_WINE_SECTOR_IN_2023.pdf

საქართველოში 2019 წლამდე სისტემატიური ზრდა შეინიშნებოდა მოყვანილი და გადამუშავებული ყურძნის რაოდენობაში, რომლებსაც დიდი რაოდენობით 300-მდე ღვინის მწარმოებელი კომპანია ამუშავებდა. ზრდა არ შეჩერებულა 2020 წელს ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური გარემოს მიუხედავად, თუმცა ამ პერიოდმა უარყოფითად იმოქმედა ქვეყანაში არსებულ მარაგებზე. როგორც ცხრილ N3-ში არის ნაჩვენები, 2020 წელს გადამუშავებული ყურძნის რაოდენობა ისტორიულ მაქსიმუმზე იყო, რაც გამდინარეობდა მანამდე არსებული ყოველწლიური ზრდით. მიუხედავად ამისა პანდემიის პირობებში შემცირდა რეალიზება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. შედეგად ექსპორტის რაოდენობაც და წილიც 2020 წელს შემცირდა.

ცხრილი N3			
ღვინის ექსპორტის წილი გადამუშავებული ყურძნიდან			
წელი	გადამუშავებული ყურძენი (მლნ კგ)[1]	ექსპორტირებული რაოდენობა (მლნ კგ)	ექსპორტის წილი
2018/2019	260	101	38.8%
2019/2020	271	99	36.5%
2020/2021	284	115	40%
2021/2022	243	146	60%
2022/2023	257	128	50%
2023/2024	221	136	61.5%
^ერთ წელს გადამუშავებული ყურძნის ძირითადი ნაწილის ღვინის სახით რეალიზება ხდება მომდევნო წელს, მაგალითად 2019 წელს წარმოებული ყურძნის რეალიზება ღვინის სახით მოხდა 2020 წელს, შესაბამისად 2020 წელს გაყიდული პროდუქტის შეფარდება ხდება წინა წლის გადამუშავებულ რაოდენობასთან.			

ცხრილი შედგენილია ღვინის ეროვნული სააგენტოს 2018-2024 წლების წლიური ანგარიშების საფუძველზე

გარდა ამისა, შემცირებული რეალიზაციის ფონზე ღვინის მწარმოებლებს გაეზარდათ ღვინის მარაგები, რამაც მომდევნო წელს შეამცირა მოთხოვნა. მსგავსმა წინაპირობამ კი საბოლოოდ გამოიწვია ქვეყანაში გადამუშავებული ყურძნის რაოდენობის მკვეთრი შემცირება. სარეალიზაციო ბაზრების გაფართოებამ და ექსპორტირებული ღვინის რაოდენობის ზრდის ფონზე 2024 წელს გადამუშავებული ყურძნის რაოდენობამ ახალი მაქსიმუმი, 320 მილიონი კილოგრამი, დააფიქსირა. ბოლო 6 წლის განმავლობაში ყურძნის მოსავლიანობისა და გადამუშავების მხრივ არასტაბილური სიტუაცია იყო, თუმცა მწარმოებლებისთვის ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია ექსპორტის გაზრდაში, გარდა 2020 წლისა. შედეგად საქართველოში მოყვანილი და გადამუშავებული ყურძნის რაოდენობის ნახევარზე მეტის (2021 წლის შემდგომ) რეალიზება საქართველოს საზღვრებს გარეთ განხორციელდა. როდესაც ვსაუბრობთ გადამუშავებული ყურძნიდან მღებული ღვინის საერთო რაოდენობის ექსპორტის წილზე აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. საქართველოში რთველი აგვისტოდან ნოემბრამდე მიმდინარეობს. შესაბამისად რთველიდან წარმოებული ღვინის ბოთლებში ჩამოსხმა ძირითადად იმავე წელს არ ხდება, შესაბამისად ამ

[1] არ შედის სასუფრე ყურძენი

რთველზე წარმოებული ღვინის რეალიზაცია მოდმევნო წლიდან იწყება. აქედან გამომდაინრე უნდა გავითვალისწინოთ, რომ კონკრეტულ წელს გადამუშავებული ყურძნის ექსპორტი მოდმევნო წლის ექსპორტის მაჩვენებელს შეესაბამება. ამგვარად 2019 წელს გადამუშაევბული ყურძნის რაოდენობის შესატყვისია 2020 წელს ექსპორტის შედეგად გაყიდული ღვინოების რაოდენობასთან. საქართველოს ღვინოების ადგილობრივი ექსპორტის წილი 2019 წლიდან მოყოლებული იზრდებოდა. გამონაკლისი აღმოჩნდა 2022 წელი, სადაც ექსპორტის წილი წინა წელთან შედარებთ 10%-ით შემცირდა მიუხედავად იმისა, რომ ექსპორიტრებული პროდუქციის საერთო რაოდენობა და ფასიც გაიზარდა (დიაგრამა N1) ეს გარემოება შეიძლება აიხსნას მოსავლიანობის ჭარბი ზრდით, რისი რეალიზებაც მწამროებლებმა უცხოურ ბაზრებზე ვეღარ შეძლეს. სწორედ აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ მწარმოებლებს დაუგროვდათ ღვინის დიდი რეზერვები (მარაგები), რაც შემდგომში ხსნის 2023 წელს გადამუშავებული ყურძნის რაოდენობის შემცირებას. თუმცა 2023 წელს ექსპორტის წილი ყველაზე მაღალი 61.5% დაფიქსირდა. ცალკე უნდა აღინიშნოს 2024 წლის შემთხვევა, როდესაც გადამუშაევბული ყურძნის რაოდენობა 45%-ით გაიზარდა 2023 წელთან შედარებთ და ისტორიულ მაქსიმუმს 320 მილიონ კილოგრამს მიუახლოვდა. 2024 წელს წარმოებული ღვინის ექსპორტის შეფასება 2025 წელს განხორციელებული გაყიდვების მონაცემების შეგროვების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

დიაგრამა შედგენილია ღვინის ეროვნული სააგენტოს 2018-2024 წლების წლიური ანგარიშების საფუძველზე



ქართული ღვინის ადგილობრივი ექსპორტი მნიშვნელოვანი ფინანსური სარგებლის მომტანი აღმოჩნდა როგორც ქვეყნის ეკონომიკისთვის, ასევე ღვინის ინდუსტრიის სუბიექტების მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის. ბოლო წლების განმავლობაში იზრდებოდა ექსპორტის ღირებულება, ექსპორტირებული ღვინის წილი საერთო წარმოებული ღვინის რაოდენობიდან და იმპორტიორი ქვეყნების რაოდენობაც. ამგვარად საინტერესოა იმის გარჩევაც, თუ რომელ ქვეყნებში გადის ქართული ღვინო ყველაზე დიდი რაოდენობით (ცხრილი N4). საქართველოს ნომერ პირველ ბაზარი უკვე რამდენიმე ათწლეულია რუსეთია და ეს მონაცემები 2024 წლის მაჩვენებლებითაც არ შეცვლილა. პირიქით, ბოლო წლების მონაცემებით რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტი უფრო და უფრო იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელს რუსეთ-უკრაინას შორის დაწყებული ომის ფონზე უკრაინაში ღვინის ექსპორტმა მკვეთრად დაიკლო და მეორე ადგილიდან მესამეზე გადაინაცვლა.

მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზრად გვევლინება ჩინეთი, თუმცა 2019 წლის პანდემიამდე ჩინეთის საბაზრო წილი ბევრად უფრო მაღალი იყო და საქართველოს საექსპორტო ბაზრისთვის რიგით მესამე ადგილი ეკავა. 2021 წლის შემდგომ ჩინეთში ქართული ღვინის ექსპორტის რაოდენობა გაიზარდა, თუმცა მოუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნის ბაზრებზე ქართული ღვინის ექსპორტი უფრო ინტენსიურად გაგრძელდა, ჩინეთი მნიშვნელობით კვლავ მე-4 ადგილზე რჩება.

ცხრილი N4						
მთავარი საექსპორტო ბაზრები გაყიდული ბოთლებსი რაოდენობის მიხედვით						
	2019[341]	2020	2021	2022	2023[342]	2024
1	რუსეთი	რუსეთი	რუსეთი	რუსეთი	რუსეთი	რუსეთი
2	უკრაინა	უკრაინა	უკრაინა	პოლონეთი	პოლონეთი	პოლონეთი
3	ჩინეთი	პოლონეთი	პოლონეთი	უკრაინა	უკრაინა	უკრაინა
4	პოლონეთი	ჩინეთი	ჩინეთი	ჩინეთი	ჩინეთი	ჩინეთი
5	ბელარუსი	ბელარუსი	ბელარუსი	ყაზახეთი	ყაზახეთი	ყაზახეთი
6	ლატვია	ყაზახეთი	ყაზახეთი	ბელარუსი	ბელარუსი	ბელარუსი
7	ლიეტუვა	ლატვია	ლატვია	აშშ	ლატვია	ლატვია
8	ესტონეთი	აშშ	აშშ	ლატვია	გერმანია	გერმანია
9	აშშ	გერმანია	ლიეტუვა	გერმანია	აშშ	აშშ
10	გერმანია	ლიეტუვა	გერმანია	ლიეტუვა	ლიეტუვა	ლიეტუვა

ცხრილი შედგენილია ღვინის ეროვნული სააგენტოს 2019-2024 წლების წლიური ანგარიშების საფუძველზე.

ყველაზე ინტენსიური ზრდა პოლონეთში შეინიშნება, სადაც ეკონომიკური განვითარების, ცხოვრების დონის ამაღლებისა და ზოგადად ღვინის კულტურის პოპულარიზაციის ხარჯზე, ქართულ ღვინოზეც გაიზარდა მოთხოვნა. 2019 წელს პოლონეთში დაახლოებთ 4 მილიონზე მეტი ბოთლი გადიოდა. 2024 წლის მონაცემებით კი პოლონეთში წლიურად 7 მილიონამდე ბოთლი ღვინო ექსპორტირდება. საქართველსო სტრატეგიულ ბაზრებს წარმაოდგენენ აშშ და გერმანია, სადაც 1 ბოთლი ქართული ღვინის ფასი ყველაზე მაღალ ნიშნულზეა, შესაბამისად 6.19$ და 4.7$[343] (დიიაგრამა N2). 2023 წლამდე აშშ გერმანიის მოწინავე ბაზრად ითვლებოდა, თუმცა 2023 წლიდან გერმანიამ აშშ-ს გადაასწრო, როგორც საერთო ექსპორტირებული ღვინის ბოთლების რაოდენობით, ასევე ამ ქვეყნებიდან მიღებული შემოსავლების ოდენობითაც. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შედეგი განპირობებულია გეოგრაფიული მდებარეობისა და ამის შედეგად არსებული შედაარებით მარტივი ტრანსპორტირების საშუალების გამო, ვინაიდან ორივე ქვეყანაში ქართული ღვინის პოპულარიზაციაზე დაახლოებთ ერთნაირი თანხა იხარჯება. დიდი ბრიტანეთიც ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს წარმაოდგენს და აქაც სისტემატიური ზრდა შეინიშნება. დიდი ბრიტანეთი ექსპორტირებული ბოთლების რაოდენობის მიხედვით მე-11 ადგილს იკავებს და აქ ექსპორტირებული 1 ბოთლი ღვინის ღირებულება გერმანიის ფასს აღემატება - 5.2$. 2024 წელს დიდ ბრიტანეთში ყველაზე მეტი რაოდენობა, 425 600 ლიტრი, იყო ექსპორტირებული, რაც წინა წელთან შედარებით 42%-იან ზრდას წარმოადგენს. საქართველოს სტრატეგიულ ქვეყნებზე საუბრისას აღსანიშნავია აღმოსაველთ აზიის ქვეყნები, განსაკუთრებთ

[341] არ შედის სასუფრე ყურძენი

[342] დათვლილია ღვინის ყურძენზე გადაანგარიშების მიხედვით, როგორც ეს საქსტატის 2023 წლის საქართველოს სოფლის მეურნეობის სტატისტიკურ პუბლიკაციაშია მოცემული

[343] https://www.radiotavisupleba.ge/a/30392729.html

კი იაპონია. მიუხედავად იმისა, რომ იაპონია ჯერ არ შედის საქართველოსთვის მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზრების ათეულში, იაპონიაში ექსპორტირებული ღვინის ბოთლების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. გარდა ამისა, საქართველო უკვე მიეკუთვნება იმ 15 ქვეყანას, რომლებსაც იაპონიაში ყველაზე მეტი ღვინო შეაქვთ[344]. იაპონიასტან ერთად პოტენციურად კარგი საექსპორტო ბაზარია სამხრეთ კორეა, სადაც 2024 წელს 72 500 ლიტრი ღვინო გავიდა და ამ მხრივ რაოდენობა 26%-ით გაიზარდა.

დიაგრამა შედგენილია ქართული ბიზნეს მედიის 2024 წლის მონაცემებზე დაყრდნობით



	აშშ	გერმანია	ლატვია	ლიეტუვა	ჩინეთი	ყაზახეთი	მსოფლიო	უკრაინა	ბელარუსი	რუსეთი	პოლონეთი
2022	5,4	4	2,8	2,8	3,3	2,8	2,5	2,3	2,6	2,3	2,2
2023	6,2	4,7	3,6	3,3	3,7	3,1	2,9	2,8	2,9	2,7	2,5
2024	6	4,6	3,7	3,4	3,5	3,2	2,9	2,8	2,8	2,7	2,5

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ღვინის ინდუსტრია წინსვლას განაგრძობს. ინდუსტრია ვითარდება ტექნოლოგიურად, იზრდება ეკონომიკური კავშირები საქართველოს საზღვრებს გარეთ და სტაბილურად განაგრძობს ზრდას ექსპორტირებადი პროდუქტის როგორც რაოდენობა, ასევე მისი ღირებულება. ბოლო 6 წლის განმავლობაში ქართული ღვინის ინდუსტრია სხვადასხვა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, საიდანაც ყველაზე მძიმე წნეხი მსოფლიოში შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ შექმნა. ამის შედეგად საქართველოში შემცირდა ყურძნის გადამუშავება და დაიკლო 1 ლიტრი (ან 1 ბოთლი) ქართული ღვინის ფასი საერთაშორისო ბაზარზე. მიუხედავად ამისა წლიდან წლამდე იზრდებოდა ექსპორტის წილი, ექსპორტის ღირებულება და უკვე 2024 წელს შეიძლება ითქვას ქართული ღვინის ინდუსტრია დიდწილად დაუბრუნდა ძველ რელსებს.

ქართულ ღვინის ინდუსტრიას დიდი პოტენციალი აქვს საერთაშორისო ბაზრებზე, რასაც მოწმობს პარტნიორი ქვეყნების სიის ზრდა ისევე, როგორც ექსპორტირებული ღვინის რაოდენობის და ღირებულების ზრდაც. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ სტრატეგიულ ბაზრებზე იზრდება ქართული ღვინის ცნობადობა, რასაც თავისმხრივ სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც ხმარდება თანხა და 2024 წელს ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდაში 16 მილიონი დაიხარჯა[345].

[344] https://www.commersant.ge/news/economic/10-qveyana-romelmats-saqartvelosgan-2023-tsels-yvelaze-meti-ghvino-iyida
[345] https://bm.ge/news/romel-qveynebshi-iyideba-qartuli-ghvino-yvelaze-dzvirad-da-yvelaze-iafad-reitingi

ჯერ-ჯერობით ღვინის საექსპორტო უმთავრეს ბაზრად კვლავ რუსეთი რჩება და მასზე ყოველწლიურად ექსპორტის დაახლოებით 60% მოდის. რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულებას სხვადასხვა სირთულეები ახლავს, როგორიცაა ხარისხის შენარჩუნება, არასტაბილური საგადასახადო ან საკანონმდებლო სისტემა და პოლიტიკური დაძაბულობა, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის არსებობს. გარდა ამისა შემცირებულია ჩინეთისა (პანდემიის გამო) და უკრაინის (რუსეთ-უკრაინის ომის გამო) წილი საექსპორტო ბაზარზე. მაგრამ ახალი სტრატეგიული საექსპორტო ბაზრების დაპრიორიტეტებით, როგორებიცაა: პოლონეთი, აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, სკანდინავია და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, ქართულ ღვინის ინდუსტრიას ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა შეუძლია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/14138**
2. **https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/14170**
3. **https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/14222**
4. **https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/15365**
5. **https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/15422**
6. **https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/15494**
7. https://bm.ge/news/2022-wels-saqartvelom-250-milionis-gvino-gayida---mtavar-bazrad-ruseti-rcheba/36660
8. https://eas.tsu.ge/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98-2/12542/
9. **https://www.radiotavisupleba.ge/a/30392729.html**
10. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti
11. **https://www.geostat.ge/media/63194/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-2023-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98.pdf**
12. https://www.geostat.ge/media/34794/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90---%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-2020.pdf

13.https://www.geostat.ge/ka/single-categories/102/sakartvelos-soflis-meurneoba

14.**https://bm.ge/news/romel-qveynebshi-iyideba-qartuli-ghvino-yvelaze-dzvirad-da-yvelaze-iafad-reitingi**

15.https://www.oiv.int/sites/default/files/2024-04/
OIV_STATE_OF_THE_WORLD_VINE_AND_WINE_SECTOR_IN_2023.pdf

16.https://www.linkedin.com/posts/american-association-of-wine-economists-aawe_japans-wine-imports-in-2024-value-volume-activity-7293565049309126656-igpG

17.https://www.commersant.ge/news/economic/10-qveyana-romelmats-saqartvelosgan-2023-tsels-yvelaze-meti-ghvino-iyida

მდგრადი მენეჯმენტის ეთიკური ნორმები
Ethical Norms of Sustainable Management

მანანა ბანძელაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
დარეჯან ჩხიროძე
ქუთაისის უნივერსიტეტი
ტექნიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ნონა კუხიანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ავტომატიზაციის და მართვის სისტემების დოქტორი
Manana Bandzeladze
Akaki Tsereteli State University
Doctor of Philosophy, Associate Professor
Darejan Chkhirodze
Kutaisi University
Doctor of Engineering, Associate Professor
Nona Kukhianidze
Akaki Tsereteli State University
Doctor of Automation and Control Systems

აბსტრაქტი. განვითარების დღევანდელ ეტაპზე თითოეული ადამიანის ცხოვრება წარმოადგენს უამრავ ადამიანთა ურთიერთობის და ამოცანათა ერთიან ჯაჭვს, რომელშიც თითოეულ ჩვენგანს და თითოეულ ქმედებას თავისი ნიშა აქვს. ადამიანის ყოველდღიური საქმიანობის მიზანია, მის მიერ შერჩეულ სფეროში გახდეს მნიშვნელოვანი პერსონა. ამის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ჩემი და სხვა ადამიანის ინტერესთა ისეთი კოორდინაცია, სადაც გამოირიცხება ეჭვიანობა, უნდობლობა, უთანხმოება და სხვა არაეთიკური ნორმები.

მდგრადი მენეჯმენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ლიდერსა და თანამშრომლებს შორის დამოკიდებულებას. ლიდერი ვალდებულია იფიქროს იმ მეთოდებზე, რომლითაც ის მოახერხებს თანამშრომელთა მოხიბვლას და დომინირებას. მეთოდთა შორის განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობს ნდობის ფაქტორი. ამისათვის ლიდერები იყენებენ წახალისების გარკვეულ ფორმას. ეს შეიძლება იყოს მატერიალური ან მორალური. სწორი

ფორმის მიგნება არც ისე მარტივია. ამისათვის საჭიროა ერთის მხრივ კარგი განათლება, მეორეს მხრივ კი დაგროვილი ცოდნის სწორად გამოყენება და გამოცდილება, არც ისე მარტივია საკუთარ ქმედებას მისცე სწორი მიმართულება ისე, რომ არ შეილახოს სხვა ადამიანის ინტერესები.

ცხოვრება ადასტურებს, რომ წარმატების მთავარი მომენტი სწორედ სხვა ადამიანთან ურთიერთობაა. ეს მომენტი განსაკუთრებით კარგადაა ცნობილი იაპონელებისათვის და მათი ეკონომიკური სიძლიერის მთავარი ვექტორიც ალბათ ამ კუთხით მიემართება.

ჩვენი ნაშრომის მიზანია შეაფასოს და უჩვენოს სწორი, ობიექტური ზნეობრივი მიდგომები ადამიანთა ურთიერთობებში. ხაზგასმულია ის, რომ წარმატებისკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვანია სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, ასევე საკუთარი თავის ფლობის უნარი, თვითცნობიერების პროცესის სწორად წარმართვა ადამიანის ქმედებაში ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მომენტია საჭირო დროს საჭირო გადაწყვეტილებების მიღება. მას თან ახლავს რისკის მომენტიც. ამ კუთხით ხაზგასმულია ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებაც. ამ კუთხით ხაზგასმულია კომუნიკაციის უნარების განვითარება, რომელიც წარმატების გარანტიაა როგორც პირად, ისე მენეჯმენტის ურთიერთობებში.

წინამდებარე ნაშრომის საკვლევი პრობლემაა ეთიკური ნორმების და მენეჯმენტის ურთიერთობის საკითხი, მათი ურთიერთდამოკიდებულების დადებითი და უარყოფითი ასპექტების განხილვა. განვითარების დღევანდელ ეტაპზე დიდი კომპანიები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ქცევის სწორ კულტურასა და ადამიანთა შორის მორალური ურთიერთობების დანერგვის საკითხს. ისინი იძლევიან ამ კუთხით საინტერესო სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ყველა ადამიანისთვის, სუბორდინაციის ყველა საფეხურზე.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თანამედროვე მეთოდები, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კუთხით. მათ შესახებ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ თემის ძირითად ნაწილში.

საკვანძო სიტყვები: ზნეობრივი მიდგომები, ინტელექტუალური, ეთიკური ნორმები, სუბორდინაცია

Abstract. At the current stage of development, every individual's life consists of a continuous chain of human interactions and tasks, where each person and every action has its own place. The goal of daily activities is to become a significant figure in one's chosen field. This can only be achieved by aligning personal and collective interests in a way that eliminates jealousy, distrust, conflicts, and other unethical behaviors.

Sustainable management is particularly crucial in the relationship between leaders and employees. A leader must carefully consider strategies to engage and inspire employees. Among these, trust plays a fundamental role. To build trust, leaders use various forms of incentives, which may be material or moral. Finding the right approach is not always easy—it requires both strong education and the ability to apply knowledge and experience effectively. It is equally challenging to ensure that one's actions are ethically sound and do not infringe upon others' rights and interests.

Experience shows that interpersonal relationships are the key to success. This principle is especially well understood in Japan, where it plays a major role in the country's economic strength.

The purpose of this study is to evaluate and present objective ethical approaches in human interactions. It emphasizes that communication skills and self-awareness are essential for success. The ability to make the right decisions at the right time is a critical factor, often involving a degree of risk. Therefore, intellectual and psychological aspects must also be taken into account. Strong communication skills serve as a foundation for success, both in personal life and in managerial relationships.

The key research issue of this study is the relationship between ethical norms and management, examining their interdependence as well as their positive and negative aspects. Today, major companies place significant emphasis on ethical behavior and fostering moral relationships in the workplace. They provide valuable guidelines on this topic, which should be followed at all levels of organizational hierarchy.

This study employs modern research methods, incorporating both quantitative and qualitative approaches, which will be discussed in detail in the main section.

Keywords: Ethical approaches, intellectual factors, ethical norms, subordination.

შესავალი

თანამედროვე განვითარების ეტაპზე თითოეული ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება წარმოადგენს მრავალი ურთიერთობისა და მიზნის ერთიან ჯაჭვს, სადაც თითოეულ ქმედებას საკუთარი ზეგავლენა აქვს. ინდივიდუალური წარმატება მჭიდროდ არის დაკავშირებული კოლექტიურ ჰარმონიასთან. სწორედ ამ კონტექსტში მდგრადი მენეჯმენტის ეთიკური ნორმები გადამწყვეტ როლს თამაშობს, განსაკუთრებით ლიდერსა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობებში.

მდგრადი მენეჯმენტი აერთიანებს სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მიზნებს გრძელვადიანი სტაბილურობისთვის. ამ პროცესში ეთიკური სტანდარტები ქმნის საფუძველს სამართლიან, გამჭვირვალე და ჰუმანურ მენეჯმენტს. ლიდერის პასუხისმგებლობაა ისეთი მეთოდების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა მოტივაციას და დომინანტური ძალის ჰუმანურ წარმოჩენას.

ეთიკური ნორმების როლი ლიდერსა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობაში

თანამშრომელთა მოტივაციის და გუნდის ერთიანობისთვის გადამწყვეტი ფაქტორია ნდობა, რომელიც ყალიბდება გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და პატივისცემის საფუძველზე. *Hansen et al. (2021)* ხაზს უსვამენ, რომ ეთიკური ლიდერობა პოზიტიურად მოქმედებს თანამშრომელთა თავდადებასა და ინოვაციურ ქცევაზე.

ლიდერი, რომელიც იყენებს არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ მორალურ წახალისებას, ქმნის ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სამუშაო გარემოს. ეთიკურ მენეჯმენტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ემპათიას, თვითცნობიერებას და კრიტიკულ აზროვნების ფაქტორებს, რომლებიც იძლევა რთულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას ისე, რომ არ დაირღვეს სხვათა უფლებები.

თანამედროვე ეთიკური სტრატეგიები მენეჯმენტში

1. **ნდობის კულტურა და ღია კომუნიკაცია** — ლიდერებმა უნდა წაახალისონ თანამშრომელთა ჩართულობა გადაწყვეტილების პროცესში, რაც ზრდის თანამშრომელთა თავდადებას.

2. **ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება რისკის პირობებში** — რთული გადაწყვეტილებების მიღებისას ეთიკური შეფასება ეხმარება ორგანიზაციას გრძელვადიანი რეპუტაციის შენარჩუნებაში.

3. **კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინება** — გლობალურ კომპანიებში ეთიკური ნორმები უნდა ასახავდეს კულტურულ თავისებურებებს და საერთო ღირებულებებს.

4. **თანამშრომელთა მორალური ჩართულობა** — კვლევები აჩვენებს, რომ ეთიკური კლიმატი ამაღლებს თანამშრომელთა თვითშეფასებასა და ორგანიზაციულ ლოიალობას.

იაპონური მენეჯმენტის გამოცდილება

იაპონური მენეჯმენტი ეფუძნება ჯგუფურ პასუხისმგებლობას, ჰარმონიასა და თანამშრომელთა გრძელვადიან განვითარებას. *Fukukawa et al. (2020)* აღნიშნავენ, რომ იაპონური კომპანიები წარმატებას აღწევენ ეთიკური კულტურისა და ადამიანზე ორიენტირებული მიდგომების მეშვეობით. მათი მიდგომა არ არის მხოლოდ ეკონომიკური შედეგის მიღწევა, არამედ სამართლიანი, კოლექტიური ღირებულებების შენარჩუნებაა.

თეორია და პრაქტიკა საქართველოში

თანამედროვე საზოგადოებაში ეთიკა მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია. მდგრადი მენეჯმენტი გულისხმობს ისეთი სტრატეგიების დანერგვას, რომლებიც აერთიანებს ეკონომიკურ ეფექტიანობას, სოციალურ სამართლიანობასა და გარემოს დაცვას. წარმატებული

ლიდერობა მოითხოვს არა მხოლოდ პროფესიულ კომპეტენციას, არამედ ეთიკურ ქცევას, რომელიც ეფუძნება ნდობას, პასუხისმგებლობას და თანამშრომელთა პატივისცემას.

საქართველოში ეთიკური მენეჯმენტის წარმატებული მაგალითია თიბისი ბანკი, რომლის კორპორაციული კულტურა ორიენტირებულია ღია კომუნიკაციაზე და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებზე. აგრეთვე, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი აქტიურად იყენებს ეთიკურ მიდგომებს მოსახლეობასთან და ტურისტებთან ურთიერთობაში. თუმცა, ზოგად პრაქტიკაში კვლავ შეინიშნება გამოწვევები: ფორმალური ეთიკის გაუმყარებელი რეალური ქცევით, სუსტი სამართლებრივი კონტროლი და დაბალი მოტივაცია ცვლილებებისკენ.

კვლევების თანახმად, ეთიკური ლიდერობა პოზიტიურად აისახება ორგანიზაციულ კლიმატზე, ინოვაციურობაზე და თანამშრომელთა ჩართულობაზე. კვლევაში (2024) გამოკითხული ქართველი მენეჯერების დიდი ნაწილი ხაზს უსვამს ეთიკის მნიშვნელობას, თუმცა აცხადებენ, რომ პრაქტიკაში სირთულეა ეთიკური სტანდარტების გატარება.

დასკვნით, ეთიკური მენეჯმენტის წარმატება საქართველოში საჭიროებს სისტემურ მიდგომას: ლიდერთა განათლებას, ეთიკის კოდექსების გამკაცრებას, თანამშრომელთა ჩართულობის ზრდას და მაგალითზე დაფუძნებულ ხელმძღვანელობას.

თანამედროვე გამოწვევები

მიუხედავად პროგრესისა, ეთიკურ მენეჯმენტს ახლავს რამდენიმე გამოწვევა:

- ინტერესთა კონფლიქტები ეთიკასა და ეკონომიკურ მიზნებს შორის;
- „გრინვოშინგი“ (Greenwashing) — ეთიკური იმიჯის მოჩვენებითი შენარჩუნება რეალური მოქმედების გარეშე.
- ეთიკური სტანდარტების გლობალურად ინტეგრაციის სირთულე.

ამ პრობლემებზე რეაგირება საჭიროებს ღია დიალოგს, მუდმივ პროფესიულ განვითარებას და ლიდერების მხრიდან მაგალითის ჩვენებას.

დასკვნა

ეთიკური ნორმები მდგრად მენეჯმენტში წარმოადგენს ორგანიზაციული განვითარებისა და ადამიანური ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს. სწორი ზნეობრივი მიდგომების დანერგვა ლიდერობის სტილში ხელს უწყობს ჰუმანური სამუშაო გარემოს შექმნას, სადაც ინდივიდუალური და კოლექტიური ინტერესები ბალანსდება. თანამედროვე ლიდერისთვის გადამწყვეტია ემპათიის, თვითკონტროლის, კრიტიკული აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარების ფლობა ეს უნარები კი არა მხოლოდ მის პირად, არამედ ორგანიზაციულ წარმატებასაც განსაზღვრავს.

ეთიკური ნორმები მდგრადი მენეჯმენტის საფუძველია. საქართველოში პოზიტიური მაგალითები უკვე იკვეთება კერძო სექტორში (ბანკები, ტექნოლოგიური კომპანიები), თუმცა საჭიროა ფართო მასშტაბის რეფორმები საჯარო სექტორში და განათლებაში. ლიდერობა, რომელიც ეფუძნება მორალურ პასუხისმგებლობას და თანამშრომელთა ინტერესების პატივისცემას, არა მხოლოდ აყალიბებს ეფექტურ გუნდს, არამედ ქმნის საფუძველს საქართველოს ორგანიზაციული კულტურის თანამედროვე ევროპულ სტანდარტებზე დაახლოებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Hansen, S. D., Alge, B. J., Brown, M. E., Jackson, C. L., & Dunford, B. B. (2021). Ethical leadership: A review and future research agenda. *Journal of Organizational Behavior*, 42(1), 41–61.
2. Zhu, W., Zheng, X., He, H., Wang, G., & Zhang, X. (2020). Ethical leadership and employee voice behavior: The role of psychological safety and organizational identification. *Journal of Business Ethics*, 165(1), 171–184.
3. Kim, J., & Kim, H. (2022). Ethical climate and employee engagement: The mediating role of psychological empowerment. *Business Ethics: A European Review*, 31(3), 567–581.
4. Byun, S., Kim, S., & Lee, S. (2021). Ethical leadership and organizational resilience: The mediating role of ethical climate. *Journal of Business Research*, 134, 719–730.
5. Lee, Y., & Edmondson, A. C. (2021). Psychological safety, team learning behavior, and performance in diverse work environments. *Academy of Management Journal*, 64(2), 507–531.
6. Singh, R., Dash, S. R., & Thakur, R. (2020). Cross-cultural ethical leadership and employee behavior: An integrated framework. *International Journal of Cross Cultural Management*, 20(3), 355–373.
7. Delmas, M. A., & Burbano, V. C. (2021). The drivers of greenwashing. *California Management Review*, 63(2), 69–87.
8. Fukukawa, K., Moon, J., & Yoshikawa, K. (2020). Japanese approaches to ethical corporate social responsibility: Evidence from workplace practices. *Asia Pacific Business Review*, 26(4), 488–507.

ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე ტენდენციები
Contemporary Trends in Human Resource Management

ნანა გადელია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ასისტენტი
Nana Gadelia

Caucasus International University
Assistant

აბსტრაქტი. თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესისა და ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში ადამიანური რესურსების მართვა (HRM) განიცდის კონცეპტუალურ და სტრატეგიულ ტრანსფორმაციას. ორგანიზაციული ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, თანამედროვე HRM მიდგომები ეფუძნება მონაცემთა ანალიტიკას, მოქნილ მართვას, თანამშრომელთა გამოცდილებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციას. მოცემული კვლევა სისტემურად განიხილავს HRM-ის თანამედროვე ტენდენციებს, მათ შორის ციფრულიზაციას, დისტანციური და ჰიბრიდული დასაქმების მოდელებს, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის სტრატეგიებს, ასევე HR ანალიტიკის მზარდ როლს ორგანიზაციული განვითარების პროცესებში.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია ინოვაციური HRM სტრატეგიების გავლენა სამუშაო ძალის ჩართულობის, პროდუქტიულობისა და გრძელვადიანი მდგრადობის განმტკიცებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უწყვეტი სწავლისა და ადაპტიური ლიდერობის როლს ორგანიზაციულ განვითარებაში, რაც აუცილებელია დინამიურად ცვალებად ბიზნესგარემოში წარმატებული ფუნქციონირებისთვის. კვლევის შედეგები ხელს უწყობს ორგანიზაციების მიერ თანამედროვე HRM სტრატეგიების პრაქტიკულ იმპლემენტაციას, რითაც განისაზღვრება მდგრადი და კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ჩამოყალიბების პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსების მართვა, ციფრული ტრანსფორმაცია, HR ანალიტიკა, დისტანციური დასაქმება, მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა, ორგანიზაციული მოქნილობა, ადაპტიური ლიდერობა, სტრატეგიული HRM.

Abstract. Contemporary Trends in Human Resource Management In the context of rapid technological advancements and the digital transformation of business, human resource management (HRM) is undergoing a conceptual and strategic transformation. To ensure organizational efficiency and competitiveness, modern HRM approaches are based on data analytics, agile management, employee experience-centered strategies, and the integration of artificial intelligence. This research systematically examines contemporary trends in HRM, including digitalization, remote and hybrid work models, diversity and inclusion strategies, and the growing role of HR analytics in the process of organizational development.

The research analyzes the impact of innovative HRM strategies on workforce engagement, productivity, and reinforcement of long-term sustainability. Special emphasis is placed on the role of continuous learning and adaptive leadership in organizational growth, which is essential for successful functioning in a dynamically changing business environment. The research findings contribute to the practical implementation of modern HRM strategies by organizations, outlining the prospects for developing a resilient and competitive human capital framework.

Keywords: Human Resource Management, Digital Transformation, HR Analytics, Remote Work, Diversity and Inclusion, Organizational Agility, Adaptive Leadership, Strategic HRM.

განათლების ბაზრის მარკეტინგული პოზიციონირება: ქართული რეალობის ანალიზი

Marketing Positioning of the Education Market: Analysis of Georgian Reality

ქეთინო ბერიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
Ketino beridze
Caucasus International University

აბსტრაქტი. თანამედროვე საგანმანათლებლო ბაზარი როგორც გლობალურ, ასევე ეროვნულ დონეზე, სწრაფად იცვლება, რაც უნივერსიტეტებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. სტუდენტთა მოთხოვნების ცვლილება, საერთაშორისო კონკურენცია, ციფრული ტრანსფორმაცია და შრომის ბაზრის საჭიროებები იძულებულს ხდის საგანმანათლებლო ინსტიტუტებს, გამოიყენონ მარკეტინგული პოზიციონირების ინოვაციური მიდგომები.

სტატია განიხილავს განათლების სექტორში მარკეტინგული პოზიციონირების როლს, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ბრენდინგზე, სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრაზე, ციფრულ მარკეტინგზე და უნივერსიტეტებსა თუ პროფესიულ სასწავლებლებს შორის კონკურენციაზე. ასევე, განხილულია საერთაშორისო მაგალითები, როგორიცაა პოლონეთისა და ჩეხეთის მარკეტინგული კამპანიები უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად და მათი ქართული კონტექსტისთვის ადაპტაციის შესაძლებლობები.

კვლევა ასევე ხაზს უსვამს ადგილობრივ რეალობას: საქართველოში სტუდენტთა უმრავლესობისთვის მთავარი გადაწყვეტილების განმაპირობებელი ფაქტორებია სწავლის ღირებულება, ხარისხი და დასაქმების პერსპექტივა. რეგიონალური უთანასწორობა და განათლების დაწესებულებების განსხვავებული შესაძლებლობები ქმნის მარკეტინგული სტრატეგიების დიფერენცირების აუცილებლობას.

სტატიის მიზანია, გააანალიზოს მარკეტინგული პოზიციონირების თანამედროვე მიდგომები ქართულ საგანმანათლებლო სექტორში, გამოავლინოს არსებული გამოწვევები და შესთავაზოს პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს განათლების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ზრდას და საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვას.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგული პოზიციონირება, განათლების ბაზარი, უნივერსიტეტების კონკურენცია, ციფრული მარკეტინგი, სტუდენტთა მოთხოვნები.

Abstract. The modern educational market is rapidly evolving both globally and nationally, presenting new challenges for universities and vocational educational institutions. Changing student demands, international competition, digital transformation, and labor market needs compel educational institutions to adopt innovative marketing positioning strategies.

This article examines the role of marketing positioning in the education sector, focusing on branding, target audience identification, digital marketing, and competition among universities and vocational institutions. It also explores international examples, such as Poland's and the Czech Republic's marketing campaigns to attract international students, and their potential adaptation to the Georgian context.

The research highlights the local reality: for most students in Georgia, key decision-making factors include tuition fees, education quality, and employment prospects. Regional disparities and varying institutional capabilities necessitate differentiated marketing strategies.

The aim of this article is to analyze contemporary approaches to marketing positioning in Georgia's education sector, identify existing challenges, and propose practical recommendations that will enhance the competitiveness of the educational market and attract international students.

Key words: Marketing positioning, Education market, University competition, Digital marketing, Student demands

მარკეტინგ-მიქსის კონცეფცია რეგიონალური მარკეტინგის ჭრილში
Marketing Mix Concept in the Context of Regional Marketing

კუპრაშვილი თენგიზი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
Kuprashvili Tengizi
Akaki Tsereteli State University
Academic Doctor of Economics

აბსტრაქტი. სტატია ეძღვნება თანამედროვე ქვეყნის რეგიონების მიერ მენეჯმენტში მარკეტინგული მიდგომის გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. მასში განსაზღვრულია ტერიტორიული მარკეტინგის არსი, ასევე განსხვავებულია და დეტალურადაა განხილული რეგიონული მარკეტინგი, მარკეტინგული მიქსის ელემენტები, კერძოდ:

1. რეგიონული პროდუქტი.
2. სახელშეკრულებო პოლიტიკა;
3. საკომუნიკაციო პოლიტიკა.

კვლევის შედეგად, შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: რეგიონული მარკეტინგული მარკეტინგ-მიქსის კონცეფციის არსი მდგომარეობს რეგიონის ტერიტორიის მარკეტინგის სისტემატურ მიდგომაში, რეგიონული მარკეტინგული მიქსის ელემენტების სტრუქტურირებაში და მათ ფრთხილად შემუშავებაში შემდგომი წარმატებული განხორციელების მიზნით. მარკეტინგის მიქსის კონცეფციის რეგიონალურ მარკეტინგში გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობაა თანამედროვე საბაზრო ინსტრუმენტების გამოყენება რეგიონული განვითარების უზრუნველსაყოფად, რაც შეამცირებს სახელმწიფოს როლს ეკონომიკაში და დაამყარებს რეგიონული ეკონომიკის თვითრეგულირებას, რაც გაზრდის რეგიონული მართვის ეფექტურობა და ქვეყნის რეგიონების კონკურენტუნარიანობა გლობალურ დონეზე.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგული მიქსის კონცეფცია, რეგიონული მარკეტინგი, ტერიტორიული მარკეტინგი, მსოფლიო კონკურენცია.

Abstract. This article explores the feasibility of applying a marketing approach to regional management in a modern country. It defines the essence of territorial marketing and provides a detailed analysis of regional marketing and its distinct marketing mix elements, namely:

1. Regional product

2. Contractual policy
3. Communication policy

As a result of the research, the following conclusion can be drawn: the essence of the regional marketing mix concept lies in a systematic approach to marketing a region's territory. This involves structuring the elements of the regional marketing mix and developing them meticulously for effective implementation. The primary advantage of applying the marketing mix concept in regional marketing is the utilization of modern market instruments to drive regional development. This approach reduces the state's role in the economy, promotes self-regulation within the regional economy, enhances the efficiency of regional management, and strengthens the global competitiveness of the country's regions.

Keywords: marketing mix concept, regional marketing, territorial marketing, world competition.

საქართველოს საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელი
Credit portfolio of the Georgian banking sector

ნინო ხიდირბეგიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ფინანსების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ლაშა დემეტრაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორანტი,
Nino Khidirbegishvili
Georgian Technical University
Doctor of Finance, Associate Professor
Lasha Demetrashvili
Georgian Technical University
PhD Student

აბსტრაქტი. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა ვერ იარსებებს ეფექტური და განვითარებული საბანკო სისტემის გარეშე. საბანკო სექტორი არა მხოლოდ ფინანსური შუამავლის როლს ასრულებს, არამედ ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის საყრდენად გვევლინება. გარდა ამისა, საბანკო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საკრედიტო ოპერაციები, რომლებიც ეკონომიკაში ლიკვიდობის უზრუნველყოფისა და ბიზნესების მხარდაჭერის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად ითვლება.

საკვანძო სიტყვები: კომერციული ბანკები, საკრედიტო პორტფელი, მონაცემები, ზრდის ტემპი, რისკი, მოგება.

Abstract. The modern world economy cannot exist without an effective and developed banking system. The banking sector not only plays the role of a financial intermediary, but also serves as a pillar of the country's economic stability and growth. In addition, one of the important components of the banking system is credit operations, which are considered one of the main tools for ensuring liquidity in the economy and supporting businesses.

Keywords: Commercial banks, credit portfolio, data, growth rate, risk, profit.

ძირითადი ნაწილი. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში კომერციული ბანკების როლი საკმაოდ დიდია, რადგან ბანკი წარმოადგენს ძირითად რგოლს, რომელიც ამარაგებს ეროვნულ

ეკონომიკას დამატებითი ფულადი რესურსებით. ბანკები ყველაზე ახლოს არიან ბიზნესთან, მათ საჭიროებებთან და ცვალებად საბაზრო პირობებთან.

კომერციული ბანკის საკრედიტო ოპერაციებს უჭირავს საკვანძო ადგილი მისი ფინანსური შედეგების ფორმირებაში და არის მისი საქმიანობის საფუძველი.

საბანკო საქმიანობის ეფექტურობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც მაკრო, ისე მიკროეკონომიკურ დონეზე. საბანკო საქმიანობის დაბალ ეფექტურობას, როგორც წესი, თან ახლავს ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები. შეიძლება ითქვას, რომ საბანკო ორგანიზაციების ეფექტური საქმიანობა დაკავშირებულია ეროვნულ კეთილდღეობასთან.

ცხრილში მოცემულია 2020-2024 წლების დაკრედიტების მაჩვენებლები და სტრუქტურა, ძირითადი ტენდენციებით.

ქართული ბანკების საკრედიტო პორტფელი (2020–2024 წწ.)

წელი	საკრედიტო პორტფელის მოცულობა (მლრდ ლარი)	წლიური ზრდა, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე (%)
2020	38	9%
2021	43	18,2%
2022	45	13%
2023	52,9	16,6%
2024	62,5	17,1%

საქართველოს საბანკო სექტორში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფუნქციონირებდა 15 კომერციული ბანკი. აღნიშნულ წელს საქართველოს საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელი შეადგენდა 38 მლრდ ლარს, ხოლო მისი წლიური ზრდა კი 9% შეადგენდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე). წინა წელთან შედარებით 2020 წელს საქართველოს საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელის ხარისხი მკვეთრად გაუარესდა. აღნიშნული გამოწვეული იქნა COVID-19 პანდემიის დროს საკრედიტო პორტფელის რისკის ზრდით.

2021 წელს საქართველოს საბანკო სსექტორის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა მიაღწია 43 მილიარდ ლარს ხოლო მისმა წლიურმა ზრდამ 18.2% (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე). სეგმენტების ჭრილში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) შედგენილობაც. 2021 წელს ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების (რომლებსაც მიეკუთვნებიან უძრავი ქონების მენეჯმენტი, უძრავი ქონების დეველოპმენტი, რესტორნები და კვების ობიექტები, სასტუმროები და ტურიზმი, ავტოდილერები) ჯამურმა წილმა პორტფელში 18.1% შეადგინა, აღნიშნული კი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.1% ნაკლებია.

2022 წლის საბანკო სექტორის მთლიანი საკრედიტო პორტფელი შადგენდა 45 მილიარდ ლარს, მისი წლიური ზრდა კი 13% იყო (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე). 2021 წელთან შედარებით სეგმენტების ჭრილში მცირედით შეიცვალა საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) შედგენილობა. მთლიან პორტფელში გაიზარდა საცალო და მცირე და საშუალო სეგმენტების წილი, კორპორატიული სეგმენტის წილი კი შემცირდა. ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების (რომლებსაც მიეკუთვნებიან უძრავი ქონების მენეჯმენტი, უძრავი ქონების დეველოპმენტი, რესტორნები და კვების ობიექტები,

სასტუმროები და ტურიზმი, ავტოდილერები) ჯამურმა წილმა პორტფელში 16.6% შეადგინა, აღნიშნული კი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 1.5% ნაკლებია.

საბანკო სისტემის 2023 წლის მთლიანი საკრედიტო პორტფელი იყო 52.9 მილიარდი ლარი ხოლო მისი წლიური ზრდა 16.6 % იყო. მცირედით შეიცვალა საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) შედგენილობაც. აღნიშნული წლის განმავლობაში გაიზარდა კორპორატიული სეგმენტის წილი და შემცირდა საცალო და მცირე და საშუალო სეგმენტების წილი მთლიან პორტფელში. ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების (რომლებსაც მიეკუთვნებიან უძრავი ქონების მენეჯმენტი, უძრავი ქონების დეველოპმენტი, რესტორნები და კვების ობიექტები, სასტუმროები და ტურიზმი, ავტოდილერები) ჯამურმა წილმა პორტფელში 17.7% მიაღწია, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.1% მეტია. ასევე აღსანიშნავია, რომ გასულ წელთან შედარებით უფრო გაიზარდა საცალო პროდუქტების პორტფელის მოცულობა.

2024 წელს მთლიანი საკრედიტო პორტფელი შეადგენდა 62.5 მილიარდ ლარს ხოლო მისი წლიური ზრდა 17.1% იყო. მცირედით შეიცვალა საკრედიტო პორტფელის შედგენილობაც, მთლიან პორტფელში შემცირდა მიკრო და მცირე და საშუალო სეგმენტების წილი ხოლო კორპორატიული სეგმენტის წილი გაიზარდა. ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების (რომლებსაც მიეკუთვნებიან უძრავი ქონების მენეჯმენტი, უძრავი ქონების დეველოპმენტი, რესტორნები და კვების ობიექტები, სასტუმროები და ტურიზმი, ავტოდილერები) ჯამურმა წილმა პორტფელში შეადგინა 18.2%, რაც წინა წლის დეკემბრის თვის მაჩვენებელთან შედარებით 0.5% მეტია.



ბანკების რეიტინგი საკრედიტო პორტფელის ზომის მიხედვით 2024 წლის მდგომარეობით:

#	ბანკი	საკრედიტო პორტფელი 2024 წლის მდგომარეობით - მილიონი ლარი	ზრდა/კლება 2023 წელთან შედარებით
1	თი-ბი-სი ბანკი	24,518	15%
2	საქართველოს ბანკი	23,872	20%
3	ლიბერთი ბანკი	3,691	23%
4	ბაზის ბანკი	2,958	17%
5	კრედო ბანკი	2.543	26%
6	ქართუ ბანკი	1,126 მილიონი ლარი;	28%
7	პროკრედიტ ბანკი	1,342 მილიონი ლარი;	12%
8	ტერა ბანკი	1,439 მილიონი ლარი;	10%
9	ხალიკ ბანკი	773 მილიონი ლარი;	7%
10	პაშაბანკი	409 მილიონი ლარი;	16%
11	იშ ბანკ	325 მილიონი ლარი;	19%

12	ვი–თი–ბი ბანკი	195 მილიონი ლარი;	-7%
13	ზირაათ ბანკი	166 მილიონი ლარი;	25%
14	სილქ ბანკი	128 მილიონი ლარი;	125%
15	პეისერა	0 ლარი;	ბანკი სესხებს არ გასცემს
16	ჰეშბანკი	0 ლარი;	ბანკი სესხებს არ გასცემს
17	პეივბანკი	0 ლარი	ბანკი სესხებს არ გასცემს

ცხრილში ასახულია საქართველოს კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელები. 2024 წლის მონაცემებით კვლავ ლიდერობენ "თი ბი სი ბანკი" და "საქართველოს ბანკი". ქართულ საკრედიტო ბაზრზე თიბისი ბანკი ფლობს უმსხვილეს საკრედიტო პორტფელს, რომელიც შეადგენს 24,5 მილიარდ ლარს და 2023 წელთან შედარებით 3,2 მილიარდი ლარით არის გაზრდილი. თუ ვიმსჯელებთ საკრედიტო აქტივობის მიხედვით აქ ლიდერია "საქართველოის ბანკი", ვინაიდან მან საკრედიტო პორტფელი გაზარდა 4 მილიარდი ლარით და 2024 წლის მდგომარეობით აღნიშნული შეადგენს 23,9 მილიარდ ლარს.

ქართული ბანკების მოგება-ზარალი 2024 წლის განმავლობაში:

#	**ბანკი**	**წმინდა მოგება 2024 წელს მილიონი ლარი**	**ზრდა/კლება 2023 წელთან შედარებით**
1	საქართველოს ბანკი	1,504 მილიონი ლარი;	16%
2	თი–ბი–სი ბანკი	1,206 მილიონი ლარი;	12%
3	ლიბერთი ბანკი	104 მილიონი ლარი;	28%
4	ბაზის ბანკი	78 მილიონი ლარი;	9%
5	კრედო ბანკი	69 მილიონი ლარი;	76%
6	ქართუ ბანკი	36 მილიონი ლარი;	22%
7	პროკრედიტ ბანკი	32 მილიონი ლარი;	-26%
8	ტერა ბანკი	32 მილიონი ლარი;	4%
9	ხალიკ ბანკი	21 მილიონი ლარი;	2%
10	იშ ბანკ	12 მილიონი ლარი;	-28%
11	ვი–თი–ბი ბანკი	8 მილიონი ლარი;	4044%
12	პაშაბანკი	7 მილიონი ლარი;	329%
13	ზირაათ ბანკი	5 მილიონი ლარი;	-37%
14	პეისერა	-1 მილიონი ლარი;	ბანკი 2023-ში არ ოპერირებდა
15	პეივბანკი	-1 მილიონი ლარი;	ბანკი 2023-ში არ ოპერირებდა
16	ჰეშბანკი	-5 მილიონი ლარი;	ბანკი 2023-ში არ ოპერირებდა

17	სილქ ბანკი	-11 მილიონი ლარი;	ბანკი 2023-ში 7.5 მლნ ლარის ზარალზე იყო

ეროვნული ბანკისთვის წარდგენილი ფინანსური მაჩვენებლების თანახმად, წმინდა მოგების მხრივ პირველ ადგილზეა "საქართველოს ბანკი", რომელმაც 2024 წლის განმავლობაში 1.5 მილიარდი ლარის წმინდა მოგება გამოიმუშავა; მეორე პოზიციას 1.2 მილიარდი ლარით "თიბისი" იკავებს, მესამეზე კი "ლიბერთია" 104 მილიონი ლარის მოგების მაჩვენებლით.

სტატისტიკის თანახმად, 4 კომერციული ბანკი მოგების ნაცვლად ზარალზეა, მათ შორის ყველაზე დიდი 11 მილიონი ლარის ზარალი განიცადა "სილქ ბანკმა", ასევე ზარალზე არიან "ჰეშ ბანკი" 5.3 მილიონი ლარით, "პეივბანკი" 1 მილიონი ლარით და "პეისერა" 0.8 მილიონი ლარით.

დასკვნა

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს საბანკო სექტორმა აჩვენა სტაბილური ზრდა, განსაკუთრებით დაკრედიტების სეგმენტში. მიუხედავად გარე გამოწვევებისა, ინფლაციური ტალღების ჩათვლით, ქართულმა ბანკებმა შეძლეს სტაბილურობის შენარჩუნება და განაგრძეს საკრედიტო პორტფელის გაფართოება. ასევე აღსანიშნავია, რომ გაიზარდა ბანკების მოგება.

ბიბლიოგრაფია

1. https://nbg.gov.ge/publications/annual-reports
2. https://nbg.gov.ge/fm/%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98/2020/annual-report-2020-geo.pdf?v=0l8wv
3. https://nbg.gov.ge/fm/%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98/2021/annual-report-geo.pdf?v=gk99i
4. https://bm.ge/news/martshi-sabanko-seskhebis-motsulobam-gel63-miliards-miaghtsia
5. https://forbes.ge/2023-tsels-qarthulma-bankebma-2-7-mlrd-laris-mogeba-miighes/

Prospects for the development of rural tourism in Shida Kartli

Salome Surameli
Caucasus International University
Doctoral student of the Business Administration PhD program

Abstract. Shida Kartli, as the central region of Georgia, today faces many challenges in the economic and social development of its rural settlements. In many villages, agriculture is the primary source of income, yet the lack of market infrastructure, innovative technologies, and marketing tools limits both productivity and competitiveness. This is further compounded by acute infrastructural problems in the region—such as roads, water supply, and internet connectivity and a deficit in access to useful information and resources, all of which hinder the socio-economic progress of the local population.

In this context, the development of rural tourism can be considered the most promising instrument to combat poverty. Shida Kartli is endowed with rich historical and natural resources: Goriskhi Fortress, Uplistsikhe, Ateni Sioni, fruit orchards, vineyards, and more. With proper tourism planning and state support, it will become possible to create additional sources of income for rural residents, strengthen local businesses, and increase employment through ventures such as family-run hotels, agro-tourism experiences, wine tastings, and traditional craft workshops. The growth of rural tourism is expected to boost regional economic growth, secure local employment, enhance the overall well-being of the population, and, importantly for the region, address current demographic challenges (such as village depopulation, population decline, and the migration of young people to cities).

Beyond its economic benefits, tourism also contributes to the improvement of social aspects. The development of infrastructure, the organization of educational and cultural events, and interaction with international tourists all foster the activation of local communities. As a result, the population becomes more committed to the development of their area, and young people develop a more positive outlook on staying and participating in local development. In this way, rural tourism could evolve into a strategic impetus that alleviates the existing problems in the villages of Shida Kartli, improves the economic situation, and increases the region's popularity. Achieving this goal requires the joint collaboration of all stakeholders in tourism—including the government, municipal authorities, business providers, and the local population—as well as coordinated efforts to ensure the sustainable development of rural areas. Special attention should be given to the social initiatives of the local community and the motivational aspects of participating in the tourism business.

Keywords: agro-tourism, economy, poverty, government, region, strategic.

Introduction.

Georgia, distinguished by its cultural-historical diversity and natural resources, has long maintained significant tourism potential. However, traditional forms of tourism—such as seaside resorts, balneological spas, and visits to historical-architectural landmarks—are increasingly perceived as insufficient in promoting economic development in the regions. In many areas of Georgia, where local populations primarily engage in agriculture, interest from tourists could serve as a catalyst for economic diversification and new prospects for social development. Within this context, the region of Shida Kartli, located in central Georgia and historically rich in cultural heritage, agricultural traditions, and strategic location, stands out. Unfortunately, this area has yet to fully realize its socio-economic potential; rural areas often suffer from high unemployment, youth migration to cities, and low levels of well-being issues closely tied to the weaknesses in the agricultural sector.

One emerging opportunity gaining relevance is the development of rural tourism, which includes agrotourism and other activities that allow visitors to experience rural traditions, culture, lifestyle, and natural surroundings firsthand. Rural tourism brings a multitude of benefits: economically, it increases income, facilitates wealth distribution, and creates new jobs; socially, it activates the local population, offers young people more opportunities, supports community initiatives, and improves infrastructure. Additionally, it fosters environmental awareness, as green approaches, organic farming, and ecologically sustainable practices often gain popularity through agrotourism.

In Shida Kartli where agriculture has been the main source of family income for decades introducing agrotourism could serve as a bridge to modern transformation. Farmers could leverage new technologies and marketing strategies to produce high-quality goods while showcasing their cultural identity. Sites like Gori Fortress, Uplistsikhe, and Ateni Sioni are not only historic landmarks but could become integral parts of tourist routes that attract visitors from across Georgia and abroad. Achieving this requires improved

infrastructure at the municipal level, promotional efforts, and government-backed initiatives such as training programs, grants for new businesses, or support for small family-owned hotels.

Despite notable challenges such as poor road networks, limited access to clean drinking water, internet connectivity issues, and a general lack of market infrastructure—the agrotourism model can be introduced gradually. A coordinated policy is necessary to align central and municipal government programs, commercial banks, international organizations, and local producers. If well-planned, the region could establish conditions that balance tourism and agriculture, ultimately resolving deep-seated socio-economic problems.

Moreover, rural tourism inherently requires active involvement and initiative from local residents. They must see that tourists are attracted not only to historical monuments but also to their lifestyle, traditional crafts, culinary products, winemaking techniques, and natural beauty. A tourist product built around everyday life, traditions, and sincere hospitality tends to be far more appealing than artificial attractions. Therefore, it's essential to provide local residents with education, skill development, and awareness programs to help them plan high-quality services, meet hygiene and international standards, and present traditional elements effectively to both Georgian and international guests. Rural tourism should not be seen merely as an economic opportunity—it must serve a broader mission: strengthening local communities, preserving cultural identity, and balancing demographic pressures.

Thus, a well-structured model of rural tourism in Shida Kartli can become not only a guarantee of increased income for the local population but also a platform for social cohesion and cultural preservation. It would allow the region to present its unique traditions, natural beauty, and historical heritage to a global audience. To achieve this, collaborative efforts are needed: governments, municipalities, business providers, and local communities must act with a shared vision to make Shida Kartli a successful example of sustainable rural tourism development.

The Essence, Functions, and Objectives of Rural Tourism

Rural tourism is a form of tourism based directly on rural lifestyles, natural environments, and the diversity of local culture. These tours involve visitors directly in agricultural activities, traditional handicrafts, gastronomic events, and wine tastings. Agrotourism, ecotourism, cultural, and educational tours are all branches of rural tourism.

Shida Kartli, as a central region of Georgia, is notable for its historical and natural resources. It boasts well-developed viticulture, horticulture, and fruit processing industries, which enhance the diversity of its tourism products. The region's historic monuments—Gori Fortress, Uplistsikhe, and Ateni Sioni—add appeal for those interested in cultural-historical tours.

Rural tourism serves several key functions:

- **Economic**: Encourages local employment, creates additional income sources, and fosters small business development.
- **Social**: Helps prevent rural depopulation, encourages youth to return, and revitalizes local communities.
- **Cultural**: Promotes traditional crafts, folklore, and heritage, preserving rural identity.
- **Environmental**: Supports biodiversity and sustainable use of natural resources, particularly in ecotourism and organic farming contexts.

In Shida Kartli, the main objectives of rural tourism include improving tourism infrastructure to ensure quality services and comfort for visitors. This must be accompanied by effective marketing to help the region establish a presence in both local and international markets. Professional training, development

of qualified personnel, and encouragement of youth initiatives are also crucial for enhancing the region's competitiveness. Ultimately, rural tourism in Shida Kartli not only delivers economic benefits but also offers a balanced solution for social, cultural, and ecological challenges.

State Regulation of Rural Tourism Development. Rural tourism, relying on rural environments, culture, and ways of life, requires effective government regulation and policy for successful development. In recent years, Georgia has increasingly recognized rural tourism's role in economic, social, cultural, and environmental dimensions. Hence, it's essential for the government to establish a clearly defined strategy, legal framework, and incentives such as grants or tax relief that will support the sector's sustainable growth.

State regulation often begins with the adoption of a national strategy that defines goals, priorities, and activities to be implemented by various ministries, municipalities, and the private sector. Government decrees and laws reflect approaches adapted to the diverse nature of tourism: ecotourism, agrotourism, cultural tourism, and more. Crucially, rural tourism strategy should align with regional development plans, agricultural priorities, and environmental policies.

The legal framework addresses land ownership rules, business registration, tax incentives, hygiene standards, and consumer safety. For instance, licenses or permits might be introduced for rural tourism facilities, enabling state oversight. At the same time, financial tools such as low-interest loans, grants, or competitions should be developed to support rural entrepreneurs in launching family-run hotels, craft workshops, or wineries often constrained by a lack of initial investment.

Furthermore, the state should promote rural tourism education and service quality improvement. Specialized programs in hospitality, culinary arts, handicrafts, and nature tourism could be introduced through the Ministry of Education and vocational schools. Such policies simultaneously tackle unemployment and enhance service quality. Certification systems would help enforce standards and ensure customer satisfaction.

Regulation must not remain purely legislative it requires coordination among the central government, municipalities, and communities. Local residents must be involved in strategy development and implementation, as they possess the deepest knowledge of their villages' uniqueness. Public discussions, forums, and working meetings are valuable tools to bring together stakeholders: government agencies, private businesses, NGOs, and residents.

In conclusion, the state regulation of rural tourism encompasses not only formal legislation but also a systemic approach combining strategic vision, financial support, education, quality standards, and local participation. Sustainable development can only be achieved when rural tourism priorities align with national economic, social, and environmental goals. Such a comprehensive approach ensures that rural tourism becomes a driving force for regional growth and improved quality of life.

1. Foreign Experience in Rural Tourism Development

Rural tourism including agrotourism, ecotourism, and cultural-ethnographic tourism has become a vital economic, social, and cultural driver in many countries worldwide. Its success typically hinges on the unique natural resources, history, traditions of the region, and importantly, governmental support. International experience shows that rural tourism can positively impact local communities, help alleviate poverty, reduce migration trends, and create sustainable environments.

In Europe, one of the most notable examples is Italy's "Agriturismo" system, established in the 1960s and 70s. Agriculture has always played a central role in Italy's economy, yet rural populations faced increasing urban migration. In response, the Italian government enacted legal reforms offering farmers tax

benefits and investment grants for hosting tourists on their farms. Guests enjoy clean environments, organic food, and cultural experiences—from wine tastings to grape harvesting. This model contributed to regional development and diversified tourism offerings.

In France, state-level programs like “Bienvenue à la Ferme” ("Welcome to the Farm") unite hundreds of farms, agrotourism complexes, and recreational centers. Funded by the national government in collaboration with municipalities, these programs help farmers improve infrastructure and attract visitors. The initiative also supports the sale of local products meat, cheese, wine and includes educational spaces where tourists can learn about farming, attend workshops, and experience traditional practices.

Spain holds a significant place on the agrotourism map. In addition to the summer vacation season, the government promotes rural tourism year-round. There is strong regional differentiation: olive cultivation and tastings in Andalusia, wine tours in La Rioja, and hiking routes through medieval villages in Catalonia. Spanish authorities assist small-scale farmers with grants, tax breaks, online branding support, and improved tourism infrastructure.

Eastern Europe particularly Poland and the Czech Republic has seen rapid agrotourism growth over the past two decades. EU funding accelerated rural development by financing hotels, family guesthouses, and recreational facilities. In Poland, where agricultural traditions remain strong, the introduction of EU standards was followed by regional campaigns promoting local foods, traditional crafts, and ethnographic festivals. Associations like “Agroturystyka” were created to offer farmers guidance in branding, marketing, and tourism management standards.

Among Asian countries, Japan stands out. Concepts like “Minshuku” (family-run inns) and “Nohmin-kan” (farmhouses) give urban dwellers opportunities to rest in rural areas and immerse themselves in authentic culture. Rural tourism in Japan often integrates hot springs (onsen), traditional tea ceremonies, and participation in rice farming. The government enforces hygiene and safety standards but also offers financial subsidies to communities viewing agrotourism as a means of rural revitalization.

In the U.S., a prominent model is the “Farm Stay USA” network, which connects large and small farms. American agrotourism often includes value-added features like vineyards, orchards, livestock tours, or tasting rooms. In some states (e.g., California, Washington), farmers receive tax incentives for opening their lands to tourism. The “U-Pick” model is also popular, where visitors harvest their own produce for a fee, creating interactive, hands-on agricultural experiences.

In Latin America, countries like Argentina and Chile have developed agrotourism around vineyards and “estancias” (large farms). Governments invest in remote rural infrastructure roads, water systems to expand tourist routes. Activities linked to gaucho culture (horseback riding, grilled meat tastings) attract foreign tourists. In Colombia, coffee plantations have become part of national heritage, and tourists are offered immersive experiences in coffee production through government-supported programs.

Key Lessons from International Experience

Several core principles emerge from international practice:

- **Legal and economic mechanisms**: Governments, municipalities, and NGOs collaborate on strategies involving licensing, bank loans, grant competitions, and tax reliefs.
- **Infrastructure development**: Tourists need safe roads, comfortable accommodations, and service-ready environments.
- **Marketing**: Branding, online platforms, social media activity, and participation in international exhibitions are crucial.

- **Community benefit**: Locals are more motivated to adopt new ideas when they see increased income or entrepreneurial opportunities.

Although rural tourism models vary by country, successful examples share common traits: state support, financial incentives, strong marketing, infrastructure renewal, and active local involvement. These principles can serve as guiding tools for countries seeking to reduce unemployment, strengthen cultural identity, and develop sustainable economic models. With strategic planning, rural tourism can become not only a source of income but also a long-term catalyst for rural revitalization and community well-being.

Conclusion

Shida Kartli, a central region of Georgia, faces multiple critical challenges: underdeveloped infrastructure, youth migration, limited agricultural capabilities, and high rural poverty levels. Against this backdrop, rural tourism emerges as one of the most promising avenues for achieving economic, social, and cultural balance. It can simultaneously strengthen local farming enterprises, protect the environment, preserve cultural identity, and enhance population welfare.

Rural tourism encompasses agrotourism, ecotourism, cultural-ethnographic, and educational experiences tied to rural life. Agrotourism allows visitors to engage in farming activities from harvests to wine tastings. Ecotourism appeals to nature lovers through scenic trails and conservation activities. Cultural tourism offers exposure to folklore, crafts, and heritage, while educational tourism invites youth and adults to workshops and practical learning.

In Shida Kartli, rural tourism positively influences:

- **Socially**: Slows depopulation by creating jobs and encouraging youth to stay in villages. Residents become active in local initiatives and cultural projects.
- **Economically**: Brings new income through accommodations, food, tours, transport, and local products. Many families improve product quality and branding (e.g., wine, fruit) to enter international markets.
- **Culturally**: Revives traditions and handicrafts. Tourists' willingness to pay for authentic products motivates artisans to preserve and grow their skills.
- **Environmentally**: Promotes responsibility for natural resources. Popularity of ecotours and protected areas raises awareness and encourages biodiversity protection, forest conservation, and water preservation.

The state plays a vital role through systematic support licensing, legal frameworks, low-interest loans, grants, tax incentives, and infrastructure projects (roads, food venues, transport, internet). Professional schools and universities can prepare skilled workers in hospitality, tourism, language, and culinary arts to enhance service quality.

International experience shows that rural tourism thrives on five main pillars:

1. **Government and municipal support**
2. **Cooperation**
3. **Preservation of natural and cultural heritage**
4. **Education and retraining programs**
5. **Marketing and digital strategies**

In Shida Kartli, where poverty rates are high, rural tourism should be part of the broader poverty reduction strategy. Combining traditional agriculture with innovative practices can improve product quality and integrate services for tourists. Wine festivals, farmers' markets, ethnofestivals, and cultural

events can boost tourism and local economies—reducing the burden on cities and providing motivation for rural residents to stay and prosper.

Importantly, rural tourism also needs digital support. Most travelers rely on online platforms to plan trips. Tourism sites must have online visibility, easy booking systems, and virtual tours. Poor internet access in many Shida Kartli villages limits this potential, so investment in communication infrastructure is essential.

The ideal rural tourism model should not rest solely on economic profit—it must also serve social goals: empowering vulnerable groups (youth, elderly, people with disabilities), revitalizing communities, and creating equal opportunities. Regional governments and NGOs should develop projects that engage these groups—accessible trails, youth camps, stipends, or grants for village-based businesses. Just as in other countries, Shida Kartli's success depends on multi-level cooperation. Coordination among state, business, citizens, and civil society is key. Local residents must be involved at every stage, as they know best how to preserve authenticity while developing tourism.

Efforts must go beyond seasonal exhibitions and one-time events. What's needed is a dynamic, sustainable plan addressing transitional economic challenges.

The effective development of rural tourism in Shida Kartli is beneficial not only regionally but also nationally. Positioned in the heart of Georgia, the region intersects key transport routes making it accessible for organized tourist inflows if logistical infrastructure is developed (e.g., trains, buses, domestic flights). A well-functioning region can join a broader tourism corridor that includes Kakheti, Samtskhe-Javakheti, or Adjara. Such coordinated efforts will attract both domestic and international visitors.

Considering all this, rural tourism could become one of the most impactful solutions for reducing poverty, improving quality of life, addressing demographic stagnation, and preserving environmental values in Shida Kartli. It can counteract the negative effects of urban migration and provide rural communities with the foundation for innovation and progress. What's needed is a well-designed action plan, a supportive legal base, a favorable investment climate, and resolution of infrastructure challenges. Only then can Shida Kartli unlock its full potential and become a unique tourist destination—where rural life, culture, history, and modern development converge.

Bibliography

1. Ministry of Economy and Sustainable Development. Tourism Development Strategy of Georgia 2025. Tbilisi: National Tourism Administration.
2. UNWTO (World Tourism Organization) Guidelines for the Development of Ecotourism. Madrid:UNWTO.
3. Long, P. & Lane, B. . Rural Tourism Development. In B. Lane & G. K. Bramwell (Eds.), Tourism Collaboration and Partnerships: Politics, Practice and Sustainability
4. Statistical data on Tourism in Georgia. Retrieved from the National Tourism Administration of Georgia.https://gnta.ge
5. Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia.
6. State Programs for Agricultural Development.
7. FAO Agritourism and Rural Development: Best Practices from Eastern Europe
8. T. Abesadze - Organizing and Managing Tourism Business on Private Homesteads in Rural Areas.

9. Dashper, K. - "Rural Tourism AN INTERNATIONAL PERSPECTIVE".
10. Metreveli, M. "Current Situation in Tourism and Strategic Directions of Development".
11. Voloshinsky A. "Rural Tourism for All". GREEN CROSS SOCIETY.
12. Neumeier, S. Rural Tourism As Promoter Of Rural Development.

საქართველო აქ არის
Georgia is here

ლალი ოქროცვარიძე,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
ჯემალ სოლოღაშვილი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი
Lali Okrotsvaridze
Caucasus International University
Associate Professor, Faculty of Business,
Jemal Sologhashvili
Caucasus International University
Professor, Faculty of Medicine,

აბსტრაქტი. დღეს მსოფლიო ბაზარი საკმაოდაა გაჯერებული ტურისტული პროდუქტე-ბით. თითოეული ქვეყანა ცდილობს, უფრო მეტად დახვეწოს და ახლებურად წარმოაჩინოს საკუთარი ტურისტული შესაძლებლობები. რადგან ამ სფეროში კონკურენცია საკმაოდ სწრაფად მზარდი და დაუნდობელი გახდა, თანამედროვე ტურისტისათვის ერთი და იმავე პროდუქტის განმეორებით შეთავაზება არაეფექტურია, მისთვის ერთხელ უკვე ნანახი უინტერესო ხდება, თუ რამე განსაკუთ¬რე-ბულთან არ აქვს შეხება. მოგზაურისთვის ყოველ ჯერზე ხიბლავს განსხვავებული შეგრძნებები, ახალი შთაბეჭდილებები. ამიტომაც, რაც დრო გადის, მით უფრო გაძნელებულია „სტუმართა“ გულის მოგება. შესაბამისად, მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა ჩვენი ქვეყანა. დღევანდელი ტურისტი ნამდვილად არ ჰგავს 80-იანელებს, რომელთაც წინასწარ მკაცრად ჰქონდათ გაწერილი, სად და როგორ უნდა გაეტარებინათ დასვენების დღეები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოს, უმთავრესად, სტუმრობდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი 15 რესპუბლიკის წარმომადგენლები. სტატისტიკა გვაუწყებს, რომ მათი რიცხვი ხშირად 5 მლნ-მდე ადიოდა და ასეთ ვიზიტებსა თუ ტურებს რეგულარული ხასიათი ჰქონდა. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ბუნებრივ და კულტურულ-ისტორიულ პოტენციალს, მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს და არც უნდა შეგვეშინდეს კონკურენციისა, რადგან საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული რესურსის მარაგი გააჩნია, მისი ყველა „კუთხე“ სიურპრიზებით არის სავსე. აქ არსებული ბუნებრივი ლანდშაფტი, ბუნებისა და ანთროპოგენური ძეგლები უზა-დოდ მომხიბვლელია და ფრიად შთამბეჭდავი მნახველთა ფართო აუდიტორიისათვის.

ნაშრომის მიზანია, გამოვამზიუროთ და ჯეროვნად შევაფასოთ საქართველოს კიდევ ერთი ულამაზესი მხარე - დასავლეთ საქართველო (გურია, სამეგრელო, სვანეთი), მისი მატერიალური თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა და წარმოვაჩინოთ დღემდე ნაკლებად ცნობილი მისი „მარგალიტები“.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული პროდუქტი; კონკურენცია; ტურისტული რესურსი; მატერიალური თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა

Abstract. Today, the world market is quite saturated with tourist products. Each country is trying to refine and present its tourist opportunities further in a new way. Since competition in this field has become quite rapidly growing and ruthless, it is ineffective for a modern tourist to repeatedly offer the same product; what has already been seen once becomes uninteresting to him if it does not relate to something specific. A traveler is attracted to different sensations, new impressions every time. Therefore, as time goes by, it becomes more difficult to win the hearts of "guests". Accordingly, our country has faced many challenges. Today's tourist is not like the 80s, who had a strict plan in advance about where and how to spend their holidays. Interestingly, Georgia was mainly visited by representatives of the 15 republics that were part of the Soviet Union. Statistics tell us that their number often reached 5 million, and such visits or tours had a regular character. Let's take into account the natural and cultural-historical potential of Georgia. We should not be surprised and should not be afraid of competition, because Georgia has a fairly large reserve of tourist resources, every "corner" of it is full of surprises. The natural landscape, natural and anthropogenic monuments existing here are incredibly charming and very impressive for a wide audience of visitors.

The work aims to present and properly evaluate another beautiful part of Georgia - Western Georgia (Guria, Samegrelo, Svaneti), its material and non-material cultural heritage and to present its "pearls" that are still little known.

Key words: tourism product; competition; tourism resource; tangible or intangible cultural heritage

კაცობრიობამ განვითარების მრავალი ეტაპი გაიარა და თავისი განვითარების გზაზე სამყაროს მრავალი უნიკალური და ამოუცნობი ქმნილება დაუტოვა საჩუქრად. საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა მრავალი საზოგადოება, იქმნებოდა ახალი კულტურები და ამავდროულად მრავალი მათგანი ისე იკარგებოდა დროთა განმავლობაში, რომ ნაკვალევსაც კი არ ტოვებდა. მხოლოდ გამორჩეულთა ხვედრი იყო წარუშლელი მემკვიდრეობის შექმნა, რომელიც შეუმჩნეველი არ დარჩენია და არ დავიწყებია შემდგომ თაობებს. ასე, მაგალითად, დღემდე არ გამქრალა დიდი ინტერესი შუმერების, ფინიკიელების, კართაგენლების, ძველი ელადის, ეტრუსკთა ცხოვრების, რომის იმპერიის, ალექსანდრე მაკედონელის, რენესანსის პერიოდის და ა.შ. კულტურათა მიმართ. ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს, არა და სწორედ ეს დაუსრულებელი სიაა იმ ღირსშესანიშნაობებისა, დღეს ჩვენს ცხოვრებას რომ ახალისებს და ალამაზებს, სიცოცხლის სურვილს რომ გვაძლევს და სამყაროს შეცნობისკენ რომ გვიბიძგებს. რომ არა სამყაროს საოცრებანი, ჩვენი ცხოვრება უფერული და უინტერესო იქნებოდა. არც მოგზაურნი დაიღლიდნენ თავს ახალი აღმოჩენების ძიებით. სიცოცხლეა იქ, სადაც მოძრაობაა, მოძრაობა მოგზაურობაა და მოგზაურობა კი სამყაროს შეცნობაა...

საქართველო თავისი ისტორიითა და კულტურით საინტერესოა მრავალი ქვეყნისა და ხალხისთვის. მან მრავალჯერ აახმაურა მსოფლიო: არგონავტები... ოქროს საწმისი... დიდი აბრეშუმის გზა... სვეტიცხოველი... შოთა რუსთაველი... ქართული ვაზი... ღვინო... ეს მწირი ნაწილია საქართველოს ისტორიის. პატარაა საქართველო თავისი კულტურული ღირებულებებით ხშირად ტოლს არ დაუდებს მრავალ დიდ სახელმწიფოს. შორეული წარსულიდან მომავალი მისი ისტორია მსოფლიო ისტორიასთან ერთად იწერებოდა. უნიკალური იყო და არის მისი დამწერლობა, ცეკვა, სიმღერა, ტრადიციები...

ძველქართველური ტომების კულტურის ფორმირებაზე გავლენას ახდენდა ქვეყნის მდებარეობა და განლაგება. ის მოქცეული იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმდროინდელ ცივილიზაციებს შორის, სწორედ ამ პერიოდში ყალიბდებოდა ქრთველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურა. ურარტული, ხეთური და შუმერული კულტურების გავლენაზე მეტყველებს დღემდე შემონახული უამრავი ფაქტი.

ქართველი ერის საოცარი ისტორია, კულტურა და ტრადიციებია, ასე რომ იზიდავს თანა-მედროვე ადამიანებს, მოგზაურებს, ტურისტებს. თუ ფაქტობრივ სტატისტიკას გადავხედავთ, ტურისტული ნაკადების უდიდესი რაოდენობა.

ცხრილი 1

წელი	კვარტალი	თბილისი	აჭარა	იმერეთი	კახეთი	მცხეთა	სამეგრელო, ზ.	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	სხვა რეგიონები	სულ
2020	I	306.4	115.7	181.5	77.6	52.3	59.8	48.1	80.6	86.8	46.7	**1,055.4**
	II	139.0	78.1	131.3	66.7	65.0	50.7	20.5	41.5	54.3	37.2	**684.3**
	III	262.9	185.0	212.7	105.1	93.4	95.8	48.7	98.1	121.0	92.6	**1,315.2**
	IV	245.0	118.3	201.2	115.1	93.8	76.1	37.5	92.1	94.5	56.9	**1,130.4**
2021	I	262.0	141.0	210.0	101.7	103.4	76.5	52.8	127.3	114.8	47.1	**1,236.6**
	II	316.2	136.2	253.9	144.7	141.2	90.9	39.0	116.0	122.7	57.3	**1,418.1**
	III	306.6	224.9	280.3	123.8	141.9	95.7	68.2	107.6	124.4	104.9	**1,578.2**
	IV	315.6	152.4	223.3	107.4	146.7	110.0	55.9	118.4	135.8	63.6	**1,429.0**
2022	I	331.9	122.8	211.7	126.6	130.7	88.8	55.5	122.9	137.8	52.8	**1,381.6**
	II	296.6	130.9	240.6	113.2	105.2	99.4	44.0	100.2	84.7	71.0	**1,285.8**
	III	301.6	231.9	245.9	133.8	105.4	93.1	65.6	91.0	96.7	109.1	**1,474.1**
	IV	337.7	126.0	225.4	130.8	95.9	89.9	51.1	103.4	100.5	54.7	**1,315.6**
2023	I	372.0	146.7	293.2	114.6	94.4	89.7	72.6	120.3	99.2	57.5	**1,460.2**
	II	356.0	159.9	342.6	129.2	146.5	100.6	59.0	126.9	111.3	76.5	**1,608.5**
	III	364.3	227.1	368.7	149.6	120.2	122.4	80.0	121.0	121.8	106.5	**1,781.7**
	IV	380.4	132.1	365.9	137.8	99.8	112.4	74.7	110.3	109.7	60.4	**1,583.5**
2024	I	377.0	165.0	336.0	118.9	118.8	93.1	80.6	110.0	109.3	51.1	**1,559.8**
	II	379.4	168.7	373.9	147.3	141.7	109.4	67.8	117.5	126.9	77.4	**1,710.1**
	III	360.9	243.5	327.0	137.2	128.8	122.5	72.2	131.5	117.4	128.1	**1,769.0**
	IV	376.5	147.9	324.5	134.6	104.3	91.7	59.3	147.2	94.8	66.4	**1,547.2**

2020-2024 წლებში 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით, რიცხვები გამოსახულია ათასეულებში.

დედაქალაქის შემდეგ მიმართულია დასავლეთ საქართველოსკენ (ცხრილი 1). სწორედ აქ არის ქართული სულის გამოძახილიც საქართველოს მარგალიტების სახით - აჭარა და აფხაზეთი, თავისი უნიკალური პლაჟებითა და ღირსშესანიშნაობებით, განუმეორებელი ლანდშაფტით, რომლებიც წლის ნებისმიერ სეზონზე ყოველთვის საოცნებო მხარეებს წარმოადგენდა თავისი სუბტროპიკული კლიმატით. დღეს-დღეობით აფხაზეთი ქართველი კაცისთვის შორეულ ოცნებად არის ქცეული.

დასავლეთ საქართველო ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზეს ნაწილად არის მიჩნეული. არცაა გასაკვირი, ამ თვალსაზრისს ხომ თავისი არგუმენტი უდევს საფუძვლად, ეს ხომ საქართველოს ულამაზესი სანახაობებით მოფენილი მხარეა. ძნელია, გაუძლოს კაცმა ცდუნებას და გულგრილი დარჩეს, როდესაც საუბარია სვანეთის ცამდე აღმართულ მწვერვალებსა და კოშკებზე. ყველაზე მეტი სვანური კოშკი უშგულის თემის სოფლებიდან ჩაჟაშია შემორჩენილი, რომელიც დღეს მუზეუმად გამოცხადებული. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში დაცული ეს კომპ-

ლექსი აერთიანებს 13 კოშკს, 4 ციხე-სახლს, 21 მაჩუბს, 11 ხალხურ საცხოვრებელსა და 1 ათეულზე მეტ დამხმარე ნაგებობას. სვანური ტრადიციები, სიმღერები, ნადირობის რიტუალები, მათი ცხოვრების წესი და დამოკიდებულება ქვეყნისადმი, უსაზღვროდ დიდ პატივისცემას იმსახურებს. ჩვენი თვალსაზრისით, მათ ქვეყნის მემატიანეებისა და საგანძურის მცველების სტატუსი აქვთ მორგებული. მათ ჩვენი



სურ.1. ჩაჟაშის ხედი

ისტორიის სინამდვილის მრავალი დამადასტურებელი დოკუმენტი და ნივთი შემოინახეს დღევანდლამდე და კიდევ მრავალის საიმედო მცველნი არიან, რაც ყველას არ ძალუძს.

როდესაც სვანეთზე ვსაუბრობთ, ასევე, მხედველობაში გვაქვს: სვანური სამზარეულო – ფეტვიანი ხაჭაპურის, კუბდარის, სვანური მარილისა და თაშმჯაბის დამზადების ტრადიციული მეთოდი; სამკურნალო – მინერალური, მჟავე წყლების: მუგვირი, არცხეელი, კახრლდ, ლეგაბ, სეტის, კვედილაშის და შდეგის გამოყენების ტრადიცია; ხეზე კვეთის ტრადიცია – ორნამენტი სვანურ ტრადიციულ საცხოვრისსა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებში, რაც კიდევ უფრო მეტ იდუმალებას მატებს მთის შვილთა ცხოვრებას, ასევე, სვანური ხალხური საკრავის „ჩანგის“, “ჭუნირის” დამზადების ტრადიციული მეთოდი; სვანური ქუდის დამზადების ტექნოლოგია და სხვა მრავალი...

ამ ხალხის თუნდაც ერთი „შემოძახილი“ დიდ ემოციებთანაა დაკავშირებული, ტანში ჟრუანტელს იწვევს და შორეულ წარსულს აცოცხლებს, მსმენელს აკრთობს და აკვირვებს ამ ხმათა ძალა, რომელიც თითქოს მწვერვალთა გამოძახილია...

„სვანური ზარი“ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ერთეულია, რომელიც ჯერ კიდევ, თანამედროვე ყოფაში გვხვდება. არსებობენ მისი ცოცხალი შემსრულებლები, თუმცა შესაძლებელია, გაქრობის საფრთხე დაემუქროს, ამიტომ პრევენციული ზომების გასატარებლად „სვანურ ზარს“ არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ეს გულისხმობს მის იდენტიფიკაციას, დოკუმენტირებას, კვლევას, დაცვას, აღორძინებას, ფორმალური და არაფორმალური განათლების მეშვეობით ახალგაზრდა თაობისათვის მის გადაცემას, საერთაშორისო მასშტაბით მის პოპულარიზაციას. (თ. მიბჩუანი, თბ. 1989)

“ლილე ის დიადი ჰიმნია, რომელიც უხსოვარი დროიდან უცვლელად ჟღერს, მისი ინტონაცია, მისი ჟღერადობა, არამიწიერი ჰანგი, სულ რაღაც რამდენიმე წინადადებით გამოხატული, ნებისმიერ მსმენელში მსოფლიოს მასშტაბით მოწიწებას, აღტაცებას, თაყვანისცემას იწვევს. ყოველ მოსმენაზე ლილეს ჰანგები ქართველს არწმუნებს, რომ ღმერთი არსებობს“. (გ. გურჩიანი, თბ. 2022)

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ანზორ ერქომაიშვილი წერდა: “ისე არაფერი ინახავს მამა-პაპურ ტრადიციებსა და ქართულ სულს, როგორც სიმღერა“...

მართლაც ასეა, ქართველი კაცის სიმღერაშია ჩადებული მისი სულის გამოძახილი - ტკივილიც და ზეიმიც. სიმღერა ჭირისა და ლხინის შემამკობელი ატრიბუტია.

სვანეთის მედიდურობას შუქს მატებს სამეგრელოს იშვიათი სიმდიდრის ბუნება, ულამაზესი კანიონები, მეგრული ნანა, თვალში საცემი უზადოდ მოწესრიგებული კარ-მიდამო და გამორჩეული სამზარეულო...

ქვეყნის ამ ნაწილში რაც შენდებოდა, ყველაფერს თავისი დანიშნულება და ხიბლი ჰქონდა. მე-17 საუკუნის რუხის ციხის დაარსების მთავარი არსი და მიზანიც მისი სტრატეგიული დანიშნულებით გამოყენება იყო. საქართველოს ამ ნაწილში ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან იწყება ცხოვრება. ნოქალაქევი და ციხე გოჯი დღეს მრავლისმთქმელია. მას არქეოპოლისის სახელითაც კი იხსენიებდნენ და IV-VIII საუკუნეებში ეგრისის სამეფოს დედაქალაქიც კი იყო. სწორედ ნოქალაქევს უკავშირდება არგონავტებისა და ოქროს საწმისის მითი. უძველესი დროიდან მეცნიერება, განსაკუთრებით, მედიცინა საკმაოდ მაღალ საფეხურზე იყო ასული. ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები გვიყვება იმდროინდელ ცხოვრებასა და კულტურაზე, რაოდენ გასაკვირია, როდესაც ვხვდებით ცენტრალური გათბობის სიტემას, რომ არაფერი ვთქვათ კერამიკულ და ოქროს და ბრინჯაოს ნივთეზე.

ისტორიის მამის, სამეცნიერო დისციპლინის - ისტორიის დამფუძნებლის ჰეროდოტეს ცნობები კოლხეთის შესახებ საკმაოდ საინტერესოა. ქრისტეს შობამდე მე-5 საუკუნეში, შავიზღვისპირეთში მოგზაურობის საფუძველზე აღწერა რა მრავალი ისტორიული ფაქტი, მოგვაწოდა ინფორმაცია კოლხების და საერთოდ, კოლხეთის ვინაობის და რაობის შესახებ: „მაგრამ ცხადია, რომ კოლხები ეგვიპტელები არიან. ამას მე თვითონ მივხვდი იმაზე უწინ, ვიდრე სხვათაგან მოვისმენდი და ისე ვიტყოდი. და რადგანაც ამას ვფიქრობდი, შევეკითხე ორივეს, კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები. ეგვიპტელები ამბობენ, რომ მათი აზრით სესოსტრისის ლაშქრიდან არიან კოლხები და მე თვითონაც ასევე მეჩვენებოდა, რადგან კოლხები შავგვრემნები არიან და ხუჭუჭთმიანები (მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან სხვებიც არიან ასეთები), მაგრამ ამასთანავე და უფრო მეტად ამას მოწმობს ის, რომ ყველა ხალხთაგან მხოლოდ კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპელები არიან, რომლებიც თავიდანვე აწარმოებენ წინადაცვეთას. (წიგნი - II , ჰეროდოტე)

კიდევ სხვა რამის თქმაც შემიძლია კოლხების შესახებ, რითაც ისინი ეგვიპტელების მსგავსნი არიან. მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად; მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის. კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს კი - ეგვიპტურს.(წიგნი - II , ჰეროდოტე)

დღევანდელობაში თუ გადმოვინაცვლებთ, გაწბილებულნი არ დავრჩებით, სანახაობა, რასაც გვთავაზობს სამეგრელო, ღრმად ჯდება ადამიანის გონებასა და სულში. დღესაც მედიდურად გამოიყურება მრავალი საიდუმლოს და სიწმინდის შემნახველი დადიანების სასახლის კედლები. როცა ადამიანი უღრმავდება მის დეტალებს, კიდევ ერთხელ ხდება უნებლიე მოწმე ქართველი კაცის უზადო ნიჭიერებისა და შესაძლებლობების. „ამჟამად, დადიანების სასახლე-მუზეუმში 40000-ზე მეტი ექსპონატი ინახება. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ღვთისმშობლის კვართი, ნაპოლეონ ბონაპარტის ნიღაბი, შამილის ხმალი, XVIII-XX სს-ის ევროპელ და ქართველ მხატვართა კოლექციები. მუზეუმის ოქროს ფონდში დაცულია ანტიკური და შუა საუკუნეების ოქრომჭედლობის ნამუშევრები: ეროვნული (ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული XIX საუკუნის დასასრულის დადიანების მემორიალური ნივთებით ჩათვლით) და ევროპული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები.(თ. მიბჩუანი, თბ. 1989)



სურ. 2. დადიანების სასახლე

დადიანების სასახლის მახლობლად შეიძლება XIX საუკუნის ბოტანიკური ბაღის მონახულება, რომელიც დავით დადიანისა და მისი მეუღლის, ეკატერინე ჭაჭავაძე-დადიანის ინიციატივით გაშენდა. აქ 500-ზე მეტი სახეობის იაპონიის, ინდოეთის, ამერიკის, ხმელთაშუაზღვისპირეთის და სხვა ადგილებიდან შემოტანილი რელიქტური და ენდემური ჯიშის მცენარეებია. ასევე, შეიძლება 300-მდე ახალი ხე-მცენარეების დათვალიერებაც და ნავით გაისეირნება. გარე განათებები და კეთილმოწყობილი ბილიკები განახლებული ადმინისტრაციის შენობასა და ორანჟერიისკენ გვიკვალავს გზას.

ბაღის სარეკონსტრუქციო სამუშაოები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.

ასევე, განხორციელდა ნიკო დადიანის სასახლის სრული რესტავრაცია 2016-2019 წლებში ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით.

აღსანიშნავია, რომ ნიკო დადიანის სასახლეში განხორციელებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ, 2021 წელს კულტურის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით გაიხსნა ახალი საგამოფენო და საგანმანათლებლო სივრცეები, ხოლო ეკატერინეს სასახლეში – ახალი გამოფენა, რომელზეც ექსპონატების უმეტესობა პირველად იყო წარმოდგენილი.(https://sputnik-georgia.com)

მარტვილის მუნიციპალიტეტში დადიანების საზაფხულო რეზიდენციაში მდებარეობს 2400 მ სიგრძის მარტვილის კანიონი, რომელსაც ქვით აშენებული 700 მ სიგრძის წრიული საფეხმავლო ბილიკი გასდევს. კანიონის შუა წელში წარმოშობილი 12-15 მეტრიანი ჩანჩქერები დაუვიწყარ სანახაობას წარმოადგენს.



სურ. 3. მარტვილის კანიონი

დიდ აღტაცებას იწვევს ე.წ. “დადიანების საბანაო“. მიუხედავად იმისა, რომ ტურები ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში, მაინც აქტიურ სეზონს წარმოადგენს აპრილიდან ოქტომბრამდე პერიოდი. აქ უსაფრთხოების ნორმების დაცვა აუცილებელია, სანაოსნო მონაკვეთზე გასვლა წვიმასა და თოვლში აკრძალულია წყლის დონის სწრაფი მატების გამო.

კოლხეთის ეროვნული პარკი დასავლეთ საქართველოს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილია, მისი შექმნის მიზნიდან გამომდინარე, კოლხეთის დაბლობისათვის რელიქტური ველური ფლორისა და ფაუნის მთლიანი კომპლექსის დაცვის თვალსაზრისით. სხვადასხვა ტიპის ლანდშაფტებს, ეკოსისტემებს და ცენოზებს ქვეყნისთვის დიდი ისტორიული და სამეცნიერო-კვლევითი

მნიშვნელობა აქვს. კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს პალიასტომის ტბაც. ტბამ, რომელიც ოდესღაც შავ ზღვას ეკუთვნოდა, დროთა განმავლობაში ზღვის უბის ამოვსების გამო ზღვასთან კავშირი გაწყვიტა. ნავით გასეირნებისას თვალწინ ულამაზესი სანახაობა იშლება მეორადი ნოტიო მდელოების, სამეფო გვიმრების ხშირი საფარის და ლელქაშის მაღალი გაუვალი რაყების სახით.

სამეგრელოს არც გურია ჩამორჩება, ულამაზესი მთებითა და ზღვის მადლიანი, მაგნიტური თვისებების მქონე ქვიშით მდიდარი ურეკის სანაპიროებით. ზღვის ჰავა და სილიანი პლაჟი სასარგებლოა ნევროზის, სუნთქვის ორგანოების, გულ-სისლძარღვთა სისტემის და საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოებისათვის. ზღვის სიღრმე ურეკის სანაპიროზე განსაკუთრებით ხელსაყრელია ბავშვების ბანაობისთვის.



სურ. 4. ბახმაროს კურორტი

ზღვის დონიდან 1926-2050 მეტრზე ქვაბულში მდებარე ბახმარო, რომელსაც 1923 წელს ოფიციალურად მიენიჭა კურორტის სტატუსი, სოჭისა და ნაძვის სურნელით გაჯერებული და ფიტონციდებით გამდიდრე-ბული, მნიშვნელოვნად ზრდის კურორტის სამკურნალო ეფექტს.

ბახმარო მთა კლიმატური კურორტია, პროფილაქტიკური და პულმონოლოგიური პროფილით. სამედიცინო ჩვენება: სუნთქვის ორგანოთა არატუბერკულოზური დაავადებები, სისხლნაკლებობა, ლიმფადენიტი, ნევრასთენია, თუმცა კურორტი სეზონურია. ოქტომბრიდან მაისამდე ბახმაროს გზა თოვლის გამო იკეტება.

სეზონის დასრულება აღინიშნება 19 აგვისტოს - ფერისცვალების დღესასწაულით, ამ დროს, ბახმაროში ყოველწლიურად იმართება დოღი და სხვა სადღესასწაულო ღონისძიებები. პოპულარული ადგილებია მზის „ამოსავალი“ (მთა გადრეკილი) და „ჩასავალი გორები“ (მთა საქასარია), საიდანაც დამსვენებლები მზის ამოსვლასა და ჩასვლას აკვირდებიან.

და ეს ყველაფერი არის როგორც ზღვაში წვეთი, საქართველოს ყოველი კუთხე განსაკუთრებულია და განუმეორებელი, ერთ დიდ მთლიანობაში კი „სამყაროს გულია“. სამწუხაროდ, ამის დანახვა მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ.

ვსაუბრობთ რა ამ საკითხებზე, სურვილი გვიჩნდება სამყაროს დავანახვოთ და კიდევ ერთხელ ვაუწყოთ, რომ ქართველი ადამიანი შემოქმედია, ის არსებობს, ცოცხლობს, ქმნის... რთულ პერიოდებშიც კი ახსოვს, რომ „არსება მისი გრძელია“ და შემოქმედებითად დამუხტული, რომ ამ მუხტის ძალა დიდია და შეუჩერებელი, ქართველი ხალხის ისტორია კი ამოუწურავი - Homo erectus -დან მოყოლებული და შორს მიმავალი...(V. Japaridze, G. Bosinski.. , Jahrgang, 1989)

ღრმად გვწამს, რომ დროთა განმავლობაში საქართველო და ქართველი ხალხის ღვთიური ნიჭიერება, შემოქმედებითი საქმიანობა, კულტურა, ტრადიციები კიდევ უფრო საყურადღებო შეიქმნება ცივილიზებული მსოფლიოსათვის, არსებულ სიკეთეებს შეემატება მეტი თვალსაჩინოება და ჯეროვნად დაფასდება როგორც ჩვენი მომავალი თაობებისაგან, ისე უცხოეთის ქვეყნების მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/101/shida-turizmi
2. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თეიმურაზ მიბჩუანი, თბ. 1989
3. სვანური მუსიკალური ფოლკლორი ეთნომუსიკალურ ასპექტში, გურგენ გურჩიანი, თბ. 2022, გვ.150
4. სვანური ზარი არ უნდა დაიკარგოს, **მაკა ქურდიანი, თბ. 2021**
5. „ისტორია“. წიგნი - II , ჰეროდოტე, თავი 104, 105,
6. 10 საუკეთესო ადგილი სამეგრელოში, მარიამ ღლონტი, თბ. 2021
7. https://sputnik-georgia.com/20221129/dadianebis-sasaxles-restavracia-chautardeba-272551193.html
8. V. Japaridze, G. Bosinski, T. Bugianašvili, L. Gabunia, A. Justus, N. Klopotovskaja, E. Kvavadze, D. Lordkipanidze, G. Majsuradze, N. Mgeladze, M. Nioradze, E. Pavlenišvili, H.-U. Scmincke, Dž. Sologašvili, D. Tušabramišvili, M. Tvalčrelidze, A. Vekua. Der altpalaolithische Fundpiatz Dmanisi in Georgien (Kaukasus). *Jahrbuch des Römisch-Germanischen Zent.* Mainz, 36, Jahrgang, 1989.

ტურიზმის სტატისტიკის ატქუალური საკითხები საქართველოში
Current issues of tourism statistics in Georgia

ნონა ახვლედიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი
ივლია ონიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკის დეპარტამენტის ასოც.პროფესორი
მარიამი ახვლედიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის მაგისტრი
Nona Akhvlediani
Assosiated Professor of Economic
Department of the Akaki Cereteli Qutaisi State University
Ivlia Oniani
Assosiated Professor of Economic
Department of the Akaki Cereteli Qutaisi State University
Mariami Akhvlediani
Akaki Tsereteli State University
Master of Department of business administration

ანოტაცია. საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა ევროპასა და აზიას შორის იწვევს ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმის პრივილეგირებულ მნიშვნელობას და წარმოადგენს მის მამოძრავებელ ძალას. ტურიზმის სტატისტიკის მონაცემების განახლებას აქტიურად ახორციელებს საქართველოს სტატისტიკის

სამსახური, რომლის მიხედვითაც 2024 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების რაოდენობამ 7,4 მილიონს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 4,2%-ით გაიზარდა.

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით მზარდი მაჩვენებელია არარეზიდენტი ტურისტებისგან საქართველოში გაწეული ფინანსური ხარჯების მხრივაც, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის ბიუჯეტის ზრდაზე. მოცემული მაჩვენებელი 2024 წელს 2023 წელთან შედარებით დაახლოებით 10%-ით გაიზარდა და რეკორდულ ნიშნულს მიაღწია -4,7 მილიარდს.

განვითარდა ვიზიტორების დემოგრაფიული პროფილიც. 2024 წლის მეოთხე კვარტალში ვიზიტორთა 48% წარმოადგენდა 31-50-იან ასაკობრივ ჯგუფს. მოცემული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საზღვარგარეთ გამგზავრებული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა ბოლო ორი წლის განმავლობაში თითქმის იდენტურია და იმ ძირითად ქვეყნებს, სადაც ისინი მიემგზავრებიან რუსეთი და თურქეთი წარმოადგენს. რაც შეეხება იმ ადამიანების რაოდენობას, რომლებიც ეკონომიკური ან პროფესული საქმიანობის მიზნით ტოვებდნენ ქვეყანას, საქართველოს სტატისტიკური სამსახურის კვლევების მიხედვით, 17%-ით შემცირდა და დაახლოებით 2024 წლის ბოლოს მათი რაოდენობა 78 ათასია.

ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად სახელმწიფო აქტიურად ცდილობს გააუმჯობესოს ტურისტული ინფრასტრუქურები, რაც მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერებას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესებას და საკრუიზო პორტების განვითარებას. თუმცა, გეოპოლიტიკური დაძაბულობიდან გამომდინარე არსებობს გარკვეული ტიპის საფრთხეები, რამაც შეიძლება გარკვეულწილად შეაფერხოს არარეზიდენტი ტურისტების სტუმრობა ქვეყანაში. საქართველოში ტურიზმის გრძელვადიანი მდგრადობისთვის აუცილებელია საქართველოს უნიკალური ლანდშაპტების და კულტურული ადგილების შენარჩუნების უზრუნველყოფა და ქვეყანაში არსებული ინფრასტრუქტურის საერთოშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

Abstract. Georgia's strategic location between Europe and Asia gives tourism a privileged position in the country's economy and is its driving force. Tourism statistics are actively updated by the Georgian Statistical Service, According to which, the number of international non-resident travelers arriving in Georgia in 2024 reached 7.4 million, an increase of 4.2% compared to the previous year.

According to research conducted by the Georgian Statistical Service, there is also a growing indicator in terms of financial expenditures made in Georgia by non-resident tourists. Which directly affects the growth of the country's budget. This indicator increased by approximately 10% in 2024 compared to 2023 and reached a record level of -4.7 billion.

The demographic profile of visitors has also evolved. In the fourth quarter of 2024, 48% of visitors were in the 31-50 age group. Based on these studies, we can conclude that The number of Georgian citizens traveling abroad has been almost identical over the past two years, and the main countries they travel to are Russia and Turkey. As for the number of people leaving the country for economic or professional purposes, according to research by the Statistical Service of Georgia, it decreased by 17% and by the end of 2024 their number was approximately 78 thousand.

To promote tourism development, the state is actively trying to improve tourism infrastructure, which includes strengthening international relations, improving public transportation, and developing cruise ports. However, due to geopolitical tensions, there are certain types of threats that may somewhat hinder non-resident tourists from visiting the country. For the long-term sustainability of tourism in Georgia, it is essential to ensure the preservation of Georgia's unique landscapes and cultural sites and to bring the country's existing infrastructure into line with international standards.

ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი სეგმენტია. საქართველო მისი უნიკალური ბუნებიდან გამომდინარე კურორტებით უმდიდრესი ქვეყანაა და მიეკუთნება იმ ქვეყანათა რიცხვს სადაც უამრავი რამის ნახვა შეუძლია ტურისტს: მრავალფეროვანი ბუნება, კურორტები და მინერალური წყლები, მრავალრიცხოვანი ისტორიული ძეგლები, ფოლკლორი, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა და ა.შ. ტურიზმს დღეისათვის მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ეს არა მხოლოდ პირდაპირი გაგებით იძლევა მნიშვნელოვან შემოსავალს ქვეყნისათვის, არამედ, დამატებით კიდევ არა ერთ დადებით შედეგს განაპირობებს, მათ შორის ინფრასტრუქტურულ განვითარებას, ტურიზმის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ბიზნესის სხვადასხვა სფეროების განვითარებას და შესაბამისად მოსახლეობის დასაქმების ზრდას, ქვეყნისათვის დამახასიათებელი და მისი წარმოჩენისათვის სასარგებლო ადგილობრივი კულტურულ–ისტორიული ტრადიციებისა,

არაფორმალური და ფორმალური კავშირების ჩამოყალიბებას სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან, რაც თავის მხრივ ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის გარანტიაა, აუმჯობესებს ქვეყნის იმიჯს საერთაშორისო არენაზე და ა.შ. დღესდღეობით ძირითადი აქცენტი გადატანილია უცხოეთიდან ტურისტების მოზიდვაზე, თუმცა შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ დასასვენებლად წასული ჩვენი მოქალაქეების რიცხვი არანაკლებია. რეალურად საქართველოდან ფინანსური რესურსები მხოლოდ იმიტომ გაედინება, რომ არ შეგვიძლია უზრუნველვყოთ საკუთარი მოქალაქეები კონკურენტული, მაღალხარისხიანი ტურისტული მომსახურებით და მისაღები ფასებით (მაგალითად, ანტალიაში უფრო იაფად და უკეთესად დაისვენებ, ვიდრე ბათუმში). ცხადია ზოგადად მდგომარეობის გაუმჯობესება ტურისტულ ბიზნესში ხელს შეუწყობს ამ თანხების ისევ საქართველოში დარჩენას. ღვინის ტურიზმი ეს ალბათ ის განსაკუთრებით სპეციფიური სახეობაა ტურიზმისა, რომელზეც საქართველომ აქცენტირება უნდა მოახდინოს და საკმაოდ დიდი ნიშა შეუძლია მოიპოვოს მსოფლიო ბაზარზე. სარეკლამო კამპანიებში ფოკუსირება უნდა მოხდეს იმაზე, რომ საქართველო ითვლება ღვინის სამშობლოდ და აქ 500–ზე მეტი ენდემური ჯიშის ყურძენი არსებობს. ცხადია ღვინო უნდა იყოს ამ ტურიზმის არსის ძირითადი ღერძი, თუმცა ჰარმონიულად შეიძლება პარალელურად სხვა აქცენტების გაძლიერებაც – ადგილობრივი კულტურა და ტრადიციები, ეკოტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი და ა.შ. საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, უმასპინძლა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ღვინის ტურიზმის პირველ გლობალურ კონფერენციას. ღონისძიებას 240-ზე მეტი მონაწილე ესწრებოდა, რომლებიც 40-ზე მეტ ქვეყანას წარმოადგენდნენ (130-ზე მეტი ორგანიზაცია), მათ შორის, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური-მდივანი ტალიბ რიფაი. მისი თქმით - „საქართველო ესაა ქვეყანა, რომელსაც ნებისმიერი ადამიანი, ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა ესტუმროს. საქართველო ძალიან ლამაზია არა მხოლოდ თავისი ბუნებით, მთებით, მისი 8 ათასწლიანი ღვინის ისტორიით და ულამაზესი ხალხით, არამედ, ის ყველაზე სტუმართმოყვარე, ყველაზე ცოცხალი ერია მსოფლიოში. ეს სწორედ ის ადგილია, რომელსაც თამამად შეგვიძლია ღვინის აკვანი ვუწოდოთ. ღვინო სწორედ აქ იღებს სათავეს. საქართველო არის ღვინის ყველა მწარმოებლის მიერ მოსანახულებელი ადგილი. მას ღვინის წარმოების 8-ათასწლიანი ისტორიაა აქვს.“ კონფერენციის ფარგლებში გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ დაამტკიცა „საქართველოს დეკლარაცია ღვინის ტურიზმის შესახებ“, დოკუმენტი ასახავს ღვინის ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპებს, სექტორის ხედვასა და მიმართულებებს.

საქართველოსთვის ეკონომიკური თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია გურმანთა ტურიზმი, ეთნო, ეკო, კულტურული, რელიგიური და პილიგრიმული, შემოქმედებით ტურები. საქართველო ერთ-ერთი უძველესი ავტოკეფალური ქრისტიანული ქვეყანაა, სადაც მრავალი საუკუნის წინ აშენებულ ეკლესია-მონასტრებსა და სალოცავებში არა ერთი მნიშვნელოვანი სიწმინდე ინახება, სათამაშო ტურიზმი, ერთი პერიოდი აქტიურად განიხილებოდა წყალტუბოში ლას–ვეგასის ტიპის სამორინეთა კომპლექსის ჩამოყალიბების საკითხი, თუმცა წინსვლა უმნიშვნელოა, ვინაიდან სათამაშო კომპლექსი მხოლოდ სამორინეს არ გულისხმობს, მას სერიოზული თანმხლები დასასვენებელ–გასართობი ინფრასტრუქტურა უნდა ახლდეს, რასაც სოლიდური ინვესტიციები სჭირდება და ამ ეტაპზე ნოლიდან დაწყება არავისათვის არ იქნება მიმზიდველი, ბიზნეს და პროფესიული ტურები საქართველოს ეკონომიკური წინსვლისა და ინვესტიციების მოზიდვის გააქტიურებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება.

ამ მიმართულების განვითარებისათვის ძალზედ აქტუალურია საერთაშორისო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, გამოფენების და ა.შ. მოწყობა, განსაკუთრებით, თუ მათ პერიოდული და ტრადიციული ხასიათი მიეცემა, რაც გაზრდის პრესტიჟს და სულ უფრო მეტ და სერიოზულ მონაწილეს მოიზიდავს. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომხმარებლებისათვის ავიატრანსპორტით

სარგებლობის გაადვილებას და გაიაფებას – ინფრასტრუქტურის და მომსახურების ხარისხის განვითარების ყველა ასპექტში. მსოფლიო ექსპორტში ტურიზმს უჭირავს მესამე ადგილი ნავთობისა და ავტომობილების ექსპორტიდან მიღებული შეომოსავლების შემდეგ. ექსპერტების პროგნოზით საერთაშორისო ტურიზმის განვითარება გაგრძელდება შემდგომშიც.

თანამედროვე ტურიზმი, რომელიც კომპიუტერული ტექნიკისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვის საფუძველზე საერთაშორისო ინფორმაციული ტექნოლოგიების და პროცესების სფეროდ გადაიქცა, ულტრათანამედროვეც სატრანსპორტო საშუალებებითა და მომსახურებით სულ სხვაგვარი წარმოდგენები შექმნა დროსა და სივრცეზე, ძალზე ფაქიზად რეაგირებს დედამიწაზე მიმდინარე პროცესებზე. შესაბამისად ჩნდება ახალი ტენდენციები, მოძრაობები მიმართულებები. სწორედ აქედან გამომდინარე "ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი" (მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, სანტიაგო, ჩილე, 1999 წლის 1 ოქტომბერი) ტურიზმს განილიხალვს, როგორც:

ინდივიდუალური და კოლექტიური სრულყოფის ფაქტორს; მდგრადი განვითარების ფაქტორს; სფეროს რომელიც იყენებს კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას და შეაქვს თავისი წვლილი მის გამდიდრებაში; საქმიანობას, რომელიც ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანია მასში მონაწილე ქვეყნებისა და ხალხებისათვის. ტურიზმის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებთაგან მნიშვნელოვანია: სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორი, ეკონომიკა და ფინანსები, პოლიტიკა, კანონმდებლობა, ნორმატიული ბაზა, მეცნიერ-ტექნიკური მიღწევები. ვაჭრობის განვითარება. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მოგზაურობის უსაფრთხოება.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ექსპერტები თვლიან, რომ ტურიზმი მეტი მდგრადობით გამოირჩევა, ვიდრე ეკონომიკის სხვა მნიშვნელოვანი სექტორები, რადგან დასვენება აღარ ითვლება მხოლოდ ფუფუნებად და სიამოვნებად, დღეს იგი თანამედროვე ადამიანის ცხოვრების წესია. სწორედ ამიტომ, კრიზისიდან გამომდინარე უარყოფითმა მოვლენებმა შეიძლება კიდეც გაზარდოს მოსახლეობის მოთხოვნა დასვენებასა და რეკრეაციაზე. შიდა ტურიზმთან მიმართებაში კი, ამ პროცესმა შესაძლებელია დამატებითი სტიმული მისცეს ქვეყნებსა და რეგიონებში დარგის განვითარებას.

მიჩნეულია მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (WTO) და საერთაშიროსო ოფიციალური ტურისტული კავშირის (UOTO) მიერ შემუშავებული კონცეფცია, რომელიც გულისხმობს ტურისტთა მომსახურების 6 ძირითად სახეს: რეკრეაცია, თავისუფალი დრო, დასვენება; ნაცნობებთან და ნათესდავებთან სტუმრობა; საქმიანი და პროფესიონალური მიზნით; სამკურნალო; რელიგიური და სამლოცველო; სხვა მიზნებით რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ სახეობათა მდიდარ სპექტრს, ფიზიკური, ეკონომიკური და სულიერ ზნეობრივი (მორალური მოთხოვნილებების სახით).

ტურიზმის სტატისტიკისა და მიმდინარე პროცესების ანალიზის მიზნით მსოფლიო დაყოფილია 6 ტურისტულ რეგიონად (გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია UNWTO): ევროპა, აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანის აუზი, სამრეთ აზია, ამრეიკა, აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად ევროპა კვლავ რჩება მსოფლიოში ლიდერ ტურისტულ რეგიონად.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ყველაზე სრულყოფილად აღიარებულია ტურიზმის კლასიფიკაცია ცხრილ №1-ში

ქვეყანაში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე და ზოგადად დარგის მდგომარეობის გაანალიზებისას უნდა გამოიყოს ისეთი საკითხები როგორიცაა: ქვეყნის ტურისტული პოტენციალი, რა სახის ტურები გამოიყოფა და როგორია მათზე მოთხოვნა.

საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური სამკურნალო წყლის წყარო, 12 000 ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლი, მათგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა

ნუსხაში (ქალაქი მუზეუმი ღია ცის ქვეშ - მცხეთა; ბაგრატის ტაძარი - ქუთაისში; გელათის სამონასტრო კომპლექსი და მაღალმთიანი სოფელი ზემო სვანეთში - უჟგული), 7 არსებული და პერსპექტიული ეროვნული პარკი და აშ. ე.ი თუ ლოგიკას მივყვებით და არსებული პოტენციალის რანჟირებას მოვახდენთ ტურიზმის სახეობების მიხედვით, მაშინ ჩვენს ქვეყანაში პერსპექტიული იქნება ტურიზმის ისეთი სახეების განვითარება, როგორიცაა: კულტურული, სამკურნალო, საკურორტო, ეკო და ა.შ.

ცნობილია გერმანელი ტურ-ოპერატორის "ბიბლიშე რაიზენის" მიერ შექმნილი ტური "კავკასიის ეკლესია-მონასტრები". სადღეისოდ არის ერთ-ერთი სრულყოფილი ტურო, რომელიც უცხოელებმა ტურ-ოპერატორმა საქართველოში შექმნა. როგორც სათაური გვიჩვენებს ეს უდიდესი ტურ-ოპერატორი აწყობს ბიბლიურ თემებთან დაკავშირებულ ტურისტულ მოგზაურობებს მსოფლიოს 22 ქვეყანაში. ასობით სტანდარტულ შეთავაზებებს შორის არის ერთი-ქართულ სომხური. ტურის ხანგრძლივობაა 2 კვირა. ტურს წამძღვარებული აქვს შემდეგი შინაარსის ახსნა-განმარტება: 301 წლიდან არის ქრისტიანობა სომხეთის სახელმწიფო რელიგია, დღემდე ამაყობენ სომხები ქრისტიანული რწმენით, უწოდებენ რა საკუთარ ეკლესიას "სომხურ-სამოციქულოს". საქართველო, რომელმაც ასევე მე-4 საუკუნეში გამოაცხადა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად, არის უძველესი დროიდან დამოუკიდებელი მართლმადიდებლური ქვეყანა, რომლის ეკლესიამაც პირველმა მოიპოვა ავტოკეფალიის უფლება. ამ ქვეყნებში ეკლესიას უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი. კავკასიის იზოლირებულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო სასულიერო ხუროთმოძღვრების თავისებურებების ჩამოყალიბებას და განვითარებას.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2024 წლის მესამე კვარტალში საქართველოს ტერიტორიიდან დაფიქსირდა საქართველოს რეზიდენტი მოგზაურების 758.9 ათასი გასვლა საზღვარგარეთ, რაც 7.4 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. გასვლების უდიდესი ნაწილი, 44.4 პროცენტი, განხორციელდა 31-50 წლის მოგზაურების მიერ. საქსტატის ცნობით, აღნიშნული რაოდენობიდან საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებულმა ვიზიტებმა 603.0 ათასი შეადგინა, რაც 2023 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 6.8 პროცენტით ნაკლებია. ამასთან, უწყების ანგარიშით, საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელდა 402.1 ათასი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 1.1 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ვიზიტების უმრავლესობა, 47.4 პროცენტი, განხორციელდა 31-50 წლის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ. ქალების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა მთლიანი ვიზიტების 47.0 პროცენტს შეადგენდა. საქსტატის მონაცემებით, 2024 წლის მესამე კვარტალში ვიზიტების ყველაზე დიდი ნაწილი – 32.0 პროცენტი განხორციელდა მეგობრების/ნათესავების მონახულების მიზნით. ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თურქეთსა და რუსეთის ფედერაციაში, შესაბამისად, 237.4 ათასი და 119.0 ათასი ვიზიტი. 2024 წლის მესამე კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ 7.9 ღამე შეადგინა, რაც 2023 წლის მესამე კვარტალში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე (7.2 ღამე) 9.3 პროცენტით მეტია. განხორციელებული ვიზიტების 98.2 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს. ამასთან, 2024 წლის მესამე კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ხარჯები 675.9 მილიონ ლარს გაუტოლდა, რაც 14.1 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ვიზიტზე საშუალო ხარჯი 2023 წლის მესამე კვარტალთან შედარებით 22.5 პროცენტით გაიზარდა და 1 120.8 ლარი შეადგინა.

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები 2024წ.-7 368 149 (ზრდა 4.2% 2023 წელთან შედარებით); სართაშორისო ტურისტული ვიზიტები-5 091 732(ზრდა 9% 2023 წელთან შედარებით); შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან -4 425 376 937(ზრდა 7,3% 2023 წელთან შედარებით); 2024 წლის მონაცემებით საერთაშორისო ვიზიტების ზრდა დაფიქსირდა

და ქვეყანაში 7,368,149 საერთაშოირისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა, რაც გასული წლის მონაცემს 4.2%-ით აღემატება. მათ შორის, საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების წილია 87.6%, რომლის რაოდენობა 6,456,064-ს შეადგენს. 2024 წლის IV კვარტლის მდგომარეობით საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა 1,573,488 განისაზღვრა, რაც +4.5%-ით მეტია 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 4.6%-ით. მნიშვნელოვანია, რომ მეზობელი ქვეყნების წილი საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების რაოდენობაში 64.4%-იდან 60.8%-მდე მცირდება, შესაბამისად ვიზიტებში სხვა ქვეყნების წილი იზრდება. 2024 წელს ტურისტული ვიზიტების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა და 5.1 მილიონ ვიზიტს მიაღწია. 2024 წლის მონაცემებით, მათი წილი ვიზიტორების ვიზიტებში 2023 წელთან შედარებით გაიზარდა და 78.9% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, ტურისტული ვიზიტების ზრდა 9%-ს უტოლდება. 2024 წლის IV კვარტლის მდგომარეობით ტურისტული ვიზიტების რაოდენობა 1,098,890 განისაზღვრა, რაც +8.4%-ით მეტია 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების ყველაზე დიდი წილი, ტრადიციულად, სახმელეთო საზღვრით განხორციელდა - 3,969,922 საერთაშორისო ვიზიტი (საერთაშორისო ვიზიტების 61.5%), მათ შორის სარფის სასაზღვრო პუნქტის გავლით 1,311,190 ვიზიტი დაფიქსირდა, რომლის წილი სახმელეთო საზღვრის ვიზიტებში 33%-ია. მნიშვნელოვანია საჰაერო საზღვრით განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა, რომელმაც 2,438,796 შეადგინა. საერთაშორისო ვიზიტებში საჰაერო ვიზიტების წილი 31.1%-დან 37.8%-მდე გაიზარდა. ყველაზე დიდი წილი საჰაერო საზღვრის ვიზიტებში თბილისის აეროპორტს უკავია 65.6%, მას მოსდევს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი (18%) და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი (16.4%). მეზობელი ქვეყნების ვიზიტებიდან მხოლოდ 68.3%-ია ტურისტული ვიზიტი (2,680,103), იგივე მაჩვენებელი სხვა ქვეყნების შემთხვევაში კი 95.3%-ია (2,411,629 ვიზიტი). თავის მხრივ, მეზობელი ქვეყნებიდან ვიზიტების მხოლოდ 16.1% განხორციელდა საჰაერო გზით, მაშინ როცა სხვა ქვეყნებიდან უმეტესად სწორედ საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობენ (71.5%)

2024 წელს საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა მაღალმხარჯველუნარიანი ვიზიტები. 2024 წელს სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან საქართველოში 140,739 საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა, ზრდა 2023 წელთან შედარებით +22.7%-ია. საქართველოში გასულ წელს საუდის არაბეთიდან 88,298 საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა, ზრდა 2023 წელთან შედარებით +21%-ია. ქუვეითიდან კი 27,277 საერთაშორისო ვიზიტი, რაც 2023 წელთან შედარებით +38.9%-ით მეტია. აღსანიშნავია, რომ სპარსეთის ყურის ქვეყნების მოგზაურები და რეზიდენტები მაღალმხარჯველობით გამოირჩევიან. რეკორდული მაჩვენებლები ფიქსირდება ასევე სხვა მაღალმხარჯველუნარიანი ქვეყნებიდან. კერძოდ ისრაელიდან საქართველოში 310,982 საერთაშორისო ვიზიტი შედგა, ზრდა 2023 წელთან შედარებით +43.3%-ია. ინდოეთიდან საქართველოში 124,335 საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა, რაც +46.8%-ით აღემატება წინა წლის მონაცემებს. რეკორდული მაჩვენებლები ფიქსირდება ჩინეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან, მათი ვიზიტები შესაბამისად 88,583 (+83.4%) და 51,728 (+10.7%) საერთაშორისო ვიზიტით განისაზღვრა. ევროკავშირის ქვეყნებიდან და დიდი ბრიტანეთიდან 438,414 საერთაშორისო ვიზიტი შედგა, ზრდა 2023 წელთან შედარებით +3.8%-ია. 2024 წელს ევროპის ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტებით გამოირჩეოდნენ შემდეგი ქვეყნები: გერმანია - 78,644 საერთაშორისო ვიზიტი, 2023 წელთან ზრდა +14.3%; გაერთიანებული სამეფო - 32,372 საერთაშორისო ვიზიტი, ზრდა +5.3%; საფრანგეთი - 28,302 საერთაშორისო ვიზიტი, ზრდა +20.2%; საბერძნეთი - 27,557 საერთაშორისო ვიზიტი, ზრდა +21.3%; იტალია -19,895 საერთაშორისო ვიზიტი, ზრდა +24.6%; ნიდერლანდები - 18,759 საერთაშორისო ვიზიტი, ზრდა +26.7%; ესპანეთი 14,735 საერთაშორისო ვიზიტი, ზრდა +13.8%.2024 წლის მონაცემების

მიხედვით, საერთაშორისო ვიზიტორებმა განთავსების საშუალებებში დახარჯეს 4.8 მილიარდი ლარი, რაც სრული ხარჯების 33.7% შეადგენს. შემდგომ მოდის შოპინგში დანახარჯი, რამაც 3.4 მილიარდ ლარს მიაღწია და შეადგინა სრული ხარჯების 24.1%. 3.2 მილიარდი ლარი დაიხარჯა საკვებსა და სასმელში, რამაც მთლიანი დანახარჯების 22.4% შეადგინა. რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობების ხარჯმა - 1.6 მილიარდით, შეადგინა სრული დანახარჯის 10.8%. ადგილობრივ ტრანსპორტზე დაიხარჯა 1.1 მილიარდი ლარი, რაც შეადგენს სრული დანახარჯების 8%. 149 მილიონი ლარი შეადგინა სხვა დანახარჯებმა, რაც იყო სრული დანახარჯების 1%. საშუალო დანახარჯმა ვიზიტზე შეადგინა 2,211 ლარი, რაც 5.4%-იანი ზრდაა 2023 წელთან შედარებით.2024 წლის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტორების ღამისთევის რაოდენობამ 35,739,326 შეადგინა, რაც 2023 წელთან შედარებით არის 7.3%-იანი ზრდა. საშუალო ვიზიტზე ღამისთევის რაოდენობამ კი 5.5 ღამეს მიაღწია. 2024 წლის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტორების 51.9% საქართველოში ჩამოდის დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით; 22.8% მეგობრების ან ნათესავების მოსანახულებლად, 12.9% ტრანზიტის მიზნით და დანარჩენი 12.4% სხვა მიზნებით.

საერთაშორისო ვიზიტორების მახასიათებლები: დასვენება, გართობა, რეკრეაცია - 51.9%, მეგობრების, ნათესავების მონახულება - 22.8%, ტრანზიტი - 12.9%, პროფესიული, ეკონომიკური საქმიანობა 5.7%, შოპინგი - 4.8%, განათლების მიღება - 0.7%, სხვა პირადი მიზნები - 0.8%, ,კურნალობა, გაჯანსაღება 0.4%[346].

მსოფლიოში შემოქმედებითი ტურიზმის მრავალი განმარტება არსებობს. შემოქმედებითი ტურიზმი აერთიანებს მოგზაურობას, ექსპედიციას, ხალხურ რეწვას, ტრადიციებს, ხალხურ ხელოვნებას, გასტრო-, აგრო- და არტტურიზმს, ფესტივალებს, შემოქმედებითი ტურიზმი არის მოგზაურობა ეთნიკურად საინტერესო მხარეში, სადაც შენარჩუნებულია ადგილობრივი ცოცხალი კულტურა და შესაძლებელია საგანმანათლებლო და სათავგადასავლო ტურების ორგანიზება. შემოქმედებითი ტურიზმის გაძლიერებით დაინტერესებული არიან მსოფლიოს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნები და მას განიხილავენ, როგორც საუკეთესო გზას ტრადიციების, კულტურის, ფოლკლორის პოპულარიზაციისა და შენარჩუნებისთვის. შემოქმედებითმა ტურიზმმა ქალაქებს და სოფლებს თვითმყოფადობა შეუნარჩუნა. კვიპროსზე, ჩრდილოეთ ესპანეთსა და ევროპის სხვა რეგიონებში შემუშავებულია სოფლის განვითარების სპეციალური პროგრამები, რომლებიც ატარებენ სასოფლო სახლების რესტავრაციას და შენობებს ნაციონალურ სტილში აფორმებენ, თანამედროვე კომფორტისა და სიმყუდროვის შენარჩუნებით. შემოქმედებითი ტურისტული პროდუქტის შექმნის ერთ-ერთი პირობაა ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. შემოქმედებითი ტურიზმის ძირითადი ასპექტებია: არსებობის ეფექტის შექმნა, მომხმარებლის სრული ჩართვა წარმოების/შემოქმედებით პროცესში, რის შედეგადაც იგი ხდება მოქმედების უშუალო მონაწილე (სუბიექტი და ობიექტი), ადგილობრივი რესურსების და ცოდნის საფუძველზე იღებს ახალ შთაბეჭდილებებს. საქართველოს არამატერიალური ძეგლების ნუსხა, რომელიც 2011 წლიდან არსებობს, მოიცავს ისეთი ცოცხალი კულტურის მაგალითებს, როგორიცაა ხალხური ცეკვები, ქართული მრავალხმიანობა, კულინარია და გასტრონომია, ხალხური ტრადიციული რეწვა და ვიზუალური ხელოვნება, სოციალური პრაქტიკა, რიტუალები, ფესტივალები და სახალხო დღესასწაულები, ზეპირსიტყვაობა და გამოთქმები და ა.შ. მათ შორის 4 მოვლენა შეტანილია იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის წარმომადგენლობით სიაში (UNESCO.org, 2019): 1. ქართული მრავალხმიანი სიმღერა აღიარებულია ადამიანურ შედევრად იუნესკოს მიერ 2008 წელს შეტანილია წარმომადგენლობით სიაში; 2. უძველესი ქართული ტრადიცია - ღვინის ქვევრში დაყენების მეთოდი - სიაშია 2013

[346] https://www.linkedin.com/posts/american-association-of-wine-economists-aawe_japans-wine-imports-in-2024-value-volume-activity-7293565049309126656-igpG

წლიდან; 3. ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა - სიაშია 2016 წლიდან; 4. ქართული ჭიდაობა - სიაშია 2018 წლიდან და ა.შ. შემოქმედებითი ტურიზმი, როგორც კულტურული ტურიზმის „ახალი თაობა“, პირველად გამოჩნდა საქართველოს კულტურის ეროვნულ სტრატეგიაში. ძირითადად დაფუძნებული ქართულ სამზარეულოზე, რეწვასა და ხელოვნებაზე. გავრცელების არეალის მიხედვით, იგი ითვლება ადგილობრივ ინოვაციად, რადგან პროდუქტებს ჯერ კიდევ არ აქვთ მიღებული ფართო საერთაშორისო აღიარება და არ მომხდარა მათი ქვეყნის გარეთ გატანა.

ტურიზმი „იძულებულია“ მომხმარებელს შესთავაზოს მრავალფეროვანი, განახლებული პროდუქტი, რადგან XXI საუკუნეში ტურისტი უკვე ხშირად არაორგანიზებულ ტურიზმს ირჩევს, ანუ მოგზაურობს ტურისტული კომპანიების დახმარების გარეშე. არსებული მდგომარეობის გამოსწორებისთვის ტურისტულმა კომპანიებმა ტურპაკეტში და შეთავაზებულ მომსახურებებში საჭიროა ინოვაციური ცვლილებები შეიტანონ, რაც გულისხმობს მეტ გასართობ და შემეცნებით ღონისძიებებს. პირველ ეტაპზე საკმარისია ჩვენს ქვეყანაში მყოფი სამეცნიერო-საგამანათლებლო სფეროს კადრების (თუნდაც პენსიაზე გასული ან დროებით უმუშევარი ლექტორებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების) დასაქმება. გავიხსენოთ დიდი გერმანელი მწერლის, ლიტერატურაში ნობელის პრემიის ლაურეატის, თომას მანის უკვდავი ნაწარმოები ,,ჯადოსნური მთა“, სადაც მწერალი მოგვითხრობს შვეიცარიის სანატორიუმში ლექტორის ჩამოსვლაზე, რომელიც სიყვარულზე კითხულობს ლექციას. ეს პრაქტიკა XX საუკუნის დასაწყისში საზღვარგარეთ უკვე არსებობდა.[347]

ზოგადსაკაცობრიო ფუნდამენტურ ღირებულებათა მდგრადობა განაპირობებს რელიგიური, კულტურული, ეკონომიკური, ფილოსოფიური და ზნეობრივი მრწამსის მრავალსახოვნებას, რაც საპასუხისმგებლო ტურიზმის საფუძველსა და შედეგს წარმოადგენს. საპასუხისმგებლო მდგრადი ტურიზმი უნდა გახდეს საქართველოს ტურისტული ბაზრის ძირითადი თვისობრივი მახასიათებელი, რომელიც ეფექტიანობისა და წარმატების მაღალ დონეს უზრუნველყოფს. ტურისტულ ბაზარზე დღეს არსებული ცვლილებები უმეტესწილად ტურისტების მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს, რადგან ისინი მუდმივად ეძებენ არასტანდარტული მომსახურებისა და მოგზაურობის ფორმებს.

დაბრკოლებების მიუხედავად (ბუნებრივი კატაკლიზმები, ტექნოგენური კატასტროფები, ტერორისტული აქტები, ეკონომიკური კრიზისი და ა.შ.), ტურიზმი აგრძელებს აქტიურ განვითარებას. ინოვაციური პროცესებისა და ახალი ტექნოლოგიების წყალობით იცვლება მოგზაურობის ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები, ჩნდება ტურიზმის ახალი სახეობები, მუშავდება და ხორციელდება მდგრადი ტურიზმის განვითარების პირობები. ბოლო წლებში, ტენდენციები, რომლებიც განაპირობებს ტურიზმის დარგის განვითარებას, დასტურია იმისა, რომ ტურიზმის შემდგომი განვითარება განხორციელდება ინოვაციების ფართოდ დანერგვის გზით. ამ პროცესში მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ტექნიკური პროგრესი, საბაზო ინოვაციების გამოვლენა და დანერგვა (ნანოტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები და ა.შ.) და რასაკვირველია უპირველეს ყოვლისა ცოდნის ფართოდ გამოყენება.

2024 წელს მოგზაურობიდან ყველაზე მეტი შემოსავალი შემოვიდა: რუსეთიდან (850 მლნ. აშშ დოლარი, წილი 19.2%), თურქეთიდან (612 მლნ. აშშ. დოლარი, წილი 13.8%), ევროკავშირის ქვეყნებიდან* (571 მლნ. აშშ. დოლარი, წილი 12.9%) და ისრაელიდან (437 მლნ. აშშ. დოლარი, წილი 9.9%). 2024 წლის მეოთხე კვარტალშიც მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლებით გამოირჩეოდა: რუსეთი (175 მლნ. აშშ დოლარი, წილი 18.2%), თურქეთი (134 მლნ. აშშ. დოლარი, წილი 13.9%), ევროკავშირის ქვეყნები (115 მლნ. აშშ. დოლარი, წილი 11.9%) და ისრაელი (114 მლნ. აშშ. დოლარი, წილი 11.8%).[348]

[347] https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/15494

[348] იხილეთ დანართი 1

საერთაშორისო კვლევითი კომპანიის STR Global - ის მონაცემებით 2024 წელის საქართველოში ბრენდირებული სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი 53.1%-ია, რაც 2023 წლის მონაცემებთან შედარებით +5.3%-ით მეტია. ყველაზე მაღალი დატვირთვა ივლისის თვეში (70%) დაფიქსირდა. ჩვეულებრივ ყველაზე მაღალი დატვირთვით ივლისი-სექტემბრის პერიოდი ხასიათდება. დატვირთვის კოეფიციენტით ლიდერობს ბათუმი 61.8%-ით, შემდეგ მოდის თბილისი 54.5%-ით, ხოლო ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე დატვირთვის მაჩვენებელი 52%-ია. საქართველოს ბრენდირებული სასტუმროების ნომრის საშუალო დღიური ფასი 268.7 ლარია, ხოლო შემოსავალი სასტუმროს ერთი ოთახიდან კი 142.7 ლარს შეადგენს. 2024 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით საქართველოს ბრენდირებული სასტუმროების დატვირთვის მაჩვენებელი 40.8% შეადგენს, რაც +1.2% მეტია 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.[349] ბიზნესგარემოს გაუმჯობესება ვიზიტების რაოდენობის, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით; ეფექტიანი მარკეტინგისა და საინფორმაციო კამპანიის საშუალებით ვიზიტორების მოზიდვა მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან; შიდა ტურიზმის სტიმულირება; კონკურენტუნარიანობის გაზრდა მსოფლიო დონის ტურისტული მომსახურების შეთავაზების გზით; ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის რესურსების გამოყენებით ტურიზმში უნიკალური ავთენტური გამოცდილების შექმნა; საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, დაცვა და წარმოჩენა; მონაცემთა მოპოვებისა და ანალიზის, ასევე, სექტორის განვითარების შეფასების მასშტაბის გაფართოება და გაუმჯობესება

გამოყენებული ლიტერატურა:

1.მეტრეველი, მ. (2011), *ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა,* ფავორიტი პრინტი, თბილისი,

2.მეტრეველი, მ. (2012), *გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი,* ფავორიტი პრინტი, თბილისი,

3.„ტურიზმის სექტორის მდგომარეობა და გამოწვევები“ - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თბ., 2025

4.აბესაძე ნ. ქინქლაძე რ. ჩიტალაძე ქ. „ტურიზმის სტატისტიკა“, თბ., საქართველო, 2017წ.

5.მეტრეველი, მ. (2011), ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, ფავორიტი პრინტი, თბ., საქართველო, 2024წ.

6.Metreveli, M., & Timothy, D. (2010). Religious heritage and emerging tourism in the Republic of Georgia, *Journal of Heritage Tourism*

7.Georgian Tourism in Figures (2020). Structure & Industry Data

8.UNWTO World Tourism Barometer (2020)

9.http://wttc-infographic.org/

[349] მეტრეველი მ. (2012)

დანართი

ცხრილი №1

კლასიფიკაციის ნიშანი	ტურიზმის სახე
1. გეოგრაფიული პრინციპი	შიგა, საერთაშიროსო
2. ტურისტული ნაკადის მიმართულება	გასვლითი, შემოსვლითი
3. მიზანი	რეკრეაციული, გამაჯანსაღებელი დასვენება, შემეცნებითი დასვენება, პროფესიონალურ-საქმიანი ტურიზმი, სამეცნიერო, სპორტული დასვენება,შოპ-ტური, სათავგადასავლო, სამლოცველო, ნოსტალგიური, ეკოტურიზმი, ეგზოტიკური.
4. დაფინანსების წყარო 5. გადაადგილების საშუალება	სოციალური, კომერციული, ფეხით მოსიარულე, საავიაციო, საზღვაო, სამდინარეო, ავტორურიზმი, სარკინიგზო, ველოსპორტი, შერეული
6. განთავსების საშუალებები	ოტელი, სასტუმრო, მოტელი, პანსიონატი, კემპინგი, კარავი
7. მონაწილეთა რაოდენობა	ინდივიდუალური, საოჯახო, ჯგუფური
8. ორგანიზაციული ფორმა	ორგანიზებული, არაორგანიზებული

დანართი 1



(წყარო:https://www.geostat.ge/ka/infographic?catego

დანართი 2



2011	3115527
2012	4741346
2013	5734898
2014	5888709
2015	6305635
2016	6719975
2017	7902509
2018	8679544
2019	9357964
2020	1747110
2021	1881271
2022	5426903
2023	7072220
2024	7368149
2025	1314828

(წყარო:https://www.geostat.ge/ka/infographic?category=19)

დანართი 3

ქვეყანა	2024: I ჯვარტ ალ	2023: I ჯვარტ ალი	ცვლილება 2024/2025	ცვლილება 2024/2025 %
საერთაშორისო მოგზ აუ რების ვიზ იტ ები	1,300,551	1,314,828	14,277	1.1%
სხვა ვიზ იტ ები (არატ უ რისტ უ ლი)	143,204	142,492	-712	-0.5%
საერთაშორისო ვიზ იტ ორების შიერ განხორციელებუ ლი ვიზ იტ ები	1,157,347	1,172,336	14,989	1.3%
მათ შორის:				
ევროპა	930,296	933,040	2,744	0.3%
ცენტ რალური და აღმოსავლეთ ევროპა	578,670	575,892	-2,778	-0.5%
ჩრდილოეთ ევროპა	11,012	11,473	461	4.2%
სამხრეთ ევროპა	15,227	16,008	781	5.1%
დასავლეთ ევროპა	22,754	22,143	-611	-2.7%
აღმოსავლეთ/ხმელთაშუა ევროპა	302,633	307,524	4,891	1.6%
ამერიკა	11,554	10,920	-634	-5.5%
კარიბი	291	228	-63	-21.6%
ცენტ რალური ამერ.	96	97	1	1.0%
ჩრდილოეთ ამერ.	9,830	9,136	-694	-7.1%
სამხრეთ ამერ.	1,337	1,459	122	9.1%
აღმოსავლეთ აზ ია/წყნარი ოკეანის აუზ ი	84,133	90,672	6,539	7.8%
ჩრდილო-აღმოსავლეთ აზ ია	12,367	16,437	4,070	32.9%
ოკეანეთი	1,158	1,310	152	13.1%
სამხრეთ აზ ია	54,422	57,735	3,313	6.1%
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზ ია	16,186	15,190	-996	-6.2%
ახლო/შუა აღმოსავლეთი	25,734	27,180	1,446	5.6%
აფრიკა	3,854	4,428	574	14.9%
სხვა	101,776	106,096	4,320	4.2%
გაერო	103	79	-24	-23.3%
საქართველო (არარეზ იდენტ ი)	100,498	104,775	4,277	4.3%
სხვა	1,175	1,242	67	5.7%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტ რო, სტატისტიკური ანალიტ იკური დეპარტ ამენტ ი

(წყარო:https://www.geostat.ge

დანართი 4



(წყარო:info.police.ge)

დანართი 5



(წყარო:info.police.ge)

აგროტურიზმის თანამედროვე ხედვა
Modern vision of agrotourism

ეთერ ნარიმანიშვილი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
Eter Narimanishvili
Samtskhe-Javakheti State University
Associate Professor

ანოტაცია. სტატიაში ნათლად ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოსთვის, მაგრამ ისიც ძალიან კარგად ვიცით, რამდენად პრეტენზიული და არაპროგნოზირებადი დარგია, თავიდან ბოლომდე გარემო პირობებზე გათვლილი და დამოკიდებული. ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესებმა გლეხკაცს გულიც კი გაუტეხა, რადგან მისი შრომა არა მარტო არ დაფასდა სათანადოდ, არამედ ხელმოცარულიც კი დარჩა. და აი მხსნელად მოგვევლინა ტურიზმი. მან ფაქტიურად მშრომელს გული მოუბრუნა მიწაზე, კარმიდამოზე. სინათლის სხივმა გაუნათა კეთილდღეობისაკენ მიმავალი გზა სოფლად მაცხოვრებლებს, იმედის ნაპერწკალი კვლავ გააღვივა მათ გულებში, სტიმული მისცა მიწის მოვლისა და სოფლის მეურნეობის გაძღოლისა. დიახ, სწორედ

აგროტურიზმი გვაქვს მხედველობაში, რამდენადაც, როდესაც ვსაუბრობთ მის განვითარებაზე ქვეცნობიერად ვგულისხმობთ სოფლის განვითარება-აღორძინებას.

ნაშრომში ნათლად ჩანს, როგორ გავხადოთ სამყარო მდგრადი და ტურიზმი მდგრადი, როგორი უნდა იყოს ჩვენი შემდგომი ნაბიჯები. თუნდაც აგროტურიზმის მიმართულებით. როგორ მივაჩვიოთ გლეხი იმ აზრს, რომ თუ მან სწრაფად გააცნობიერა სოფლის მეურნეობის ტურიზმის მომგებიანობა და შესძლო ფულის ჩადება მასში, ისიც კარგად უნდა აღიქვას, რომ ახლა მისი ამოცანაა არამარტო ტურისტის მოზიდვა, არამედ ყველა მეურნეობის მფლობელის მთავარი მოთხოვნაა საერთაშორისო სანიტარული და ჰიგიენური სტანდარტების მკაცრი დაცვა, სტუმრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და თავისთავად განუმეორებლობა, გამორჩეულობა და განსაკუთრებულობა.

საკვანძო სიტყვები: აგროტურიზმი, მდგრადი ტურიზმი, ფერმერული ტურიზმი, აგრალური მემკვიდრეობა.

Abstract. The article clearly shows how important the development of agriculture is for Georgia, but we also know very well how demanding and unpredictable the sector is, from beginning to end, calculated and dependent on environmental conditions. The recent processes have even broken the heart of the peasant, because his work was not only not properly appreciated, but also went unappreciated. And here tourism has appeared as a savior. It has literally returned the heart of the worker to the land, to the countryside. A ray of light has illuminated the path to prosperity for rural residents, rekindled a spark of hope in their hearts, and given them an incentive to take care of the land and conduct agriculture. Yes, it is precisely agrotourism that we have in mind, since when we talk about its development, we subconsciously mean the development and revival of the countryside

That is, how to make the world sustainable, how to make tourism sustainable, what should be our next steps. Even in the direction of agrotourism. How to accustom the farmer to the idea that if he quickly realized the profitability of agricultural tourism and was able to invest money in it, he should also understand that now his task is not only to attract tourists, but that the main requirement of every farm owner is strict adherence to international sanitary and hygienic standards, ensuring the safety of guests, and in itself uniqueness, distinctiveness and uniqueness.

Key words: agritourism, sustainable tourism, farm tourism, agricultural heritage

შესავალი

სამყარო იმდენად საინტერესოდ არის მოწყობილი, გაფიქრებინებს, რომ ტყუილად არაფერი არ ხდება, ყველაფერს თავისი მიზეზი და ახსნა აქვს. მით უმეტეს, პანდემიის პირობებში, როდესაც ადამიანს ფიქრისთვის საკმაოდ ბევრი დრო აქვს. აზრები ცოტა შორს მიდის. ამ მდგომარეობამ დაგვანახა, რომ ქვეყნებმა, სადაც ტურიზმის ეკონომიკური გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, სერიოზულად იგრძნეს პანდემიის მიერ გამოწვეული ზარალი. ამდენად, აქტუალური გახდა საკითხი - რა უნდა მოიმოქმედოს იმ ქვეყანამ, რომლის არსებობა ფაქტობრივად ტურიზმზეა გათვლილი?

ჩვენ ვიცით სახელმწიფოები, სადაც ტურიზმს დამატებითი შემოსავლები მოაქვს. მათ მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ისეთ მაღალ დონეზე აქვთ განვითარებული, რომ დამხმარე ტურიზმი სფეროს სახით ფორმირდება. მაგრამ არიან დაბალგანვითარებული სახელმწიფოები, სადაც ტურიზმი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დიახ, დღეს მათთვის პანდემია დამღუპველია. ხვალ რა იქნება, კიდევ რა დარტყმას უნდა ელოდეს... ამაზე ფიქრიც კი შემზარავია...

მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ამუშავდეს ალტერნატიული გზა, ასეთი მძიმე შემთხვევებისათვის. ანუ სახელმწიფომ უნდა დაიწყოს ფიქრი ახალი შემოსავლების მიღების გზების ძიებაზე. დიახ, მოუწევთ მათ თავიდან გადახედონ საკუთარ შესაძლებლობებს. გზა კი ყოველთვის არის. მთავარია ვინ და როგორ დაინახავს მას. ჩვენი აზრით, ეს საკმაოდ საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი მომენტია თითოეული ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნისათვის. თუმცა სახელმწიფოები, რომლებიც მიჩვეულნი არიან ტურიზმიდან მაღალი ეკონომიკური შემოსავლების მიღებას, არც ისინი დარჩებიან პასიურად. ამ ყველაფერზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები: რომლის

მიხედვითაც მომზადებული კვლევები და ანგარიშები პანდემიის გავლენაზე, გლობალურ ეკონომიკაზე, არაერთგვაროვნია. აზიის განვითარების ბანკის მიხედვით: „პანდემია 77$ (0.08% მშპ) მილიარდიდან 347$ მილიარდამდე (0.4% მშპ) ზიანს მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას. ძირითადად, ეკონომიკური ზეგავლენა ქვეყნებზე შემდეგი ლოგიკით განვითარდება: მთავარ ეკონომიკურ დარტყმებს მიიღებენ ის ქვეყნები, რომლებშიც COVID-19-ის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები იქნება, შემდეგ ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკებიც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული ტურიზმზე, ნავთობისა და სხვა საქონლის ექსპორტზე, ამის შემდგომ კი ნეგატიური ზეგავლენა მათი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკებშიც გადაიღვრება.“[10] უნდა აღვნიშნოთ, რომ არც საქართველო დარჩა ამ მოვლენების მიღმა. რადგან უკვე ვიმკით COVID-19-ით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს, ჩაიკეტა რა საზღვრები მოგზაურობის შიშის გამო. ანუ დადგა დრო მობილიზების და მანევრირების. თუ დავძაბავთ გონებას, გავიხსენებთ, რომ ბოლო პერიოდში დიდი გამოწვევა მიიღო ტურიზმის ისეთმა მიმართულებებმა, როგორიცაა აგროტურიზი, ეკოტურიზმი, სოფლის ტურიზმი, საოჯახო ტურიზმი და ა. შ. თითოეულმა მათგანმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, რადგან ეს მიმართულებები აკმაყოფილებდა არა მარტო ტურისტის მოთხოვნილებებს შესაბამისი თვალსაზრისით, არამედ ისინი განსაკუთრეულ დახმარებას უწევდნენ ქვეყანას, რეგიონს, რაიონს და ა.შ. გამომდინარე იქიდან, რომ ნაკლებად ზიანდებოდა გარემო და ამასთანავე დაინტერესება იზრდებოდა სოფლის მოსახლეობაში მატერიალური თვალსაზრისითაც, რაც უბიძგებდა მათ სოფლის მეურნეობის აღორძინებისაკენ. ძალიან სამწუხარო იყო, როდესაც ვხედავდით დაცარიელებულ სოფლებს და დაუმუშავებელ ნოყიერ მიწებს, მაშინ როცა ფაქტობრივად ქვეყნის ეკონომიკა განადგურების გზაზე იდგა. აღსანიშნავია, რომ აგროტურიზმს, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის კონტინენტზე ჩამოყალიბდა, თან ახლდა მთელი რიგი თავისებურებანი, რომელიც დამახასიათებელი იყო მხოლოდ ერთი კონკრეტული ქვეყნისათვის. ამ პერიოდისთვის საფრანგეთში უკვე არსებობდა დაახლოებით 35 ათასი ფერმა, მინი-სასტუმროებით და სასტუმროებით. შემდეგ ინგლისი ლიდერობდა: ბრიტანელ ფერმერებს შეეძლოთ მოსახლეობისთვის თითქმის 120 ათასი ადგილის შეთავაზება. თუმცა, მალევე, გარკვეული პრობლემების გამო, აგროტურიზმმა შემცირება დაიწყო. გერმანიაშიც, სულ რაღაც ათიოდე წლის წინ, უკვე არსებობდა 20 ათასი ფერმა სასტუმროებით. სოფლის ტურიზმის მოდამ ასევე დაიპყრო ჰოლანდია, ირლანდია, პორტუგალია. ჩვენთვის ეს არის ტურიზმის სრულიად ახალი, ჯერ კიდევ გამოუკვლეველი მიმართულება. მისი სპეციფიკის გასაგებად საჭიროა შევისწავლოთ ამ სფეროში წარმატებული ქვეყნების გამოცდილება.

XXI საუკუნის მიჯნაზე ამ მიმართულებით გამოიკვეთა ლიდერი ქვეყნები, რომელთა შორისაა იტალია, შვეიცარია, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი და სხვ. ასევე წარმატებით ვითარდება აგროტურიზმი გერმანიაში, ავსტრიაში, ესპანეთში, კანადაში, დომინიკის რესპუბლიკაში, კუბაში და ა. შ.

აპენინის ნახევარკუნძულზე დღეს 10 ათასზე მეტი ფერმაა მცირე სასტუმროებით. ისინი მილიონობით დამსვენებლებს მასპინძლობდნენ და ძირითადი კლიენტები იყვნენ არა წყვილები, არამედ შვილიანი ოჯახები. ერთ-ერთი იტალიური ჟურნალის მონაცემებით, იტალიაში აგროტურიზმის წლიური ბრუნვა 700 მილიარდ ლირას დიდი ხანია გასცდა. შვეიცარიაში კი არსებული ასობით ფერმა დამსვენებლებს სათავაზობს ზღაპრულ და დაუვიწყარ მომსახურებას და სოფლად აქტიურ დასვენებას. არ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ ბავშვების განწყობა ამ ტიპის დასვენებისადმი. მათ უყვართ შინაური ცხოველების ცქერა, მათთან თამაში (შესაძლებლობის ფარგლებში), ბოსტნეულის, ხილის, კენკრის კრეფა. ესპანეთის ასოციაციამ

ცოტა ხნის წინ, ბავშვთა არდადეგებზე სოფლად საპილოტე პროექტიც კი წარმოადგინა, რომელიც მოიცავდა 90 ფერმერულ სახლს 8-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. სოფელში დასვენება მშობლებს ძალიან იაფი უჯდებოდათ: დღეში 10 – დან 20 დოლარამდე.

აგროტურიზმი მრავალი სოფლის მეურნეობის საწარმოს შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. ძალიან მნიშვნელოვანია სწორად დავინახოთ სოფლის ტურიზმის უპირატესობა საკურორტო ტურიზმთან მიმართებაში, ის არა მხოლოდ იაფია, არამედ იგი ადგილობრივ მოსახლეობას ეხმარება ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, რაც დღეს, ხვალ და საერთოდ ძალზე მნიშვნელოვანი მიდგომაა სოფელთან მიმართებაში. სოფლის მეურნეობის ტურიზმი აგვარებს ფერმერების პრობლემებს პროდუქციის რეალიზაციის მხრივ, იზიდავს დამატებით ინვესტიციებს სოფელში. ამიტომ, ეს ყველასთვის სასარგებლოა - როგორც სოფლის მოსახლეობისთვის, ასევე ქალაქის მოსახლეობისთვისაც. ძალიან საინტერესოა არსებული პრაქტიკების და გამოცდილებების გაზიარება, გათვალისწინება. მაგალითად საფრანგეთში, დიოპიდან 40 კილომეტრის დაშორებით, ზოოთერაპიის დარგის ექიმმა და მკვლევარმა, ვერონიკა ბაროიზმა დააარსა "ბავშვთა ევროპული მეურნეობა". სადაც კონტინენტის ქვეყნებიდან ექვსიდან თორმეტ წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეები ჩამოდიან დასასვენებლად. მოსწავლეების დღე იწყება და ივსება ცხოველებზე ზრუნვით. სოფლის ჰაერი და ზოოთერაპია ბავშვებზე სასიკეთოდ მოქმედებს: ისინი უფრო კეთილგანწყობილები ხდებიან და პასუხისმგებლობით ეკიდებიან არსებულ გარემოს. განსაკუთრებით რთული მოზარდებისათვის მთელი წლის განმავლობაში ტარდება გაკვეთილები - ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებში. პოლონეთის სახელმწიფო ასევე დაინტერესებულია სოფლის ტურიზმის განვითარებით. ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ პოლონეთის მომავალ გეგმებს საფრთხეს უქმნის მკაცრი კონკურენცია, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე „ადგილობრივი გლეხი“ თუ გაუძლებს. მათი აზრით, აგროტურიზმს შეუძლია დაეხმაროს მათ შენარჩუნებაში. ფერმერს შეუძლია მიიღოს სესხი 30 ათას დოლარამდე, როგორც ჩვეულებრივი, ისე შეღავათიანი გარკვეული პირობებით. პოლონელები მიიჩნევენ, რომ პოპულარიზაციისთვის, ეს მცირე თანხაც საკმარისია.

ანოტაცია. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ, ეროვნული მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებამ, მეურნეობრიობის მრავალ-ფორმიანობის წარმოქმნამ, შექმნა მიწით დაინტერესების და მისი მართვის ახლებური მიდგომის ყველა პირობა და გზა გაუხსნა მიწის ბაზრის განვითარებას. დღის წესრიგში დადგა ქვეყანაში მიწის ბაზრის განვითარების მექანიზმის გაუმჯობესების საკითხი, რომელსაც მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა და თავისებურებები გააჩნია. რა თქმა უნდა, საბაზრო სისტემის დარეგულირების და მისი განვითარების ფუნქციის შესრულება დაეკისრა სახელმწიფოს. სახელმწიფო ადგენს მიწების როგორც გასაყიდ, ისე საგადასახადო ფასებს, აწესებს რიგ შეზღუდვებს და განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის ფორმებს; გამოსცემს კანონებს და ამით, სამართლებრივად უზრუნველყოფს და არეგულირებს მიწის ბაზარს.

მიწის რეფორმის პირველ ეტაპად 1992-1996 წლებში გატარებული ღონისძიებები ითვლება. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის 48 დადგენილებით, მიღებულ იქნა კანონი "საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ". პირველ ეტაპზე განხორციელდა საქართველოს მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის კერძო საკუთრებაში და სარგებლობაში მიწის გადაცემა. მიწის რეფორმის მეორე ეტაპი კი, დაეთმო საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას. გამოიცა კანონები: "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", "სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ", "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ", "მიწის რეგისტრაციის შესახებ".

საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, საფუძველი ჩაეყარა მიწაზე ყველა სახის გარიგების წარმოებას. მიწის მესაკუთრე გახდა როგორც ფიზიკური პირი, ისე საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი. თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში მოქმედებს მიწის ბაზრისთვის დამახასიათებელი ყველა სახის გარიგების ინსტიტუტი.

მიწის ბაზრის ფუნქციონირება-განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი გახდა, იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიწის რეგისტრაციის ფარგლებში ჩატარებული რეფორმა. 2022 წლიდან ქვეყანაში მიმდინარეობს მიწის სისტემური რეგისტრაცია, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით 59 მუნიციპალიტეტში მოქალაქეებს უსასყიდლოდ ურეგისტრირებს როგორც საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ, ისე თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებს. პროექტის დაწყებიდან დღემდე აიზომა 1 500 000-ზე მეტი მიწის ნაკვეთი, ხოლო საკუთრების უფლება დარეგისტრირდა 1 000 000-ზე მეტ მიწის ნაკვეთზე. პროექტში მონაწილეობისთვის გადამზადდა და დასაქმდა 1000-მდე ადამიანი.

წარმატებული შედეგების გათვალისწინებით და იმ მიზნით, რომ სახელმწიფოში არ დარჩეს არცერთი დაურეგისტრირებელი ნაკვეთი, სისტემური რეგისტრაციის რეფორმა 2025 წლის ბოლომდე გრძელდება. მისი დასრულების შემდეგ შეიქმნება ერთიანი, სრულყოფილი საკადასტრო მონაცემთა ბაზა და საბოლოოდ იდენტიფიცირდება კერძო, სახელმწიფო თუ მუნიციპალური საკუთრება, რაც ხელს შეუწყობს მიწის ბაზრის განვითარებას და ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებელთა ზრდას.

საკნაძო სიტყვებია: მიწა, რეფორმა, ბაზარი, საკუთრება.

Abstract. The recognition of Georgia's independence, the transition of the national economy to a market economy, the establishment of private ownership of land, the emergence of a variety of forms of farming, created all the conditions for interest in land and a new approach to its management and opened the way for the development of the land market. The issue of improving the mechanism for the development of the land market in the country, which has its own specifics and features, was put on the agenda. Of course, the state was entrusted with the function of regulating the market system and its development. The state sets both land sale and tax prices, imposes a number of restrictions and determines the forms of entrepreneurial activity; issues laws and thus legally ensures and regulates the land market.

The first stage of land reform is considered to be the measures taken in 1992-1996. By Resolution No. 48 of the Cabinet of Ministers of Georgia of January 18, 1992, the Law "On Agricultural Land Reform in the Republic of Georgia" was adopted. At the first stage, land was transferred to private ownership and use by citizens of Georgia and stateless persons. The second stage of land reform was devoted to the regulation of the legislative framework. The following laws were issued: "On Ownership of Agricultural Land", "On Lease of Agricultural Land", "On Declaration of Non-Agricultural Land Used by Individuals and Legal Entities of Private Law as Private Property", "On Land Registration".

In accordance with legislative acts, the basis for conducting all types of transactions on land was laid. Both an individual and a legal entity registered in Georgia became the owner of the land. At the current stage, all types of transactions characteristic of the land market operate in Georgia.

One of the factors contributing to the functioning and development of the land market was the reform carried out by the Ministry of Justice within the framework of land registration. Since 2022, systematic land registration has been underway in the country, which registers both owned or used land plots and arbitrarily occupied land plots free of charge to citizens in 59 municipalities throughout the country. Since the beginning of the project, more than 1,500,000 land plots have been surveyed, and ownership rights have been registered for more than 1,000,000 land plots. About 1,000 people have been trained and employed to participate in the project.

Taking into account the successful results and with the aim of ensuring that no unregistered land plot remains in the state, the systematic registration reform continues until the end of 2025. After its completion, a unified, comprehensive cadastral database will be created and private, state, or municipal ownership will finally be identified, which will contribute to the development of the land market and the growth of the country's economic indicators.

Keywords: Land, Reform, Market, Property.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ, ეროვნული მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებამ, მეურნეობრიობის მრავალფორმიანობის წარმოქმნამ, შექმნა მიწით დაინტერესების და მისი მართვის ახლებური მიდგომის ყველა პირობა და გზა გაუხსნა მიწის ბაზრის განვითარებას. დღის წესრიგში დადგა ქვეყანაში მიწის ბაზრის განვითარების მექანიზმის გაუმჯობესების საკითხი, რომელსაც მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა და თავისებურებები გააჩნია. რა თქმა უნდა, საბაზრო სისტემის დარეგულირების და მისი განვითარების ფუნქციის შესრულება დაეკისრა სახელმწიფოს. სახელმწიფო ადგენს მიწების როგორც გასაყიდ, ისე საგადასახადო ფასებს, აწესებს რიგ შეზღუდვებს და განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის ფორმებს; გამოსცემს კანონებს და ამით, სამართლებრივად უზრუნველყოფს და არეგულირებს მიწის ბაზარს.

ცნება "ბაზარი" უმთავრესია ფასების სისტემის მეშვეობით რესურსების განაწილების გასაანალიზებლად. ეს ტერმინი მრავალსახოვანია. ზოგადი გაგებით, ბაზარი წარმოგვიდგება, როგორც შეთანხმების პაკეტი, რომლის დახმარებით საქონლისა და მომსახურების გამყიდველები და მყიდველები კონტაქტში შედიან მოცემული საქონლის ან მომსახურების ყიდვა–გაყიდვასთან დაკავშირებით.

ყველა ბაზარს, აშკარა განსხვავების მიუხედავად, აქვს საერთო ამოსავალი ეკონომიკური არსი. საბაზრო მექანიზმი მოიცავს მოთხოვნას, მიწოდებას და წონასწორობის ფასს.

მიწის ბაზრის ძირითადი ფუნქციაა ფასწარმოქმნა. ის არის მოთხოვნისა და მიწოდების მიხედვით გაწონასწორებული ფასის დადგენის პროცესი. მიწის ფასის მიხედვით შეიძლება

ვიმსჯელოთ მიწის ბაზარზე არსებული სიტუაციის შესახებ (გაჯერება–დეფიციტი). მიწის ფასი დაბალია, თუ ბაზარზე მიწაზე გარიგების ტრანზაქცია მაღალია და პირიქით. "ამრიგად არსებობს განსაზღვრული თანაფარდობა საბაზრო ფასებსა და საქონელთა რაოდენობას შორის, თუ ამ საქონელზე მყიდველთა საკმაო რაოდენობაა. მიწოდების მოცულობა იზრდება ფასის ამაღლების კვალობაზე და მცირდება ფასის დაცემის შემთხვევაში. ამ სპეციფიკურ დამოკიდებულებას ეწოდება მიწოდების კანონი".

მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებამ და გარიგებათა სიმრავლის არსებობამ, ფართო გაქანება მისცა საბაზრო და გასაყიდი ფასის ფუნქციონირებას. მიწის საბაზრო ფასის დადგენის მეთოდებიდან: შესადარისი გაყიდვების შედარების მეთოდი; ექსტრაციის მეთოდი; საიჯარო ქირის კაპიტალიზაციის მეთოდი; მიწისათვის ნარჩენის მეთოდი; განვითარების მეთოდი, მიწის ნაკვეთის დაყოფის მეთოდი, ყველაზე პოპულარული და მოქმედია შესადარისი გაყიდვების მეთოდი. მიწის საბაზრო ფასის ცვალებადობაზე არსებით გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები, რომელთა ცვალებადობა ხშირია და დინამიური. ფაქტობრივად კერძო საკუთრების მიწების გასხვისება წარმოებს მხოლოდ საბაზრო ფასებით.

ქვეყანაში რადიკალური აგრარული რეფორმის გატარებამ წარმოშვა მიწაზე ახალი ურთიერთობანი. კერძოდ, მიწათსაკუთრება, მიწათმფლობელობა, მიწათსარგებლობა. აღნიშნული საადგილმამულო ურთიერთობების შეცვლამ საქართველოში გამოიწვია მიწის სახელმწიფო მონოპოლისტური საკუთრების სახელმწიფო და კერძო საკუთრების ფორმით შეცვლა რაც განიხილება, როგორც საბაზრო ეკონომიკის ფორმირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. საიჯარო და საარენდო მიწათმოსარგებლობამ გააფართოვა საადგილმამულო ურთიერთობანი და შექმნა ახალი პირობები თამაშების წესებისა მიწაზე. ხოლო მიწაზე გადასახადის დაწესებამ რომელიც დღეს საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადია და მიწის ქონებრივი მართვის მექანიზმის საფუძველსაც წარმოადგენს, კიდევ უფრო გააფართოვა (თავისუფალი თამაშების) ეს შესაძლებლობები. ამით მიწა უნდა ჩაერთოს აქტიურ ქონებრივ, ეკონომიკურ ბრუნვაში, რომ მიწა დავიცვათ დეგრადირების, მოსპობისა და განიავებისაგან, რათა გარანტირებული იყოს პროდუქტიული მიწების დაცვის უზრუნველყოფის კარგი შესაძლებლობანი.

მიწის რეფორმის პირველ ეტაპად 1992-1996 წლებში გატარებული ღონისძიებები ითვლება. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის 48 დადგენილებით, მიღებულ იქნა კანონი "საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ". პირველ ეტაპზე განხორციელდა საქართველოს მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის კერძო საკუთრებაში და სარგებლობაში მიწის გადაცემა. მიწის რეფორმის მეორე ეტაპი კი, დაეთმო საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას. გამოიცა კანონები: "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", "სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ", "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ", "მიწის რეგისტრაციის შესახებ".

საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, საფუძველი ჩაეყარა მიწაზე ყველა სახის გარიგების წარმოებას. მიწის მესაკუთრე გახდა როგორც ფიზიკური პირი, ისე საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი. თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში მოქმედებს მიწის ბაზრისთვის დამახასიათებელი ყველა სახის გარიგების ინსტიტუტი.

მიწის ბაზრის ფუნქციონირება-განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი გახდა იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიწის რეგისტრაციის ფარგლებში ჩატარებული რეფორმა. 2022 წლიდან ქვეყანაში მიმდინარეობს მიწის სისტემური რეგისტრაცია, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით 59 მუნიციპალიტეტში მოქალაქეებს უსასყიდლოდ ურეგისტრირებს როგორც საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ, ისე თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებს. პროექტის დაწყებიდან დღემდე აიზომა 1 500 000-ზე მეტი მიწის ნაკვეთი, ხოლო საკუთრების უფლება დარეგისტრირდა 1 000 000-ზე მეტ მიწის ნაკვეთზე. პროექტში მონაწილეობისთვის გადამზადდა და დასაქმდა 1000-მდე ადამიანი.

წარმატებული შედეგების გათვალისწინებით და იმ მიზნით, რომ სახელმწიფოში არ დარჩეს არცერთი დაურეგისტრირებელი ნაკვეთი, სისტემური რეგისტრაციის რეფორმა 2025 წლის ბოლომდე გრძელდება. მისი დასრულების შემდეგ შეიქმნება ერთიანი, სრულყოფილი საკადასტრო მონაცემთა ბაზა და საბოლოოდ იდენტიფიცირდება კერძო, სახელმწიფო თუ მუნიციპალური საკუთრება, რაც ხელს შეუწყობს მიწის ბაზრის განვითარებას და ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებელთა ზრდას.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსაქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც 2004 წელს დაარსდა და ახორციელებს რეესტრების წარმოებას, მოიცავს მიწის რეგისტრაციას და ბიზნესის რეგისტრაციას:

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, 2022 წლიდან მიწის სისტემური რეგისტრაცია, მთელი საქართველოს მასშტაბით, ქვეყნის 59 მუნიციპალიტეტში ხორციელდება. რეფორმის ფარგლებში, სააგენტოგეგმა-გრაფიკის მიხედვით ზომავს და არეგისტრირებს კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს და ქმნის მონაცემთა ერთიან ბაზას. 2025 წლის ბოლომდე სისტემური რეგისტრაცია ყველა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასრულდება.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით აიზომა 68 4325 მიწის ნაკვეთი, რომლის ჯამური ფართობი 24 1022 ჰექტარია. აქედან რეგისტრირებულია 54 0169 მიწის ნაკვეთი, რომლის ჯამური ფართობი 217 408 ჰექტარია. საქართველოს სარეგისტრაციო ტერიტორიის 80% - ზე მეტი უკვე რეგისტრირებულია. სააგენტომ, შესაბამისი გადამზადების შედეგად, დაასაქმა და სისტემური რეგისტრაციის სამუშაოებში უკვე ჩართულია: 300 რეგისტრატორი, 735 უძრავი ქონების ამგეგმავი და საველე ჯგუფის მენეჯერი, მათ შორის 80 ქალი. 2023 წლის განმავლობაში სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში დღიურად იზომებოდა და რეგისტრირდებოდა საშუალოდ 2 500 - 2 700 მიწის ნაკვეთი. 2023 წლის მანძილზე საველე აზომვითი სამუშაოები დასრულდა 14 მუნიციპალიტეტში: ხულო, სამტრედია, აბაშა, მესტია, სენაკი, ხობი, ლაგოდეხი, კასპი, ხაშური, ამბროლაური, თიანეთი, დუშეთი, ბაღდათი, ლენტეხი. 2023 წლისგანმავლობაშირეგისტრაციისპროცესიდასრულდა 10 მუნიციპალიტეტში: ლაგოდეხი, კასპი, აბაშა, სამტრედია, ხულო, სენაკი, ხობი, ხაშური, მესტია, ამბროლაური. 2023 წლის განმავლობაში საველე აზომვითი სამუშაოები დაიწყო და მიმდინარეობდა ახმეტის, ვანის, თერჯოლის, ჩხოროწყუს, გორის, ჭიათურის, ქედის, ცაგერის, სიღნაღის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში. დღეში საშუალოდ იზომება და რეგისტრირდება 2500-2700 მიწის ნაკვეთი.

თბილისის მერიის ინიციატივით 2023 წელს დედაქალაქში მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტი დაიწყო. რეფორმის ფარგლებში თბილისის მერიის მიერ წინასწარ შერჩეული 12 ლოკაციის გარკვეულ არეალებზე (ახალდაბა, ბეთანია, კვესეთი, კიკეთი-საღორისი, წყნეთი,

კოჯორი, ტაბახმელა, შინდისი, წავკისი, დიდგორი, ძველივეძისი, დიღომი) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2024 წლის ბოლომდე მიწის სისტემური რეგისტრაციის სამუშაოებს ეტაპობრივად განახორციელებს. სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივებულია და სამუშაოები მოსახლეობისთვის სრულიად უფასოდ წარიმართება. საჯარო რეესტრი თავად ზომავს მიწის ნაკვეთებს, არქივებიდან იძიებს დოკუმენტაციას, ადგენს მიწის ნაკვეთების ზუსტად გილმდებარეობას და შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში, აღიარებს საკუთრების უფლებას, მათ შორის, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზეც. პროექტის ფარგლებში, 2023 წ. 1 ოქტომბრიდან - სულ აიზომა 6 000-ამდე მიწის ნაკვეთი. საველე აზომვითი სამუშაოები დასრულდა ახალდაბის, ბეთანიისა და კვესეთის სისტემური რეგისტრაციის არეალებზე. სამუშაოები დაიწყო/მიმდინარეობდა კიკეთი-საღორისისა და წყნეთის სისტემური რეგისტრაციის არეალებზე.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების“ პროექტის კომპონენტი წარმატებით დაასრულა. პროექტის ფარგლებში, იმ 28 არეალში, სადაც მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობს სარწყავი სისტემების მშენებლობა და აღდგენა, მიწის ნაკვეთების სისტემური წესით რეგისტრაცია დასრულდა. სისტემური წესით აიზომა და დარეგისტრირდა 175 000 მიწის ნაკვეთი (ჯამური ფართობით 190 000 ჰა) ; მოქალაქეებისთვის სრულიად უფასოდ მიმდინარეობდა როგორც მიწის ნაკვეთების აზომვა, ისე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია და საბოლოოდ, რეგისტრაცია.

მიწის რეფორმა ინსტიტუციური სტრუქტურის შეცვლას ეხება, ადამიანის მიერ მის მართვას და ურთიერთობას მიწასთან. კაცობრიობის საარსებო წყარო დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაზე. მიწა არის სოფლის მეურნეობის საკვების წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი. მიწათმფლობელობის მოდელის შეცვლამ და მიწის გადანაწილებამ ხელი შეუწყო მიწის ბაზრის განვითარებას, რასაც ზემოთ აღნიშნული ციფრები გვიჩვენებს. წლების ინდექსს თუ გადავხედავთ, 3 ჯერ გაიზარდა გარიგების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია და 2 ჯერ გაიზარდა იპოთეკის წარმოშობა.

მიწის პრივატიზება და რეგისტრაცია ხელს უწყობს მიწაზე სარგებლობის და კრედიტის მიღებას, რაც განავითარებას მიწის ბაზარს და ხელს შეუწყობს კოოპერატივების ჩამოყალიბებას.

მას შემდეგ, რაც სასოფლო-სამეურნეო მიწის იპოთეკა კანონიერი უფლებაა, როგორც ეს არის აღმოსავლეთ ევროპის დანარჩენ ქვეყნებში, ის მაინც უნდა იყოს ფერმერებისთვის კრედიტის გაცემის უფრო ფართო სქემის ნაწილი. რამდენიმე მიწის მესაკუთრე იყენებს მიწას, როგორც სესხების უზრუნველყოფას სხვადასხვა ქვეყნებში. ფაქტობრივად, იპოთეკური სესხის განხორციელდებას სჭირდება მიწის აქტიური ბაზარი და სასოფლო-სამეურნეო მიწას საბაზრო ღირებულება, რასაც საკუთრების უფლება განაპირობებს და ეფექტურია. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმამ მეტ-ნაკლებად მოსახლეობის ყველა ფენის მოთხოვნილება დააკმაყოფილა. მიწა ერგო როგორც სოფლის, ისე ქალაქის მოსახლეობას, მიუხედავად იმისა, ახორციელებდნენ თუ არა ისინი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მანამდე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. "მიკროეკონომიქსი". ა.სილაგაძე, ჯ.კახნიაშვილი, ე.მექვაბიშვილი. გვ.86, 87, 90;
2. ნ. ტურაბელიძე, თ. ურუშაძე, ფ. ქვაცაბაია, თ. ქვრივიშვილი. მიწის კადასტრი. გვ.138;

3. შ. ვაშაკიძე. საადგილმამულო ურთიერთობის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში. ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. 08.00.14 სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა.გვ.111.

4. მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების გზები ქვემო ქართლის მხარის მაგალითზე, დისერტაცია სოც. მეცნიერებათა დოქტორი შორენა ცაავა თბ. 2010 წ;

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი www.ustice.gov.ge

6. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს www.napr.gov.ge-ზე განთავსებული 2023 წლის ანგარიში.

საქართველო და “ შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი” - საინჟინრო ინოვაციისა და გლობალური თანამშრომლობის პროექტი

Georgia and the “Black Sea Submarine Cable” - a project of engineering innovation and global cooperation

ქეთევან ვეზირიშვილი-ნოზაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ირ.ჟორდანიას სახელობის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ზურაბ ლომსაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ირ.ჟორდანიას სახელობის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დირექტორი,
ნოდარ მირიანაშვილი
ირ.ჟორდანიას სახელობის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ენერგეტიკისა და ეკოლოგიის განყოფილების გამგე
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ელენე ბათლიძე
სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის სტუდენტი

Ketevan Vezirishvili - Nozadze
Associate Professor of GTU,
Chief Researcher of the Center for the Study of Production Forces and Natural Resources named after Ir. Zhordania,
Georgian Technical University
Zurab Lomsadze
Professor at GTU
Director of the Center for the Study of Production Forces and Natural Resources named after Ir. Zhordania,
Georgian Technical University,
Nodar Mirianashvili
Head of the Energy and Ecology Department of the Center for the Study of Industrial Forces and Natural Resources of the Georgian Technical University named after Ir. Zhordania
Elene Batlidze
Student of the Faculty of Energy, Georgian Technical University

აბსტრაქტი. „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის” პროექტის ინიციატორი და იდეის ავტორი საქართველოა. სწორედ ჩვენმა ქვეყანამ წარადგინა ეს პროექტი აღმოსავლეთ პარტნიორობის ეკონომიკური

და საინვესტიციო პროექტების ჩამონათვალში და საქართველოშივე დაიწყო ტექნიკურ - ეკონომიკური კვლევები, ისევე როგორც ამ სამუშაოების დაფინანსება. შემდგომ ამას შემოუერთდა პარტნიორი ქვეყნები და უკვე შემდეგ ეტაპზე გაფორმდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმება, რომელშიც ოთხი ქვეყანა იქნება ჩართული: საქართველო, აზერბაიჯანი, რუმინეთი და უნგრეთი.

„შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის“ პროექტი არის უმსხვილესი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც ერთმანეთთან პირდაპირ დააკავშირებს საქართველოსა და რუმინეთის, ხოლო ფართო კონტექსტში - სამხრეთ კავკასიის და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ელექტროენერგეტიკულ სისტემებს. წყალქვეშა კაბელის სიგრძე იქნება 1155 კმ-ზე მეტი (1115კმ წყალქვეშ, ხოლო 40 კმ ხმელეთზე), ძაბვა - 525 კვ, ხოლო სიმძლავრე - 1300 მგვტ. პროექტი ასევე მოიცავს ოპტიკურ-ბოჭკოვანი სატელეკომუნიკაციო კაბელის მშენებლობას, რომელიც წყალქვეშა ძალოვანი კაბელისთვის შერჩეულ დერეფანში დამონტაჟდება. წყალქვეშა კაბელის მშენებლობის დასრულების სავარაუდო თარიღია 2030 წელი. პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურმა კვლევამ, რომელიც იტალიურმა საკონსულტაციო კომპანია CESI-მ განახორციელა, დაადგინა, რომ აღნიშნული პროექტი ტექნიკურად და ეკონომიკურად განხორციელებადია.

ჩვენი კვლევის მიზანია ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისას წინასწარ დავადგინოთ თუ რა ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს საქართველო, შევძლებთ კი ექსპორტზე გავიტანოთ ჩვენი ქვეყნის განახლებადი რესურსების ენერგია თუ დავრჩებით მხოლოდ სატრანზიტო დერეფნად, რომელიც ასევე ძალიან მიმზიდველია, თუმცა ნაკლებად შემოსავლიანი.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი, ელექტროენერგეტიკული სისტემა, ელექტროენერგიით ვაჭრობა, სატრანზიტო დერეფანი, ენერგეტიკული უსაფრთხოება.

Abstract. The initiator and author of the idea of the “Black Sea Submarine Cable” project is Georgia. It was our country that presented this project in the list of economic and investment projects of the Eastern Partnership and began technical and economic studies, as well as financing of these works in Georgia. Later, partner countries joined this and at the next stage, an important international agreement was signed, in which four countries will be involved: Georgia, Azerbaijan, Romania and Hungary.

The “Black Sea Submarine Cable” project is the largest infrastructure project that will directly connect the power systems of Georgia and Romania, and in a broader context - the South Caucasus and South-Eastern Europe. The submarine cable will be over 1,155 km long (1,115 km underwater and 40 km on land), with a voltage of 525 kV and a capacity of 1,300 MW. The project will also include the construction of a fiber-optic telecommunications cable, which will be installed in the corridor selected for the submarine power cable. The estimated completion date for the submarine cable is 2030. A feasibility study for the project, conducted by the Italian consulting company CESI, has determined that the project is technically and economically feasible.

The goal of our research is to determine in advance what economic benefits Georgia will receive from the implementation of this important project, whether we will be able to export the energy of our country's renewable resources or remain only a transit corridor, which is also very attractive, although less profitable.

Keywords: Black Sea submarine cable, power system, electricity trade, transit corridor, energy security.

შესავალი

„შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის“ პროექტი ხელს უწყობს ეროვნული და რეგიონული ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას, შავი ზღვის დაკავშირებადობის გაზრდას, ენერგორესურსების მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციას, განახლებადი ენერგიის წარმოების პოტენციალის კაპიტალიზაციას და განახლებადი ენერგიის წილის გაზრდას ენერგეტიკულ მიქსში. იგი ასევე აერთიანებს რეგიონულ ენერგეტიკულ შესაძლებლობებს, რათა უზრუნველყოს ელექტროენერგიის გენერირება კონკურენტულ ფასებში განახლებადი წყაროებიდან.

ძირითადი ნაწილი

რას წარმოადგენენ წყალქვეშა კაბელები?

წყალქვეშა კაბელები არის სპეციალური დანიშნულების კაბელები, რომლებიც შექმნილია ზღვის ფსკერზე დასაყენებლად მონაცემების ან ელექტროენერგიის გადასაცემად. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თანამედროვე ინფრასტრუქტურაში, გლობალური კომუნიკაციებისა და ენერგიის გადასაცემად. ეს კაბელები შექმნილია იმისთვის, რომ გაუძლოს მკაცრ წყალქვეშა გარემოს და უზრუნველყოს მათი მუშაობის მაღალი ეფექტურობა და საიმედოობა. წყალქვეშა კაბელები თანამედროვე ინფრასტრუქტურის ქვაკუთხედია, ის უწყვეტი კომუნიკაციისა და ენერგიის განაწილების საშუალებას იძლევა მთელს მსოფლიოში. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად განახლებად ენერგიაზე მოთხოვნა იზრდება, წყალქვეშა კაბელები კი „მწვანე ენერგიებით“ წარმოებული ელექტროენერგიის მიწოდების საჭიროებას ზრდის. ისინი წარმოადგენენ საინჟინრო ინოვაციებისა და გლობალური თანამშრომლობის შესანიშნავ ნაზავს, რაც უზრუნველყოფს სამყაროს ურთიერთდაკავშირებულობას (სურ. 1.).



სურ. 1. წყალქვეშა კაბელი

წყალქვეშა კაბელების ისტორია თარიღდება მე-19 საუკუნის შუა წლებით, სატელეკომუნიკაციო კაბელების განვითარებით, როგორიცაა პირველი ტრანსატლანტიკური ტელეგრაფის კაბელი, რომელიც შეიქმნა 1858 წელს. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად გამოიყენებოდა კომუნიკაციისთვის, მე-20 საუკუნეში წყალქვეშა საკაბელო ტექნოლოგია გაფართოვდა და მოიცავდა ელექტროენერგიის გადაცემას. თანამედროვე წყალქვეშა კაბელები ახლა თამაშობენ გადამწყვეტ როლს მსოფლიოს ენერგეტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაღალი ძაბვის ტექნოლოგიის მიღწევებით, რაც იძლევა ელექტროენერგიის დიდ მანძილზე გადაცემის საშუალებას. პირველი მაღალი ძაბვის წყალქვეშა კაბელი (HVDC – High Voltage Direct Current) დაიგო 1954 წელს შვედეთსა და გოტლანდის კუნძულს შორის. ეს იყო ელექტროენერგიის გადაცემის პირველი წარმატებული პროექტი წყალქვეშა HVDC ტექნოლოგიის გამოყენებით. NorNed, დამონტაჟდა ნორვეგიასა და ნიდერლანდებს შორის, რამაც შესაძლებელი გახადა განახლებადი ენერგიის ეფექტური გადაცემა დიდ დისტანციებზე.

წყალქვეშა დენის კაბელები, როგორც სასიცოცხლო რგოლი გადამწყვეტ როლს ასრულებენ განახლებადი ენერგიის წყაროების ინტეგრაციაში, რაც საშუალებას იძლევა ელექტროენერგიის

გადაცემისა საზღვრებს გარეთ და აკავშირებს სხვადასხვა ენერგეტიკულ ბაზრებს მთელს მსოფლიოში. ისინი წარმოადგენენ აუცილებელ დამაკავშირებელ მოწყობილობებს, ოფშორულ ქარის ელექტროსადგურებსა და ხმელეთზე ელექტრო ქსელებს შორის, რაც ხელს უწყობს განახლებადი ენერგიის წყაროების ინტეგრაციას გეოგრაფიულ საზღვრებს მიღმა. ოფშორული ქარის მეურნეობები ეყრდნობა ძლიერ წყალქვეშა დენის კაბელებს მათი უხვი, განახლებადი ენერგიის გადასატანად ზღვიდან ნაპირამდე და ინტეგრირებისთვის ხმელეთის ელექტრო ქსელებში.

წყალქვეშა კაბელები შექმნილია ისე, რომ გაუძლოს ექსტრემალურ პირობებს, როგორიცაა ზღვის წყლის წნევა, კოროზია და ფიზიკური დაზიანება. მათი სტრუქტურა ფენებადაა აგებული, რაც უზრუნველყოფს ელექტროენერგიისა და მონაცემთა უსაფრთხო გადაცემას. მისი ძირითადი ნაწილია კონდუქტორი (Conductor), რომლის ფუნქციაა ელექტროენერგიის ან მონაცემთა გადაცემა. მასალად გამოიყენება ძირითადად სპილენძი ან ალუმინი, რომლებიც კარგი გამტარუნარიანობით გამოირჩევა. ალუმინი მისი წონისა და სიმტკიცის გამოც არის მნიშვნელოვანი. კაბელები იზოლაციის ფენით იფარება. იზოლაციის (Insulation) ფუნქციაა კონდუქტორის მოკლე ჩართვისგან დაცვა, ის უზრუნველყოფს ელექტრული ველის მართვასაც. თანამედროვე წყალქვეშა კაბელებში გამოიყენება პოლიმერული მასალები, როგორიცაა XLPE (Cross-Linked Polyethylene) ან PAP (Paper-Insulated Cable).

წყალქვეშა კაბელის ტიპები შემდეგია: 1. HVDC კაბელები: გამოიყენება მაღალი ძაბვის პირდაპირი დენის გადასაცემად. განსაკუთრებით პოპულარულია ოფშორული ქარის ფერმებიდან ენერგიის მიწოდებისთვის. 2. HVAC კაბელები: მაღალი ძაბვის ალტერნატიული დენის გადასაცემად გამოიყენება შედარებით მოკლე მანძილებზე.

3. ოპტიკური ბოჭკოვანი კაბელები, ისინი გამოიყენება მონაცემთა გადაცემისთვის, ძირითადად ინტერნეტისა და სატელეკომუნიკაციო ქსელებში.

ინოვაციები კაბელების დიზაინში არის ის, რომ მას აქვს თვითმონიტორინგის სისტემა; წყალქვეშა კაბელები ხშირად აღჭურვილია სენსორებით, რომლებიც აფიქსირებენ ძაბვის ან ტემპერატურის ცვლილებებს. ჰიბრიდული კაბელების დანიშნულებაა კომბინირებულად გადაიტანოს, როგორც ელექტროენერგია, ასევე მონაცემები (HVDC + ბოჭკოვანი კაბელი). ამ კაბელების დამონტაჟებისას დიზაინის გამოწვევებია: 1. დიდი წონა: წყალქვეშა კაბელების სტრუქტურა მოითხოვს მძიმე დამცავ ფენებს, რაც ართულებს მათ ტრანსპორტირებას და მონტაჟს. 2. მაღალი წნევა: ზღვაში, განსაკუთრებით ღრმა წყლებში, კაბელებმა უნდა გაუძლონ უზარმაზარ ჰიდროსტატიკურ წნევას. 3. ტემპერატურული კონტროლი: ენერგიის გადაცემის დროს წარმოიქმნება სითბო, რაც ეფექტურად უნდა გაიფანტოს.

რა შესაძლებლობებს ხსნის შავი ზღვის გავლით ელექტროენერგიის გადამცემი წყალქვეშა კაბელი და რა შედეგებს მოუტანს ის საქართველოს? ამ პროექტით საქართველო, როგორც ტრანზიტული დერეფანი კასპიის მხრიდან ევროპისაკენ უკვე სხვა რეგისტრში და სხვა სიმაღლეზე ავა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია როგორც პოლიტიკური სტაბილურობის, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ პროექტით საქართველო ხდება აუცილებელი დერეფანი ევროპისთვის, აქამდე მხოლოდ გაზისა და ნავთობის საშუალებით ვუკავშირდებოდით ევროპას, მაგრამ ეს იყო თურქეთის გავლით. ახლა საქართველო პირდაპირ დაუკავშირდება ევროპას. აქამდე ჩვენს ქვეყანას ჰქონდა გაზის და ნავთობის მიწოდების გამოცდილება, მაგრამ ელექტროენერგიის კაბელის ჩადება სხვა გამოწვევებს წარმოშობს. ეს ტექნიკურადაც და ეკონომიკურადაც საინტერესოა. ამ კაბელის საშუალებით სხვა რეგისტრში ავა საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება და ენერგეტიკული დამოუკიდებლობა.

წყალუხვობის პერიოდში ჩვენმა ქვეყნამ 800 მილიონი კილოვატ საათის ელექტროენერგია გაყიდა თურქეთში, იგივე ენერგია რომ ევროპაში გაყიდულიყო სამჯერ მეტი თანხა შევიდოდა საქართველოს ბიუჯეტში.

2025 წლის ბოლოს ამ პროექტის მიმართულებით მნიშვნელოვანი ძვრებია მოსალოდნელი და ვიმედოვნებთ, რომ პროექტი ძალიან სწრაფად ამუშავდება, რადგან არსებობს პოლიტიკური ნება და მოძიებულია თანხები. რაც შეეხება დაფინანსებას - პირველ ეტაპზე ეს არის 2,3 მილიარდი დოლარი, რომელიც მოიძია ევროკავშირმა. ბუნებრივია, პროექტზე მუშაობის პერიოდში სხვა ინვესტიციებიც იქნება, მთავარია ჩვენმა ქვეყანამ სარგებელი მიიღოს ამ პროექტიდან და მარტო ტრანზიტზე არ ვიყოთ დამოკიდებული, რადგან ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ წყლისგან, ქარისგან და მზისგან ენერგია ვაწარმოოთ და გავყიდოთ ევროპულ ბაზარზე. სწორედ ამ მიზნით რუმინეთში, ქ. ბუქარესტში, საქართველოს, აზერბაიჯანის, რუმინეთისა და უნგრეთის გადამცემი სისტემის ოპერატორთა მონაწილეობით, ერთობლივი საწარმოს - Green Energy Corridor Power Company - GECO POWER COMPANY რეგისტრაციის პროცესი წარმატებით დასრულდა.

ერთობლივი საწარმო, ამ ეტაპზე, მწვანე ენერგიის კორიდორის კვლევითი და საპროექტო საქმიანობით იქნება დაკავებული. შესაბამისად, მისი შექმნის მიზანს მწვანე ენერგიის დერეფნის პროექტის რეალიზება წარმოადგენს, რაც, მათ შორის, ითვალისწინებს შავი ზღვის წყალქვეშა მაღალი ძაბვის გადამცემი კაბელის მშენებლობას.

სტრატეგიული პარტნიორობის თაობაზე შეთანხმებითა და „მწვანე ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმით განსაზღვრული ამოცანების რეალიზაციის მიზნით აზერბაიჯანის, საქართველოს, რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობებს შორის 2023 წლის 25 ივლისს ხელი მოეწერა ერთობლივი საწარმოს დაფუძნების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლითაც ერთობლივი საწარმოს შექმნის ზოგადი პრინციპები გაიწერა.

Green Energy Corridor Power Company - GECO POWER COMPANY-ის დამფუძნებელი კომპანიები არიან: აზერბაიჯანის რესპუბლიკის მხრიდან - ღსს „აზერენერჯი“, საქართველოს მხრიდან - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, უნგრეთის მხრიდან - MVM Energy Private Limited Company, ხოლო რუმინეთის მხრიდან - National Power Grid Company Transelectrica S.A. ერთობლივი საწარმო თანაბარი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა. ესაბამისად, ყველა ჩართული მხარე თანაბრად მიიღებს მონაწილეობას კომპანიის მართვაში.

გეოგრაფიულად და ინსტიტუციურად სხვადასხვა წარმომავლობის ფინანსური რესურსის აკუმულირება ამ პროექტს იმთავითვე მისცემს წარმატების გარანტიებს.ბუნებრივია, 1000 მეგავატამდე გამტარუნარიანი 500 კილოვატიანი გადამცემი ქსელი, რომელიც საქართველოს მისცემს საშუალებას რეგიონის ელექტროენერგეტიკა დააკავშიროს ევროპას და პირიქით, იქნება წარმოუდგენელი ნახტომი, როგორც ენერგოდამოუკიდებლობის ისე ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით. ამ კაბელის დახმარებით ელექტროენერგიის გაცვლა ევროპის ენერგეტიკულ სისტემასთან შეეძლება მთელ რეგიონს, ეს კავშირი არსებული ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე (საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის უკვე არსებული 500 და 300 კილოვოლტიანი ხაზები და თითქმის დასრულებული მესამე ასევე 330 კილოვოლტიანი ხაზი), უკვე პროექტის ჩაშვების საწყის ეტაპზევე დიდ შესაძლებლობას აძლევს აზერბაიჯანს, რომელიც ბოლო პერიოდში აქტიურად არის დაკავებული საკუთარი რესურსების ელექტროენერგეტიკული პოტენციალის საექსპორტო ბაზრებზე გატანით. აქ იგულისხმება, როგორც აზერბაიჯანში არსებული და დაგეგმილი თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია, ასევე პერსპექტივაში დაგეგმილი ქარის ენერგეტიკის განვითარების

შედეგად მიღებული ელექტროენერგეტიკული რესურსიც. პროექტი უმნიშვნელოვანესი იქნება საკუთრივ საქართველოში გენერირებული ელექტროენერგიის ევროკავშირის ბაზარზე გატანის თვალსაზრისით და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საქართველოს დამატებით მისცემს სოლიდურ სატრანზიტო შემოსავალს.

საქართველოს ენერგოსისტემა პირდაპირ დაუკავშირდება ევროპის ერთიან ელექტროენერგეტიკულ ქსელს, რაც გარდა ენერგეტიკული და ეკონომიკური ფაქტორებისა, ცალსახად იქნება გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელი ფაქტიც.

ამ კაბელის კიდევ სხვა სიკეთე იქნება ის, რომ მასში შესაძლებელია დაინსტალირდეს ოპტიკურ - ბოჭკოვანი სადენიც, რომელიც ტელეკომუნიკაციის, ინტერნეტ არხის ჩამოსაყალიბებლად დამატებით პირდაპირ საშუალებას მოგვცემს. ეს იქნება ტელესაკომუნიკაციო ტრაფიკის დამატებითი პირდაპირი არხის ფორმირების შესაძლებლობა სამხრეთ - აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიას - ცენტრალურ აზიას შორის.

დაგეგმილი პროექტი, მისი განხორციელების შემთხვევაში ქვეყანას ტრანსკავკასიური ელექტროენერგეტიკული ჰაბის ფუნქციას შესძენს და საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობამდე მისვლას შეუწყობს ხელს. ელექტროენერგიის იმპორტის საჭიროებისას ამ გადამცემი ქსელის არსებობა მოგვცემს საუკეთესო არჩევანის გაკეთების საშუალებას და არა მარტო ჩვენი უშუალო მეზობლების შესაძლებლობებიდან. მედლის მეორე მხარეა ის, რომ არ არის შორს ის დრო, როცა ჩვენი ქვეყანა შეძლებს განახლებადი რესურსების მაქსიმალურად ათვისებას და ჭარბი ელექტროენერგიის ექსორტზე გატანას. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად გარანტირებული მყიდველი გველის ევროგაერთიანების ენერგეტიკული ბაზრის სახით.ამ მოლოდინს ამყარებს ისიც, რომ ევროპაში მწვანე ენერეგიაზე ისედაც მაღალი მოთხოვნა სულ უფრო იზრდება და ეს ტენდენცია შეუქცევადია. ცხადია, ამ გადამცემ ხაზს პერსპექტივაში ექნება ასევე სატრანზიტო ფუნქიაც და რეგიონიდან ევროგაერთიანებასთან ენერგორესურსის გაცვლაში მიიღებს მონაწილეობას, აქაც საქართველო დიდ სარგებელს ნახავს. თუმცა დროის ჭრილში შეიძლება ჩვენი გენერაციის ახალი ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვება და ამ გადამცემი ხაზის ამოქმედება ერთმანეთს დაემთხვეს და ამ ქსელში სატრანზიტო ელექტროენერგიის ადგილი უბრალოდ არ დარჩეს. ესეც მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო პერსპექტივა იქნება საქართველოსთვის. სწორედ ამ მიზნით „აჭარ ენერჯი“ ქვეყნის ენერგეტიკის სექტორში 460 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციებს განახორციელებს.

საინვესტიციო პროექტით დაგეგმილია ქარის ხუთი და მზის ერთი ელექტროსადგურების მშენებლობა, რაც ჯამში, დაახლოებით, 360 მგვტ დადგმულ სიმძლავრეს მოიცავს და ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის გაძლიერებას, ისე ამ მიმართულებით საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

Achar Energy-Eksim Holding-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქვეყნის დიდი საინვესტიციო პოტენციალი საქართველოს განსაკუთრებულად მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. უპრეცედენტოდ დიდი ინვესტიციის განხორციელებას კომპანია მიმდინარე წელს დაიწყებს და პროექტები ექსპლუატაციაში ეტაპობრივად შევა.

Exim Holding-ის შვილობილი კომპანია „აჭარ ენერჯი“ საქართველოში ბოლო წლებია წარმატებით ოპერირებს და 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი უკვე განახორციელა, რომელთა ჯამური საინვესტიციო მოცულობა 200 მლნ აშშ დოლარს აღემატება.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის საქართველოს გადამცემი ქსელის ათლწლიანი განვითარების გეგმის პროგნოზით, ქვეყნის მთლიანი მოხმარება 2033 წლისთვის 20 მლრდ. კვტ. სთ.-ს გადააჭარბებს. ერთადერთი გამოსავალი, რითიც შეგვიძლია, ჩვენი ქვეყნის

ენერგეტიკული უსაფრთხოების ხარისხი გავზარდოთ და განვამტკიცოთ ენერგეტიკული დამოუკიდებლობა საკუთარი განახლებადი ენერგიის რესურსების ათვისება და ახალი სადგურების მშენებლობაა.

2021 წელს ნორვეგიის წყლის რესურსებისა და ენერგიის დირექტორატის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოს ტექნიკურ-ეკონომიკურად სარგებლიანი ჰიდრო პოტენციალი მოდინებაზე მომუშავე ჰესებისთვის – 56 მლრდ კვტ.სთ.-ია. ამასთან ერთად, საქართველოს აქვს რესურსი სამი დიდი წყალსაცავიანი ჰესის აშენების. ესენია: ხუდონჰესი (1.7 მლრდ კვტ. სთ) ნენსკრაჰესი (1.2 მლრდ კვტ.სთ) და ნამახვანჰესი (1.5 მლრდ კვ.სთ) მათი ჯამური დადგმული სიმძლავრე დაახლოებით ერთი ენგურჰესის ტოლ ელ.ენერგიას გამოიმუშავებდა.

მხოლოდ მდინარის მოდინებაზე მომუშავე ჰესების პოტენციალის ათვისებით საქართველოს ელექტროენერგიის იმპორტში ყოველწლიურად უზარმაზარი რაოდენობის თანხის გადახდის სანაცვლოდ, ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანით ძალიან დიდი ფინანსური სარგებლის ნახვა შეუძლია (სურათი 2).



სურ. 2. ჰესების პოტენციალი

არსებული ტარიფით საქართველოს ჭარბი ელექტროენერგიის (56-20=36 მლრდ კვტ/სთ) 8.7 ცენტად, ანუ დაახლოებით 23 თეთრად ექსპორტზე გატანა შეუძლია. ამ შემთხვევაში, საქართველო 8.3 მილიარდ ლარამდე სარგებელის მიღებას შეძლებს. შესაბამისად, ამ თანხიდან მინიმუმ 1,6 მილიარდი ლარი ბიუჯეტში ჩაირიცხება. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ექსპორტის ფასი ფაქტობრივად ყოველ წელს მატულობს, საიდან გამომდინარეც შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ 2030 წლისთვის ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იქნება.

ჰიდრო პოტენციალის სრული ათვისების შემთხვევაში, 1,5 ცენტად ექსპორტირებული 36 მილიარდი კვტ/სთ ენერგიის გადაცემის სახით, ჩვენი ქვეყნის ელექტროსისტემას დამატებით 1,5 მილიარდი ლარი დაემატება.

2020-2021 წლისთვის (საბალანსო მექანიზმების ამუშავების შემდეგ) საქართველოს ენერგოსისტემაში შესაძლებელი იყო 333 მგვტ ქარის და 130 მგვტ მზის სადგურების ინტეგრირება (პოტენციალის 25%). 2025 წლისთვის შესაძლებელი იქნება დაახლოებით 500 მგვტ

ქარის და 250 მგვტ მზის სადგურების ინტეგრაცია. 2030 წელს საპროგნოზოდ 1332 მგვტ ქარის და 520 მგვტ მზის სადგურების ინტეგრირება პოტენციალის 100%-ის ინტეგრირება იქნება შესაძლებელი.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ შეფასებული ქარის ენერგეტიკული პოტენციალი – 5 მლრდ კვტ. სთ, ხოლო მზის 0.695 მლრდ კვტ.სთ შეადგენს. ამჟამად ქვეყანას საკუთარი ჰიდრო პოტენციალის მხოლოდ 22%, ქარის კი – 1.7 % აქვს ათვისებული, ხოლო ელექტროსისტემაში ჩართული დიდი ზომის მზის სადგური ჯერ აშენებული არ არის.

ამ რესურსების ათვისებით საქართველოს არამხოლოდ იმპორტის საკუთარი გენერაციის წყაროებით ჩანაცვლება, არამედ ელ.ენერგიის ექსპორტზე გატანაც შეეძლება. რაც ჩვენს ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. 2020 წელს Gross Energy Group-მა ჩაატარა კვლევა: „ადგილობრივი განახლებადი ენერგეტიკული რესურსის განვითარების ეკონომიკური გავლენის ანალიზი და მისი როლი ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში“, სადაც სხვადასხვა ტიპის განახლებადი ენერგიის სადგურების მშენებლობის მთლიან შიდა პროდუქტზე (მშპ) გავლენა იქნა შეფასებული.

მათ მიერ მიღებული შედეგების მიხედვით:

1 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობით 10 წლიან პერიოდში მშპ-ზე გავლენა ჯამურად 2.16 მლნ აშშ დოლარის ღირებულებას ქმნის. მზის სადგურის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 1.29 მლნ აშშ დოლარის ტოლია, ხოლო ქარის 1.53 მლნ აშშ დოლარის.

„შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის ეკონომიკური და ენერგეტიკული მნიშვნელობა უდაოა.

ამ პროექტით გამოიკვეთება საქართველოს როლი როგორც ენერგეტიკული ჰაბის:

1. პროექტი გააძლიერებს საქართველოს სტრატეგიულ პოზიციას და გაზრდის ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას.

2. საქართველოს ექნება შესაძლებლობა განახლებადი ენერგიის ექსპორტი მოახდინოს ევროკავშირში.

3. შავი ზღვის კაბელი ახალი ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს და შექმნის სამუშაო ადგილებს.

21-ე საუკუნის ამ მეგა პროექტით ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოება იქნება დაცული:

1. პროექტი ხელს შეუწყობს ევროპის ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიკაციას და რუსეთის ენერგეტიკაზე დამოკიდებულების შემცირებას.

2. საქართველო და აზერბაიჯანი ევროპისთვის ალტერნატიული ენერგომიმწოდებლები გახდებიან.

პროექტის ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევებია:

- გარემოზე ზემოქმედება:

1. კაბელის მონტაჟი გარკვეულ ზემოქმედებას მოახდენს შავი ზღვის ფსკერის ეკოსისტემაზე, რაც მოითხოვს ეკოლოგიური შეფასებების ჩატარებას.

2. აუცილებელია ელექტრომაგნიტური ველების (EMF) და თერმული ზემოქმედების შესწავლა ზღვის ბინადრებზე.

- ტექნიკური გამოწვევები:

1. შავი ზღვის სიღრმე 2,000 მეტრს აჭარბებს, რაც კომპლექსური საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღებას საჭიროებს.

2. კაბელის მომსახურება და შეკეთება რთულია, რადგან ის ზღვის ფსკერზე იქნება განთავსებული.

პროექტის პერსპექტივები და მომავალი განვითარება:

- მიმდინარე სტატუსი

1. 2023 წლის ბოლომდე პროექტის ფინანსური და ტექნიკური კვლევები მიმდინარეობდა.

2. 2024-2025 წლებში იგეგმება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და სამშენებლო სამუშაოების დაწყება.

- მოსალოდნელი შედეგები:

1. პროექტი გააუმჯობესებს საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და გაზრდის ევროკავშირთან ინტეგრაციის შესაძლებლობებს.

2. ის დააჩქარებს საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მოდერნიზაციას და ხელს შეუწყობს განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებას.

დასკვნა:

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი საქართველო-ევროკავშირის ენერგეტიკულ თანამშრომლობაში ისტორიული ნაბიჯია. მისი წარმატება დამოკიდებული იქნება საინვესტიციო გარემოზე, ეკოლოგიურ კვლევებზე და ტექნიკურ გადაწყვეტებზე. თუ პროექტი განხორციელდება, საქართველო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ევროპის ენერგეტიკულ სტრუქტურაში და განახლებადი ენერგიის გლობალურ ტრანსფორმაციაში.

2030 წლამდე ჩვენს ქვეყანას აქვს შესაძლებლობა 1331 მგვტ სიმძლავრის ქარის და 520 მგვტ მზის ელექტროსადგურების ჩართვა მოახდინოს ელექტროენერგეტიკულ ქსელში, რაც შეეხება ჰიდრორესურსებს, ჩვენმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ის გამოისყიდის ხუდონ ჰესის პროექტს 13,5 მილიონ დოლარად და თვითონ განახორციელებს ნამოხვანის პროექტსაც. მაშინ ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი ჩვენი ეკონომიკური სიძლიერის უმნიშვნელოვანესი გარანტი გახდება და საქართველო გადაიქცევა სატრანზიტო ქვეყნიდან ექსპორტიორ ქვეყნად და ენერგეტიკულ ჰაბად აზიასა და ევროპას შორის.

ლიტერატურა

1. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. და სხვ. „ენერგოეფექტურობა - ქვეყნის თანამედროვე განვითარების ქვაკუთხედი“, III საერთაშორისო კონფერენცია ,,თანამედროვე განვითარების ეკონომიკური სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“.

20-21.09. 2019. გვ.54-56. EISSN 2346-8203

2. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. და სხვ. ,,საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარების ანალიზი და შუქ-ჩრდილები (შედეგები)”, II საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია" ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები", 7-10.12. 2020. გვ. 80-84. თბილისი. საქართველო. ISSN 1512 - 0120

3. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. და სხვ. ,,ენერგიის ცვალებადი განახლებადი და არატრადიციული წყაროები“, For being an active participant in VIII international Scientific and Practcal Conference. ,,Actual trends of modern scientific research", 14-15.03.2021. MUNICH გვ.232-240. ISBN 978-3-954753-02-4

4. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., ფანცხავა ე., კანაშვილი თ, ,, ევროპის „მწვანე შეთანხმება“ და მისი გავლენა საქართველოს ენერგეტიკულ სექტორზე”, საერთაშორისო კონფერენცია ,,მწვანე შეთანხმება და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა საქართველოზე“, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალი: ,,სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები“ N3, 2022. გვ.39-52. ISSN 2667-9892 DOI:https://doi.org/10.51895/VSS

უაკ(udc) 001.5 ს 75

5. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. და სხვ. „ენერგორესურსები, როგორც პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტი რუსეთისთვის და სად არის საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის გასაღები? “, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი”-ის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კვლევების გლობალური პრაქტიკა“, 2022. გვ.210-217. ISBN: 978-625-8323-63-4 IKSAD GLOBAL PUBLISHING HOUSE,

6. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. და სხვ. ,,რუსეთ-უკრაინის ომით განპირობებული ახალი გეოპოლიტიკური გარემოებები ევროკავშირისა და საქართველოსთვის“, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილი **მე-V** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ,, თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“. 30.09.2022. ელექტრონული ჟურნალი, გვ-1-11. ქუთაისი, EISSN 2346-8203

7. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., ირ.გუგუშვილი და სხვ. „თანამედროვე მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე - ენერგეტიკის სექტორი“ ყოველკვარტალური, საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი: „ეკონომიკა და ფინანსები“ N1, 2023. გვ.55-63. ISSN 2587-5000

8. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., კუჭავა მ. „საქართველო-ევროპისა და აზიის გზაჯვარედინი - მნიშვნელოვანი აქტორი რეგიონალურ ენერგეტიკულ ლანდშაფტში“. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის, საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი: „სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები“ N7, 2024. გვ.30-41. ISSN 2667-9892, DOI:https://doi.org/10.51895/VSS, უაკ(udc) 001.5ს75

Artificial Intelligence in the Field of Medicine and Healthcare

Maia Chinchaladze
Georgian Technical University
Associate Professor
Faculty of Transportation Systems and Mechanical Engineering
Alexander Chinchaladze
Tbilisi State Medical University
Assistant Professor
Department N2 of Surgery

Abstract. Medical business directly impacts employment and the economy. It ensures the health of individuals and plays an important role in the economy, technological progress, and social development. This is an industry that is constantly growing and evolving. According to data from the World Health Organization, healthcare expenditures are continuously increasing, which highlights the importance of this sector.

Georgia has been a member of the World Health Organization since 1992. Similarly to other countries, one of its primary strategic directions is the development of healthcare systems, which will improve the population's health status and ensure financial fairness.

Rapid technological changes in medicine have led to the development of new diagnostic methods. Artificial Intelligence (AI) is currently considered one of the most important IT fields; it is indeed "Industry 4.0."

The implementation of artificial intelligence systems requires significant funding. The high cost is due to the need to prepare the program and adapt it to the data accumulated in a specific medical institution. In addition, it requires qualified and motivated personnel.

Keywords: Artificial Intelligence, Medical Business, Healthcare, Neural Network, Diagnosis.

Introduction

Initially, in the 1830s, the English mathematician Charles Babbage conceived the idea of creating a digital calculator to compute chess moves in advance. The practical implementation of this idea and the creation of an electromechanical device are attributed to 1914 (approximately 85 years later), and in 1954 (40 years later), the first chess-playing program was developed.

Between 2005 and 2008, significant breakthroughs occurred in artificial intelligence research. The world of mathematical science introduced new theories and models for the formation of multi-layer neural networks, which laid the foundation for the establishment of another theory: the theory of deep machine learning.

In the early 1980s, in the field of computational theory, scientists Barm and Feigenbaum provided the following definition of AI:"Artificial intelligence is a branch of informatics that creates the development of intelligent computer systems, i.e. systems that possess capabilities similar to the human mind." The massive development and implementation of AI in many fields have become possible thanks to several key factors in the IT industry: high-speed internet, significant increases in modern computers' productivity and availability, cost reduction, the development of mobile technologies, and the growth of open-source software. Innovations have also extended into education and healthcare.

Main Part

Artificial Intelligence is focused on cognitive abilities such as learning, reasoning, self-correction, and creativity.

Learning:

This aspect is oriented towards the collection of data and the creation of rules so that it can later be transformed into relevant information. These rules, called algorithms, instruct computer systems on how to perform a task.

Reasoning:

This aspect of AI programming focuses on selecting the correct algorithm to achieve the desired result.

Self-correction:

This facet emphasizes the continuous refinement and development of algorithms to lead the user to an accurate and desired outcome.

Creativity:

This direction utilizes neural networks, statistical methods, and rule-based systems to generate texts, visual material, music, and innovative ideas.

In the modern world, artificial intelligence, due to its multifaceted potential, is gaining increasing value. It is effectively used in business for performing operational tasks, analyzing legal documents, communicating with customers, generating leads, automatically populating fields, etc.

There are several common models of artificial intelligence:

- **Narrow AI** – Examples include virtual assistants such as Siri and Alexa, as well as recommendation and image generation systems.
- **General AI** – An AI model that possesses human-level intelligence, capable of perceiving, learning, and performing any intellectual task.

- **Machine Learning** – Utilizes algorithms that enable a computer to make predictions.
- **Deep Learning** – Employs neural networks to collect high-quality information from data; it excels in image and speech recognition as well as natural language processing.
- **Reinforcement Learning** – Involves training systems to determine the optimal decision-making strategy based on reinforcement.
- **Natural Language Processing (NLP)** – Focuses on developing a computer's ability to understand, interpret, and generate human language.
- **Computer Vision** – Oriented towards the perception of visual information.
- **Expert Systems** – Actively use heuristics, knowledge bases, and rule sets to solve specific problems.

Artificial intelligence is applied in many fields. One area in which it has been successfully implemented is medicine. For instance, AI-generated tests are widely used in the healthcare industry for assisting in surgical operations, identifying treatments, and more.

It is noteworthy that today scientists are working even more actively on developing various models and technologies of artificial intelligence and striving to create solutions that simplify various activities. Consequently, it is likely that in the future this field will evolve even faster, leading to the emergence of numerous innovative devices.

Neural networks, owing to their capacity for learning, are now actively used in medicine. Naturally, a neural network cannot diagnose with 100% certainty that a patient exhibiting certain symptoms has, for example, influenza, but it provides a diagnosis based on physicians' conclusions.

Medicine and healthcare are promising fields for the effective implementation of artificial intelligence. The deployment of AI can enhance diagnostic accuracy, facilitate the development and production of innovative therapeutic preparations, and compensate when a doctor's practice and experience might not be sufficient for the immediate identification of a specific problem. A neural network, endowed with vast amounts of data, cutting-edge scientific literature, and millions of medical records, can quickly classify any case, compare it with similar cases in other patients, and devise a treatment plan. Scientists from the USA, France, and Germany have trained a neural network for image recognition in the diagnosis of skin cancer.

Today, artificial intelligence performs exceptionally well on simple tasks. It can detect the presence of foreign objects or pathologies on an X-ray image; identify cancer cells in cytological samples; and, when analyzing various medical data, already demonstrates excellent results. Based on ultrasound and MRI studies, the accuracy of pathology detection by AI exceeds 90%.

Programs can select appropriate wards for patients, locate available medical equipment, and—importantly—provide continuous monitoring to ensure the proper functioning of medical technology.

Conclusion

Investments in artificial intelligence in the field of medicine and healthcare are extremely important today. Healthcare worldwide will become more reliable, efficient, and safe for people.

Despite the significant challenges associated with implementing AI systems, the prospects for their use compel us to find solutions to overcome any obstacles. Highly qualified specialists from around the world—mathematicians, doctors, and representatives of pharmaceutical companies—are continuously working on the development of this field. However, despite the advancements in artificial intelligence, the role of humans in the healthcare sector remains paramount.

References

1. https://ungeorgia.ge/geo/un_agencies?i
2. http://www.euro.who.int/ WHO Regional Office for Europe website
3. https://www.crn.ru/news/detail.php?ID=117544 Artificial Intelligence
4. https://clp.ge/khelovnuri-intelekti-ai/

ქიმიზაციის როლი ინტენსიფიკაციის დონის ამაღლებაში
The role of chemization in increasing the level of intensification

ქეთევან ბერიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი,
ლეილა გეგენავა
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო -კვლევითი ცენტრი
მთავარი სპეციალისტი, ეკონომიკის დოქტორი
Ketevan Beriashvili
Technical University of Georgia
Associate Professor,
Leila Gegenava
Georgian Agricultural Scientific and Research Center
Chief Specialist, Doctor of Economics.

აბსტრაქტი. სტატიაში აღნიშნულია,რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ეს მიმართულება თანამედროვე მეცნიერებაში იმსახურებს ინტენსიურ და დაჩქარებულ განვითარებას. პროგნოზებისა და მათემატიკური მოდელირების მეთოდების ფართო გამოყენება არა მხოლოდ გაზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას, არამედ მისცემს მათ საჭირო სტაბილურობას წლების განმავლობაში. სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ აგრარული წარმოების ინტენსიფიკაცია ერთ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა თანამედროვე სოფლის მეურნეობის,რომლის არსიც ვლინდება მიწის ფართობის ერთეულზე შრომითი და მატერიალური რესურსების დანახარჯების შემცირებაში. თანამედროვე პირობებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პროდუქტიულობაზე სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვნად მოქმედებს წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, მინერალური კვება, სასოფლო-სამეურნეო კულტურები, სასუქი, ნიადაგი, მოსავლის ფორმირება.

Abstract. The article notes that this direction of agricultural crops deserves intensive and accelerated development in modern science. The widespread use of forecasts and mathematical modeling methods will not only increase the yield of agricultural crops, but also give them the necessary stability over the years. The article also notes that the intensification of agricultural production is one of the important directions of modern agriculture, the essence of which is manifested in the reduction of labor and material resource costs per unit of land area. In modern conditions, the productivity of agricultural farms is significantly affected by modern production technologies, among other factors.

Keywords: agriculture, mineral nutrition, agricultural crops, fertilizer, soil, crop formation.

შინაარსი

ამჟამად სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ალტერნატივა არ არსებობს. მოსახლეობის ზრდა, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, ერთ სულ მოსახლეზე სახნავი მიწის ფართობის ერთდროული შემცირება და სარწყავად მტკნარი წყლის შეზღუდული რესურსები კარნახობს ისეთი ფერმერული ტექნიკის შემუშავების აუცილებლობას, რომელიც უზრუნველყოფს ყოველი ჰექტარი სახნავი მიწის პროდუქტიულობის გაზრდას. ამის მიღწევა შეუძლებელია სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გარეშე, სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდის გარეშე, მისი რაციონალური მელიორაციის, ქიმიიზაციისა და მექანიზაციის გზით. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია უნდა განიხილებოდეს, როგორც აგროტექნიკური, აგროქიმიური, ბიოლოგიური და სხვა ტექნიკის ნაკრების შემუშავება და პრაქტიკული განხორციელება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდისა და განვითარების ოპტიმალური პირობები, მათი მაღალი პროდუქტიულობა, მცენარეული პროდუქტების მაღალი ხარისხი, ხარჯების აღდგენის დონე და ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოება. კვლევებმა და პრაქტიკამ აჩვენა, რომ ფაქტორების მთელი სპექტრის ოსტატურად გამოყენებამ, რომლებიც ქმნიან ინტენსიურ ტექნოლოგიას, შეიძლება გაზარდოს მარცვლეულის მოსავლიანობა 2-3-ჯერ ან მეტით. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია მოითხოვს ნიადაგებისა და მცენარეების მონიტორინგის ფიზიკური, აგროქიმიური, მორფოფიზიოლოგიური და ბიოლოგიური მეთოდების მთელი რიგის გამოყენებას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის პირობების რეგულირების აგროქიმიურ და ბიოლოგიურ მეთოდებს. ასეთი მეთოდებისა და ტექნიკის კომპლექსი ერთად წარმოადგენს მოსავლის ფორმირების მართვის სისტემას, რომლის წარმატებულად განხორციელება წარმოებაში უფრო ადვილია მათემატიკური მეთოდებისა და კომპიუტერების დახმარებით. მსგავსი სისტემები წარმატებით ფუნქციონირებს უმეტეს ქვეყნებში განვითარებული აგროინდუსტრიული კომპლექსით. კომპიუტერული პროგრამები ფართოდ გამოიყენება მეურნეობის პრაქტიკაში, რომელთა დახმარებით შესაძლებელია კულტურების ზრდისა და განვითარების რეგულირება, მათ შორის მინერალური კვების, მარცვლეულის და სხვა კულტურების ნიადაგისა და კლიმატური ზონების გაშენების ინტენსიურ ტექნოლოგიებში.

ქიმიკატების გამოყენება ინტენსიურ ტექნოლოგიებში დღეს ეს მათი ცენტრალური ბლოკია, არ უნდა ხდებოდეს მკაცრად სავალდებულო ინსტრუქციებით ყველა სამუშაოს შესასრულებლად, ყოველი წლის სპეციფიკური პირობების მიუხედავად თითოეულ სფეროში. ქიმიკატები უნდა იქნას გამოყენებული მცენარის კვების სტატუსის, ამინდის პროგნოზის, მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების გარეგნობის სადიაგნოსტიკო მაჩვენებლების მკაცრი დაცვით. ყველა ამ ინდიკატორის გათვალისწინება უზრუნველყოფს მათ მეცნიერულად გამართულ გამოყენებას, საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ სასუქების დაუსაბუთებლად მაღალი დოზების გამოყენება და აღმოიფხვრას არასაჭირო მკურნალობა პესტიციდებითა და მცენარეთა ზრდის რეგულატორებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ქიმიიზაციის ერთეულს მნიშვნელოვნად უფრო რაციონალურს გახდის ეკონომიკური და, რაც მთავარია, ეკოლოგიური თვალსაზრისით . ღონისძიებების მითითებულ კომპლექსში, რომლის საფუძველზეც უნდა აშენდეს სასუქების კომპეტენტური და ეფექტიანი გამოყენება, განსაკუთრებული ადგილი უკავია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მინერალური კვების დიაგნოსტიკის შემუშავებას მოსავლის ფორმირებისა და მისი ხარისხის პროცესში. ჩვენს ქვეყანაში აზოტ-მინერალური მეთოდი ფართოდ არის შესწავლილი და გამოიყენება მარცვლეული კულტურებისთვის. თუმცა, შეცდომა იქნებოდა ყველა შემთხვევაში მხოლოდ ამ

მეთოდზე დაყრდნობა. იგი არ იძლევა საკმარისად საიმედო ასახვას მცენარეთა აზოტით კვების დონის შესახებ კულტურების მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან შეცდომებს იწვევს ნიადაგის აზოტის მინერალიზაცია. ცნობილია, რომ ორგანული ნივთიერებების დაშლისა და ნიტრიფიკაციის პროცესში მინერალიზაციის ინტენსივობა, ისევე როგორც ნიადაგის აზოტის გამოყენების ხარისხი, დამოკიდებულია ამინდის პირობებზე, წინამორბედზე, ნიადაგის ნეშომპალა მდგომარეობაზე, გამოყენებული სასუქების დოზებზე და სხვა მიზეზები. არსებობს ათობით მეთოდი ნიადაგის აზოტის მინერალიზაციის დასადგენად სხვადასხვა ექსტრაქტებისა და ჰიდროლის სიმულაციური ზემოქმედების გამოყენებით.

მინერალური სასუქების ტიპები და ფორმები, მათი დოზები, აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის თანაფარდობა სასუქსა და ნიადაგში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მცენარეების მიერ ნიადაგიდან სხვა მაკრო და მიკროელემენტების შეწოვაზე, რაც ხშირად იწვევს მათ დისბალანსს, რაც ზღუდავს მოსავლის პროდუქტიულობას და აუარესებს პროდუქციის ხარისხს. მინერალური კვების დისბალანსის უარყოფითი გავლენა ძლიერდება მოსავლის ზრდისა და განვითარების ექსტრემალურ პირობებში. ცნობილია, რომ მრავალი სტრესული სიტუაცია ხელს უშლის კულტივირებული მცენარეების ნორმალურ კვების პროცესს. მათ შორისაა ტენიანობის ნაკლებობა, ნიადაგის მექანიკური წინააღმდეგობა, ანაერობიოზი, არახელსაყრელი ტემპერატურა და ტოქსიკური ნივთიერებები. ყველა ეს ფაქტორი გასათვალისწინებელია, ბევრი მათგანი შეიძლება დარეგულირდეს და ინტენსიური ტექნოლოგიების ერთ-ერთი ამოცანაა სწორედ მცენარეზე და მოსავლის რაოდენობაზე მათი ზემოქმედების აღმოფხვრა ან შეზღუდვა. თუმცა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალანსებული მინერალური კვების მეცნიერული პრინციპები ბოლომდე არ არის შემუშავებული. ეს დიდწილად გამომდინარეობს იქიდან, რომ კონტროლირებადი ნუტრიენტების რაოდენობის გაფართოება ართულებს რაოდენობრივ შეფასებას მათი ბალანსის განსაზღვრისას და ოპტიმიზაციის პარამეტრებს ელემენტების შემოტანისთვის, რომლებიც ზღუდავენ მოსავლიანობას. ემპირიული მეთოდები ამ შემთხვევაში უძლურია. აუცილებელია შემუშავდეს და გამოიყენოს მათემატიკური მეთოდები და კომპიუტერები, აგრეთვე ნიადაგებისა და მცენარეების ანალიზის ახალი ქიმიური და ფიზიკური მეთოდები, რომლებიც ყველაზე ზუსტად ასახავს ნიადაგის აგროქიმიურ თვისებებს, მცენარეთა ქიმიურ შემადგენლობას და მის კავშირს ხარისხიან პროდუქციასთან. ამავე მიზნით, ყურადღებას იმსახურებს მეთოდების უფრო სიღრმისეული შემუშავება, რომელიც ასახავს მცენარეთა მინერალური კვების რეჟიმს რიზოსფეროში ნიადაგის ანალიზის საფუძველზე. არსებობს მტკიცებულება, რომ იგივე ტიპის მიკროორგანიზმებს შეუძლიათ განახორციელონ დიამეტრალურად საპირისპირო პროცესები: აზოტის ფიქსაცია და დენიტრიფიკაცია. ნიადაგში ნიტრატის აზოტის მაღალი კონცენტრაციის დროს შტამების აქტიური დაფიქსირება ახორციელებს მხოლოდ დენიტრიფიკაციას, როდესაც ის მცირდება, კულტურა გადადის აზოტის ფიქსაციაზე. ეს პროცესი, სავარაუდოდ, კონტროლდება მიკროორგანიზმების განვითარებისთვის სუბსტრატის შეზღუდვის პრინციპით, რადგან ბაქტერიულ ფერმენტებს, რომლებიც ახორციელებენ აზოტის ფიქსაციისა და დენიტრიფიკაციის პროცესებს, აქვთ მრავალი მსგავსი მახასიათებელი.

მცენარეთა მინერალური კვების პირობების ამსახველი განუყოფელი მაჩვენებელია მათი პროდუქტიულობა. მცენარეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება იწვევს მარცვლეულის მოსავლის ზრდას. სიმინდის მარცვლის მოსავლიანობაზე მოქმედ ფაქტორებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მინერალური კვების პირობები და ვეგეტაციის სეზონის ამინდის პირობები.

ამას მოწმობს STAT პროგრამის გამოყენებით ჩატარებული ექსპერიმენტული შედეგების სტატისტიკური დამუშავების მონაცემები. ჰაერის ამაღლებული ტემპერატურისა და ნალექების ნაკლებობის დროს, რაც მიუთითებს მათ დადებით როლზე მცენარეთა სასიცოცხლო აქტივობის გაუმჯობესებაში არახელსაყრელი გარემო ფაქტორების პირობებში, აღინიშნა აზოტის სასუქისა და ბიოპრეპარატების მაქსიმალური ურთიერთქმედება. მიკროორგანიზმებს შეუძლიათ წარმოქმნან ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომლებიც აძლიერებენ მცენარის ზრდას და თრგუნავენ პათოგენურ მიკროფლორას. ეს აძლიერებს აზოტის ფიქსაციის პროცესს სიმინდის რიზოსფეროში და დადებითად მოქმედებს მარცვლის მოსავლიანობის ფორმირებაზე]. მინერალური სასუქების გაზრდილი და მაღალი დოზების ფონზე ქიმიკატების კომპლექსური გამოყენების ახალ პირობებში მცენარეთა ფესვთა სისტემებისა და ფესვთა კვების პროცესების კვლევები აგროქიმიურმა მეცნიერებამ დაუმსახურებლად მიატოვა. საჭიროა მინერალური კვების ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის კვლევების მნიშვნელოვანი გაღრმავება და გაფართოება მცენარეთა ზრდის ინჰიბიტორებისა და სტიმულატორების, სტრესის საწინააღმდეგო საშუალებებისა და პესტიციდების გამოყენების ფონზე. მცენარის კვების მცენარეთა დიაგნოსტიკის მეთოდების შესწავლისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ექსპრეს მეთოდებს, რომლებიც დაფუძნებულია მცენარის წვენის შეღებვის რეაქციაზე სხვადასხვა რეაგენტებთან. საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად დადგინდეს მცენარეებისთვის აზოტის მიწოდების პარამეტრების უმეტესობა ან თუნდაც ყველა კულტურა, უკვე ცნობილი ექსპრეს მეთოდების გამოყენებით, აგრეთვე მარცვლეულის ხარისხის, ნიტრატების შემცველობის პროგნოზების შემუშავება ძირეულ კულტურებსა და ბოსტნეულებში. ასევე აუცილებელია მცენარეთა დიაგნოსტიკის ბიომეტრიული მეთოდების გამოყენებაზე - ბიომასის ზრდის, საკვები ნივთიერებების მოხმარების, მცენარეების მორფოლოგიური აგებულების ორგანოგენეზის ეტაპებზე. ეს მეთოდები მარტივი და სწრაფი გამოსაყენებელია . მიმართულება თანამედროვე მეცნიერებაში მცენარეთა მინერალური კვების საკითხების განვითარებისა და დაუფლების ოპერაციული მართვის საკითხებში იმსახურებს ინტენსიურ დაჩქარებულ განვითარებას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს,რომ უმნიშვნელოვანესია სადიაგნოსტიკო მეთოდების შემუშავება წარმოებაში, პროგნოზების ფართოდ გამოყენება, მათემატიკური მოდელირებისა და ელექტრონიზაციის მეთოდები.

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის ჩვენს მიერ აღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვანია სახელმწიფო მხარდაჭერა, პირველ რიგში ინვესტიციების,დოტაციისდა კომპენსაციების გაზრდა, ამასთან ინტენსიფიკაციის დონე შეიძლება კიდევ უფრო მაღალი იყოს სოფლის სოციალური პირობების გადაჭრით.

ინტენსიფიკაციის სხვა ფაქტორების მოქმედების აქტივიზაციას, კერძოდ კი ორგანიზაციულ-სამეურნეო და სოციალურის, აგრეთვე ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალური და ბუნებრივი რესურსების გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პ.კოღუაშვილი, გ. ზიბზივაძე, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი 2020წ.
2. პ.კოღუაშვილი, ი.არჩვაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობა თანამედროვე გამოწვევების წინაშე. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი. #3, 2020 წ.
3. პ.კოღუაშვილი, გ. ზიბზიბაძე, აგრარულ საწარმოს ეკონომიკა. თბილისი 2020 წ.

4. ს. ყამარაული, აგრობიზნესის ეკონომიკა. თბილისი 2010 წ.

კუნელით გამდიდრებული ჩაი როგორც ანტიოქსიდანტების წყარო
Hawthorn-enriched tea as a source of antioxidants

ელენე სორდია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
სოფიო ძნელაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასისტენტ პროფესორი
აკაკი ბოკერია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასისტენტი
ლევან ელიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასისტენტი
Elene Sordia
Georgian Technical University
Associate Professor
Sofio Dzneladze
Georgian Technical University
Assistant Professor
Akaki Bokeria
Georgian Technical University
Assistant
Levan Eliashvili
Georgian Technical University
Assistant

აბსტრაქტი. ჩაი არის არომატული სასმელი, რომელიც მზადდება ,,Camellia sinensis''-ის, მარადმწვანე ბუჩქის დამუშავებული ან ახალი ფოთლებისგან. წყლის შემდეგ, ჩაი, მსოფლიოში ყველაზე ფართოდ მოხმარებადი სასმელია. ჩაის აქვს მასტიმულირებელი მოქმედება ადამიანებზე, უპირველეს ყოვლისა, მისი კოფეინის შემცველობის გამო. გარდა ამისა, ის შეიცავს ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე ნივთიერებებს, რომლებიც ბოლოდროინდელი სამეცნიერო კვლევის მიზანს წარმოადგენს.

ჩაის ნაყენში, ანტიოქსიდანტური აქტივობის გაზრდის მიზნით, დამატებულ იქნა მცენარე კუნელი, რომელიც ხასიათდება მთელი რიგი დადებითი თვისებებით. კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაგვეკავშირებინა ეს ორი სასარგებლო მცენარე ერთმანეთთან, შეგვექმნა ახალი პროდუქტი და ამით ჩაი გაგვეხადა უფრო სასარგებლო სასმელი.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა გურიისა და იმერეთის ტერიტორიაზე მოყვანილი ჩაის ფოთლები. ნედლი ფოთლებიდან დამზადდა შავი ჩაი, რომლის ნაყენშიც განისაზღვრა ანტიოქსიდანტური აქტივობა. კვლევებით დადგინდა, რომ გურიაში მოყვანილი ჩაის ფოთლების ნაყენში დაფიქსირდა უფრო მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა, ვიდრე იმერეთის ჩაიში.

საკვანძო სიტყვები: ანტიოქსიდანტური აქტივობა, კუნელი, შავი ჩაი.

Abstract. Tea is an aromatic beverage made from the processed or fresh leaves of the evergreen shrub Camellia sinensis. After drinking water, tea is the most widely consumed beverage in the world. Tea has a stimulating effect on

humans, primarily due to its caffeine content. In addition, it contains substances with antioxidant activity, which are the subject of recent scientific research.

In order to increase the antioxidant activity, the plant hawthorn, which is characterized by a number of positive properties, was added to the tea infusion. The aim of the research was to combine these two useful plants, create a new product and thus make tea a more useful drink.

The object of the study was tea leaves grown in the territories of Guria and Imereti. Black tea was made from raw leaves, the antioxidant activity of which was determined in the infusion. Studies have shown that tea leaves grown in Guria have higher antioxidant activity than tea from Imereti.

Keywords: Antioxidant activity, Hawthorn, Black tea.

შესავალი

მსოფლიოში ჩაი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სასმელია, რომელიც ხასიათდება სასიამოვნო გემოთი, სამკურნალო თვისებებითა და ხანგრძლივი ისტორიით.

XX საუკუნეში, საქართველოში, მეჩაიეობა განვითარების ისეთ საფეხურზე იდგა, რომ, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გვერდით მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. გარკვეული პერიოდი მეჩაიეობასა და ჩაის მრეწველობას საქართველოში უმძიმესი მდგომარეობა შეექმნა და მივიწყებას მიეცა. თუმცა, ამ დარგმა ნელ-ნელა კვლავ დაიწყო აღორძინება და 2006 წელს საქართველოში პირველად ჩატარდა ჩაის ფესტივალი.

სასმელი ჩაი ხასიათდება მაღალი კვებითი ღირებულებითა და ბიოლოგიური აქტივობით, რაც განპირობებულია ისეთი ნივთიერებების არსებობით, როგორიცაა კოფეინი, პოლიფენოლები, ვიტამინები, ეთეროვანი ზეთები, ორგანული მჟავები, მინერალური ნივთიერებები და სხვ. ახასიათებს მასტიმულირებელი და გამახალისებელი მოქმედება, კარგად აკმაყოფილებს წყურვილს, ორგანიზმს უნარჩუნებს ხალისიან და შრომისუნარიან განწყობას.

შავი ჩაის აქვს მთელი რიგი დადებითი თვისებები, რეკომენდებულია ნაწლავების პრობლემების დროს, ეხმარება კონიუნქტივიტს, აკონტროლებს სისხლში შაქრის დონეს - ხელს უშლის გლუკოზას შეწოვას, ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას, ასევე ზრდის არტერიულ წნევას. დიდი რაოდენობით მოხმარება არღვევს ნერვულ სისტემას, არ არის რეკომენდებული პოდაგრისა და გლაუკომის მქონე პაციენტებისთვის, სასმელის ზედმეტი მოხმარება ამცირებს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციურ აქტივობას.

დადგენილია, რომ ჩაი შეიცავს ფენოლურ ნივთიერებებს, რომლებსაც ახასიათებთ ანტიოქსიდანტური აქტივობა. კვლევის თანახმად, ადამიანის ორგანიზმში თავისუფალი რადიკალების მოქმედება იწვევს პათოლოგიურ ცვლილებებს, რის გამოც ვითარდება მრავალი დაავადება. თავისუფალი რადიკალების ზრდას განაპირობებს ფაქტორები, როგორიცაა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება, დაბალხარისხიანი საკვები, არაკონტროლირებადი სამკურნალო პრეპარატის გამოყენება, ალკოჰოლიზმი და სხვ.

ბუნებრივი წარმოშობის ანტიოქსიდანტები ადამიანის ორგანიზმში აღწევს საკვების დახმარებით. იგი დადებითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვა დაავადების მიმართ. აუცილებელია ხშირად მივირთვათ ბუნებრივი ანტიოქსიდანტებით მდიდარი საკვები, ისინი იცავენ ჟანგვითი პროცესებისგან, რის შედეგადაც შემცირდება სხვადასხვა დაავადებების განვითარება ადამიანის ორგანიზმში.

გამოყენებული მასალები და მეთოდები:

მცენარე კუნელის სამკურნალო და სასარგებლო თვისებები უხსოვარი დროიდანაა ცნობილი, გამოიყენება მთელი რიგი დაავადებების სამკურნალოდ. მცენარის ნაყენი დადებით გავლენას ახდენს გულსისძარღვთა დაავადებებზე, ამშვიდებს ადამიანს და კარგად მოქმედებს ძილზე.

მცენარე გამოიყენება სხვადასხვა პრეპარატების, ნაყენისა თუ სიროფების დასამზადებლად. დადებითად მოქმედებს ვეგეტატიურ-სისხლძარღვოვანი დარღვევების, კარდიონერვოზისა და გულის რითმის დარღვევების - არითმიების დროს.

ექსპერიმენტული სამუშაოების შესასრულებლად დაკრეფილ იქნა საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე მოყვანილი ჩაი: I-გურია (ოზურგეთი, სოფელი მელექედური) II-იმერეთი (ვანი, სოფელი ტობანიერი). დაკრეფილი ფოთლებიდან დამზადდა შავი ჩაი: ახალდაკრეფილი, ჩვილი ყლორტები დამუშავებამდე დახარისხდა, მოშორდა დაზიანებული ფოთლები, გაირეცხა გამდინარე წყლით, შემდეგ ეტაპებზე ჩატარდა ღნობა, გრეხა, ფერმენტაცია, ხმობა, მშრალად დახარისხება და საბოლოოდ მზა მასალა შეიფუთა.

ჩაის ნიმუშებიდან მომზადდა ექსტრაქტი (სურ. 1). საექსტრაქციოდ გამოყენებულ იქნა ორი სახის გამხსნელი: I-დეიონიზირებული წყალი და II-დეიონიზირებული წყლისა და ეთანოლის ნარევი. ექსტრაქცია ჩატარდა 100 მლ გამხსნელით, 60 ^{0}C ტემპერატურაზე მუდმივი მორევის პირობებში, 30 წთ-ის განმავლობაში. ექსტრაქციის დასრულების შემდეგ მოხდა ხსნარის გაფილტვრა.

ჩაის ნიმუშებში განისაზღვრა ანტიოქსიდანტური აქტივობა FRAP მეთოდით. ეს მეთოდი გვიჩვენებს ანტიოქსიდანტების ჯამურ შემცველობას. რეაქციის მიმდინარეობისას რკინის სამვალენტიანი იონები აღდგება ორვალენტიანად.





სურათი 1. ჩაის ფოთლების ექსტრაქციის პროცესი

შედეგები და დასკვნა:

გურიის ჩაიში, როდესაც საექსტრაქციოდ გამოყენებულია მხოლოდ დეიონიზირებული წყალი ანტიოქსიდანტობა შეადგენს 2244 მგ/ლ-ს, ხოლო წყალი/ეთანოლის ექსტრაქტის გამოყენების დროს 3865 მგ/ლ.

იმერეთის ჩაიში, ექსტრაქტად დეიონიზირებული წყლის გამოყენების დროს ანტიოქსიდანტობა შეადგენს 742 მგ/ლ-ს, ხოლო წყალი/ეთანოლის ექსტრაქტის გამოყენებისას 1535 მგ/ლ.

ცხრილი 1. ჩაის ნიმუშებში ანტიოქსიდანტების ჯამური რაოდენობა

ჩაის ნიმუშები	ანტიოქსიდანტობა მგ/ლ
გურია (წყალი)	2244
გურია (წყალი/ეთანოლი)	3865
იმერეთი (წყალი)	742
იმერეთი (წყალი/ეთანოლი)	1535



სურათი 2. ჩაის ნაყენი კუნელთან ერთად

ჩაის ნაყენზე კუნელის დამატებით შეიცვალა ორგანოლეპტიკური პარამეტრები, სითხის ფერი გახდა უფრო მუქი (სურ. 2), ასევე იგრძნობოდა კუნელის სასიამოვნო არომატი. ნაყენმა გასინჯვისას დადებითი გავლენა მოახდინა ადამიანებზე.

წყალი/ეთანოლიანი გამხსნელი გამოირჩეოდა ასევე ანტიოქსიდანტური ნივთიერებების მაღალი შემცველობით, როგორც გურიის, ასევე იმერეთის ჩაიში. გურიაში მოყვანილი ჩაის ფოთლის ნაყენში ანტიოქსიდანტური ნივთიერებების შემცველობა მეტი იყო, ვიდრე იმერეთში დაკრეფილი ჩაის ფოთლის ნაყენში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზურაბ ფარესიშვილი, მზია წულუკიძე. ჩაის დახარისხება და დეგუსტაცია. 2013.
2. Mirela Kopjar, Maja Tadić, Vlasta Piližota. Phenol content and antioxidant activity of green, yellow and black tea leaves, *Chemical and Biological Technologies in Agriculture*, volume 2, Article number: 1 (2015).
3. თამარ გოჩიაშვილი. ჩაის ანტიოქსიდაზური აქტივობების შესწავლა. სამაგისტრო ნაშრომი. 2021 წ.

საექთნო განათლების ტრანსფორმაცია: მეწარმეობის და სტრატეგიული მენეჯმენტის ინტეგრაცია

Transformation of Nursing Education: Integration of Entrepreneurship and Strategic Management

მურთაზ თოდაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
მირანდა ჯანხოთელი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
შორენა ჯანხოთელი
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, მოსამართლე
სოფიო მაჭარაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ელგუჯა თოდაძე
სამართლის მაგისტრი
დევი ხვედელიანი
სამართლის დოქტორი, პროფესორი
Murtaz Todadze
PhD student of Georgian Technical University
Miranda Jankhoteli
Doctor of Business Administration
Shorena Jankhoteli
PhD student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Judge
Sophio Macharashvili
Doctor of Business Administration
Devi khvedeliani
Doctor of Law, Professor
Elguja Todadze
Master of law

აბსტრაქტი. გლობალური ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევები, მათ შორის ექთნების კრიტიკული დეფიციტი (WHO-ს პროგნოზით, 5.7 მილიონი 2030 წლისთვის) და ტექნოლოგიური გარდაქმნები, საექთნო განათლების რადიკალურ მოდერნიზაციას მოითხოვს. ეს ნაშრომი მიზნად ისახავს მეწარმეობისა და სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპების ინტეგრირებას საექთნო საგანმანათლებლო პროგრამებში, რათა უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა უკეთესი მომზადება ჯანდაცვის სექტორის ცვალებად მოთხოვნებთან შესაბამისად. ნაშრომში გაანალიზებულია საექთნო განათლების ძირითადი სისუსტეები, როგორებიცაა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების დისბალანსი, ციფრული ტექნოლოგიების არასაკმარისი გამოყენება და ინოვაციური აზროვნების განვითარების შეფერხება. ნაჩვენებია მეწარმეობაზე ორიენტირებული ინიციატივების (მაგალითად, „მედდა მეწარმის“ პროგრამები და მობილური სამედიცინო სერვისები) და სტრატეგიული მენეჯმენტის ინსტრუმენტების (რესურსების ეფექტიანი განაწილება, ციფრული ტრანსფორმაცია, ლიდერობის განვითარება) პოტენციალი საექთნო პრაქტიკის გაუმჯობესებაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ საექთნო განათლების ტრანსფორმაციისა და მეწარმეობაზე დაფუძნებული ინიციატივების წარმატებული იმპლემენტაციისთვის აუცილებელია გონივრული სამართლებრივი ჩარჩოებისა და პოლიტიკის შექმნა. სტრატეგიული მენეჯმენტის მიდგომები უნდა მოერგოს ჯანდაცვის სექტორის რეგულაციებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ახალი მოდელების მდგრადობა და ეფექტიანობა. ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები ინტერდისციპლინური სწავლების, მეწარმეობის კომპონენტის გაძლიერებისა და საერთაშორისო წარმატებული გამოცდილების ადაპტაციის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მომავალი თაობის ექთნების კონკურენტუნარიანობისა და ლიდერული პოტენციალის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: საექთნო განათლება, მეწარმეობა, სტრატეგიული მენეჯმენტი, ჯანდაცვის სამართლებრივი ჩარჩო, პოლიტიკა და რეგულაცია, ციფრული ტრანსფორმაცია.

Abstract. The challenges facing the global healthcare system, including the critical shortage of nurses (projected by the WHO to reach 5.7 million by 2030) and technological transformations, necessitate a radical modernization of nursing education. This paper aims to integrate the principles of entrepreneurship and strategic management into nursing educational programs to ensure graduates are better prepared for the evolving demands of the healthcare sector. The paper analyzes the main weaknesses of nursing education, such as the imbalance between theoretical knowledge and practical skills, the insufficient use of digital technologies, and the hindered development of innovative thinking. It highlights the potential of entrepreneurship-oriented initiatives (e.g., "Nurse Entrepreneur" programs and mobile healthcare services) and strategic management tools (efficient resource allocation, digital transformation, leadership development) in improving nursing practice. Particular attention is given to the fact that the successful implementation of nursing education transformation and entrepreneurship-based initiatives requires the establishment of a sound legal framework and policies. Strategic management approaches must be aligned with healthcare sector regulations to ensure the sustainability and effectiveness of new models.

The concluding section of the paper presents specific recommendations on interdisciplinary learning, strengthening the entrepreneurship component, and adapting successful international experiences, which will contribute to enhancing the competitiveness and leadership potential of the next generation of nurses.

Keywords: Nursing Education, Entrepreneurship, Strategic Management, Healthcare Legal Framework, Policy and Regulation, Digital Transformation.

ძირითადი ნაწილი

საექთნო განათლების ეფექტიანობა და მომავალი ექთნების პროფესიული წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასწავლო პროცესში ინოვაციური მიდგომების დანერგვაზე. მნიშვნელოვანია ჯანდაცვის პრაქტიკის განვითარების კვალდაკვალ მოხდეს საექთნო საქმის განვითარება (University of Tulsa, 2025). წინამდებარე ნაწილი მიზნად ისახავს შეისწავლოს ინოვაციურ აზროვნებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპების ინტეგრაციის შესაძლებლობები საექთნო საგანმანათლებლო პროგრამებში.

ნაშრომში ტერმინი „მეწარმეობა“ განიხილება მისი ფართო მნიშვნელობით და მოიცავს ინოვაციურ აზროვნებას, ინტრაპრენერულ უნარებს, ინიციატივასა და პროაქტიულობას. მიუხედავად იმისა, რომ ექთნები ძირითადად დაქირავებულ პერსონალს წარმოადგენენ, მეწარმეობაზე ორიენტირებული მიდგომა ხელს შეუწყობს მათ ლიდერული თვისებების გამოვლენას, პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრას და ინოვაციური მიდგომების დანერგვას ჯანდაცვის სერვისებში. მეწარმეობაზე ორიენტირებული სწავლება, რომელიც მოიცავს პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), სიმულაციურ სავარჯიშოებსა და სტარტაპ პროექტების განხორციელებას, ხელს უწყობს სტუდენტებში ინიციატივის, კრეატიულობისა და პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარების განვითარებას. ამასთან, სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპების ინტეგრირება, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ დაგეგმვას, რესურსების მართვასა და ხარისხის კონტროლს, უზრუნველყოფს მომავალი ექთნებისთვის ლიდერული და მენეჯერული კომპეტენციების ჩამოყალიბებას (Morrell-Scott & Robinson, 2025).

საექთნო განათლების ტრადიციული მოდელები ხშირად ვერ უზრუნველყოფენ მომავალი ექთნებისთვის იმ უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია ჯანდაცვის სექტორში ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, ახალი სერვისების ინიცირებისა და მართვისთვის. საექთნო განათლებაში მეწარმეობისა და სტრატეგიული მენეჯმენტის ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს არსებული ჯანდაცვის სამართლებრივი ჩარჩო და მოქმედი რეგულაციები. მაგალითად, ახალი საექთნო სერვისების დანერგვა ან დამოუკიდებელი საექთნო პრაქტიკის განვითარება შესაძლოა შეზღუდული იყოს

მოქმედი ლიცენზირების მოთხოვნებით, პაციენტების უფლებების დაცვის სტანდარტებით ან ჯანდაცვის დაფინანსების მექანიზმებით. ამასთან, ჯანდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტებმა და სახელმწიფო პროგრამებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს საექთნო ინოვაციების განვითარება. ამიტომ, საექთნო განათლების რადიკალური ტრანსფორმაცია გარდაუვალია.

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს მეწარმეობაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპების ინტეგრაციის შესაძლებლობები საექთნო საგანმანათლებლო პროგრამებში. მათი ინტეგრაცია საექთნო განათლებაში ქმნის ძლიერ სინერგიულ ეფექტს. მეწარმეობა ხელს უწყობს ინოვაციური იდეების გენერირებასა და ახალი შესაძლებლობების აღმოჩენას, ხოლო სტრატეგიული მენეჯმენტი უზრუნველყოფს ამ იდეების სისტემურ დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას. მომავალი ექთნები, რომლებიც ფლობენ როგორც მეწარმეობის უნარებს, ასევე სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპების ცოდნას, შეძლებენ არა მხოლოდ ეფექტიანად უპასუხონ ჯანდაცვის სექტორის არსებულ გამოწვევებს, არამედ თავად გახდნენ ინოვაციური ცვლილებების ინიციატორები და ლიდერები. საექთნო განათლებაში ამ მიდგომების დანერგვა ხელს შეუწყობს ექთნების მომზადებას არა მხოლოდ არსებულ სამუშაო ადგილებზე ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, არამედ საკუთარი ინოვაციური პროექტების განხორციელებისთვისაც. პროექტზე დაფუძნებული სწავლება (PBL), სიმულაციური სწავლება და სტარტაპის შექმნის იმიტაცია წარმოადგენს მეწარმეობაზე ორიენტირებული სწავლების ძირითად მეთოდებს, რომელთა ეფექტურობა უნარების განვითარებაში და ინოვაციური აზროვნების ჩამოყალიბებაში დასტურდება როგორც თეორიული კვლევებით, ასევე საექთნო სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის ჩატარებული მცირე გამოკითხვების შედეგებით.

სტრატეგიული მენეჯმენტი, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრასა და მათი მიღწევის სტრატეგიების შემუშავებას, რესურსების ეფექტიან განაწილებასა და გამოყენებას, ასევე საქმიანობის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას, გადამწყვეტ როლს ასრულებს საექთნო განათლებაში ლიდერული და მენეჯერული უნარების განვითარებისთვის. სტრატეგიული დაგეგმვის, რესურსების მართვისა და ხარისხის მართვის პრინციპების ინტეგრირება საექთნო პროგრამებში უზრუნველყოფს მომავალი ექთნებისთვის იმ კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რომლებიც აუცილებელია ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. წარმატებული საექთნო სკოლების სტრატეგიული გეგმების ანალიზი და რესურსების მართვის არსებული პრაქტიკის შეფასება ცხადყოფს სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპების დანერგვის მნიშვნელობას საექთნო განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

მიუხედავად საექთნო განათლებაში მეწარმეობისა და სტრატეგიული მენეჯმენტის ინტეგრაციის მნიშვნელობისა, ამ პროცესს თან ახლავს გარკვეული გამოწვევები. ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს საექთნო საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგების კომპეტენციები მეწარმეობისა და სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხებში. პედაგოგების ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა აფერხებს ამ დისციპლინების ეფექტიან სწავლებას. გარდა ამისა, არსებული საექთნო სასწავლო გეგმები ხშირად არ არის საკმარისად მოქნილი მეწარმეობისა და სტრატეგიული მენეჯმენტის ელემენტების ინტეგრირებისთვის, რაც მოითხოვს ახალი საგნების დამატებას ან არსებულ კურსებში შესაბამისი მოდულების ჩართვას. მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ასევე საექთნო სკოლებსა და ჯანდაცვის სექტორის ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ნაკლებობა, რაც აფერხებს სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შექმნას.

მეწარმეობაზე ორიენტირებული საექთნო განათლება უნდა მოიცავდეს სტუდენტებისათვის ცოდნის მიწოდებას ჯანდაცვის სამართლებრივი ასპექტების, მათ შორის სამედიცინო პასუხისმგებლობის, ეთიკური ნორმების, პერსონალური მონაცემების დაცვისა და სალიცენზიო მოთხოვნების შესახებ. სტრატეგიული მენეჯმენტის კუთხით კი მნიშვნელოვანია, მომავალმა ექთნებმა გააცნობიერონ ჯანდაცვის პოლიტიკის ფორმირების პროცესები, დაფინანსების წყაროები და რეგულაციების გავლენა ჯანდაცვის ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე. ეს ცოდნა მათ დაეხმარებათ ინოვაციური პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისას, არსებული სამართლებრივი შეზღუდვების, მათ შორის პაციენტების უფლებების დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ამ გამოწვევების დასაძლევად აუცილებელია საექთნო საქმის პედაგოგებისთვის რეგულარული ტრენინგებისა და გადამზადების ორგანიზება მეწარმეობისა და სტრატეგიული მენეჯმენტის მიმართულებით, სასწავლო გეგმების მუდმივი განახლება და მოდერნიზაცია, ასევე ჯანდაცვის სექტორის ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის დამყარება.

ციფრული ტექნოლოგიები და ინტერდისციპლინური მიდგომები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საექთნო განათლებაში მეწარმეობისა და სტრატეგიული მენეჯმენტის ინტეგრაციის ხელშეწყობაში. ონლაინ სწავლება, ელექტრონული რესურსები, ვირტუალური სიმულაციები და მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტები ქმნის მოქნილ და ხელმისაწვდომ სასწავლო გარემოს, აძლიერებს სტუდენტების ინტერაქციას და ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას (Wilkes University, Online Nursing Programs, 2024). ინტერდისციპლინური თანამშრომლობა ბიზნესის, მენეჯმენტის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფაკულტეტებთან, ისევე როგორც მულტიპროფესიული სწავლება (IPE), ხელს უწყობს სტუდენტებში მრავალმხრივი ხედვის ჩამოყალიბებას, გუნდური მუშაობის უნარების განვითარებასა და ინოვაციური გადაწყვეტილებების გენერირებას.

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი ცხადყოფს, რომ რიგ ქვეყნებში წარმატებით ხორციელდება მეწარმეობაზე ორიენტირებული სწავლებისა და სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპების ინტეგრაცია საექთნო საგანმანათლებლო პროგრამებში (Oldland, Botti , & Hutchinson , 2020). ამ წარმატებული ქეისების შესწავლა და მათი ადაპტაციის შესაძლებლობების განხილვა ადგილობრივ კონტექსტში მნიშვნელოვანია საქართველოს საექთნო განათლების სისტემის მოდერნიზაციისთვის.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავს შეაფასოს საექთნო განათლებაში მეწარმეობაზე ორიენტირებული სწავლებისა და სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპების ინტეგრაციის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები, ჯანდაცვის მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს, პოლიტიკისა და რეგულაციების გათვალისწინებით. კვლევა ჩატარდა ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (BTA) და იყენებდა კომბინირებულ (შერეულ) მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ ანალიზს. რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება მოხდა ანონიმური კითხვარების საშუალებით, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო აკადემიის 18 მასწავლებელმა და საექთნო ფაკულტეტის 74 სტუდენტმა. თვისებრივი მონაცემები მოპოვებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუების გზით საექთნო განათლების 8 ექსპერტთან.

შერჩევის კრიტერიუმები და მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა აკადემიური თანამდებობის მქონე საექთნო განათლების მასწავლებლებმა და ყველა კურსის სტუდენტებმა. შერჩევა განხორციელდა

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო მონაწილეთა მრავალფეროვნება.

მონაცემთა შეგროვების მეთოდები

რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა კითხვარების საშუალებით, რომლებიც მოიცავდა დახურულ და ღია ტიპის კითხვებს. კითხვები შეეხებოდა რესპონდენტების დამოკიდებულებას მეწარმეობისა და სტრატეგიული მენეჯმენტის მნიშვნელობის, მათი ცოდნის დონის, მზაობისა და საჭიროებების შესახებ. თვისებრივი მონაცემები მოპოვებულ იქნა სტრუქტურირებული ინტერვიუების გზით, რომლის დროსაც ექსპერტებს დაესვათ კითხვები ინტეგრაციის გამოწვევების, პერსპექტივებისა და ციფრული ტექნოლოგიების როლის შესახებ.

მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი ჩატარდა სტატისტიკური პროგრამების გამოყენებით, რაც მოიცავდა აღწერით სტატისტიკას, სიხშირულ ანალიზსა და ჯვარედინ ტაბულაციას. თვისებრივი მონაცემების ანალიზი განხორციელდა თემატური ანალიზის მეთოდით.

დისკუსია

წინამდებარე კვლევის შედეგები ნათლად წარმოაჩენს საქართო განათლებაში მეწარმეობაზე ორიენტირებული სწავლებისა და სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპების ინტეგრაციის გადაუდებელ აუცილებლობას თანამედროვე ჯანდაცვის სისტემის მოთხოვნების საპასუხოდ. გამოკითხულ მასწავლებელთა და სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს ამ უნარების კრიტიკულ მნიშვნელობას მომავალი ექთნებისთვის, რაც თანხვედრაშია არსებულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებთან. თუმცა, გამოვლენილი ხარვეზები პედაგოგების კომპეტენციებში, სასწავლო პროგრამების ადაპტაციის სირთულეებსა და პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობებში მიუთითებს სისტემური ცვლილებების განხორციელების საჭიროებაზე.

მასწავლებელთა მიერ მეწარმეობის სწავლების მეთოდების ცოდნის საშუალო და დაბალი დონის თვითშეფასება ხაზს უსვამს პედაგოგთა გადამზადებისა და კომპეტენციების ამაღლების მნიშვნელობას. ეს განსაკუთრებით კრიტიკულია იმის გათვალისწინებით, რომ თავად მასწავლებელთა უმრავლესობა გამოთქვამს მზაობას დანერგოს ინოვაციური მეთოდები, მაგრამ საჭიროებს შესაბამის მხარდაჭერას, მათ შორის ტრენინგებს, მეთოდოლოგიურ რესურსებსა და ადმინისტრაციულ ხელშეწყობას. აღნიშნული მხარდაჭერის უზრუნველყოფა გადამწყვეტია საქართო განათლებაში ხარისხიანი ცვლილებების მისაღწევად. სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპების მნიშვნელობის აღიარების მიუხედავად, მათი არასაკმარისი ინტეგრაცია სასწავლო პროგრამებში წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას. მომავალი ექთნებისთვის ლიდერული და მენეჯერული უნარების განვითარება აუცილებელია ჯანდაცვის გუნდში ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის და ინოვაციური პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის. სასწავლო გეგმების მოდერნიზაცია და შესაბამისი მოდულების ინტეგრირება ხელს შეუწყობს სტუდენტების მომზადებას ამ როლებისთვის.

სტუდენტთა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ისინი აცნობიერებენ მეწარმეობისა და სტრატეგიული მენეჯმენტის უნარების მნიშვნელობას, მაგრამ მიიჩნევენ, რომ ამჟამინდელი საგანმანათლებლო პროგრამები არასაკმარისად უწყობს ხელს მათ განვითარებას. სტუდენტების მიერ პრაქტიკული სწავლების მეთოდების (პროექტები, სიმულაციები, სტარტაპები) ეფექტურად შეფასება ხაზს უსვამს სწავლების პროცესში აქტიური და ინტერაქტიული მიდგომების გამოყენების აუცილებლობას.

ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის მაღალი შეფასება როგორც მასწავლებლების, ასევე სტუდენტების მხრიდან მიუთითებს ამ მიმართულებების დიდ პოტენციალზე საქართო განათლების მოდერნიზაციისთვის. ციფრული ინსტრუმენტების ინტეგრირება სასწავლო პროცესში და სხვადასხვა დისციპლინების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა ხელს შეუწყობს სტუდენტებში მრავალმხრივი კომპეტენციების განვითარებასა და ინოვაციური გადაწყვეტილებების გენერირებას.

გამოვლენილი გამოწვევები, მათ შორის დროის სიმცირე, გადატვირთული სასწავლო გეგმები და რესურსების ნაკლებობა, საჭიროებს სისტემურ მიდგომას და საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და პოლიტიკის შემქმნელების ერთობლივ ძალისხმევას.

აღნიშნული კვლევა ავლენს საქართო განათლებაში მეწარმეობისა და სტრატეგიული მენეჯმენტის ინტეგრაციის მნიშვნელოვან საჭიროებას და მიუთითებს კონკრეტულ მიმართულებებზე, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას. მიღებული შედეგები თანხვედრაშია საერთაშორისო გამოცდილებასთან, სადაც მსგავსი ინტეგრაციის წარმატებული მაგალითები არსებობს.

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ კვლევას გააჩნია გარკვეული შეზღუდვები. კვლევა ჩატარდა კონკრეტულ ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კერძოდ ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში და შედეგების განზოგადება სხვა კონტექსტებზე სიფრთხილით უნდა მოხდეს. გარდა ამისა, რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი ეფუძნებოდა თვითშეფასებებს, რაც შესაძლოა გარკვეულ სუბიექტურობას შეიცავდეს. თუმცა, ვვარაუდობთ რომ კვლევა ღირებულ წვლილს შეიტანს საქართო განათლების მოდერნიზაციის საკითხის გააზრებაში და ხელს შეუწყობს პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას, რაც მიმართულია მომავალი თაობის კომპეტენტური და ინოვაციური ექთნების მომზადებაზე. მომავალ კვლევებში სასურველია უფრო მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, მათ შორის ობიექტური შეფასების ინსტრუმენტებისა და გრძელვადიანი დაკვირვებების ჩატარება ინტეგრირებული მიდგომების ეფექტურობის შესაფასებლად.

კვლევის ძირითადი მიგნებები

კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები ასახავს არსებულ მდგომარეობასა და პერსპექტივებს საქართო განათლებაში მეწარმეობისა და სტრატეგიული მენეჯმენტის ინტეგრაციის კუთხით:

- მასწავლებელთა დამოკიდებულება და ცოდნა: მასწავლებელთა 78% მიიჩნევს მეწარმეობის უნარების განვითარებას მომავალი ექთნებისთვის მნიშვნელოვნად ან ძალიან მნიშვნელოვნად. თუმცა, მათი თვითშეფასება მეწარმეობის სწავლების მეთოდების ცოდნის კუთხით საშუალო და დაბალია (65%). სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპების მნიშვნელობას მასწავლებელთა 92% აღიარებს, ხოლო საკუთარ ცოდნას ამ მიმართულებით საშუალოდ აფასებს 45%.
- მასწავლებელთა მზაობა და საჭიროებები: მასწავლებელთა 55% გამოთქვამს მზაობას გამოიყენოს მეწარმეობაზე ორიენტირებული მეთოდები, მაგრამ 70% აღნიშნავს, რომ სჭირდება დამატებითი მხარდაჭერა, მათ შორის ტრენინგები, მეთოდოლოგიური რესურსები და დრო.
- სტრატეგიული მენეჯმენტის ინტეგრაცია: მასწავლებელთა 75% მიიჩნევს, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხები საქართო პროგრამებში ნაწილობრივ ან საერთოდ არ არის ინტეგრირებული.

- სტუდენტთა დამოკიდებულება: სტუდენტთა 72% მიიჩნევს მეწარმეობის უნარებს მნიშვნელოვნად ან ძალიან მნიშვნელოვნად მათი მომავალი კარიერისთვის. სტრატეგიული მენეჯმენტის ცოდნის მნიშვნელობას სტუდენტთა 85% აღიარებს.
- ეფექტური სწავლების მეთოდები (სტუდენტთა აზრით): სტუდენტები ყველაზე ეფექტურ მეთოდებად ასახელებენ პრაქტიკულ აქტივობებს, როგორიცაა პროექტებზე მუშაობა (60%), სიმულაციური სავარჯიშოები (55%) და სტარტაპ პროექტები (40%).
- ციფრული ტექნოლოგიები და ინტერდისციპლინურობა: როგორც მასწავლებლები (78%), ასევე სტუდენტები (70%) დადებითად აფასებენ ციფრული ტექნოლოგიების როლს სწავლებაში. ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას ორივე ჯგუფის უმრავლესობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს (მასწავლებლები - 82%, სტუდენტები - 65% მიიჩნევს სასარგებლოდ/ძალიან სასარგებლოდ).
- გამოწვევები: მასწავლებლებმა გამოწვევებად დაასახელეს დროის სიმცირე, გადატვირთული სასწავლო გეგმები და შესაბამისი რესურსების ნაკლებობა. სტუდენტებმა აღნიშნეს პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობა და თანამედროვე სწავლების მეთოდების არასაკმარისი გამოყენება. ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს პედაგოგების გადამზადების აუცილებლობასა და საგანმანათლებლო პროგრამების განახლების მნიშვნელობას.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნები

კვლევის შედეგები ნათლად მიუთითებს საქართნო განათლებაში მეწარმეობაზე ორიენტირებული სწავლებისა და სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპების ინტეგრაციის მნიშვნელობაზე და არსებულ საჭიროებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ჯგუფი (მასწავლებლები და სტუდენტები) აღიარებს ამ უნარების მნიშვნელობას, არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზი პედაგოგების კომპეტენციებში, სასწავლო პროგრამების ადაპტაციასა და პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობებში. ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერდისციპლინური მიდგომების პოტენციალი სრულად არ არის გამოყენებული.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართნო განათლებაში მეწარმეობისა და სტრატეგიული მენეჯმენტის ინტეგრაციის პროცესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არსებულ ჯანდაცვის სამართლებრივ ჩარჩოზე, პოლიტიკასა და რეგულაციებზე. ამ ფაქტორების გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა შეაფერხოს ინოვაციური საქართნო ინიციატივების განვითარება და კურსდამთავრებულთა პროფესიული წარმატება.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგების საფუძველზე, გთავაზობთ შემდეგ რეკომენდაციებს:

- პედაგოგების კომპეტენციების განვითარება: საქართნო საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ პედაგოგებისთვის რეგულარული ტრენინგები და სემინარები მეწარმეობის სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპებში.
- სასწავლო გეგმების მოდერნიზაცია: საჭიროა საქართნო სასწავლო გეგმებში მეწარმეობისა და სტრატეგიული მენეჯმენტის შესაბამისი მოდულების ინტეგრირება, პრაქტიკულ აქტივობებზე (პროექტები, სიმულაციები, სტარტაპები) აქცენტის გაკეთებით.
- ციფრული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება: საქართნო განათლებაში უნდა დაინერგოს ციფრული სწავლების ინოვაციური მეთოდები და რესურსები მეწარმეობისა და მენეჯმენტის უნარების განვითარებისთვის.

- ინტერდისციპლინური თანამშრომლობის ხელშეწყობა: საქართო სკოლებმა უნდა დაამყარონ პარტნიორული ურთიერთობები ბიზნესის, მენეჯმენტის და სხვა მომიჯნავე სფეროების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი პროექტებისა და კურსების განსახორციელებლად.
- სასწავლო პროგრამებში სამართლებრივი და მარეგულირებელი საკითხების ინტეგრირება: საქართო საგანმანათლებლო პროგრამებში საჭიროა ჯანდაცვის სამართლის, პოლიტიკისა და რეგულაციების შესაბამისი მოდულების ინტეგრირება, რაც სტუდენტებს მისცემს საჭირო ცოდნას ინოვაციური პროექტების განხორციელებისა და დამოუკიდებელი პრაქტიკის განვითარებისთვის.
- ჯანდაცვის პოლიტიკის ანალიზისა და ადვოკატირების უნარების განვითარება: მნიშვნელოვანია, სტუდენტებს განუვითარდეთ ჯანდაცვის პოლიტიკის ანალიზისა და საკუთარი პროფესიული ინტერესების ადვოკატირების უნარები, რათა მათ შეძლონ მონაწილეობა მიიღონ სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესებაში.
- საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამთავრობო უწყებების თანამშრომლობა: საჭიროა საქართო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ჯანდაცვის სამინისტროს შორის აქტიური თანამშრომლობა, რათა მოხდეს საქართო ინოვაციების ხელშემწყობი სამართლებრივი და მარეგულირებელი ბაზის შემუშავება.
- ჯანდაცვის სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება: აუცილებელია საქართო სკოლებსა და ჯანდაცვის ორგანიზაციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და სამომავლო დასაქმების ხელშესაწყობად.

მომავალი კვლევის პერსპექტივები

მომავალმა კვლევებმა შეიძლება შეისწავლოს ამ რეკომენდაციების დანერგვის გრძელვადიანი გავლენა საქართო განათლების ხარისხსა და კურსდამთავრებულთა პროფესიულ წარმატებაზე. ასევე საინტერესო იქნება სხვადასხვა მოდელებისა და მიდგომების ეფექტურობის შედარებითი ანალიზი.

Bibliography

Morrell-Scott, N., & Robinson, N. (2025, 02 20). The professional nurse advocate model and use of A-EQUIP: a tool to support the nursing workforce. *BJN British Journal of Nursing*. Retrieved from https://www.britishjournalofnursing.com/content/professional/the-professional-nurse-advocate-model-and-use-of-a-equip-a-tool-to-support-the-nursing-workforce

Oldland, E., Botti , M., & Hutchinson , A. (2020, 04). A framework of nurses' responsibilities for quality healthcare — Exploration of content validity. *Collegian, 27*(2), Pages 147-244 . doi:https://doi.org/10.1016/j.colegn.2019.07.007

University of Tulsa. (2025, 01 06). *Technology in Nursing Education: Leading Innovation.* Retrieved 03 10, 2025, from https://online.utulsa.edu/: https://online.utulsa.edu/blog/technology-in-nursing-education/

Wilkes University, Online Nursing Programs. (2024, 04 30). Innovations in Nursing Education: Adapting to Changing Nursing Trends. Retrieved from https://onlinenursingdegrees.wilkes.edu/blog/innovations-nursing-education-adapting-changing-nursing-trends

გენეტიკური ალგორითმები კლიენტების სეგმენტაციისთვის მარკეტინგის ამოცანებში
Genetic algorithms for customer segmentation in marketing tasks

გულნარა ჯანელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
ია აფციაური
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასისტენტ პროფესორი
Gulnara Janelidze
Georgian Technical University
Associate Professor
Ia Aptsiauri
Georgian Technical University
Assist. Professor

აბსტრაქტი. კლიენტების სეგმენტაცია არის მარკეტინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, რომლის მიზანია კლიენტების დაყოფა ჰომოგენურ ჯგუფებად გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით. ამის საშუალებით კომპანიებს შეუძლიათ აწარმოონ მორგებული მარკეტინგული კამპანიები, რომლებიც უკეთ აკმაყოფილებენ კონკრეტული სეგმენტის მოთხოვნილებებს, რადგან ისინი პირდაპირ მიმართავენ კონკრეტულ სამიზნე აუდიტორიას და მათ საჭიროებებს. ასეთი ამოცანების გადასაწყვეტად გენეტიკურ ალგორითმებს აქვთ ინოვაციურობა და ეფექტურობა, რადგან ეს ალგორითმები ბუნებრივი გადარჩევის პრინციპებზე დაფუძნებული ძლიერი ინსტრუმენტია და შეუძლიათ რთული ოპტიმიზაციის პრობლემების გადაჭრა.

ნაშრომში გენეტიკური ალგორითმების ძირითადი პრინციპების ანალიზიდან გამომდინარე განსაზღვრულია მისი გამოყენების უპირატესობა მარკეტინგის ამოცანებისთვის. დამუშავებულია გენეტიკური ალგორითმი კლიენტების სეგმენტაციის ამოცანების გადასაწყვეტად. წარმოდგენილია დამუშავებული ალგორითმის მთავარი ღირსებები, რაც ძირითადად დაკავშირებულია დიდი მოცულობისა და რთული სტრუქტურის მონაცემების დამუშავების შესაძლებლობებთან.

გასაღებური სიტყვები: გენეტიკური ალგორითმი, კლიენტების სეგმენტაცია.

Abstract. Customer segmentation is one of the important tasks in marketing, the goal of which to divide customers into homogeneous groups based on certain criteria. This allows companies to conduct tailored marketing campaigns that better meet the needs of a specific segment, as they directly address a specific target audience and their needs. Genetic algorithms possess innovation and efficiency for solving such tasks, as these algorithms are a powerful tool based on the principles of natural selection and can solve

complex optimization problems. Based on the analysis of the basic principles of genetic algorithms in the paper, the advantage of their use for marketing tasks is determined. A genetic algorithm for solving the customer segmentation task has been developed. The main advantages of the developed algorithm are presented, which are mainly related to the ability to process large volumes and complex data structures.

Keywords: Genetic algorithm, Customer segmentation.

სტრატეგიული დაგეგმვა წარმოადგენს დაგეგმვისა და მიზანზე ორიენტირების ძირითად ბირთვს ყველა ორგანიზაციაში და გულისხმობს მომხმარებლების ზუსტ იდენტიფიცირებას და სამიზნე მომხმარებლების სწორ შერჩევას. სამიზნე ბაზრის შერჩევის პირველი ნაბიჯი მომხმარებელთა სეგმენტაციაა, რისთვისაც მოცემულ ნაშრომში შემოთავაზებულია გენეტიკური ალგორითმების გამოყენება.

გენეტიკური ალგორითმები (GA) მძლავრი ევოლუციური ალგორითმებია, რომლებიც ბუნებრივი გადარჩევის პრინციპებს იყენებენ რთული ოპტიმიზაციის ამოცანების გადასაჭრელად. ისინი განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როდესაც საძიებო სივრცე დიდია, არაწრფივი ან აქვს მრავალი ლოკალური ექსტრემალური მნიშვნელობა. გენეტიკურ ალგორითმებს შეუძლიათ ეფექტურად შეისწავლონ დიდი და რთული საძიებო სივრცეები და მარტივად განახორციელონ ლოკალური ექსტრემუმებიდან თავის დაღწევა. ისინი არ საჭიროებენ პრობლემის სპეციფიკურ ცოდნას. გენეტიკური ალგორითმები ბუნებრივად პარალელურია, რაც მათ საშუალებას აძლევს ეფექტურად იმუშაონ პარალელურ კომპიუტერულ არქიტექტურებზე. ამავდროულად, აქვთ მრავალჯერადი ამონახსნის პოვნის შესაძლებლობა, რაც მიიღწევა პოპულაციის შენარჩუნებით. ამდენად, გენეტიკურ ალგორითმებს შეუძლიათ ერთდროულად იპოვონ რამდენიმე კარგი ამონახსნი. რაც მთავარია აღნიშნულ ალგორითმებს შეუძლიათ ადაპტირდნენ სხვადასხვა ტიპის ოპტიმიზაციის ამოცანებთან სხვადასხვა წარმოდგენის სქემებისა და ოპერატორების გამოყენებით. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით გენეტიკური ალგორითმები შეიძლება გამოყენებულ იქნას კლიენტების სეგმენტაციის ამოცანების გადასაწყვეტად [1,2].

მარკეტინგულ ამოცანებში არის მონაცემები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სეგმენტაციისთვის. მაგალითად, ონლაინ გაყიდვებში მსგავსი მონაცემები შეიძლება იყოს კლიენტების მონაცემები: ასაკი, სქესი, შესყიდვების საერთო რაოდენობა, ბოლო შესყიდვის თარიღი, შეკვეთის საშუალო ღირებულება, საყვარელი პროდუქტის კატეგორია, საიტზე აქტივობა (მაგ., რამდენად ხშირად ათვალიერებს პროდუქტებს). აღნიშნულ მონაცემებს გამოიყენებს გენეტიკური ალგორითმი და მათზე შეასრულებს გენეტიკურ ოპერაციებს. განვიხილოთ გენეტიკური ალგორითმი კლიენტების სეგმენტაციის ამოცანის გადასაწყვეტად:

1. პოპულაციის შექმნა: თავდაპირველად, შემთხვევითი გზით იქმნება სხვადასხვა სეგმენტაციის მოდელების პირველი თაობა. თითოეული მოდელი შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა კრიტერიუმების კომბინაციას, რომლის მიხედვითაც კლიენტები იყოფიან ჯგუფებად.

2. ფიტნესის შეფასება: თითოეული მოდელის ფიტნესი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად კარგად ახდენს ის კლიენტების დაყოფას ჰომოგენურ ჯგუფებად. ფიტნესის შეფასებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მეტრიკები, მაგალითად, კლასტერების კომპაქტურობა, დანაწევრება და სხვა.

3. შერჩევა: უფრო მაღალი ფიტნესის მქონე მოდელების შერჩევა შემდეგი თაობისთვის.

4. კროსოვერი: შერჩეული მოდელები იხლიჩება და მათზე სრულდება შეჯვარების ოპერაცია, რათა შეიქმნას ახალი მოდელები. ამ დროს ხდება პოპულაციის ცალკეულ ინდივიდში სხვადასხვა კრიტერიუმის შერევა და ახალი კომბინაციების შექმნა.

5. მუტაცია: შემთხვევითი ცვლილებები შეაქვთ ახალ მოდელებში, რათა გაიზარდოს გენეტიკური მრავალფეროვნება.

6. განმეორება: 2-5 ნაბიჯები მეორდება განსაზღვრული რაოდენობის თაობების განმავლობაში ან სანამ არ იქნება მიღწეული გაჩერების კრიტერიუმი.



ალგორითმი ასრულებს მუშაობას, როდესაც სასურველ შედეგს მიუახლოვდება ან მიაღწევს წინასწარ განსაზღვრულ ზღვარს, რის შემდეგაც შემდგომი გამოთვლები აღარ არის საჭირო ან სასარგებლო. გენეტიკური ალგორითმის მუშაობის შეწყვეტის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ერთ-ერთი კრიტერიუმის დაკმაყოფილება, მაგალითად: გარკვეული რაოდენობის თაობების გავლა; საუკეთესო ინდივიდების ფიტნეს-ფუნქციის მნიშვნელობების გარკვეულ ზღვრამდე მიღწევა; განსაზღვრული დროის გასვლა ან გაუმჯობესების არარსებობა რამდენიმე თაობის განმავლობაში. ნახაზზე წარმოდგენილია ალგორითმის ბლოკ-სქემა.

კლიენტების სეგმენტაციის ამოცანებისთვის გენეტიკური ალგორითმის გამოყენებას რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს:

– კლიენტების მონაცემები ხშირად არ არის წრფივი და შეიძლება შეიცავდეს რთულ დამოკიდებულებებს სხვადასხვა ცვლადს შორის. ტრადიციული კლასტერიზაციის ალგორითმებს, როგორიცაა k-საშუალო, შეიძლება გაუჭირდეს ასეთი სტრუქტურების ეფექტურად გამოვლენა. გენეტიკური ალგორითმები უფრო მოქნილია და შეუძლიათ უკეთ გაუმკლავდნენ არაწრფივ და რთულ მონაცემთა ნაკრებს.

– კლასტერიზაციის ამოცანა შეიძლება ჩაითვალოს ოპტიმიზაციის ამოცანად, სადაც მიზანია მონაცემების დაყოფა ისეთ ჯგუფებად, რომელთა შიდა მსგავსება მაქსიმალურია, ასევე ჯგუფებს შორის განსხვავება - მაქსიმალური. ტრადიციული ალგორითმები ხშირად ვერ სცდებიან ლოკალურ ოპტიმუმებს, რაც არ იძლევა საუკეთესო შესაძლო სეგმენტაციის შედეგს. გენეტიკური ალგორითმების ევოლუციური ბუნება მათ საშუალებას აძლევს შეისწავლონ საძიებო სივრცე უფრო ფართოდ და იპოვონ უფრო გლობალური ოპტიმალური ან თითქმის ოპტიმალური სეგმენტაციის გადაწყვეტილებები.

– გენეტიკური ალგორითმის ფიტნეს ფუნქცია შეიძლება მორგებული იყოს კონკრეტული სეგმენტაციის ამოცანის მოთხოვნებზე. შესაძლებელია სხვადასხვა კრიტერიუმის კომბინირება, როგორიცაა შიდა კლასტერული მსგავსება, კლასტერებს შორის დისტანცია, კლასტერების ზომა და სხვა ბიზნეს-სპეციფიკური მეტრიკები. ეს საშუალებას იძლევა შეიქმნას სეგმენტები,

რომლებიც არა მხოლოდ სტატისტიკურად განსხვავდებიან, არამედ ბიზნესისთვისაც უფრო სასარგებლოა.

– გენეტიკურ ალგორითმებში შესაძლებელია საწყისი პოპულაციის ინიციალიზაცია არსებული ბიზნეს ცოდნის ან ექსპერტული მოსაზრებების საფუძველზე. ეს დაეხმარება ალგორითმს გაცილებით სწრაფად კონვერგენციაში უკეთეს შედეგებამდე და თავიდან აიცილოს არარეალური ან ნაკლებად სასარგებლო სეგმენტების წარმოქმნა.

– გენეტიკური ალგორითმების გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ კლიენტების სეგმენტაციისთვის, არამედ იმ ცვლადების ავტომატური შერჩევისა და წონის განსაზღვრისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად უწყობს ხელს სეგმენტების გამოყოფას. ფიტნესის ფუნქციაში შესაძლებელია ისეთი კომპონენტების ჩართვა, რომლებიც ხელს უწყობს უფრო მცირე რაოდენობის, მაგრამ უფრო ინფორმატიული ცვლადების გამოყენებას.

– გენეტიკური ალგორითმები შეიძლება გამოყენებულ იქნას კლასტერიზაციის სხვა ალგორითმებთან კომბინაციაში. მაგალითად, გენეტიკურ ალგორითმს შეუძლია იპოვოს კარგი საწყისი ცენტრები k-საშუალოსთვის, რაც გააუმჯობესებს მის შედეგებს და შეამცირებს ლოკალურ ოპტიმუმში დარჩენის რისკს [2,3].

მიუხედავად ამ უპირატესობებისა, აღსანიშნავია, რომ გენეტიკური ალგორითმების გამოყენებას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული ნაკლოვანებებიც, როგორიცაა გამოთვლითი სირთულე და პარამეტრების სწორად შერჩევის საჭიროება. თუმცა, კლიენტების სეგმენტაციის რთული და არაწრფივი ამოცანებისთვის გენეტიკური ალგორითმები გვთავაზობს პერსპექტიულ მიდგომას, რომელსაც ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით უკეთესი და უფრო სასარგებლო შედეგების მიღება შეუძლია.

ამდენად, გენეტიკური ალგორითმები ძლიერი ინსტრუმენტია ოპტიმიზაციის ამოცანების გადასაჭრელად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვა ტრადიციული მეთოდები არაეფექტურია. მიუხედავად გარკვეული ნაკლოვანებებისა, მისი უნარი მოძებნოს გლობალური ოპტიმუმი და არ მოითხოვოს პრობლემის სპეციფიკური ცოდნა, მას ძალიან პოპულარულს ხდის როგორც კლიენტების სეგმენტაციის, ასევე მარკეტინგის სხვადასხვა ამოცანების გადასაწყვეტად.

ლიტერატურა

1. Joni Salminen, Mekhail Mustak, Muhammad Sufyan, Bernard J. Jansen How can algorithms help in segmenting users and customers? Journal of Marketing Analytics (2023) 11:677–692 https://doi.org/10.1057/s41270-023-00235-5, Published online: 6 July 2023.
2. Mohammad Rahim Ramezanian, Mohammad Hassan Gholizade, Segmentation,choice and access to customers in target market based on Genetic Algorithms, https://www.researchgate.net/publication/320617870, No. 9; Sep 2012
3. Hodjat (Hojatollah) Hamidi, Bahare Haghi, An approach based on data mining and genetic algorithm to optimizing time series clustering for efficient segmentation of customer behavior, Computers in Human Behavior Reports, https://doi.org/10.1016 /j.chbr.2024.100520, Volume 16, December 2024.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარების გამოწვევები და სამომავლო განვითარების შესაძლებლობები

Challenges of Innovative Development of Georgia's Agriculture and Future Development Opportunities

თამარ ლაზარიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
Tamar Lazariashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant-Professor

აბსტრაქტი. საქართველოს სოფლის მეურნეობას გააჩნია მნიშვნელოვანი ინოვაციური პოტენციალი. მიზანშეწონილია, ამ პოტენციალის ათვისება ქვეყნის ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების პროცესის შესაბამისად.

ნაშრომში განხილულია სოფლის მეურნეობაში ინოვაციების გამოყენების მნიშვნელობა, ნაჩვენებია სოფლის მეურნეობის წარმოების თავისებურების კავშირი ამ დარგში ინოვაციების გამოყენების მაღალი დონის რისკთან.

ბიბლიოგრაფიული კვლევის საფუძველზე შეფასებულია მკვლევართა შეხედულებები ინოვაციების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ. შესწავლილია ინოვაციურ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები, დასაბუთებულია სოფლის მეურნეობის სექტორის ინოვაციური ტრანსფორმაციის საჭიროებები და მოცემულია ინოვაციური მხარდაჭერის ფორმები და მექანიზმები.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნები სოფლის მეურნეობაში ინოვაციური განვითარების გამოწვევებსა და მოცემულია რეკომენდაციები სამომავლო განვითარების შესაძლებლობაზე.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, ინოვაციური განვითარება, გამოწვევები, შესაძლებლობები, სამომავლო განვითარება.

Abstract. Georgia's agriculture has significant innovative potential. It is advisable, this potential's utilization according to the country's economic and technological development process. The paper discusses in agriculture the importance of using innovations, It shows agriculture production's peculiarities' connection with the high-level risk of using innovations in this field.

Based on bibliographic research are evaluated researchers' views about possibilities of innovation usage. Are study on innovative development influencing factors, is substantiates the agriculture sector's innovative transformation needs and are given innovative support's forms and mechanisms.

At the end of the paper are presented conclusions on agriculture's innovative development challenges and are given recommendations about future development opportunities.

Keywords: agriculture, innovative, development, challenges, opportunities, future development.

გლობალური ეკონომიკა ყოველდღიურად ვითარდება, შესაბამისად, ინოვაციურობა და სიახლისკენ სწრაფვა უმნიშვნელოვანესი ასპექტია ნებისმიერ ბიზნეს საქმიანობაში. დღევანდელ მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება თანამედროვე მიდგომები ინოვაციური მიმართულებით (მწვანე ეკონომიკა, მწვანე ფინანსები, მწვანე ტექნოლოგიები და ინოვაციები), რაც ჩვენი ქვეყნისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია. გასათვალისინებელია, რომ სოფლის მეურნეობის სამომავლო განვითარებისათვის აუცილებელია ციფრული ტრანსფორმაცია და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა.

მსოფლიო მოსახლობის ზრდის პარალელურად, იზრდება მოთხოვნა სოფლის მეურნეობის სუფთა და ჯანსაღ პროდუქციაზე. აღნიშნულის დაკმაყოფილება კი სოფლის მეურნეობის ტრადიციული მეთოდებით სულ უფრო ძნელდება. საჭირო ხდება სოფლის მეურნეობაში ინოვაციური მეთოდების შემუშავება და განვითარება. საქართველოს სოფლის მეურნეობას გააჩნია მნიშვნელოვანი სამეწარმეო და ინოვაციური პოტენციალი. მიზანშეწონილია, ამ პოტენციალის ათვისება ქვეყნის ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების პროცესში.

სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, აუცილებელია ეკონომიკური ზრდისთვის. გამოვლენილია, რომ მშპ-ში სოფლის მეურნეობის დარგის ეკონომიკური ზრდა გაცილებით მეტად ამცირებს სიღარიბეს, ვიდრე სხვა დარგისა. სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარება ხელს უწყობს წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებას, პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ტექნოლოგიური მიღწევები კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე იძლევა საშუალებას ფერმერებმა მოიყვანონ ხარისხიანი მოსავალი ნაკლები დანახარჯით, როგორც პრეპარატებზე, ასევე სხვადასხვა აგრო ოპერაციებზე. მეცნიერები იკვლევენ აგრობიზნესის განვითარების ტენდენციებს და ადასტურებენ, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარება თანამედროვეობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა (Kharaishvili & Suknishvili, 2021).

გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკის მთავარ პრობლემად კვლავ მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა განიხილება, რაც ძირითადად მაღალმწარმოებლური აგრარული სექტორის განვითარებით უნდა გადაიჭრას. სასურსათო უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბოლო წლებში ამ სექტორის წილი მთლიან შიგა პროდუქტში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, 2024 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 7%-ია, თუმცა, სექტორში, წლების მანძილზე, საკმაოდ დაბალია მწარმოებლურობა (Kharaishvili & Lobzhanidze, 2024).

საქართველოში აგრარულ სექტორში დაბალ მწარმოებლურობას ძირითადად შემდეგი ფაქტორები იწვევს:

1. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე;
2. მცირემიწიანობა და მიწების ფრაგმენტაცია;
3. განუვითარებელი მელიორაციული სისტემა ან არსებული სისტემის დაბალმწარმოებლურობით გამოყენება;
4. ტექნიკაზე დაბალი ხელმისაწვდომობა;
5. არასრულყოფილი და ბუნდოვანი საკანონმდებლო ბაზა;
6. სასუქების, პესტიციდების გამოყენების დაბალი დონე და დაბალი ხარისხი;
7. კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და შეზღუდული მომსახურება.

დასახელებული ფაქტორებიდან მცირემიწიანობა და მიწის ფრაგმენტაცია ნაკლებად ექვემდებარება ცვლილებებს, შესაბამისად მიზანშეწონილია ორიენტირება მოხდეს დანარჩენ ექვს დამაბრკოლებელ ფაქტორზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნის გამოცდილების გაზიარება, რომელსაც სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები დაბრკოლებას არ წარმოადგენს და დარგი თანამედროვე ცოდნასა და ტექნოლოგიებზე დაყრდნობით ვითარდება (Kharaishvili, 2018).

ბოლო წლებში აგრარული სექტორის კვლევა განსაკუთრებული ინტერესების სფეროშია ინოვაციების განვითარების თვალსაზრისით. კონკრეტულად, ყურადღება გამახვილებულია ტექნოლოგიურ ინოვაციებზე. ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებლობას აძლევს აგრაქიმიკოსებს აამაღლონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და შესაბამისად, მოსავალი და მინიმუმამდე დაიყვანონ ეკოსისტემაზე მიყენებული ზიანი. ტრადიციული

მეურნეობები ვერ იქნება კომერციულად გამართლებული ტექნოლოგიების გარეშე. ახალი მიდგომები საგრძნობლად ზრდის სასოფლო-სამეურნეო სექტორის წარმადობას, იწვევს რესურსების დაზოგვას და მზარდი მსოფლიო მოსახლეობის საკვებით დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად. სტატისტიკურად დადასტურებულია, რომ თუ ინდუსტრია ინოვაციებზეა დაფუძნებული, მაშინ მაღალია საზოგადოების ცხოვრების დონეც.

დღეისათვის, სოფლის მეურნეობა წარმოადგენს დრონების სამრეწველო გამოყენების ერთ-ერთ უმსხვილეს დარგს. მსოფლიოში დაახლოებით ყოველი მე-10 აგროსაწარმო იყენებს ამ ტექნოლოგიას. 2023 წლისთვის მსოფლიოში მუშაობდა 29 მლნ დრონი. მომავალში დრონების მეშვეობით მოხდება ეფექტიანი შეწამვლა და მორწყვა. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ლიდეროზს შვეიცარია. უპილოტო საშუალებები აქ უკვე დიდი ხანია გამოიყენება ნათესების მონიტორინგისათვის.

ასევე, საინტერესო და საყურადღებოა სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების ინოვაციური ინტერნეტგადამცემების მასიური დანერგვა. ამ მეთოდით, ხელოვნური ინტე-ლექტი აგროვებს მრავალ მონაცემს, აანალიზებს მათ, რის შედეგადაც ქმნის კომპლექსურ სისტემებს და ამის საფუძველზე აკეთებს დამოუკიდებელ დასკვნებს. სოფლის მეურნეობაში ციფრული ტექნოლოგიების სარგებლის მიღება მოითხოვს ფერმერების, მკვლევარების, კერძო სექტორის, არაკომერციული ორგანიზაციების და მთავრობის მონაწილეობას და თანამ-შრომლობას.

Project Breakthrough-ის თანახმად, ინოვაციების დანერგვას სოფლის მეურნეობაში, შეუძლია დაეხმაროს ფერმერებს რეალურ დროში მეტი ინფორმაციის მიწოდებით მათი მეურნეობების შესახებ, რაც მათ უკეთესი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას მისცემთ. ციფრული ტექნოლოგია ფერმერებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ ნაკლები პესტიციდები თავიანთ ნათესებზე. ნიადაგისა და ამინდის მონიტორინგი ამცირებს წყლის ნარჩენებს.

მსოფლიოს რიგი ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სოფლის მეურნეობაში, აქტიურად მიმდინარეობს რობოტიზაციის პროცესი, რომლის ბაზარი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება. აგრორობოტებს წარმოადგენს: თვითმავალი ტრაქტორები, ბალახის საკრეჭი რობოტი მანქანები, დრონების გამოყენება, რომელიც ზრდის მოსავლიანობას და ეფექტიანობას, მაგალითად, ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია ნათესებზე სასუქებისა და პესტიციდების დასხურებაა. დრონები აღჭურვილია სპეციალური რეზერვუარებითა და საშხეფი სისტემებით, რაც ქიმიკატების ზუსტ და თანაბარ გავრცელებას უზრუნველყოფს. ეს მეთოდი უფრო სწრაფი და ეფექტიანია ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ ტექნოლოგიის პოპულარიზაცია და ფერმერების მხარდაჭერა ამ რესურსის ასათვისებლად.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების, ისეთის, როგორიც არის რობოტიზაციის, ჭკვიანი აპლიკაციის, ბლოკჩეინის და სხვათა ეფექტიანი გამოყენება შესაძლებლობას იძლევა სოფლის მეურნეობაში მივიღოთ მაღალი მოსავალი, შევამციროთ თესლსა და სასუქებზე დანახარჯები და მინიმუმამდე დავიყვანოთ ეკოსისტემაზე მიყენებული ზიანი.

საინტერესო და საყურადღებოა სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების ინოვაციური ინტერნეტ გადამცემების მასიური დანერგვა. ამ მეთოდით, ხელოვნური ინტელექტი აგროვებს მრავალ მონაცემს, აანალიზებს მათ, რის შედეგადაც ქმნის კომპლექსურ სისტემებს და ამის საფუძველზე აკეთებს დამოუკიდებელ დასკვნებს. სოფლის მეურნეობაში ციფრული ტექნოლოგიების სარგებლის მიღება მოითხოვს ფერმერების, მკვლევარების, კერძო სექტორის, არაკომერციული ორგანიზაციების და მთავრობის მონაწილეობას და თანამშრომლობას (ლაზარიაშვილი, 2024).

მნიშვნელოვანია სექტორის ინოვაციური განვითარების პრიორიტეტულად აღიარება. მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ინკლუზიური ზრდისთვის აუცილებელია აგრარული სექტორის განვითარება. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიაში გათვალისწინებულია ახალი, ინოვაციური სფეროების განვითარება (საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027).

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ინფორმაციით, ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგში საქართველოს ადგილი საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამ მხრივ ქვეყნის მთავარი მიღწევებია ინსტიტუციური მოწყობა და მარეგულირებელი პოლიტიკა. თუმცა, მთავარ სისუსტეებად რჩება ხელისუფლების და კერძო სექტორის მიერ განათლებისა და კვლევითი მიმართულებების მხარდაჭერის ნაკლებობა და ბიზნესის მიერ ინოვაციების შეზღუდული გამოყენება.

2024 წლის მონაცემებით, ქვეყანამ ინოვაციების გლობალურ ინდექსში 30.9 ქულა აიღო (100 ქულიდან), რითაც უმნიშვნელოდ გაზარდა წინა წლის მაჩვენებელი 29.9 და 65-ე პოზიციიდან გადაინაცვლა 57-ზე (იხ. დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. ინოვაციების გლობალური ინდექსი - საქართველო, 2023-2024 წლები

თანამედროვე სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში აგრარული რევოლუციები - სიახლეა. მას დარგი ახალ დონეზე აჰყავს და ითვალისწინებს სოფლის მეურნეობაში IT-ტექნოლოგიების დანერგვას, რომლებიც შეამცირებენ ხელით შრომას, გაზრდიან მოსავლიანობას. „ჭკვიანური ფერმერობის“ პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობაში გაციფროვნების, ავტომატიზაციისა და სხვა ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვნად (20%-ის ფარგლებში) ამცირებს დანახარჯებს სასუქზე, საწვავზე და სხვ. ამავდროულად ზრდის მწარმოებლობას.

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს მართვის პარალელური სისტემების (ნავიგაციის) გამოყენება სოფლის მეურნეობაში, რომლიც ემყარება GPS/GLONASS სატელიტური სიგნალების მიღებას. აღნიშნული სისტემა გამოიყენება ნიადაგის დასამუშავებლად: მარცვლეულის მწკრივადი თესვის, მწკრივის შემდგომი კულტივირების, ნიადაგში სასუქების შეტანისა და დაძაბული სამუშაოს დროს მანქანის ზუსტად ორიენტირების მიზნით. ნავიგატორი საშუალებას აძლევს მანქანას გადაადგილდეს წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით. ხდება თესლის, საწვავისა და საცხები მასალის დაზოგვა, ტექნიკის გადაადგილების ოპტიმიზაცია და იზრდება აღჭურვილობის დატვირთვა დაახლოებით 3-ჯერ, რაც ფულად-მატერიალური საშუალებების ეკონომიას იწვევს.

მნიშვნელოვანია მართვის ავტომატური სისტემა (ავტოპილოტი) ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად, სასათბურე მეურნეობაში ტრადიციული ენერგიის წყაროების

გამოყენების ჩანაცვლება ხდება განახლებადი ენერგიის საშუალებებით: ქარი, მზე და გეოთერმული წყლებით.

ბუნებრივი ენერგიის გამოყენების უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ აგროსაწარმოებს, მსხვილ ფერმერულ და კოოპერაციულ მეურნეობებს. მზის ენერგიის გამოყენება სასათბურე მეურნეობებში მოგვცემდა საადრეო და საგვიანო ბოსტნეულის მოყვანის საშუალებას შედარებით დაბალი თვითღირებულებით. მზის ენერგია შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სახის ჩირის, ასევე საკვებდანამატებისა და მშრალი პროდუქტების (ასკილი, ტყის მოცვი და სხვა) საწარმოებლად - მზის ენერგიის გამოსაყენებლად საუკეთესო პირობებია შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დაბლობ და კავკასიონის მაღალმთიან ადგილებში.

მნიშვნელოვანია, რომ განვითარების პროცესი გაგრძელდეს და შემდგომ სტრატეგიულ პერიოდში უპირატესობა მიენიჭოს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებით პროგრამების განხორციელებას, უზრუნველყოფილ იქნას ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების გამოყენება სურსათის წარმოებისთვის, მეტი ყურადღება გამახვილდეს მდგრად განვითარებაზე და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე. ინოვაციების დანერგვა სოფლის მეურნეობაში უდიდეს გავლენას მოახდენს ქართულ ეკონომიკაზე: გააუმჯობესებს ტექნოლოგიურ ბაზას, შეიქმნება თანამედროვე ტექნიკითა და მეთოდოლოგიებით აღჭურვილი საწარმოები, მოხდება არსებულთა გადამზადება, კვალიფიციური ამაღლება, გაუმჯობესდება მართვის სისტემები და სხვა (Lazariashvili, 2024). ინოვაცია კომპანიას საშუალებას აძლევს მოიპოვოს შიგა და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტული უპირატესობა, წარმატებით დაძლიოს ბაზარზე შესვლის ბარიერები და სწრაფად დაიკავოს მოწინავე პოზიციები. ინოვაციური განვითარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინდუსტრიებისთვის მოგების გასაზრდელად, არამედ ეს პროცესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების განვითარებაშიც ცხოვრების მაღალი დონის მიღწევით. არანაკლებ დიდია ინოვაციების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, რადგან ინოვაციების დანერგვა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

ინოვაციათა დიდი მნიშვნელოვნება განპირობებულია იმ ფაქტითაც, რომ დღევანდელ მსოფლიოში თითქმის აღარ არსებობს სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზირებული წარმოება, ხოლო ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული თუ საერთაშორისო ბიზნესი, უმეტეს შემთხვევაში, კერძო პირების მფლობელობაშია - თანამონაწილეობის ანდა მონოპოლიის სახით. ამდენად, ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული ინოვაციური აქტივობა ერთმნიშვნელოვნად ახდენს ზეგავლენას კონკრეტულ სახელმწიფოში ბიზნეს-კომპანიათა ფორმირებასა და განვითარებაზე, ვინაიდან, გარდა მეცნიერულ-ტექნიკური წინსვლისა და პროგრესისა, ინოვაციათა უპირველეს დანიშნულებად დღესდღეობით ფინანსური მოგება ისახება. ამდენად, ინოვაციურ იდეათა და პროექტთა გარეშე, ძალიან რთულია ბიზნესის ნებისმიერი სეგმენტის განვითარება, ვინაიდან ბიზნეს-კომპანიათა განვითარებაში, დღესდღეობით, სწორედ ინოვაციას შეაქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი, რამდენადაც კომპანიის წინსვლასთან დაკავშირებული ინოვაციური იდეები არის ის მექანიზმი და ძალა, რომელმაც შესაძლოა კონკრეტული ფირმის კონკურენტუნარიანობა მრავალჯერ გაზარდოს - როგორც ადგილობრივ, ასევე - საერთაშორისო ასპარეზზე იკავებს. ინოვაციების დანერგვა აუცილებელია სოფლის მეურნეობის სექტორში ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, კეთილდღეობისა და მდგრადობის შედეგების თვალსაზრისითაც (Jeffrey & Bommu, 2024).

საქართველოში, სოფლის მეურნეობაში აუცილებელია ინკლუზიური ინოვაციური მიდგომების გამოყენება. ინოვაციური განვითარების რიგ ხელშემშლელ ფაქტორებს შორის, აღსანიშნავია:

- ინოვაციურ საწარმოთა მცირე რაოდენობა, რის გამოც მათი შედეგები არსებით გავლენას ვერ ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე;
- განუვითარებელი ინოვაციური ინფრასტრუქტურა;
- ბაზარზე ისეთი ინოვაციური საწარმოების ნაკლებობა, რომლებსაც ბაზრის ცვალებადი გარემოსადმი სწრაფი ადაპტირებისა და რეაგირების უნარი აქვს;
- ბუნდოვანია ინოვაციური საქმიანობების მხარდაჭერი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დოკუმენტები;
- სოფლის მეურნეობის სექტორში ძველი ტექნოლოგიების გამოყენების ჯერ კიდევ მაღალი დონე, რაც კონკურენციის დონეზე უარყოფითად აისახება, განსაკუთრებით საერთაშორისო ბაზრებზე.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით აუცილებელია სოფლის მეურნეობის სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა. ინოვაციები სოფლის მეურნეობაში უდიდეს გავლენას მოახდენს ქართულ ეკონომიკაზე: გააუმჯობესებს ტექნოლოგიურ ბაზას, შეიქმნება თანამედროვე ტექნიკითა და მეთოდოლოგიებით აღჭურვილი საწარმოები, მოხდება არსებულთა გადამზადება, კვალიფიციური ამაღლება, გაუმჯობესდება მართვის სისტემები და სხვა.

საქართველოს კიდევ ძალიან რთული გზა აქვს გასავლელი და მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და ფინანსური ინვესტიციების განხორციელებაა საჭირო, რომ ქვეყანამ შესძლოს, ინფორმატიზაციისა და ელექტრონული მმართველობის მხრივ, დასავლეთის სტანდარტებთან მიახლოვება და, მით უმეტეს, მათი სრული დანერგვა. აუცილებელია დარგში ინოვაციური პროდუქტების წილის ზრდა; შრომის პროდუქტიულობის ამაღლება; სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებისთვის აუცილებელი ახალი ორგანიზაციული და სამართლებრივი ინსტიტუტების და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლაზარიაშვილი, თ. (2024). „ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები სოფლის მეურნეობაში (საქართველოში)“. საერთაშორისო მულტიდისციპლინური კონფერენცია "ინოვაციური მიდგომები მეცნიერებაში", 19-20 ოქტომბერი, სტამბოლი, თურქეთი.

2. ლაზარიაშვილი, თ. (2024). „ციფრული ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობები საქართველოს სოფლის მეურნეობაში“. საერთაშორისო მულტიდისციპლინური კონფერენცია „თანამედროვე გამოწვევები მეცნიერებასა და ინოვაციებში“, 22-23 ივნისი.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027 . https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/27243

4. Jeffrey, L. & Bommu, R. (2024). Innovative AI Solutions for Agriculture: Enhancing Crop Management and Yield, International Journal of Advanced Engineering Technologies and Innovations, Volume 01, Issue 03.

5. Kharaishvili, E., & Lobzhanidze, N. (2024). Digital Transformation in Small and Medium-sized Enterprises: New Approaches and Challenges (focus: agricultural sector of Georgia). Medicon Agriculture & Environmental Sciences, 6(1). Article Type: Research Article ISSN: 2972-2691

6. Kharaishvili, E., & Suknishvili, M. (2021). Agribusiness development trends in Georgia: modern challenges and solutions. Economics. Ecology. Socium, N5(4). Retrieved from https://ees-journal.com/index.php/journal/article/view/182

7. Kharaishvili, E. (2018). Priorities of Agricultural Development in Georgia and Israel: Innovative approaches and models. Academic Seminar in Ben Gurion University. Israel.

8. Lazariashvili, T. (2024). THE ROLE OF DIGITAL AGRICULTURE IN THE DEVELOPMENT OF SUSTAINABLE AGRICULTURE. <<STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT>> (SIMM-2024). Kiyev, Ukraine.

ფრინველის კვება
Poultry Nutrition

მანანა ცინცაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებულიპროფესორი
ნაილი ორჯანელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასისტენტ პროფესორი
ნათია ნატროშვილი
ასისტენტ პროფესორი
მარინა სურმავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
Manana Tsintsadze
Georgian Technical University.
Associate Professor
Naili Orjaneli
Georgian Technical University.
Assistant Professor
Natia Natroshvili
Georgian Technical University.
Assistant Professor
Marina Surmava
Associate Professor.
Georgian Technical University

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატია ეძღვნება მეცხოველეობის ერთ-ერთ მძლავრ მიმართულება-მეფრინველეობას. სტატიის ავტორებს საკმაოდ კარგად აქვთ გაშუქებული მეფრინველეობის დარგის მნიშვნელობა, მისი ჩართულობა თანამედროვე ეკონომიკურ სფეროში და მისი მნიშვნელობა კვების სფროში, რომელიც უზრუნველყოფს სახელმიფოს, როგორც ხორცის რესურსით ასევე სასურსათო და სამრეწველო კვერცხით, რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანის კვებში წამყვან ადგილზე.

მეფრინველეობის ზოგადი დახასიათებიდან ავტორთა ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს გარდა მოშენება -სელექციისა, ფრინველის კვების ორგანიზაციულ ნაწილზე, რომელიც ერთმანეთთან გადაჯაჭვულია ორგანული ფესვებით. კერძოდ ვერ შეიქმნებოდა პროდუქტიული მეფრინველეობა თუ კვების ორგანიზაციული ნაწილის გადაწყვეტის დროს მეცხოველე სპეციალისტმა არ იცის იმ მოთხოვნილების მნიშვნელობა, რასაც ფრინველის ორგანიზმიდან, კერძოდ მისი მონელების სფეროდან დაგვანახა ავტორთა ჯგუფმა. ფრინველის პროდუქტიულობის დროს აუცილებელია საკვებიდან ღებულობდეს ფრინველი, როგორც ენერგიის წყაროს, რაც სამიმოცვლო ენერგიაში გამოიხატება, ასევე ავტორთა ჯგუფი ხაზს უსვამს ულუფების სწორ დაბალანსებას პროტეინით, ასევე აშუქებენ სრულფასოვანი პროტეინის არსებობას ულუფაში, რომელსაც განაპირობებს მასში შემავალი კრიტიკული ამინომჟავების შემცველობას. ავტორთა ჯგუფს ცხრილის სახით აქვს გადმოცემული იმ საკვებების სახელწოდებები, რომლებიც ღარიბნი არიან კრიტიკული ამინომჟავებით.

ავტორთა ჯგუფი ასევე ყურადღებას ამახვილებს ვიტამინის მომთხოვნელობაზე და წერენ სტატიაში რომ ზოგიერთი ვიტამინი პირდაპირკავშირშია ზოგიერთ ამინომჟავებთან და ფრინველის ორგანიზმში ერთობლივად მონაწილეობენ ბიოქიმიურ პროცესებში. სტატიაში ასევე ფართოდ არის წარმოდნილი მაკრო და მიკრო ელემენტების მნიშვნელობა, რათა ორგანიზმში მოხვდნენ საკვებიდან რომ მიიღონ მონაწილეობა პროდუქციის შექმნაში. საბოლოოდ ავტორები ურჩევენ სპეციალისტებს სტატიაში

განხილული მასალები გაითვალსიწინონ ფრინველის კვების მიმართულებით რათა მოხდეს მაღალი და ხარისხიანი პროდუქტის მიღება.

საკვანძო სიტყვები: მეფრინველეობა, ენერგია პროტეონოვანი ცვლა, ამინომჟავები, ლიზინი, მეთიონინი, არგინინი, ,ვალინი, ჰისტიდინი, ლეიცინი, იზოლეიცინი, ტრეონინი, ფენილალანინი, გლიცინი, ვიტამინები, მაკრო და მიკროლემენტები. შარდმჟავა. სამიმოცვლო ენერგია

Abstrac. This article is dedicated to one of the powerful directions of animal husbandry - poultry farming. The authors of the article have quite well covered the importance of the poultry farming sector, its involvement in the modern economic sphere and its importance in the food industry, which provides the state with both meat resources and food and industrial eggs, which have always been, are and will be in the leading place in human nutrition. From the general description of poultry farming, the group of authors draws attention, in addition to breeding and selection, to the organizational part of poultry nutrition, which is interconnected with organic roots. In particular, productive poultry farming could not be created if, when deciding on the organizational part of nutrition, the livestock specialist does not know the importance of the needs that the group of authors has shown us from the bird's organism, in particular from the area of its digestion. During poultry productivity, it is necessary for the bird to receive energy from food, which is expressed in three-dimensional energy, and the authors also emphasize the correct balance of rations with protein, and also highlight the presence of complete protein in the ration, which is determined by the content of critical amino acids in it. The authors have presented in the form of a table the names of those foods that are poor in critical amino acids. The authors also focus on vitamin requirements and write in the article that some vitamins are directly related to some amino acids and jointly participate in biochemical processes in the bird's body. The article also extensively presents the importance of macro and micro elements, so that they can enter the body from food and participate in the creation of products. Finally, the authors advise specialists to take into account the materials discussed in the article in the direction of poultry nutrition in order to obtain a high-quality product.

მეფრინველეობა არის მეცხოველეობის ერთ-ერთი საკმაოდ კარგად განვითარებული მეცხოველეობის მიმართულება, მისი პროდუქტი-ფრინველის ხორცი და კვერცხი წარმოადგენს ადამიანის კვების ძირითად კომპონენტს. თავის ღირებულებებით საკმაოდ დიდ როლს თამაშობს თანამედროვე ეკონომიკურ სფეროში.

ხორცის საკვები ღირებულება განისაზღვრება, როგორც ორგანოლეპტიკური თვალსაზრისით, ასევე ენერგეტიკული ღირებულებით, როლის განმსაზღვრელად შეიძლება ჩაითვალოს ცილების დიდი რაოდენობის შემცველობით და მასში არსებული ამინომჟავური შედგენილობით.

მეფრინველეობაში, როგორც დარგი შერწყმულია თანამედროვე მოშენების და სასელექციო მუშაობის მეთოდები, რომელმაც განაპირობა ამ მიმართულებაში მრავალი ჯიშის, ხაზის, კროსის შექმნა, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში მეფრინველეობის სწრაფ განვითარებას. ამ დადებით ტენდენციაში არ შეიძლება არ გამოვყოთ კვების ორგანიზაციული საკითხები და ჩვენი სტატიაც უშუალოდ ფრინველის კვების მოთხოვნილებას ეხება პროდუქტიულობის გაზრდის კუთხით. ეს უკანასკნელი კი გარკვეულ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკური სფეროს რეგულირებაში.

მეფრინველეობა, როგორც დარგი გაზრდილ მოთხოვნილებას უყენებს კვების ორგანიზაციას. განსაკუთრებით კი მისი ბიოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარე ისეთი საკითხები ხდება აქტუალური, როგორიცაა: ფრინველის საკვების ნორმაში- ენერგიის, პროტეინის, ცალკეული ამინომჟავების, ვიტამინების და მინერალური ნივთიერებების მოთხოვნილების გათვალისწინება, რამაც ძირითადად უნდა მიიღოს მონაწილეობა მისი პროდუქტიულობის ამაღლებაში.

ზრდასრული ფრინველის ულუფას ენერგიის მიხედვით აბალანსებენ სიმინდის, კილგაცლილი ქერისა და შვრიის , ფეტვის, სორგოს, ნაწილობრივ სამარცვლე პარკოსნების გამოყენების ხარჯზე. ასევე ენერგიის მაღალი შემცველობით გამოირჩევა კოპტონი და შროტი. პრაქტიკულად ასევე მიღებულია ,რომ ენერგიის ნაკლებობისას ულუფას უმატებენ მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ცხიმს-3-5 პროცენტის რაოდენობით.

მეცნიერულად არის დადგენილი, რომ ულუფის კალორიულობის ცვალებადობა განსაზღვრავს საკვების შეჭმადობას და შესაბამისად პროტეინი, ამინომჟავების, ვიტამინებისა , მაკრო და მიკრო ელემენტების მოხმარებასაც. რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ რაც უფრო მაღალია ენერგეტიკული დონე, მით ნაკლებია საკვების მოხმარება ეს კი საფუძველს გვაძლევს მივიდეთ იმ დასკვნამდე,რომ ფრინველის ულუფის დაბალანსებისას აუცილებელია დაცული იყოს თანაფარდობა ულუფის ენერგიასა და საზრდო ნივთიერებებს შორის.

მიმოცვლის ენერგიის ოპტიმალური კონცენტრაცია ულუფის 100 გ მშრალ ნივთიერებაში საკმაოდ ფართოდ ცვალებადობს ფრინველის სახეობის, ასაკისა და სამეურნეო დანიშნულების მიხედვით, დაახლოებით 230-310 კკალ (963-1299 კჯ).

ულუფის სრულფასოვან პროტეინოვან საზრდოობას ფრინველის ულუფაში არანაკლები ყურადღება ექცევა. ფრინველი გამოირჩევა ცილოვანი მიმოცვლის ინტენსივობით, ამიტომ წინასწარ უნდა განისაზღვროს ულუფაში პროტეინის დონეც და მისი ხარისხი. აღსანიშნავია, რომ აზოტის მიმოცვლა ფრინველის ორგანიზმში თავისებურია. აზოტოვანი მიმოცვლის საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს არა შარდოვანა-არამედ შარდმჟავა. დადგენილია, რო 1 გ შარდმჟავაში ენერგია-1197 კჯ-ს შეადგენს, ხოლო შარდოვანაში არაუმეტეს-1065 კჯ. ე.ი 1 გ პროტეინის დაჟანგვისას 159 კჯ ენერგია თავისუფლდება.

ფრინველის ულუფაში პროტეინის ნაკლებობისას ან მისი ცუდად ათვისებისას მცირდება ფრინველის პროდუქტიულობა, უარესდება კვლაწარმოებისფუქცია, აღინიშნება მოზრდი ფრინველის დეპრესია, ეცემა რეზისტენტობა. ულუფაში პროტეინის დონის გაზრდა აუმჯობესებს აზოტის ათვისებას, ხოლო დოზაზე მეტის მიცემა კი იწვევს მოზრდი ფრინველის ზრდაში ჩამორჩენას, აქვეითედაბს აზოტის გამოყენებას და ვიტამინების (A და B ჯგუფის) აგროვებას ღვიძლში.

ფრინველის მოთხოვნილება პროტეინზე დამოკიდებულია საკვები კომპონენტების აზოტოვანი ნაერთების ათვისებაზე, მათ ამინომჟავურ შედგენილობაზე, ულუფის ბალანსირებაზე, გარემოს ტემპერატურაზე და სხვა მრავალ ფაქტორზე.

ულუფის ბალანსირების დროს ასევე მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადენს ენერგო-პროტინოვანი შეფარდება (ეპშ), რომელიც გამოსახავს ენერგიისა და პროტეინთა სიდიდეთა რაოდენობრივ ცვალებადობას.

აუცილებელი პირობაა ასევე ულუფის პროტეინოვანი სრულფასოვნება, რასაც განაპირობებს მასში შემავალი ამინომჟავების არსებობა. კერძოდ პროტეინი სრულფასოვანია თუ მის შემადგენლობაში არის შეუცვლელი ამინომჟავები-ლიზინი, მეთიონინი, ტრიფტოფანი, არგინინი, ვალინი, ჰისტიდინი, ლეიცინი, იზოლეიცინი, ტრეონინი, ფენილალანინი და გლიცინი. უნდა აღინიშნოს, რომ მეფრინველეობაში გამოყენებული საკვები არსებითად განსხვავებულია. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საკვებში ზოგიერთი ორგანიზმისთვის აუცილებლის ამინომჟავების დეფიციტზე.

ფრინველის ულუფაში არსებულ საკვებში ამინოაჟვების დეფიციტი

საკვების სახე	დეფიციტური ამინომჟავები
1,მარცვლეული, კოპტონი, შროტი (სოიოს გამოკლებით)	ლიზინი
2. მარცლოვნები, პარკოსნები, კოპტონი (გარდა მზესუმზირისა), საკვები საფუარი და ცხოველური წარმოშობის საკვები (თევზის ფქვილის გარდა)	გოგირდშემცველი ამინომჟავები

3.სიმინდი, ქერი, ბარდა, ცერცვი, ძვალ-ხორცის ფქვილი	ტრიფტოფანი

ამ ცხრილის მიხედვით ფრინველის ულუფა, რომელიც უფრო მცენარეული წარმოშობის პროტეინით არის წარმოდგენილი შეიძლება დაემატოს ლიზინი, მეთიონინი და ტრიფტოფანი.

ამინომჟავების ნორმირებისას აუცილებელი პირობაა ვიცოდეთ რომ ცალკეულ ამინომჟავასა და ვიტამინებს შორის არსებობს საკმაოდ მჭიდრო და ფუნქციური კავშირი. მაგალითად ტრიფტოფანის და ნიკოტინის მჟავის ურთიერთკავშირი-ტრიფტოფანი ასრულებს ნიკოტინის მჟავის წინამორბედის ფუნქციას და მისი საკმარისი რაოდენობის შემთხვევაში ულუფაში შეიძლება შევამციროთ მოთხოვნილება ნიკოტინ მჟავაზე. ასევე B_6 ვიტამინი მონაწილეებს ამინომჟავა ტრიფტოფანის მიმოცვლაში და სხვა. უნდა აღინიშნოს თანამდეროვე მეფინველეობის კვების პრატქიკაში თანდათან ინერგება სინთეზური ვიტამინიანი პრეპარატების ჩართულობა, რომლითაც მდიდრდება კომბინირებული საკვები.

ფრინველს განსხვავებული ნიშნები აქვს მინერალურ მიმოცვლაშიც. მაგალითად ფრინველში კალციუმის მიმოცვლა ხასიათდება განსაკუთრებით მაღალი დაძაბულობით; დედალი, რომლის წლიური კვერცხმდებლობა არის 200 ცალი კვერცხი, 400-430 გ კალციუმს გამოყოფს, რაც თითქმის 20-ჯერ მეტია ვიდრე მის ორგანიზმში ამ ელემენტის შემცველობა. ე.ი კალციუმის მიმოცვლის ინტენსივობა ფრინველში დაახლოებით 20-ჯერ მეტია, ვიდრე სხვა ძუძუმწოვრებში. თუ ორგანიზმა განიცადა კალციუმის ნაკლებობა შესაბამისად ეცემა კვერცხდების პროდუქტიულობა ან ფრინველი დებს დეფორმირებული კვერცხს. ფრინველის ორგანიზმში ჭარბმა კალციუმმა შეიძლება გამოიწვიოს ნაჭუჭის არათანაბარი გასქელება და ასევე გახდეს რიგი მიკროელემენტების (თუთიის, მაგნგანუმის და სხვა) უკმარისობის მიზეზი. ულუფის კალციუმით ბალანსირება ხდება მინერალური საკვების ხარჯზე-ცარცი, ნიჟარა, ძვლის ფქვილი.

ფრინველის კვების დროს არ აღინიშნება ფოსფორის ნაკლებობა, რადგან ფრინველის მოთხოვნილება მთლიანად იფარება მიღებული საკვებით, ხოლო ნატრიუმზე და ქლორზე მოთხოვნილება კმაყოფილდება კომბინირებული საკვებში არსებული სუფრის მარილის საშუალებით (0,4%).

საკვები ყოველთვის არ აკმაყოფილებს მიკროელემენტებზე ფრინველის მოთხოვნილებას. ასეთ დეფიციტურ ელემენტებს განეკუთვნება -რკინა, მანგანუმი, თუთია, კობალტი და იოდი, რომელთა ნაკლებობა იწვევს ფრინველში- ნივთიერებათა ცვლის მოშლას, პროდუქტიულობის დაქვეითებას და მისი ხარისხის გაუარესებას. შესწავლილია ასევე ულუფაში სპილენძის ნაკლებობით გამოწვეული დაავადება (ცოცხალი მასის შემცირე). ამიტომ ულუფის დაბალანსებისას უნდა შევიტანოთ კომბინირებულ საკვებში დამატებით მიკოელემენტების რაოდენობის განსაზღვრული რაოდენობა.

ქვემოთ მოყვანილია ცხრილი თუ კომბინირებულ საკვებს რა დოზით უნდა დაუმატოთ მიკროელემენტები.

მიკროელემენტების დასამატებელი ნორმა 1 ტ კომბინირებულ საკვებზე (გ)

ელემენტი	მოზარდეული ფრინველი	ზრდასრული ფრინველი
მანგანუმი	50	50
თუთია	50	50
რკინა	25	25
სპილენძი	3,5	2,5

კობალტი	3,5	3,5
იოდი	1,0	1,0

ამრიგად სტატიაში გადმოვეცით მეფრინველეობის კუთხით ნორმირებული კვების აუცილებლობა, რომელშიც აუცილებლად განსაზღვრული უნდა იქნეს საკვების საზრდოობადობის დონე, რომელიც უშუალოდ გადის მათ ჯანმრთელობაზე და პროდუქტიულობის გადიდებაზე. მოცემული რეკომნდაციები შეიძლება გამოიყენოს ფერმერებმა და დაიტერესებულმა პირებმა , რათა მიიღონ შესაბამისი ხარისხიანი პროდუქტები (ხორცი და კვერცხი).

გამოყენებული ლიტრატურა

1. რ. ნოზაძე და სხვ.- ”მეფრინველეობის პროდუქტების წარმოების და გადამუშავების ტექნოლოგია”თბ. 2007.

2. რ. მიტიჩაშვილი და სხვ.ფრინველის გენეტიკა და სელექცია,გამ. შპს „თობილასი“,თბ 2010.

3. ლ. ჯიქია, თ. ფირცხალაიშვილი– მეფრინველეობის ფერმერულ მეურნეობა რეპრო-დუქტორებში სანაშენე მუშაობის შესახებ. რეკომენდაცია. თბ. 2004

გაცხადებული სული

"ვეფხისტყაოსანი"

ნაწილი " ბ"

ხათუნა ელიაშვილი

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო

მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

Khatuna Eliashvili

Member of the Union of Writers of Georgia.

International named after Jumber Lezhava

A true member of the Academy of Sciences

აღმოვაჩინე რომ დანომვრა რიგითობის მიხედვით უფრო მაღალ და ღვთიურ არსს იძლევა ქართული ბგერებით"!

ვაფასებ მათ!

გვაქვს უმაღლესი სული,

ზეგარდმო არსი სრული,

სიმაღლე დასთა გულის,

უფლება გადაბმულით!

"სულთა ყვნა"- მაღალი სული, სულის მყნობას მიანიშნებს და მის ღვთიურ არსში გადაყვანას!

ვინაიდან ენას - ქართულ ენას აქვს შვიდგზის განზომილება და თვითეული სიტყვა იშლება სივეზზე,ის ბადებს ახალ ახალ სინამდვილეს სივრცეში და სასწაულებს ქმნის!

" დასაბამიდან იყო სიტყვა"!

აქ სულის თავისუფლებაზე მოლაპარაკე სიბრძნის გამოტანა ხდება!

აღდგომაა!

ბუნების კვირტობაა!

ქალში სიცოცხლის ნაყოფი!

ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ა!

"ფ ა რ - ნ ა - ვ ა ზ ი ს - ე უ ლ ი!"

" ფარ-" ფარია,დაფარულსა და საიდუმლოებით მოცულს იფარავს.

"ნა" - ნაყოფს უტოლდება და შიგ კოდირებულია ცოდნა, უნდა ვიპოვოთ და გავხნათ.

"ვაზი"- ქართული სიმბოლო!

"ეული"- ეს ერთადერთი ყოფილა და განსაკუთრებული!

ბუნება როგორც ჟანგბადი ისე გვბერავს ღვთიური ცოდნით რომ სიცოცხლე ავამაღლოთ ბგერებშიც და მეტყველებაშიც!

" ვის ჰშვენის ლომსა, ხმარება შუბისა ფარ - შიმშერისა"

ეს კითხვა თუ ვის შვენის "ლ - ომ - სა" ხმარება "შუბისა" - შუბლია!

ანუ თავი სადაც ცნობიერი თვალია. მესამე თვალი!

მისი ხმარება აზროვნებაა და მისი მოხმარების ცოდნაზეა საუბარი, რადგან " ფარ - შიმშერისა" აქაა დამალული და მშიერ, ანუ უცოდინარ ადამიანს არ აქვს ამის წვდომის საშუალება.

ცოდნა ქმნის ფარს და აზროვნებას მეტყველებისთვის რადგან ომია მოსაგები,რომ გახდე " ლ - ომი"

ე.ი. ადამიანს ბრძოლა უწევს მხოლოდ საკუთარ თავთან!

როცა ცოდნა გაქვს უკვე ლომი, მეფე ხდები!

უნდა დასძლიოს სიბნელე და ცდუნებები რაც მუდამ ბრძოლის ველს ქმნის ცხოვრების დონესთან.

სიღრმისეულს უნდა მივაგნოთ! უნდა გამოვიცნოთ!

" მეფესა მზისა თამარისა ღაწვ- ბალახშ, თმა - გიშერისა."

აქ საუბარია "მეფესა მზისა"- ანუ სინათლეზეა ყურადღება გამახვილებული,სითბოზე და სიყვარულზე რომელიც "მთავარი " ყოფილა.

"თამარი" - იგივე მთავარია!

"ღაწვ-ბალახშ, თმა - გიშერისა."

სახის ნაწილები რომელთა კავშირი აუცილებელია და მნიშვნელოვანი,"ღაწვი " ვარდისფერში გადადის, სადაც დაიწვები, როდესაც ცრუობს ადამიანი, წითლდება.

ამას ლოყები ამტკიცებს.

"თმა - გიშერისა" ანუ თმა - თქმაა! შეტყობინებაა დათმობის, მოთმენის.

მისი მოძრაობა/თმის/ ერთიდაიგივე ადგილზე დგომაა,ხანდახან ქარი კი აწეწავს ,მაგრამ მაინც თავის კუთვნილ ადგილზე რჩება, უ ხ მ ო დ! გამოხატავს ს ი ჩ უ მ ე ს!

მოთმინებაა ყველაფერი ზრდისთვის!

ანუ არაფერზე ღელავს თმა არასდროს!

" მას,არა ვიცი შევჰკადრო შესხმა ხოტბისა შე - რისა".

ადგილები სახეზე არის გამოხატულება იმისა თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რადგან ზუსტად სახე იძლევა იმ ჭეშმარიტ მდგომარეობას რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში.

სახე სუფთა ფურცელია!

სახე სარკეა!

ნება და გონება ითხოვს რომ გვიყვარდეს საკუთარი თავი.

"ხოტბის შესხმა" ზუსტად ამას მეტყველებს როცა სიმართლეს იცავს!

"შე - რისა"

"შე" - მიმართულების განმსაზღვრელია,გარედან შიგნით რომ დააბრუნო ცნობიერება,საპირისპირო მხარეს და საკუთარ თავს ჩაუღრმავდეს უნდა ადამიანი.

"რისა" - უკვე განსაზღვრაა!

"მისთა ჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს,მართ მშიერისა"

მუდმივად სჭირდება ჩაღრმავება ადამიანს და დაფიქრება,/ ჭვრეტა/ გონებაზეა საუბარი.

"ყანდისა"- განუვითარებელი ადგილია,ბნელი აზრების საბადო,რომელიც მხოლოდ გარე სამყაროსკენაა მიმართული, მას ეგო მართავს.

შიგნით შებრუნებას გვასწავლის, საკუთარ თავში ჩახედვას ისე როგორც ლოცვის დროს ვიქცევით, თვალებს ვხუჭავთ და მის ძალას საკუთარ გულში შევიგრძნობთ და განვიცდით, ამ დროს გამოვლენილი ენერგია მიემართება მთელს სხეულში რაც უფლის ძალით გვავსებს.

აქ მისი სიღრმეა,რადგან სხეული არის მშიერი და ითხოვს მხოლოდ ამ სულიერ საგანძურს!

ბნელი ძალები ტოვებენ სხეულს ლოცვის შედეგად, ქრებიან და იმ ადგილებზე ღვთის ძალა იწყებს შევსებას.

ერთი სიტყვით მშიერი რჩება დემონური ძალა.

ამიტომაა ჭამის წინ ლოცვას რომ მივმართავთ და სუფრასაც ლოცვით ვაწყობთ.

"ხამს"- სიტყვა დამშეული მდგომარეობაა.

"ხამს მართ" - რაც ვეღარ მართავს მათ დემონურსა და ბნელ ძალებს.

" თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-

დათხეულსა"!

თამარი მოყვანილია როგორც მთავარიო!

ის მეფეაო! სხეულში მთავარი ძალააო და ეს ძალა ღირსებააო!

უნდა აღვადგინოთ დაკარგული ღირსება!

სულის სხივი მეფის ფუნქციაა,განსაკუთრებული შინაგანი სიწმინდე, აზრი, რაც სიცოცხლის პრინციპშია და ჩვენს შიდა ხედვებში.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა- სინათლეზეა საუბარი ,სადაც საკუთარი აზრებით ნათელის გამოვლინებას ახდენ!

"სისხლით ცრემლ - დათხეული"- ეს სისხლის მიმოქცევის სისტემაა რაც სიცოცხლეს უკავშირდება, "დანთხევა" ანუ ჯამრთელი მდგომარეობა რომ იმოძრაოს სხეულში და შეადგენს ძალიან დიდ ძალას ტვინის მუშაობაშიც.

მისი მიმოქცევა, ჩვენივე ჯამრთელობაა და აზროვნება ,წვდომა შინაგან სამყაროში!

აქ ჭურჭლის შევსება ხდება!

ერთობ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსთაველი სისხლ- ძარღვებს,ასევე სხეულში არის გართხმული და მოიცავს მთელ ტანს,რაც სიცოცხლეს უკავშირდება!

მისი სამთავრობო მისიაა სხეული!

"ვთქვენი ქებანი ვისნი მე,არ ავად გამორჩეული"

ამ სტრიქონით გამოხატულია თქმა მათი, "ვთქვენი" ,ნაპოვნი სიბრძნის წყარო, რადგან ავადმყოფობა გვშორდება და ვჯამთელდებით!

ამიტომ ქების გამოთქმაა აუცილებელი,

"ვ ი ს - ნ ი" ცოდნაა და ვინც მიიღებს და აღიარებს ამ ცოდნას.

ამით ვხდებით გამორჩეულები!

" მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მენა რხეული"!

"მელნად ვიხმარე გიშრის ტბა" - თვალებია!

დანახვა, შენახვა დამახსოვრება! უძირო და ყველაფრის მხილველი, თვალებშია აღბეჭდილი სამყარო,დრო, და სივრცე.

"კალამი"- კი ენა რხეული!

მის მოძრაობას გადმოქვცემს საუბრის დროს, სულის მეტყველებას ამჟღავნებს და სხეულის რხეული ძალაა როგორც ვაზის ყლორტი!

ყველაფერი ემსახურება სამყაროში სიყვარულს!

მხოლოდ სიმართლეში და სიწმინდეში გვეძლევა ახალ ახალი გასაღები რათა შვუერთდეთ გონებით საკუთარ სამყაროს! ანუ მოიპოვო ის რაც უფლისაგანაა ბოძებული ღვთის ძალად ჩვენში!

ადამიანი საგანძურია!

ღვთის ნებაში შესვლას მხოლოდ სხეულით ვახდენთ.

ქრისტე თვითნაბადია და თავისთავში იბადება!

ანუ საკუთარ თავში მოახდინო დაბადება!

ტკივილი გარდასახვაა და გვიჩვენებს ენერგიის ნაკლებობას!

"ვინცა ისმინოს", დაესვას ლახვარი გულისა ხვეული!"

თვითეული სიტყვის,სტრიქონის,აზრის გაგებაა მნიშვნელოვანიაო! მათი დახეული გული გამთელდება და ლახვრის დასმა მოშორებაა უარყოფითი ძალების და ადამიანი იღვიძებს ამ დროს!

გული მთელდება და მისი გაცოცხლება არის მთავარი რაც სიყვარულით იწყება!

გული - ცოცხალი ღმერთია სხეულში!

"ლახვარი" - მნიშვნელოვანსა და მრავალ აზრს ატარებს , გადალახვაცაა!

Gulnazi forwarded a message

Gulnazi Kharaishvili

" მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა."

ე.ი იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხეულს და მის ნაწილებს რომ ბრძანებაც კი მიუღია რათა აქოს და კბილადაც გალექსოს.

ადამიანი წარმოადგენს ძალას ღმერთისას და ეს ძალა არის კავშირში ციურ სხეულებთან!

ანუ ჩვენი სხეულის ნაწილები დაკავშირებულია კოსმოსთან!

ჩვენ ერთმანეთს ვაძლიერებთ ჩვენივე უმაღლესი აზროვნებით და

ეს ღმერთის გზაა , ზრდაა!

სიცოცხლის კანონი ბუნებაში!

მგრძნობელობა და ყველაფერი!

ამიტომ გრძნობდე ყველაფერს აუცილებელია!

ლექ- სები გზებია! საიდანაც სიტკბოს იღებ და თავადაც ტკბები!

ანუ შენი შემოქმედებითი ძალაუფლება მოდის კბილებიდან!

ამიტომ გვაქვს სიბრძნის კბილები და ის სიტკბოს გადმოგვცემს!

კბილები - ტკბილები!

"ქება წარბთა და წამწამთა,თმათა და ბაგე - კბილისა."

საქებარია სახეზე განფენილი ყოველი ორგანო, წარბები -გზებია, "წამწამთა" - დროა!

ანუ ყოველი წუთი და წამი ყურადღებაა საჭირო და თვალეო!

წა - რბი!- ანუ წადი და ირბინეო ყოველ წამსა და წუთში, რადგან აქ ივსები ღვთიური ენერგიითო!

მიზანი თ ა ვ ი ა!

რომ დაიბადები თვალის გახელა უნდა ისწავლო!

შინაგანი თვალ -ყური უნდა ადევნო,ისმინო ჭეშმარიტება და გონების განწმენდა მოახდინო!

" ბროლ- ბალახშისა თლილსა,მის მიჯრით მიწყობილისა".

ბროლი ჩვენი კბილებია და ხშირი ბალახივითაა მიწყობილი,გამოთლილი, მიმდევრობა მათი მნიშვნელოვანია და საყურადღებო!

თვითეულ მათგანს კავშირი აქვს ორგანოებთან და ნერვებთან.

მიჯრით მიწყობა მისი ამის დასტურია პირის ღრუში და კიდევ ენასაც კბილებს ვაჭერთ!

ტანჯვა ბადებს სიბრძნეს კბილის ტკივილით და მერე ეს სიბრძნე სამყაროს ავსებს!

თან ბროლია!

ყველაზე ძვირფასი!

ე მ - ა ლ ი კი ენერგია !

კბილები ამავდროულად გენეტიკური შტოა,

მიწყობილი, განსაზღვრავს წინაპრებს, ზედა და ქვედა გვირგვინები მამისა და დედის საწინაპრო ხაზია და ცოდნას მიუთითებს!

"ძენი" - ანუ ბრძენდები!

დროულად უნდა ვიპოვოთ ღმერთი! სანამ დიდ ტკივილს გადავეყრებით.

ცოდნა სიცოცხლის განძია და ის მარტო ჩვენშია!

"სიტყვა ჰქონდა უფალს!"

სიბრძნეს კბილებით ვეხებით!

ზეციურ იერარქიას კი ღვთის ნებით!

აზრის გამოცნობა ხელოვნებაა!

თმის - ნება მოთმინებაა!

" გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა"!

თავი ინკუპატორია, იდეებს ბადებს, პირი დამბადებელი ლოგოსი!

გატეხვა ხდება!

ანუ ჭეშმარიტებას ვპოულობთ ღმერთით!

"ქ ვ ა "- ბოლოჟამს ქვებიც აღაღანდებიანო!

ანუ ვინც სწორ და ნამდვილ გზას ეწინააღმდეგებიან ისინიც კი შეიცნობენ სინამდვილეს!

გრდემლი - ლითონის საყრდენი, რკინა იწრთობა.

გაქვავებული წარმონაქმნი აზრებით, ზუსტად მისი გატეხვა ხდება

ალის მატარებელი ემ ალით!

ყველაფერს თავისთავში ახდენს ადამიანი, შიგნიდანვე იწვება!

გამოწვრთნა! ანუ გამოდი გაწვრთნილი, ანუ ბრძენი!

"აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვნებაა!"

პირი უსასრულო ცნობიერების მბადებელია!
სიტყვის ძალით წვეთი ქვასაც კი ხვრეტს.
მარადიული მოქმედება შემოქმედებაა რადგან გულთანაა კავშირში!
"გულის წიაღში დამბადეო ენით გამოითქმის!"
ენა განსაზღვრავს სათქმელის გამოთქმას და ეს სიყვარულია!
მხოლოდ სიყვარულის გამოთქმა ევალება ე ნ ა ს!
რომელიც ხელოვნებას ქმნის ღვთიურს!
მარტივი გზა კეთილი სიტყვაა!
გულის ჩუქება კი სიწმინდე,საიდანაც შემეცნება მოდის და ცნობიერად ყალიბდები!
ენა შთაგონების უფლებაა რითაც ცდილობ გააგონო ადამიანს!
ენა გემოს განსაზღვრავს, მკურნალია, ჭრილობას ილოკავს ცხოველი
და საკუთარი თავის გადარჩენაც შეუძლია!
 სხვისიც!

გაგრძელება იქნება.
2025.
იანვარ-თებერვალი.